ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

# 3

1992

# მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელიწადი 68-ე | № 3 | მარტი 1992 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

## შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა. გაგრძელება. . . . . . . . . . . . . 3

### პროზა, პოეზია

ზურაბ გეგეშიძე — სისხლის წვიმები. რომანი. დასასრული. . . . . . . . . . 34
გიგი სულაკაური — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 97
ზურაბ ლობჟანიძე — ცასა და მიწას შორის... მოთხრობა. . . . . . . . . 106

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თამაზ ბიბილური — ესე იტყოდა „ოთარაანთ ქვრივი". დასასრული . . . . . 120
გიორგი ნატროშვილი — პოეტი ქალის ანდერძი . . . . . . . . . . . 130
ლამარა კიკილაშვილი — „ეგეთად დარჩი"... . . . . . . . . . . . . . 139
შოთა ლომსაძე — სელჩუკთა პირველი შემოსევები და მეშკენიდები . . . 146
გვანცა სულაბერიძე — ლეონტი მროველის „მგოსანნი გლოვისანი" . . 156
პლოტინი — გონით საწვდომი ბედნიერებისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ . . . . . . . . . . . 160

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, თ. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# ბიბლია.

# ძველი აღთქმა

## პირველი ნეშტთა

### თავი პირველი

**1.** ადამი, შეთი, ენოში, **2** კენანი, მაჰალალელი, იარედი, **3.** იანოქი, მეთუშელახი, ლამექი, **4.** ნოე, სემი, ქამი, იაფეთი. **5.** იაფეთის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირამი. **6.** გომერის ძენი: აშქენაზი, რიფათი და თოგარმა. **7.** იავანის ძენი: ელიშა, თარშიშა, ქითიმი და დოდანიმი, **8.** ქამის ძენი: ქუში, მიცრაიმი, ფუტი და ქანაანი. **9.** ქუშის ძენი: სება. ხავილა, საბთა, რაყმა, საბთექა. რაყმას ძენი: შება და დედანი. **10.** ქუშმა შვა ნიმროდი. მან დაიწყო ძალის გამოჩენა ქვეყანაზე. **11.** მიცრაიმმა შვა ლუდიმი და ყანანიმი, ლეჰაბიმი და ნაფთუხიმი, **12.** ფათრუსიმი და ქასლუხიმი, რომელთაგანაც ფილისტიმელები და ქაფთორელნი გამოვიდნენ. **13.** ქანაანმა შვა ციდონი, თავისი პირმშო, და ხეთი. **14.** იებუსელნი, ამორეველნი, გირგაშეველნი, **15.** ხიველნი, ყარკიელნი, სინაელნი, **16.** არვადიელნი, ცემარიელნი და ხამათიელნი. **17.** სემის ძენი: ყელამი, ასური, არფაქშადი, ლუდი, არამი, ყუცი, ხული, გეთერი და მეშექი. **18.** არფაქშადმა შვა შელახი, შელახმა შვა ყებერი. **19.** ყებერს ორი ვაჟი შეეძინა. ერთის სახელი იყო ფელეგი, რადგან მის დროს გაიყო ქვეყანა. მისი ძმის სახელი იყო იაკტანი. **20.** იაკტანმა შვა ალმოდადი, შალეფი, ხაცარ-მავეთი, იარახი, **21.** ჰადორამი, უზალი, დიკლა, **22.** ყებალი, აბიმაელი, შება, **23.** ოფირი, ხავილა, იობაბი. ყველა ესენი იაკტანის ძენი არიან. **24.** სემი, არფაქშადი, შალახი, **25.** ყებერი, ფელეგი, რეყუ, **26.** სერუგი, ნახორი, თარახი. **27.** აბრამი, იგივე აბარაამი. **28.** აბრაამის ძენი: ისაკი და ისმაელი. **29.** ეს არის მათი მოდგმა: ისმაელის პირმშო ნებაიოთი, კედარი, ადბეელი, მიბსამი, **30.** მიშმაყი, დუმა, მასა, ხადადი, თუმა **31.** იეტური, ნაფიში და კედმა. ესენი არიან ისმაელის ძენი. **32.** ქეთურას, აბრაამის ხარჭის ძენი: მან შვა ზიმრა, იაკშანი, მედანი, მიდიანი, იშბაკი და შუახი. იაკშანის ძენი: შება და დედანი. **33.** მიდიანის ძენი: ყეფა, ყეფერი, ხანოქი, აბიდაყი და ელდაყა. ყველა ესენი ქეთურას ძენი არიან. **34.** აბრაამმა შვა ისაკი. ისაკის ძენი: ესავი და ისრაელი. **35.** ესავის ძენი: ელიფაზი, რეღუელი, იეყუში, იაყლამი და კონახი. **36.** ელიფაზის ძენი: თემანი, ომარი, ცეფი, გაყთამი, კენაზი, თიმნაყი, ყამალეკი. **37.** რეღუელის ძენი: ნახათი, ზერახი, შამა და მიზა. **38.** სეყირის ძენი: ლოტანი, შობალი, ციბყონი, ყანა, დიშონი, ეცერი და დიშანი. **39.** ლოტანის ძენი: ხორი, ჰომამი. ლოტანის და იყო თიმნაყი. **40.** შობალის ძენი: ყალიანი, მანახათი, ყებალი, შეფი, ონამი. ციბყონის ძენი: აია და ყანა. **41.** ყანას ძე; დიშონი. დიშონის ძენი: ხამრანი, ეშბანი, ითრანი, ქერანი. **42.** ეცერის ძენი: ბილჰანი, ზაყავანი, იაყაკანი. დიშონის ძენი: ყუცი და არანი. **43.** აჰა, ის მეფენი, ედომის ქვეყნად რომ მეფობდნენ, ვიდრე ისრაელიანებში გამეფდებოდა მეფე: ბეყალი, ძე ბეო-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 2

საქართველოს

რისა. მისი ქალაქის სახელი იყო დინჰაბა. 44. მოკვდა ბეყალი და მის ნაცვლად გამეფდა იობაბ ზერახის ძე — ბოცრელი. 45. მოკვდა იობაბი და მის ნაცვლად გამეფდა ხუშანი — თენანის ქვეყნიდან. 46. მოკვდა ხუშანი და მის ნაცვლად გამეფდა ჰადად ბედადის ძე, რომელმაც მოაბის ველზე მიდიანელნი გაანადგურა. მისი ქალაქის სახელი იყო ყავითი. 47. მოკვდა ჰადადი და მის ნაცვლად სამლა მასრეკელი გამეფდა. 48. მოკვდა სამლა და მის ნაცვლად საული გამეფდა— მდინარისპირა რეხობოთიდან. 49. მოკვდა საული და მის ნაცვლად ბაყალ-ხანან ყაქბორის ძე გამეფდა. 50. მოკვდა ბაყალ-ხანანი და მის ნაცვლად ჰადადი გამეფდა. მისი ქალაქის სახელი იყო ფაყი. სახელი მისი ცოლისა მეჰატაბელი, ასული მატრედისა, ასული მეზაჰაბისა. 51. მოკვდა ჰადადი. ედომის მთავრები იყვნენ: მთავარი თიმნაყი, მთავარი ყალია, მთავარი ითეთი, 52. მთავარი ოჰოლიბამა, მთავარი ელა, მთავარი ფინონი, 53. მთავარი კენაზი, მთავარი თემანი, მთავარი მიბცარი, 54. მთავარი მაგდიელი, მთავარი ყირამი. ესენი იყვნენ ედომის მთავრები.

## თავი მეორე

1. ესენი არიან ისრაელის ძენი: რეუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი, ზებულუნი, 2. დანი, იოსები, ბენიამინი, ნაფთალი, გადი და აშერი. 3. იუდას ძენი: ყერი, ონანი და შელა. ქანაანელი შუაყის ასულისგან მას სამი შეეძინა. იუდას პირმშო ყერი ბოროტი იყო უფლის თვალში, ამიტომ მოაკვდინა იგი. 4. თამარმა, მისმა რძალმა, შვა ფერეცი და ზარახი. იუდას სულ ხუთი ვაჟი ჰყავდა. 5. ფერეცის ძენი: ხეცრონი და ხამული. 6. ზერახის ძენი: ზიმრი, ეთანი, ჰემანი, ქალქოლი და დარაყი — ხუთნი. 7. ქარამის ძენი: ყაქარი, ფიცი რომ გატეხა და ისრაელს უბედურება შეამთხვია. 8. ეთანის ძენი: ყაზარია. 9. ხეცრონის ძენი, მას რომ შეეძინნენ: იერახმეელი, რამი და ქელუბაი. 10. რამმა შვა: ყამინადაბი. ყამინადაბმა შვა ნახშონი — იუდას ძეთა წინამძღოლი. 11. ნახშონმა შვა სალმა. სალმამ შვა ბოყაზი. 12. ბოყაზმა შვა ყობედი. ყობედმა შვა იესე. 13. იესემ შვა თავისი პირმშო ელიაბი, მეორე — აბინადაბი, მესამე — შიმყა, 14. მეოთხე — ნეთანელი, მეხუთე — რადაი. 15. მეექვსე — ოცემი, მეშვიდე — დავითი. 16. მათი დები: ცერუია და აბიგაილი. ცერუიას ძენი: აბიშაი, იოაბი და ყასაელი — სამნი. 17. აბიგაელმა შვა ყამასა. ყამასას მამა იეთერი ისმაელიანი იყო. 18. ხალებს, ხეცრონის ძეს, ყაზუბასაგან, თავისი ცოლისგან, და იერიყოთისაგან შვილები შეეძინნენ. აჰა, მისი ძენი: იეშერი, შობაბი და არდონი 19. მოკვდა ყაზუბა და ხალებმა ეფრათი შეირთო ცოლად. მასთან შეეძინა ხური. 20. ხურმა შვა ური. ურმა შვა ბეცალელი. 21. მერე ხეცრონი გალაადის მამის ასულთან შევიდა და ცოლად შეირთო. მაშინ იგი სამოცი წლისა იყო. მასთან შეეძინა სეგუბი. 22. სეგუბმა შვა იაირი. გალაადის ქვეყანაში მას ოცდასამი ქალაქი ჰქონდა. 23. გეშურმა და არამმა წაართვა მათ იაირის დაბები, კენათი თავის ქალაქებიანად — სულ სამოცი ქალაქი. ყველა ესენი გალაადის მამის, მაქირის ძენი არიან. 24. მას შემდეგ რაც ხეცრონი ხალებ-ეფრათში მოკვდა, ხეცრონის ცოლს აბიას შეეძინა აშხური, თეკოაყის მამა. 25. ხეცრონის პირმშოს იერახმეელის ძენი იყვნენ: პირმშო რამი, ბუნა, ორენი, ოცემი და ახია. 26. იერახმეელს სხვა ცოლიც ჰყავდა, სახელად ყაცრა. ის იყო ონამის დედა. 27. იერახმეელის პირმშოს რამის ძენი იყვნენ: მაყაცი, იამინი და ყეკერი. 28. ონამის ძენი იყვნენ: შამაი და იდაყი. შამაის ძენი: ნადაბი და აბიშური. 29. აბიშურის ცოლს ერქვა აბიხაილი. მან შვა ახბანი და მოლიდი.

30. ნედაბის ძენი: სელედი და აფაიმი. სელედი უშვილოდ მოკვდა. 31. აფაიმს ყავდა ძე — იშყი. იშყის ძე იყო შეშანი. შეშანის ძე იყო ახლაი. 32. იადაყის ძენი: ახი, შამი, იეთერი და იონათანი. იეთერი უშვილოდ მოკვდა. 33. იონათანის ძენი: ფელეთი, ზაზა. ესენი იერახმეელის ძენი იყვნენ. 34. შეშანს ვაჟები არ ჰყოლია, მხოლოდ ასულები ჰყავდა. შეშეთს ეგვიპტელი ყმა ჰყავდა, სახელად იარაყი. 35. შეშეთმა თავისი ასული თავის ყმას, იარნაყს მისცა ცოლად. მას შეეძინა ყათაი. 36. ყათაიმ შვა ნათანი, ნათანმა შვა ზაბადი. 37. ზაბადმა შვა ეფლალი. ეფლალმა შვა ყობედი. 38. ყობედმა შვა იეჰუ. იეჰუმ შვა ყაზარია. 39. ყაზარიამ შვა ხალეცი. ხალეცმა შვა ელყასა. 40. ელყასამ შვა სისმაი. სისმაიმ შვა შალუმი. 41. შალუმმა შვა იეკამია. იეკამიამ შვა ელიშამაყი. 42. იერახმეელის ძმის, ხალების ძენი: მისი პირმშო მეშაყი, ეს არის ზიფის მამა; და მარეშას, ხებრონის მამის, ძენი. 43. ხებრონის ძენი: კორახი, თაფუახი, რეკემი, შემაყი. 44. შემაყმა შვა რახამი, იარკეყამის მამა. რეკემმა შვა შამაი. 45. შამაის ძე იყო მაყონი. მაყონი იყო მამა ბეთ-ცურისა. 46. ხალების ხარჭას, ყეფას, შეეძინა: ხარანი, მოცავი და გაზეზი. ხარანმა შვა გაზეზი. 47. იაჰდაის ძენი: რეგემი, იოთამი, გეშანი, ფელეტი, ყეფა და შაყაფი. 48. ხალების ხარჭა მაყაქას შეეძინა: შებერი, თირხანა. 49. მადმანას მამა შაყაფი, მაქბენასა და გიბყას მამა შევა. ხალების ასული იყო კაქსა. 50. ესენი იყვნენ ხალების ძენი: ხურის ძე შობალი, ეფრათას პირმშო, მამა კირიათ-იეყარიმისა, 51. სალმა, მამა ბეთ-ლეხემისა, და ხარეფი, მამა ბეთ-გადელისა. 52. ნობალს, კირიათ-იეყარამის მამას, ჰყავდა ვაჟები: ჰაროე და ხაცი-ჰამენუხოთი. 53. კირიათ-იეყარიმის საგვარეულონი: ითრიელნი, ფუთიელნი, შუმათიელნი და მიშრაყიელნი. მათგან გამოვიდნენ: ცარყითიელნი და ეშთაოლიელნი. 54. სალმას ძენი; ბეთ-ლეხემი, ნეტოფათიელნი, ყეტროთ-ბეთ-იოაბი, ხაცი-ჰამანახთი და ცორყიელნი. 55. იაყბეცში მცხოვრებ მწიგნობართა საგვარეულონი: თირყათელნი, შიმყათიელნი, სუქათიელნი. ესენი კინიელნი არიან, ბეთ-რექაბას მამის, ხამათის შთამომავლები.

## თავი მესამე

1. ესენი იყვნენ დავითის, ძენი, რომლებიც ქებრონში შეეძინნენ მას: პირმშო ამონი, ახინოყამ ისრაელიანისგან, მეორე — დანიელი, აბიგაილ ქარმელელისგან. 2. მესამე — აბესალომი, გეშურის მეფე თალმაის ასულის, მაყაქას ვაჟი. მეოთხე — ადონია, ხაგითის ვაჟი. 3. მეხუთე — შეფატია, აბიტალისგან, მეექვსე — ითრეყამი, ყეგლასგან, თავისი ცოლისაგან. 4. ექვსნი შეეძინნენ მას ხებრონში. შვიდი წელი და ექვსი თვე იქ იმეფა, ოცდაცამეტი წელი კი — იერუსალიმში. 5. ესენი შეეძინნენ იერუსალიმში: შიმყა, შობაბი, ნათანი, სოლომონი — ოთხნი ბათშუაყისგან, ყამიელის ასულისგან. 6. იბხარი, ელიშამაყი, ელიფალეტი, 7. ნოჰაგი, ნეფეგი, იაფიაყი, 8. ელიშამაყი. ელიადაყი, ელიფელეგი — ცხრანი. 9. სულ ესენი არიან დავითის ძენი, ხარჭების ძეთა გარდა. თამარიც მათი და იყო. 10. სოლომონის ძე რობოამი, მისი ძე აბია, მისი ძე ასა, მისი ძე იოშაფატი, 11. მისი ძე იორამი, მისი ძე ახაზიაჰუ, მისი ძე იოაში, 12. მისი ძე ამაციაჰუ, მისი ძე ყაზარია, მისი ძე იოთამი, 13. მისი ძე ახაზი, მისი ძე ხიზკიაჰუ, მისი ძე მენაშე, 14. მისი ძე ამონი, მისი ძე იოშიაჰუ. 15. იოშიაჰუს ძენი: პირმშო იოხახანი, მეორე — იეჰოიაკიმი, მესამე — ციდკიაჰუ. მეოთხე — შალუმი. 16. იეჰოიაკიმის ძენი: მისი ძე იექონია. მისი ძე ციდკია. 17. იექონიას ძენი: ასირი, მისი ძე შეალთიელი, 18. მალქირამი, ფედაია, შენაცარი, იეკამია, ჰოშამაყი, ნედაბია. 19. ფედაიას ძენი: ზერუბა-

ბელი, შიმყი. ზერუბაბელის ძენი: მეშულამი, ხანანია, მათი და შელომითი, 20. ხაშუბა, ოჰელი, ბერექია და ხასადია. 21. ხანანიას ძენი: ფელატია და ესაია. რეფაიას ძენი და არნანის ძენი, ყობადიას ძენი და შექანიას ძენი. 22. შექანიას ძე შემაყია. შემაყიას ძენი: ხატუში, იგალი, ბარიახი, ნეყარია, შეფატი — ექვსნი. 23. ნეყარიას ძენი: ელიოყენაი, ხიზკია, ყაზრიკამი — სამნი. 24. ელიოყენაიას ძენი: ჰოდავიაჰუ, ელიაშიბი, ფელაია, ყაკუბი, იოხანანი, დელაია, ყანანი — შვიდნი.

## თავი მეოთხე

1. იუდას ძენი: ფერეცი, ხეცრონი, ქარმი, ხური და შობალი. 2. შობალის ძემ რეიამ შვა იახათი. იახათმა შვა ახუმაი და ლაჰადი. აჰა, ცორყათელთა საგვარეულონი. 3. აჰა, ყეტამის მამის ძენი: იზრეყელი, იშმა, იდბაში. მათ დას ჰაცლელფონი ერქვა, 4 ფენუელი, გედორისა და ყეზერის მამა, ხუშას მამა. 5. აშხურს, თეკოაყის მამას ორი ცოლი ჰყავდა: ხელა და ნაყარა. 6. ნაყარასგან შეეძინა: ახუზამი, ხეფერი, თემნი და ჰაახაშთარი. ესენი იყვნენ ნაყარას ძენი. 7. ხელას ძენი: ცერეთი, იეცოხარი და ეთნანი. 8. კოცმა შვა ყანუბი, ჰაცობება და ახარხელ ჰარუმის ძის საგვარეულონი. 9. იაყბეცი თავის ძმებზე უფრო პატივდებული იყო. იაყბეცი დედამისმა დაარქვა, თქვა: რადგან სიმწრით გავაჩინე. 10. მოუხმო იაყბეცმა ისრაელის ღმერთს და უთხრა: ნეტა კურთხევით მაკურთხევდე და საზღვრებს გამიდიდებდე, შენი ხელი ჩემთან იქნებოდეს და ბოროტებისაგან დამიცავდე, რომ არ გავიტანჯო. და მისცა ღმერთმა, რასაც ითხოვდა. 11. შეხას ძმამ ქელუბმა შვა მეხირი — ეშთონის მამა. 12. ეშთონმა შვა ბეთრაფა, ფასეახი და ყირ-ნახაშის მამა თეჰინა. აჰა, რექას მაცხოვრებელნი. 13. ყენაზის ძენი: ყათნიელი და სერაია. ყათნიელის ძე იყო ხათათი. 14. მეყონოთაიმ შვა ყაფრა. სერაიამ შვა იოაბი, მამა ხუროთა ველ[illegible]ან ხურონი იყვნენ. 15. [illegible] ძე ქალების ძენი: ყირუ, ელა და ნაყამი. ელას ძე იყო კენაზი. 16. იეჰალელის ძენი: ზიფი, ზიფა, თირია და ასარიელი. 17. ყეზარას ძენი: იეთერი, მერედი, ყეფერი და იალონი. იეთერმა შვა მირიამი, შამაი და იშბახი, ეშთემოაყის მამა. 18. მის იუდეველ ცოლს შეეძინა იერედი, მამა გედორისა, ხებერი, მამა სოხოსი, იეკუთიელი, მამა ზანოახისა. აჰა, ძენი ბითიასი, ფარაონის ასულისა, მარედმა რომ შეირთო. 19. ჰოდიას ცოლის, ნახამის დის ვაჟები: კეყილას მამა, გარმელი და ეშთემოაყ მაყაქათელი. 20. შიმონის ძენი: ამნონი, რინა, ბენ-ხანანი და თილონი. იშყის ძენი: ზოხეთი და ბენ-ზოხეთი. 21. შელა იუდას ძის ვაჟები: ყერი, ლექას მამა, ლაყდა, მარეშას მამა და სელის მკეთებელთა საგვარეულოები აშბეაყის სახლიდან. 22. იოაკიმი, ქოზებას ხალხი, იოაში და სარაფი მოაბსა და იაშუბი-ლახემს ფლობდნენ. ეს ძველი ამბებია. 23. ისინი მეთუნენი იყვნენ. ნეტაყიმსა და გედერაში სახლობდნენ, მეფესთან ცხოვრობდნენ და მისთვის შრომობდნენ. 24. სიმეონის ძენი: ნემუელი, იამინი, იარიბი, ზერახი და საული. 15. მისი ძე შალუმი, მისი ძე მიბსამი, მისი ძე მიშმაყი. 26. მიშმაყის ძენი: მისი ძე ხამუელი, მისი ძე ზაქური, მისი ძე შიმყი. 27. შიმყის თექვსმეტი ვაჟი და ექვსი ქალი ჰყავდა. მის ძმებს ბევრი ვაჟები არ ჰყოლია და არც მათი საგვარეულო იყო იუდას ძეთა საგვარეულოსავით მრავალრიცხოვანი. 28. ისინი ცხოვრობდნენ ბეერ-შებაყში, მოლედასა და ხაცარ შეყალში, 29. ბილჰაში, ყეცამში, თოლადში, 30. ბეთუელში, ხარმაში, ციკლაგში, 31. ბეთ-მარქაბოთში, ხაცარ-სუსიმში, ბეთ-ბირსა და შაყარაიმში. აჰა, მათი ქალაქები, დავითის გამეფებამდე. 32. მათი დასახლებები: ყეტამი, ყაინი, რიმონი, თოქენი, ყაშანი — ხუთი ქალაქი. 33. ასევე ყველა

ის სოფლები, რომელნიც ამ ქალაქებს ეკვროდნენ ვიდრე ბაყალამდე. აჰა, მათი საცხოვრებელი და მათი საგვარტომო ნუსხა. **34.** მეშობაბი, იამლექი, იოშა ამაციას ძე, **35.** იოელი და იეჰუ, ძე ოშიბიასი, სერაიას ძისა, ყასიელის ძისა. **36.** ელიოყენაი, იაყაკობა, იშოხაია, ყასაია, ყადიელი, ისიმიელი, ბენაია. **37.** ზიზა, ძე შიფყისა, ძისა ალონისა, ძისა შიმრისა, ძისა შემაყიასი, **38.** ესენი, სახელებით რომ არიან ჩამოთვლილნი, თავ-თავიანთი საგვარეულოების მთავრები იყვნენ. მათი მამისსახლი ძალიან გაიზარდა. **39.** მათ გედორისაკენ გასწიეს,ველის აღმოსავლეთით, თავიანთი ცხვრისთვის საძოვრის საძებნელად. **40.** პოხიერსა და კარგ საძოვარს მიაგნეს, ვრცელი ქვეყანა იყო, თან მშვიდი და მყუდრო, რადგან უწინ აქ ქამის შთამომავლები ცხოვრობდნენ. **41.** ისინი, სახელებით რომ იყვნენ ჩამოწერილნი, იუდას მეფის, იეხიზკიაჰუს დღეებში მოვიდნენ, გაანადგურეს მათი კარვები და მაყონელნი, იქ რომ იყვნენ. იმ დღეს ერთიანად ამოწყვიტეს ისინი და მათ ნაცვლად დასახლდნენ, რადგან იქ იყო მათი ცხვრის საძოვარი. **42.** ხოლო მათგანი, სიმონის ძეთაგან, ხუთასი კაცი სეყირის მთისკენ გაეშურა იშყის ძეთა — ფელატიას, ნეფარიას, რეფაიასა და ყუზიელის მეთაურობით. **43.** გაანადგურეს ყამალეკთა დანარჩომი და დღემდე იქ ცხოვრობენ.

## თავი მეხუთე

**1.** რეუბენის, ისრაელის პირმშოს ძენი (იგი პირმშო იყო. მაგრამ როცა მამის სარეცელი წაბილწა, მისი პირმშოობა გადაეცა იოსებს, ისრაელის ძეს, არა იმისათვის რომ პირმშოდ ჩაწერილიყო. **2.** იუდა ძლიერი იყო თავის ძმებში და წინამძღვარიც მისგან იყო, პირმშოობა კი იოსებს ეკუთვნოდა), **3.** რეუბენის, ისრაელის პირმშოს ძენი: ხანოქი, ფალლუ, ხეცრონი და ქარმი. **4.** იოელის ძენი: მისი ძე შემაყია, მისი ძე გოგი, მისი ძე შიმეი, **5.** მისი ძე მიქა, მისი ძე რეაია, მისი ძე ბაალი, **6.** მისი ძე ბეერა, რომელიც ტყვედ წაიყვანა აშურის მეფემ, თიგლათ-ფილნესერმა. ის იყო რეუბენიანთა წინამძღოლი. **7.** მისი ძმები, მათი საგვარეულოებისა და საგვარტომო ნუსხის მიხედვით იყვნენ: უფროსი იეყიელი, ზექარია, **8.** ბელაყი ძე ყაზაზისა, ძე შემაყისა, ძე იოელისა. იგი ყაროყერში ცხოვრობდა, ნებომდე და ბაყალ-მეყონამდე, **9.** აღმოსავლეთით ცხოვრობდა, მდინარე ევფრატიდან მოყოლებული უდაბნოს პირამდე, რადგან დიდძალი საქონელი ჰყავდათ გალაადის ქვეყანაში. **10.** საულის დროს აგარიანებს ეომებოდნენ და მათ ხელში ჩაცვივდნენ. დასახლდნენ მათ კარვებში, გალაადის მთელ აღმოსავლეთ მხარეში. **11.** გადის ძენი მათ მეზობლად ცხოვრობდნენ, ბაშანის ქვეყანაში სალქამდე, **12.** უფროსი—იოელი, მომდევნონი—შაფამი, იაყნაი და შაფატი ბაშანში ცხოვრობდნენ. **13.** მათი ძმები, თავ-თავიანთი მამისსახლიდან: მიქაელი, მეშულამი, შებაყი, იორაი, იაყქანი, ზიაყი, ყებედი და შიბყა. **14.** აჰა, ძენი აბიხაილისა, ხურის ძისა, იაროახის ძისა, გილყადის ძისა, მიქაელის ძისა, იეშიშაის ძისა, იახდოს ძისა, ბუზის ძისა. **15.** ახი, ძე ყაბდიელისა, ძე გუნისა, მათი მამისსახლის თავკაცი. **16.** ისინი ცხოვრობდნენ გალაადში. ბაშანსა და მის კუთვნილ ქალაქებში, ასევე შარონის მთელ სანახებში, ვიდრე გამოვიდოდნენ. **17.** ყველანი აღირიცხნენ იუდას მეფის, იოთამის დროს და იერობოამ ისრაელის მეფის დროს. **18.** რეუბენიანებში, გადიანებში და მენაშეს ნახევარ ტომში იყვნენ გულადი ვაჟკაცები, რომელნიც ფარსა და მახვილს ატარებდნენ, მშვილდოსნობდნენ და ბრძოლაში იყვნენ ნაწრთობნი. მათგან რიცხვით ორმოცდაოთხიათას შვიდას სამოცნი გამოდიოდა საომრად. **19.** აგარიანებთან, იატურთან, ნაფიშთან

და ნოდაბთან ჰქონდათ ომი. 20. მიეხმარნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში და მათ ხელში ჩაცვივდნენ აგარიანები, მთელი მათი საბადებლითურთ. ეს იმიტომ, რომ ომში ღმერთს მოუხმეს. მანაც უსმინა მათ, რაკი მისი იმედი ჰქონდათ. 21. წამოასხეს მათი საქონელი: ორმოცდაათიათასი აქლემი, ორასორმოცდაათიათასი ცხვარი, ორი ათასი ვირი და ასი ათასი ტყვე. 22. მრავალი მოკლული დაეცა, რადგან ღვთისაგან იყო ეს ომი. მკვიდრობდნენ ისინი ამ ადგილებზე, სანამ ტყვეობაში მოხვდებოდნენ. 23. მენაშეს ნახევარი ტომიც დასახლდა იმ ქვეყნად, ბაშანიდან მოყოლებული ვიდრე ბაალხერმონამდე, სენირამდე და ხერმონის მთამდე. მრავალრიცხოვანნი იყვნენ ისინი. 24. ესენია მათი მამისსახლის თავკაცები: ყეფერი, იშყი, ელიელი, ყაზრიელი, ერემია, ჰოდავია, იახდიელი — მამაცი ვაჟკაცები, მამისსახლის სახელოვანი თავკაცები. 25. მათ ზურგი აქციეს მამა-პაპის ღმერთს და გზაპბნეულნი გაჰყვნენ იმ ქვეყნის ხალხის ღმერთებს, მათგან რომ განდევნა ღმერთმა. 26. ისრაელის ღმერთმა აღძრა აშურის მეფის, ფულის სული და აშურის მეფის, თიგლათ-ფილნესერის სული და გაასახლა რეუბენიანები, გადიანები და მენაშეს ნახევარი ტომი. ჩაასახლა ისინი ხელახში, ხაბორში, ჰარაში. მდინარე გოზანთან, დღემდე.

## თავი მეექვსე

1. ლევის ძენი: გერშონი, კეჰათი და მერარი. 2. კეჰათის ძენი: ყამრამი, იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი. 3. ყამრამის ძენი: აარონი, მოსე, მირიამი. აარონის ძენი; ნადაბი, აბიჰუ, ელეაზარი და ითამარი, 4. ელეაზარმა შვა ფინხამი, ფინხამმა შვა აბიშუაყი, 5. აბიშუაყმა შვა ბუკი, ბუკმა შვა ყუზი, 6. ყუზმა შვა ზერახია, ზერახიამ შვა მერაიოთი, 7. მერაიოთმა შვა ამარია, ამარიამ შვა ახიტუბი. 8. ახიტუბმა შვა ცადოკი, ცადოკმა შვა ახიმაყაცი, 9. ახიმაყაცმა შვა ყაზარია, ყაზარიამ შვა იოხანანი. 10. იოხანანმა შვა ყაზარია (ეს იმ ტაძარში მღვდლობდა, რომელიც სოლომონმა ააშენა იერუსალიმში), 11. ყაზარიამ შვა ამარია, ამარიამ შვა ახიტუბი, 12. ახიტუბმა შვა ცადოკი, ცადოკმა შვა შალუმი, 13. შალუმმა შვა ხილკია, ხილკიამ შვა ყაზარია, 14. ყაზარიამ შვა სერაია, სერაიამ შვა იეჰოცადაკი. 15. იეჰოცადაკი წავიდა, როცა უფალმა იუდა და იერუსალიმი ნაბუქოდონოსორის ხელით გაასახლა. 16. ლევის ძენი: გერშონი, კეჰათი. მერარი. 17. აჰა, გერშონის ძეთა სახელები: ლიბნი და შიმყი. 18. კეჰათის ძენი: ყამრამი იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი. 19. მერარის ძენი: მახლი და მუში. აჰა, ლევის საგვარეულონი, თავ-თავიანთი მამისსახლის მიხედვით. 20. გერშონს ჰყავდა მისი ძე ლიბნი, მისი ძე იახათი, მისი ძე ზიმა, 21. მისი ძე იოახი, მისი ძე ყიდო, მისი ძე ზერახი, მისი ძე იეათრაი. 22. კეჰათის ძენი: მისი ძე ყამინადაბი, მისი ძე კორახი, მისი ძე ასირი, 23. მისი ძე ელკანა, მისი ძე აბიასაფი. მისი ძე ასირი, 24. მისი ძე თახათი, მისი ძე ურიელი, მისი ძე ყუზია, მისი ძე საული. 25. ელკენას ძენი; ყასამაი და ახიმოთი. 26. ელკანა. ელკანას ძენი: მისი ძე ცოფაი, მისი ძე ნახათი, 27. მისი ძე ელიაბი, მისი ძე იეროხამი, მისი ძე ელკანა. 28. სამეულის ძენი: პირმშო ვაშნი და აბია. 29. მერარის ძენი; მახლი, მისი ძე ლიბნი, მისი ძე შიმყი, მისი ძე ყუზა, 30. მისი ძე შიმყა, მისი ძე ხაგია, მისი ძე ყასაია. 31. აჰა, ისინი, მგალობლებად რომ დააყენა დავითმა უფლის სახლში. კიდობნის დადგმის შემდეგ. 31. სადღესასწაულო კარავთან გალობით ასრულებდნენ მსახურებას, სანამ სოლომონი იერუსალიმში უფლის სახლს ააშენებდა. ისინი თავიანთი მსახურების წესისამებრ იდგნენ. 33. აჰა, ისინი, მსახურებას ვინც ეწეოდნენ, და მათი

ძენი: კეჰათის ძეთაგან ჰემანი — მგალობელი, იოელის ძე, ძისა სამუელისა, 34. ძისა, ელკანასი, ძისა იეროხამისა, ძისა ელიალისა, ძისა თოხასი, 35. ძისა ცუფისა, ძისა ელკანასი, ძისა მახათისა, ძისა ყამასაისი, 36. ძისა ელკანასი, ძისა იოელისა, ძისა ყაზარიასი, ძისა ცეფანიასი, 37. ძისა თახათისა, ძისა ასირისა, ძისა აბიასაფისა, ძისა კორახისა, 38. ძისა იცჰარისა, ძისა კეჰათისა, ძისა ლევისა, ძისა ისრაელისა, 39. მისი ძმა ასაფი მის მარჯვნივ მდგომი, ასაფ ბერექიას ძე, შიმყას ძისა, 40. ძისა მიქაელისა, ძისა მალქიასი, 41. ძისა ეთნისა, ძისა ზერახისა, ძისა ყადიასი, 42. ძისა ეთანისა, ძისა ზიმასი, ძისა შიმყისა, 43. ძისა იახათისა, ძისა გერშონისა, ძისა ლევისა. 44. მერარის ძენი, მათი ძმები მარცხნივ რომ იდგნენ: ეთან კიშის ძე, ძისა ყავდისა, ძისა. მალუქისა, 45. ძისა ხაშაბიასი, ამაციასი, ძისა ხილკიასი, 46. ძისა ამაცისა, ძისა ბანისა, ძისა შამერისა, 47. ძისა მახლისა, ძისა მუშისა, ძისა მერარისა, ძისა ლევისა. 48. მათი ძმები, ლევიანები, ღვთის სახლის სავანის ყველანაირი სამსახურისთვის იყვნენ დაყენებულნი. 49. აარონი და მისი ძენი ალსავლენის სამსხვერპლოზე და საკმევლის სამსხვერპლოზე აკმევდნენ. წმიდათა წმიდაში ყველა საქმეს აკეთებდნენ და ყველაფერს ისე ასრულდნენ ისრაელის განსაწმენდად. როგორც მოსემ ბრძანა. ღვთის მსახურმა. 50. აჰა, არონის ძენი: მისი ძე ელეაზარი. მისი ძე ფინხასი, მისი ძე აბიშუაყი, 51. მისი ძე ბუკი, მისი ძე ყუზი, მისი ძე ზერახია, 52. მისი ძე მერაიოთი, მისი ძე ცადოკია, მისი ძე ახიმაყაცი. მისი ძე ამარია, მისი ძე ახიტუბი, 53. 54. ეს მათი საცხოვრებელი, მათი დაბებისა და საზღვრის მიხედვით ერგოთ აარონიანებს, კეჰათელთა საგვარეულოდან, რადგან წილისყრით მათ ეკუთვნოდათ. 55. მისცეს მათ ხებრონი, იუდას ქვეყანაში. თავისი სანახებითა და შემოგარენითურთ. 56. ამ ქალაქის მინდორ-ველი და სოფლები ხალებს მისცეს, იეფუნეს ძეს. 57. აარონიანებს მისცეს თავშესაფარი ქალქები: ხებრონი, ლიბნა თავისი სანახებით, იათირი და ეშთემოაყი თავისი სანახებით, 58. ხილენი თავისი სანახებით, დებირი თავისი სანახებით, 59. ყასანი თავისი სანახებით, ბეთ-შემეში თავისი სანახებით. 60. ბენიამინის ტომიდან: გებაყი თავისი სანახებით, ყალემეთი თავისი სანახებით, ყანათოთი თავისი სანახებით. მათ საგვარეულოებში სულ ცამეტი ქალაქი იყო. 61. ხოლო დანარჩენ კეჰათიანებს, ამ ტომის საგვარეულოდან, მენაშეს ნახევარტომის ნახევრიდან ათი ქალაქი ერგოთ წილისყრით. 62. გერშონიანებს, თავ-თავიათნი საგვარეულოებისდა მიხედვით, ისაქარის, აშერის, ნეფთალისა და მენაშეს ტომებიდან ცამეტი ქალაქი ერგოთ ბაშანში. 63. მერარიანებს, თავ-თავიანთი საგვარეულოებისდა მიხედვით, რეუბენის, გადისა და ზებულუნის ტომებიდან თორმეტი ქალაქი შეხვდათ წილისყრით. 64. ეს ქალაქები მისცეს თავისი სანახებით ისრაელიანებმა ლევიანებს. 65. წილისყრით მისცეს იუდას, სიმონისა და ბენიამინის ძეთა ტომებიდან ის ქალაქები, რომლითაც სახელები ერქვათ. 66. კეჰათიანთა საგვარეულოებმა თავიანთი სასაზღვრო ქალაქები ეფრაიმის ტომისგან მიიღეს. 67. მათვე მისცეს თავშესაფარი ქალაქები: შექემი, ეფრაიმის მთაზე, თავის სანახებით, გეზერი თავისი სანახებით, 68. იაკმეყამი თავისი სანახებით, ბეთ-ხორონი თავისი სანახებით, 69. აიალონი თავისი სანახებით და გათ-რიმონი თავისი სანახებით. 70. მენაშეს ნახევარტომიდან ყანერი თავისი სანახებით და ბილყამი თავისი სანახებით მისცეს კეჰათიანთა დანარჩენ საგვარეულოს. 71. გერშონიანებს, მენაშეს ნახევარტომის საგვარეულოდან, ბაშანში მისცეს: გოლანი თავის სანახებით და ყაშთაროთი თავის სანახებით. 72. ისაქარის ტომიდან მისცეს კედეში თავის სანახებით, დაბრაში თავის სანახებით, 73. რამო-

ნი თავის სანახებით, ყანემი თავის სანახებით. 74. აშერის ტომიდან მისცეს: მაშალი თავის სანახებით, ყაბდონი თავის სანახებით, 75. ხუკოკი თავის სანახებით, რეხობი თავის სანახებით. 76. ნაფთალის ტომიდან მისცეს კედეში გალილეაში თავის სანახებით. 77. დანარჩენ მერარიანებს კი ზებულუნის ტომიდან მისცეს, რიმონო თავის სანახებით და თაბორი თავის სანახებით. 78. იორდანეს გაღმა, იერიოხონთან, იორდანეს აღმოსავლეთით რეუბენის ტომიდან მისცეს: ბეცერი, უდაბნოში, თავის სანახებით, იახცარი თავის სანახებით, 79. კედმოთი თავის სანახებით და მეფაყი თავის სანახებით. 80. გადის ტომიდან მისცეს: რამოთი გალაადში თავის სანახებით, 81. ხეშბონი თავის სანახებით და იაყზერი თავის სანახებით.

## თავი მეშვიდე

1. ისაქარის ძენი: თოლაყი, ფუა, იაშუბი, შიმრონი — ოთხნი. 2. თოლაყის ძენი: ყუზი, რეფაია, ირიელი, იახმაი, იაბხამი, სამუელი — თოლაყის მამისსახლის თავკაცები, თავ-თავიანთი მოდგმის მაგარი ვაჟკაცები. დავითის დროს მათი რიცხვი ოცდაორიათას ექვსასი იყო. 3. კუზის ძე იზრახია. იზრახიას ძენი: მიქაელი, ყობადია, იოელი, იშია — სულ ხუთი თავკაცი. 4. თავ-თავიანთი მოდგმიდან და მამისსახლიდან ოცდათექვსმეტათასიანი საბრძოლო რაზმი გამოჰყავდათ ომში, რადგან ბევრი ცოლ-შვილი ჰყავდათ. 5. მათი ძმები ისაქარის ყველა საგვარეულოს მაგარი ვაჟკაცები, ოთხმოცდაშვიდი ათასნი იყვნენ. ყველანი საგვარტომო ნუსხაში იყვნენ ჩაწერილნი. 6. ბენიანიანები: ბელაყი, ბექერი და იდიყაელი — სამნი. 7. ბელაყიანები: ეცბონი, ყუზი, ყუზიელი, ირიმოთი, ყირი — ხუთნი, მამისსახლის თავკაცები და მამაცი ვაჟკაცები. საგვარტომო ნუსხაში ოცდაორი ათას ოცდათორმეტნი არიან ჩაწერილნი. 8. ბექარიანები: ზემირა, იოაში, ელიყეზერი, ელიოყენაი, ყამრი, იერიმოთი, აბია, ყანათოთი და ყალამეთი. ყველა ესენი ბექერიანები არიან. 9. საგვარტომო ნუსხაში ისინი თავ-თავიანთ მამისსახლთა თავკაცების მიხედვით არიან ჩაწერილნი — სულ ოციათას ორასი ძლიერი მებრძოლი. 10. იედიყაელიანები: ბილჰანი. ბილჰანის ძენი: იეყუში, ბენიამინი, ეჰუდი, ქენაყანა ზეთანი, თარშიში და ახიშახარი. 11. ყველა ესენი იედიყაელიანები არიან, მამისსახლთა თავკაცები, მათგან ჩვიდმეტიათას ორასი მებრძოლი გამოდიოდა საბრძოლველად. 12. შეფიმი და ხუფიმი ყირის ძენი იყვნენ, ხოლო ხუშიმი ახერის ძე იყო. 13. ნაფთალიანები: იახციელი, გუნი, იეცერი და შალუმი ბილჰას შვილები იყვნენ. 14. მენაშენიანები: ასრიელი, რომელიც მისმა არამელმა ხარჭამ გააჩინა, მასვე ეყოლა მაქირი, გალაადის მამა. 15. მან ცოლად მოიყვანა ხუფიმი და შუფიმი. მის ერთ დას მაყაქა ერქვა, მეორეს ცელაფხადი. ცელაფხადს ასულები ჰყავდა. 16. მაყაქამ, მაქირის ცოლმა, ვაჟი გააჩინა და ფერეში დაარქვა. მის ძმას შარეში ერქვა. მისი ვაჟები იყვნენ ულამი და რაკამი. 17. ულამის ძე: ბედანი. აჰა, გალაადის, მაყაქა მენაშეს ძის ვაჟის ძენი. 18. მისმა დამ, ჰამოლეხეთმა შვა იშ-ჰოდი, აბიყეზერი და მახლა. 19. შემიდაიანები იყვნენ: ახიანი, შექემი, ლიკხი და ანიყამი. 20. ეფრემიანები: შუთალახი, მისი ძე ბერედი, მისი ძე თახათი, მისი ძე ელყადა, მისი ძე თახათი, 21. მისი ძე ზაბადი. მისი ძე შუთელახი, ყეზერი და ელყადი. ისინი იმ ქვეყნის მკვიდრმა გეთელებმა ამოხოცეს, რადგან ისინი საქონლის წასართმევლად დაესხნენ თავს. 22. დიდხანს გლოვობდა ეფრაიმი, მათი მამა. მის სანუგეშებლად მისი ძმები მოვიდნენ. 23. მიუდგა იგი თავის ცოლს, დაორსულდა და ბიჭი გაუჩნდა, სახელად ბერიყა დაარქვეს, რადგან მის

სახლში უბედურება დატრიალდა. 24. შეერა მისი და იყო. ააშენა მან ზემო და ქვემო ბეთ-ხორონი და უზენ-შეერა. 25. მისი ძე იყო რეფახი, რეშეფი, მისი ძე თელახი და მისი ძე თახანი, 26. მისი ძე ლაყდანი, მისი ძე ყამიჰუდი, მისი ძე ელიშამაყი, 27. მისი ძე ნონი, მისი ძე იესო. 28. მათი სამფლობელო და საცხოვრებელი იყო: ბეთ-ელი და მისი დაბა-სოფლები. აღმოსავლეთით ნაყარანი და დასავლეთით გეზერი თავისი დაბა-სოფლებით, შექემი თავისი დაბა-სოფლებით ლაზამდე და მის დაბ-სოფლებამდე. 29. მენაშეანთა ხელში იყო: ბეთ-შეანი თავისი დაბა-სოფლებით, თაყანი თავისი დაბა-სოფლებით, მეგიდო თავისი დაბა-სოფლებით. ამ ქალაქებში ცხოვრობდნენ იოსებ ისრაელის ძის ძეები. 30. აშერიანები: იმნა, იშვა, იშვი, ბერიყა და მათი და სერახი. 31. ბერიყიანები: ხებერი და მალქიელი — ბირზავითის მამა. 32. ხებერმა შვა იფლატი, შომერი, ხოთამი და მათი და შუყა. 33. იაფლეტიანები: ფასაქი, ბიმჰალი და ყაშვათი. ესენი არიან იაფლეტის ძენი. 34. შამარიანები: ახი, როჰგა, იეხუბა და არამი. 35. მისი ძმის, ჰელეგის ძენი; ცოფახი იმნაყი, შელეში და ყამალი. 36. ცოფახიანები: სუახი, ხარნეფერი, შუყალი, ბერი და იმრა. 37. ბეცერი და ჰოდი, შამა და შილშა, ითრანი და ბეერა. 38. იეთერიანები: იეფუნა, ფისფა და არაა. 39. ყულლიანები: არახი, ხანიელი და რიცია. 40. ყველა ესენი აშერიანები არიან, მამისახლთა თავკაცები, რჩეული და ძლიერი მებრძოლები, მთავართა თავკაცები. მათ საგვარტომო ნუსხაში რიცხვით ოცდაექვსი ათასი ომში მებრძოლი კაცია ჩეწერილი.

## თავი მერვე

1. ბენიამინმა შვა თავისი პირმშო ბელაყი, მეორე — აშბელი, მესამე — ახრახი, 2. მეოთხე — ნოხა, მეხუთე — რაფა. 3. ბალაყს ჰყავდა ძეები: ადდარი, გერა, აბიჰუდი, [illegible]ყი, ნაყამანი, ახოახი, 5. გერა, შეფუფანი, ხურამი. 6. ესენი არიან ახუდის ძენი — მამისსახლთა თავკაცები, რომელნიც გებაყში ცხოვრობდნენ და მანახათში გადაასახლეს. 7. ნაყამანი, ახია და გერა, რომელმაც გადაასახლა ისინი; მას შეეძინა ყუზა და ახიხუდი. 8. შახარაიმს მოაბის ველზე შეეძინა შვილები, მას შემდეგ, რაც ხუშიმი და ბაყარა, თავისი ცოლები, გაუშვა. 9. ხოდეშისგან, თავისი ცოლისგან მას შეეძინა: იობაბი, ციბია, მეშა, მალქამი, 10. იეყუცი, საქია და მირმა. ესენი არიან მამისსახლთა თავკაცები. 11. მეხუშიბმა შვა აბიტუბი და ელფაყალი. 12. ელფაყალიანები: ყებერი, მიშყამი, შემერი. მან ააშენა ონო და ლოდი თავისი დაბა-სოფლებით. 13. ბარიყა და შამაყი მამისსახლთა თავკაცები იყვნენ და აიალონში ცხოვრობდნენ, მათ განდევნეს გათელები. 14. ახიო, შაშიკი, ირემოთი, 15. ზებადია, ყარადი, ყადერი, 16. მიქაელი, იშფა იოხა-ბერიყას ძენი. 17. ზებადია, მეშულამი, ხიზკი, ხაბერი, 18. იშმერაი, იზიეა, იობაბი — ელფაყალის ძენი 19. იაკიმი, ზიქორი, ზაბდი, 20. ელეყაი, ცილთაი, ელიელი, 21. ყადაია, ბერაი, შიმრათი — შიმყის ძენი. 22. იშფანი, ყებერი, ელიელი, 23. ყაბდონი, ზიქრი, ხანანი, 24. ხანანია, ყელამი, ყანთოთია, 25. იფდეია, ფენუელი — შაშაკის ძენი. 26. შამშერაი, შეხარია, ყათალია, 27. იაყარეშია, ელია, ზიქური — იეროხამის ძენი. 28. ესენი არიან მამისსახლთა თავკაცები, თავკაცები თავთავიანთ გვარ-ტომთა. ესენი იერუსალიმში ცხოვრობდნენ. 29. გიბყონში ცხოვრობდნენ: გიბყონის მამა, რომლის ცოლსაც მაყაქა ერქვა, 30. მისი ძე და პირმშო ყაბდონი, ცური, კიში, ბაყალი, ნადაბი. 31. გედორი, ეხიო, ზაქერი. 32. მიკლოთმა შვა შიმეა. ისინი იერუსალიმში თავიანთი ძმების მოპირისპირე მხარეს ცხოვრობდნენ, ძმებთან ერთად. 33. ნერმა შვა კიში, კიშ-

მა შვა საული, საულმა შვა იონათანი, მალქიშუაყი, აბინადაბი და ეშბაყალი. 34. იონათანის ძე მერიბ-ბაყალი იყო, მერიბ-ბაყალმა შვა მიქა. 35. მიქას ძენი: ფითონი, მელექი, თარეაყი, ახაზი. 36. ახაზმა შვა იეჰოყადა, იეჰოყადამ შვა ყალემეთი, ყაზმავეთი და ზიმრი. ზიმრიმ შვა მოცა, 37. მოცამ შვა ბინყა. მისი ძე იყო რაფა, მისი ძე იყო ელყასა, მისი ძე იყო აცელი. 38. აცელს ექვსი ვაჟი ჰყავდა. აჰა, მათი სახელები: ყაზრიყამი, ბოქრუ, იშმაყელი, შეყარია, ყობადია და ხანანი. ყველა ესენი აცელის ძენი არიან. 39. მისი ძმის, ყეშეკის ძენი: მისი პირმშო ულამი, მეორე — იეყუში, მესამე — ელიფელეტი. 40. ულამის ძენი მაგარი ვაჟკაცები, მშვილდოსნები და ასორმოცდაათი შვილისა და შვილიშვილის პატრონები იყვნენ. ყველა ესენი ბენიამინიანთაგან იყვნენ.

## თავი მეცხრე

1. ყველა ისრაელიანი აღნუსხეს და ისრაელის მეფეთა წიგნში ჩაწერეს. იუდეველები კი ბაბილონს გაასახლეს, მათი უკეთურების გამო. 2. პირველი მკვიდრნი, თავიანთ სამფლობელოებსა და ქალაქებში რომ ცხოვრობდნენ, იყვნენ; ისრაელიანები, მღვდლები, ლევიანები, ნეთინელნი და ტაძარში მომსახურენი. 3. იერუსალიმში იუდას, ბენიამინის, ეფრემისა და მანაშეს ძეთაგან ცხოვრობდნენ. 4. ყუთაი, ძე ყამიჰუდისა, ძე ყამრისა, ძე იმრისა, ძე ბანისა, ფერეც იუდას ძის შვილთაგან; 5. შილონისგან იყვნენ: მისი პირმშო ყასაია და მისი ძენი: 6. ზერახიანთაგან: იეყუელი და მისი ძმები — ექვსას ოთხმოცდათნი; 7. ბენიამინიანთაგან: სალუ, ძე მეშელამისა, ჰოდავია ჰასენუას ძის ვაჟისა; 8. იბნა იეროხამის ძე, ელა, ძე ყუზისა, მიქრის ძისა, მეშელამი, ძე შაფატიასი, რეღუელ იბნიას ძის ვაჟისა. 9. მათი ძმები თავ-თავიანთი გვარ-ტომთა მიხედვით ცხრაას ორმოცდათექვსმეტნი იყვნენ — ყველა ეს ვაჟკაცი მამისსახლის თავკაცი იყო. 10. მღვდელთაგან იყვნენ: იედაყია. იეჰოიარიბი, იაქინი, 11. ყაზარია, ძე ხილკიასი, ძე მეშულამისა, ძე ცადოკისა, ძე მერაიოთისა, ძე ახიტუბისა — ღვთის სახლის წინამძღვარი; 12. ყადაია, ძე იეროხამისა, ძე ფაშხურისა, ძე მალქიასი, და მაყასაი ძე ყადიელისა, ძე იახზერასი, ძე მეშალამისა, ძე მეშილემითისა, ძე იძრისა. 13. მათი ძმები, მამისსახლთა თავკაცები, ათას შვიდას სამოცნი, ღვთის სახლის სამსახურის საქმეში ნაცადი ხალხი. 14. ლევიანთაგან: შემაყია ძე ხაშუბისა, ძე ყიზრიყასა, ძე ხაშაბიასი — მერარის ძეთაგან, 15. ბაკებარი, ხერეში, გალალი, მათანია ძე მიქასი, ძე ზაქრისა, ძე ასფისა, 16. ყობადია, შემაყია ძე გალალისა, ძე იედუთუნისა, ბერაქია ძე ასასი, ძე ელკანასი — ნეტოფათელთა დაბასოფლებში მცხოვრებნი. 17. კარიბჭის მცველნი: შალუმი, ყაკული, ტალმონი, ახიმანი და ძმანი მისნი. შალუმი თავკაცი იყო. 18. და დღემდე ის დგას სამეფო კარიბჭეში, აღმოსავლეთით. ესენი არიან კარისმცველნი ლევიანთა ბანაკიდან. 19. შალუმი ძე კორესი, ძისა აბიასაფისა, ძისა კორახისა, და მისი ძმები, მისი მამისსახლიდან, კორახელნი, სამსახურს ეწეოდნენ და კარვის ზღურბლებს იცავდნენ; ხოლო მათი მამები უფლის ბანაკთან მისასვლელს დარაჯობდნენ; 20. ფინხამ ელყაზარის ძე უწინ მათი წინამძღოლი იყო და უფალიც მასთან იყო. 21. ზექარია მეშელემელის ძე სადღესასწაულო კარვის კარის მცველი იყო. 22. ზღურბლების მცველებად ამორჩეულნი მთლიანად ორასთორმეტნი იყვნენ, ისინი საგვარტომო ნუსხაში თავ-თავიანთი დაბა-სოფლების მიხედვით არიან ჩაწერილნი. ისინი დავითმა და სამუელ მხილველმა დააყენეს ერთგულების გამო. 23. ისინი თავიანთ ძეებთან ერთად დარაჯობდნენ უფლის სახლის კარიბჭეებს, კარვის სახლს. 24. კარისცველები ოთხივ მხრივ იდგნენ:

აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. **25.** მათი ძმები თავიანთ დაბა-სოფლებში იყვნენ, რათა დრო და დრო შვიდი დღით მისულიყვნენ მათთან. **26.** რადგან ჭიშკრების მცველთა ის ოთხი მეთაური, რომლებიც ლევიანები იყვნენ, მუდამ ოთახებთან და ღვთის სახლის საგანძურებთან იდგნენ. **27.** ისინი ღვთის სახლის გარშემო ათევდნენ ღამეს, რადგან მათ ებარათ დაცვა და ყოველ დილით კარიბჭის გაღება. **28.** ერთ მათგანს სამსახურებელი ჭურჭელი ებარა, ვინაიდან თვლით შეჰქონდათ და თვლით გაჰქონდათ. **29.** მათგან სხვებს ჩაბარდათ ჭურჭლეული. ყველა წმიდა ჭურჭელი, გამტკიცული ფქვილი, ღვინო, ზეთი, გუნდრუკი და სურნელებანი. **30.** სამღვდელონი კი მირონს ამზადებდნენ ნელსაცხებლისგან. **31.** მათითიას, ლევიანთაგან ერთ-ერთს, შალუმ კორახელის პირმშოს ტაფებზე მომზადება მიენდო. **32.** ზოგიერთ მათ ძმათაგანს, კეჰათიანთაგან, საწირი პური ჩააბარეს, რათა შაბათობით მოემზადებინათ. **33.** ხოლო მგალობელნი, ლევიანთა მამისსახლთა თავკაცნი, ტაძრის ოთახებში საქმიანობისგან განთავისუფლებულნი იყვნენ. რადგან ისინი დღე და ღამ თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულნი. **34.** ესენი არიან ლევიანების მამისსახლთა თავკაცები, თავ-თავიანთ გვარ-ტომთა თავკაცები. ისინი იერუსალიმში ცხოვრობდნენ. **35.** გაბაონში ცხოვრობდნენ: გაბაონის მამა იეყიელი. მის ცოლს სახელად მაყაქა ერქვა. **36.** მისი ძე — პირმშო ყაბდონი, მერე ცური, კიში, ბაყალი, ნერი, ნედაბი, **37.** გედორი, ახიო, ზექარია და მიკლოთი. **38.** მიკლოთმა შვა შიმამი. ისინი თავიანთი ძმების მეზობლად, თავიანთ ძმებთან ერთად ცხოვრობდნენ იერუსალიმში. **39.** ნერმა შვა კიში, კიშმა შვა საული. საულმა შვა იონათანი, მალქიშუაყი, აბინადაბი და ეშბაყალი. **40.** იონათანის ძე იყო მერიბ-ბაყალი. მერიბ-ბაყალმა შვა მიქა. **41.** მიქას ძენი: ფითონი, მელექი და თახრეაყი. **42.** ახაზმა შვა იაყრა, იაყრამ შვა ყალემეთი, ყაზმავეთი და ზიმრი, ზიმრიმ შვა მოცა, **43.** მოცამ შვა ბინყა, მისი ძე რეფაია, მისი ძე ელყასა. მისი ძე აცელი. **44.** აცელს ექვსი ძე ჰყავდა. აჰა, მათი სახელები: ყიზრიკამი, ბოქრო, იშმაყელი, შეყარია, ყობადია, ხანანი. ესენი არიან აცალის ძენი.

## მეათე თავი

**1.** გაუმართეს ბრძოლა ფილისტიმელებმა ისრაელს და გაექცნენ ისრაელიანები ფილისტიმელებს. გილბოაყის მთაზე ეცემოდნენ დახოცილნი. **2.** მიეწივნენ ფილისტიმელები საულს და მის ვაჟებს და დახოცეს ფილისტიმელებმა იონათანი, აბინადაბი, და მალქიშუაყი — საულის შვილები. **3.** გაუძნელდა ბრძოლა საულს. ნიშანში ამოიღეს იგი მშვილდოსნებმა და მძიმედ დაჭრეს. **4.** უთხრა საულმა თავის საჭურვილთმტვირველს: რომ იშიშვლე მახვილი და გამიყარე, რომ იმ წინადაუცვეთელებმა არ შეურაცხმყონ. ვერ გაბედა საჭურველთმტვირთველმა, რადგან ძალიან ეშინოდა. მაშინ საულმა აიღო მახვილი და ზედ დაეგო. **5.** როცა დაინახა საჭურველთმტვირთველმა რომ მოკვდა საული, ისიც ზედ დაეგო მახვილს და მოკვდა. **6.** ერთად დაიხოცნენ საული, მისი სამი ვაჟიშვილი და მთელი მისი სახლი. **7.** როდესაც ველზე მყოფმა ისრაელიანებმა დაინახეს, რომ უკუიქნენ ისრაელიანები და რომ დაიხოცნენ საული და მისი ვაჟიშვილები, დააგდეს ქალაქები და გადაიხვეწნენ. მოვიდნენ ფილისტიმელები და ჩასახლდნენ იქ. **8.** მეორე დღეს მოვიდნენ ფილისტიმელები დახოცილთა გასაძარცვავად და, როცა ნახეს გილბოაყის მთაზე დაცემული საული და მისი ვაჟიშვილი, **9.** გაძარცვეს იგი, აიღეს მისი თავი და საჭურველი და მოატარეს ფილისტიმელთა ქვეყნის ირგვლივ, რა-

თა ეხარებინათ თავიანთი საკერპოებისთვის და ხალხისთვის. 10. მისი საჭურველი თავიანთი ღმერთის ტაძარში დადეს, ხოლო მისი თავის ქალა დაგონის სახლში მიაჭედეს. 11. როცა გაიგეს გალაადის იაბეშელებმა, როგორ მოექცნენ ფილისტიმელნი საულს, 12. ადგა ყველა, ვინც ვაჟკაცი იყო, წამოიღეს საულისა და მისი ვაჟიშვილების გვამები, მოიტანეს იაბეშში და დამარხეს მათი ძვლები იაბეშში მუხის ქვეშ. მერე შვიდი დღის მანძილზე მარხულობდნენ. 13. მოკვდა საული თავისი ორგულობის გამო, რადგან ღალატობდა იგი უფალს, უფლის სიტყვას არ იცავდა და გამოსაკითხად მესულთანეს მიმართავდა. 14. უფალს არ ეკითხებოდა. ამიტომ მოკლა იგი უფალმა და მისი სამეფო დავითს, იესეს ძეს მისცა.

## თავი მეთერთმეტე

1. მოვიდნენ ისრაელიანები დავითთან ხებრონს და უთხრეს: აჰა, შენი ძვალი და ხორცი ვართ. 2. გუშინაც და იმის უწინაც, როცა საული მეფობდა, შენ მიგყავდა და მოგყავდა ისრაელი. უფალმა, შენმა ღმერთმა გითხრა: შენ დამწყემსავ ჩემს ერს ისრაელს, შენ იქნები ჩემი ერის ისრაელის მთავარი. 3. მოვიდა ისრაელის მთელი უხუცესობა მეფესთან ხებრონს და შეჰკრა დავითმა მათთან კავშირი ხებრონში უფლის წინაშე და სცხეს ისრაელის მეფედ დავითი უფლის სიტყვის თანახმად, სამუელის ხელით. 4. გაილაშქრეს დავითმა და ისრაელიანებმა იერუსალიმისკენ, ანუ იებუსისკენ. იქ იყვნენ იებუსელნი, იმ ქვეყნის მკვიდრნი. 5. უთხრეს იებუსის მკვიდრებმა დავითს: აქ ვერ შემოხვალო. მაგრამ აიღო დავითმა სიონის ციხე-სიმაგრე. ეს არის დავითის ქალაქი. 6. თქვა დავითმა: ვინც ყველაზე უწინ შემუსრავს იებუსელთ, ის გახდება თავკაცი და სარდალი. ყველაზე უწინ იოაბ ცერუიას ძე ავიდა და გახდა სარდალი. 7. დადგა დავითი ციხე-სიმაგრეში, ამიტომ უწოდეს მას დავითის ქალაქი. 8. მან შემოაშენა ქალაქი გარშემო, მილოდან შემოგარენამდე. იოაბმა კი ძველი ქალაქი აღადგინა. 9. სულ მაღლა და მაღლა მიდიოდა დავითი და ცაბაოთ უფალი მასთან იყო. 10. აჰა, დავითის მოყმეთა მთავარნი, რომელნიც მხარს უმაგრებდნენ მას, მის სამეფოში, ისრაელთან ერთად. მის გასამეფებლად უფლის სიტყვისამებრ. 11. აჰა, დავითის მოყმეთა რიცხვი: იაშაბყამ ხაქმონის ძე, ოცდაათეულის თავკაცი. მან თავისი შუბის ერთი მოქნევით სამასი კაცი მოკლა. 12. მას შემდეგ ელიაზარი ძე დოდოსი, ახოხელი, ერთ-ერთი იმ სამ მოყმეთაგანი. 13. იგი დავითს ახლდა ფას-დამიმში, სადაც ფილისტიმელნი საომრად შეიყარნენ (იყო იქ ყანის ნაკვეთი, სადაც ქერი ეთესა) და უკუიქცა ხალხი ფილისტიმელთაგან. 14. ისინი ჩადგნენ შუა ყანაში, დაიცვეს იგი და მუსრი გაავლეს ფილისტიმელებს. დიდი ხსნა მოუტანა მათ მაშინ უფალმა. 15. ოცდაათი თავკაციდან ეს სამნი ავიდნენ კლდეზე დავითთან, ყადულამის გამოქვაბულში. ხოლო ფილისტიმელთა ურდო რეფაიმის ველზე იყო დაბანაკებული. 16. მაშინ დავითი საფარში იყო, ხოლო ფილისტიმელთა ყარაული ბეთლემში იდგა. 17. ინება დავითმა და თქვა: ვინ შემასმევს ბეთლემის ჭის წყალს, კარიბჭესთან რომ არის? 18. გაარღვია ამ სამმა ფილისტიმელთა ბანაკი, ამოიღეს წყალი ბეთლემის ჭიდან, კარიბჭესთან რომ არის, წამოიღეს და დავითს მოუტანეს. მაგრამ არ ინდომა დავითმა მისი შესმა და უფალს დაუღვარა. 19. თქვა: შორს იყო ჩემგან, უფალო, ასეთი საქმე! ნუმც შემესვას ამ ვაჟკაცთა სისხლი, თავის გასაწირად რომ წავიდნენ! აღარ ინდომა დავითმა წყლის შესმა. ასე მოიქცა ეს სამი მოყმე. 20. აბშაი, იოაბის ძმა, ამ სამის უფროსი იყო. მან სამას კაცს მოუქნია შუბი და განგმირა. მას მეტი სახელი ჰქონდა ამ სამში. 21. ამ სამზე მეტად იყო პატივდებული და

მათ მეთაურობდა, მაგრამ იმ პირველ სამს ვერ უტოლდებოდა. **22.** ბენაია იეჰოადაყის ძე მაგარი ვაჟკაცი იყო, დიდ საქმეთა მქმნელი, კაბცეელიდან. მან დაამარცხა ორი მოაბელი ლომკაცი, ჩავიდა ორმოში და მოკლა ლომი თოვლიან დღეს. **23.** მანვე მოკლა ეგვიპტელი კაცი, ხუთი წყრთის სიმაღლისა: შუბი ისე ეჭირა ეგვიპტელს ხელში, როგორც ფეიქარს საქსელავი. ჩაუხტა კეტით, ხელიდან გამოსტაცა ეგვიპტელს შუბი და მისივე შუბით განგმირა. **24.** ეს გააკეთა ბენაია იეჰოადაყის ძემ და სახელი მოიხვეჭა სამ მოყმეს შორის. **25.** ოცდაათისგან გამოირჩეოდა, მაგრამ იმ სამს ვერ უტოლდებოდა. თავის მცველთა მეთაურად დანიშნა იგი დავითმა. **26.** მებრძოლთა მეთაურნი იყვნენ: ყასაელი, იოაბის ძმა, ელხანან დოდოს ძე, ბეთლემელი, **27.** შამოთ ჰაროლელი, ხელეც ფელონელი, **28.** ყირა ყიკეშის ძე, თეკოაყელი, აბიყეზერ ყანათოთელი, **29.** სიბქაი ხუშათიელი, ყილაი ახოხიელი, **30.** მაჰარაი ნეტოფათელი, ხელედ ბაყანას ძე, ნეტოფათელი, **31.** ითაი რიბაის ძე, ბენიამინის გიბყადან, ბენაია ფირყათონელი, **32.** ხურაი ნახალე-გაყასელი, აბიელ ყარბათელი, **33.** ყაზმავეთ ბახარუმელი, ელიახბა შაყალბონელი, **34.** ჰაშემ გიზონელის ძენი: იონათან შაგეს ძე, ჰარარელი, **35.** ახიამ საქარის ძე, ჰარარელი, ელიფალ ურის ძე, **36.** ხეფერ მექერათელი, ახია ფელონელი, **37.** ხეცრო ქარმელელი, ნაყარაი ეზბაის ძე, **38.** იოელი, ნათანის ძმა, მიბხარ გერის ძე, **39.** ცელეკ ყამონელი, ნახრაი ბეროთელი, იოაბ ცერუიას ძის საჭურველთმტვირთველი, **40.** ყირა ითრელი, გარებ ითრელი, **41.** ურია ხითელი, ზაბად ახლაის ძე, **42.** ყადინა შიზას ძე, რეუბენელი, რეუბენიანთა თავკაცი და ოცდაათი მასთან ერთად. **43.** ხანან მაყაქას ძე, იოშაფატ მითნელი, **44.** ყუზია ყაშთერათელი, შამაყი და იეთიელი— ხოთამის ძენი, ყაროყერელნი. **45.** იედიყაელ შიმრის ძე, მისი ძმა იოხა თიცელი, **46.** ელიელ მახაველი, ირიბაი, იოშავია — ელნაყარის ძენი და ითმა მოაბელი. **47.** ელიელი, ყობედ და იაყასიელ მეცობაიელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეთორმეტე

**1.** აჰა ისინი, ციკლაგში რომ მივიდნენ დავითთან, როცა იგი ჯერ კიდევ საულ კიშის ძეს ემალებოდა. ისინი ომში შემწე მოყმეთა შორის იყვნენ. **2.** მშვილდისრით შეიარაღებულნი, მარჯვენა-მარცხენით ქვითა და მშვილდისრის მსროლელნი, საულის ძმათაგანნი, ბენიამინიდან. **3.** მეთაური ახიყეზერი და იოაში — შემაყა გიბყათელის ძენი, იზიელი და ფელეტი — ყაზმავეთის ძენი, ბერაქა და იეჰუ ყანათოთელნი, **4.** იშმაყია გაბაონელი, ერთ-ერთი მოყმე ოცდაათში და ოცდაათის მეთაური, იერემია, იახაზიელი, იოხანანი იოზაბედ გედერათელი, **5.** ელყუზაი, ირიმოთი, ბეყალია, შემარიაჰუ, შეფატიაჰუ ხარუფელი, **6.** ელკანა, იშიაჰუ, ყაზარელი, იოყეზერი, იაშაბყამი — კორახელნი, **7.** იოყელა და ზებადია — იეროხამ გედორელის ძენი. **8.** გადელებს ჩამოშორდნენ და დავითთან უდაბნოს საფარში მივიდნენ მამაცი მოყმენი, საომრად გაწვრთნილი ვაჟკაცები. ფარშუბით შეიარაღებულნი, სახით ლომის მსგავსნი და მთის არჩვივით სწრაფნი. **9.** მეთაური ყეზერი, მეორე — ყობადია, მესამე — ელიაბი, **10.** მეოთხე — მიშმანა, მეხუთე — იერემია, **11.** მეექვსე — ყათაი, მეშვიდე — ელიელი, **12.** მერვე — იოხანანი, მეცხრე — ალზაბადი, **13.** მეათე — იერემიაჰუ, მეთერთმეტე — მაქბანაი. **14.** ესენი იყვნენ გადის ძეთაგანნი, მხედრობის მეთაურნი. ყველაზე ნაკლები ერთი ასს უმკლავდებოდა და ყველაზე დიდი — ათასს. **15.** მათ პირველ თვეში გადალახეს იორდანე, როდესაც ადიდებული მდინარე ნაპირებიდან გადმოდიოდა. მათ აღმოსავლეთითა და

დასავლეთით განდევნეს ამ ველის მკვიდრნი. **16.** ბენიამინისა და იუდას ძეთაგანაც მოვიდნენ დავითთან საფარში. **17.** გამოეგება მათ დავითი, გამოელაპარაკა და უთხრა: თუ სამშვიდობოდ და დამხმარედ მოსულხართ ჩემთან, გიერთგულებთ. თუ იმისთვის მოხვედით, რომ ჩემი მტრის ხელში მზაკვრულად მიმცეთ, აჰა, ჩემი ხელი სუფთაა, დაე, ჩვენი მამა-პაპის ღმერთმა იხილოს ეს და განსაჯოს. **18.** მაშინ სულმა მოიცვა ყამასაი, ოცდაათის მეთაური, და თქვა: მშვიდობა შენდა, დავით, იესეს ძეო, მშვიდობა შენ და მშვიდობა შენს შემწეთ, რადგან ღმერთია შენი შემწე. მიიღო ისინი დავითმა და რაზმის მეთაურობა ჩააბარა. **19.** მენაშესგანაც მიემხრნენ დავითს, როდესაც იგი ფილისტიმელებით მიდიოდა საულთან საომრად, მაგრამ არ მიხმარებიან ისინი, რადგან ფილისტიმელთა მთავრები შეითქვნენ და უკან გამობრუნეს დავითი, თქვეს: ჩვენდა საზიანოდ თავის ბატონს საულს მიემხრობაო. **20.** როდესაც ციკლაგს მივიდა, მენაშესგან შეუერთდნენ: ყადნახი, იოზაბადი, იდიყაელი, მიქაელი, იოზაბადი, იდიყაელი, მიქაელი, იოზაბადი, ელიაჰუ, ცილათი — მენაშელთა ასისთავები. **21.** ისინი ეხმარებოდნენ დავითს ურდოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. რადგან ყველანი მამაცი მოყმენი და ჯარის მეთაურები იყვნენ. **22.** დღიდან დღემდე მიედინებოდნენ დავითთან და ეხმარებოდნენ, ვიდრე მისი ლაშქარი ღვთის მხედრობასავით არ გაიზარდა. **23.** აჰა, რიცხვი საომრად აღკაზმული იმ მეთაურებისა, რომელნიც დავითთან ხებრონში მივიდნენ, რათა უფლის სიტყვისამებრ, საულის სამეფო გადაეცათ მისთვის. **25.** იუდიანები, ფარ-შუბის მტვირთველნი, ექვსიათას რვაასნი იყვნენ, საომრად აღჭურვილნი. **25.** სიმონიანთაგან შვიდიათას ასი მამაცი მოყმე იყო. **26.** ლევიანთაგან — ოთხიათას ექვსასი. **27.** ხოლო იეჰოიადაყს, აარონელთა წინამძღოლს, თან სამიათას შვიდასი ახლდა. **28.** ცადოკს, მამაც ყმაწვილს და მის მამისსახლს, ოცდაორი მეთაური შეემატა. **29.** საულის ძმები ბენიამინიანთაგან სამიათასნი იყვნენ. მათგან დიდი წილი საულის სახლში დარჩა. **30.** ეფრემიანები ოციათას რვაასნი იყვნენ — მამაცი მოყმენი და თავ-თავიანთ მამისსახლთა სახელოვანი ვაჟკაცები. **31.** მენაშეს ნახევარტომიდან თვრამეტი ათასნი იყვნენ. რომელნიც სახელებით გამოიხმეს, რათა დავითის გასამეფებლად მოსულიყვნენ. **32.** ისაქარიანთაგან, ორასი მეთაური იყო. რომელთაც იცოდნენ დრო-ჟამთა გულისხმისყოფა და უწყობდნენ, თუ რა უნდა გაეკეთებინა ისრაელს. ყველა მათი ძმა მათი დარიგებით იქცეოდა. **33.** ზებულუნიდან საბრძოლველად გამოდიოდნენ და საომრად იყვნენ დარაზმული ყველანაირი საბრძოლო აღჭურვილობით ორმოცდათი ათასნი, რათა უორგულოდ დახმარებოდნენ. **34.** ნაფთალიდან ათასი სარდალი იყო, ოცდაჩვიდმეტი ათასი ფარ-შუბოსნის თანხლებით. **35.** დანიდან იყვნენ ოცდარვაათას ექვსასნი, საომრად დარაზმულნი. **36.** აშერიდან საბრძოლველად ორმოცი ათასი საომრად დარაზმული გამოდიოდა. **37.** იორდანეს გაღმა მხრიდან გამოდიოდნენ: რეუბენიანელთაგანნი, გადელნი, მენაშეს ნახევარტომელნი ყველანაირი საბრძოლო საჭურველით, სულ ასოცი ათასნი. **38.** ყველა ეს მებრძოლი ვაჟკაცი მწყობრად დარაზმული, წრფელი გულით მოვიდა ხებრონში დავითის გასამეფებლად მთელს ისრაელზე. ასევე მთელი დანარჩენი ისრაელი ერთსულოვანი იყო დავითის გასამეფებლად. **39.** სამ დღეს დარჩნენ ისინი იქ. ჭამდნენ და სვამდნენ, რადგან მათ ძმებს ყველაფერი მოემზადებინათ მათთვის. **40.** ასევე მათ მეზობლებს, ისაქარის, ზებულუნისა და ნაფთალის ტომებიდანაც კი მოჰქონდათ ვირებით, აქლემებით, ჯორებითა და ხარებით სურსათ-სანოვაგე: ფქვილეული, ლეღვი, ჩირი, ღვინო, ზეთი,

უამრავი ხარ-ძროხა და ცხვარი. ეს იმიტომ, რომ სიხარული იყო ისრაელში.

## თავი მეცამეტე

1. ეთათბირა დავითი ათასისთავებს, ასისთავებს და წინამძღოლებს. 2. უთხრა დავითმა ისრაელის მთელ კრებულს: თუ თქვენ თანახმა იქნებით და თუ ეს უფლის, ჩვენი ღვთის ნება იქნება, ხალხი გავუგზავნოთ ისრაელის ყველა მხარეში ჩვენს ძმებს, მღვდლებს, ლევიანებს მათ შემოგარენ ქალაქებში, რათა შემოგვიერთდნენ, 3. და ჩვენთან გადმოვაბრძანოთ ჩვენი ღვთის კიდობანი, რადგან საულის დროს მისთვის არ მიგვიმართავს. 4. მიუგო მთელმა კრებულმა: ასე იყოს, ვინაიდან ეს საქმე მოსაწონია ხალხის თვალში. 5. შეყარა დავითმა მთელი ისრაელი, ეგვიპტის შიხორიდან ხამათის მისადგომამდე, კირიათ-იეყარიმიდან ღვთის კიდობნის გადმოსაბრძანებლად. 6. ავიდა დავითი და მთელი ისრაელი ბაყალთაში, კირიათ-იეყარიმში, იუდას რომ ეკუთვნის, რათა იქიდან წამოებრძანებინათ კიდობანი ღვთისა, ქერუბიმებზე მჯდომარე უფლისა, რომელიც ამ სახელით იწოდება. 7. შედგეს ღვთის კიდობანი ახალ ურემზე და წამოაბრძანეს აბინადაბის სახლიდან. ურემს ყუზა და ახიო მიჰყვებოდნენ. 8. დავითი და მასთან ერთად მთელი ისრაელი როკავდა ღვთის წინაშე მთელი ძალ-ღონით. მღეროდნენ და უკრავდნენ ქნარებს, ბობღნებს, დაფდაფებს სანგებსა და წინწილებს. 9. როცა ქიდონის კალოსთან მივიდნენ, ყუზამ ხელი შეაშველა კიდობანს, რადგან კინაღამ გადმოაგდეს ხარებმა. 10. აენთო უფლის რისხვა ყუზაზე და იქვე დასცა იგი ღმერთმა კიდობანზე ხელის წაშველების გამო, და იქვე მოკვდა ღვთის წინაშე. 11. შეწუხდა დავითი, რომ დალუპა უფალმა ყუზა, და დღემდე იმ ადგილს ეწოდება ფერეც-ყუზა (ყუზას დალუპვა). 12. შეეშინდა დავითს ღვთისა იმ დღეს და თქვა: როგორ მოვა ჩემამდე ღვთის კიდობანი? 13. არ ინდომა დავითმა უფლის კიდობნის თავისთან მიტანა დავითის ქალაქში და გეთელი ყობედ-ედომის კარმიდამოსკენ გადაახვევინა. 14. სამ თვეს ესვენა ღვთის კიდობანი გეთელი ყობედ-ედომის კარმიდამოში და აკურთხა უფალმა ყობედ-ედომის კარმიდამო და მთელი მისი საბადებელი.

## თავი მეთოთხმეტე

1. გამოუგზავნა ხირამმა, სიდონის მეფემ დავითს მოციქულები და ფიჭვის ძელები, კედლის მშენებლები, ხუროები მისთვის სახლის ასაშენებლად. 2. მიხვდა დავითი, რომ მტკიცედ ჰყავდა დადგენილი იგი უფალს ისრაელის მეფედ და რომ ალამაღლა მისი სამეფო თავისი ერის, ისრაელის გამო. 3. კიდევ მოიყვანა დავითმა იერუსალიმში ცოლები და კიდევ შეეძინა დავითს ვაჟები და ასულები. 4. აჰა, იმათი სახელები, რომელნიც იერუსალიმში შეეძინა: შამუაყი, შობაბი, ნათანი, სოლომონი, 5. იბხარი, ელიშუაყი, ელფალეტი, 6. ნოგაჰი, გეფეგი, იაფიაყი, 7. ელიშამაყი, ბეყელიადაყი, ელიფალეტი. 8. შეიტყვეს ფილისტიმელებმა, რომ მთელი ისრაელის მეფედ აკურთხეს დავითი და დაიძრნენ ფილისტიმელნი დავითის შესაპყრობად. შეიტყო ეს დავითმა და გამოვიდა მათ წინაშე. 9. მოვიდნენ ფილისტიმელები და რეფაიმის ველზე გაიშალნენ. 10. დავითი ღმერთს დაეკითხა: გავილაშქრო ფილისტიმელებზე? ჩამიგდებ მათ ხელში? მიუგო მას უფალმა: გაილაშქრე, რადგან ხელში ჩაგიგდებ ფილისტიმელებს. 11. ავიდნენ ბაყალ-ფერაციმში და იქ სძლია დავითმა და თქვა: წალეკა უფალმა ჩემი მტრები ჩემივე ხელით, როგორც წყალი წალეკავს ხოლმე. ამიტომ ეწოდა იმ ადგილს ბაყალ-ფერაციმი. 12. იქ მიატოვეს მათ თავიანთი კერპები. დავითმა ბრძანა და ცეცხ-

ლში დაწვეს ისინი. 13. კვლავ გამოილაშქრეს ფილისტიმელნი და ველზე გაიშალნენ. 14. კვლავ დაეკითხა დავითი ღმერთს. მიუგო ღმერთმა: უკან ნუ გაეკიდები, გარს მოუარე და თუთების მხრიდან მიადექი. 15. როგორც კი თუთების კენწეროებიდან შრიალის ხმა შემოგესმება, იმ წამსვე შეიმართე საომრად, რადგან შენს წაგიძღვება ღმერთი ფილისტიმელთა ბანაკის შესამუსვრელად. 16. ისე მოიქცა დავითი, როგორც ღმერთმა დაარიგა, და გიბყონიდან გაზრამდე მუსრი დაავლო ფილისტიმელთა ურდოს. 17. დავითმა მთელ ქვეყანაზე გაითქვა სახელი და უფალმა მისი შიში მისცა ყველა ხალხს.

### თავი მეთხუთმეტე

1. აიშენა მან სახლები დავითის ქალაქში. ადგილი მოამზადა ღვთის კიდობნისთვის და კარავი გაშალა. 2. მაშინ თქვა დავითმა: ლევიანთა გარდა არავინ ატაროს კიდობანი, რადგან ისინი ამოირჩია უფალმა ღვთის კიდობნის სატარებლად და სამარადისო მსახურებად. 3. შეყარა დავითმა მთელი ისრაელი იერუსალიმში, რომ დაებრძანებინათ უფლის კიდობანი იმ ადგილზე, რომელიც მისთვის იყო გამზადებული. 4. შეყარა დავითმა აარონიანები და ლევიანები. 5. კეჰათიანთაგან: სარდალი ურიელი და მისი მოძმენი — ასოცი კაცი. 6. მერარიანთაგან: სარდალი ყასაია და მისი მოძმენი — ორასოცი კაცი. 7. გერშონიანთაგან: სარდალი ყასაია და მისი მოძმენი — ორასოცი კაცი. 7. გერშონიანთაგან: სარდალი იოელი და მისი ძმები — ასოცდაათი კაცი. 8. ელიცაფანიანთაგან: სარდალი, შემაყია და მისი ძმანი—ორასნი. 9. ხებრონიანთაგან: სარდალი ელიელი და მისი ძმანი — ოთხმოცი. 10. ყუზიელთანთაგან: სარდალი ყამინდაბი და მისი ძმანი — ას თორმეტნი. 11. მოუხმო დავითმა ცადოკსა და აბიათარს, მღვდლებსა და ლევიანებს: ურიელს ყასაიას, იოელს, შემაიას, ელიელს, ყამინადაბს 12. უთხრა მათ: თქვენა ხართ ლევიანთა მამისსახლების თავკაცები. განიწმიდენით თქვენ და თქვენი ძმანი და დაასვენეთ უფლის, ისრაელის ღვთის, კიდობანი მისთვის მომზადებულ ადგილას. 13. რაკი უწინ ამას არ ასრულებდით, უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, შეგვმუსრა, რადგან წესისამებრ არ ვეკითხებოდით მას. 14. განიწმიდნენ მღვდლები და ლევიანები, რათა აეწიათ უფლის, ისრაელის ღვთის კიდობანი. 15. ასწიეს ლევიანებმა ღვთის კიდობანი და, როგორც მოსეს ჰქონდა ნაბრძანები უფლის სიტყვისამებრ, კეტებით მხრებზე შეიდგეს. 16. დავითმა ლევიანთა მთავრებს უბრძანა, რომ მათი ძმები დაეყენებინათ მგალობლებად საკრავი იარაღებით, ბობღნებით, ქნარებით, წინწილებით, რათა სიხარულის ხმები გამოეცათ. 17. ლევიანებმა დააყენეს: ჰიმან იოელის ძე, მის ძმათაგან ასაფ ბერექიაჰუს ძე, ხოლო მათი ძმების — მერარის ძეთაგან ეთან კუშიაჰუს ძე. 18. მათთან ერთად მათი ძმანი, მეორეხარისხიანი: ზაქარიაჰუ, ბენი, იაყაზიელი, შემირამოთი, იეხიელი, ყუზი, ელიაბი, ბენიაჰუ, მაყასიაჰუ, მათითიაჰუ, ელიფელეჰუ, მიკნეჰუ, ყობედ-ედომი, იეყიელი — კარისმცველნი. 19. მგალობენი: ჰემანი, ასაფი და ეთანი სპილენძის წინწილებს ახმიანებდნენ. 20. ხოლო ზაქარია, ყაზიელი, შემირამოთი, იეხიელი, ყუნი, ელიაბი, მაყასიაჰუ და ბენიაჰუ ქნარს ქალწულურ ჰანგზე. 21 მათითიაჰუ, ელიფელეჰუ, მიკნეიაჰუ, ყობედ-ედომი, იეყიელი, ყაზაზიაჰუ ებნებს, რვასიმიანს, სალოტბაროდ. 22. ქენანიაჰუ, ლევიანთა მთავარი, სახიობის ხელმძღვანელად განაწესეს, ვინაიდან მცოდნე იყო. 23. ბერექია და ელკანა კიდობნის კარისმცველები იყვნენ. 24. მღვდლები შებანიაჰუ, იოშაფატი, ნეთანელი, ყამასაი, ზაქარიაჰუ, ბენიაჰუ და, ელიყაზარი საყვირს უკრავდ-

ნენ ღვთის კიდობნის წინაშე. ყობედ-ედომი და იხია კი კიდობნის კარისმცველნი იყვნენ. 25. და გაემართნენ დავითი, ისრაელის უხუცესობა და ათასისთავები სიხარულით უფლის აღთქმის კიდობნის წამოსაბრძანებლად ყობედ-ედომის კარ-მიდამოდან. 26. ღვთის შეწევნით იყო რომ გადააბრძანეს ლევიანებმა უფლის აღთქმის კიდობანი და შვიდი ხარი და შვიდი ცხვარი შესწირეს 27. დავითს ბისონის მოსასხამი ემოსა, ასევე ყველა ლევიანს. კიდობანს რომ მიაბრძანებდნენ, მგალობლებს და ქენანიას, მგალობელთა ლოტბარს. დავითს ამასთან ერთად სელის ეფოდიც ემოსა. 28. მთელი ისრაელი მიაცილებდა უფლის აღთქმის კიდობანს ყიჟინით, ბუკის ცემით, საყვირების, წინწილების, ბობღნებისა და ქნარების დაკვრით. 29. როცა უფლის კიდობანმა დავითის ქალაქს მიაღწია, სარკმლიდან გამოიხედა საულის ასულმა მიქალმა და დაინახა მოხტუნავე და მროკველი მეფე დავითი და დასცინა მას თავის გულში.

## თავი მეთექვსმეტე

1. მოაბრძანეს უფლის კიდობანი და დაასვენეს შუაგულ კარავში, რომელიც მისთვის ჰქონდა დავითს გაშლილი. მერე კი აღსავლენი და სამადლობელი მსხვერპლი შესწირეს ღმერთს. 2. შოამთავრა დავითმა აღსავლენი და სამშვიდობო მსხვერპლის შეწირვა და უფლის სახელით დალოცა ერი. 3. ჩამოურიგა მთელ ერს, ისრაელის მთელ ერს, ისრაელის მთელ კრებულს, კაცსა და ქალს, თითო პურის კვერი, თითო ხორცის წილობი და თითო ქადა. 4. დააყენა ლევიანები უფლის კიდობნის წინაშე სამსახურის გასაწევად, რათა მოეხსენებინათ, ედიდებინათ და ექოთ უფალი, ღმერთი ისრაელისა. 5. ასაფი მათი მეთაური იყო, ზაქარია — მისი მომდევნონი იეყიელი, შემირამოთი, იეჰიელი. მათითია, ელიაბი, ბენიაჰუ, ყობედ-ედომი და იეყიელი ბობღნებსა და ქნარებზე იყვნენ. ხოლო ასაფი წინწილების დამკვრელი იყო. 6. მღვდლები: ბენიაჰუ და იახაზიელი და საყვირებით მუდამ უფლის აღთქმის კიდობნის წინ იდგნენ. 7. იმ დღეს, მაშინ შეასხა დავითმა პირველად ქება უფალს ასაფისა და მისი ძმების ხელით: 8. ადიდეთ უფალი, მოუხმეთ მის სახელს, აუწყეთ ხალხებს საქმენი მისნი. 9. უმღერეთ მას, უგალობეთ მას, ილაპარაკეთ ყველა მის სასწაულზე. 10. დაიკვეხნეთ მისი წმიდა სახელით, გამხიარულდეს გული უფლის მეძიებელთა. 17. ეძიეთ უფალი და ძლიერება მისი, ეძიეთ პირი მისი მარადის. 12. გაიხსენეთ მისი ნამოქმედარი სასწაულები, საოცრებანი და მისი ბაგის სამართალნი. 13. შთამომავალნო აბრაამისა — მისი რჩეულისა, ძენო იაკობისა, რჩეულნო მისნო. 14. ის არის უფალი, ღმერთი ჩვენი. მთელ ქვეყნიერებაზეა სამართალნი მისნი. 15. ახსოვს მარადის აღთქმა თვისი, სიტყვა, რომელიც ბრძანა ათასი თაობისთვის, 16. რომელიც დაუდო აბრაამს, და თავისი ფიცი ისააკთან. 17. და დაუდგინა იაკობს იგი წესად და ისრაელს — სამარადჟამო აღთქმად. 18. უთხრა: შენ მოგცემ ქანაანის ქვეყანას წილად თქვენი მემკვიდრეობისა. 19. როცა ისინი თითზე ჩამოსათვლელნი, ცოტანი და შეხიზნულნი იქ, 20. იარებოდნენ ერთი ხალხიდან მეორესთან, სამეფოდან — სხვა ერთან. 21. არავის ანებებდა მათს დაჩაგვრას და მიუთითა მათზე მეფეებს: 22. არ შეეხოთ ჩემს ცხებულებს და ჩემს წინასწარმეტყველებს არ უბოროტოთ. 23. უგალობე უფალს, მთელო ქვეყნიერებავ! ამახარობლეთ დღითიდღე ხმა მისმიერი. 24. მოუთხრეთ ხალხებს მისი ღირსება, ყოველ ერს მისი სასწაულები. 25. რადგან დიდია უფალი და ღირსსაქებარი მეტად, ყველა ღმერთზე საშიშია ის. 26. რადგან ხალხთა ყველა ღმერთი კერპებია, ხოლო უფალმა ცანი შეჰქმნა. 27. მშვენიერება და

ბრწყინვალებაა მის წინაშე, სიძლიერე და მომხიბლაობა — მის ტაძარში. 28. შესწირეთ უფალს, ტომებო ხალხთა, შესწირეთ უფალს ქება და დიდება. 29. შესწირეთ უფალს ქება მისი სახელისა. წაუღეთ ძღვენი და მიდით მის ეზოებში. 30. ათრთოლდი მის წინაშე, მთელო ქვეყნიერებავ! ამიტომ მტკიცეა სამყარო, არ შეირყევა. 31. გამხიარულდებიან ცანი და მოილხენს ქვეყანა. უთხარით ხალხებს: უფალი მეფობს! 32. იხმაურებს ზღვა და სავსება მისი. გაიხარებს ველი და ყოველი, რაც მასზეა, 33. მაშინ იზეიმებენ ყოველნი ხენი ტევრისანი, რადგან მოვა ქვეყნიერების განსასჯელად. 34. აქეთ უფალი, რადგან კეთილია იგი. რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. 35. და თქვით: გვიხსენი, ჩვენი ხსნის ღმერთო, შეგვკრიბე და დაგვიცავ ხალხებისგან, რათა ვადიდოთ შენი წმიდა სახელი, დავიქადნო შენი ქება-დიდებით. 36. კურთხეულ არს უფალი, ღმერთი ისრაელისა უკუნითი უკუნისამდე. და მიუგო ერმა: ამენ! ქება უფალს! 37. დავითმა უფლის აღთქმის კიდობნის წინაშე დატოვა ასაფი და მისი ძმები, რათა კიდობნის წინაშე სამსახური გაეწიათ მუდამ, ყოველდღიურად. 38. და ყობედ-ედომი და მისი ძმები — სამოცდარვანი. ყობედ-ედომ იედითუნის ძე და ხოსა კი კარისმცველებად, 39. მღვდელი ცადოკი და მისი მღვდელმსახური ძმები უფლის სავანის წინ, გაბაონში რონ ბორცვია, იქ დააყენა. 40. რომ მუდამ, დილა-საღამოობით აღსავლენი აღევლინათ უფლისათვის აღსავლენის სამსხვერპლოზე და რომ ყოველივე შეესრულებინათ, რაც უფლის რჯულში სწერია და რაც მან დაუწესა ისრაელს. 41. მათთან იყვნენ: ჰემანი, იდუთუნი და სხვა რჩეულნი, რომელნიც სახელებით იყვნენ დადგენილნი, რათა ექოთ უფლის სახელი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი. 42. მათთან ერთად ჰემანი და იდუთუნი საყვირებით, წინწილებითა და საკრავებით ღვთის მგალობლებად იყვნენ დადგენილნი, იდუთენის ძენი კი კარიბჭესთან. 43. ყველანი თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. და დავითიც თავისი სახლის დასალოცად გაბრუნდა.

## თავი მეჩვიდმეტე

1. როგორც კი დავითი თავის სახლში დამკვიდრდა, უთხრა ნათან წინასწარმეტყველს: შეხედე, მე ნაძვის სახლში ვცხოვრობ, უფლის აღთქმის კიდობანი კი ჩარდახქვეშ არის. 2. უთხრა ნათანმა დავითს: გააკეთე, რაც გულში გაქვს, რადგან შენთანაა უფალი. 3. იმ ღამეს იყო, რომ ჩაესმა ნათანს უფლის სიტყვა: 4. წადი და უთხარი ჩემს მსახურს დავითს, ასე ამბობს-თქო უფალი: განა შენ უნდა ამიშენო საწლი ჩემს სამყოფელად? 5. მე ხომ არ დავმკვიდრებულვარ სახლში იმ დროიდან, რაც ისრაელი გამოვიყვანე და დღემდე კარვიდან კარავში და სავანიდან სავანეში ვიმყოფები. 6. ნუთუ მთელ ისრაელთან მოარულს ოდესმე სიტყვა მითქვამს ისრაელის რომელიმე მსაჯულისთვის, ვისთვისაც ჩემი ერის მწყემსობა მიბრძანებია, ნაძვის სახლს რატომ არ მიშენებთ-მეთქი? 7. ახლა ასე უთხარი ჩემს მსახურს დავითს, ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: ფარეხიდან, ცხვრის ფარიდან, წამოგიყვანე, რომ ჩემი ერის, ისრაელის წინამძღოლი ყოფილიყავი. 8. ყველგან შენთან ვიმყოფებოდი, სადაც არ უნდა წასულიყავი. ვანადგურებდი შენს მტრებს შენს წინაშე. განვადიდე შენი სახელი, მსგავსად დიდებულთა სახელისა ამ ქვეყანაზე. 9. ადგილი დავუდგინე ჩემს ერს, ისრაელს და დავაფუძნე იგი. ახლა თავისთვის იცხოვრებს უშიშრად და ბოროტმოქმედნი აღარ შეაჭირვებენ წინანდებურად. 10. იმ დროიდან, რაც მე მსაჯულები დავუყენე ჩემს ერს ისრაელს, მოსვენებული მყავხარ ყველა მტრებისგან. გამოგიცხადე, რომ სახლს

აგიშენებს უფალი. **11.** როცა დრო მო-
ვა და შენს მამა-პაპასთან განისვენებ,
მე აღვადგენ შენს შემდგომად შენს
თესლს, რომელიც იქნება შენი ძეთაგა-
ნი, და მის მეფობას განვამტკიცებ.
**12.** ის ამიშენებს სახლს და მე გავამ-
ტკიცებ მის ტახტს უკუნისამდე, **13.**
მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი შვილი
იქნება ჩემთვის, წყალობას არ წავარ-
თმევ, როგორც შენს წინამორბედს
წავართვი. **14.** დავაყენებ მას ჩემს სახ-
ლში და ჩემს სამეფოში უკუნისამდე,
მყარი იქნება მისი ტახტი უკუნისამდე.
**15.** თანახმად ამ სიტყვებისა და ამ
ხილვისა ელაპარაკა ნათანი დავითს. **16.**
მივიდა დავით მეფე და დადგა უფლის
წინაშე და თქვა: ვინა ვარ მე, უფა-
ლო ღმერთო, ვინ არის ჩემი სახლი,
რომ აქამდე ამაღლებ? **17.** ესეც მცირე
ყოფილა შენს თვალში, ღმერთო, რომ
სამომავლოდაც აღუთქვი დაპირება
შენი მსახურის სახლს. შენ მომხედე,
როგორც განდიდებულ ადამიანს, უფ-
ალო, ღმერთო ჩემო. **18.** კიდევ რა
უნდა გითხრას დავითმა, შენი მსახურის
დიდებისთვის? შენ თავად იცნობ შენს
მსახურს, უფალო ღმერთო. **19.** უფალო,
შენი მსახურისათვის და შენი გულის
თანახმად აკეთებ ამ დიდებულ საქმეს,
რათა გამოამჟღავნო მთელი შენი სიდი-
ადე. **20.** უფალო, არავინაა შენი მსგავ-
სი. არ არის ღმერთი შენს გარდა, თა-
ნახმად ყველაფრისა, რაც ჩვენი ყუ-
რით მოვისმინეთ. **21.** თუ არის ამ ქვეყ-
ნად თუნდაც ერთი ხალხი შენი ერის
ისრაელის მსგავსი, რომელსაც მოვლე-
ნოდეს ღმერთი, რომ თავისთვის გამო-
ესყიდოს იგი, რომ ექციოს თავის ერ-
ად, რომ სახელოვანი გაეხადოს და ჩე-
დინოს დიადი და საკვირველი ამბები,
ხალხების განდევნით შენი ერის წინა-
შე, რომელიც გამოისყიდე ეგვიპტიდან
და ხალხებისაგან. **22.** შენ შექმენ შე-
ნი ერი ისრაელი, რომ შენი ერი ყო-
ფილიყო უკუნისამდე და შენ, უფა-
ლო, მათი ღმერთი ყოფილიყავი. **23.**
ახლა კი, უფალო, ეს სიტყვა, რომელიც
თქვი შენს მსახურზე და მის სახლზე,
განმტკიცდეს უკუნისამდე, და ქმენი
ისე, როგორც ნაბრძანები გაქვს. **24.**
იძლიეროს და იდიდოს შენმა სახელმა
უკუნისამდე. თქვან: უფალი ღმერთი
ისრაელისა ღმერთობს ისრაელზე!
მტკიცე იყოს შენს წინაშე შენი მსახუ-
რის დავითის სახლი, **25.** რადგან შენ
გამოუცხადე, ღმერთო, შენს მსახურს,
სახლს აგიშენებთ. ამიტომ გაუწია
გულმა შენს მსახურს ასეთი ლოცვით
ელოცა შენს მიმართ. **26.** ახლა, უფა-
ლო ჩემო, ღმერთი ხარ შენ და შენი
მსახურისათვის ეს სიკეთე გაქვს გა-
მოცხადებული. **27.** ახლა შენ დალოცე
შენი მსახურის სახლი, რათა საუკუ-
ნოდ იყოს შენს წინაშე, რადგან შენ
აკურთხე, უფალო, და კურთხეული იქ-
ნება საუკუნოდ.

## თავი მეთვრამეტე

**1.** ამის შემდეგ იყო, რომ დაამარცხა
დავითმა ფილისტიმელები, დაიმორ-
ჩილა ისინი და ხელიდან გამოგლიჯა
ფილისტიმელებს გათი თავის ქალაქები-
ანად. **2.** დაამარცხა მოაბიც. შეიქმნა.
მოაბი დავითის მსახური და მოხარკე.
**3.** დაამარცხა დავითმა ჰადარ-ყეზერი,
ცობას მეფე ხამათში. როცა ის ევფრა-
ტზე ბატონობის განსამტკიცებლად მი-
დიოდა, **4.** წაართვა მას დავითმა ათასი
ეტლი, შვიდი ათასი ცხენოსანი და ოცი-
ათასი ქვეითი. ეტლის ცხენებს ძარღვები
გადაუჭრა დავითმა, მხოლოდ ასი ეტ-
ლი დაიტოვა მათგან. **5.** მოვიდნენ და-
მასკოს არამელები ცობას მეფის ჰა-
დარ-ყეზერის დასახმარებლად და მუს-
რი გაავლო დავითმა არამელთაგან ოც-
დაორიათას კაცს. **6.** დაადგინა დავითმა
ხელისუფალნი დამასკოს არამში და
შეიქმნენ არამელები დავითის მსახუ-
რნი და მოხარკენი. სადაც არ უნდა
წასულიყო დავითი, ყველგან უფალი
ეწეოდა. **7.** აილო დავითმა ფარები,
ჰადარ-ყეზერის მსახურებს რომ ჰქონ-
დათ, და იერუსალიმში მიიტანა. **8.**
დიდძალი სპილენძი წამოიღო დავით-

მა ტიბხათიდან და ქუნიდან, ადარ-ყეზერის ქალაქებიდან, რომლისგანაც შემდეგ სოლომონმა გააკეთა სპილენძის ჭურჭელი. 9. შეიტყო თოყიმ, ხათის მეფემ, რომ სძლია დავითმა ჰადარ-ყეზერს, და ცობას მეფეს, 10. და გაგზავნა თავისი ძე ჰადორამი მეფე დავითთან მოსაკითხა და მოსალოცად, რომ ბერძოლა ჰადარ-ყეზერს და სძლია მას, რადგან თოყის მოსისხლე იყო ჰადარ-ყეზერი. თან გაატანა ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭელი. 11. მეფე დავითმა ესეც უფალს შესწირა იმ შეწირულ ოქრო-ვერცხლთან ერთად, დამორჩილებულ ხალხებს—ედომს, მოაბს, ყამონიანებს, ფილისტიმელთ და ყამალეკს რომ წაართვა. 12. აბიშაი ცერუიას ძემ თვრამეტი ათასი ედომელი ამოწყვიტა მარილოვან ველზე. 13. დააყენა ედომში ხელისუფალნი და შეიქნა მთელი ედომი დავითის მსახური. ყველგან, სადაც არ უნდა წასულიყო, უფალი ეწეოდა დავითს. 14. მეფობდა დავითი მთელს ისრაელზე და წესსა და სამართალს აძლევდა თავის ერს. 15. იოაბ ცერუიას ძე ჯარს სარდლობდა, ხოლო იოშაფატ ახილუდის ძე მემატიანე იყო. 16. ცადოკ ახიტუბის ძე და აბიმელექ აბიათარის ძე მღვდლები იყვნენ, ხოლო სერაია მწერალი იყო. 17. ბენიაჰუ იეჰოადაყის ძე ქერეთელებსა და ფერეთელებს გამგებლობდა, ხოლო დავითის ძენი პირველნი იყვნენ მეფის გვერდით.

## თავი მეცხრამეტე

1. ამის შემდეგ იყო, რომ მოკვდა ყამონიანთა მეფე ნახაშ ყამონის ძე და გამეფდა მისი ძე მის ნაცვლად. 2. თქვა დავითმა წყალობას ვუყოფ ხანუნ ნახაშის ძეს, როგორც მამამისი მწყალობდა. და გაგზავნა დავითმა მოციქულები სანუგეშებლად მამის გამო და მივიდნენ დავითის მსახურნი ყამონიანთა ქვეყანაში. 3. [illegible] ყამონიანთა მთავრებმა [illegible]ანა, მამაშენის პატივისცემის გამო გიგზავნის დავითი ნუგეშისმცემლებს? იქნებ იმისათვის გამოგზავნა დავითმა თავისი მსახურნი, რომ დაზვერონ ქვეყანა, მიათვალ-მოათვალიერონ და მერე დააქციონ? 4. შეიპყრო ხანუნმა დავითის მსახურნი და ნახევარი წვერი მოპარსა. წელამდე შემოაჭრა ნახევარი სამოსელი და გაისტუმრა. 5. და წავიდნენ. შეატყობინეს დავითს ამ კაცების ამბავი და გაგზავნა კაცები მათ შესაგებებლად, რადგან ძალზე შეურაცხყოფილნი იყვნენ. უთხრა მეფემ: იერიქონში დარჩით, ვიდრე წვერი მოგეზრდებოდეთ და მერე დაბრუნდით. 6. დაინახეს ყამონიანებმა, რომ თავი შეაძულეს დავითს. გაგზავნეს ხანუნმა და ყამონიანებმა ათასი ქანქარი ვერცხლი ეტლებისა და მხედრების დასაქირავებლად შუამდინარელი არამელებისგან და მაყაქასა და და მიცობას არამელებისგან. 7. იქირავეს ოცდათორმეტი ათასი ეტლი და მეფე მაყაქა თავისი ხალხით. მოვიდნენ და მედიბას წინ დაბანაკდნენ. ყამონიანები კი ერთად შეიყარნენ და საომრად გამოემართნენ. 8. შეიტყო ეს დავითმა და გაგზავნა იოაბი უმამაცესთა მთელი ლაშქრითურთ. 9. გამოვიდნენ ყამონიანები და გაეწყვნენ საბრძოლველად ქალაქის კარიბჭესთან. ხოლო ის მეფენი, რომელნიც მოვიდნენ, ცალ-ცალკე დაადგნენ მინდორში. 10. როცა იოაბმა დაინახა, რომ მტერი წინიდან და ზურგიდან იყო მისკენ მიმართული, გამოარჩია ისრაელიანებში ურჩეულესნი, და დააწყო არამელთა წინაალმდეგ. 11. დანარჩენი ხალხი თავის ძმას, აბეშაის ჩააბარეს და მანაც დააწყო იგი ყამონიანთა წინაალმდეგ. 12. თქვა: თუ არამელები შენ გძლევენ, მე მოვალ შენს მოსაშველებლად. 13. გამაგრდი და მტკიცედ იდექი ჩვენი

ხალხისათვის და ჩვენი უფლის, ჩვენი ღვთის ქალაქებისათვის. უფალმა ქმნას, რაც ენებოს. 14. გავიდნენ იობი და მისი ხალხი არამელებთან საბრძოლველად და უკუიქცნენ არამელები. 15. როცა ყამონიანებმა დაინახეს, რომ გარბოდნენ არამელები, თავადაც გაექცნენ აბეშაის და ქალაქში შეცვივდნენ. იოაბი გაეცალა ყამონიანებს და მივიდა იერუსალიმში. 16. დაინახეს არამელებმა, რომ მარცხდებიან ისრაელთან და კაცები გაუგზავნეს მდინარისგაღმელ არამელებს და გადმოიყვანეს. მათ წინამძღოლობდა ჰადარ-ყეზერის სარდალი შოფეხი. 17. შეატყობინეს ეს დავითს და მანაც შეყარა მთელი ისრაელი. გადალახა იორდანე, მივიდა მათთან და გაეწყო მათ წინააღმდეგ. ბრძოლა გაუმართა დავითმა არამელებს და ისინიც შეებნენ მას. 18. გაექცნენ არამელები ისრაელს. დავითმა არამელებს დაუხოცა შვიდი ათასი ეტლოსანი და ორმოცი ათასი ქვეითი. მათი სარდალი შოფეხიც მოკლულ იქნა. 19. როცა ჰადარ-ყეზერის მსახურებმა დაინახეს, რომ მარცხდებოდნენ ისრაელთან, დაეზავნენ დავითს და დაემორჩილნენ. არამელებმა ველარ გაბედეს ყამონიანთა დახმარება.

## თავი მეოცე

1. წლის შემოქცევისას, მეფეთა გამოსვლის ჟამს, იოაბი წინ წაუძღვა ლაშქარს და გაანადგურა ყამონიანთა ქვეყანა. მივიდა და რაბას შემოადგა. დავითი კი იერუსალიმში დარჩა. აიღო იოაბმა რაბა და დაანგრია. 2. დავითმა მათ მეფეს გვირგვინი მოხადა, ნახა რომ ერთი ტალანტი ოქროს წონისა იყო და ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი, და თავზე დაირქვა იგი, აურაცხელი ნადავლი წამოიღო დავითმა ქალაქიდან. 3. გამოიყვანა იქ მყოფი ხალხი და იწყო მათი ხერხვა და რკინის კბილებითა და რკინის ცულებით ხოცვა. ასე მოექცა დავითი ყამონიანთა ქალაქს და დაბრუნდა დავითი თავისი ხალხითურთ იერუსალიმში. 4. ამის შემდეგ იყო, რომ ფილისტიმელებთან ომი ატყდა გეზერში. მაშინ სიბქაი ხუშათელმა მოკლა სიფაი, რაფას ერთ-ერთი ვაჟი. და დაზავდნენ. 5. კვლავ ატყდა ფილისტიმელებთან ომი. მაშინ ელხანან იაყირის ძემ დაამარცხა ლახმი, გოლიათის ძმა, რომლის შუბის ბუნი მქსოველთა ლილვისოდენა იყო. 6. კვლავ ატყდა ომი გეთში. იყო უზარმაზარი კაცი, რომელსაც ხელ-ფეხზე ექვს-ექვსი თითი ესხა — სულ ოცდაოთხი. ისიც რაფას ნაშიერი იყო. 7. დასცინოდა ისრაელს, მაგრამ განგმირა იგი იონათან შემყის ძემ — დავითის ძმისწულმა. 8. რაფას გათში ესენი შეეძინნენ და ყველანი დავითისა და მის მსახურთა ხელით დაეცნენ.

## თავი ოცდამეერთე

1. სატანა აღდგა ისრაელზე და ისრაელის აღრიცხვის სურვილი აღუძრა დავითს. 2. უთხრა დავითმა იოაბსა და ხალხის მთავრებს: წადით და აღრიცხეთ ისრაელი ბერ-შებაყიდან დანამდე და მომიტანეთ, რომ ვიცოდე მათი რიცხვი. 3. მიუგო იოაბმა: რაც არის, ასმაგად გაამრავლოს უფალმა თავისი ერი. განა ყველა ისინი, ჩემო ბატონო მეფევ, ჩემი ბატონის მსახურნი არ არიან? მაშ ამას რაღად თხოულობს ჩემი ბატონი? რატომ დაედოს ცოდვა ისრაელს? 4. მაგრამ მეფის სიტყვა კანონი იყო იოაბისთვის. წავიდა იოაბი, მთელი ისრაელი მოიარა და იერუსალიმში დაბრუნდა. 5. მიართვა იოაბმა დავითს აღრიცხვის წიგნი და აღმოჩნდა მთელს ისრაელში მილიონ ასი ათასი მახვილის მაშიშვლებელი კაცი, ხოლო იუდაში ოთხასსამოცდაათი ათასი მახვილის მაშიშვლებელი კაცი. 6. ლევიანები და ბენიამინიანები მათ შორის არ აღურიც-

ხავს, რადგან არ მოეწონა იოაბს მეფის სიტყვა. 7. ბოროტი იყო ეს საქმე ღვთის თვალში, ამიტომ დაამარცხა ისრაელი. 8. უთხრა დავითმა ღმერთს: დიდად შევცოდე, ეს რომ გავაკეთე, ახლა მიუტევე, უფალო, შეცოდება შენს მსახურს, რადგან უგუნურად მოვიქეცი. 9. დაელაპარაკა უფალი დავითის ნათელმხედველს და უთხრა: 10. წადი და დავითს უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი: სასჯელს შემოგთავაზებ და ერთ-ერთი ამოირჩიე, რომ დაგსაჯო. 11. მივიდა გადი დავითთან და უთხრა: ასე ამბობს უფალი: ამოირჩიე. 12. სამი წლის შიმშილობა გირჩევნია, სამი თვის ლტოლვილობა შენი მტრისგან და მათ მიერ შენი დევნა, თუ სამი დღის მანძილზე უფლის მახვილი, შავი ჭირი და უფლის ანგელოზი შემმუსრველი, ისრაელის მთელ სამკვიდრებელში. 13. უთხრა დავითმა გადს: დამწუხრებული ვარ დიდად. მაგრამ მიჯობს უფლის ხელში ჩავვარდე, რადგან დიდია მისი მოწყალება. ოღონდაც კაცის ხელში ნუ ჩავვარდები. 14. მოავლინა უფალმა შავი ჭირი ისრაელში და სამოცდაათი ათასი კაცი გაწყდა ისრაელში. 15. იერუსალიმში ანგელოზი გაგზავნა ჩის გასანადგურებლად. როდესაც მან განადგურებას მიჰყო ხელი, მოხედა უფალმა და აკმარა უბედურება, უთხრა შემმუსვრელ ანგელოზს: კმარა, ახლა უკან წაიღე ხელი! უფლის ანგელოზი ორნან იებუსელის კალოსთან იდგა. 16. გაიხედა და დაინახა დავითმა ცისა და დედამიწის შუა მდგარი უფლის ანგელოზი, ხელში თავისი გაშიშვლებული მახვილი ეჭირა, იერუსალიმზე დაღირებული. დავითი და უხუცესნი, ძაძებშემოსილნი, პირქვე დაემხნენ. 17. უთხრა დავითმა ღმერთს: ხალხის აღრიცხვა ხომ მე ვბრძანე? მე შევცოდე, მე ჩავიდინე ბოროტება, ამ ცხვრებმა რაღა დააშავეს? უფალო, ღმერთო ჩემო, ჩემზე და მამაჩემის სახლზე იყოს შენი ხელი, ოღონდაც შენს ერზე ნუ იქნება მისდა დასაღუპად. 18. უფლის ანგელოზმა დავითის-ვის სათქმელად უთხრა გადს: ადგეს და უფლის სამსხვერპლო აგოს დავითმა ორნან იებუსელის კალოზე. 19. წავიდა დავითი გადის სიტყვისამებრ, რომელიც უფლის სახელით ჰქონდა ნათქვამი. 20. გამოიხედა ორნანმა დაინახა ანგელოზი და თავის ოთხ ვაჟთან ერთად დაიმალა. ორნანი იმ დროს ხორბალს ფქვავდა. 21. მივიდა დავითი ორნანთან. გამოიხედა ორნანმა და დაინახა დავითი, კალოდან გამოეგება და მდაბლად თაყვანი სცა დავითს. 22. უთხრა დავითმა ორნანს: მომეცი შენი კალოს ადგილი და უფლის სამსხვერპლოს ავაშენებ მასზე, სრულ საფასურად მომეცი, რათა განერიდოს ხალხს ჟამი. 23. უთხრა ორნანმა დავითს: აიღოს და გააკეთოს მეფე ბატონმა, რაც ენებოს. აჰა, ხარები აღსავლენ მსხვერპლად მომირთმევია, კევრები შეშად, ხორბალი საძღვნოდ. ყველაფერს ვიძლევი. 24. უთხრა მეფე დავითმა ორნანს: არა, სრულ საფასურად უნდა ვიყიდო შენგან, რადგან უფალს ვერც შენს საკუთრებას შევწირავ და ვერც მუქთა აღსავლენს. 25. ამ ადგილის საფასურად დავითმა ექვსასი შეკელი ოქრო მისცა ორნანს. 26. იმ ადგილას აუგო დავითმა უფალს სამსხვერპლო, მიიტანა აღსავლენი და სამშვიდობო მსხვერპლი. და მოუხმო უფალს. მან კი აღსავლენის სამსხვერპლოზე ზეციდან ცეცხლის მოცემით უპასუხა. 27. უბრძანა უფალმა ანგელოზს და მანაც თავისი მახვილი ქარქაშში ჩააგო. 28. იმ დროს, როცა დავითმა დაინახა, რომ უფალმა უპასუხა ორნან იებუსელის კალოზე, იქ შესწირა მსხვერპლი. 29. უფლის სავანე, მოსემ უდაბნოში რომ გააკეთა, და აღსავლენის სამსხვერპლო იმჟამად გიბყონის ბორცვზე იდგა. 30. არ შეეძლო დავითს იქ მისვლა ღვთისთვის შესაკითხად, რადგან უფლის ანგელოზის მახვილით იყო დაშინებული.

## თავი ოცდამეორე

1. თქვა დავითმა: აჰა, უფლის, ღვთის სახლი და აღსავლენის სამსხვერპლო ისრაელისათვის. 2. ბრძანება გასცა დავითმა, რომ თავი მოეყარათ ხიზნებისათვის, რომელნიც ისრაელის ქვეყნად იყვნენ, და განაწესა ისინი ქვისმთლელებად, რომ ღვთის სახლის ასაშენებლად ქვები დაეთალათ. 3. დავითმა დიდძალი რკინა გაიღო კარიბჭის ლურსმებისა და კაუჭების დასამზადებლად. ხოლო დახარჯულ სპილენძს ხომ წონა არ ჰქონდა. 4. არც ნაძვის ძელებს ჰქონდა თვლა, რადგან ციდონელებსა და ტვიროსელებს მოჰქონდათ დავითისთვის. 5. თქვა დავითმა: ჩემი ძე სოლომონი ყმაწვილია და სუსტი, უფლისთვის ასაშენებელი სახლი კი ყველაზე დიდებული, სახელგანთქმული და მშვენიერი უნდა იყოს მთელ ქვეყანაზე. ამიტომ ყველაფერს გავუმზადებ მას. სიკვდილის წინ დავითმა მოამარაგა იგი. 6. დაუძახა თავის ძეს, სოლომონს, და უფლისთვის, ისრაელის ღვთისთვის, სახლის აგება უანდერძა. 7. უთხრა დავითმა თავის ძეს, სოლომონს: შვილო, გულით მეწადა უფლის, ღვთის სახელისთვის სახლი ამეგო. 8. და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ თქმული: ბევრი სისხლი გაქვს დაღვრილი და დიდი ომები გაქვს გადახდილი. ამიტომ შენ არ ააშენებ ჩემს სახელზე სახლს, რადგან ბევრი სისხლი დაღვარე ქვეყნად ჩემს წინაშე. 9. აჰა, ძე შეგეძინება და მშვიდი კაცი იქნება. ყველა მტრისაგან მოვასვენებ, ვინაიდან სოლომონი იქნება მისი სახელი და მის დღეებში მშვიდობას მივცემ ისრაელს. 10. ის ააშენებს სახლს ჩემს სახელზე, ის იქნება ჩემთვის შვილი და მე ვიქნები მისთვის მამა, და გავამტკიცებ მის სამეფო ტახტს ისრაელში უკუნისამდე. 11. ახლა კი, შვილო ჩემო. უფალი იყოს შენთან, რათა ხელი მოგემართოს და უფლის, ღვთის, სახლი ააშენო, როგორც თქვა შენზე. 12. უფალმა მოგცეს აზრი და გონიერება და დაგაყენოს ისრაელზე უფლის რჯულის დასაცავად. 13. მაშინ იქნები წარმატებული, თუ იმ წესებსა და კანონებს დაიცავ, რომელნიც მოსეს უბრძანა უფალმა ისრაელისთვის. მტკიცედ დეგ და გამაგრდი, ნუ შიშობ და ნუ თრთი. 14. აჰა, ჩემს სიღარიბეში უფლის სახლისათვის მოვიმარაგე ასიათასი ქანქარი ოქრო, მილიონი ქანქარი ვერცხლი, სპილენძსა და რკინას წონა არა აქვს. რადგან უამრავია. ხეტყე და ქვაც მოვიმარაგე, მაგრამ შენც შეგიძლია მიუმატო. 15. ბევრი ხელოსანი მყავს: ტყისმჭრელები, ქვისმთლელები, ხუროები და ყველანაირი ხელობის მცოდნენი. 16 ოქროს, ვერცხლის, სპილენძს თვლა არა აქვს. ახლა ადექი და საქმეს შეუდექი და უფალი შენთან იქნება. 17. ბრძანა დავითმა, რომ ისრაელის ყველა მთავარი მიხმარებოდა მის ძეს, სოლომონს. 18. განა თქვენთან არ არის უფალი ღმერთი? გან მან არ მოგცათ ირგვლივ მშვიდობა? მან ჩემს ხელში ჩაყარა ამ ქვეყნის მკვიდრნი, დამორჩილდა ეს ქვეყანა უფლისა და მისი ერის წინაშე. 19. ახლა კი გაუხსენით თქვენი გული და სული უფალს, თქვენს ღმერთს. ადექით და დაიწყეთ უფლის, ღვთის საწმიდრის მშენებლობა, რათა უფლის აღთქმის კიდობანი და ღვთის ჭურჭლეული უფლის სახელზე აგებულ სახლში გადააბრძანოთ.

## თავი ოცდამესამე

1. როცა დავითი მოხუცდა და გაძღა წლებით, თავისი ვაჟი სოლომონი გაამეფა ისრაელზე. 2. თავი მოუყარა ისრაელის მთავრებს, მღვდლებსა და ლევიანებს. 3. აღრიცხეს ოცდაათწელს გადაცილებული ლევიანები. გამოვიდა სულ ოცდათვრამეტი ათასი კაცი. 4. აქედან ოცდაოთხიათასი უფლის სახლის საქმეს უძღვებოდა, ექვსი ათასი კი მწიგნობრები და მსაჯულები

იყვნენ. 5. ოთხიათასი კარისმცველი იყო, ოთხიათასი კი იმ საკრავებით ადიდებდა უფალს, რომელნიც დავითმა გააკეთა. 6. დავითმა ისინი ლევის, გერშომის, კეჰათის და მერარის ძეთა დასებად დაჰყო. 7. გერშონელთაგან იყვნენ: ლაყდანი და შიმყი. 8. ლაყდანის ძენი: უფროსი იეხიელი, ზეთამი და იოელი — სამნი. 9. შიმყის ძენი: შელომითი, ხაზიელი და ხარაში — სამნი. ესენი არიან ლაყდანის მამისსახლთა თავკაცები. 10. შიმყის ძენი; იხათი, ზიზა, იეყუში და ბერიყა. ესენი არიან შიმყის ძენი — ოთხნი. 11. იახათი უფროსი იყო, ზიზა — მომდევნო. იეყუშსა და ბერიყას ძალიან ცოტა შვილები ჰყავდათ, ამიტომ აღრიცხვისას ერთ მამისსახლს შეადგენდნენ. 12. კეჰათის ძენი: ყამრამი, იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი — ოთხნი. 13. ყამრის ძენი: აარონი და მოსე. აარონი იმისთვის გამოირჩია. რომ წმიდათა წმიდისთვის ეკურთხებინათ იგი და მისი ძენი უკუნისამდე, რათა მათ ეკმიათ უფლის წინაშე, რათა სამსახური გაეწიათ მისთვის და მისი სახელით უკუნისამდე ეკურთხებინათ. 14. მოსე ღვთის კაცი იყო. და მისი ძენი ლევიანთა ტომს მიათვალეს. 15. მოსეს ძენი: გერშომი, ელიყეზერი. 16. გერონის ძენი: შებუელი — უფროსი. 17. ელიყეზერის ძენი იყვნენ: რეხაბია — უფროსი. ელიყეზერს მეტი შვილი არც ჰყოლია. რეხაბის ძენი კი ძალიან გამრავლდნენ. 18. იცჰარის ძენი: შელომითი —უფროსი. 19. ხებრონის ძენი: იერიაჰუ — უფროსი, ამარია — მეორე, იახაზიელი — მესამე, იეკამაყი — მეოთხე. 20. ყუზიელის ძენი: მიქა — უფროსი, იშია — მეორე. 21. მერარის ძენი: მახლი და მუში. მახლის ძენი: ელიაზარი და კიში. 22. ელიაზარი ისე მოკვდა, რომ ვაჟი არ ჰყოლია, მხოლოდ ასულები დარჩა. ისინი კიშის ძეებმა, ბიძაშვილებმა, შეირთეს. 23. მუშის ძენი: მახლი, ყედერი. იერემოთი — სამნი. 24. აჰა, ლევის ძენი, თავ-თავიანთი მამისსახლების მიხედვით, მამისსახლთა თავკაცები, სახელებისა და სულადობის რიცხვის მიხედვით აღრიცხულნი, რომელნიც უფლის სახლის სამსახურის საქმეს უძღვებოდნენ ოც წელს გადაცილებულნი. 25. ვინაიდან თქვა დავითმა: უფალმა ღმერთმა მისცა მშვიდობა ისრაელს, თავის ერს, და იერუსალიმში დამკვიდრდა იგი უკუნისამდე. 26. აღარც ლევიანებს დასჭირდებათ სამსახურის გასაწევად სავანისა და მისი ჭურჭლეულის ტარება. 27. დავითის უკანასკნელი სიტყვების მიხედვით აღრიცხეს ოც წელს გადაცილებული ლევიანები. 28. ისინი უნდა მდგარიყვნენ აარონიანთა გვერდით, ემსახურათ უფლის სახლში, ეზოებში და ოთახებში, სუფთად შეენახათ ყოველი სიწმიდე და აღესრულებინათ ღვთის სახლის სამსახური, 29. ეზრუნათ საზედაშეო პურზე. ძღვენზე, უფუარ კვერებზე, ტაფებზე და შესაწვავზე, ყველაფრის არწყვა-აწონაზე. 30. დილა-საღამოობით უფლის ქება-დიდებაზე, 31. ყოველგვარ აღსავლენებზე უფლისათვის შაბათობით, ახალმთავრობების დღესასწაულების განსაზღვრულ რიცხვებში, როგორც მათთვისაა დადგენილი უფლის წინაშე მარად აღსასრულებლად, 32. რომ დაიცვან დადგენილება სადღესასწაულო კარვის შესახებ, დადგენილება საწმიდარის შესახებ და დადგენილება აარონიანთა — მათი ძმების შესახებ, უფლის სახლში სამსახურის გასაწევად.

## თავი ოცდამეოთხე

1. აარონიანებს თავიანთი დასები აქვთ. აარონიანები: ნადაბი, აბიჰუ, ელიაზარი და ითამარი. 2. ნადაბი და აბიჰუ მამაზე ადრე დაიხოცნენ; ისე რომ ვაჟები არ ჰყოლიათ. ელიაზარი და ითამარი შეუდგნენ მღვდელმსახურებას. 3. გაამწესა დავითმა ცადოკი, ელიაზარის ძეთაგან და ახიმელეხი, ითამარის ძეთაგან. თავ-თავიანთ სამ-

სახურში, თავ-თავიანრი მოვალეობისდა მიხედვით. 4. აღმოჩნდა, რომ ელიაზარის შვილებში კაცები უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ითამარის შვილებში. დაანაწილეს მათ ისინი: ელიაზარის ძეთა მამისსახლს თექვსმეტი თავკაცი არგუნეს, ხოლო ითამარის ძეთა მამისსახლს — რვა თავკაცი. 5. ერთმანეთში წილისყრით დაინაწილეს, რადგან საწმიდრის წინამძღოლები და ღვთის სახლის წინამძღოლები ელიაზარისა და ითამარის ძეთაგან იყვნენ. 6. ისინი ალნუსხა შემაყია ნეთანელის ძემ, ლევიანთა მწიგნობარმა, მეფისა და მთავართა წინაშე, ცადოკ მღვდლისა და ახიმელეყ აბიათარის ძის წინაშე, მღვდელთა და ლევიანების მამისსახლთა თავკაცების წინაშე. ერთი მამისსახლი ელიაზარს უყრიდა წილს და ერთი ითამარს უყრიდა წილს. 7. პირველი წელი იეჰოიარიბს შეხვდა, მეორე — იედაყიას, 8. მესამე — ხარიმს, — მეოთხე —სეყორიმს. 9. მეხუთე — მალქიას, მეექვსე — მიამიმს, 10. მეშვიდე — ჰაკოცს, მერვე — აბიას, 11. მეცხრე — იეშუაყს, მეათე — შექანიაჰუს, 12. მეთერთმეტე — ელიაშიბს, მეთორმეტე — იაკიმს, 13. მეცამეტე — ხეფას, მეთოთხმეტე — იეშებაბს, 14. მეთხუთმეტე — ბილგას. მეთექვსმეტე — იმერს, 15. მეჩვიდმეტე — ხეზირს, მეთვრამეტე — ჰაფიცეცს, 16. მეცხრამეტე — ფეთახიას, მეოცე — იეხეზკელს, 17. ოცდამეერთე — იახინს, ოცდამეორე — გამულს, 18. ოცდამესამე — დელაიაჰუს, ოცდამეოთხე — მაყაზიაჰუს. 19. ეს არის მათი განაწესი, თუ როგორ უნდა მისულიყვნენ უფლის სახლში იმ სამსახურის გასაწევად, მათი მამის, აარონის ხელით რომ იყო დაწესებული ისე, როგორც უფალმა, ისრაელის ღმერთმა უბრძანა მას. 20. დანარჩენი ლევიანები: ყამრამის ძეთაგან შუბაელი. შუბაელის ძეთაგან იეხდიაჰუ. 21. რეხაბიაჰუსგან: რეხაბიაჰუს ძეთაგან იშია იყო თავკაცი. 22. იცჰარიელთაგან: შელომოთი. შელომოთის ძეთაგან იახათი. 23. ხებრონის ძეთაგან: იერიაჰუ, ამარიაჰუ — მეორე, იახზიელი — მესამე, იეკამყამი — მეოთხე. 24. ყუზიელის ძეთაგან: მიქა. მიქას ძეთაგან: შამირი. 25. მიქას ძმა იყო იშია. იშიას ძეთაგან: ზაქარიაჰუ. 26. მერარას ძენი: მახლი და მუში. იაყაზიაჰუს ძეთაგან: ბენო. 27. მერარის ძენი იაყაზიაჰუსგან: ბენო, შოჰამი, ზაქური და ყიბრი. 28. მახლისგან: ელიაზარი, რომელსაც ვაჟები არ ჰყოლია. 29. კიშისგან: კიშის ძე იერახმეელი. 30. მუშის ძენი: მახლი, ყედერი, იერიმოთი. აჰა, ლევიანები, თავ-თავიანთი მამისსახლებისდა მიხედვით. 31. მამისსახლთა თავკაცებმა უმცროსი ძმების თანასწორად ყარეს წილი თავიანთი ძმების — აარონიანთა მსგავსად, მეფე დავითის, ცადოკის, ახიმელექის, მღვდლებისა და ლევიანების მამისსახლთა თავკაცების წინაშე.

## თავი ოცდახუთი

1. დავითმა და მისმა მხედართმთავრებმა სამსახურისთვის დაანაწილეს ასაფის, ჰემანის და იდუთუნის ძენი, რომელნიც ბობღნებზე, ქნარებსა და წინწილებზე უკრავდნენ. იმათი რიცხვი, ვინც თავიანთ სამსახურის საქმეს ეწეოდნენ, იყო: 2. ასაფის ძეთაგან: ზაქური, იოსები, ნეთანია, აშარელა — ასაფის ძენი, რომელნიც ასაფის ლოტბარობითა და მეფის ხელმძღვანელობით უკრავდნენ. 3. იდუთუნისგან: იდუთუნის ძენი: გედალიაჰუ, ცერი, ესაია, ხაშაბიაჰუ, მათითიაჰუ — ექვსნი. თავიანთი მამის, იდუთუნის ხელქვეით იყვნენ, რომელიც ბობღანზე უკრავდა უფლის საქებ-სადიდებელს. 4. ჰემანისგან, ჰემანის ძენი: ბუკიაჰუ, მათანიაჰუ, ყუზიელი, შებუელი, იერიმოთი, ხანანია. ხანანი, ელიათა, გიდალთი, რომამთი-ყეზერი, იაშბეკაში, მალოთი, ჰიროთი, მახაზიოთი. 5. ყველა ესენი იმ ჰემანის ძენი არიან, რომელიც მეფის ნათელმხედველი იყო,

უფლის სიტყვების გამოსაცხადებლად და მისი დიდების რქის ასამაღლებლად. ღმერთმა ჰემანს თორმეტი ვაჟი და სამი ასული მისცა. 6. ყველა ესენი მათი მამის ლოტბარობით გალობდნენ უფლის სახლში წინწილებით, ქნარებით, ბობღნებით, ღვთის სახლის სამსახურის გასაწევად მეფის, ასაფის იდუთუნისა და ჰემანის ხელმძღვანელობით. 7. უფლისათვის გალობაში განსწავლულთა და ყველა მცოდნეთა რიცხვი, თავიანთ ძმებთან ერთად, იყო ორასოთხმოცდარვა. 8. სამსახურის რიგზე წილი თანასწორად ყარეს, დიდმა და პატარამ, სწავლულმა და მოსწავლემ. 9. პირველი წილი ერგო ასაფს იოსებისთვის, მეორე — გედალიაჰუს, იგი, მისი ძმები და შვილები — თორმეტი. 10. მესამე — ზაქურს, მისი ძენი, და ძმანი — თორმეტნი. 11. მეოთხე — იცრის, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 13. მეექვსე — ბუკიაჰუს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 14. მეშვიდე — იეშარელას, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 15. მერვე — ესაიას, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 16. მეცხრე — მათანიაჰუს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 17. მეათე — შიმყას, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 18. მეთერთმეტე — ყაზარელს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 19. მეთორმეტე — ხაშაბიას, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 20. მეცამეტე — შუბაელს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 21. მეთოთხმეტე — მათითიაჰუს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 22. მეთხუთმეტე — იერემოთს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 23. მეთექვსმეტე — ხანანიაჰუს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 24. მეჩვიდმეტე — იოშბეკაშას, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 25. მეთვრამეტე — ხანანის, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 26. მეცხრამეტე — მალოთის, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 27. მეოცე — ელიათას, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 28. ოცდამეერთე — ჰოთირს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 29. ოცდამეორე — გიდალთის, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 30. ოცდამესამე — მახაზიოთს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი. 31. ოცდამეოთხე — რომამთი-ყეზერს, მისი ძენი და ძმანი — თორმეტნი.

## თავი ოცდამეექვსე

1. კარიმცველთა დასები: კორხიელთაგან: მეშელემიაჰუ კორეხის ძე ასაფის ძეთაგან. 2. მეშელემიაჰუს ძენი: ზაქარია — პირმშო, იედიყაელი — მეორე, — ზებადიაჰუ — მესამე, იათნიელი — მეოთხე, 3. ყელამი — მეხუთე, იეჰოხანანი — მეექვსე, ელიეჰოყენაი — მეშვიდე. 4. ყობედ-ედომის ძენი; შემაყია — პირმშო, იეჰოზობადი — მეორე, იოახი — მესამე, საქარი — მეოთხე, ნეთანელი — მეხუთე. 5. ყამიელი — მეექვსე, ისაქარი — მეშვიდე, ფეყულთაი — მერვე, რადგან ღმერთმა აკურთხა იგი. 6. მის ძეს, შემაყიას ვაჟები შეეძინა, რომელნიც მამისსახლს განაგებდნენ, ვინაიდან მაგარი ვაჟკაცები იყვნენ. 7. შემაყიას ძენი: ყათნი, რეფაელი, ყობედი, ელზაბადი, მისი ძმანი, მაგარი ხალხი, ელიჰუ და სემაქიაჰუ. 8 ყველანი ყობედ-ედომის ძენი იყვნენ. ისინი თავიანთი ძეებითა და ძმებით მაგარი ვაჟკაცები იყვნენ და სამსახურის გაწევის უნარი ჰქონდათ. ყობედ-ედომს ასეთები სულ სამოცდაორი ჰყავდა. 9. მეშელემიაჰუს თვრამეტი ვაჟი და ძმა, მაგარი ვაჟკაცები, ჰყავდა. 10. ხოსას, მერარას ერთ-ერთ ძეთაგანის ვაჟები: უფროსი შიმრი იყო (თუმცა პირმშო არ ყოფილა — მამამისმა არგუნა მას უფროსობა). 11. ხილკიაჰუ მომდევნო იყო, ტებალიაჰუ — მესამე, ზაქარიაჰუ — მეოთხე. ხოსას სულ ცამეტი ვაჟი და ძმა ჰყავდა. 12. კარისმცველთა დასს, მოყმეთა თავკაცებს ჩაბარდათ დაცვა, თავიანთ ძმებთან ერთად, უფლის სახლში სამსახურის გასაწევად.

13. ყველა კარიბჭეზე წილი ჰყარეს, როგორც დიდებმა, ისე პატარებმა, თავ-თავიანთი მამისსახლების მიხედვით. 14. აღმოსავლეთის მხარი შელემიაჰუს ერგო წილად. მის ვაჟს ზაქარიას, გონიერ მრჩეველს, უყარეს წილი და მას წილად ჩრდილოეთის მხარე შეხვდა. 15. ყობედ-ედომს სამხრეთის მხარე ერგო წილად, მის ძეებს — საკუჭნაო, 16. შუფიმსა და ხოსას დასავლეთის მხარე შეხვდა, შალექეთის ჭიშკართან, საიდანაც გზა ადის და დაცვა დაცვის პირისპირ დგას. 17. აღმოსავლეთით ექვსი ლევიანი იდგა, ჩრდილოეთით დღეში ოთხი იდგა, სამხრეთით დღეში ოთხი იდგა, საკუჭნაოსთან კი — ორ-ორი. 18. ფარბარის დასავლეთით, გზაზე ოთხნი იდგნენ, თავად ფარბართან კი — ორნი. 19. აჰა, კორახისა და მერარის ძეების კარისმცველთა დასები. 20. ლევიანთაგან: ახია ღვთის სახლის საგანძურსა და შენაწირი ნივთების საგანძურს დარაჯობდა. 21. ლაყდანის ძენი, გერშუნელთა ძენი ლაყდანისგან. მამისსახლის თავკაცები ლაყდან გერშენელისგან: იეხიელი. 22. იეხიელის ძენი: ზეთამი და მისი ძმა იოელი უფლის სახლის საგანძურს დარაჯობდნენ. 23. ყამრამელებისგან, იცჰარელებისგან, ხებრონელებისგან და ყაზიელებისგან იყო: 24. შებუელი ძე გერშომისა, მოსეს ძისა, რომელიც საგანძურის ზედამხედველი იყო. 25. მისი ძმები ელიაზარისგან: მისი ძე რეხაბიაჰუ, მისი ძე იეშაყიაჰუ, მისი ძე იორამი, მისი ძე ზიქრი, მისი ძე შელომითი. 26. ეს შელომითი თავისი ძმებითურთ დარაჯობდა შემოწირულობათა მთელ საგანძურს, რომელიც მეფე დავითმა, მამისსახლის თავკაცებმა, ათასისთავებმა, ასისთავებმა და სარდლებმა შესწირეს. 27. ომიდან და ნაალაფრიდან სწირავდნენ უფლის სახლის შესაკეთებლად. 28. ყველაფერი, რაც სამუელ წინასწარმეტყველმა, საულ კიშის ძემ, აბნერ ნერის ძემ, იოაბ ცერუიას ძემ შესწირეს, ყველა ეს შენაწირი შელომითისა და მისი ძმების ხელში იყო. 29. იცჰარელთაგან ქენანიაჰუ და მისი ძმები ისრაელში საგარეო საქმეებზე იყვნენ გამწესებულნი მზირებად და მსაჯულებად. 30. ხებრონელთაგან: ხაშაბიაჰუ და მისი ძმები, მაგარი ვაჟკაცები, ათას შვიდასნი დანიშნულნი იყვნენ ისრაელზე იორდანის გაღმიდან დასავლეთამდე, უფლის ყოველგვარი საქმისათვის და მეფის ყოველგვარი სამსახურისთვის. 31. ხებრონელებს იერია ხებრონელი ჰყავდათ თავკაცად, თავიანთ მოდგმასა და მამისსახლში. დავითის მეფობის მეორმოცე წელს გამოიკითხეს და მათ შორის მაგარი ვაჟკაცები აღმოაჩინეს გალაადის იაყზერში. 32. მათი ძმანი, მაგარი ვაჟკაცები, ორიათას შვიდასნი იყვნენ — მამისსახლის თავკაცნი. დავით მეფემ ისინი რეუბენიანებში, გადელებში და მენაშეს ნახევარტომში გაამწესა ღვთის ყველა საქმისთვის და სამეფო საქმისთვის.

## თავი ოცდამეშვიდე

1. ესენი არიან ისრაელიანები მათი რიცხვის მიხედვით, თავ-თავიანთ მამისსახლთა თავკაცნი, ათასისთავები, ასისთავები და მათი მზირები, რომელნიც მეფეს ემსახურებოდნენ დასების ყველა საქმეში, მიდი-მოდიოდნენ ყოველთვიურად, წელიწადის ყოველ თვეში. თითოეულ დასი ოცდაოთხი ათასისგან შედგებოდა. 2. პირველ დასზე პირველი თვისთვის დადგენილი იყო იაშაბყამ ზაბდიელის ძე, მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 3. იგი იყო ფერეცის შვილთაგანი, პირველი თვის ყველა მხედართმთავრის მეთაური. 4. მეორე თვის დასზე იყო დოდა ახოხელი, მის დასშივე იყო მთავარი მიკლოთი. მათ დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 5. მესამე თვის მესამე მხედართმთავარი იყო ბენიაჰუ, იეჰოიადაყ მღვდლის ვაჟი, მეთაური. დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 6. ეს ბენიაჰუ

ოცდაათ მოყმეთაგანი და მათი მეთაური იყო. მისი ძე ყამიზაბადიც მის დასში იყო. 7. მეოთხე თვეში მეოთხე იყო ყასარიელი, იოაბის ძმა. მის შემდეგ კი მისი ძე ზებადია. მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 8. მეხუთე თვეში მეხუთე მხედართმთავარი იყო შამუთ იზრახელი. მის დასში ოცდაოთხი იყო. 9. მეექვსე თვეში მეექვსე იყო ყირია ყიქეშის ძე, თექოაყელი, მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო, 10. მეშვიდე თვეში მეშვიდე იყო ხელეც ფელონელი ეფრაიმის ძეთაგან. მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 11. მერვე თვეში მერვე იყო სიბქა ხუშათელი, ზარხელთაგან. მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 12. მეცხრე თვეში მეცხრე იყო აბიყეზერ ყანათოთელი, ბენიამინელთაგან. მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 13. მეათე თვეში მეათე იყო მაჰარაი ნეტოფათელი, ზარხიელთაგან. მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 14. მეთერთმეტე თვეში მეთერთმეტე იყო ბენაია ფირყათონელი, ეფრემის ძეთაგან. მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო 15. მეთორმეტე თვეში მეთორმეტე იყო ხელდაი ნეტოფათელი ყანთიელთაგან. მის დასში ოცდაოთხი ათასი იყო. 16. ისრაელის შტოებზე: რეუბენიანთა წინამძღოლი იყო ელიაზარ ზიქრის ძე, სიმონელებისა — შეფატიაჰუ მაყაქას ძე, 17. ლევიანებისა — ხაშაბია კემუელის ძე, აარონისა — ცადოკი, 18. იუდასი — იელიჰუ, დავითის ძმათაგანი, ისაქარისა — ყომრის ძე მიქაელისა, 19. ზებულონისა — იშმაყიაჰუ ყობადიაჰუს ძე, ნეფთალიმისა — იერომოთ ყაზრიელის ძე. 20. ეფრემიანთა — ჰოშეაყ ყაზაზიაჰუს ძე, მენაშეს ნახევარტომისა — იოელ ფედიაჰუს ძე, 21. მენაშეს ნახევარტომისა — იდო ზექარიას ძე, ბენიამინისა — იაყასიელ აბნერის ძე, 22. დანისა — ყაზარელ იეროხამის ძე. ესენი არიან ისრაელის ტომთა მთავარნი. 23. ოცი წლისანი და მის ქვემოთ არ აღურიცხავს დავითს, ვინაიდან უფალმა ისრაელს ცის ვარსკვლავებით გამრავლება აღუთქვა. 24. იოაბ ცერუიას ძემ დაიწყო აღრიცხვა, მაგრამ არ დაამთავრა. ამის გამო ისრაელს რისხვა დაატყდა. ეს აღრიცხვა დავით მეფის მატიანის აღრიცხვაშიც არ შევიდა. 25. სამეფო საუნჯეებზე იყო ყაზამავეთ ყადიელის ძე. ხოლო იმ საუნჯეებზე, რომელიც მინდორში, ქალაქებში და ციხე-სიმაგრეებში იყო — იეჰონათან ყუზიელის ძე. 26. მინდვრის სამუშაოების შემსრულებლებზე, მიწას რომ ამუშავებდნენ — ყეზერ ქელუბის ძე. 27. ვენახებზე — შიმეი რამათელი, ყურძნისა და ღვინის მარაგზე — ზაბდი შიფმელი, 28. ზეთისხილებზე და ლეღვებზე. დაბლობში რომ არის — ბაყალხანან გედერელი, ზეთის საუნჯეებზე — იოყაში. 29. ხოლო იმ ნახირზე, შარონში რომ სძოვდა — შიტრაი შარონელი, ნახირზე ხეობებში — შაფატ ყადლის ძე, 30. აქლემებზე — იობილ ისმაელიანი, სახედრებზე — იეხდიაჰუ მერონოთელი, 31. ცხვარზე — იაზიზ აგარელი. ყველა ესენი დავით მეფის ქონების მოურავები იყვნენ, 32. იონათანი, დავითის ბიძა, მრჩეველი იყო, კაცი გონიერი და მწიგნობარი. იეხიელი ხაქმონის ძე მეფისწულებთან იყო. 33. ახითოფელი მეფის მრჩეველი იყო, ხუშაი არქიელი კი — მეფის მეგობარი. 34. ახითოფელის შემდეგ იყვნენ იეჰოიადაყ ბენიაჰუს ძე და აბიათარი, მეფის მხედართმთავარი იყო იოაბი.

## თავი ოცდამერვე

1. შეყარა დავითმა იერუსალიმში ისრაელის ყველა მთავარი. შტოთა მთავარნი, დასების მეთაურები — მეფის მეთაურები — მეფის სამსახურში მყოფნი, ათასისთავები, ასისთავები, მეფისა და მისი ძეების მთელი საქონსაყოლის მოურავები, სახლთუხუცესები, და ყველა მაგარი ვაჟკაცი. 2. ფეხზე წამოდგა დავითი და თქვა: ყური დამიგდეთ, ჩემო ძმებო და ჩემო ხალხო! გულით მეწადა ამეშენებინა

განსასვენებელი სახლი უფლის აღთქმის კიდობნისთვის, ჩვენი ღვთის ფერხთა დასადგმელი, და მოვემზადე ასაშენებლად. 3. მაგრამ ღმერთმა მითხრა: ჩემს სახელზე სახლს ნუ ააშენებ! რადგან მეომარი კაცი ხარ და სისხლი გაქვს დაღვრილიო. 4. უფალმა, ისრაელის ღმერთმა, მამაჩემის სახლიდან ამომირჩია, რათა მთელი ისრაელის მეფე გავმხდარიყავი საუკუნოდ. რადგან იუდა ამოირჩია მთავრად, იუდას სახლიდან მამაჩემის სახლი ამოირჩია, მამაჩემის ძეთაგან ჩემი გამეფება ინება მთელ ისრაელზე. 5. ყველა ჩემს ვაჟს შორის კი, რადგან მრავალი შვილი მომცა უფალმა, ჩემი ძე სოლომონი ამოირჩია, რათა დამჯდარიყო უფლის სამეფოს ტახტზე, ისრაელზე. 6. მითხრა: შენი ძე სოლომონი ააშენებს ჩემს სახლსა და ეზოებს, რადგან იგი ძედ ამოვირჩიე და მე ვიქნები მისი მამა. 7. უკუნისამდე გავამყარებ მის სამეფოს, თუ იგი მტკიცედ დაიცავს ჩემს მცნებებს და სჯულდებას, როგორც დღემდის იცავდა. 8. ახლა კი მთელი ისრაელის, უფლის კრებულის, თვალწინ, ჩვენი ღმერთის გასაგონად გეუბნებით: დაიცავით და გამოიკითხეთ უფლის თქვენი ღმერთის, ყველა მცნება. რათა დოვლათიან ქვეყანას დაეპატრონოთ და თქვენს შემდეგ თქვენს შვილებს დაუმკვიდროთ უკუნისამდე, 9. ხოლო შენ, სოლომონ, ძეო ჩემო, იცოდე მამაშენის ღმერთი მრთელი გულითა და ხალისიანი სულით. ემსახურე, რადგან ყოველთა გულის მხილველია უფალი და ყველა ფიქრისა და ზრახვის მცოდნეა. ძებნას თუ დაუწყებ, იპოვი კიდეც, თუ შენ მიატოვებ, ისიც სამუდამოდ მიგატოვებს. 10. ახლა უყურე, რაკი უფალმა გამოგარჩია უფლის საწმიდრის ამშენებლად, მტკიცედ დეგ და გააკეთე. 11. მისცა დავითმა სოლომონს, თავის ძეს გეგმა კარიბჭისა, მისი სახლებისა, განძთსაცავებისა, ქორედებისა, შიდა ოთახებისა და კიდობნის სახლისა. 12. ასევე ყველაფრის გეგმა, რისი გაკეთებაც გულში ჰქონდა უფლის სახლის ეზოებისთვის, ირგვლივ განლაგებული ყველა ოთახისთვის, ღვთის სახლის საგანძურისა და შემოწირულობათა საგანძურისთვის. 13. მღვდელთა და ლევიანთა რიგებისთვის, უფლის სახლის სამსახურის ყველა საქმისთვის, უფლის სახლის სამსახურისთვის საჭირო ყველა ჭურჭლისთვის, 14. ოქროულობისთვის, ოქროს წონით, ყველა სამსახურებელი ჭურჭლისთვის, ვერცხლის ყველა ჭურჭლისთვის, წონით ერთად, ყველა სამსახურებელი ჭურჭლისთვის. 15. წონა ოქროს სასანთლეებისა და მისი ოქროს ლამპრებისა, სასანთლის წონით, თითოეული სასანთლისა და ლამპრის წონასთან ერთად ასევე ვერცხლის სასანთლეები, მისი სასანთლეებისა და ლამპრების წონასთან ერთად, როგორც თითოეული სასანთლის სამსახურის წესია. 16. ოქროს წონა საწინაშეო პურის ტაბლებისათვის და ყველა მაგიდისთვის, ასევე ვერცხლი ვერცხლის ტაბლებისთვის. 17. ხალასი ოქრო ჩანგლებისათვის, სასხურებლებისათვის, ჯამებისთვის. ოქროს ფიალებისთვის, თითოეული ფიალის წონასთან ერთად, აგრეთვე ვერცხლის ფიალებისათვის, თითოეული ფიალის წონასთან ერთად. 18. საკმევის სამსხვერპლოსათვის გასუფთავებული ოქრო წონასთან ერთად, და გეგმა ეტლისა და ოქროს ქერუბიმებისა, რომელთა ფრთებიც გადაშლილი და გადაფარებული იყო უფლის აღთქმის კიდობანზე. 19. ეს ყველაფერი უფლის ხელით არის ჩაწერილი, მან ჩამაგონა ყოველი წვრილმანი. 20. უთხრა დავითმა თავის ძეს სოლომონს: მტკიცედ დეგ და გამხნევდი ნუ შიშობ, და ნუ ძრწი, რადგან უფალი ღმერთი, ჩემი ღმერთი შენთან არის, არ განგიდგება იგი და არ მიგატოვებს, ვიდრე არ შეასრულებ უფლის სახლის სამსახურის ყველა საქმეს. 21. აჰა, მღვდელთა და ლევიანთა დასები, ღვთის სახლის ყოველ-

გვარი სამსახურის გასაწევად. მხარში გიდგანან ყველა საქმეში ბეჯითნი და ყველა სამუშაოს მცოდნენი. მთავრები და მთელი ხალხი კი შენს ყველა ბრძანებებს ემორჩილება.

## თავი ოცდამეცხრე

1. უთხრა დავით მეფემ მთელ კრებულს: სოლომონი, ჩემი ძე, რომელიც უფალმა ამოირჩია, ნორჩია და სუსტი, ეს საქმე კი ძალზე დიდია. რადგან ეს შენობა კაცისთვის კი არ არის, არამედ უფლის, ღვთისთვის. 2. რაც შემეძლო ყველაფერი მოვამზადე უფლის სახლისთვის: ოქრო — ოქროს ნივთებისთვის, ვერცხლი — ვერცხლის ნაკეთობებისთვის, სპილენძი — სპილენძეულისთვის, რკინა — რკინეულისთვის, ხე-ტყე — ხე-ტყის მასალისთვის, აგრეთვე ონიქსის ქვები, ბუდეებში ჩასმული ქვები, ლამაზი და ფერად-ფერადი ქვები, ყველანაირი ძვირფასი ქვები და მარმარილოს ლოდები უამრავი. 3. ამასთან ერთად, ჩემი უფლის სახლის სიყვარულის გამო მაქვს ოქროსა და ვერცხლის საუნჯე, რომელსაც ღვთის სახლს ვწირავ, ყოველივე იმის გარდა, რაც წმიდა სახლისთვის მაქვს მომზადებული: 4. სამიათასი ქანქარი ოქრო, ოფირის ოქრო, შვიდი ათასი ქანქარი გადამდნარი ვერცხლი, სახლის კედლების მოსაპირკეთებლად, 5. ოქროს ნივთებისთვის, ვერცხლის ნაკეთობებისთვის, ყველა საოქრომჭედლო საქმისთვის. კიდევ ვინ შესწირავს დღეს უფალს სავსე ხელით? 6. გაიღეს შესაწირავი მამისსახლთა თავკაცებმა, ისრაელის შტოთა თავკაცებმა. ათასისთავებმა, ასისთავებმა და მეფის მოურავებმა. 7. და გამოიღეს უფლის სახლის. სამსახურისთვის ხუთი ათასი ქანქარი ოქრო, ათი ათასი დრამა, ათიათას ქანქარი ვერცხლი, თვრამეტი ვერცხლი, თვრამეტი ათასი ქანქარი სპილენძი, ასი ათასი ქანქარი რკინა. 8. ვისაც კი ქვები აღმოაჩნდა უფლის სახლის საგანძურისთვის, იეხიელ გერშუნელს ჩააბარეს. 9. ხალხი ხარობდა შესაწირავის გამო, რადგან მთელი გულით სწირავდნენ უფალს. ასევე მეფე დავითიც დიდი სიხარულით ხარობდა. 10. აკურთხა დავითმა უფალი, მთელი კრებულის თვალწინ და თქვა დავითმა: კურთხეულ ხარ, უფალო, ისრაელისა და ჩვენი მამა-პაპის ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე! 11. შენია, უფალო, დიდება, ძლიერება, ქება, ძლევა და დიდებულება, ისევე როგორც ყოველივე ცაზე და ქვეყანაზე! შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად! 12. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება. 13. აწ გაქებთ, ღმერთო ჩვენო, და ვადიდებთ შენს დიდებულ სახელს. 14. ვინა ვარ მე, ან ვინ არის ჩემი ერი, ამდენის შემოწირვა რომ შევიძელით? რადგან ყოველივე ეს შენგან არის, ეს ყოველივე შენი ხელით მოცემული შემოგწირეთ. 15. ვინაიდან მდგმურნი და ხიზანნი ვართ შენს წინაშე, ჩვენი მამა-პაპის მსგავსად. აჩრდილივით არის ჩვენი დღენი ამ ქვეყნად, არაფერია საიმედო. 16. უფალო, ღმერთო ჩემო! მთელი სიმდიდრე, რაც ჩვენ მოვამზადეთ, შენს წმიდა სახელზე სახლის ასაგებად, შენი ხელით არის მოცემული და შენია ყოველი. 17. ღმერთო ჩემო, ვიცი, რომ გულთამხილველი და სიმართლისმოყვარული ხარ. ეს ყველაფერი ჩემი წრფელი გულით შემოგწირე. ახლა კი გახარებულს ვხედავ აქ მყოფ შენს ერს, რომელიც შესაწირავს გიძღვნის. 18. უფალო ღმერთო აბრაამისა, ისაკისა, ისრაელისა და ჩვენი მამა-პაპისა! სამარადისოდ დაიცავი ეს. შენი ერის გულის ფიქრები და ზრახვანი და შენსკენ წარმართე მათი გულები. 19. და სოლომონს, ჩემს ძეს, მიეცი მრთელი გული, რომ

დაიცვას შენი მცნებები, შენი წესები და კანონები, რათა ყველაფერი გააკეთოს იმ შენობის ასაგებად, რომლისთვისაც მე მოვამზადე. **20.** უთხრა დავითმა მთელ კრებულს: აკურთხეთ უფალი, ღმერთი თქვენი! და აკურთხა მთელმა კრებულმა უფალი, თავისი მამა-პაპის ღმერთი. დაეცნენ და თაყვანი სცეს უფალსა და მეფეს. **21.** მეორე დღეს შესწირეს უფალს მსხვერპლები და აღსავლენი აღუვლინეს უფალს: ათასი მოზვერი, ათასი ცხვარი, ათასი კრავი, თავისი სალვრელით, და უამრავი მსხვერპლი მთელი ისრაელისათვის. **22.** იმ დღეს დიდი სიხარულით ჭამდნენ და სვამდნენ უფლის წინაშე. მეორე დღეს კი სოლომონ დავითის ძე გაამეფეს, უფლის წინაშე იგი წინამძღოლად სცხეს, ხოლო ცადოკი — მღვდლად. **23.** დაჯდა სოლომონი საუფლო ტახტზე მეფედ დავითის, მამამისის ნაცვლად. წარმატებული იყო და მთელი ისრაელი ემორჩილებოდა მას. **24.** ყველა მთავარი. მოყმე და მეფე დავითის ვაჟიშვილი ემორჩილებოდა სოლომონ მეფეს. **25.** დიდად აღამაღლა უფალმა სოლომონი მთელი ისრაელის თვალში და ისეთი მეფური დიდება უბოძა, ისრაელის არც ერთ წინამორბედ მეფეს რომ არ ჰქონია. **26.** დავით იესეს ძე მეფობდა მთელ ისრაელზე. **27.** ორმოც წელიწადს იმეფა მან ისრაელზე, აქედან შვიდი წელიწადი ხებრონში იმეფა, ოცდაცამეტი — იერუსალიმში. **28.** მოკვდა კეთილ სიბერეში, მაძღარი წლებით, სიმდიდრითა და დიდებით. მის ნაცვლად სოლომონი გამეფდა. **29.** დავით მეფის საქმენი, ადრინდელნი და უკანასკნელნი, სამუელ მხედველის სიტყვებში, ნათან წინასწარმეტყველის სიტყვებში და გად მხილველის სიტყვებშია აღწერილი. **30.** მთელს მის მეფობასთან. მის სიქველესთან და იმ ამბებთან ერთად, რომლებიც თავად მას, ისრაელს და სხვა ქვეყანათა სამეფოებს გადახდა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

# სისხლის წვიმები

რომანი

13

ბიძინა რომ წაიყვანეს, ქეთო გაშეშებული, პირში ენაჩავარდნილი იდგა და შიშისაგან ცახცახებდა. ის არ იყო მშიშარა ქალიშვილი, პირიქით, საკმაოდ გაბედული და თამამი გახლდათ, ცხოვრებისგან გამოჯირჯნული და ჯიუტი. მაგრამ ჩეკისტების მიმართ ბავშვობიდანვე თითქმის ზებუნებრივ ძრწოლას განიცდიდა, თითქმის ისინი რალაც ზეადამიანური სატანური ძალის მქონე მისტიური ავი სულები იყვნენ, ვიდრე ცოცხალი არსებანი. წელან თითქოს ცარიელ ქუჩაში უცბად ხალხი შეგროვდა, ზოგი მალაკნის ბაზრის მხრიდან მოვიდა, ზოგი სადგურის მხრიდან და ყველამ იმ კუთხეში მოიყარა თავი, სადაც ქეთო იდგა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ. რატომ აიყვანეს ის კაციო, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა და ალმაცერად დაუწყეს ცქერა კრიჭაშეკრულ ქეთოს. ჩეკისტები სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი, მიუხედავად ამისა, ეჭვი არავის ეპარებოდა იმ ხალხის ჩეკისტობაში და ქეთოს ესეც უკვირდა. ბოლოს ვილაცამ თქვა, დაპატიმრებული თურქეთის ჯაშუში ყოფილაო და ცოტა ხნის მერე, ყველანი ერთხმად იმეორებდნენ ამ ვარაუდს. ახლა ქეთოს იქ დგომა საშიშიც კი იყო და იგი სწრაფად გაეცალა იქაურობას.

წარმოდგენა არა ჰქონდა რატომ დაიჭირეს ბიძინა. იქნებ, მართლა თურქეთის ჯაშუში იყო? ეს სულაც არ იყო შეუძლებელი. რა უნდოდა ელზასთან, რატომ მოვიდა, იქნებ, ელზას ჩაბმას აპირებდა ჯაშუშურ საქმიანობაში, იცოდა რა მისი ძმის გერმანიაში გაქცევის ამბავი? ისიც განაცხადა, დღეს ჩამოვედი რუსეთიდანო, სადაც დაპატიმრება მემუქრებოდაო. მანამდე წყალტუბოს კოლონიიდან გავიქეციო. ყველაფერი ეს ძალზე საეჭვო იყო და ქეთო კიდევ უფრო შეშინდა, თან ის უკვირდა, თვითონ მას რომ ხელი არ ახლეს, არც კი დაკითხეს, ეტყობა, წინასწარ იცოდნენ ყველაფერი. შეიძლება ელზას ბინას დიდი ხანია უთვალთვალებენ? არ არის საჭირო ელზასთან ასე ხშირად სიარული. როგორც ჩანს, ბიძინასაც დიდი ხანია უთვალთვალებენ, თორემ ასე უცებ როგორ გამოიჭერდნენ?..

მიუხედავად ათასგვარი ეჭვებისა, უნდობლობისა და შიშისა, მაინც უნდოდა რაიმეთი დახმარებოდა ბიძინას, ვითარცა მამამისის ყოფილ მეგობარს და გადაწყვიტა მახარაძის ოცდაცხრაში ასულიყო და ბიძინას ბიძისთვის შეეტყობინებინა ბიძინას დაჭერის ამბავი. ვილაცამ ხომ უნდა იცოდეს,

---

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 2.

რაც ამ კაცს შეემთხვა?! კიდევ კარგი რომ ბიძინასგან შემთხვევით ნათქვამი მისამართი დაამახსოვრდა. ბნელი ქუჩები ჩამოიარა, ნახევრად ცარიელ ტრამვაის დააჯდა, ფედერაციის მოედნამდე თითქმის მარტოდ-მარტო იმგზავრა, იქედან ფეხით განაგრძო გზა სოლოლაკისკენ, მახარაძის ოცდაცხრას იოლად მიაგნო. სადარბაზო შესასვლელ სამხედრო კიტელში და ყავისფერ კრაგებში გამოწყობილი მამაკაცი იდგა და პაპიროსს ეწეოდა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ? — ჰკითხა ქეთომ.

— დიახ.

— ხომ არ იცით, ბიძინა ნიგურიანის ბინა რომელია, უფრო სწორად, მე ბიძამისს ვეძებ.

— რაშია საქმე, მე ვარ ბიძინას ბიძა.

— ბიძინა წელან დააპატიმრეს მალაკნის ბაზართან! — მყისვე მიახალა ქეთომ, თითქოს ტვირთი მოიშორაო.

მამაკაცმა პაპიროსი გადააგდო. „მობრძანდით, გენაცვალე!“ უთხრა ქეთოს და მეორე სართულზე აიყვანა მარმარილოს ფართო, მრგვალი კიბით. გააღო ოთახის კარი, ქალიშვილი შინ შეიპატიჟა, აანთო სინათლე, მაგიდასთან მიიწვია, დასვა სკამზე, კარადიდან კონიაკის ბოთლი და ხილი გამოიტანა და თვითონაც დაჯდა.

— თქვენ საიდან იცნობთ ბიძინას?

— დღეს გავიცანი, ჩემი ყოფილი მეზობლის ელზა გედევანიშვილის ოჯახში. თურმე, მამაჩემის ამხანაგი ყოფილა.

— რა უნდოდა მაგ ოჯახში ბიძინას?

— არ ვიცი, ისე მოვიდა, მოიკითხა ელზა, თურმე ელზას ძმასთან, მიშასთან ერთად სწავლობდა.

— გერმანიაში რომ გაიქცა?

— დიახ.

— ძალიან მადლობელი ვარ ეს ამბავი რომ შემატყობინეთ. ახლა გავიცნოთ ერთმანეთი. მე ბიძინას ბიძა ვარ დედის მხრიდან, ისიდორე ქლენტი. ვეცდები ბიძინას როგორმე დავეხმარო. თქვენი სახელი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ქეთო სამწარაძე.

— ჩემო ძვირფასო ქეთო, ძალიან გთხოვთ, არავის უთხრათ ამ საღამოს ჩემთან რომ იყავით. არსად წამოგცდეთ ,რომ ბიძინას ბიძა გააფრთხილეთ. ეს ძალიან საშიშია თქვენთვის. შეიძლება ვინმე გამოგედავოთ და რაიმე უსიამოვნება შეგამთხვიოთ. ბიძინას მე მოვუვლი, მაგრამ არავინ არ უნდა იცოდეს, რომ თქვენ მე მნახეთ. ამ ეზოში ბიძინას არავინ იცნობს, ჩვენ სხვადასხვა გვარის ხალხი ვართ და კაცმა არ იცის თუ ასეთი დისწული მყავს. არც მინდა იცოდნენ. რა საჭიროა? ბიძინა გზააბნეული კაცია, თვითონაც შეატყობდი. ჩვენი მეგობრობა კი, — თუ ნებას მომცემთ ასე ვიტყვი, — აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, თქვენისთანა მშვენიერი და თამამი ქალიშვილი ჩემს ჭარმაგ გულში მოწიწებას და აღფრთოვანებას იწვევს და ვეცდები დიდი მეგობრობა და თანადგომა გაგიწიოთ ცხოვრების გზაზე. ახლა მითხარით სად ცხოვრობთ, როგორ ცხოვრობთ, სწავლობთ თუ მუშაობთ, თან ეს ერთი ჰიქა კონიაკი გადაჰკარით, ჩვენი გაცნობისა და დამეგობრების სადღეგრძელო.

კონიაკი თავისდღეში არ დამილევია.

— მერე? ოდესმე ხომ უნდა გადადგათ პირველი ნაბიჯი? მართალია, პირველი ნაბიჯის გადადგმა ყოველთვის ძნელია, მაგრამ ამ ნაბიჯის შემდეგ ადამიანს ფართო შესაძლებლობები ეხსნება, ამიტომ პირველი ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია ყველა საქმეში, და მოდით, ამ პირველი ნაბიჯის წარმატება ვისურვოთ. — გაბადრული ღიმილით შესცქეროდა ისიდორე ქეთოს, ვითარცა გველი თავის მსხვერპლს, თან ხილს უთლიდა და თეფშზე უწყობდა, და თვალები დაჟინებული მიშტერებით ნუსხავდა თითქოს.

სამიოდე ჰიქა ისე დაალევინა, რომ ქეთოს უარის თქმა აზრადაც არ მოს-

ვლია, თითქოს თავიდანვე იგრძნო, რომ განწირული იყო, არაფერი გაუვიდოდა. კონიაკმა აალაპარაკა, თავისი ამბების მოყოლა მოუნდა, მაგრამ დალაგებულად არ გამოსდიოდა, უადგილოდ ეცინებოდა, ისიდორე კი დიდი ინტერესით უსმენდა და თავს უქნევდა; მაგრამ მისი ყინულივით ცივი შავი თვალები არ ილიმებოდნენ. იოტისოდენად არ იცვლებოდნენ და ქეთოს ეს არ მოსწონდა, ნუ მიყურებთ ასე სერიოზულადო, თხოვა რამდენჯერმე. კიდევ ერთი ჭიქაც რომ შესვა, თავბრუ დაეხვა, თვალთ დაუბნელდა და მაგიდას მოეჭიდა, რომ სკამიდან არ გადმოვარდნილიყო, ოთახი დატრიალდა, გაბრჭყვიალებულმა ჭაღმა ქანაობა დაიწყო, სარკე წინ გადმოიზნიქა და დაამახინჯა შიგ არეკლილი სურათი. „ცუდადა ვარ, სახლში უნდა წავიდე", ძლივს წარმოსთქვა ქეთომ, „ახლავე, გენაცვალე", ხელი შეაშველა ისიდორემ. წამოაყენა, აიტაცა, ბნელ ოთახში გააქანა და იმავე საწოლზე დაასვენა, სადაც ოდესღაც ელეონორა წულუკიძე იძინებდა. კმაყოფილებით მოისრისა ხელები, დაიხარა, უძრავ სხეულს დააკვირდა, ფრთხილად გახადა ტანსაცმელი, მთლიანად გააშიშვლა და ერთხანს სახემოღრეცილი და აცახცახებული დასცქეროდა სიბნელეში ქალიშვილის ქათქათა ტანს. მერე დიდ ოთახში გაბრუნდა, ერთი სირჩა კონიაკი გადაჰკრა, სინათლე ჩააქრო და ისევ იქ შევარდა, სადაც უგრძნობლად მთვრალი ქეთო გაშიშვლებული იწვა ლოგინში...

უკვე მეორე დილით, ისიდორეს მდიდრულ აბაზანაში რომ ბანაობდა, მომხდარი ამბით გაოგნებულ ქეთოს უცნაური იმედებიც ჩაესახა. დიდხანს იბანავა, ააქაფქაფა წყალი სურნელოვანი საპნით, მერე დიდხანს იმშრალებდა ტანს ხაოიანი გრძელი სახოცით, მერე კაჩხაზე ჩამოკიდებული ხალათებიდან ყველაზე ძვირფასი და ფაფუკი ამოარჩია და მოიხურა, თითქოს ამ ხალათის პატრონის, ოჯახის დიასახლისის ჯინაზე, თვალით რომ [illegible] ენახა, მაგრამ უკვე სძულდა, [illegible] ქე და ხელისშემშლელი. თმა გადაივარცხნა და სახეაფაკლული დიდ ოთახში გამოვიდა, სადაც ისიდორეს საუზმე გაეწყო და ელოდებოდა, ჩაიდანი ბოლავდა, ერბოკვერცხი შიშინებდა, ხიზილალა და ფრანგული ფუნთუშა სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდა, კონიაკის ბოთლიც იქვე იდგა და ქეთომ ზიზღით შეავლო თვალი ამ ბოთლს. სამაგიეროდ ჭურჭლეულობა ძლიერ მოეწონა, საერთოდ, ეს ბინა მეტისმეტად ხიბლავდა, დიდი მოოქროვილი სარკე, კედელზე აკრული ირმის რქები და ძვირფასი კედლის საათი თავის უბადრუკ ყოფას აგონებდა და კიდევ უფრო შესძაგდა თაგვის სოროსხელა გულშემზარვი ცხელი ოთახი, აყროლებული საერთო საპირფარეშოთი და აქოთებული საერთო სამზარეულოთი, ხმაურიანი, მტვრიანი ქუჩის პირზე, ფანჯრიდან გამუდმებით რომ შემოდიოდა მალაკნის ბაზრის ყაყანი და მოსვენებას უკარგავდა. ბავშვობიდანვე სიმდიდრეზე ოცნებობდა, უზრუნველი ცხოვრება არსებობის მიზნად მიაჩნდა და დაუძლეველი ბოლმა იპყრობდა, რომ ვითარებათა მდინარებამ სულ სხვაგვარად წარმართა მისი ბედი. დარწმუნებული იყო, სხვებზე არანაკლებ იმსახურებდა კეთილდღეობას და სხვებზე არა ნაკლებ შეიშნობდა ძვირფასთვლიან ბეჭდებს, შავი მელიის საყელოს და კარაკულის ბეწვის ქურქს. მდიდრულად მოწყობილი ბინები, ჩაპინდელის ავეჯი, ბექერის როიალი, კედლებზე ძვირფას ჩარჩოიანი სურათები, ბროლისა და ფაიფურის ჭურჭლეულობა და ვერცხლის დანაჩანგალი მდიდრულ და მოდურ ტანსაცმელთან ერთად ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების მიზანს წარმოადგენდა მისთვის, ანუ იმ მეუფებას, საცა არ არის არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული დაუცხრომელი, ის იცნობდა ისეთ ხალხსაც, თუნდაც ყოველმხრივ მოკრძალებულ ელზას, რომ

ლისთვისაც სიცოცხლე იყო არა წყარო სიამოვნებისა, არამედ გამოცდა, სატანჯველი, ღმერთთან მიახლოების საშუალება, მაგრამ ასეთი ხალხისა ქეთოს არაფერი სწამდა და სისულელედ მიაჩნდა მათი ლაპარაკი. ჯერ ერთი ღმერთი არსებობს თუ არა არავინ უწყის, და მეორეც, ერთხელ მოდიხარ ამ ქვეყნად და შენ გემოზე უნდა იცხოვრო. ამიტომ სიმდიდრე იყო მისი ყველაზე სანუკვარი ოცნება, მიუღწეველი და უფრო მეტად სანატრელი. და სწორედ იმ დილით, ისიდორე ყლენტის საკმაოდ მდიდრულ ბინაში ღირსეულ ქალბატონად რომ წარმოიდგინა თავი, სრულიად გამოკვეთილი იმედი ჩაესახა იმისა, რომ თუ ჭკვიანად მოიქცეოდა და ისიდორეს გამოიყენებდა, იმის ასაკს და მამაკაცურ უსუსურობას შესაფერისი მოხერხებით და ეშმაკობით მიუდგებოდა, შეიძლებოდა იმ სანუკვარ ცხოვრებას ზიარებოდა. რომელზედაც ოცნებობდა და რომლის გამო სხვებისა შურდა. ჯერ არც კი იცოდა ვინ იყო და რა კაცი იყო ისიდორე, მაგრამ ეს იმედები მტკიცედ დაისახა და მზად იყო საბრძოლველად. ბუფეტის თაროზე ისიდორეს ცოლშვილის ჩარჩოში ჩასმული სურათი იყო ჩამოდგმული და ესენი ვინ არიანო, რომ ჰკითხა მასპინძელს და ჩემი ცოლშვილია, ახლა კოჯორში მყავს დასასვენებლად გაგზავნილიო, რომ მიიღო პასუხი, — დამცინავად ჩაიცინა, ცოლი ვერ გყოლია მაინცადამაინც ეშხიანი და ახალგაზრდაო, და კიდევ უფრო აღივსო ბრძოლის ჟინით. პურზე კარაქს და ხიზილალას ისვამდა, რძიან ყავას შეექცეოდა და მომავალ გამარჯვებებზე ოცნებობდა.

— კონიაკს ხომ არ მიირთმევ? — შეეკითხა ისიდორე.

— კონიაკი აღარ გამაგონო! — თვალები დააბრიალა ქეთომ. იმ დღიდან მას კონიაკი სამუდამოდ შესძულდა.

საუზმეს რომ მორჩნენ, ქეთო მეორე ოთახში გავიდა, მარუსას ხალათი გაიხადა და თავისი ტანისამოსი ჩაიცვა. ისიდორე ისევ მწვანე ფრენჩში და ყავისფერ კრაგებში იყო გამოწყობილი.

— მართალია, დღეს კვირაა. მაგრამ მე მაინც სამსახურში უნდა წავიდე! — ბოდიშივით უთხრა ქეთოს.

— სად მუშაობ?

— შინსახკომში!

ქეთომ გაოცებისაგან პირი დააღო და შიშისაგან გული გადაუფრიალდა. ერთბაშად გაქცევა მოუნდა, წელანდელი ოცნებები მსწრაფლ დაავიწყდა, მიხვდა, ისიდორე მარტივი კაცი არ იყო და თუმცა ლოგინში არაფრად ვარგოდა, მაინც დიდი ძალა ჰქონდა, ადვილად თავს ვერ მოუვლიდი.

— ახლა შენ ქვემოთ ჩემი მანქანა გელოდება, ჩემო ქეთო. შოფერი მიგიყვანს შინ, მაგრამ უნდა ვცადოთ, ის შენი ბინა, სადმე აქეთ, ჩვენს უბანში გადმოვცვალოთ. არც შენი სამსახური მომწონს. როდემდე უნდა იყო უბრალო მკერავად ატელიეში? გამომჭრელის ხელობა უნდა შეისწავლო. აი, ეს ფული ჩაიდე პორტმანში და რაც გინდა იყიდე. ეს სუნამოც ჩემგან გქონდეს, ძალიან ძვირფასია. როცა შენთან შეხვედრის საშუალება მექნება შოფერი მოგაკითხავს, მაგრამ ყოველშემთხვევისათვის, აჰა, ეს ჩემი სამსახურის ტელეფონიც გქონდეს და თუ ძალიან დაგჭირდე, მხოლოდ მაშინ დამირეკე!

ორი დღის შემდეგ, ატელიეს დირექტორმა დაიბარა და გამომჭრელის შეგირდად გადაიყვანა. ოდესიდან ჩამოსულ ამ გრძელულვაშა ებრაელს მთელი თბილისი იცნობდა და ქალაქის საუკეთესო ლამაზი ქალები მასთან იკერავდნენ თავიანთ კაბებს. ერთი კვირის შემდეგ, საღამო ხანს, ისიდორეს ახალგაზრდა მძღოლმა მიაკითხა შინ, აიკარი გუდა-ნაბადი, ახალ ბინაში გადადიხარო.

— ვარგა, კი მაინც ის ბინა? — გაიპრანჭა ქეთო.

— ამასთან შედარებით მთავარმართებლის სასახლეა!

ეს სახლი ენგელსის ქუჩაზე მდებარეობდა. ბნელი სადარბაზოთი ადიოდი მეორე სართულის ბაქანზე, აღებდი დიდ, მძიმე კარს და შედიოდი ჩაბნელებულ და ჩახუთულ ვიწრო საერთო ტალანში. აქ სამი ოჯახი ცხოვრობდა. საპირფარეშო და სამზარეულო ამათაც საერთო ჰქონდათ, მაგრამ თუ მოისურვებდა, ქეთოს შეეძლო შუშაბანდში აედუღებინა ჩაი, ნავთქურაზე. ოთახი დიდი იყო, შუშაბანდიც განიერი და გასცქეროდა იგი ნარიყალაზე გაშენებულ ხეივანს, უზარმაზარ ეზოს და ნარიყალას კლდის ძირში შეყუჟულ აგურის სახლებს. რიყის ქვით მოკირწყლული ეზოს შუაგულში შემოღობილი ბაღჩა იყო გაშენებული, საღამოობით მეზობლების შესაკრები, ნარდის სათამაშო ან ღვინის სასმელი ადგილი. ოთახში ბუფეტი, კომოდი და სასადილო მაგიდა იდგა, რამდენიმე ვენური სკამი. ფანჯრებზე ეწყო საინჟინრო წიგნები, რომელიც ქეთომ მეორე დღესვე გადაყარა. ბუფეტში ჭურჭლეულობა ელაგა. კომოდში — თეთრეული. ეს ავეჯი აქ ადრე ბინადართ ეკუთვნოდათ. ცოტა ხნის წინათ, ამ ბინაში გერმანიაში სწავლა მიღებული ახალგაზრდა ინჟინერი კაპანაძე ცხოვრობდა თურმე, რომელიც ამას წინათ დაეჭირათ და დაეხვრიტათ, ვითარცა მავნებელი და ჯაშუში. მისი გერმანელი ცოლიც დაეპატიმრებინათ, მისი ორი შვილი უპატრონო ბავშვთა სახლში მიებარებინათ, მაგრამ იქედან ერთერთ ნათესავს გამოეყვანა და ახლა მასთან იმყოფებოდნენ. ერთხელ ამ ნათესავმა მოაკითხა ქეთოს და ბავშვების საცვლები და თეთრეული თხოვა, აგრეთვე ჭურჭლის მცირე ნაწილი. ქეთომ კინწისკვრით გააგდო კარში ის დედაკაცი, რა მოგიბარებია ჩემთვის, რასა მთხოვო. ამის შემდეგ მეზობლები ალმაცერად უცქეროდნენ ქეთოს, არც კი ელაპარაკებოდნენ, სამზარეულოში რომ შედიოდა, ზურგს აქცევდნენ. ქეთომ ისიდორეს შესჩივლა, მეზობლები ცუდად მეპყრობოდნენ და ისიდორემაც ურჩია. ჭორიკანობით ყურადღებას ნუ მიაქცევო, მერე ვნახოთო. ქეთოც აინუნში აღარ აგდებდა მეზობლებს, თუმცა ერთერთი ქალბატონი მაინც გააფრთხილა, ჭკვიანად იყავით, თქვენც იმ ხალხის მტერ კაპანაძეს არ მიგაყოლოთო. როცა ქეთოსთან მოსული ისიდორე შეამჩნიეს მეზობლებმა, კარგა გვარიანად დაშინდნენ და ცდილობდნენ თვალში არ შეჩხეროდნენ არც ახალ მდგმურს და არც მის მწყალობელს. არც ეჩხირებოდნენ. ისიდორე ყოველთვის გვიან ღამით მოდიოდა და დილით უთენია მიდიოდა. იგი არცერთხელ არ მოსულა ხელცარიელი და ამიტომ მისი სტუმრობა ქეთოს იმდენადვე უხაროდა, რამდენადაც მისი უილაჯო მახინჯი ალერსი თითქმის ზიზღს ჰგვრიდა. მაგრამ თანდათან ეჩვეოდა ამ ვითარებას, ხოლო ყოველი ასეთი სტუმრობის შემდეგ, ბეჭდები, ყურსაკიდები, ყელსაბამები და საკაბეები მატულობდნენ ქეთოს ხაზინაში. მალე იგი მარჯანიშვილის თეატრში გადაიყვანა ისიდორემ სამუშაოდ და თხოვა. არტისტების საუბარს ყური მიუგდე, მაინტერესებს რაზე მსჯელობენ, რას ფიქრობენო.

სულ მალე ქეთო არტისტულ საზოგადოებაში გაერია, გაიცნო ახალგაზრდა მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები და დრამატურგები. ხატვა თვითონაც ეხერხებოდა და ეს ეხმარებოდა ჰრა-კერვის ოსტატობის დახვეწაში. კარგი ოსტატი დადგა, გემოვნებიანი, ფული უხვად ჰქონდა, კოხტად იცვამდა და იხურავდა, მოდაზე ივარცხნებოდა და ილებებოდა, თეატრში უკვე გამოირჩეოდა, მსახიობი ქალიშვილები უახლოვდებოდნენ, უმეგობრდებოდნენ, ჰირვარამს უზიარებდნენ და თუ რამე ჰქონდათ შესაკერი რჩევას ეკითხებოდნენ. სპექტაკლებს ქეთო არ აკლდებოდა, ზოგჯერ, გვიან ღამით, ისიდორეს მანქანა

რომ მოაკითხავდა, ყველანი რიდით შესცქეროდნენ, იცოდნენ ძლიერი მფარველი ჰყავდა და ზედმეტი სიტყვის თქმას ერიდებოდნენ, მაგრამ მიუხედავად საყოველთაო შიშისა, ადამიანებს ძვალსა და რბილში რომ გაჯდომოდათ, ცხოვრება თავისი გზით მიედინებოდა, გართობას და დროსტარებას ყველა ეწაფებოდა, თეატრი და მისი ინტრიგები ყოველ ასე თუ ისე განათლებულ ოჯახში ცხარე საუბრის თემას წარმოადგენდა და ქეთოც ჩაერთო თეატრალურ ორომტრიალში. იცოდა, ვინ ვის ყვარობდა, ვინ ვის მტრობდა, ვინ ვის წყალობდა, ვინ ვის უთხრიდა სამარეს. იცოდა სად რა დადგმა მზადდებოდა, რომელ წარმოდგენას ზემოთ რა წარმატება ელოდებოდა, ელზასთან კავშირი მთლიანად გაწყვიტა, იგი აღარც კი აგონდებოდა, რომ გაიგო, დააპატიმრესო, ეწყინა, მაგრამ დიდხანს არ უდარდია, სულ მალე გადაავიწყდა, ისიდორესთვის არც კი უკითხავს, რა დააშავა ამ ქალმაო. ახალ წრეში თავს უკეთ გრძნობდა და ახალ თავგადასავლის, ნამდვილი რომანის გაჩაღების სურვილი არ ასვენებდა.

თეატრში საუკეთესო ახალგაზრდობა იყრიდა თავს და მათ შორის ქეთოს განსაკუთრებით მოსწონდა განუყრელი მეგობრები, კომპოზიტორი გივი ამილახვარი და მხატვარი კოკი ჭიჭინაძე. ორივენი შესანიშნავი ბიჭები იყვნენ შესახედავად, შესანიშნავად უკრავდნენ და შესანიშნავად მღეროდნენ, ნებისმიერ წვეულებაზე სანატრელ სტუმრებს წარმოადგენდნენ და ქეთოც სხვა ახალგაზრდა ქალების დარად, ცდილობდა მათთან დაახლოებას, მიუხედავად იმისა, რომ კოკის ნორჩი მსახიობი დოდო მოსწონდა და იმას დასდევდა, ხოლო გივის ყველა ლამაზი ქალი მოსწონდა და ყველას დასდევდა. თეატრში ამათ ნამუშევარს დიდი გასავალი არა ჰქონდა, ამიტომ ფული ორივეს უჭირდა. კოკი ვიღაც ნათესავთან იყო შეკედლებული, გივის ერთი ოთახი ჰქონდა ვერაზე, ძველ სასაფლაოსთან, იმ სახლში, რომელიც ოდესღაც პაპამისს აეშენებინა და რევოლუციამდე მის ოჯახს ეკუთვნოდა. საკმაოდ მოზრდილ ოთახში შავი როიალი იდგა, რომელიც მაგიდის მოვალეობასაც ასრულებდა, სუფრას ზედ შლიდნენ, ღვინის ბოთლებს ზედ დგამდნენ. აქ ხშირად იკრიბებოდნენ გივის მეგობარი ქალ-ვაჟნი, კონსერვატორიის სტუდენტი გოგონები და მოდარდიმანდო თბილისელი ბიჭები, მომღერლები და მოცეკვავეები, იყო სიმღერა, დაკვრა, ლექსები და მონოლოგები, შექეიფება შეგროვილი ფულით ნაყიდი ღვინით და მხოლოდ შუღამეზე იშლებოდა სიცილ-კისკისით ეს კრებულობა, ალგზნებული და გახალისებული. მაგრამ ვიღაც აუცილებლად რჩებოდა გივისთან გოგონათაგან, ვითომ სუფრის ალაგების და ოთახის წესრიგში მოყვანის მიზნით, ალბათ, ის, ვინც უფრო შორს ცხოვრობდა, რას გაიგებდი, ამას მე გავაცილებო, ამბობდა ხოლმე გივი ასეთ შემთხვევაში, თუმცა მისმა ძმაკაცებმა იცოდნენ რისი გამცილებელიც იყო. ზოგჯერ, ვინმე უბინაო ყმაწვილთაგანიც აქ ათევდა ღამეს, მადლობა ღმერთს გივის კარი ყველასათვის ღია იყო დღისით და ღამით. ნოტების გარდა არაფერი აქ არ ეყარა, ძნელი მისახვედრი იყო რისთვის იყენებდა ამ ნოტებს გივი, როდის წერდა თავის სიმღერებს, როდის იცლიდა, როდის მარტოვდებოდა. მის ერთადერთ სიმდიდრეს გალიაში ჩასმული თუთიყუში წარმოადგენდა, რომელიც დროდადრო გადმოსძახებდა ხოლმე „გივი, სულელო!“ რაც ამ ფრინველის უეჭველი გონიერების დამადასტურებელ საბუთად ითვლებოდა გივის მეგობართა წრეში, სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს თუთიყუშიო, ამბობდნენ ისინი, მაგრამ ქეთოს მაინც ხიბლავდა გივის თავქარიანობა და უდარდელობა. იგი მარტოხელა კაცი იყო, მისი წინაპრების და ნათე-

სავების სურათები კედლებზე ეკიდა მყუდრო, ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული. ეს იყო მშვენიერი ხალხი. მშვენივრად ჩაცმულ-დახურული, მშვიდად და ამაყად მომზირალი. ასეთი ჩოხოსანი ვაჟკაცები და კრიოლინის კაბებიანი ლამაზმანები ახლა სადღა შეგხვდებოდა თბილისის ქუჩებში, ზოგი მათგანი ამ ხალხიდან საზღვარგარეთ გახიზნულიყვნენ ცხრაასოცდაერთ წელს, ზოგნი ბოლშევიკებს დაეხვრიტათ ცხრაასოცდაოთხ წელს, ზოგნი თავის სიკვდილით დახოცილიყვნენ გაჭირვებასა და სილატაკეში, გივი მოკლედ ყვებოდა მათ ისტორიას, ხელს ჩაიქნევდა ხოლმე ნიშნად იმისა, რომ სიცოცხლე მუდმივი წყვდიადიდან წამიერ და შემთხვევით გამოსხივებად მიაჩნდა, რომელსაც არ ჰქონდა აზრი და ამიტომ ეპყრობოდა დაუდევრად, რადგან ყოველივე არის დენადი, სწრაფწარმავალი, ვითა მდინარე, შესართავთან რომ არასოდეს არის ისეთი, როგორიც სათავეშია. არც სიკვდილის კარიბჭესთან მიღწეული მოხუცია ის ბალღი, ოდესღაც უდარდელად რომ დასდევდა პეპლებს ყვავილებით მოფენილ მინდორში. რაც უფრო დიდია მდინარე, მით უფრო მეტ შენაკადებს შეიცავს და მით უფრო დიდ სივრცეებს სერავს, დიდი კაციც თავის ცხოვრებაში უამრავი ადამიანის ცხოვრებას იერთებს, უამრავ ფიქრებს, აზრებს, განწყობილებებს, ვნებებს ითავისებს, რომელთა ნაკადი ერთ არსშია მოქცეული და მთლიანობას წარმოადგენს, ვითარცა მდინარე აბობოქრებული, განუწყვეტლივ რომ ივსება და იცვლება თავისი დინების გზაზე და მაინც ერთია, ერთი რაობის მატარებელი. ეს სიდიადე ხშირად ქმნის უსასრულობის, უწყვეტობის. ანუ უკვდავების ილუზიას, მაგრამ აუცილებლად დგება ჟამი, როცა უკანასკნელი წვეთი წყალიც ჩაივლის, დაიწრიტება და გივი სევდით შესცქეროდა თავის ბალღობის სურათს, წამით დაჭერილ გაუმეორებელ მომენტს, მეზღვაურის თეთრ ტანსაცმლიან პატარა ბიჭუნას გაკვირვებულ სახეს, რომელთანაც აღარაფერი აკავშირებდა, თუმცა ჯერ კიდევ ახსოვდა, როგორ წაიყვანეს მშობლებმა ფოტოგრათან ამ სურათის გადასაღებად...

მოულოდნელად გივი ჩუმდებოდა, თანამოსაუბრეს ბოდიშს უხდიდა ზედმეტი ყბედობისათვის და დარცხვენით ულიმოდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დროსტარების დიდი ტრფიალი იყო. უაღრესი თავაზიანობა და კეთილმოსურნეობა მაშინაც კი არ ღალატობდა, როცა ღვინისგან გატრეტილი ძლივს იდგა ფეხზე, და ქალს სხვა რა უნდა ყურადღების გარდა, შეიძლება იგი ყურადღებას სიყვარულზე მეტად აფასებდეს კიდეც და ამისთვის უფრო გემადლიერებოდეს.

თუმცა გივით ძლიერ მოხიბლული იყო, ისიდორესთან კავშირის გაწყვეტას ქეთო სულაც არ აპირებდა. მან კარგად იცოდა, რომ ისიდორე სჭირდებოდა და მხარს უმაგრებდა. ერთხელ, ერთმა მოხუცმა და ჭირვეულმა მსახიობმა რაღაცაზე აწყენინა, ეხლანდელი ჯეელები, ეს თმაგაკრეჭილი „კომსომოლკები“ ზრდილობაზე ზერელედ არიანო, ხმამაღლა განაცხადა ქეთოს მისამართით და ქეთომაც იმ ბუზღუნა მსახიობის გამონათქვამი მყისვე აცნობა ისიდორეს. რამდენიმე დღეში ის მოხუცი თეატრიდან გააქრეს. განა ეს ცოტა რამეს ნიშნავდა; როცა შეგეძლო შენი სურვილისამებრ გადაგეწყვიტა არასასურველი კაცის ბედი? ისიდორეს საშუალებით ქეთოსთვის ეს ძნელი არ იყო და ამ ძალას ხელიდან ვერ გაუშვებდა, და არც უშვებდა, მაგრამ მისი ახალგაზრდა არსება ახალგაზრდული გარემოსკენ, თავისი მსგავსებისკენ მიისწრაფოდა. იქ, სადაც ისმოდა სიცილი, სიმღერა, ოხუნჯობა.

სამწუხაროდ, გივი ქეთოს არავითარ განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა. განსაკუთრებული ყურადღებით იგი არავის ანებივრებდა, ისეთი შთა-

ბექდილება რჩებოდა, რომ დღეს თუ ერთთან იყო, ხვალ მეორესთან, ზეგ მესამესთან და მაზეგ მეოთხესთან, ამაში დიდ განსხვავებას ვერცა ხედავდა. როგორც ჩანს, ყველა ქალი მისთვის ერთნაირად ალიქმებოდა, რადგან თავისი მრავალრიცხოვანი მეგობრებიდან არავინ ჰყავდა გამორჩეული. შემთხვევა განაგებდა მის არჩევანს და არა მიზანსწრაფვა, ეტყობა. გულის სიღრმეში არავის არ ენდობოდა და ქეთო მიხვდა, თვითონ უნდა გამოელო ხელი და არ უნდა ეცადა ბედნიერი შემთხვევისათვის, თუმცა ამბობენ ქალის ხვედრი ლოდინიაო, მაგრამ ქეთო ის ქალი არ გახლდათ, ვისაც დიდხანს ლოდინი შეუძლია.

ორჯერ იკისრა პურმარილი ამ მხიარულ არიფანაში და მესამედ ღამის გასათევად გივისთან დარჩენა მოახერხა. გარდა როიალისა, გივის ოთახში ედგა ორსაწოლიანი დიდი, ძველებური ლოგინი, მშობლების დანატოვარი, როგორც ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, შუაღამისას, როცა ყველანი დაიღალნენ და ღხინმა ეშხი დაჰკარგა. სწორედ ამ ლოგინზე მიწვა ქეთო და თავი მოიმძინარა. როცა სტუმრები აიშალნენ და წასვლა დააპირეს, ქეთო ვერაფრით ვერ გააღვიძეს და გივი იძულებული გახდა ეთქვა, დაანებეთ თავი, იყოს, მერე მე გავაცილებო.

იმ ღამით ქეთო გივის ხასაც გახდა, მაგრამ ცხოვრება მისი უფრო დამძიმდა და დაიძაბა. უპირველეს ყოვლისა, ისიდორესთვის ყველანაირად უნდა დაემალა ეს ურთიერთობა, რაც სულ არ იყო ადვილი საქმე. გარდა ამისა, არც გივი იყო სანდო მიჯნური, იგი არც არაფერს მოითხოვდა და არც არაფერს გპირდებოდა. ასეთი დამოკიდებულება ქეთოსათვის ძნელი ასატანი შეიქნა. ძალაუნებურად სავარაუდო მეტოქისადმი შური და მტრობა უჩნდებოდა და ათასგვარი საზრუნავი დაატყდა. ზოგჯერ, იმდენად უჭირდა გივის დათმობა, რომ თავსაც იმცირებდა. თვითონაც გრძნობდა, რომ ღირსეულად ვერ იქცეოდა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. როცა ერთხელ გივი გორში გაემგზავრა საკონცერტოდ ერთ მოხდენილ მომღერალ ქალიშვილთან ერთად, ეჭვისგან გაშმაგებული ქეთოც აეკიდა, აეტორღიალა, თუმცა სრულიად ზედმეტი იყო და გორშიც არავინ მას არ ელოდა. „წამოვალ, გორი ჩემი სამშობლოა, ბავშვობის მერე იქ არა ვყოფილვარო!“ „წამოდიო!“ უთხრეს ცივად. კონცერტმა ჩინებულად ჩაიარა, გივის და მედიკოს, გივის სიმღერების შემსრულებელ მომღერალს, დიდი წარმატება და პატივი ხვდათ წილად. კონცერტის შემდეგ სუფრა გაუშალეს, ლხინი დილამდე გაგრძელდა, დილით, უთენია მატარებელში ჩასვეს და თბილისში გამოისტუმრეს ხილით და ჩურჩხელებით დასაჩუქრებული ხელოვანნი, და ქეთო, მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარ გულს ასკდებოდა ბრაზისგან, უყურადღებობისგან, რადგან არც კონცერტის მომწყობებმა იცოდნენ ვინ იყო ის და არც გივი და მედიკო იცლიდნენ მისთვის. მათ თავიანთი საქმე ჰქონდათ. ხოლო დარბაზში უტყვად მჯდარ ქეთოს ვინ შეადარებდა სცენაზე წკრიალა ხმით მომღერალ მსახიობს? თბილისის სადგურზე რომ ჩამოვიდნენ, დაღლილ გივის და მედიკოს წინ გადაასწრო და უცებ ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. მისკენ მომავალი ტანადი ვაჟკაცი, უშნოდ ჩაცმული და დაჩაჩანაკებული, აშკარად ბიძინა ნიგურიანი იყო და როცა გაუსწორდა, ხელი სტაცა.

— როდის გამოგიშვეს ციხიდან?

— მეორე დღესვე, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

— ახლა სად ხარ. სად მუშაობ, სად მიდიხარ?

— გორში მივდივარ!

სანამ ბიძინას ელაპარაკებოდა მედიკო და გივი შორიახლო შეჩერდნენ და ელოდნენ. ბიძინას რომ დაშორდა, ჰკითხეს, ვინ იყო ეგ კაციო?

— ჩემი ყოფილი თანამშრომელი! — ამაყად განუცხადა ქეთომ.

— კარგი ვაჟკაცი კი ჩანს, მაგრამ მე მებარგული მეგონა!

— იავადმყოფა და გახდა, ახლა გორში მუშაობს ინჟინრად.

იმავე საღამოს ისიდორრეს უსაყვედურა, შენი დისშვილი რომ გამოუშვიათ ციხიდან, რატომ არ მითხარიო?

— რომელი ჩემი დისშვილი?

— რომელი და ბიძინა წიგურიანი.

— ვინ გითხრა? — წამოიძახა ისიდორრემ.

— ქუჩაში შემხვდა ამ დილით, გორში დაუწყია სამსახური.

— სად შეგხვდა, რა ადგილას?

— ვერის ხიდზე.

— კარგი. მე ეხლა წავალ, პატარა საქმე მაქვს, სხვა დროს შემოგივლი,— და ახლად მოსული ისიდორრე წამოდგა და წავიდა.

მაგრამ სანამ წავიდოდა. ქეთოს ფული დაუტოვა და ის ფული ქეთომ ისევ გივისთან დახარჯა. ისევ დაკვრა, სიმღერა, ლექსები, ისევ როიალზე გაშლილი სუფრა. მივიდოდნენ როიალთან, დაისხამდნენ ღვინოს, დალევდნენ. ზოგი სად იჯდა, ზოგი სად წამოწოლილიყო, ისევ ხუმრობა, მხიარულება და გივის მუდმივი თავაზიანობა, მაგრამ გარეგნული ყურადღება ქეთოს გულს აღარ აკმაყოფილებდა. მას უნდოდა უფრო მეტი, უნდოდა ეგრძნო, როგორ ზრუნავდა გივი მისთვის, ყველანი რომ წავიდნენ, უსაყვედურა, მე შენში მეგობარს ვერა ვხედავო, შენ მარტო სარეცელი გაინტერესებსო.

— ძვირფასო ქეთო, ნუ დამიწყებ სისულელეებზე ლაპარაკს. ხომ ხედავ ცხოვრება რა წარმავალი და არამყარი რამეა, დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები. ხომ ხედავ, ერთ წამში ინგრევა საუკუნოობით ნაგები ხუხულები. რაც ურყევი გვეგონა, სილის გროვასავით ერთ წამში დაიფშვნა. საუკუნეც ერთი წამია და თუ სამყარო მართლა უსასრულოა, მაშინ ჩვენ არც კი ვარსებობთ. მოდი, მივილოთ ბუნებრივად. რაც გვერგო განგებისგან, დავისიამოვნოთ, სანამ გვაქვს ამის საშუალება. შენ გგონია. მე არ ვიცი იმ კაცისმჭამელ ისიდორრე ქლენტის საყვარელი რომ ხარ. მაგის და მაგისთანების მკვდარი და ცოცხალი... შენი ურთიერთობა მაგ კაცთან ყველამ იცის, მაგრამ ხომ ხედავ, ხმას არ ვიღებ, გეგუები. არ გსაყვედურობ, ჭეშმარიტად ქრისტიანული შემწყნარებლობით გეპყრობი და გითანაგრძნობ კიდეც, რადგან საერთოდ მეცოდებიან ქალები, ვითარცა სუსტი, დამოკიდებული არსებანი და თანავუგრძნობ მათ, ვითარცა მოყვასს, ნურც შენ წამომიყენებ უსაფუძვლო და უაზრო პრეტენზიებს!..

ქეთო გაშრა, ჩანთას ხელი დასტაცა, კარი გამოიბრახუნა და ქუჩაში გამოვარდა. ამ დაცინვას მე მაგას არ ვაპატიებო, ფიქრობდა გუნებაში. გივი რომ არ ემორჩილებოდა, ეს აცოფებდა, შეურაცხყოფად მიაჩნდა. იმდენად შეჩვეულიყო თავის სიტყვის გატანას, მბრძანებლობას. ბოლო დროს კარგი მკერავის სახელი გაუვარდა და მუშტარი თავზე ეხვია. მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდა, ხშირად კოსტუმების მხატვრის საქმეში აშკარად ერეოდა, რადგან არც არავინ უწევდა მაინცდამაინც ენერგიულ წინააღმდეგობას. ყველგან თავისი გაჰქონდა თუ გასდიოდა, აშკარად ამჩნევდა, ხალხს სიმართლისთვის ბრძოლის უნარი დაჰკარგვოდა, ყველანი იოლად მიდიოდნენ დათმობებზე ტყუილზე, ოღონდ ცხოვრება არ გაერთულებინათ, შიში სძლევდა ჭეშმარიტების სიყვარულს. ქეთოსი კი ბევრს ეშინოდა, თუმცა ბევრნი ეტმასნებოდნენ და ცდილობდნენ ტყუილ-უბრალოდ არ გაეღიზიანებინათ. და ქეთოც ამით სარგებლობდა. მან იცოდა, რომ ასეთი დამოკიდებულება ისიდორრესთან კავშირმა მოუტანა და ამიტომ ძალიან ეწყინა კაცისმჭამელს რომ შეადარა

გივიმ, თუმცა ისიდორე სრულიადაც არ უყვარდა, იოტისოდენა სითბოს არ განიცდიდა მისდამი, მხოლოდ ესაჭიროებოდა, და ერთ საღამოს, როცა საყვარელი ჩვეულებისამებრ ეწვია, განუცხადა აღარ მინდა მარჯანიშვილის თეატრში მუშაობა, სადმე სხვაგან გადამიყვანეო.

— რა მოხდა? — გაუკვირდა ისიდორეს.

— იქ შენ კაცისმჭამელს გეძახიან!

— ვინ მეძახის?

— არიან ახალგაზრდა კომპოზიტორები და მხატვრები...

— კარგი, მაგას გავიგებთ, — შეპირდა ისიდორე.

მოკლე ხანში ქეთო დიდი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორად დანიშნეს და ეს ამბავი იმავე ხანებში ისიდორეს სახალხო კომისრის მოადგილედ დაწინაურებას დაემთხვა.

ახლა ქეთოს ცხოვრება უფრო მღელვარე და მოუსვენარი გახდა. იგი ესწრებოდა პარტიულ კრებებს, კონფერენციებს, რადგან პარტიის რიგებში მიიღეს. ზოგჯერ, თვითონაც გამოდიოდა სიტყვით და მის სიტყვებს გაზეთში ბეჭდავდნენ, მის საქმიანობას ფართოდ ასახავდნენ, ბევრი წარჩინებული პიროვნება გაიცნო, რაიკომის მდივნები და ალმასკომის თავმჯდომარეები, გავლენიანი შინსახკომელები და სახალხო კომისრები, რომლებიც ზოგჯერ ტელეფონით ურეკავდნენ, მეგობრულად, შინაურულად ესაუბრებოდნენ და მერე თხოვდნენ რამეს, ან ავალებდნენ, ერთერთ საზეიმო სხდომაზე თავისი თეატრის პარტკომს შეხვდა და ირონიულად ჰკითხა, რა ამბავია თქვენთანო?

— ფხიზლად ვართ, ამასწინათ კონტრრევოლუციური ჯგუფი აღმოვაჩინეთ, რომელსაც თურმე კომპოზიტორი გივი ამილახვარი ხელმძღვანელობდა.

— მერე?

— სუყველანი დაპატიმრებული არიან.

ამ ცნობამ ქეთო ძლიერ შეაშინა. გივის დაპატიმრებას კი არ შეუშინებია, არამედ იმან, რომ გივისთან დაკავშირებით შეიძლებოდა მისი სახელიც ამოტივტივებულიყო. მთელმა თეატრმა იცოდა, რომ ისიც ამ წრეში ტრიალებდა. მისი მოლოდინი გამართლდა. ერთ მშვენიერ დღეს ისიდორეს მანქანამ მოაკითხა სამსახურში და შინსახკომში წაიყვანეს. სანამ ისიდორე მიიღებდა, მოსაცდელში დიდხანს ალოდინეს. ეს არ იყო კარგი ნიშანი, მაგრამ გულს ის უმაგრებდა, რომ სწორედ ისიდორესთან იყო დაბარებული და არა სხვა ვინმესთან, ვერ წარმოედგინა ისიდორე თუ გასწირავდა, მაგრამ მაინც ეკლებზე იჯდა და ფიქრობდა, რა შეეთხზა თავის გასამართლებლად. მხოლოდ ის, რომ გივის მავნებლურ მოღვაწეობაზე არაფერი იცოდა, ეს უნდა დაემტკიცებინა როგორმე, რადგან მართლაც არაფერი იცოდა, მაგრამ თუ ისიდორე შეიტყობდა, რომ გივის ხასა იყო, მაშინ ალბათ, არაფერი უშველიდა. გივისადმი ახლა სიძულვილს გრძნობდა, თავის ქარაფშუტობაზეც ბრაზი მოსდიოდა და მდივანმა ქალმა რომ დაუძახა, გულის ფანცქალით შევიდა ვრცელ კაბინეტში. განიერ მაგიდასთან მჯდარმა ისიდორემ ზედ არც შეხედა, თითქოს არ იცნობდა.

— რა მოხდა, ისიდორე? — შესძახა ქეთომ.

ისიდორე წამოდგა, გვერდითა ოთახის კარი გააღო და ქეთოს მოუხმო. ტანის ტორტმანით და გაპრიალებულ პარკეტის იატაკზე მაღალი ქუსლების კაკუნით მიბაკუნდა ქეთო იმ კართან და ოთახში შეიხედა. იქ, კედლისკენ პირშებრუნებული ორი შიშველი მამაკაცი იდგა. რომელთაც ტანზე სველი ბაწრის ცემით დამჩნეული წითელი, სისხლიანი ზოლები ეტყობოდათ. იქვე, მაგიდასთან გამომძიებელი იჯდა და რაღაცას წერდა. კედელთან მდგარი შიშველი კაცები დაახლოებით ერთი სიმაღლისანი იყვნენ, გამხდარნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალნი, ერთი მელოტი იყო, მეორე თმაგადაპარსული.

— აბა, შემობრუნდით აქეთ! — უბრძანა ისიდორემ.

პატიმრები შემობრუნდნენ.

— რომელს იცნობ ამათგან? — ავისმომასწავებლად აჟღერდა კითხვა.

— არცერთს! — წარმოსთქვა ქეთომ, თუმცა თმაგადაკრეჭილში მყისვე შეიცნო გივი.

— იცნობ? — მიუბრუნდა ისიდორე გივის.

— შევხვედრივარ.

— სად?

— თეატრში.

— შეხვედრიხარ? — მიუბრუნდა ისიდორე ქეთოს.

— არ მახსოვს.

იმ წამსვე სახეში გაწნულმა სილამ ძირს დასცა და თვალთ დაუბნელდა. შესხურებულმა ცივმა წყალმა გონთ რომ მოიყვანა, თვალები გაახილა და ისიდორე დაინახა, რომელიც თავზე ადგა და გრაფინიდან წყალს ასხამდა. ახალი კაბა სულ გაწუწვოდა, ამ დილით ცნობილ დალაქთან გულმოდგინედ დახვეული თმა გაწეწვოდა. გაუკვირდა იატაკზე რომ იწვა, წამოჯდა. მაგრამ წამოდგომას ვერ ახერხებდა, პარკეტზე ფეხი უსრიალებდა, ლოყა საშინლად ეწვოდა. ამაოდ ელოდა ისიდორეს დახმარებას, იგი კუთხეში პატარა მაგიდისკენ გაემართა და ზედ გრაფინი დადგა. ქეთომ ფეხსაცმელები გაიხადა და მოახერხა ადგომა, კედელთან სკამზე ჩამოჯდა, სული მოითქვა. მხოლოდ ახლა გამჟღავნდა მისთვის ნამდვილი ისიდორე და ძრწოლვით აკანკალებული შესცქეროდა მას. ისიდორე მაგიდაზე ჩამოჯდა და ზიზღით შეხედა. მიხურული კარის მიღმა, მეორე ოთახიდან მამაკაცის შეყვირება გაისმა, თითქოს კბილს აძრობდნენ ვინმეს.

— ხომ გესმის რა დღეშია შენი მეგობარი?

ქეთო ხმას არ იღებდა.

— შენ გგონია არ ვიცოდი, მაგ დამპალთან რომ დაძვრებოდი...

— ისიდორე...

— ხმა ჩაიგდე!

არც უფიქრია შესიტყვება. სრულიად განადგურებულად გრძნობდა თავს, გათელილად, დამცირებულად, თითქოს უსარგებლო ნივთი იყო, უვარგისი, გადასაგდები. ჯერ კიდევ ამ დილით თავი მოსწონდა და ცხოვრება ეამაყებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს აღმოჩნდა ოინი, მზაკვრობა, რომელიც სინამდვილეს ნიღბავდა. ჩეკასი ყველას ეშინოდა, ათასი რამ სმენოდა ჩეკას ჯურღმულებზე, მაგრამ რატომღაც ეგონა, რომ ყოველივე ეს მას არ შეეხებოდა, სხვები დაიტანჯებოდნენ და იჯდებოდნენ იმ ჯურღმულებში. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ამ ქვეყნად არავინ არაფრისგან იყო დაცული და ყოველი წამი ყოველნაირ საშიშროებას შეიცავდა. თვალი აეხილა და შიშმა აიტანა. ჯერ სად იყო? ჯერ მხოლოდ თავის საყვარლის კაბინეტში იჯდა. რა იქნებოდა მერე, როცა ქვემოთ, სადღაც ბნელ დილეგში შეაგდებდნენ? უნებურად ღია ფანჯარას შეავლო თვალი, როგორც ნიშანს თავისუფლებისა და მოაგონდა. ერთი ცნობილი ფეხბურთელი დაკითხვის დროს ჩეკას ფანჯრიდან რომ გადმოხტა, ტროტუარს დაეხეთქა და სული იქვე დატოვა. ამაზე მაშინ მთელი ქალაქი ლაპარაკობდა და უეცრად ქეთო ატირდა, რადგან სავსებით ნათლად გაიაზრა, რომ მესამე სართულის ფანჯრიდან გადახტომის გარდა, სხვა გზა არ არსებობდა აქედან თავის დაძვრენისა.

— ახლა ყური მიგდე, რა გითხრა! ახლავე შემიძლია მაგათ საქმეში გაგიყვანო და მოგსპო. შეცოდების ღირსი არცა ხარ, მაგრამ მაინც გაძლევ გადარჩენის შანსს. ოღონდ რასაც გეტყვი, ზუსტად უნდა შეასრულო. გაიგე?

— კი.

— მაშ, ასე. ერთი კვირის შემდეგ

მოსკოვში გაემგზავრები, არ გინახავს ეს ქალაქი და ნახავ, რა სჯობს მოგზაურობას, უცხო ქვეყნების დათვალიერებას. მოწინავე მშრომელთა დელეგაციას წაყვები საკავშირო შეხვედრაზე. რაც შეიძლება კოხტად ჩაიცვამ და მხიარულად იქნები. ჩაცმა გიყვარს, თეატრში თამაშის მეტი რა ისწავლე? იმგზავრებ საერთაშორისო ვაგონით. შენს კუპეში იქნება ერთი ცნობილი ინჟინერი პეტრე შაინიძე. ეს ქალების მოყვარული, წუწკი კაცია. კუპეში ორნი იქნებით. მოსკოვში ჩასვლამდე და იქაც. მოსკოვში ისე დაუახლოვდები ამ კაცს, რომ რასაც ფიქრობს ყველაფერს ათქმევინებ, კარგია თუ ბელადზე და ლაუ პეტროვიჩზე დააცდენინებ რამეს, აგრეთვე მისი უახლოესი მეგობრები! და თანამშრომლების გვარებს გამოჰკითხავ, ვისაც უფრო ენდობა, კარგად დაიმახსოვრებ და რომ ჩამოხვალ, ლამაზად ჩამოწერილ სიას გადმომცემ. გაიგე?

— კი.

— თუ ამ დავალებას სათანადოდ შეასრულებ, გამოისყიდი შენს დანაშაულს და ღალატს, როგორც პირადად ჩემს წინაშე, ისე პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე, ამილახვრისთანა ნაძირლების ბანდას რომ დაუკავშირდი და გარყვნილების ჭაობში რომ ჩაეფლე. მე ვიცი სიკვდილის ღირსი ხარ, მაგრამ ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას და ბოლომდე არ გიჩეტებ! გაიგე?

— კი.

— ახლა მოდი აქ, ამ ქაღალდს ხელი მოაწერე. დღეიდან შენ ხდები შინსახკომის საიდუმლო თანამშრომელი და დამატებითი ხელფასიც დაგენიშნება.

ქეთო წამოდგა, ტლანქად, მოუხეშავად ჩაჰყო ფეხი ფეხსაცმელებში, განიერ 'მაგიდასთან მიბარბაცდა და ისიდორესგან მიწოდებულ ქაღალდს ხელი მოაწერა.

— თავისუფალი ხარ! საშვს მდივანი მოგცემს, მატარებლის ბილეთს სამსახურში მოგიტანენ, [illegible] ნაც დაგირეკავენ, მივლინების ხარჯებსაც აგინაზღაურებენ და დელეგატთა ჯგუფში ჩაგრთავენ.

ერთი კვირის შემდეგ, მოსკოვის მატარებელი თბილისის სადგურის პირველ ლიანდაგზე იდგა. ქეთოს ისიდორესგან გამოგზავნილი ახალგაზრდა კაცი მოაცილებდა ბაქანზე. ორივე ჩემოდანი მას მოჰქონდა. ქეთო წინ მიდიოდა, გამცილებელი უკან მიჰყვებოდა. ქეთოს მშვენიერი ვარდისფერი კაბა ეცვა, მხარზე შავი მელიის საყელო ჰქონდა გადაგდებული, ფართე ფარფლებიანი შლაპა შუბლს უფარავდა, საზაფხულო პალტო მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული. გამვლელები თვალს აყოლებდნენ ამაყად მიმავალ ახალგაზრდა ქალბატონს, ტუჩებზე წითელ პომადაწასმულს. წითლად ფრჩხილებშელებილს. თავის ვაგონთან რომ მივიდა, პორტმანი გახსნა, ბილეთი ამოიღო და კონდუქტორს გაუწოდა. კონდუქტორმა ბილეთს დახედა და დაუბრუნა, აბრძანდითო. ქეთო ვაგონში ავიდა. გაპრიალებული, სუფთა ვაგონი თითქმის სავსე იყო. ვიწრო გასასვლელში გზას უთმობდნენ კუპეებიდან პაპიროსის მოსაწევად გამოფენილი მამაკაცები. ბოლოს თავის კუპეს მიაგნო. კუპე ცარიელი იყო. გარეთ, გასასვლელში მაღალი წითური კაცი იდგა და ახლად მოსულ ქალს ინტერესით ათვალიერებდა. გამცილებელს ქეთომ ჩემოდნები დაატოვებინა და გაისტუმრა. მერე შლაპა მოიხადა და მაგიდაზე დააგდო, სქელი, დახუჭუჭებული თმები თავის მოხდენილი მოქნევით უკან გადაიყარა, მხარზე გადაგდებული მელია მოიშორა. ბილეთს დახედა, მისი ადგილი ზემოთა იყო.

გამომწვევი მზერა მიაპყრო მაღალ, ნაცრისფერ კოსტუმიან მამაკაცს, ფანჯარასთან რომ იდგა და ხარბად უყურებდა.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — ჰკითხა მამაკაცმა თავაზიანი ღიმილით.

პაპიროსი კედელზე მიმაგრებულ საფერფლეში ჩასრისა და კუპეს კარს მოადგა.

— არაფერი, ნუ შეწუხდებით!

— რა შეწუხებაა, პირიქით, დიდი სიამოვნება იქნება თუ თქვენისთანა მშვენიერ ქალბატონს რამეში გამოვადგები.

— აი, ეს ჩემოდანი...

— ჩემოდნებს ეხლავე მოვუვლით, ოღონდ ნება მიბოძეთ, ადგილი გაგიცვალოთ. მეც ამ კუპეში ვარ და ქვედა ადგილის ბილეთი მაქვს, წესით, მამაკაცის ადგილი ზემოთ არის, — ორაზროვნად გაიცინა მან, — ბარემ გავიცნოთ ერთმანეთი, მე ვარ ინჟინერი პეტრე შაინიძე.

— ძალიან სასიამოვნოა, — გაიბადრა ქეთოც. — მე ქეთო სამხარაძე გახლავართ, სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი.

— მოსკოვში, შეკრებაზე მობრძანდებით, ხომ?

— დიახ.

პეტრემ ჩემოდნები თავის ადგილზე მოათავსა, ქეთოს პალტო საკიდარზე დაკიდა, თავისი ბარგი ზედა თაროზე აყარა, ქეთო ფანჯარასთან სავარძელში ჩასვა.

— რა ბედნიერებაა თქვენისთანა მშვენიერ მანდილოსანთან ერთად მატარებლით მგზავრობა. პირველად მიმგზავრებით რუსეთში?

— დიახ, პირველად!

— მაშინ, მე პირობას გაძლევთ, რომ კარგად დაგათვალიერებინებთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს.

— დიდად დამავალებთ, შესანიშნავი იქნება...

— თუ, რასაკვირველია, თქვენი მეუღლის ეჭვიანობას არ გამოვიწვევ. — იაწყლიანობდა თვალებაცეცუნებული პეტრე.

— მეუღლე არა მყავს, გაუთხოვარი გახლავართ! — თვალმინაბული იღიმებოდა ქეთოც.

— რას მელაპარაკებით?! თქვენი გამცილებელი ყმაწვილი თქვენს მეუღლედ მივიჩნიე.

— ის ჩემი თანამშრომელია.

— აღარ ვიცი, განგების ასეთი წყალობა რით დავიმსახურე, თქვენისთანა ანგელოზი რომ შემომიგზავნა თანამგზავრად.

— პირიქით, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ამ ჩემოდნებს ვერ მოვუვლიდი, — ნაზად გაიცინა ქეთომაც.

მატარებელი დაიძრა.

— წავედით! — წამოიძახა პეტრემ.

— მივდივართ! — წამოიძახა ქეთომ.

ისინი კუპედან გამოვიდნენ, ნახევრამდე ჩამოშვებულ ფანჯარას მიადგნენ და თვალწინ გადაშლილ სივრცეს გახედეს. ნიავი თმას უწეწავდათ ფანჯარაში თავგაყოფილებს.

— მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით! — გაიძახოდა აღფრთოვანებული პეტრე, ვარდისფერი მომავლის შესახვედრად გამზადებული. მხიარულად აკისკისებული ქეთო მის მხარზე ვითომ შემთხვევით ჩამოდებულ პეტრეს ხელს ვითომ ვერ ამჩნევდა. ვაგონის ბორბლების გრუხუნი მატულობდა. მატარებელი სერზე მიიწევდა. ნაბდიანი კაცივით ქალაქზე გადმომდგარი მთაწმინდა საკუთარ კალთებზე შეფენილ სახლებს ფართე ჩრდილს აფენდა. ქალაქი უკან რჩებოდა თავისი ციხეებით, სასამართლოებით, საავადმყოფოებით და სასაფლაოებით.

14.

შალვა პეტრიაშვილი ხუთი წლისა დაობლდა და ბიძამისმა სიკომ იკისრა მისი აღზრდა. ძმის ორმოცი რომ გადაიხადა, დაქვრივებული რძალი და დაობლებული ძმისწულები ასე თუ ისე რომ დააბინავა და სახსრით უზრუნველჰყო, ობლებს შორის ყველაზე უმცროსი შალვა თბილისში ჩამოიყვანა და მოსამსახურე ქალს გლაფირას ჩააბარა. ტამბოვის გუბერნიიდან გადმოხვეწილ ამ სქელ დედაკაცს

ქმარი ლოთობით მოჰკვდომოდა და მისგან ერთადერთი გოგონა ანიუტა დარჩენოდა. ეს იყო თორმეტიოდე წლის უშნო გოგონა, ცხვირპაჭუა, აწოწილი, მეჩხერი ქერა თმა ერთ წვრილ ნაწნავად ჰქონდა შეკრული, ჭორფლიანი სახე და თითქმის უფერული მოცისფრო თვალები სანდომიანობის ყოველგვარ ნასახს აცლიდა მის იერს. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ჭკუასუსტიც იყო, ცხვირიდან ტუჩზე ჩამოსულ ქლვლინტს ენით ილოკავდა ხოლმე და ნერვებს უშლიდა სიკოს ჯალაბს. აი, ეს გონებასუსტი გოგონა გახდა შალვას მომვლელი, ის აბანინებდა ხელ-პირს, ეხმარებოდა ჩაცმაში, აჭმევდა საჭმელს და აწვენდა დასაძინებლად. დუქანში თუ გააგზავნიდნენ რაიმეს საყიდლად, ხელჩაკიდებული შალვაც თან მიჰყავდა და ზარმაც დედამისს შრომას უმსუბუქებდა, უფრო სწორად, შალვას მოვლისგან საერთოდ ათავისუფლებდა. შალვაზე მზრუნველობა მთლიანად ანიუტას ჰქონდა დაკისრებული და ისიც სიამოვნებით ასრულებდა მომვლელის მოვალეობას. მის გარდა პატარა შალვას ყურადღებას არავინ აქცევდა, ის ეთამაშებოდა, ართობდა, ეზოში მოჩუხჩუხე აუზთან სახლობანას უმართავდა, სადაც თვითონ დიასახლისობდა, ზოგჯერ სიკოს დიდი სახლის გრძელ და ფართო აივანზე დაატარებდა. აჰყავდა აბლაბუდებით მოფენილ სხვენში, სადაც ათასნაირი ჩარახუჩა ეყარა და შმორის სუნი იდგა, ჩაჰყავდა გრილ სარდაფში, სადაც მუდამ ბნელოდა და ნესტით იყო გაჟღენთილი ჰაერი. ყოველივე ეს, ალბათ, პატარა შალვასათვის ქვეყნიერების საიდუმლოებათა შეცნობა იყო, მის მთვლემარე ცნობიერებაში შეჭრილი სხივი. ზოგჯერ, როცა მარტონი რჩებოდნენ რომელიმე მიყრუებულ ოთახში, ან სარდაფში, ან სხვენზე, ანიუტა იატაკზე წვებოდა, კაბას წამოიწევდა. შალვას შარვალს ჩახდიდა და ზედ იწვენდა. შალვას სიამოვნებდა ეს მდგომარეობა და კატასავით გატრუნული ჩაებღაუჭებოდა ხოლმე თბილ და საამო სხეულს [illegible] ლილი ბნელი ინსტინქტი [illegible] ანტელით უვლიდა ტანში და მანამ იყო ასე გაყუჩებული, სანამ თვითონ ანიუტას არ მობეზრდებოდა ერთად წოლა და არ წამოაყენებდა. მაგრამ ერთხელ მოხდა საზარელი რამ, ასე ნეტარებაში მყოფთ გლაფირა წამოადგათ თავზე. მან შემზარავი ხმით დაიყვირა, ორივენი ზეზე წამოყარა, მისცხო და მისცხო ანიუტას, თმები დააწიწკნა, დატუქსა შალვაც, შიშველი დუნდულები დაუსილაქა და კარში გამოაგდო. ეს იყო თავზარდამცემი მოვლენა, ატირებული ანიუტას ცქერაზე, შალვაც აბღავლდა და ბუნდოვნად იგრძნო, რომ მოხდა რაღაც ისეთი, რაც ალბათ, არ უნდა მომხდარიყო და არ იყო კარგი. ამის შემდეგ გლაფირა თვალს არ აშორებდა იმათ თამაშობას და შალვასაც მალე გადაავიწყდა დამამცირებელი და უსამართლო დატუქსვა, მაგრამ გლაფირისადმი დაუძლეველი შიში გაუჩნდა, რასაც დაემატა დანაშაულის შეგრძნება, სამარცხვინო საქმის ჩამდენის გაუბედაობა და სიკნინის განცდა, რაც შემდეგში, მთელი ცხოვრების მანძილზე, მისი ხასიათის ნიშან-თვისებად გადაიქცა, ამავე დროს, ნაადრევად გაეღვიძა არაჯანსაღი ცნობისწადილი მოპირდაპირე სქესისადმი, სხეულის კანონები დროზე ადრე ილვიძებდნენ მის არსებაში და ძლიერ აინტერესებდა რომელიმე გაშიშვლებული მოსამსახურის კაბის ქვეშ შეჭვრეტა ან შემთხვევით გაღეღილი მკერდის მალულად ცქერა. ბავშვის ამ მიდრეკილებას, რასაკვირველია ამჩნევდნენ და უკეთურად უყურებდნენ და შალვაც ამჩნევდა ამ უკეთურ მზერას. დამნაშავის შეგრძნება კიდევ და კიდევ უფრო უძლიერდებოდა და თავის თავში კეტავდა. მალე გლაფირა და ანიუტა სიკომ დაითხოვა, ან შეიძლება თვითონ გადავიდნენ სხვაგან საცხოვრებლად. მათი მოშორებით შალვას ბევრი

არ უდარდია. მაგრამ ანიუტასაგან შეძენილი გამოცდილება სამუდამოდ დაამახსოვრდა, არ ავიწყდებოდა და ანიუტას გარეშე დარჩენილი სრულ სიმარტოვეს განიცდიდა... ამავე დროს, რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მძაფრად ეწადა სანახევროდ შეცნობილი საიდუმლოს ამოხსნა. გიმნაზიაში რომ მიაბარეს, ათასგვარ უხამს საუბრებს ისმენდა და ათასგვარ უმსგავსოებას იგებდა ამხანაგებისაგან, მაგრამ იმდენად მორიდებული და მორცხვი ბიჭი იყო, რომ თავის უნებურ გამოცდილების შესახებ კრინტს არ ძრავდა, როცა სხვები უფრო უმნიშვნელო თავგადასავლებით ტრაბახობდნენ, თანატოლ გოგოებთან კი სულ ვერ იყო თამამი, მათთან საუბარსაც კი გაურბოდა, რადგან საკმაოდ აყლაყუდას და გრძელთავას საკუთარი სიუშნოვის განცდა ფრთებს აკვეცავდა. სხვას მის ადგილზე ამხანაგები უეჭველად აითვალისწუნებდნენ, მაგრამ მისი უდავო ნიჭიერება მათ იზიდავდა. ანგარიშს უწევდნენ და ყურსაც უგდებდნენ, თუმცა განსაკუთრებულ უპირატესობას არ ანიჭებდნენ და არც შალვას ჰქონდა სწრაფვა პირველობისკენ. ზომიერება იყო მისი ნიშანი, კუთხეში, მოფარებულში დგომა ერჩივნა წინ წარმოჩენას. უამრავ წიგნებს კითხულობდა და უამრავი რამ იცოდა, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს, „დეკამერონის" მსგავსი წიგნების წაკითხვის შემდეგ, მისი ასაკის ყმაწვილებისათვის ნიშანდობლივი ხელუკულმართობით ზედმეტად იცლიდა სიქას და დადიოდა თვალებამოღამებული, მხრებჩამოყრილი, გულჩათხრობილი და მარტოსული. ძლიერ სურდა ჰყოლოდა მეგობარი და გული ირაკლი თორელისკენ მიუწევდა. კლასში ყველაზე გულლია და მოხდენილი ყმაწვილისკენ. უდარდელი ლაღი ბიჭისკენ, შალვას მუდამ მეგობრულად რომ ეპყრობოდა, მაგრამ შალვას გარდა უამრავი მეგობარი ჰყავდა, რომლებთანაც ისეთივე ურთიერთობა და სიახლოვე აკავშირებდა, თუ უფრო მეტი არა, როგორც შალვასთან, და შალვა ამას მტკივნეულად განიცდიდა, რადგან მისთვის ირაკლი ყველაზე გამორჩეული და ერთადერთი იყო, მაშინ როდესაც ირაკლისთვის ის იყო ერთი მრავალთაგანი. სიკოს სახლში შალვას ცალკე ოთახი ჰქონდა, სადაც იგი იძინებდა და მეცადინეობდა და სადაც არასდროს არავინ შემოდიოდა, და მასთან სტუმრად მოსული ირაკლი აქ თავისუფლად გრძნობდა თავს, პაპიროსსაც ეწეოდა და ნებისმიერ თემაზეც შეეძლო ესაუბრა. ზოგჯერ, ქუჩის ქალებთან თავის თავგადასავლებს უყვებოდა შალვას და ერთხელ შალვამ თხოვა, მეც წამიყვანე მეძავებთანო. ამისთვის ფული იყო საჭირო და როცა შალვამ ეს თანხა შეაგროვა, ირაკლიმ თხოვნა აუსრულა. ორთაჭალაში ჩაიყვანა, ვიწრო ქუჩებში ატარა და ერთი დაბალი სახლის პირველ სართულზე გისოსებიან, ფარდაჩამოფარებულ შუშის კარზე მიაკაკუნა, ორჯერ უფროსმა სქელმა ქალმა ყმაწვილები სუფთა ოთახში შეიყვანა. მას ფაშფაშა ხალათი ეცვა, დახვეული თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. სტუმრები თავაზიანად მიიღო და როცა შეიტყო, რომ შალვა პირველად იყო ამგვარ საქმეზე, ძალიან გამხიარულდა. სახელად ამ ქალს ჯულიეტა ერქვა და მისი ეროვნება ძნელი ამოსაცნობი იყო. ამ ოთახიდან ვიწრო ტალანი ერთადერთი სანთლით მკრთალად განათებულ დახუთულ, საკუჭნაოს მსგავს ბნელ საკანში შედიოდა, სადაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. კედელთან იდგა ფართო ლოგინი, იქვე პატარა მაგიდა, ნესტის სუნით გაჟღენთილი მძიმე ჰაერი. როცა ქალი მთლიანად გაშიშვლდა, ლოგინზე მჯდარი შალვა ციებიანივით აცახცახდა. ისე ღელავდა, როგორც ქირურგთან მიყვანილი საოპერაციო ავადმყოფი და როსკიპს შეეცოდა იგი. დაამშვიდა, ურჩია საკუთარი ხელით აღარ ეეშმაკნა, არამედ ფული ეშოვნა და მასთან მოსულიყო ხოლმე,

ჯანმრთელობისათვის ასე უკეთესიაო. დიდხანს შალვას არაფერი გამოსდიოდა, მაგრამ მეძავი მზრუნველ ძიძასავით ეფერებოდა, ამხნევებდა და ბოლოს შალვა მიხვდა, რომ ყველაფერი რაღაც უგერგილოდ დამთავრდა და საშინელმა იმედგაცრუებამ შეიპყრო. თავისი თავი ამ საქმისათვის უვარგისად მიიჩნია და ზიზღთან ერთად შიშიც გაუჩნდა ქალთან სიახლოვისა. ამიტომ როცა ფული ჩაუვარდებოდა, ჯულიეტასთან მისვლა აზრადაც არ მოსდიოდა, ირაკლის აძლევდა, შეიძლება უფრო იმ ქვეცნობიერი იმედით, კიდევ მეტად მიეზიდა მეგობარი, იმდენად ძვირად ულირდა მისი ყურადღება და სიახლოვე. ირაკლის ეთაკილებოდა ფულის გამორთმევა თვითონაც ღარიბი, არაფრის მქონე, ბიძის ხელის შემყურე შალვასათვის, მაგრამ ფული ისე ესაჭიროებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ნამუსზე ხელს იღებდა და მაინც ართმევდა, ამ დღეებში დაგიბრუნებო, მაგრამ ცხადია. ვერ უბრუნებდა, შალვა კი კმაყოფილი იყო მანამ, სანამ ირაკლის სხვა ამხანაგების წრეში არ შეამჩნევდა გალაღებულს, სადაც შალვა არ იყო მიღებული. გულის სიღრმეში ღალატად მიაჩნდა ასეთი უგულვებელყოფა, ირაკლის სხვებთან ტრიალი, არ არის ერთგული და სანდო მეგობარიო, ბოლმით ფიქრობდა და ასეთ გუნებაზე მყოფი თავს არიდებდა კიდეც, თუ არ უნდა ჩემთან ძმაკაცობა ძალით რატომ მივეტმასნოო, ირაკლი კი პირიქით, ცდილობდა შალვა თავის სხვა მეგობრებთან დაეკავშირებინა, მაგრამ არ გამოსდიოდა, ვერ ახერხებდა და შეიძლება ითქვას. შალვას ამგვარი დამოკიდებულება და გაუმხელელი მომთხოვნელობა თრგუნავდა კიდეც. მათი ურთიერთობა არ იყო თანაბარი, თავისუფალი, შეიძლება ირაკლისთვის იგი შემბოჭველიც კი იყო, მაგრამ ეს ურთიერთობა მაინც გრძელდებოდა, გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც, როცა ომმა და რევოლუციამ ქვეყანა შეარყია, საქართველომ ნაოცნებარი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მენშევიკებს მანამდე ანტიეროვნული პარტია ჩაუდგა სათავეში აღდგენილ ეროვნულ სახელმწიფოს. ბედის დაცინვას ჰგავდა ამ პარტიის გამარჯვება, მაგრამ სასიკეთოც ბევრი რამ ხდებოდა. თბილისში უნივერსიტეტი გაიხსნა და ლიტერატურაში და ხელოვნებაში ახალმა თანამედროვე მიმდინარეობებმა იმძლავრა. პოლიტიკამაც ბევრი ახალგაზრდა გაიტაცა, მაგრამ ამ ენთუზიაზმს შალვა არ იზიარებდა, რადგან მიაჩნდა, რომ პოლიტიკოსები ხდებიან ის ხალხი, რომელთაც არა აქვთ უნარი მიაღწიონ მაღალ პროფესიონალიზმსა და სრულყოფას რომელიმე სხვა საქმეში. ნამდვილი ოსტატის, მწერლის, ხელოვანის მეცნიერის, ჭეშმარიტი შემოქმედის მოდრეკა შეუძლებელია, მხოლოდ საშუალო ნიჭის ადამიანი ემორჩილება საყოველთაოდ აზვირთებულ აზრთა გავლენას, დიდი ნიჭი ემორჩილება მხოლოდ თავის ნიჭს, და თუმცა საკუთარი თავი განსაკუთრებული ნიჭის კაცად არ მიაჩნდა, იგი არცერთი იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწით არ იყო აღფრთოვანებული და მაინცადამაინც დიდ პატივს არავის მიაგებდა, სამაგიეროდ ძლიერ იყო გატაცებული ახალი ხელოვნებითა და ლიტერატურით და მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ირაკლისთან ერთად სამკურნალო ფაკულტეტზე შესვლას აპირებდა, თავისუფალ დროს ლიტერატურული ცდებითაც ირთობდა თავს. ექიმობა ორივეს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი და ამიტომ ძალიან გაუკვირდათ, როცა ერთხელ თბილისში ჩამოსულ ფილოსოფოსს გიორგი გურჯიევს მიაკითხეს და მან უწინასწარმეტყველა, არცერთი თქვენთაგანი ექიმი არ გახდებაო. ეს წინასწარმეტყველება სულ მალე ახდა, როცა თურქებმა საქართველოს საზღვარი კიდევ ერთხელ გადმოლახეს. ორივენი ქართულ ჯარში გამოცხადდნენ. მაგრამ სუსტი მხედვე-

ლობის გამო შალვა დაიწუნეს, ირაკლი კი საომრად გაემგზავრა და ბოლომდე იბრძოლა, სანამ ქალაქ ართვინის მახლობლად ხელში არ დაიჭრა და თბილისში დიდუბის ჰოსპიტალში არ მოათავსეს. ჰოსპიტლიდან რომ გამოეწერა, ირაკლიმ ხატვა დაიწყო, სამედიცინოზე სწავლა გადაიფიქრა და აღარც შალვამ უღალატა მეგობარს, ჟურნალისტობას მიჰყო ხელი, სხვადასხვა გაზეთებში სხვადასხვა თემებზე ათავსებდა წერილებს და როგორღაც თავი გაჰქონდა. ასე გაგრძელდა ოცდაერთ წლამდე, როცა რუსები კვლავ მოადგნენ საქართველოს საზღვრებს. შალვას არც ამ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, ზარბაზნების გრუხუნი თავის გაყინულ ოთახში მჯდარს ესმოდა. ირაკლი კი ისევ დაიჭრა სოღანლუღში, ამჯერად ფეხში. ქალაქში რუსის ჯარი რომ შემოვიდა, სიკო პეტრიაშვილი სოფლად იყო გახიზნული თავისი ოჯახით. მისი სახლი ჯარისკაცებმა დაიკავეს. ციოდა და ისინი გასათბობად სახლის პატრონის ძვირფას ავეჯს შეშად იყენებდნენ. ყველაფერი გარეთ გამოყარეს, ამტვრევდნენ და წვავდნენ. ეზოში კოცონს ანთებდნენ იტალიური გარნიტურით, წითელი ხის მაგიდები, სკამები, კარადები ტკაცატკუცით იწვოდა. უკვე მაშინ მიხვდა შალვა, რომ ეს ძალა ქვეყანას ვერ ააშენებდა, ეს ძალა ნგრევისთვის იყო მოწოდებული, ვიდრე შენებისთვის. მალე სიკოს სახლი ჩამოართვეს და საკუთარ სარდაფში შეასახლეს, შალვას კი თავისი პატარა ოთახი დაუტოვეს. ქალაქში მომრავლებული ქართველი ბოლშევიკები და ქართველი ჩეკისტები სოროებიდან გამომძვრალი ვირთხებივით დაძრწოდნენ ყველგან და საბოლოოდ დარწმუნდა შალვა, გამარჯვებულ პარტიაში ისინი კი არ შედიან, ვისაც პარტია და მისი პრინციპები მართლა სწამს, არა, ყველაზე თავგამოდებული პარტიულები ხდებიან ისინი, ვინც ცხოვრებას ყველა ვითარებაში ეგუებიან, ვინც ყველა დროს თავისი კეთილდღეობისთვის იყენებენ, ვინც სხვებზე უკეთ ატყობენ, საით უბერავს ქარი. აი, საზოგადოების ეს ფეხები ხდებიან ყველაზე თავგადაკლული პატრიოტები გამარჯვებული და ხლზევებული მოძრაობისა. არსებული წყობილება რომ შეიცვალოს, ისევ ამგვარი ხალხი ამოტივტივდება ცხოვრების ზედაპირზე, ჭეშმარიტად პრინციპული ადამიანები კი მუდამ ჩრდილში დგანან. მაგრამ რაც უფრო მეტი ღირსეული და დიდი პიროვნება ჰყავს ერს, მით უფრო ძლიერია იგი და რაც უფრო მეტი ხალხია ბრმად აყოლილი ფეხის ხმას, მით უფრო დამღუპველია ფეხისხმას აყოლილთა ერთსულოვნება და ჭეშმარიტების არდანახვის სურვილი, შალვა ხედავდა. რომ მარჯვეთა და უნიჭოთა მასიური აღზევება იწყებოდა და ეჭვით შესცქეროდა მომავალს. სიკოს სახლშიც შემოასახლეს გამარჯვებული მედროვეები, მეორე სართულზე ჩეკისტი ისიდორე ქლენტი, პირველ სართულზე — ბოლშევიკი იასე ნიგურიანი. იასე ზოგჯერ გაესაუბრებოდა ხოლმე შალვას, მისი ფანატიკური რწმენა სოციალისტური იდეების გამარჯვებისა არავითარ საფუძველს არ ემყარებოდა და შალვა ხვდებოდა, რომ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა უყოყმანოდ იღებს და იზიარებს საყოველთაოდ გავრცელებულ მზამზარეულ სტერეოტიპებს, რომელთა ნამდვილი მნიშვნელობა მათ არც ესმით და არც აინტერესებთ. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ ძალზე ხშირად გონიერებასთან და ღირსებასთან შეჯიბრში გამარჯვებული უაზრობა და უზნეობა განაგებდა ცხოვრებას და ხდებოდა მისი, შეიძლება, ბედისწერისგან მოვლენილი განმგებელი. შალვას რწმენით, ბუნებაში მხოლოდ ორი ხერხი არსებობდა ქვეყნის მართვისა, დემოკრატია და ტირანია. როგორც ჩანს, დემოკრატია აღმოსავლეთში, აზიაში, რუსეთში, ამ ხალხთა ფსიქოლოგიური და ისტორიული ბედის გამო, შეუძლებელი რამ იყო

და პროლეტარიატის დიქტატურის სახელით მოვლენილი ახალი ტირანია რას მოიმოქმედებდა. კაცმა არ იცოდა. ჯერჯერობით ძველ პარტიებს შლიდნენ, ვილაცეებს იჭერდნენ, ვილაცეებს ხვრეტდნენ. ქვეყანა არ იყო დაშოშმინებული, იგი ღელავდა, ბობოქრობდა, ქართველი ხალხი აგრძელებდა მრავალი საუკუნის წინათ დაწყებულ უკუსვლას და მცირე ხნით წარმოშობილი იმედების მსხვრევა გუნებას უწამლავდა ამ იმედთა აღსრულების მოიმედეთ. შალვას თრგუნავდა სინამდვილე, აღარც ირაკლის სწამდა ბოლშევიკებისაგან დაპყრობილი საქართველოს მომავალი. თურქებისგან მიტაცებული ტაო-კლარჯეთში ლაშქრობამ ბევრ რამეზე თვალი აუხილა და საკუთარი ქვეყნის გულსაკლავი მდგომარეობა ნათლად დაანახვა. თვითონ სიტყვა „ტაო-კლარჯეთი“ საეკლესიო გალობასავით გაისმოდა მისთვის, რადგან ცნება ერთიანი, მთლიანი საქართველოსი ზარების წკრიალით აგუგუნებულ აქაურ ეკლესია—მონასტრებში ჩაისახა, დღეს დადუმებულთ „ქილისას“ რომ ეძახდნენ გამუსულმანებული და გათურქებული ქართველები. ენა ჯერ კიდევ შერჩენოდათ, თუმცა თანდათან ეკარგებოდათ და უცხონიც იყვნენ და მახლობელნიც ერთსა და იმავე დროს. ბევრგან მოუხდა ირაკლის ყოფნა იმ კუთხეში და ცად აზიდული ცისფერი მთები და კარჩხალის თოვლიანი მწვერვალები ისეთივე ძვირფასი და საყვარელი იყო მისთვის, როგორც თრიალეთი და კავკასიონი. მლვრიე ჭოროხის ნაპირებს რომ ტოვებდი და ამწვანებულ იმერხევის ხეობას რომ მიჰყვებოდი შავშეთისკენ ცხენებზე ამხედრებულ რაზმთან ერთად, გზისპირა სოფლებიდან გამოფენილი ბობრი ბავშვები ქართულად მოგძახოდნენ „საით მიხვალთ თქვენო?“ და ეს შეძახილი გულს მალამოდ ედებოდა, მაგრამ გულს სხვა რამ ჰკლავდა, დანგრეული, გაუდაბურებული ეკლესიები და დიდებული ტაძრები, ზოგი გუმბათჩამოქცეული, ზოგი მეჩეთად გადაკეთებული და [illegible] შერჩენილი, თუმცა მაინც დაკარგული, გაუცხოებული, უცხო ტომისგან მითვისებული. მთელი ის მიტაცებული მხარე მოიარა ირაკლის ესკადრონმა, ბევრი განადგურებული ქართული ძეგლი და გათურქებული ქართველი ნახა, დედაენაც რომ აღარ შერჩონოდა და ბოლოს „გურჯი ბოღაზს“ მიხლწია, საქართველოს ჭიშკრად წოდებულ ვიწრო ხეობას, საიდანაც იწყებოდა ერზერუმისკენ მიმავალი განიერი ზეგანი. სულ სხვა ქვეყნის იერით აღნიშნული, მთებით და ველებით განსხვავებული „გურჯი ბოღაზის იქეთ მოკაშკაშე ზურმუხტოვანი ქედებით დასერილი ძველი საქართველოსგან და ირაკლის ცნება საქართველო, როგორც რაობა კულტურული, ისტორიული და გეოგრაფიული განწირულად მიაჩნდა, თუ ეს ორად გახლეჩილი მხარე ოდესმე ისევ არ შეერთდებოდა. თავის მოტყუება იყო საქართველოს ბედნიერებაზე და აღდგენაზე ოცნება მისი გაერთიანების გარეშე. ახლა ამის არავითარი იმედი არ არსებობდა. ორივე მეგობარი მძიმედ განიცდიდნენ სამშობლოს უბედურებას. აშკარა იყო, ერს ძალა ელეოდა. შემგუებლობა, უდარდელობა, გულგრილობა და უთავობა ხდებოდა ნიშანი ყოველგვარი ქმედებისა, რაც ბოლოს უმოქმედობაში გადადიოდა. ერი არ ცნობდა თავის მოამაგეებს და განუსჯელად ეთაყვანებოდა ყალბ კერპებს. საით მიჰყავდა ამგვარ განწყობას ქვეყანა, სად იყო ნუგეში? ცხადია, ორივეს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ მონობაში მყოფ ერს, რომელსაც ყოველგვარი დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს და არც სულიერ სფეროში გააჩნია იოტისოდენა თავისუფლება. სავსებით ბუნებრივია ანგარებისა და მომხვეჭელობის გარდა, სხვა ინტერესი დაქვეითებული ჰქონდეს.. მათ ესმოდათ, რომ შეუძლებელია დამონებულ ხალხს მოსთ-

ხოლო მაღალი საზოგადოებრივი პრინციპებით ცხოვრება. ხალხს, რომელსაც საკუთარი ეროვნული მიზნებისათვის ბრძოლის არავითარი საშუალება არ გააჩნია, ცხადია, მხნეობაც მოდუნებული ექნება და თავგანწირვის სურვილიც. ქართველთა დღევანდელ დაცემაში მარტო მათ შინაგან თვისებებს არ ედოთ ბრალი, ყოველმხრივ მოწოლილი უფრო დიდი ძალა ერეოდა ამ პატარა ქვეყანას, რომლის ბედსაც ის ბორბალი ატრიალებდა, მთელი ქვეყნიერებისა და ხალხების მიმართულებას და სვლას რომ საზღვრავს სადღაც. და რაკი ეს მიწიერი ქვეყანა საზღვრულია, ერებიც ისევე მოკვდავნი არიან ალბათ, როგორც ადამიანები, ოღონდ უფრო ხანგრძლივია მათი სიცოცხლე, ამბობდა ზოგჯერ შალვა. რამდენი ხალხი აღგვილა პირისაგან მიწისა, რამდენი გადაშენებულა და რამდენი ახალი ერი გაჩენილა თუნდაც ქრისტეს შემდეგ? იმ ხალხთაგან, ვინც ქრისტეს მოვლინებას მოესწრო, განა რამდენი დარჩა? ვინ იცის, იქნებ ნელნელა კვდებოდა საქართველოც, დედამიწის ზურგზე ერთერთი ხანდაზმული ერი, აღმოსავლეთის და დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის, ქრისტიანობის და მუსულმანობის მიჯნაზე მუდმივი ქარტეხილების გადამტანი, ამ დაპირისპირებათა შემზავებელი, ხან სპარსთაგან დამონებული, ხან არაბთაგან, ხან ბერძენთაგან, ხან რომაელთაგან, ხან თურქთაგან, ხან რუსთაგან, თავის ჰკუაზე ცხოვრებას ვერასდროს რომ ვერ ახერხებდა და მუდმივი შემგუებლობით, უცხო ელემენტთა მუდმივი გათავისებით რომ ინარჩუნებდა საკუთარ სახეს. ვინ იცის, რა ელოდა ამ ქვეყანას, საით მიექანებოდა, საიდან იშვნენ და რად მომრავლდნენ ასე ერთბაშად საკუთარი ქვეყნის დამსამარებელი მოკომუნისტო-მოკომკავშირო-მოჩეკისტო ფანატიკოსები, უმძიმესი ცოდვებით რომ ამძიმებდნენ ისედაც ძველი ცოდვებით გახრწნილ ქვეყანას? საქართველოს მორიგი დამარცხებით გამოწვეული უიმედობა ხშირად ეუფლებოდათ შალვას და ირაკლის, ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობდნენ, ეს ქვეყანა სამარცხვინო ასიმილაციისთვის არის განწირული, მაგრამ ირაკლი მაინც არ კარგავდა საბოლოო იმედს და ბრძოლის ჟინს. ეს ტანადი, მომხიბლავი ჭაბუკი, რომელსაც მოკლე ულვაში ამშვენებდა და შუაში გაყოფილი ტალღოვანი შავი თმა. იცვამდა აზიურ ჩექმებს, გალიფეს, ყელზე შეკრულ მაღალყელიან ხალათს, რომელზედაც ვერცხლის ქამარს შემოირტყამდა ხოლმე და ასე დადიოდა რუსთაველზე, თითქოს თავისი ზედმიწევნით ქართული იერით ყოველივეს გაუსახურების მომხრეთა გამოწვევა სურდა. იგი ოდნავ კოჭლობდა, ფეხის ჭრილობამ თავისი კვალი დააჩინა, მაგრამ თანდაყოლილი სიმკვირცხლე ამ ნაკლს თითქმის შეუმჩნეველს ხდიდა და ბუნებრივ დუნე შალვას ყველაფერში იყოლიებდა ცხოვრება თავისას მოითხოვდა, გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შეიძლებოდა და კინოსტუდიაში, სადაც ორივემ დაიწყეს მუშაობა, ერთმა — მხატვრად, მეორემ — სცენარისტად, საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობდნენ ამ ახალი ხელოვნების საკეთილდღეოდ. სწორედ აქ გაიცნო შალვამ პირველად ლამაზი ქალი მერუსი მღებრიშვილი, მსახიობად მოწვეული ერთერთ ფილმში, ქალი, ვისაც ყველა ყურადღებას აქცევდა. ეს ქალი ადრეც ჰყავდა შემჩნეული, ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ძალიანაც მოსწონდა, მაგრამ ქალებთან წარმატების იმედი შალვას არ ჰქონდა, თმა სულმთლად გასცვივდა, ცხვირი კიდევ უფრო დაუგრძელდა, ზედ ჩამოდებული სათვალით მთლად ბუს დაემსგავსა, თვითონაც გრძნობდა და ვერ იყო დიდი გარდაქმნანი და წიგნებით იკმაყოფილებდა ყოველგვარ ადამიანურ ჟინს. ამასობაში ოცდაოთხი წელი დადგა. ბევრმა იცოდა აჯანყება რომ მზადდებოდა. აჯანყება უცბად ჩააქრეს. დაიწყო მასიური და-

ჰერები და დახვრეტები. ერთ მშვენიერ დღეს ირაკლი გაქრა. ერთ მშვენიერ დღეს შალვა ჩეკაში დაიბარეს. თავისი მეზობლის ისიდორე ქლენტის კაბინეტში შეიყვანეს.

— დაბრძანდით შალვა, ირაკლი თორელს ხომ იცნობთ: ამას ვერ უარჰყოფთ, ბევრჯერ დამინახავს თქვენთან სტუმრად მოსული, — უთხრა ისიდორემ.

— ჩემი უახლოესი მეგობარია, — უპასუხა შალვამ.

— რა იცით აგვისტოს ავანტურაში ირაკლის მონაწილეობის შესახებ?

— არაფერი.

— ნუთუ თქვენთვის, უახლოესი მეგობრისთვის არაფერი გაუმხელია?

— არასოდეს.

— კარგი, ასე იყოს, მით უმეტეს თქვენ იმ ჯგუფის სიაში არ ხართ, რომლის წევრიც იყო ირაკლი. თავისუფალი ბრძანდებით.

შალვა გამოუშვეს. ერთ მშვენიერ დღეს გაზეთი გადაშალა და დახვრეტილთა სიაში ირაკლის გვარი ამოიკითხა.

რამდენიმე დღეს შინ იყო ჩაკეტილი. თავქვეშ ხელებამოდებული იწვა ტახტზე და ჭერს შესცქეროდა. არავითარი აზრი არ მოსდიოდა, აღარც წიგნები აინტერესებდა, სანახევროდ დაწერილი სცენარი სადღაც მიაგდო. თითქოს იმიტომ იჯდა შინ, რომ დერეფანში ირაკლის ფეხის ხმის გაგონებას და კარზე კაკუნს ელოდა. ძლიერ უჭირდა იმის დაჯერება, რომ ამ კაკუნს ველარ გაიგონებდა და ირაკლის მოსვლის სიხარულს ველარ განიცდიდა. ყველაფერზე უფრო გულს ის უკლავდა, რომ ირაკლიმ არ გაანდო საიდუმლო. არ გაუმხილა შეთქმულებაში რომ მონაწილეობდა, ალბათ, პატივს არ ცემდა შალვას, ალბათ, ბოლომდე არ ენდობოდა, არ თვლიდა ღირსად ასეთ საქმეში თანადგომისა. ძნელი ასატანი იყო ყველაზე ძვირფასი მეგობრის ასეთი დამოკიდებულება, შალვას სიკნინეზე, სიბეჩავეზე და უმწეობაზე რომ მეტყველებდა და ბოლოს და ბოლოს გამოუტყდა თავს [illegible] ვაც რომ გაემხილა ირაკლის [illegible] ლო, აჯანყებაში მონაწილეობას ვერ გაბედავდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ წინასწარ განწირულად მიაჩნდა ეს საქმე, არამედ ჩვეულებრივი შიშის გამო. ირაკლი სწორი იყო, რომ არ ენდობოდა, მან იცოდა, რომ ის იყო მშიშარა და ამიტომ ინდობდა, არ აბამდა მისთვის შეუძლებელ საქმეში, მაგრამ მაინც უყვარდა, მაინც მეგობრობდა მასთან და ეს საოცარი სულგრძელობა მეგობრისა შალვასთვის ახლა სულ სხვანაირად გაშუქდა და ორმაგ გულისტკივილს აყენებდა. ახლა იგრძნო, რაც წაერთვა და ყველაფრის ხალისი დაეკარგა. მაგრამ იძულებული იყო სამსახურში გამოცხადებულიყო, რათა არავინ მიმხვდარიყო, რომ ხელისუფლებისგან დახვრეტილ მეგობარს გლოვობდა. ახლა ესეც სახიფათო იყო. მარტო იმისთვის კი არ გსჯიდნენ, თუ რას ამბობდი, ან რას აკეთებდი, არამედ იმაზეც შარს გდებდნენ, გულში რას ფიქრობდი და ამრიგად, ჩუმად ყოფნაც საშიში იყო. აუცილებლად უნდა გექო და გედიდებინა ბელადი და მისი დამყარებული რეჟიმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოღალატედ ჩაითვლებოდი. ყოველივე ეს საყოველთაო შეშლილობას ჰგავდა, როგორც ჩანს, რევოლუცია მასიური ფსიქოზია, ფიქრობდა შალვა, როცა მთელი ერი, მთელი კაცობრიობა გონს კარგავს, ელემენტარულ ლოგიკას უარჰყოფს, ცხოვრებას აღარ აკვირდება და ფანატიზმით შეპყრობილი ირეალურ ცდომილებას აჰყოლია სულ. ერთია რას აიტაცებს დევიზად ეს შეშლილი ხალხი, პროლეტარიატის დიქტატურას თუ კაპიტალიზმის რესტავრაციას. იგი დაუნდობლად იბრძოლებს იმ მიონებისათვის, რომელიც შეიძლება, ნათლად შეცნობილი და გააზრებული არც კი ჰქონდეს, და შალვაც, როგორც ყველა დამონებული და დაჩაგრული ხალხის შვილი, თავისი ქვე-

ყნის უბედურებას მხოლოდ გარეგან მოვლენებს რომ მიაწერს, ბედისწერის ნებით ხსნიდა ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდებოდა და ფატალურ გარდუვალობად მიაჩნდა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია. ღმერთმა უწყის, იქნებ, ამ აშკარა უმეცრებისა და უაზრო მდაბლად ქმედებათა უკან ვერმისაწვდომი სიბრძნე იმალებოდა? დამცინავი, ირონიული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რაც საერთოდ ახასიათებდა, უფრო უძლიერდებოდა, მაგრამ ასე თუ ისე, ლუკმა პურისთვის უნდა ეზრუნა და შალვა ქუჩაში გამოვიდა. სამსახურში გაემართა. ქვეყანა შეცვლილი მოეჩვენა, გაღარიბებული, დაცარიელებული. სტუდიაში მისვლისთანავე რეჟისორმა სიგუამ თავის კაბინეტში დაიბარა.

— როდის იქნება სცენარი მზად?

— ველარ ვწერ, იქნებ, ვინმეს მისცეთ დასამთავრებლად.

იქვე, ფართო და განიერ დივანზე მერუსი მღებრიშვილი იჯდა ფეხიფეხ გადადებული, კაბა კოჭებამდე ჩამოქაცილი და პაპიროსს ეწეოდა. შალვას მოაგონდა ჭორი რეჟისორი სიგუა მერუსის ყვარობსო. ამ კაბინეტში, სადაც ასეთი მოხერხებული დივანი იდგა, ყველაფერი შეიძლებოდა.

— შალვა, რატომ არ გინდათ თვითონვე დაამთავროთ სცენარი? — ჰკითხა მერუსიმ.

ამ ქალს უაღრესად სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

— არ გამომდის.

— მე მინდოდა თქვენი გმირი ქალის როლი მეთამაშა...

— დიდ პატივს გცემთ, მაგრამ...

— კარგი შალვა, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, — უთხრა რეჟისორმა სიგუამ.

შალვა გარეთ გამოვიდა, ცოტა ხანს იბოდიალა სტუდიის ეზოში და პავილიონებში და მერე ტრამვაისკენ გასწია. აქ ისევ შეხვდა მერუსი მღებრიშვილს. ერთად ავიდნენ ვაგონში და ერთმანეთის გვერდით დასხდნენ.

— წელან, სიგუასთან არ მინდოდა მეკითხნა, ეგ თავგადადებული ბოლშევიკია, ირაკლი თორელი თქვენი მეგობარი იყო, არა?

— დიახ.

— შესანიშნავი ყმაწვილი ჩანდა. რა ვაჟკაცები დახოცეს ამ ოხრებმა.

თანაგრძნობამ შალვას გული გაუთბო, მაგრამ შიშისგან გააყრყოლა და ვაგონს თვალი მოავლო, ვინმე ყურს ხო გვიგდებდესო. მერუსიმ შეამჩნია მისი სიფრთხილე და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი, კერძოდ, რეჟისორ სიგუას უკანასკნელ ფილმზე და ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა კინოსი და ლიტერატურისა, რომ შალვა გაოცდა, ამდენი რომ სიგუას ესმოდეს, რა უჭირსო. მეტად საინტერესო საუბრით გართულებმა იმგზავრეს ფედერაციის მოედნამდე და ტრამვაიდან ჩამოვიდნენ. ნელა აუყვნენ სოლოლაკის აღმართს.

— ჩვენ თითქმის მეზობლები ვყოფილვართ! — წარმოსთქვა მერუსიმ.

— დიახ, მე მაჩაბლის ოცდაცხრაში ვცხოვრობ, სიკო პეტრიაშვილის სახლში.

— თქვენ სახლში ჩეკისტი ისიდორე ქლენტი ხომ არ ბინადრობს?

— როგორ არა. იცნობთ თუ?

— ერთ დროს ძალიან კარგად ვიცნობდი, ჩემს ქმართან მეგობრობდა, — თქვა მერუსიმ და შესთავაზა. თუ გნებავთ, ხვალ ერთად წავიდეთ სტუდიაში, თქვენთან ბაასი ძალიან სასიამოვნოაო. შალვა თავაზიანად დათანხმდა, ქალს სადარბაზოს კართან დაემშვიდობა და შეპირდა, რომ დილის ცხრა საათისათვის აქ დახვდებოდა. მართლაც დახვდა და დილმართი რომ ჩაიარეს, მოედანზე ტრამვაიში ჩასხდნენ. ტრამვაის ვატმანი მერუსის ნაცნობი აღმოჩნდა და ისინი დიდხანს ლაპარაკობდნენ რაღაცაზე, სანამ ტრამვაი ხალხით ივსებოდა. მერე მერუსი მოვიდა და შალვას გვერდით მოუჯდა.

— საიდან იცნობთ ამ ვატმანს, მუ-

შათა კლასთანაც გაქვთ ურთიერთობა?

— მაქვს პატივი ვიცნობდე კოლას, ოღონდ წინათ გვარდიელი იყო, ეხლა გავატმანდა.

— თქვენ ძალიან საინტერესო ქალი ბრძანდებით, — გაბედა შალვამ კომპლიმენტი.

მერუსიმ გულთბილად გაუღიმა და შალვამ შეამჩნია, რომ აქ ქალს ღიმილიც უხდებოდა, გულწრფელი და თავშეკავებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. რეჟისორ სიგუასთან ამ ქალის რომანი მოჭორილ ამბად მიიჩნია. შურიანთა და ავყიათა ბოროტ მონაჩმახად, უფრო დასაჯერებელი ის იყო, რომ კარგად იცოდა ლიტერატურა, მუსიკა, ფლობდა უცხო ენებს, შალვას აუწყა ფრანგულიდან ანდრე ჟიდის ერთ რომანს ვთარგმნი და მინდა წაგაკითხოთ, იქნებ რამე შემისწოროთო.

— სიამოვნებით, — დათანხმდა შალვა.

— როდისმე შევხვდეთ, თუ გინდათ, ჩემთან.

— ჩემთანაც შეიძლება.

— თქვენთან იყოს, მაგას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია თარგმანი დავამთავრო.

— დაამთავრებთ, ნუ გეშინიათ.

— ტრამვაი სწრაფად მისრიალებდა და შალვა ყურადღებით უსმენდა მერუსის. რომელსაც მისი მომავალი სცენარის ლიბრეტო ჰქონდა წაკითხული და თავის მოსაზრებებს უზიარებდა გმირი ქალის როლის შესახებ, თუ როგორ ესახებოდა ეს სახე, მისი მოქმედება და რთული ხასიათი, და საკმაოდ სწორ და საქმიან შენიშვნებს აძლევდა.

— ძალიან გინდათ ამ როლის თამაში? — ჰკითხა შალვამ.

— პირდაპირ გეტყვით, ეს იქნება ჩემი უკანასკნელი როლი კინოში, მერე ალბათ, სხვა საქმეს მოვკიდებ ხელს.

— მაშინ პირობას გაძლევთ, რომ თქვენი ხათრით ამ სცენარს მოკლე ხანში ბოლომდე მივიყვან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდად დამავალებთ, — მომხიბლავად გაუღიმა მერუსიმ.

შალვამ თავისი სიტყვა შეასრულა. იმ ხანებში იგი ხშირად ხვდებოდა მერუსის. ეს იყო საქმიანი შეხვედრები. შალვა გამალებით წერდა და დაწერილს მერუსის უკითხავდა. საღამოობით მიდიოდა მერუსისთან, სადაც მერუსის დედა ყავით ან ჩაით უმასპინძლდებოდა და შალვას საუბარსაც ყურს უგდებდა. ამ მანდილოსანს ძლიერ მოსწონდა შალვა და მისდამი პატივისცემას მოწიწებით გამოხატავდა. ერთხელ შალვა უქეიფოდ იყო, მერუსისთან ვერ მივიდა და მაშინ თვითონ მერუსიმ ამოაკითხა, მისი არმისვლით შეშფოთებულმა. ამის შემდეგ შალვასთანაც ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგიდასთან სხდებოდნენ, ახლად დაწერილ ეპიზოდებს არჩევდნენ და მერე. აზრთა გაზიარებას რომ მორჩებოდნენ, მათი საუბარი სხვა თემებზე გადადიოდა, მუსიკაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, მწერლებზე, მხატვრებზე, კომპოზიტორებზე, ცნობილ პიროვნებებზე და საერთო ნაცნობებზე, არსებულ მდგომარეობაზე და მომავლის პერსპექტივებზე და მათი აზრი თითქმის მუდამ ერთმანეთს ემთხვეოდა და ზოგჯერ ისეთ ინტიმურ საკითხებსაც შეეხებოდა, როგორც სიყვარულია და თუმცა ამ თემაზე საუბარი აბსტრაქტული მსჯელობის საზღვრებს არ სცილდებოდა, — მაგალითად, მერუსი ამტკიცებდა. რომ სიყვარული თავდავიწყებაა და ამ მხრივ დედაკაცი უფრო ღვთიური და მაღალია, რადგან მის მოქმედებას განსაზღვრავს მხოლოდ სიყვარული, მაშინ, როდესაც მამაკაცის მოქმედების განმსაზღვრელი მისი სურვილი და ნებისყოფაა, — ამ საუბრებს, რომელსაც თითქოს მხოლოდ ფილოსოფიური მნიშვნელობა ჰქონდა. მოსაუბრეთათვის,— მაგალითად, შალვა ამტკიცებდა, რომ მამაკაცი შემოქმედი სულია, მისი ძა-

ლა შემოქმედებას გამოხატავს, ქალი მამაკაცში ხედავს ღმერთის გამოვლინებას, ამიტომ მამაკაცი ვალდებულია ღრმად ესმოდეს ცხოვრება. თავისი შემოქმედებითი ნებისყოფით ის ანაყოფიერებს ქალის ბუნებას, ამდიდრებს მას, ქალის არსებაში უფრო იხვეწება და ნატიფდება კაცის აზრები და სწორედ ამიტომ ქალი ხდება მისი იდეალი, სიყვარული ეს არის სწრაფვა იდეალისკენ და საყვარელი ქალი ეს არის ხორცშესხმული, რეალურად გამოვლენილი იდეალი ანუ მამაკაცის სწრაფვა სრულყოფისაკენ, ხოლო მათი სრული შერწყმა, ეს არის სამყარო, — მიუხედავად ამ თითქოსდა თეორიული საუბრებისა, რაღაც მიახლოება, რაღაც დაფარული საფანელის გამომჟღავნების მოლოდინი, ყოველთვის რომ ახლავს ქალის და კაცის მსჯელობას ამგვარ სახიფათო თემებზე, — უხილავად ხლართავდა ობობას ქსელს და განყენებული სიმაღლეებიდან კონკრეტულ და პრაქტიკულ დამოკიდებულებაზე ფიქრს ულძრავდა შალვას, მეტადრე, მეზობლები ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით აყოლებდნენ თვალს ეზოში და შემდეგ გრძელ დერეფანში შალვას ოთახისკენ ნირშეუცვლელი სახით მიმავალ მერუსის. ამისდა მიუხედავად, მერუსისთან გაარშიყება, რაიმე ცდა დაახლოებისა, შალვას აზრად არ მოსვლია და მით უმეტეს, არც უცდია, მარტო რომ ისხდნენ წიგნებით გატენილ პატარა ოთახში, მეტი სიახლოვისკენ, მეტი ინტიმისკენ, მეტი შეხებისკენ რომ განგაწყობდა. შიში მარცხისა იმდენად ღრმად იჯდა მის სულში, რომ ყოველგვარი ინიციატივის გამოჩენის საშუალებას უსპობდა. იგი ბეჯითად მუშაობდა სცენარზე, მალე დაამთავრა კიდეც და წარუდგინა სტუდიას. სცენარი მოწონებულ იქნა და ჩაშვებული წარმოებაში. შალვას კუთვნილი თანხა გადაუხადეს, რეჟისორი სიგუა შეუდგა გადაღებისთვის მზადებას. გმირი ქალის როლის, რომელსაც შალვა მერუსისთვის და ზოგჯერ მერუსის კარნახით და მითითებით წერ-და, ახლადმოვლენილ კინოვარსკვლავს ელეონორა წულუკიძეს მიანდვეს, ისიდორე ქლენტის ნათესავს, ეროსტანს მის ბინაში რომ ცხოვრობდა. ერთ საღამოს აღელვებული მერუსი შალვასთან შემოიჭრა, ტახტზე ჩამოჯდა და ცრემლები ვერ შეიკავა.

— გაიგე, რა გამიკეთა იმ უპირო სიგუამ?

შალვას ეს ამბავი გაგებული ჰქონდა.

— ვიღაც ცხვირმოუხოცავი გოგო აიყვანა ჩემს როლზე, რომელსაც ამდენი ძალა შევალიე.

ამ გოგოს შალვა იცნობდა, რამდენჯერმე ჰყავდა დანახული.

— სირცხვილით თავი სად გამოვყო, ქვეყანას მოვდე, რომ ახალ როლში მიღებენ, — აცახცახებული მერუსი მუთაქაზე დაემხო.

— რეჟისორების ნდობა არ შეიძლება, წარამარა იცვლიან აზრებს, — გვერდით მიუჯდა შალვა და დამშვიდება სცადა.

მერუსი შალვასკენ შემობრუნდა, უცბად მოეხვია, გულში ჩაეკრა და ატირდა. „მე ვენდობოდი. ვაჟკაცი მეგონა, ეგ კი გულნამცეცა მატყუარა ყოფილა". შალვა ხვდებოდა, რომ ამ ქალის საიდუმლოს უნებური მცოდნე და თანამგრძნობელი ხდებოდა და არ იცოდა რა ექნა, როგორ ემოქმედნა, მით უმეტეს, გულში ჩაკრული ქალის სხეული და ქრულის მომგვრელი სურნელი ისე აღელვებდა, რომ ალმართში ნარბენი კაცივით აუჩქარდა სუნთქვა. მერუსიმ ტირილი შეწყვიტა, შალვას მოშორდა, თვალებში ჩახედა და დამნაშავესავით გაუღიმა.

— ბოდიში!

— რის ბოდიში? თუ გნებავთ მე მოველაპარაკები სიგუას.

— არა ღირს.

— მე ეს სცენარი თქვენთვის დავწერე და მაქვს უფლება ჩემი მოსაზრებები გამოვთქვა.

 

მეორე დღეს, თავისი მოსაზრებები მოახსენა რეჟისორს.

— იცი, რა გითხრა შალვა? სცენარში ფული ხომ გადაგიხადეს? დანარჩენი შენ არ გეკითხება და სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფ, წადი, საქმე ნახე!

ეს შეურაცხყოფა იყო და იმავე ხანებში. ლიტერატურულ ჟურნალში სტილისტის ადგილი რომ შესთავაზეს, სიამოვნებით დათანხმდა და კინოსტუდიის დატოვა. ამის შემდეგ ძალზე იშვიათად ხედავდა მერუსის. ერთხელ ოპერაში შეხვდა „კარმენზე", მერუსი ახალგაზრდა შავქოჩორა სამხედრო ოფიცრის თანხლებით იყო და შალვას ჰკითხა, მართლა დაანებეთ სტუდიას თავიო?

— დიახ.

— ნუთუ ჩემი გულისთვის?

— თქვენ რა შუაში ხართ, მაგრამ...

მერუსიმ კეკლუცად გაუღიმა და დარბაზში შეჰყვა თავის ოფიცერს.

მერე ერთხელ კიდევ დაინახა, ვიღაც მაღალ, მეტად მიმზიდველ, მამაკაცთან ერთად გამომავალი მისივე სახლის სადარბაზოდან. ამჯერად, ამ მამაკაცთან ეტყობა, საინტერესო საუბრით გართულ მერუსის შალვა არ შეუმჩნევია და თანდათან იგი თვალს მიეფარა, შალვა ველარ ხვდებოდა და ავიწყდებოდა კიდეც თვითონ მისთვის გარკვეულ ხანს მნიშვნელოვანი სიახლოვის ჟამი, თავისთავად უმნიშვნელო და შემთხვევითი. შალვა ისევ ღრმად ჩაეფლო წიგნებში. ახალ წარმოდგენებსაც არ აცდენდა, ლიტერატურა და ხელოვნება ჭეშმარიტების შეცნობასთან ერთად, სინამდვილიდან გაქცევის საშუალებაც იყო მისთვის ამ არეულ დროში, მით უმეტეს ამას ღვინის სმაც ხელს უწყობდა, პურმარილზე უარს არ ამბობდა, ვითარცა ჭეშმარიტი ქართველი, მაგრამ ჭეშმარიტ ქართველთაგან განსხვავებით გრძელი სადღეგრძელოები და გაჭიმული სუფრები დიდად არ ხიბლავდა. სტამბის მუშებთან, შაქროსთან და ილიკოსთან მოკრძალებულ პურმარილობას ამჯობინებდა [illegible]ნდაზე. ერთ ძველ ღვინის [illegible] ღვინის მხუთრით გაჟღენთილ მიწის იატაკიან ცივ და ბნელ სოროში, სადაც გადმობრუნებული მაღალი კასრის თავზე მისატანებელს ჩამოალაგებდნენ და ჩაის თლილი ჭიქებით ეწაფებოდნენ ჭირვარამის დამავიწყებელ და შემკრთალი გულის გამამაგრებელ ნუნუას, ყოველდღიურ საჭირბოროტო ამბებზე ლაპარაკით გართულნი. ბევრჯერ ისე დამთვრალა. რომ ძლივს მისულა სახლამდე. ზოგჯერ ამ ქეიფში შაქროს ცოლისძმა ლექსო ივანიძეც მონაწილეობდა და ამ ახალგაზრდასთან ურთიერთობა შალვას სიამოვნებდა, თუმცა იმასაც პოეტობაზე ჰქონდა პრეტენზია, როგორც ყველა ქართველს, ოღონდ საქმეს ნუ გააკეთებინებ და ლექსი დააწერინე, გრაფომანთა ამ აყვავებულ ქვეყანაში ხომ კაცს ვერ ნახავ რაღაცას არ ჯღაბნიდეს, შალვას ერთი ნაცნობი დალაქი, თავისი საქმის კარგი ოსტატი, წესიერი და პატიოსანი კაცი, უცხოთა წრეში თავს ჟურნალისტად ასაღებდა, ერთი საცოდავი წერილი ჰქონდა გამოქვეყნებული გაზეთში და იმიტომ, ვითომ უნიჭო ჟურნალისტობა კარგ პარიკმახერობაზე უკეთესი რამ იყოს. მაგრამ ქართული კუდაბზიკობა, უკუდო ამპარტავნობა. ყველაფერს რომ ეპოტინები და არაფერი რომ არ იცი, თავი ბრძენად რომ მოგაქვს და სინამდვილეში ბრიყვი ხარ, მართლა ბრძენისა არა გჯერა და სულელს ადიდებ, ზედაპირზე ტივტივი, ზერელე აზრები, გარეგნული ზიზილ-პიპილოებისკენ სწრაფვა, ყბედობა მოლიპული გზით მიაქანებდა ერს შალვას აზრით და ხელს უწყობდა ამგვარ განწყობილებას, უგუნურ თვითკმაყოფილებას, ბედოვლათობას, მაშინ როცა ქართლი გაოსებულ—გათათრებულია, სამცხე — ჯავახეთი გასომხებული, აფხაზეთი — გარუსებული. ტაო-კლარჯეთი გათურქებული, სადღაა ნამდვილი საქართ-

ველო, ფიქრობდა შალვა, საით მივდივართ, ნუთუ ვიღუპებით? თუ ამას დავუმატებთ ქართველთა შინა განხეთქილებას, შეთანხმების უუნარობას, მუდმივ უთანხმოებას, ზნეობის დაცემას, გონებრივ დეგრადაციას, გაბოლშევიკებას, ნუთუ სასიკვდილოდ განწირული ერი ვართ? რატომ არის რომ ერთმანეთს ვჭამთ და ვერასოდეს ვერ ვრიგდებით? იქნებ იმიტომ, რომ ჩვენი ცნობიერება ისეთივე დაქუცმაცებულია, როგორც ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ეგოიზმი ჩვენი დაქუცმაცების შედეგია? რაც არ უნდა იყოს მეზიზი. სინამდვილე გულშემაზარავი იყო და შალვას სასოწარკვეთილება იპყრობდა, უაზრო მიმბაძველობა აშინებდა, რა მოხდა, რა გვჭირს ფიქრობდა იგი და დამაჯერებელ პასუხს ვერ პოულობდა. იგი ხედავდა, რომ ბუნებრივი და ადამიანის შემამკობელი თავმომწონეობა ავადმყოფურ პატივმოყვარეობაში გადაზრდილიყო, პატივმოყვარეობის საგანი კი ხან რა იყო, ხან რა, ხალხი პროფესიის არჩევაშიც კი ბაძავდა და ეჯიბრებოდა ერთმანეთს და ახლა ყველას ექიმობა მოუნდა, მთელ საქართველოს, ეს გახდა ყველაზე საპატიო ხელობა, თუმცა გულისტკივილით გრძნობდა შალვა, რომ ამას სხვა საფანელიც ედო, სიდუხჭირიდან გამომდინარე. თუ დაგიჭირეს და გადაგასახლეს, გადასახლებაში თავს ექიმობითაც გაიტან, ექიმი იქ სხვა პატიმრებზე უკეთეს დღეშია, ასე ამბობდნენ ყველანი და შალვას სჯეროდა, რომ მართლა ასე იყო, ამიტომაც მიაწყდა მთელი ახალგაზრდობა საექიმოს, იმიტომ უნდა ყველას ექიმობა, რომ ვინ იცის, რა მოხდება, ცხოვრება სად გადაგისვრის, ეს ხელობა კი ყველგან გამოგადგება, რადგან ყველგან ხდებიან ავად, ციმბირის ტაიგებში და ყაზახეთის გამშრალ სტეპებშიც...

მუდმივი გაჭირვება იყო ჩვენი მამოძრავებელი!..

ლექსო ივანიძესთან თავისუფლად შეიძლებოდა ამგვარ თემებზე საუბარი. მას შემდეგ. რაც ირაკლი დაიღუპა, ლექსოსთან მსჯელობა შეუყვარდა შალვას, ყველაფერზე შეიძლებოდა მასთან ლაპარაკი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ისიც დაიჭირეს და გადაასახლეს და იყო შალვა მარტო, შეჩვეული თავის მარტოობას, თავის წიგნებს და თავის სურათებს, თავის ბინას და თავის რედაქციას, სადაც ხვდებოდა უნიჭიერეს, ღრმად განათლებულ ადამიანებსაც და მათდამი შურით და ღვარძლით აღვსილ უბადრუკ მედროვეებსაც, სიცოცხლეს რომ უმწარებდნენ გამორჩეულთ და გონებას რომ უმღვრევდნენ მთელ ერს.

შალვა ყოველთვის თავის პატარა კაბინეტში იჯდა ცხვირზე სათვალე ჩამოდებული და ჩაჰკირკიტებდა გასასწორებლად მოცემულ მასალას. ერთხელ, ხელნაწერში ასე თავჩარგულს ქალის ტკბილი და ნაცნობი ხმა მოესმა „შეიძლება?“ თავი რომ ასწია, მერუსი მღებრიშვილი დაინახა, რომელიც ორი წელი იქნებოდა აღარ ენახა და გაოცდა, წამოდგა, სკამი შესთავაზა.

მერუსიმ ფრანგულიდან თარგმნილი რომანი მოუტანა და თხოვა გადაეკითხა, თუ გასასწორებელი იყო, გაესწორებინა და თუ დასაბეჭდად ივარგებდა, დაბეჭდვაში დახმარებოდა. შალვას შეეზარა ამ საქმის გაკეთება, მაგრამ მაინც დათანხმდა. საუბარში გაირკვა, რომ ახლა, თურმე, მერუსის პარტიის საქალაქო კომიტეტში დაეწყო მუშაობა, კულტურის განყოფილებაში და იმიტომ გასჭიანურებოდა რომანის თარგმნა ასე დიდი ხნით.

— სამაგიეროდ, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით ხართ დაკავებული?!

— ოჰ, მე იმდენი რა შემიძლია, რამდენიც თქვენ, თქვენი საოცარი ერუდიციით.

შექება შალვასაც სიამოვნებდა და ამ სიტყვებით წაქეზებულმა იმ დღესვე წაიღო შინ მერუსის ნამუშევარი და დილამდე იკითხა. თან ფრანგულ ტექსტს უდარებდა და შეძლებისდაგვა-

რად ხვეწავდა და ასწორებდა. ორი დღის შემდეგ რედაქციაში მოსულ მერუსის აჭრელებული ხელნაწერი ჩააბარა. მერუსიმ შინ მიიწვია, იქნებ იქ გავაგრძელოთ მუშაობაო. შალვამ მიაკითხა და ნაყოფიერად იმუშავეს. მერე ყავა შესვეს მერუსის დედას, ქართულის ცუდად მცოდნე მანდილოსანს შალვა პასიანსის გაშლაში მიეხმარა. აქ ყოფნა უყვარდა შალვას. ორი დიდი მაღალჭერიანი ოთახი ჰქონდათ, ძველებური ავეჯით და როიალით გაწყობილი. კედლებზე ჩარჩოებში ჩასმული სურათები ეკიდა ვილაც უცნობი პეიზაჟისტისა. ზოგჯერ მერუსი როიალზე უკრავდა და შალვა მუსიკის ჰანგებს გადაჰყავდა საამო ოცნებების სამყაროში, ნამდვილ ცხოვრებას ლამაზი ღრუბელივით რომ დასტივტივებდა. მუსიკას დიდედამ მაზიარაო, ამბობდა მერუსი და სევდით შესცქეროდა ხოლმე გარდაცვლილი დიდედის სურათს, როიალზე რომ იდგა. იმ საღამოსაც დაუკრა მერუსიმ, შალვამ როიალთან მიიდგა სკამი და დიდხანს უსმენდა. ბოლოს მერუსიმ დაკვრა შეწყვიტა. შალვა გამოერკვა.

— როგორ მოგეწონათ ჩემი დაკვრა?

— უზომოდ.

— ეს პატარა კონცერტი მე თქვენ მოგიძღვენით, როცა ვუკრავდი, თქვენზე ვფიქრობდი.

— გმადლობთ, — თქვა შალვამ და ბედნიერი დაბრუნდა შინ.

მეორე დღეს, მერუსი ავიდა სალამო ხანს შალვასთან.

— რატომ გადაწყვიტეთ საქალაქო კომიტეტში მუშაობა. სად თქვენნისთანა ნიჭიერი ქალი და სად ადმინისტრაციული სამუშაო? — ჰკითხა შალვამ.

— მდივანი კოლია ჩაჩანიძე გადამეკიდა, დახმარება მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი.

ამ კაცს მექალთანეს სახელი ჰქონდა გავარდნილი და შალვას მერუსის ნათქვამმა უსიამოვნო ეჭვები აღუძრა. მაგრამ ეს მისი საქმე არ იყო, ხელნაწერი თანდათან იხვეწებოდა და თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ხან მერუსისთან, ხან — შალვასთან, როგორც მაშინ, სცენარზე რომ მუშაობდნენ. ბოლოს ტექსტი წესრიგში მოიყვანეს, მაგრამ მერუსი ისევ აკითხავდა შალვას, ახლა უკვე თავისი ნამუშევრის ბედის გასაგებად. მათი საუბრები უწინდებურად ათასგვარ საკითხს შეეხებოდა და ამ შეხვედრებში იყო რაღაც უფრო მეტი, მით უმეტეს, ერთხელ მერუსიმ თეატრშიც კი დაპატიჟა, ბილეთები წინასწარ შეეძინა და არც ისე ჩლუნგი იყო შალვა ვერ მიმხვდარიყო, რომ აუცილებელი იყო გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა და ურთიერთობის გარკვევა, რომ მერუსი ელოდა ამას, მაგრამ მაინც ვერ ბედავდა ამ ნაბიჯის გადადგმას და მოსახდენის გადადებას ამჯობინებდა, ვიდრე ერთი მოქნევით გაურკვევლობის ტევრის გაკაფვას. ასე რომ აწუხებდა, შინაგანად აფორიაქებდა, თუმცა არ იმჩნევდა. იმ ხანებში ხშირად იყვნენ ერთად, ხან რომელიმე მხატვრის გამოფენაზე, ხან კონცერტზე, ხან კიდევ სად. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მერუსი დიდ პატივს სცემდა შალვას განათლებას და გემოვნებას, და ერთხელ, გვიანობას, როცა შალვა შინ მიაცილებდა, რატომღაც ძალზე მოწყენილი ხმით უთხრა, იცი, შალვა, მე არა ვარ კარგი ქალიო.

— პირიქით, მე შესანიშნავი ქალბატონი მგონიხართ, — მიუგო შალვამ.

— მე ქმარს გაყრილი ვარ...

— მერე რა?

— ორჯერ ვარ განათხოვარი და ქმარს გაყრილი...

აქ კი, ცოტა არ იყოს შეცბა შალვა და მიხვდა, რომ ეს აღსარება პირდაპირ გამოწვევას ნიშნავდა, ე. ბიჭო, მიდი, ნუ გეშინია, თუ რამის შნო გაქვსო. შალვამ ჩაახველა და გრძელი დიდაქტიკური ტირადა წარმოსთქვა ქალთა ემანსიპაციის შესახებ, რომელიც იწვევს ორი თავისუფალი ნების შეჯახებას და რომ თანამედროვე ქა-

ლი თავისუფალი და დამოუკიდებელია და ოჯახური კონფლიქტები აღარ არის მიზეზი ტრაგედიისა.

— კიდევ ხომ არ გადაგვეხედა ტექსტისათვის? — ჰკითხა უცებ მერუსიმ.

— ურიგო არ იქნებოდა, თუ გნებავთ, ხვალ რვა საათისათვის შინ დაგელოდებით.

შალვა საკმაოდ ხელმომჭირნე კაცი იყო. მაგრამ მიხვდა, ცოტა ფული უნდა გაემეტებინა, თუ გამარჯვების მიღწევა სურდა. სხვანაირად არ გამოდიოდა, სიყვარულის ვნებათა ღელვას ჩვეული რიტმის რღვევა მოსდევდა. აფორიაქდა. აღელდა, ეს რა შარში გავეხვიეო და თავისი ერთფეროვანი, მდორე და დუნე ცხოვრების მცირე შერყევამ შეაწუხა, სახიფათო მომავლის მოლოდინმა ლამის კალაპოტიდან ამოაგდო. უჩვეულოდ გრძნობდა თავს ღვინოს, ხილს და ტკბილეულს რომ ყიდულობდა, მერეც — სუფრას რომ აწყობდა, მერეც — სუფრა რომ გააწყო და მერუსის ელოდებოდა. ელექტრონი გამოთიშა, სანთლები დაანთო, ასე უფრო ლამაზი იყო, მაგრამ მერუსი არ ჩანდა. გახდა რვა საათი. ცხრის ნახევარი, ცხრა... შალვამ თავში წაიშინა ხელი. თავის გულს შეასკდა, რისთვის გავწიე ამოდენა ხარჯიო, სად მე და სად ქალების შემცდენელი მიჯნურიო, თავიდანვე უნდა მცოდნოდა, რომ არ მოვიდოდა, მთელი ცხოვრება უქალოდ გავატარე, რაღა მაინცადამაინც დღეს უნდა მომხდარიყო სასწაულიო. გული შეეკუმშა, შეჩვეული იყო თავის უყისმათობას, თითქმის აღარც განიცდიდა და აულებელი ზღუდის გადალახვა რომ მოიწადინა და ისევ დამარცხდა, ისევ ძირს რომ დაენარცხა მწარედ. ყისმათმა თითი რომ დაუქნია, ციც, შენს ადგილზე დაეგდეო, საკუთარი ყოფა შესძაგდა წამით. თავის უბადრუკობას რომ ივიწყებს კაცი, იმით ძლებს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლე აუტანელი შეიქნებოდა. ადამიანურ ვნებათაგან ყველაზე უმძაფრესა და მრუმეს იგი ლამის ტაკიმასხარად ექცია და ამის შეგრძნება ძალზე ძნელი იყო. ღვინო დაისხა და დალია, სარკეში ჩაიხედა, რას გავხარ შე საწყალოო, უთხრა საკუთარ თავს, ისევ დაისხა ღვინო, დალია და სკამზე დაეშვა თავჩაქინდრული. და უცებ ფეხის ხმა მოესმა, კარზე დააკაკუნეს. მერე კარი გაიღო და ოთახში მერუსი შემოვიდა. შალვამ გაოცებით შეხედა, წამოდგომა ვერ მოახეხა, სულში ყველაფერი გადაუტრიალდა. მერუსიმ სანთლებით გაშუქებულ გაშლილი სუფრის დანახვაზე სიამოვნებით გაიღიმა, ოოო, შალვას გვერდით მიუჯდა და ბოდიში მოუხადა, დამაგვიანდა, ამხანაგმა შემომიარა და ვერაფრით ვერ ვუთხარი მეჩქარება-მეთქი. უკვე ათის ნახევარი იყო, გარეთ ბნელოდა. უცებ მერუსიმ შეამჩნია რომ შალვას სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

— შალვა!

შალვამ ხელები გამოუწოდა და აქვითინდა.

— შალვა! შალვა!

მერუსი წამოხტა, კალთაში ჩაუჯდა შალვას, კისერზე შემოეხვია და ლოყაზე მიეკრა.

— რა იყო, შალვა. რა მოგივიდა, ჩემო სიცოცხლევ?

— მიყვარხარ! — ამოილუღლუღა შალვამ.

— მეც მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო!

— უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, თავს მოვიკლავ!..

— ღმერთმა დაგიფაროს, რა გჭირს თავის მოსაკლავი?

ისინი დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს, ჩურჩულებდნენ, დაისხავდნენ ღვინოს, დალევდნენ, ისევ ეხვეოდნენ ერთმანეთს. ბოლოს სანთლები დაილევენთნენ და ჩაქრნენ, მერუსი გამოერკვა.

— შალვა, ძალიან დავიღალე, მოდი დავწვეთ!

დაწვნენ და მეორე დილით. როცა

ადგნენ, შალვა შალვა აღარ იყო, ის იყო ყარამან ყანთელი, ამირან-დარეჯანიანი, ბაქბაყ-დევი, გიორგი სააკაძე და ვინ გინდათ კიდევ?

მთელი შემოდგომა გრძელდებოდა მისი ნეტარება არაჩვეულებრივად თბილი დღეები მათ სისტემატურ შეხვედრებს განსაკუთრებულ ელფერს სძენდა და შალვა განუწყვეტლივ მერუსიზე ფიქრობდა და ის ედგა თვალწინ სახლშიც, სამსახურშიც, ქუჩაშიც, ტრანსპორტშიც, ძილის წინ და ძილის შემდეგ, წიგნის კითხვისას და სტატიის წერისას. ჯერჯერობით ამ საოცარ აღფრთოვანებას და სიცოცხლით ტკბობას არაფერი ემუქრებოდა, ვნება სიყვარულისა, არასდროს რომ არ განეცადა სულ ახლახან ლტოლვათა საშიშ ციებ-ცხელებად ჰქონდა წარმოდგენილი, ამღერებულ ზეიმად გადაიქცა უცებ, მხნეობის განმტკიცებულ მუდმივ ხალისად გადაიზარდა და თავიდან აშორებდა იმ აზრს, რომ ასეთი სიხარული ნამდვილ არსს ცხოვრებისას არ ესადაგებოდა, არ შეესაბამებოდა რომ ქალის სიყვარულით თავდავიწყებამ ცალმხრივი და ზერელე გახადა, დაავიწყა სევდა და ტკივილი და ის მარტივი ჭეშმარიტება რომ მუდმივი ზეიმი არ არსებობს, ყოველივე წარმავალი და ცვალებადია, თუმცა მაინც ერთგვაროვანი და ერთფეროვანი, რადგან ყოველ წამს რაღაც ხდება. მაგრამ ხდება მუდამ ერთი და იგივე, ბრუნვა, სიცოცხლე, სიკვდილი, ბრუნვა და ისევ იგივე და ისევ იგივე და წუთისოფლის ამ ორომტრიალში ცხოვრება ზოგჯერ ჯოჯოხეთის კარიბჭეს ემსგავსება.

მაგრამ ყოველივე ეს აღარ ახსოვდა შალვას, თუკი ცხოვრება გვანიჭებს სიამოვნებას, ფიქრობდა იგი, აუცილებლად უნდა მივიღოთ ყველა ვითარებაში, ყოველ წამს, ბედნიერებაზე უარის თქმა დანაშაულია საკუთარი თავის წინაშე, მერუსისგან მიღებული სიამე კი უმაღლესი ბედნიერების ტოლფასი იყო მისთვის და თავდავიწყებით მიისწრაფოდა მისკენ. მოვალეწლიანმა სიმარტოვემ, [illegible] დობამ უკანმოუხედავად [illegible] სიყვარული ვნებათა ბობოქარ ტალღებში. ბიძამისი სიკო რომ გარდაიცვალა. გულწრფელად დადარდიანებული შალვა ქელეხზეც კი არ დარჩა, რადგან იმ საღამოს მერუსი ელოდებოდა და ვერ შეცვალა პაემანი, ვერ თქვა უარი მერუსის ალერსზე, ვერც თავისი საუკეთესო მეგობრის ირაკლის მოსაგონარ დღეს დაესწრო, ვერც მაშინ დათმო მერუსისთან სიამტკბილობა, ეს უფრო მნიშვნელოვან და საჭირო რამედ მიიჩნია და თუმცა სადღაც, გულის სიღრმეში, სინდისი ქენჯნიდა სხეულის ძახილს მთლიანად აყოლილი უშუქარი სურვილების მორჩილ მსახურად რომ იქცა, — თავს იმით იმართლებდა, რომ სიყვარულისადმი დაუოკებელ სწრაფვის დათრგუნვა შეუძლებელი, ბუნების საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება იყო. იგი განუსჯელად მიჰყვებოდა ამ სწრაფვას. მით უმეტეს, არავითარი წინააღმდეგობა არა ხვდებოდა, მერუსი მუდამ ხალისით ეგებებოდა და ბოლოს შალვამ მერუსის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. მერუსი დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ისევ დედასთან იცხოვრებდა, ვერ დატოვებდა გულით ავადმყოფ დედას მარტოკა, მაგრამ ზოგჯერ, რასაკვირველია შალვასთანაც დარჩებოდა. შალვაც დათანხმდა, რადგან მერუსი თუ მასთან გადმოვიდოდა ამ პატარა ოთახში, ველარც კითხვას შეძლებდა და ველარც წერას, ეს კი მისთვის აუცილებელი იყო. ორივენი ამაზე შეთანხმდნენ, გარკვეულ თავისუფლებას ორივენი ინარჩუნებდნენ იმის საწინდრად, რომ ყოველგვარი საყოფაცხოვრებო უსიამოვნებანი ვერ შელახავდა მათი სიყვარულის სილაღეს. სწორედ ქორწინების წინადღეს, მომქვალი მნიშვნელოვანი ამბით აღელვებულ შალვას ქუჩაში შეხვდა ერთი კინოსტუდიელი კარგი ნაცნობი. მეტად ალალი და გულახდი-

ლი კაცი, რომელსაც შალვა კეთილი თვალით უყურებდა. გაუჩერდნენ ერთმანეთს, მიიკითხ-მოიკითხეს.

— შენსკენ ახალი რა არის? — ჰკითხა ნაცნობმა.

— ჩემსკენ ახალი ის არი რომ, მერუსი მღებრიშვილს ხომ იცნობ?..

— რეჟისორ სიგუას და ოპერატორ შაქროს საყვარელს? — აჯახა ნაცნობმა.

— რას ამბობ, კაცო?

— ვითომ არ იცი? — გაიკვირვა ნაცნობმა, — სიგუამ შაქროს გადაულოცა ეგა. ჰო, რა უნდა გეთქვა?

— არაფერი. მაგ ქალს წიგნის თარგმნაში მოვეხმარე!

— შენც კარგი მამაძაღლი ყოფილხარ! — ორაზროვნად გაიცინა შალვას ნაცნობმა და თავისი გზით წავიდა.

თითქოს ტყვია მოარტყეს გულში, ჩაუმწარეს ღირსსახსოვარი შემთხვევის მოლოდინი და შალვა პირველად დაფიქრდა მერუსის წარსულზე, რომელსაც აქამდე ხელი არ შეუშლია მათი ურთიერთობისათვის, მაგრამ ახლა, ქორწინების წინადღეს, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მოულოდნელად. ამ ჭორების არსებობა ადრეც იცოდა, მერუსისთან დაახლოებამ ეს ჭორები გადაავიწყა, მაგრამ ახლა ისევ რომ შეახსენეს, როცა მათ შორის უმჭიდროესი კავშირი იბმებოდა, ცივმა იმედგაცრუებამ მხრები ჩამოაყრევინა. მას უკვე ისე ძლიერ უყვარდა მერუსი, რომ არ შეეძლო საკუთარი სიყვარულის წინააღმდეგ ბრძოლა და არც ამ სიყვარულის მოცილება შეგუება და ატანა. მერუსის ალერსიანი, მუდამ გულთბილად მოღიმარი სახე არ იძლეოდა იმის გაფიქრების უფლებას, რომ ეს მშვენიერი არსება, თუნდაც ოდესღაც, თავის ცხოვრების რაღაც მონაკვეთში, განურჩეველი და ადვილად მისაწვდომი იყო. უწინდელ უხინჯო ნდობას შეერყა ფუძე და რაკი სიყვარული ნდობის გარეშე ვერ წარმოედგინა, იმ საღამოსვე ჰკითხა მერუსის, ვინ იყვნენ შენი ქმრები და იმ შენი ქმრების შემდეგ, ასეთ ლამაზ ქალს, ნუთუ მიჯნური არ გყოლიაო?

— მე უცნაური ბედის ქალი ვარ, ერთი ჩემი ქმარი გვარდიელი იყო, მეორე ჩეკისტი, მიჯნურებიც მყავდა, თუ გაინტერესებს, ყველაფერს გეტყვი, — მიუგო მერუსიმ, — ერთხანს ერთი სამხედრო ოფიცერი დამდევდა, გოგლა, კარგი ვაჟკაცი იყო და მეც გატაცებული ვიყავი, მაგრამ ღრმად რომ შევტოპეთ, სწორედ მაშინ დავშორდით ერთმანეთს, რადგან ცოლშვილი ჰყავდა და არ მინდოდა იმის ცოლშვილის ცოდვაში ჩავმდგარიყავი. მერე შოთას შევხვდი, ქუთაისელი ყმაწვილი იყო, შესანიშნავი ხმა ჰქონდა, კონსერვატორიაში ურჩევდნენ შესვლას, გოგლასთან რომ გავწყვიტე კავშირი მერე დავუახლოვდი, უფრო სწორად, თვითონ დამიახლოვდა, გასაქანს არ მაძლევდა, მეც ძალიან მომწონდა, იმიტომ რომ ძალზე მომხიბლავი მამაკაცი იყო, მაგრამ ვაჟკაცი არ აღმოჩნდა, მე მგონი, მას ჩემი ბინა უფრო აინტერესებდა და როცა ეს ვიგრძენი, მყისვე დავშორდი.

— კიდევ ვინ იყო?

— მეტი არავინ!

— სიგუა, შაქრო?

— რა სისულელეს ჩმახავ?!

— ამბობს ხალხი.

— ვინ ამბობს?

— სტუდიის თანამშრომლები...

— მაგათ უჯერებ და მე არა?

— გიჯერებ, როგორ არ გიჯერებ, წარსული — წარსულია, შენი წარსული მე არ მეხება, მაგრამ ახლა რომ რამე მსგავსი გავიგო...

— ნუ გეშინია ჩემო სიცოცხლევ. ვერაფერს ვერ გაიგებ, მე შენი ვარ,— მიეფერა მერუსი და დაიმშვიდა შალვამ თავი, მაგრამ გულში გაჩენილი უნდობლობის ბზარი მის უსაზღვრო ნეტარებას ხლეჩდა, აუფასურებდა. როცა ერთად იყვნენ, სჯეროდა მერუსის გულწრფელობა და მისი აღიარების სინამდვილე, მაგრამ საკმარისი იყო, ორიოდე დღით არ ენახა, ეჭვები

ღრღნიდნენ და წყალში იყრებოდა ამ ქალის სიქველე.

აქედან დაიწყო მისი წამება. მართალია გადაწყვიტა მერუსის წარსული მე არ მეხებაო, რადგან იმ დროს არ ვიცნობდი და არავითარი ურთიერთობა არა მქონდაო, მით უმეტეს, თვითონ მერუსიც სინანულით ეუბნებოდა, რატომ ადრე არ შევხვდით ერთმანეთსო. მაგრამ არ აღმოჩნდა ადვილი ამ გადაწყვეტილების განხორციელება, მერუსის წარსული, შალვასთვის უცნობი საიდუმლო ცხოვრება შავი ლანდივით აღიმართა მათ შორის და შალვამ შეიტყო, რომ სიყვარულს სიხარულთან ერთად მოაქვს წუხილი და ტანჯვაც. დაიწყო ახალი, აქამდე გამოუცდელი ხანა მისი ცხოვრებისა, როცა მერუსის ყოველი ნაბიჯი გაუმხელელ და გამოუთქმელ ეჭვებს იწვევდა, სად იყო, სად დადიოდა, ვის ხვდებოდა, და მიუხედავად ასეთი ულირსი და მდაბალი წარმოდგენისა, მაინც იტანდა, მაინც უყვარდა, მაინც სწყუროდა მისი ალერსი და ეს ალერსი ყოველგვარ ეჭვებს უქარწყლებდა და ზოგჯერ მასაც აფიქრებინებდა, რომ თუ ქალი გიზიდავს, მის ერთგულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ეს იყო ოდესღაც ძველად, რომ ეს მოთხოვნა მოგონილია და ბუნებრივ და თანდაყოლილ სქესობრივ ლტოლვას კი არ ახლავს, არამედ შემდეგ შეძენილ ზნეობრივ კანონებს...

გადიოდა ხანი, მერუსი უხვად იძლეოდა ეჭვიანობის საბაბს, იგი ხშირად ტრიალებდა მამაკაცების საზოგადოებაში შალვას გარეშე, ხან რაღაც კრებებს ესწრებოდა დილამდე, ხან ორი-სამი დღით გადაიკარგებოდა, მივლინებაში მივდივარო, და შალვა ითმენდა, თვალს ხუჭავდა, ვერ თმობდა მერუსის და მისი ცხოვრება, მუდამ დაულაგებელი, მწირი, ღარიბი რჩებოდა კვლავ დაულაგებლად, მოუწესრიგებლად, მწირად, ღარიბად, ქორწინებას არაფერი შეუცვლია, რადგან ეს იყო მართლაც უცნაური გარიგება, შიშველ ვნებებზე დამყარებული და შეიძლება ეს ცალმხრივობა არ აბეზრებდათ ერთმანეთს, თუმცა [illegible] ახლობელნი, მაინც უცხონი რჩებოდნენ. მაგრამ არ შეიძლება ითქვას. რომ მერუსის არ აინტერესებდა შალვას საქმეები, პირიქით, კითხულობდა მის წერილებს, ამაყობდა მისი ნააზრევით, მისი ცოდნით და უკვირდა, რომ კაცმა, რომელსაც არასოდეს უმოგზაურია, ზუსტად იცოდა მდინარე ტემზის რომელ ნაპირზე იდგა ინგლისის პარლამენტი, რამდენი ქანდაკება ამშვენებდა ნოტრდამ დე პარის, სხვა ამისთანებსაც რომ თავი დავანებოთ, და ნებისმიერი ავტორი შეეძლო გამოეჭირა ნებისმიერ უზუსტობაში. მერუსის სწყინდა, რომ ასეთი შესაძლებლობების კაცი ჩრდილში იდგა, მაშინ როდესაც ვილაც თავხედი უნიჭონი და უვიცნი მაღლა მიიწევდნენ ცხოვრების კიბეზე. რასაკვირველია. თავხედი ადამიანი ყოველთვის უფრო მეტს აღწევს საზოგადოებრივ ასპარეზზე, ვიდრე მოკრძალებული, ტვინით გაპენტილიც რომ იყოს, განსაკუთრებით საქართველოში, ეუბნებოდა შალვა მერუსის, მაგრამ მას სწამდა, რომ თავის ადგილს ცხოვრებაში ადამიანი უნარის მიხედვით კი არ იკავებს, არამედ იღბლის წყალობით, იღბალი კი სხვა არაფერია თუ არა მისი ხასიათი, მისი ბუნება, მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, სადღაც, ოდესღაც ჩამოყალიბებული და კიდევ რაღაც გამოუცნობი. და აქედან გამომდინარეს არავითარი ზედმეტი პრეტენზიები არ აწუხებდა, იცოდა, ვერ შეიცვლებოდა და სრულებით არ იზიარებდა მერუსის უკმაყოფილებას, ქალურ პატივმოყვარეობაზე დაყრდნობილს. იგი შორს იყო ძლიერთაგან ამა ქვეყნისა. ამიტომ ძლიერ გაუკვირდა ერთ მშვენიერ დღეს ქალაქკომის მდივანმა კოლია ჩაჩანიძემ რომ დაიბარა. მერუსი ამ კაცთან ახლოს იყო და შალვას ეს მეტისმეტად აღიზიანებდა ამ კაცის რეპუტაციის გამო. ამბობდნენ, მის

კაბინეტში შესულ ლამაზ ქალებს იქვე ებღლვნება ხოლმეო. მერუსი ამას არც უარყოფდა, მაგრამ ცხარედ უმტკიცებდა შალვას, რომ მათ შორის მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა იყო და ეს აახლოვებდათ, სხვა არაფერი, და ახლა, როცა შალვა იძულებული გახდა მისთვის მეტად უსიამოვნო პიროვნების გამომახვაზს დამორჩილებოდა, თავს დამცირებულად, გალანძღულად გრძნობდა და ფეხათრევით მიაბიჯებდა საქალაქო კომიტეტის გაკრიალებულ კორიდორებში, სადაც ამ უწყების ახალგაზრდა თანამშრომლები. ქალები და კაცები მედიდური და საქმიანი სახეებით მიმოდიოდნენ აქეთ-იქეთ. შალვამ მდივნის კაბინეტს მიაღწია.

მდივანმა კოლია ჩაჩანიძემ მეტად თავაზიანად მიიღო. წამოდგა, ხელი ჩამოართვა, გაუღიმა პაპიროსი შესთავაზა. ჭიანჭველებმა დაუარეს შალვას სხეულში კაცს, რომელსაც იოტისოდენა პატივს არ სცემდა, შიშითა და რიდით შესცქეროდა, თითქოს რაიმე დანაშაული მიუძღოდა მის წინაშე და რცხვენოდა ამისი.

— თქვენი მეუღლე ჩვენთან მუშაობს! — დაიწყო კოლიამ საუბარი, თითქოს შალვასთვის ეს ამბავი უცნობი ყოფილიყოს.

— დიახ.

— ჩვენ დიდ პატივს ვცემთ მერუსის, შესანიშნავი ქალია, ჭკვიანი, განათლებული, ბევრი ვერ დაიტრაბახებს ასეთ თვისებებს, მერუსის რომ აქვს მომადლებული. თქვენს შესახებაც ბევრი გვსმენია. როგორც ნიჭიერ ლიტერატორზე და აი, ამასწინათ, თქვენი ნაშრომი რომ წავიკითხეთ ილია ჭავჭავაძეზე, ჩვენ გადავწყვიტეთ ერთი მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე მოგანდოთ. ბევრი ვიმსჯელეთ, ვისთვის მიგვენდო ეს დიდი საქმე და ბოლოს არჩევანი თქვენზე შეჩერდა, რადგან თქვენ ნაკლებად გვეხმარებით ჩვენ. მაშ ასე, თქვენ უნდა დაწეროთ წიგნი ლაუ პეტროვიჩის მოღვაწეობაზე საქართველოში.

შალვა სახტად დარჩა.

— რას ბრძანებთ, სად ილია ჭავჭავაძე და სად ლაუ პეტროვიჩი?!

— თქვენ ლაუ პეტროვიჩი ილიაზე ნაკლები მოღვაწე გგონიათ? — წარბები შეჭმუხნა კოლიამ.

— მე ეგ არ მითქვამს.

— ილია — ილიაა, ლაუ — ლაუა, მომავალში ისტორია გაარკვევს ყველაფერს, — ისევ მოლბა მდივანი. — თუ ეს გაეჭვებთ, რომ ესენი სხვადასხვა მსოფლმხედველობის ხალხია, ერთ რამეს გეტყვით საიდუმლოდ, ოღონდ ჩვენს შორის დარჩეს, ბოლშევიკი ამას არ უნდა ამბობდეს, მაგრამ თქვენ გეტყვით, თავისი პოზიციიდან ალბათ, ყველა მსოფლმხედველობა სწორია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა ვებრძოლოთ ჩვენს მოწინააღმდეგე პოზიციაზე მდგომს, რადგან ამ ქვეყანაზე ყველაფერი ბრძოლით და ძალით მოიპოვება. იმარჯვებს არა სიმართლე, არამედ ძალა. ამიტომ თუ ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი თვალსაზრისი სწორია, უნდა ვეცადოთ, ის თავზე მოვახვიოთ სხვებს, თუმცა ობიექტურად, შეიძლება, არც ის სხვები ტყუოდნენ. აი, ამ კუთხით უნდა განიხილოთ ლაუ პეტროვიჩის მოღვაწერობა.

— მე პოლიტიკაში ცუდად ვერკვევი. ილია მე შევაფასე როგორც ეროვნული მოღვაწე და შემოქმედი.

— მოიცა! გენაცვალე! დღეს ყველა მოქალაქე ვალდებულია ფხიზლად იყოს და პოლიტიკა კარგად ესმოდეს, რას ქვია არ ერკვევით? თქვენ დიადი საბჭოთა კავშირის მოქალაქე არა ხართ? თუ დავალების პასუხისმგებლობა გაშინებთ, მასალებს ჩვენ მოგაწვდით, ყველანაირად დაგეხმარებით, მატერიალურადაც, რა თქმა უნდა. თქვენ გგონიათ ამ წიგნის დაწერის მსურველი ცოტაა? თვითონ თქვენმა რედაქტორმა ჭირი მოგვჭამა. მე დავწერ წიგნს ლაუ პეტროვიჩზეო, ყო-

ველდღე მირეკავდა და თავიც მომაბეზრა, მაგრამ ჩვენ თქვენ მოგანიჭეთ უპირატესობა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩრდილში დგახართ, აქტიურად არ გვეხმარებით ასეთი განათლებული კაცი, ჩვენ გვჭირდება თქვენისთანები, და მეორეც იმიტომ რომ, მერუსიმ გიშუამდგომლათ, თავი მოიკლა ისე გვთხოვა ეს საქმე თქვენთვის მოგვენდო და ჩვენც ვენდეთ მას, მის სიტყვას ანგარიში გავუწიეთ, დავფიქრდით ამაზეც. ეს ამბავი ზემოთ უკვე შეთანხმებულია, ასე რომ ხვალიდანვე შეუდექით საქმეს!

— რომ ვერ შევძლო?

— უნდა შეძლო! — დაიღრიალა კოლიამ, — როგორ ბედავთ ასეთ დავალებაზე უარის თქმას, ვირის აბანო ხომ არ მოგნატრებია? ბოლშევიკებისათვის შეუძლებელი არაფერია. მე შენ ჭკვიანი კაცი მეგონე, შენი ცოლიც დაგეხმაროს, რომ დაშტრიკინობს იქით-აქეთ, წადი ახლა, მიხედე საქმეს!

ძლივს აათრია შალვამ წელი და ძლივს გამოლასლასდა კაბინეტიდან პანღურნაკრავივით. შინ მისული ტახტზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ჭერს მიაჩერდა. ცუდად იყო საქმე, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა მის თავს დატეხილი განსაცდელი. ყოველნაირად ცდილობდა ჩრდილში მდგარიყო, არაფერში ჩარეულიყო, რომ შარში არ გაეხვიათ, მაგრამ მაინც კარს მოადგნენ. კაცს თავისთვის ჩუმად ყოფნის უფლებაც კი არ ჰქონდა ამ არეულ დროში. რა უნდა დაეწერა ლაუ·პეტროვიჩზე, ამ პირსისხლიან ჯალათზე, მთელი საქართველო რომააწიოკა და გაანადგურა? თუმცა მას ახლა ქართველი ხალხის სახელოვან და საამაყო შვილს უწოდებდნენ და შალვაზე უფრო განათლებული და ცნობილი პიროვნებანი გუნდრუკს უკმევდნენ. მერუსიმ დამღუპა გაიფიქრა შალვამ და პირველად ინანა, რომ არ ჰყოფნიდა ძალა ამ საეჭვო ქალის თავიდან მოსაშორებლად. ახლა ეს საშიშიც კი იყო. პირველად იგრძნო გულცივი ბოლმა მერუსისადმი, არაფრით ალარ შეეძლებოდა ასეთი ქალის სიყვარულ[illegible] გული დაწყდა, რომ ამიერიდან უამრავ სიამეს ეთხოვებოდა, მერუსისგან მომდინარეს. ესეც სისუსტე იყო მისი. ფიქრები აქეთ-იქეთ გაურბოდნენ და რატომღაც ლექსო ივანიძე მოაგონდა, ამასწინათ რომ ესტუმრა. კაკუნზე რომ კარი გაალო, ვილაც უცნობი მამაკაცი იდგა მის წინ. „ვერ მიცანი?“ ხმაზე იცნო. „ლექსო არა ხარ ივანიძე? შემოდი კაცო როდის, გავანთავისუფლეს?“ სტუმარი ოთახში შემოიყვანა და სკამზე დასვა. ლექსო გადასახლებიდან გუშინ დაბრუნებულიყო თბილისში. მისი ბინა ვილაც უნდილაძისთვის მიეცათ, მილიციას ქალაქში ცხოვრების უფლება აეკრძალა, დღესვე დატოვე თბილისიო, „იქნებ, ამაღამ როგორმე გამათევინო და ხვალ რამეს ვილონებ“, თხოვა ლექსომ. „როგორ არა, როგორ არა“, ჩაით გაუმასპინძლდა შალვა და მერე დიდხანს უგდებდა ყურს ლექსოს მონაყოლს ჩრდილოეთის ბანაკებზე, სადაც პატიმრებს პირუტყვებივით ამუშავებდნენ სამოც გრადუსიან ყინვაში, საქონელივით მიერეკებოდნენ მშიერთ და სიქაგაცლილთ გაყინული ბარაკებიდან და სიცოცხლის შენარჩუნების გარდა, კაცს სხვა ფიქრი და საზრუნავი აზრად არ მოსდიოდა. აი, სად ცხადდებოდა სრულიად ნათლად, რომ ადამიანიც არსებობისათვის მებრძოლი ცხოველია, ამ ბრძოლაში მთელი არსებით ჩაბმული. მაგრამ სულიერება, ზოგიერთებს იქაც არ ტოვებდა. თვითვე უკვირდა ლექსოს, რომ შიმშილით, ყინვით და კატორღული შრომით ძალგამოცლილს, ზოგჯერ, ლუკმა პურზე ზრუნვის მაგივრად ლექსის ტაეპები მოსდიოდა თავში. იგი ამ ლექსებს იმახსოვრებდა, რადგან ჩაწერის საშუალება არა ჰქონდა, მაგრამ რამდენ ლექსს დაიმახსოვრებ ასეთ პირობებში? და რომ არ დავიწყებოდა, ამხანაგებსაც ასწავლიდა სალამოობით.

დაძინების წინ, ჩარებზე მოკალათებულთ, ვისაც ჰქონდა ამის უნარი. რომ მერე მომავალში, თუ აქედან გასვლა ეწერათ, ლექსი ჩაეწერათ და პატრონისთვის დაებრუნებინათ. „რამდენი ლექსი დავკარგე, რომ იცოდე, ბიჭები იხოცებოდნენ და ჩემი ლექსებიც თან მიჰქონდათ სამარეში."

ყოველივე ამის ხილვა და განცდა თავად მოუწევდა შალვას, თუ ლაუ პეტროვიჩზე წიგნს არ დაწერდა. რა ექნა, რა გადაწყვეტილება მიეღო?

საგონებელში ჩავარდნილი მივიდა იგი მეორე დღეს სამსახურში და ეგონა, ყველანი მას უთვალთვალებდნენ. განსაკუთრებით რედაქტორის განწყობილება აინტერესებდა, რომელიღაც პროვინციიდან ჩამოსული ახალგაზრდა მოხერხებული კაცისა. რედაქტორის პოსტთან ერთად უკვე სამოთახიანი ბინა რომ ჩაიგდო ხელში. მაგრამ რედაქტორს არაფერი განსაკუთრებული არ გამოუმჟღავნებია, ალბათ, არც იცოდა რომ გუშინ შალვას ლაუ პეტროვიჩზე წიგნის დაწერა დაავალეს. იმ დღეს, სამსახურიდან გამობრუნებული მერუსის შეხვდა ჩვეულებისამებრ და ერთად ისადილეს სახკომსაბჭოს სასადილოში . გუშინდელზე შალვას სიტყვა არ დაუძრავს, თვითონ მერუსიმ ვერ მოითმინა.

— გავიგე, კოლია ჩაჩანიძეს შეხვედრიხარ, გოგოებმა მითხრეს სამსახურში.

— კი, შევხვდი.

— რა უნდოდა?

— არ იცი?

— არა.

— არ გითხრა?

— რა უნდა ეთქვა?

— ლაუ პეტროვიჩზე წიგნის დაწერა დამავალა.

— მერე?

— შევეცდები.

— შეეცდები კი არა, აუცილებლად უნდა დაწერო!

— დავწერ! — თქვა შალვამ და დაბნეულად მიაჩერდა მტკიცედ მოლაპარაკე ქალს.

ერთი კვირის შემდეგ. ჩაჩანიძემ სამსახურში დაურეკა, როგორ მიდის საქმეო. არა უშავს, კარგად. მასალებს ვეცნობიო. ყოჩაღ, აბა, შენ იცი. ოღონდ იჩქარეო! ერთ საღამოს. საკუთარი ალაყაფის კართან შავი „ემადინიდან" გადმოსულმა ისიდორე ქლენტმა შეაჩერა და იგივე ჰკითხა, მე მითხრეს ლაუ პეტროვიჩზე წიგნის დაწერა გიკისრიაო.

— ვცდილობ, თუ გამომივიდა.

— აუცილებლად გამოგივა, უნდა გამოიყვანო!

და უცებ შალვა მიხვდა, რომ გარემოებებს იგი პირდაპირ ეშაფოტისკენ მიჰყავდა, მხოლოდ რაღაც დროის გასვლა იყო საჭირო. ის, რაც შალვამ ჯერ არ იცოდა, ვიღაცამ თუ რაღაცამ ბუნებაში უკვე იცოდა. სამყაროსთვის უკვე გარკვეული და გადაწყვეტილი იყო, რაც შალვას ელოდა. ის გზა რომელიც მას უნდა გაევლო, უკვე გავლილი იყო, უსასრულობისთვის დრო არ არსებობდა. უსასრულობა დროის ფაქტორს გამორიცხავდა და შალვა ფიქრობდა, რომ მომავალი, ანუ ის. რაც ჯერ არ მომხდარა, ისევე არსებულია, როგორც წარსული, უკვე მომხდარი. გარდახდენილი. რადგან მიუხედავად იმისა, რომ სამყაროში ყოველივე მოძრაობს და ყოველწამს იცვლება, მთლიანობა მაინც მდგრადია, თავიდან მოცემული, წინასწარ განპირობებული. ერთიანი, სადაც არ არსებობს დასაწყისი და დასასრული და მოძრაობა საწყისიდან სასრულამდე თავიდან ბოლომდე შეცნობილია, ქმნილი, ამიტომ მომხდარი. უმწეობის შეგრძნებამ სული კინაღამ შეუხუთა, ამაო იყო ყოველივე. გადაწყვეტილი იყო მისი ბედი. არსთა გამრიგემ, ვითარცა წიგნის მწერალმა, უკვე იცოდა რა მოხდებოდა შემდეგ ფურცელზე. რას ნიშნავდა მისი სიცოცხლე? არავისთვის არაფერს! მხოლოდ თვითონ მისთვის ჰქონდა ამას უდიდესი

ფასი. ჰოდა. რა მოხდებოდა თუ დასწერდა მორიგ სიცრუეს ლაუ პეტროვიჩზე და თავს გადაირჩენდა? განა მთელი ცხოვრება სიცრუეზე არ იყო დამყარებული? განა ადამიანთა სვეს კოსმიური ძალები არ განაგებენ, მაშინ როდესაც თვით ადამიანს თავისი თავი ბუნების მბრძანებლად წარმოუდგენია? ეს წიგნი მაინც დაიწერებოდა, ადვილად მოინახებოდა მისი დამწერი, შალვა თუ არა სხვა მოჰკიდებდა ამ საქმეს ხელს. ერთ მშვენიერ დღეს ბიბლიოთეკაში შეიარა, ლაუ პეტროვიჩის წარმოთქმული სიტყვები გადაათვალიერა. ბოლომა ყელში მოებჯინა იმდენი ტყუილი, უმეცრება, ძალმომრეობა ინთხეოდა ამ სიტყვებიდან. დაზაფრული გამოვიდა გარეთ. განა ლაუს ბრძანებით არ დახვრიტეს ირაკლი თორელი? და შალვა მიხვდა, ვერ იყო ლაუზე წიგნის დამწერი, რა ექნა, სად გაქცეულიყო? სადმე ხევსურეთში ან სვანეთში მასწავლებლის ადგილი რომ ეშოვნა? უიმედოდ ჩაეცინა, განა იქ ვერ მიაგნებდნენ? ყოველშემთხვევისათვის, იმ საღამოს საწოლის ქვემოდან თავისი ერთადერთი ჩემოდანი გამოათრია. შიგ პალტო და თბილი ტანსაცმელი ჩაყარა. სინანულით მოავლო თვალი წიგნებს, უცილობელ ავლა-დიდებას, რაც მას გააჩნდა. რამდენი საყვარელი წიგნი ჩააგდო ჩემოდანში, ჩაკეტა იგი და ისევ საწოლის ქვეშ შეაცურა.

დრო გადიოდა, ახლოვდებოდა ჟამი განკითხვისა, შალვა ხელს არ ანძრევდა და ყურს არ აპარტყუნებდა, თითქოს დაავიწყდა, რომ მის ნამუშევარს ელოდნენ და უქმად ყოფნისთვის პასუხს მოთხოვდნენ. პირველად ინანა, ქართველად რომ დაიბადა, ნეტავ საქართველოში არა ვცხოვრობდე, ნეტა ამ ქვეყნიდან სადმე წამიყვანაო. გაგულისებული დაჯდა და კრიტიკული რეცენზია დასწერა ერთერთ ფილმზე, რომელიც ლაუ პეტროვიჩს თავის ერთ სიტყვაში დადებითად ჰყავდა შეფასებული. რეცენზია რომ დაიბეჭდა. მოეშვა, მოითენთა, უცნაურმა აპათიამ დამბლასავით წაართვა მოქმედებისა და მოსაზრების უნარი. ერთ საღამოს დაჯდა და მარტოკამ ორი ბოთლი ღვინო დალია. უკანასკნელი ჰიქა რომ დაისხა, მერუსი შემოვიდა ოთახში და შალვას ისე გაუხარდა მისი დანახვა, რომ მიხვდა, ისევ ისე იზიდავდა ეს ქალი და ალბათ, ვერც მოახერხებდა ამ სწრაფვის გულიდან ამოგლეჯას. ისევ უნდოდა და სწყუროდა იგი, როგორც სულ პირველად, სასოწარკვეთილი რომ ელოდა აქ, ამ ოთახში.

— ო, მერუსი, შენ გაგიმარჯოს, მიყვარხარ. გენაცვალე, იმიტომ რომ, მშვენიერი ქალი ბრძანდები, ბევრი სიტკბო მახსოვს შენგან და არასოდეს დამავიწყდები, იცოცხლე, იბედნიერე!— გულწრფელად წარმოსთქვა შეზარხოშებულმა შალვამ და ჰიქა ასწია.

— გმადლობთ, ჩემო საყვარელო!— უპასუხა მერუსიმ, მაგრამ ამ სიტყვების მიღმა დაფარული გაღიზიანება აღიქვა შალვას ბანგმორეულმა გონებამ.

— რა იყო, მერუსი, რამ შეგაწუხა?

— შენ რამ შეგაწუხა, მარტო რომ დამჯდარხარ და ლოთობ?

— მე ვქეიფობ, რა მეტყობა შეწუხებულის?

— ასე თუ იქეიფე, წიგნს როდისღა დასწერ?

— წიგნს ვერა ვწერ.

— როგორ თუ ვერა წერ? რა პასუხი გავცე კოლია ჩაჩანიძეს?

— რაც გინდა უთხარი. მე რა ვიცი რაზე ლაპარაკობთ ხოლმე?

მერუსიმ ხელჩანთიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო და გაშალა.

— ეს რეცენზია რაღამ დაგაწერინა?

— რეცენზიის დაწერაც აღარ შეიძლება?

— არ იცი, ეგ ფილმი ლაუ პეტროვიჩს რომ მოსწონს? იცი რა მითქმა-მოთქმა ატყდა ქალაქში? შალვა. იცოდე ეს ამბავი ცუდად დამთავრდება.

— რა ვქნა?

მერუსი წამოდგა და ცივად შემოხედა.

ეროვნული

— მე შენთვის კარგი მინდოდა, მაგრამ ეტყობა, ჩვენ ერთმანეთის არ გვესმის. ჩვენი გზები გაიყარა, შენისთანები ამ ცხოვრებაში არ ვარგიან.

— ჰო, ასეთი ვარ, — თავი ჩაქინდრა შალვამ, გულში მწარედ მოხვდა აწ უკვე ნაცოლარის სიტყვები და მისი წასვლა და კარის გაბრახუნება ვერც კი გაიგო.

ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მიაკითხა ბიბლიოთეკას და კიდევ ერთხელ ჩააკვირდა ლაუ პეტროვიჩის გამონათქვამებს. ისევ თვალწინ წარმოუდგა სიყრმის მეგობარი ირაკლი თორელი, სადღაც, საბურთალოს მიდამოებში დახვრეტილი სამშობლოს სიყვარულისთვის. სამშობლოს სიყვარულიც აკრძალული იყო და კიდევ უნდა გექო და გედიდებინა ამ წესთა დამდგენნი. სულისშემხუთველი იყო ამის გაფიქრება, წამოდგა და კარში გამოვიდა. უხალისოდ მიბრუნდა შინ. საღამო ეზოს დაბინდული სიმშვიდით ამყუდროებდა. ოკუჯავა და ძიმისტარაშვილი აივანზე ნარდს თამაშობდნენ, ჯანაგოვის გერმანელი მეუღლე ლიდია ივანოვნა ქოთნებში ჩარგულ ყვავილებს რწყავდა, მკერავი სათენიკა ოთახიდან გამოვიდა. შალვას დანახვაზე მას მიაშურა.

— შალვაჯან, დღეს ორჯერ მოგაკითხა ვიღაც ახალგაზრდამ.

— ვინა ვარო?

— მოსკოვიდან ვიღაც ლიტერატორი ჩამოვიდა შალვას ნახვა უნდაო, რომ მოვა ამ ტელეფონზე დარეკოსო, — და წინსაფრის ჯიბიდან ამოღებული ქაღალდის ნაგლეჯი მიაწოდა, რომელზედაც ტელეფონის ნომერი იყო ჩაწერილი.

შალვამ პიჯაკის ჯიბეში ხურდა ფული მოიძია და კვლავ გაიარა ჩაბნელებული ალაყაფის გვირაბი. ქუჩის კუთხეში ავტომატური ტელეფონის ჯიხური იდგა. ნეტავ, ვინ მოსკოველი ლიტერატორი მეძებს და რა უნდაო, ფიქრობდა შალვა და უცნობ ნომერს კრეფდა.

— გისმენთ! — უთხრეს წყნარი ხმით.

— მე შალვა პეტრ[illegible] ამ ნომერზე მთხოვეს დარეკვა.

— საიდან რეკავთ?

— ავტომატიდან, აქვე, ჩემს სახლთან.

— კეთილი, შინ დაგველოდეთ, ნახევარ საათში მანდ ვიქნებით.

— კი, ბატონო, — თქვა შალვამ და ყურმილი დაკიდა.

და უცებ აზრზე მოვიდა. მიხვდა, ვინც იყო ის მოსკოველი ლიტერატორი და რატომაც ეძებდა. ნახევარ საათში აქ იქნებოდნენ. თავისუფლად მოასწრებდა შინ მისვლას და წინასწარ გამზადებული ჩემოდნის გამოტანას, მაგრამ უფრო ადრე რომ მოსულიყვნენ? ჯანდაბას ჩემოდანი, არ ღირდა რისკის გაწევა. ჩქარი ნაბიჯით დაეშვა ქვემოთ. ფულიც არ ჰქონდა, ჯიბეში რაღაც გროშები ედო, რა დროს ფული იყო, სწრაფად უნდა გასცლოდა აქაურობას .დაბინდულ ქუჩებში სინათლეები ინთებოდა, მოქალაქეები მიმოდიოდნენ თავიანთ საქმეებზე, ვილაცეები სადალაქოში თეთრ წინსაფარაფარებულნი მშვიდად ისხდნენ რბილ სავარძლებში და წვერს იპარსავდნენ, ვიღაც მოხუცებული ქალი გასტრონომიდან გამოტანილ სანოვაგეს ჩანთაში დებდა, ერომა შავგვრემანმა კაცმა პაპიროსის ნამწვი კედელთან მიაგდო და გაიარა, ახალგაზრდა ქალი ტროტუარის კიდეზე იდგა და ქუჩის მეორე მხარეს ვიღაცას რაღაცას გასძახოდა. შალვამ იცოდა, რომ ისინი უკვე გზად იყვნენ. საცაა მიადგებოდნენ მისი ბინის ჩაკეტილ კარებს. რა თქმა უნდა, კარს შეამტვრევდნენ და იქაურობას გადააქოთებდნენ, წიგნებს გადმოყრიდნენ თაროებიდან. წიგნები ენანებოდა და დამწუხრებული, აღელვებული მიაბიჯებდა, მაგრამ არ ჰქონდა გადაწყვეტილი საით წასულიყო. იგი უმიზნოდ მიჰყვებოდა ქალაქის ხმაურიან ქუჩებს, ერთმანეთში გადახლართულთ, გარკვეული მი-

მართულებით მიმავალთ, ხალხის ნაკადით ავსებულთ, იგი შეერია ამ ნაკადს, როგორც მისი მსგავსი ათასი და ასი ათასი თავის დროზე და როცა ეგონა, რომ გაითქვიფა, გაქრა, გაუჩინარდა. პაპიროსის მოსაკიდებლად შეჩერდა და სწორედ ამ დროს, ვიღაცამ მკლავში ხელი მაგრა ჩაავლო.

## 15.

შამშემ და ნათელამ თაფლობის თვე ავლაბარში გაატარეს, კოლას ბინაში. კოლა სადღაც გადაიხვეწა, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც ნახულობდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, მოიკითხავდა, რაიმე სანოვაგეს მოიტანდა აუცილებლად, რძალს მოეფერებოდა, ყვავილებს მიართმევდა. ის იყო ერთადერთი კაცი შამშეს ნათესავთაგან, ვინც ასე გულთბილად, სიყვარულით განეწყო ნათელასადმი, დანარჩენი უნდილაძეები თავიდანვე მტრულად შეხვდნენ შამშეს ქორწინებას, იმთავითვე აითვალისწუნეს ახალი რძალი და ბევრი სიმწარე და უსიამოვნება განაცდევინეს ახალგაზრდებს. ნათელა დარწმუნებული იყო. რომ ქორწინებას დაუსრულებელი ბედნიერება მოჰყვებოდა და სულ არ ეგონა თუ სინამდვილე ასეთი უხეში, უხამსი, ულმობელი და ულამაზო იქნებოდა. წიფლნარში რომ ჩავიდნენ მშობლებთან სტუმრად პისტის და ამბაკოს საყვედურებმა ისე გააკვირვა, რომ სახტად დარჩა. ჯერ რა დროს ბუჭუტას დაქორწინება იყოო, რა ეჩქარებოდაო, სახლკარი მაგას არა აქვს, ქონება მაგას არ გააჩნიაო, მაზლი ტიტიკო ნათელას გასაგონად ეუბნებოდა ძმას, შე გლახაკო, ექიმმა კაცმა ამ უნიფხო ნიგურიანის გოგოზე უკეთესი იმოდენა ქალაქში რავა ვერ იშოვეო? თავის სიძულვილს ნათელასადმი არც ცუცა მალავდა და გულშემოყრილმა ნათელამ, ქმრის ოჯახში სტუმრად პირველად მისულმა, აცრემლებული თვალებით თხოვა შამშეს, თუ ოდნავ გიყვარვარ. აქედან გამიყვანეო, და იმავ საღამოს გამობრუნდნენ სირცხვილნაჭამნი მიხაკოსაკენ. ორივეს რცხვენოდა სიძის ოჯახში ასე ცუდად რომ მიიღეს ახლადშეუღლებულნი, უსამართლო საყვედურებით რომ აავსეს და ძაღლების ყეფით გაყრუებულ ორღობეში ხელჩაკიდებით მომავალნი უზარმაზარი მთვარით განათებულ ბილიკზე, უკვე ატყობდნენ, რომ მომავალი ცხოვრების გზა ფიანდაზად არ დაეფინებოდათ, ნარ-ეკალიც მრავლად შეხვდებოდათ და ღვარძლიც და შურიც. მაგრამ ერთმანეთის სიყვარული გულს უმაგრებდათ, აქ არასოდეს ფეხს არ შემოვდგამო, ეუბნებოდა გამწარებული შამშე ნათელას და ნათელას სიამოვნებდა, რომ ქმარი თანაუგრძნობდა, მთლიანად მისკენ იყო, ნათესავებმა ვერ აუმღვრიეს გონება.

სამაგიეროდ ნიგურიანებმა დიდი ხალისით და პატივისცემით მიიღეს სიძე. ყველანი გახარებულნი იყვნენ, მინადორა, მართა, მიხაკო, იასე, ახალგაზრდები: ავთო და ნიკუშა. ბიძინა კი სადღაც გადაკარგული, მაგრამ ოჯახის ეს ერთი სადარდებელი ვერ ჩრდილავდა ნათელას გაბედნიერებით გამოწვეულ სიხარულს ქორწილი არ გადაუხდიათ, მიხაკომ ვახშამი გაუმართა ნათესავებს და სიძის ახლობლებიც მოიწვია. და ამ სუფრაზე ისევ დაიწყო ღრენა ამბაკომ, ისევ ასისინდნენ უადგილოდ პისტი და ცუცა, და შეზარხოშებული შამშე იმდენად გააგიჟეს და გამოიყვანეს მწყობრიდან უადგილო საყვედურებითა და უკმაყოფილების აშკარა გამოხატულებით, რომ ოდესღაც გრიშა დევდარიანის ნაჩუქარი რევოლვერი დააძრო ყვირილით, თუ არ მოგწონთ, რას მოდიოდით აქა, მიყვარს და ჩემთვის ვითხოვე ეს ქალი, თქვენთვის ხომ არ მომიყვანიაო, და გულზე დაიხალა, მაგრამ საბედნიეროდ, ტარიელ ვარდანიძის დროზე აკრულმა ხელმა იხსნა. იარაღი ჰაერშივე გავარდა, ტყვიამ გახვრიტა

სხვენი და გადარჩა შამშე და ატყდა აყალ-მაყალი, ერთმანეთის ლანძღვაგინება და ამ ამაზრზენი სურათის ვერშემყურე ავთო და ნიკუშა სახლის ქვეშ შეძვრნენ და დაიმალნენ. „ეს რა ხალხი ყოფილაო?“ წარმოსთქვა მიხაკომ, როცა როგორც იქნა გაისტუმრა ახალდშეძენილი ავი მოყვრები.

— თქვენ მასწავლით, ბატონო, უნდილაძეებს? — თქვა ტარიელ ვარდანიძემ, — მარტო ბუქუტაა მაგენში ოქრო, დანარჩენებს უნდა გადაასხა ნავთი და დაწვა.

იმ დღიდან ნიგურიანებმა ირწმუნეს, რომ შამშე მართლაც ოქრო კაცი იყო, სრულიად განსხვავებული თავისი მშობლებისა და დედმამიშვილებისაგან. წიფლნარიდან თბილისში დაბრუნებულმა ნათელმაც საბოლოოდ აიცრუა გული ქმრის ნათესავებზე და ახლობლებზე, ერთადერთი კოლა უყვარდა, მუდამ თავაზიანი და ერთგული.

კოლას ბინაში ისინი საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდნენ. ბევრი არაფერი გააჩნდათ. ერთხელ ახლად დაქორწინებული ლიზიკო და სიმონიკა ეწვიათ და სტუმრებს ჩაით ძლივს გაუმასპინძლდნენ. ლიზიკო და სიმონიკა ყვარელში დასახლდნენ, იქ მოიკიდეს ფეხი, დამკვიდრდნენ, ამათ კი ძალიან აწუხებდა თავიანთი მომავალი. შამშეს ბინა ვერაზე ცუცამ დაისაკუთრა და იქ გადასვლაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მართალია, კოლა ამბობდა. ნუ დარდობთ, რამდენ ხანსაც გინდათ იყავით აქაო, მაგრამ დაუსრულებლად ხომ არ იქნებოდნენ სხვის კარად, საკუთარი კერა ხომ უნდა შეექმნათ? ეს მოუწყობლობა არ ასვენებდათ და თაფლობის თვის სიამეს ჩრდილს აყენებდა. შამშეს მშობლების ხელშეწყობის იმედი აღარ ჰქონდა, მას შემდეგ როცა ისე გაამწარეს, ლამის თავის მოკვლა გადააწყვეტინეს. რასაკვირველია, ეს ყოვლად უპასუხისმგებლო მცდელობა უნდილაძეებისათვის ნიშანდობლივი თავშეუკავებლობის და სიფიცხის ბრალი იყო, არც შამშე განსხვავდებოდა დიდად თავისიანებისაგან, მაგრამ როცა დამშვიდდა და წარმოიდგინა, რაც მოხდებოდა ტყვია ჰაერში რომ არ გავარდნილიყო, ახლობლებზე გული აიცრუა. ამ ზომაზე რომ მიიყვანეს, არ დაინდეს, არ უთანაგრძნეს, და მალულ კაეშანს გულში იხშობდა საყვარელი მეუღლის ყურადღებით გამხნევებული. მაინც ძნელია შენიანები ხელს რომ გკრავენ, დახმარების მაგივრად, ვისი იმედიც გაქვს, ის რომ დაგიდებს ფეხს წასაქცევად, მაგრამ შამშე ხედავდა ასეთი იყო ცხოვრება ქართველთა და ძალაუნებურად ეგუებოდა ის ამ ცხოვრებას. თავისი გულწრფელობით და საქმისადმი ერთგულებით სამსახურში პატივისცემას იმსახურებდა ხოლო ცოლოურებს ისე უყვარდათ, ისე აქებდნენ და ადიდებდნენ, რომ ეს დამოკიდებულება სავსებით უქმაყოფილებდა პატივმოყვარეობას. ერთ მშვენიერ დღეს იასეს შეხვდა პუშკინის ქუჩაზე და იასემ რესტორან „სიმპათიაში“ ჩაიყვანა სასადილოდ. მას შემდეგ რაც მარტო დარჩა, იასემ ელენა პეტროვნა დაითხოვა და რესტორნებში და სასადილოებში სადილობდა ხოლმე. იასემ ღვინოც მოატანინა. იგი მოწყენილი იყო, შალიკო ტიგროვს ცუდად აქვს მოსკოვში საქმე, ამ ბოლო დროს გაზეთებში ორჯერ მკაცრად გააკრიტიკესო.

— ეს ცუდი ნიშანია, — თქვა მან.

— ვითომ წყალი შეუყენეს?

— ასე ჩანს. არადა შალიკო ძველი რევოლუციონერია. ეს ცხვირმოუხოცავი ახლადგამომცხვარი ყაზილარები სად იყვნენ მაშინ, მე და შალიკო ბათუმში ორგანიზაციას რომ ვაარსებდით? მაგრამ დღეს ჩვენი დამსახურება აღარავის ახსოვს და აღარავის უნდა, ვითომ არც ვიყავით. ისტორიას ისე ამახინჯებენ და ასხვაფერებენ, თითქოს გასართობი რომანი იყოს და არა ფაქტებზე დამყარებული რეალობა.

— ამიტომ, იასე ბატონო, ისტორია არ არის სანდო.

— რა თქმა უნდა, ისტორია ტენდენციას არ გამორიცხავს, რა მოხდა სინამდვილეში მხოლოდ ღმერთმა უწყის.

— როდის აქეთ იწამე ღმერთი? — გაეცინა შამშეს.

— ეს ისე ვთქვი. მე კომუნისტი ვარ და კომუნისტად დავრჩები ბოლომდის. ღმერთი მე არ მწამს. მაგრამ ახლა სულ სხვა რამეზე მსურს გელაპარაკო, მოვეშვათ პოლიტიკას. ჩემი ძმისწულის ბედი მაწუხებს.

— ბიძინას?

— ბიძინასი თავისთავად, მაგრამ ახლა შენი ცოლი ნათელა მყავს მხედველობაში.

— რა მოხდა ისეთი?

— შენ პატიოსანი კაცი ხარ და ცხოვრების მარიფათი გაკლია. შეიძლება, ეს შენი ხასიათის თვისებაა. მარიფათი იცი რას ნიშნავს? ცოტა თავხედობას, ცოტა უსინდისობას, ცოტა ეგოიზმს გამჭრიახობასა და მოხერხებასთან შეერთებულს. მარიფათი ყოველთვის საჭიროა. პატიოსანი შრომით და მორიდებით დღეს ბევრს ვერაფერს მიაღწევ, ამას უკვე აშკარად ვატყობ მე. ჩვენი გამარჯვების შემდეგდროინდელი ცხოვრება სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი, არ მეგონა შინსახკომი თუ გახდებოდა ასეთი მძლეთა მძლე, მე მეგონა, ჩვენი, ძველი პარტიულების სიტყვას მეტი ფასი ექნებოდა. მაგრამ პირიქით ხდება, დამსახურებულ ხალხს ჩრდილში აყენებენ და ახლად წამოჩიტული მედროვეები იგდებენ ხელში ცხოვრების სადავეებს. დააკვირდი შენს ტოლებს, როგორ იბრძვიან, როგორ მიიწევენ ზემოთ, შენ რამდენ ხანს აპირებ შენი ძმის ბინაში ცხოვრებას? მელოდება ის გოგო, ხომ იცი, ჩემი გაზრდილია.

— მომცემენ, ალბათ, რამეს.

— არავინ არაფერს არ მოგცემს, თუ ხელი არ გამოიღე. შენ მაგისი კაცი არა ხარ. ამიტომ ასეთი წინადადება მაქვს: მე ელენა პეტროვნას შევაფარებ თავ და იმასთან გადავალ საცხოვრებლად, ამაზე უკვე მოლაპარაკებული ვართ, ჩემს ბინას თქვენ გაბარებთ, გადმოიყვანე ის ბავშვი ხვალვე და მე დღეის ამას იქეთ დავცლი იქაურობას, თუმცა რა მაქვს, რა მაბადია, ავეჯს გიტოვებთ, მხოლოდ ტანსაცმელს წავიღებ!

თავის ძველ ბინაში და ჩვეულ გარემოში დაბრუნებამ ნათელა დიდად გაახარა და გააბედნიერა. დაასუფთავა და დააწკრიალა ორივე ოთახი და სამზარეულო . ახლა, რაკი თვითონ იყო დიასახლისი, ოჯახურ საქმეებს დიდი ხალისით ეკიდებოდა, ხელიდან ყველაფერი გამოუდიოდა, უყვარდა გარჯა, უქმად მყოფს ვერ ნახავდით, დილიდან საღამომდე წმენდდა, ასუფთავებდა, რეცხავდა. ხეხავდა, აუთოვებდა, სადილს ამზადებდა, წიგნებს ხელს აღარ კიდებდა, ოჯახურმა შრომამ ეს ჩვევა გადაავიწყა და თუმცა ზოგჯერ წაიწუწუნებდა, კითხვას ველარ ვახერხებ იმდენი საქმე მაქვსო, ამას უფრო თავმოწონებით ამბობდა, დიასახლისობის მძიმე ტვირთის შეჭიდება მეტად საპატიო ვალად რომ წარმოეჩინა. როცა დედობის მოახლოება იგრძნო, მზრუნველობით ამზადებდა ბავშვის სახვევებს, ჩასაცმელებს და რადგან ძალიან უნდოდა გოგონა ჰყოლოდა, მომავალი გოგონასთვის შესაფერ საბავშვო თეთრეულს იმარაგებდა. იასე ყოველ საღამოს აკითხავდა თავის გაზრდილს, თვითონაც ხშირად მიდიოდნენ მასთან. ელენა პეტროვნას უამრავი ნივთებით გადატენილ ბინაში, სადაც სარკიანი შიფონერის თავზე ძველებური გრამაფონიც კი იდგა. კვირაობით აქ სადილობდნენ ნათელა და შამშე, ელენა პეტროვნას მომზადებული ბორშჩი და კატლეტი ორივეს მოსწონდა, თუმცა შამშე უფრო იმერულ კერძებს აძლევდა უპირატესობას, ლობიოს და მჭადს, მწნილს და ფხალეულს და ნათელაც ოსტატდებოდა

ქმრისთვის საყვარელი საჭმელების მომზადებაში. წიგნლნარიდან ხშირად ჩამოდიოდნენ მინადორა და მიხაკო, ზამთრისთვის მიხაკომ შეშაც მოუმარაგა ,ავთო სვანეთში ახლდა გეოლოგ ნათანზონს, ხოლო ნიკუშამ წარმატებით დაამთავრა ზოოტექნიკური ტექნიკუმი, თბილისში უმაღლესში მოეწყო ზოოვეტერინარულ ფაკულტეტზე; „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდში ჩარიცხეს და ბინად ნათელასთან და შამშესთან დადგა, მახარაძის ოცდაცხრაში. პატარა ოთახში მას თავისი ტახტი და თავისი მაგიდა ედგა. სადაც ის მეცადინეობდა, ხოლო თავისუფალ დროს ნათელას ოჯახურ საქმეებში ეხმარებოდა, იატაკს უპრიალებდა, ბაზარში ან მაღაზიაში ეგზავნებოდა, ფარდების დაკიდება და თეთრეულის დაუთოვებაც ემარჯვებოდა და საერთოდ იმდენად დაუზარელი და კარგი ყმაწვილი იყო, რომ მთელ ეზოს შეაყვარა თავი.

და ცხოვრობდა ეს ხალხი ჩვეულებრივი იმედებით, მომავალ ბედნიერებაზე ოცნებით, გამდიდრების, უზრუნველყოფის, რაიმეს შეძენის სურვილით, თუმცა დიდი გაჭირვება იყო ქვეყნად, უბრალო ტანსაცმელი ეგრეთწოდებულ „ტორგსინში“ ოქროზე იყიდებოდა და აბარებდა მოსახლეობა გადარჩენილ და გადამალულ ოქროს სახელმწიფოს და ყიდულობდა მისთვის აუცილებელ ჭინჭებს, და ამ გაჭირვებას აბრალებდნენ გარეშე მტრებს და შინაგან მავნებლებს და ებრძოდნენ ყველას და იმედოვნებდნენ, რომ სულ მალე მტრებს გაანადგურებდნენ და საბჭოთა ადამიანის ცხოვრება საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა. უმრავლესობას მტკიცედ სწამდა მომავალი სასიკეთო გარდაქმნები. განა ცოტას ნიშნავდა, რომ პრივილეგირებული კლასები მოსპეს და ყველანი გაათანასწორეს, თუმცა ზოგი იმასაც ამჩნევდა, ახალი პრივილიგირებული კლასი რომ ჩნდებოდა, ჩაგრულთა და ჩრულვით დაღდასმულთა სახელით მომქმედი, მაგრამ უდიდესი ნაწილი ხალხისა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. მიუხედავად ხელმწიფისადმი და მისი ჩეკასადმი განსაკუთრებული შიშისა. მტკიცედ იყო დარწმუნებული, სადაც მათ ელოდათ მარადიული ნეტარება და რძითა და თაფლით ავსებული მდინარეები. მხოლოდ ცოტა მოთმინებაა საჭიროო და ითმენდა ხალხი, ხმას არ იღებდა, როცა ღამღამობით ტყავის ქურთუკიანი ჩეკისტები მოაკითხავდნენ მათ მეზობელს და სადღაც წაიყვანდნენ, გააქრობდნენ. თუ მეზობელი არ უყვარდათ, მისი მხილება და დაპატიმრება ახარებდათ, იქნებ ახლა მაინც გვეშველოს რამე, ერთი მტრით ნაკლებიაო, თუ მეზობელი უყვარდათ, მისი დაპატიმრება სავალალო შეცდომად მიაჩნდათ და იმედოვნებდნენ, რომ სიმართლე ოდესმე გაირკვეოდა. ზედმეტი ლაპარაკი საშიში იყო და ხალხი დუმდა. სამაგიეროდ ქუჩები და პარკები გაყრუებული იყო რეპროდუქტორებიდან გადმოღვრილი ომახიანი სიმღერებით და მუსიკით, კომუნიზმის სადიდებლად რომ შეექმნა თვით ხალხს. ყველაფერი კეთდებოდა ხალხის სახელით და ხალხისთვის და ბევრი ადამიანი სრულიად დარწმუნებული იყო თავის ძალაში და უფლებებში, თუმცა აქა-იქ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხედავდნენ, რომ მონიჭებული ძალა-უფლება გამოგვეყენებინა მხოლოდ ბელადის დიდებით, ვინც ეს საამური ცხოვრება მოგვიტანა. და მღეროდა ხალხი, იქ სადაც წინათ ჩხაოდა ტურა, ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურაო, სოფლის სიუხვემ სამშობლო გაგვიხარაო, მაგრამ სად იყო სოფლის სიუხვე. გალატაკებული გლეხი სულს ლაფავდა. წინათ თუ ასი სული საქონელი ჰყავდა, დღეს ერთზე მეტის ყოლის უფლებას არ აძლევდნენ, რადგან ყველაფერი ეკუთვნოდა ხალხს, კოლექტივს, არავის და ელოდა ხალხი ალთქმულ სამოთხეს და ცხოვრობდნენ. მრავლდებოდნენ, იხოცებოდნენ, იქ-

მნებოდა ახალი ოჯახები და ინგრეოდა ძველი, როგორც ეს ცხოვრების წესია საზოგადოდ, და მამშე და ნათელაც ჩამბულნი იყვნენ ამ ფერხულში.

ზაფხული რომ დადგა, ნათელას ვაჟი შეეძინა. ამ ამბავმა ნიგურიანები ძლიერ გაახარა. იასეს დაყინებული თხოვნით ბიჭს სახელად გიორგი დაარქვეს. ცოტა ხნის მერე, ნათელა და გიორგი მიხაკომ და მინადორამ წიფლნარში წაიყვანეს, თან ნიკუშაც გაიყოლეს, ავთოც წიფლნარში დახვდათ და ნიგურიანების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა პატარა გიორგი ჭყავილს მორთავდა. ყოველ მის ბანაობას და ჭამას მთელი ოჯახი ესწრებოდა და ბიძებს ეჩვენებოდათ. რომ ბალღს ძალიან ძლიერი ხმა ჰქონდა და ეს იმის საწინდარი იყო, რომ კარგი ვაჟკაცი გაიზრდებოდა. ერთ საღამოს გიორგი რომ დააძინეს და ვახშმად დასხდნენ, მართამ თქვა, რა ვქნათ, ბავშვი არ მოვნათლოთო?

— რას ამბობ, ქალო, შენ? — შეშინდა მიხაკო, — რომ გაგვიგონ, გაგვაციმბირებენ სუყველას. მამამისი პარტიულია, იასე პარტიულია, ორივეს დაიჭერენ. ვინ გაპატიებს პარტიული კაცის შვილის მონათვლას?

— ნუ გავაგებინებთ ნურავის!

— აბა, რანაირად გინდა? ნათლიას არ უნდა დაუძახო?

— აგერ არ არიან ავთო და ნიკუშა? ვითომ რა მოხდება ბიძებმა რომ მონათლონ?

— არაფერი არ მოხდება! — ჩაერია მინადორა.

— ორივეს დაიჭერენ! — ხელი გაიშვირა მათკენ შეშფოთებულმა მიხაკომ. მაგრამ ამ ოჯახში ყველაზე მტკიცე მინადორას მართას წინადადება ჰკუაში ჩაუჯდა, თუმცა დიდად მორწმუნე არ იყო და რაც ეკლესიები გააუქმეს, პირჯვარს არც კი იწერდა.

— ხელს ვერ ახლებენ! — თქვა მან და გადაწყვიტა საქმე.

ნათელაც თანახმა იყო ბავშვის მონათვლისა, თუმცა შიშობდა, მამშეს არ ეწყინოსო, მაგრამ მართამ დაამშვიდა, არ ეწყინება, მონათლულ ბავშვს ანგელოზები მფარველობენო. ავთო და ნიკუშაც დიდად კმაყოფილნი დარჩნენ, პატარა გიორგის ნათლობა რომ ერგოთ წილად. მეორე საღამოს ნათელამ და მინადორამ მართას შეკერილ, მაქმანებიან ცისფერ საბანში გაახვიეს პატარა გიორგი და მაცხოვრის ეკლესიისკენ დაიძრნენ. მართა უფრო ადრე გააგზავნეს, რომ მღვდელს მოლაპარაკებოდა, ავთო და ნიკუშა სულ სხვა გზით გაემართნენ ეკლესიისკენ. შორიდან მოიარეს, რომ ვინმეს რამე ეჭვი არ აელო, მიხაკო კი შინ დარჩა. ნახა ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში ღრმად მოხუცებული, ორჯერ ძალით გაკრეჭილი და კვლავ მღვდლად ნაკურთხი მამა მელქისედექი წირავდა შავად შემოსილი დედაბრებისთვის. სხვა აღარავინ დადიოდა აქ, ძველებური წირვა-ლოცვა მოიშალა. ორადორი ხატი შემორჩენოდა ნახანძრალ, იავარქმნილ, გუმბათჩამონგრეულ ეკლესიას, რომლის ირგვლივ, ბებერი ცაცხვებით დაფარულ ეზოში, სურომოდებულ გალავნის შიგნით, ხსვსგადაკრული საფლავის ლოდები და ჯერ კიდევ შემორჩენილი ჯვრები მოჩანდა. ნიგურიანებმა ეკლესიაში მოიყარეს თავი, უკვე ბინდდებოდა და ობოლი სანთელი აშუქებდა ჩაბნელებულ საყდარს. სანამ მღვდელი წირავდა, გიორგის არხეინად ეძინა საკუთარი ბიძების მკლავზე. მაგრამ როცა საბანი გადახადეს, თბილ წყალში გაბანეს და გაამშრალეს, გაიღვიძა, ერთი წამოიყვირა, მაგრამ დედის ძუძუმ ისევ ჩააჩუმა და კვლავ განაგრძო უშფოთველი ძილი. დედაბრები გულმხურვალედ ლოცავდნენ მონათლულსაც და ნათლიებსაც, ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაბედნიეროთო, დიდი კაცი გაზრდილიყოსო ეს ჩვილი და ძალზე კმაყოფილი მინადორა და მართა სიამაყით წელში გამართულიყვნენ, რომ ასეთი დამჯერე და წესიერი

შვილები აღზარდეს, ეკლესიაში სიარულს რომ არ თაკილობდნენ ახლანდელი ახალგაზრდებივით, ამ არეულ, უთავბოლო დროში. შვილიშვილის მონათლვა მიხაკოსაც ძალიან გაუხარდა და იმ საღამოს კარგად მოულხინა თავისივე დაყენებული კაჰიჰის ღვინით.

მთელი შემოდგომა ნათელამ წიფლნარში გაატარა. ავთო ისევ სვანეთში გაბრუნდა, ნიკუშა — თბილისში. იგი ფეხბურთს იყო გადაყოლილი. ვარჯიში და შეჯიბრებები ერთმანეთს ცვლიდა და სიქაგამოცლილი ბრუნდებოდა ხოლმე საღამოს შინ. შამშეც მარტოხელა მამაკაცის უთავბოლო ცხოვრებას ეწეოდა. თუმცა კვირაში ორჯერ უგზავნიდა მეუღლეს წერილებს და მოუთმენლად ელოდა წიფლნარიდან გამოგზავნილ პასუხს. პასუხი არ იგვიანებდა და დიდ მონატრებასთან ერთად გიორგის ზრდა-განვითარების ამბებიც დაწვრილებით იყო აღნუსხული.

ერთ ღამეს, ნიკუშა ძალზე გვიან დაბრუნდა. „სად იყავი, ბიჭო?“ ჰკითხა კარის ხმაურზე გამოღვიძებულმა შამშემ. ნიკუშამ კარი მიხურა და ლოგინზე ჩამოუჯდა სიძეს.

— იასე ბიძიასთან ვისადილე დღეს და ძალზე ცუდი ამბავი შევიტყვე.

— რა მოხდა ასეთი? — იდაყვებზე წამოიწია შამშე.

— ჩვენი პეტრე შაინიძე დაუჭერიათ დღეს, თავისავე კაბინეტიდან წაუყვანიათ. ბიძაჩემმა ელეონორასთან გამაგზავნა ამბის გასაგებად. სამოთახიანი ბინა დაულუქეს და საკუჭნაოში შეასახლეს თავისი ორივე ბავშვით. კიდევ კარგი ალიკო დიდია, ის პატარა კი, ძუძუმწოვარა, განუწყვეტლივ ჰყავის. თითქოს გრძნობს რაც მოხდა. ქალი გაგიჟებასაა. ბედზე მისი დაა ჩამოსული ხონიდან, მაგრამ ხვალ უნდა გაბრუნდეს, დეპეშა მიიღო, ქმარი უკანასკნელ დღეშია და ჩამოდიო. იქედან რომ გამოვედი შინსახკომელებმა დამაკავეს, ვინ ხარ, რა ხარ. აქ რა გინდაო, ვინ გამოგაგზავნაო? მე ვუთხარი შემთხვეით შემოვიარე ბიძაშვილის სანახავად მეთქი. ხო, ახლა გამომიშვეს.

— ეს ძალიან ცუდი ამბავია, — თქვა შამშემ.

— მე ხომ არ მემუქრება საფრთხე, დღეს მანდ რომ ვიყავი, მეც ხომ არ დამიჭერენ?

— არა მგონია. ყოველშემთხვევაში, ხვალ მოუსვი წიფლნარში და ცოტა ხანს იქ დარჩი, ვითომ ავად გახდი. შეგატყობინებ როდის ჩამოხვიდე!

— ინსტიტუს რა ვუყო? გუნდშიც მომიკითხავენ.

— რა დროს ფეხბურთი და ინსტიტუტია, ჩაწყნარდეს ჯერ ეს ამბავი.

ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ ერთი თვის მერე, ელეონორაც დააპატიმრეს. იგი ყოველდღე დადიოდა ციხეში თავის ცხრა თვის ბავშვთან ერთად ქმრის ამბის გასაგებად. ერთ მშვენიერ დღეს შეპირდნენ ქმარს შეგახვედრებთო, ბავშვი გამოართვეს და ვიღაც შინსახკომის თანამშრომელ ქალს ჩაუსვეს კალთაში, ციხეში ბავშვით სიარული არ შეიძლებაო, და ელეონორა სადღაც შეიყვანეს, საიდანაც აღარ გამოუშვიათ. ბავშვი გაქრა, ველარავინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი.

ასეთ ამბებზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა, ჩუმჩუმად კი ყველა. იმ დღესაც კუთხე-კუთხე ჩურჩულებდნენ კლინიკაში, პროფესორმა რცხილაძემ თავის კაბინეტში რომ დაიბარა შამშე და სადისერტაციო თემა შესთავაზა.

— მე ვბერდები, ჩემო შამშე! მინდა ეს კათედრა რომელიმე ჩემმა მოწაფემ ჩაიბაროს და ჩემი დაწყებული საქმე გააგრძელოს. ვიდრე აქა ვარ, მინდა ჩვენი კათედრის დოცენტად გიხილო. ამიტომ ეს თემა გულმოდგინედ უნდა დაამუშაო. ამ მიმართულებით თუ იმუშავებ, ცხადია, ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენ. აბა, შენ იცი.

— დიდი მადლობა ნდობისათვის.

ყველაფერს გავაკეთებ, — წარმოსთქვა შამშემ და აღფრთოვანებული გამოვიდა პროფესორის კაბინეტიდან. ერთბაშად დაავიწყდა ის შიში, რომელსაც შეეპყრო ყველა და ცხოვრება მშვენიერი მოეჩვენა, მომავალი ნათელი და იმედიანი. მართალია, ყოველდღე ვიღაცას იჭერდნენ, ყოველდღე ვიღაცას ასამართლებდნენ, გაზეთები აჭრელებული იყო მოსკოვის სასამართლო პროცესებით, სადაც პარტიის და მთავრობის ყოფილ ხელმძღვანელებს და ბობოლა ბოლშევიკებს ზედიზედ ისტუმრებდნენ წიაღსა შინა აბრამისა და სარაისი, მაგრამ ეს მას არ ეხებოდა. მას თავისი პირადი საქმე ჰქონდა, ტყუილუბრალოდ ალბათ, არავის არ სჯიდნენ, ფიქრობდა ის, თუმცა მაინც უჭირდა იმის დაჯერება, რომ მისი ცოლის ნათესავი პეტრე შაინიძე, მთელ ქალაქში ცნობილი ინჟინერი, ხალხის მტერი და მოღალატე იყო. სწორედ იმ დღეს თქვა ვიღაცამ კლინიკაში, პეტრე დაუხვრეტიათო, ხოლო პეტრეს მეგობარი გენერალი ხონელიძე ცხელ საკანში ორთქლით ამოხრჩესო. და რატომღაც შამშეს მოაგონდა თავისი უკანასკნელი სტუმრობა თიკოს ოჯახში, სადაც პეტრე და გენერალი ხონელიძე ერთად მღეროდნენ და მერე მხიარული ვახშამი, პეტრემ რომ გაუმართა ახლად დაქორწინებულ ნათელას და შამშეს თავის ოჯახში, სადაც იასეც იყო მიწვეული. ლაღი მოლხენა და მშვენიერი სიმღერა ბედნიერი ცოლქმრისა საამოდ დაამახსოვრდა. ახლა კი ის ოჯახი დანგრეული იყო. პეტრეს უფროსი ბიჭი ბავშვთა სახლში წაეყვანათ, ელეონორა ციხეში იჯდა. ამ მშვენიერმა ქალმა მაინც რა დააშავა? შამშეს არ სჯეროდა, რომ ეს მხიარული და გულღია ცოლქმარი მოღალატეები და მავნებლები იყვნენ, ქვეყნის დაღუპვა ეწადათ და ამ საქმეში მალულად მონაწილეობდნენ. მის სიხარულს ჩრდილი გადაეფარა, მაგრამ მომავალ დოცენტობაზე და შემდეგ უკვე პროფესორობაზე ოცნება ისევ ფრთებს ასხამდა. ცხოვრება წინააღმდეგობებით იყო აღსავსე, გასაჭირში ჩავარდნილთ, ვით კეთროვანი ერიდებოდა ყველა და იძულებული იყავი დაგეჯერებინა ყველაფერი, რასაც გეუბნებოდნენ მოყვასისა შენისა გამო, მაგრამ როცა თვითონ ისვრებოდი ცილისწამებით ან შენს ახლობელს თითხნიდნენ ლაფში, ძნელი დასაჯერებელი ხდებოდა წამოყენებული ბრალდებათა სისწორე და რაკი სხვა გზა არ არსებობდა, ცხოვრება გკარნახობდა ერთადერთ გამოსავალს: სხვის საქმეში ჩაურევლობას, სიჩუმეს, გაყუჩებას, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრით შემოფარგვლას. მეორეს მხრივ, განა უბრალო გლეხუჭა შამშეს ოდესმე პროფესორობა ელირსებოდა, სწორედ ყოველივეს გამთანაბრებელ ამ მკაცრ წყობას რომ არ მოეტანა ამის უფლება? შამშე ვერ გარკვეულიყო კარგი იყო თუ ცუდი ის გზა, რომლითაც მიდიოდა ეს ქვეყანა. დისერტაციის დაცვის შესაძლებლობა დიდ წარმატებას ჰპირდებოდა და ინანა ნათელა თბილისში რომ არ იყო, რათა თავისი სიხარული გაეზიარებინა და ისიც გაეხარებინა. კლინიკიდან გამოსულმა და ბედით კმაყოფილმა, იასესთან შეიარა. იასე შინ დახვდა. შუშაბანდში, ტაბურეტზე თორმეტიოდე წლის ბიჭი იჯდა და სახეზე ხელებაფარებული ტიროდა. არაფერი არ უკლავდა შამშეს გულს ისე, როგორც ატირებული ბავშვის ცქერა და შეწუხდა, ვინ არის ეს ბავშვი, რა მოუვიდაო, ჰკითხა იასეს.

— პეტრე შაინიძის ბიჭია. ალიკო, ბავშვთა სახლიდან გამოპარულა და მე მომადგა კარზე.

ახლა შამშემაც იცნო ერთხელ უკვე ნანახი ბიჭი. ელენა პატროვნა თავზე ადგა და ტუქსავდა, ნუ ტირიო.

— არ მინდა ბავშვთა სახლში, სად არის დედაჩემი? — სლუკუნებდა ბიჭი.

— აბა, რა ვქნათ? — უთხრა იასემ, — მარტო ხომ არ იცხოვრებ? დედაშენი დროებით დაკავებულია,

სანამ არ დაბრუნდება, ბავშვთა სახლში მოგივლიან, ამხანაგები გეყოლება. ითამაშებ, ისწავლი, მე ხშირად მოგაკითხავ!

— არ მინდა, — იმეორებდა აცრემლებული ბიჭი და იმისმა საცოდაობამ შამშეს გული აუდუღა.

— ამ ბავშვს ხონში დეიდა ხომ ჰყავს? — ჰკითხა მან იასეს.

— იმას ამასწინათ ქმარი მოუკვდა. შესძლებს უშვილძირო, მარტოხელა მგლოვიარე ქალი მოზარდის მოვლას?

— როგორ არ შეძლებს? ეტყობა არ იცის ეს ამბავი, თორემ თვითონ ჩამოვიდოდა. ეს ბავშვი სასწრაფოდ ხონში უნდა გავაგზავნოთ. გინდა, ალიკო, დეიდაშენთან?

იმედმოცემულმა ბავშვმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— მერე ვინ წაიყვანს ხონში? — შეეჰვდა იასე.

— მე წავიყვან!

იასე წამოდგა, შამშე ოთახში გაიხმო და ხმადაბლა უთხრა:

— ნუ ჩაერევი ამ საქმეში, რამე შარს არ გადაეყარო. ხომ იცი, რას იტყვიან მავნებლის შვილი თბილისიდან გააპარაო. ნუ გავიწყდება, რომ ცოლ-შვილის პატრონი ხარ და პასუხს აგებ იმათ ბედზე!

— რას მელაპარაკები იასე, უპატრონოდ მივატოვოთ ჩვენივე ნათესავი?

— როგორმე უკანვე დავაბრუნოთ!

— კიდევ რომ გაიქცეს იქედან? მაშინ შენთან კი აღარ მოვა. ბავშვთა სახლიდან გამოქცეული რამდენი იწყებს ქურდობას და ათას უბედურებას? მაგ ბავშვის ცოდვა არ მომასვენებს.

— მე ჩემი გითხარი, გაგაფრთხილე, დანარჩენი შენ იცი!

ბავშვს ჩაი დაალევინეს, დააპურეს და კარგად რომ დაბნელდა, შამშემ ხელი მოჰკიდა და ქუჩაში გამოიყვანა. ეშინოდა ვინმეს არ დაენახა და არ ეცნოთ ბიჭი. კედელ-კედელ მიაბიჯებდნენ, თითქოს ვინმეს ემალებოდნენ. ტრამვაიში რომ ავიდნენ. თავისუფალ სკამზე კი არ დასხდნენ, უკანა ბაქანზე დადგნენ და შამშე ბიჭს წინ აეფარა, თითქოს ამით უნდოდა დაეცვა მონდობილი უმწეო არსება. სადგურში, ბილეთების სალაროსთან, ხმაურიან, აყაყანებულ რიგში ორივენი ერთად ჩადგნენ და იმ ზედახორაში ბიჭს ხელს არ უშვებდა, არ იცილებდა. ძლივს აიღეს საერთო ვაგონის ბილეთი, ძლივს ავიდნენ გადაჭედილ, დახუთულ ვაგონში, როგორც იქნა დასაჯდომი ადგილი მონახეს და მატარებელიც დაიძრა. შამშემ ხელი მოხვია ალეკოს, დაღლილი, განაწამები ბიჭი მკერდზე მიეყრდნო და ჩაეძინა. ძილში ზოგჯერ შეკრთებოდა ხოლმე და შამშე გრძნობდა მისი თბილი. ნორჩი სხეულის ნერვიულ ცახცახს. დაახლოებით იდგენდა იმ კოშმარსაც საშინელი ჩვენებებით რომ ეცხადებოდა ალბათ, ბავშვის მთვლემარე ცნობიერებას. მატარებელი მირახრახებდა, ვაგონი ჰრიალებდა, ფანარში ჩამწყვდეული სანთელი სულს ლაფავდა, დაუსრულებელი ღამე გადაჰფენოდა ქვეყანას და მის კალთას შეფარებული ათასგვარი უკეთურება, უსამართლობა და ბოროტება, თან რომ ახლდა ცხოვრებას და არსებობას ხიბლს რომ უკარგავდა ხშირად, — ბნელ საბურველში ხვევდა შამშეს ფიქრებსაც, მაგრამ რაც უფრო აუტანლად იწელებოდა უიმედო ღამე. რაც უფრო ამოკლებდა მანძილს წყვდიადში გაჭრილი მატარებელი, — საკუთარი ცოლშვილის მალე ნახვის მოლოდინი თანდათანობით, ელვარე სხივივით შემოჭრილი სიხარულით ავსებდა და ანუგეშებდა, მჭმუნვარე ფიქრებს უფანტავდა და იგი გრძნობდა. საბედნიეროდ ადამიანი ისე იყო მოწყობილი. რომ სხვის ჭირს არასოდეს წონასწორობიდან არ გამოჰყავდა, რაც არ უნდა მომხდარიყო მის ირგვლივ, ცხოვრების სურვილს და უნარს მაინც ინარჩუნებდა. ამიტომ როცა გათენდა და სამტრედიის სადგურში ჩამოვიდნენ, სრულიად ახალმა გარემომ, სხვაგვარი სურნელით გაჟღენთილმა ჰაერმა შამშე ჩინებულ გუნებაზე დააყენა, რადგან

იცოდა. სულ მალე თავის საყვარელ ცოლს და შვილს ნახავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ამბავი ჩამოიტანა, ნიგურიანებმა მაინც გაიხარეს სიძის ჩამოსვლით. შამშესაც დიდად ეამა შვილის ნახვა. იგი საგრძნობლად წამოზრდილიყო, ხელებს და ფეხებს ლონივრად იქნევდა, ნებისმიერ საგანს დაუყოვნებლივ პირში იტაცებდა. ალიკლ ასაუზმეს, მოასვენეს, ნასადილევს ნიკუშას ხონში გაატანეს. ნიკუშა გვიან ღამით დაბრუნდა ხონიდან. ბიჭი დეიდისთვის ჩაებარებინა, ცოდვის— კითხვა დატრიალებულიყო იმ ოჯახში, მაგრამ ახლა, ამაზე ლაპარაკის მოსმენა შამშეს არ სიამოვნებდა, შესრულებული ადამიანური მოვალეობის შვების მომგვრელი შეგრძნება სურვილს უკარგავდა ქვლავ უკან მიბრუნებოდა შაინიძეების ოჯახის უბედურებას. მეორე საღამოს ცოლშვილი თბილისში წამოიყვანა ნიკუშასთან ერთად, ამ ხნის განმავლობაში ნიკუშა არავის მოუკითხავს და საფრთხე განვლილად ჩათვალეს. სანამ მატარებელი ჩამოდგებოდა, სადგურზე თავის ძმას ტიტიკოსაც გადაეყარა.

— ძროხა აგნებს საკუთარ სახლს და შენ რა დაგემართა? — გესლიანად უთხრა მან.

— არ მეცალა თქვენს სანახავად! — ცივად მიუგო შამშემაც.

თავისიანებთან ურთიერთობა დღითი დღე უფუჭდებოდა და გული თანდათან უცივდებოდა. მაგრამ მისი გულისყური საკუთარი ოჯახისკენ და მომავალი დისერტაციისკენ იყო ძირითადად მიმართული, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი დღე სახიფათო გამხდარიყო, არამყარი, საშიშროების შემცველი, ცვალებადი. თბილისში ჩამოსულებს კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი დახვდათ, კარის მეზობელი ძიმისტარაშვილი სწორედ წინა ღამეს დაეპატიმრებინათ მეუღლიანად. მისი მცირეწლოვანი შვილი და მოხუცი დედა გაწყობილი ბინიდან გამოასახლეს და სადღაც ნესტიან სარდაფში შეყარეს. ცოტა ხანში ძიმისტარაშვილის ბინა ოკუჯავამ დაიკავა. ზოგიერთები ჩუმად ჩურჩულებდნენ, სწორედ მან უჩივლა მეზობელს ბინის ხელში ჩასაგდებათო. ოკუჯავას ბინაში ვიღაც ახალქალაქელი ალახვერდოვი შესახლდა, თავისი სქელი ცოლით და გაუზრდელი, თავხედი ბავშვებით, მყისვე რომ ააყაყანეს აქამდე მშვიდი, წყნარი ეზო.

მაინც არ კარგავდა შამშე იმედს, რომ ადამიანთა დევნა-აწიოკება ერთხელაც იქნებოდა და შეწყდებოდა. ბოლოს და ბოლოს ყველა მტერს და მავნებელს გამოავლენდნენ და ხალხი ნორმალურ ცხოვრებას შეუდგებოდა, ასე უნდოდა და ასე სჯეროდა, მაგრამ დრო გადიოდა და მისი იმედები არ მართლდებოდა, დაძაბულობა არ იკლებდა, პირიქით მატულობდა, ბედნიერ მომავალზე ფიქრი უაზრო ხდებოდა, ყველაფერი შემთხვევითობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ასეთ ვითარებაში იგი მაინც მუშაობდა დისერტაციაზე, გვიანამდე რჩებოდა ლაბორატორიაში, ხელმძღვანელისგან მითითებულ წიგნებს კითხულობდა, უცნობ საკითხებს სწავლობდა. ერთ მშვენიერ დღეს, კლინიკაში მისულმა თეთრი ხალათი რომ გადაიცვა და საორდინატოროში შევიდა, სადაც ახალგაზრდა ექიმები სამუშაო დღის დაწყების წინ იკრიბებოდნენ, პაპიროსს ეწეოდნენ და ერთმანეთს ახალ ამბებს უზიარებდნენ, — თანამშრომლები სრული დუმილით შეხვდნენ მას.

— რა ამბავია? — იკითხა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა შამშემ.

— ჩვენი პროფესორი დააპატიმრეს წუხელის!

სახტად დარჩენილი შამშე კედელს მიეყრდნო.

— პროფესორი რცხილაძე?

— პროფესორი რცხილაძე!

დოცენტობაზე ოცნებას ბოლო ელებოდა და ეს რომ გაიაზრა მხოლოდ ამის შემდეგ შეაშფოთა შამშე აშკარა

უსამართლობამ და მასწავლებლისადმი თანაგრძნობამ.

— ახლა ალბათ, საჭირო გახდება მისი რომელიმე მოწაფის გამოსვლა პროფესორის საჯაროდ დასაგმობად.— წარმოსთქვა ვილაცამ და შამშე ვერც კი მიხვდა რა აზრი იყო ამ სიტყვებში, ირონიული თუ სერიოზული. იგი წამოდგა და კარში გამოვიდა. იმავე დღეს ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში ყელ-ყურ-ცხვირის ექიმად მომუშავე თავისი ძმაკაცი არჩილი ინახულა.

— სამსახურიდან უნდა წამოვიდე! — უთხრა შამშემ და აუწყა, რაც მოხდა.

— მართალი ხარ, შენ ახლოს იყავი პროფესორთან, ეხლა მანდ აღარ გაგახარებენ.

არჩილს შუბლზე მრგვალი ლარინგოლოგიური სარკე ეკეთა და თავს რომ აქნევდა, მისგან არეკლილი სხივი პატარა თეთრ რგოლად კედელზე დაცოცავდა.

— სულ გაგიჟდნენ ეს ოხრები, ერთმანეთსაც მაგრა დაერივნენ, — თქვა მან.

— ჩუმად კაცო, ვინმე არ შემოვიდეს ოთახში! — გაღიზიანებით დაუცაცხანა შამშემ.

— დღეს გაზეთში წერია. შალიკო ტიგროვი დაუპატიმრებიათ მოსკოვში!

— რას მელაპარაკები? ჩემი ნათელას ბიძა იასე ახლოს იყო მაგ კაცთან.

— კოხტა კახიანიც დაუჭერიათ, ჩვენი თიკოს ქმარი, და მამამისიც, ბატონი ზურაბი... — აგრძელებდა ჩამოთვლას არჩილი.

შამშე ნერვიულად ქაჩავდა პაპიროსს.

— სადმე ხომ არ გეგულება ჩემთვის რაიმე ადგილი?

— მეცამეტე პოლიკლინიკაში ნაღდად ვიცი ერთი ადგილი განთავისუფლდა. ექიმი ალიაშვილი დაიჭირეს, ძველი მკურნალი, კარგი კაცი იყო, იქნებ, იქა ვცადოთ?

სცადეს და გამოუვიდათ. შამშე საავადმყოფოდან განთავისუფლდა და პოლიკლინიკაში დაიწყო სამსახური. შიში იმისა, რომ სწორედ მას დაავალებდნენ თავისი მასწავლებლის საჯაროდ დაგმობას და ჩამოშორებას, დიდხანს უკარგავდა მოსვენებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ვალი სხვამ იტვირთა. მოინახა საჯაროდ დაგმობის მკისრებელი და შამშემაც ამოისუნთქა, თუმცა შიში მაინც არ შორდებოდა, ფეხდაფეხ დაყვებოდა, უძლიერდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ნათელას უფროსი ძმის, უგზოუკვლოდ გადაკარგული ბიძინას ამბავი მოიტანა მისმა ცოლმა და ამას ისიც დაერთო, რომ ნიკუშამ „დინამოში“ გადასვლაზე უარი თქვა, შინსახკომის გუნდში ფეხბურთს ვერ ვითამაშებო. ცხადია, ეს შინ განუცხადა ნათელას და შამშეს, მაგრამ უბედურების მოლოდინი ნერვებს ძაბავდა. ნებისყოფას თელავდა და ბოლოს, ნიგურიანების ოჯახზე აღმართული უხილავი მახვილი დაეშვა, იასეც დააპატიმრეს.

იმ დღეს, შამშე სამსახურიდან რომ ბრუნდებოდა დაღლილი და ჩაფიქრებული, მოედანზე, პუშკინის ძეგლთან, თიკო თარხნიშვილს შეეჩეხა. მრავალი წელი იყო ერთმანეთს აღარ შეხვედროდნენ, შამშე გაურბოდა და ერიდებოდა თიკოს, მაგრამ ახლა, მისი უბედურების ამბავი რომ იცოდა, გულმა აღარ მოუთმინა და დაუძახა. თიკო შეჩერდა და ცრემლიანი თვალები მიაპყრო ძველ მეგობარს. შამშემ მკლავზე ხელი მოჰკიდა. სკვერში შეიყვანა და სკამზე ჩამოსხდნენ.

— როგორა ხარ, თიკო?

— როგორ ვიქნები. გაიგებდი ჩემს ამბავს. არ გეშინია, ვინმემ რომ დაგვინახოს? საფრთხეში თავს რატომ იგდებ? ნათესავები ჩემთან ღამითაც ვერ ბედავენ მოსვლას.

— რატომ უნდა მეშინოდეს, მტრები ხომ არა ვართ?

— დღეიდან მტრები ვართ, მაშ, რა ვართ? მე ხალხის მტრის ქალიშვილი და ხალხის მტრის ცოლი ვარ.

— კარგი, დაწყნარდი თიკო, იქნებ, გამოუშვან.

თიკოს ნერვიულად გაეცინა.

— ვინ გამოუშვებს? ბინიდანაც გამოგვასახლეს მე და ჩემი პატარა ქალიშვილი, კიბის ქვეშ შეგვყარეს. სამსახურიდანაც მანთავისუფლებენ, არ ვიცი. რა მეშველება, სულ უპატრონოდ დავრჩი.

— რით დაგეხმარო? თუ არ გეწყინება, ცოტა ფულს მოგცემ, დღეს სწორედ ჯამაგირი ავიღე, — და როცა ფული ჩაუდო ხელში, თიკო ატირდა, რას მოვესწარი, უარს ვერ გეუბნებიო.

— უარი რათ უნდა მითხრა. თუ რამე შემეძლება, ყოველთვის დაგეხმარები, — დაამშვიდა შამშემ, მაგრამ როცა თიკო წამოდგა, ვინმემ არ დაგვინახოს, გენაცვალე, მადლობელი ვარ შენი სიკეთისაო და აცრემლებული წავიდა, შამშემ თვალი გააყოლა და ინატრა, ალარასოდეს შეხვედროდა ამ ქალს. ასე იყო ცხოვრება მოწყობილი, ის, ვინც ერთ დროს მთელი არსებით უყვარდა, სავსებით უცხო და საშიში გამხდარიყო ახლა. იყო ამაში რაღაც მეტისმეტად გულდასაწყვეტი, მარადიული დინების, ყოველწამიერი ცვალებადობის და ფუჭი ამაოების მაუწყებელი, საბოლოოდ რომელიღაც ერთ წერტილთან რომ მიდის, წყდება და თავდება და აზრს უკარგავს ყოველივეს. და სწორედ იმ საღამოს, შინ რომ მივიდა, ატირებულმა ნათელამ იასეს დაპატიმრების ამბავიც დაახვედრა.

იცოდა, ვერაფერს გააწყობდა, მაგრამ მაინც მოუნდა რაღაც ელონა იასეს დასახმარებლად ან თუნდაც ამბის შესატყობად, თუმცა ჯერ არ ყოფილა შემთხვევა იქ შესული კაცის ამბავი გარეთ გამოსულიყოს. არ უსადილია, ადგა და გასწია თავის ნათესავ გრიშა დევდარიანთან. რუსთაველზე ფეხით გაიარა, ხმაგაკმენდილი ხალხი საქმიანი, ჩქარი ნაბიჯით მიმოდიოდა, ერთმანეთს არ ესალმებოდნენ, არ უჩერდებოდნენ, შინაგანი დაძაბულობა სახეებს ამკაცრებდა, [illegible]გულცივებდა. შამშე გრიშას ბინას მიადგა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. გრიშას მეუღლემ ანიკომ კარი გაუღო.

— გრიშა შინ არის?

— სძინავს, მობრძანდი, დაუცადე, მალე გაიღვიძებს.

ოთახში შეიყვანა და მაგიდასთან დასვა. ეს უბრალო, ტანსრული, კეთილი სახის ქალი ყოველთვის აოცებდა შამშეს და ცოტათი აშინებდა. მისი პირველი ქმარი საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა კახეთში, სწორედ გრიშას რაზმს ემსხვერპლა იგი. სადღაც ჩაკლეს და თავმოკვეთილი ორმოში ჩააგდეს. იმასაც ამბობდნენ, თავისი ხელით მოკლა გრიშამო. ანიკომ ქმრის სიკვდილი რომ შეიტყო, ლოყები ჩამოიხოკა და თმა დაიგლიჯა. მერე ერთი კვირა მჯდარა ბნელ ოთახში ჩაკეტილი მდუმარედ. ერთხელაც, ვიღაცამ ქმრის საფლავი მიასწავლა თურმე. ერთ ღამეს ვირი ხელნაში შეაბა, შიგ ბარი და ნიჩაბი ჩაყარა და მითითებული ადგილისკენ გასწია. ჭრაქი აინთო და მთელი ღამე თხარა საფლავი ვინმეს დაუხმარებლად, მიაგნო უდროოდ მოკლულ, ახალგაზრდა და ძლიერი ვაჟკაცის თავმოკვეთილ გვამს, ტანსაცმლითა და ტყვიით შენგრეულ მკერდზე დამჩნეული დიდი ხალით იცნო ის, ისევ დაუხმარებლად, მარტოკამ ამოათრია ცივი სამარიდან, მარტოკამ აათრია ტაჭკაზე. ფარდაგში გაახვია და სოფელში წამოიღო. უკვე ინათა და სოფელ-სოფელ მოთარეშე მილიციელებმა გზაზე გააჩერეს ვირტაჭკით მომავალი შაოსანი ქალი, გაჩხრიკეს და ფარდაგში გახვეული გვამი რომ აღმოუჩინეს, დაპატიმრებული მიჰგვარეს გრიშას შინსახკომში. და გრიშას ძლიერ მოეწონა ანიკო. „რამ გაგაკეთებინა, ქალო, ეგ საქმე?“ ანიკო დუმდა. „შენი ქმარი ბანდიტი იყო, საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა, ჩვენ ხალხს ვემსახურებით, ხალხის ბედნიერებისათვის ვიღწვით, არ უნდა

იცოდე ეგა?“ არც დააპატიმრა და არც გაუშვა, თავის ოთახში ჩაკეტა და როგორც ამბობდნენ, იმავე საღამოს ცოლობა თხოვა. უარი მიიღო. მანამდე ჰყავდა ჩაკეტილი, სანამ არ დაითანხმა. მერე კი თბილისში ჩამოიყვანა.

ანიკომ ხილი გამოუტანა შამშეს. აქეთურ-იქეთურზე ილაპარაკეს. ანიკომ ვერ მოითმინა და დედამთილს დესპინეს გაჰკრა კბილი. დედამთილი არ სცნობდა მას და ანიკოს სძულდა იგი. ამ ოჯახის უცნაური და ტრაგიკული ისტორია ჩვეულებრივ ყოფით წვრილმანებზე იყო დასული. ყველა ოჯახი ერთმანეთს ჰგავდა, ერთი კანონი განაგებდა მათ, ყველგან, მთელ დედამიწის ზურგზე, ადამიანებიც და ცხოველებიც კი ერთი წესებით ცხოვრობდნენ და ვიდრე გრიშა გაიღვიძებდა, შამშე მოწყენით უგდებდა ყურს ანიკოს წვრილმან საწუხარს, რძალ-დედამთილის მუდმივ წინააღმდეგობას. თითქოს უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საშიში დაპირისპირებანი არ აზანზარებდნენ ქვეყანას.

ბოლოს გრიშამ გაიღვიძა და შამშე თავის კაბინეტში შეიყვანა. რაღაც დაბნეულობა გრიშასაც შეამჩნია შამშემ, მან უკვე იცოდა იასეს დაპატიმრების ამბავი, აგრეთვე პროფესორ რცხილაძისა.

— ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს ადამიანები მავნებლები არიან, მით უმეტეს, იასე ძველი რევოლუციონერია, — ჩაილაპარაკა შამშემ.

— ჩემთან გითქვამს ეგა და სხვაგან აღარ წამოგცდეს, — მკაცრად გააწყვეტინა გრიშამ, — მამიებიც და ბუდუებიც ძველი ბოლშევიკები იყვნენ. მაგრამ ხომ ხედავ, მოღალატეები და ხალხის მტრები აღმოჩნდნენ. ქვეყანა მეორე მსოფლიო ომისკენ მიდის, უახლოეს ხანში ომის ხანძარი მოედება მთელ დედამიწას, ფაშისტები არ მოისვენებენ. თუ საეჭვო ხალხი ახლავე არ მოვიშორეთ, როგორ გავიმარჯვებთ მომავალ ომში? შენ გგონია ბელადი რამეში ცდება?

— მე ეგ არ მითქვამს, არც მიფიქრია, — შეშინდა შამშე, — გულშიც არ გამივლია.

— ბელადი არასოდეს არ ცდება, იმიტომ არის ის გენიოსი. ქართველებმა უნდა ვიამაყოთ, რომ მსოფლიოს ასეთი ძლიერი ადამიანი მივეცით. როგორ გგონია, ადვილია სხვის ქვეყანაში პატარა ქვეყნის უბრალო მეჩექმის შვილი ქვეყნის მმართველი რომ გახდება და ამოდენა ხალხს თავზე მოაჯდება? ასეთი რამ ისტორიაში არ მომხდარა.

— იქნებ, ეგ თვითონ მაგ ხალხის უუნარობაზე მეტყველებს? — გაუბედავად ჩაიჩურჩულა შამშემ.

— სწორი ხარ, — მოულოდნელად დაეთანხმა გრიშა, — მაგათ უუნარობაზე და ჩვენიანის უნარზე...

ორივენი გაჩუმდნენ და დადუმებულებმა მოღლილი თვალები მიაპყრეს ერთმანეთს. ვერ გაიგებდი რას ფიქრობდნენ რა ჰქონდათ გულში. არც ერთმანეთის გულწრფელობისა სჯეროდათ და ბოლომდე არც ენდობოდნენ ერთმანეთს. მერე გრიშამ დაამთქნარა.

— იცი, რას გეტყვი? — თქვა მან, — დროებით თბილისს უნდა გაეცალო. მე ლაგოდეხში მგზავნიან შინსახკომის უფროსად. რაიკომის მდივანს მოველაპარაკები და გადმოდი იქ სამუშაოდ. ადგილს გიშოვით. შენთვის ახლა ასე სჯობს...

— თუ დაჭერა უნდათ, იქ ვერ დამიჭერენ? — თბილისის დატოვება არ ეპრიანა შამშეს და ისიც გაუკვირდა, რომელიღაც რაიონის შინსახკომის უფროსად რომ აქვეითებდნენ გრიშას.

— ჩვენ გეგმა გვაქვს, რომელ რაიონში რამდენი კაცი უნდა დავაპატიმროთ, ამას საიდუმლოდ გეუბნები, არ წამოგცდეს სადმე. შენ არ მოგახვედრებ ლაგოდეხის რაიონის შავ სიაში, ასე გირჩევ, ახლა შენთვის ასე აჯობებს!

შამშემ რჩევა მიიღო.

16.

შამშემ რჩევა მიიღო და გადავიდა ლაგოდეხში სამუშაოდ რაიონის მთავარ ექიმად. საბავშვო ბაღის შენობაში ორი პატარა ოთახი დაუთმეს და იქ ცხოვრობდა თავისი ცოლშვილით. დალესტნის მაღალი მთებიდან კახეთში საშოვარზე ჩამოსული ლეკები სწორედ ამ სახლის წინ გაშლილ ტრიალ მინდორზე ასრულებდნენ ნამაზს, სპილენძის თუნგიდან წყალს ისხამდნენ და ფეხებს იბანდნენ მოლზე გაშლილ პატარა ფარდაგზე მოკეცილნი და მერე მექასკენ საჯემიბრუნებულნი, მიწაზე პირქვე დამხობილნი ლოცულობდნენ. ფანჯარას აკრული პატარა გიორგი დიდის გულისყურით უცქერდა ხოლმე ამ უცნაური ადამიანების უცნაურ მოქმედებას. მისთვის ყველაფერი ჯერ კიდევ უცხო და უცნაური იყო. მას ყველაფერი აკვირვებდა და ამახსოვრდებოდა. წნორიდან ლაგოდეხის გზაზე რომ მიჰქროდა „სოიუზტრანსის“ ავტობუსი, რომელშიც პატარა გიორგი კალთაში ეჯდა დედას ან მამას, გზის პირას ჩანდა ერთმანეთის გასწვრივ ჩარიგებული მაღალი ხის კოშკები, სადაც ზაფხულობით მალარიისგან თავდასაცავად ბინავდებოდა იმ ხაშმიანი ადგილების მკვიდრი ხალხი, თურმე კოღოები იმ სიმაღლეს ვერ აღწევდნენ და ეს იცავდა მათ ციებისაგან. და პატარა გიორგის ახსოვდა ეს კოშკებიც და ავტობუსში ვილაცის მიერ შემთხვევით ნათქვამი ეს ამბავიც. ახსოვდა კაკლების ხეივანი, რომელიც მუდმივ ჩრდილში ხვევდა გზატკეცილს. ახსოვდა წყალდიდობა, მთებიდან გადმოხეთქილი ღვარცოფები რომ მორეცხავდნენ ფლატეს და მოათრევდნენ ძირიანად მოთხრილ ხეებს და კალაპოტიდან გადმოსული ღელეების ნიაღვრები მღვრიე ყავისფერი წყლით რომ ფარავდნენ მინდორს. ახსოვდა მომწვანო ჯოჯოები, ქვებზე რომ დასლიკინებდნენ ან მზეს რომ ეფიცხებოდნენ განაბულნი.

ახსოვდა ლაგოდეხის ნაკრძალში უფროსების გამართული სად[illegible] სიგრილე და სიბნელე, [illegible] სუნი. ჩაქაფულის გემო და საოცარი გაოცება და შიში, რომელიც მაშინ დაეუფლა, კუჭამლილმა ჰიები რომ დაყარა. ახსოვდა ციება რომ დაემართა და ქინაქინას არ იღებდა. ლაგოდეხში სტუმრად ჩამოსული ბიძამისი ავთო ზედიზედ ყლაპავდა მსხვილად დაგორგლილ პურს, რომ გიორგისთვის მაგალითი მიეცა და ეჩვენებინა რა ადვილი იყო პაპიროსის ქაღალდში გახვეული დაფშხვნილი წამლის გადაყლაპვა, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა, სიცხიანი გიორგი ტიროდა, ქინაქინას არ იკარებდა და ბოლოს იძულებულნი გახდნენ ძალით გაეკეთებინათ ნემსი საჯდომზე. ახსოვდა თავზარდამცემი ელდის შეგრძნება, ლოგინზე რომ გააკრეს ძალდატანებით და საშინლად მტკივნეული ნემსი რომ უჩხვლიტეს. ახსოვდა მარტოობის სრული უნუგეშობა მაღალ სიცხიანს ობობას ქსელი რომ ელანდებოდა, რომელშიც თვითონ იყო გაბლანდული. ახსოვდა ბიძია ავთოს ჩამოტანილი საჩუქრები, ახალი ფეხსაცმელების ჭრაჭუნი, ტანისამოსის სუნი და ქალაქის სახელწოდება რიდერი, სადღაც შუა აზიაში, სადაც ბიძამისი მსახურობდა ვიღაც ნათანზონთან ერთად. ახსოვდა მამას კლუბის გვერდით, სტადიონზე რომ მიჰყავდა ხელჩაკიდებული, სადაც სასულე ორკესტრი გრიალებდა და მერე ჭრელად ჩაცმული მოთამაშეები მწვანე მინდორზე ბურთს დასდევდნენ და ხალხი შეძახილებით ამხნევებდა მათ. ახსოვდა გამხდარი დარაჯი ნიშა კალთაში რომ ჩაისვამდა და ერთი ძველი წიგნიდან გიორგი სააკაძის გმირობის ამბებს უკითხავდა. ახსოვდა სქელი მზარეული ქალი ბაბო მაშო სიმინდს რომ ყრიდა გახურებულ ლუმელზე და იქედან თეთრი ბატიბუტი იბნეოდა. ახსოვდა კედელზე გაკრული დიდი სურათი წვერებიანი და ულვაშიანი ხალხისა და იცოდა მათი სახე-

ლებიც: მარქსი, ენგელსი ლენინი, სტალინი. ახსოვდა მამის მეგობრის, ძია ვანოს მეზობელი მეტყევე სტანკევიჩი, იმისი ცოლი და იმისი აყლაყუდა, ჰკუასუსტი ქალარა ცოლისდა, თოჯინებით ხელში რომ თამაშობდა ბაღში, ან აქეთ-იქით დარბოდა ჯოხის ცხენზე გადამჯდარი. ახსოვდა როგორ ეშინოდა ამ უწყინარი სულელისა, რადგან გუმანით გრძნობდა მის არაბუნებრივობას, ჰარმონიის დამარღვეველ სიმახინჯეს. რაც მიუღებელი იყო მისი ბავშვური ჯანსაღი სულისთვის. ახსოვდა რომ იმთავითვე ეამაყებოდა მაღალი და ღონიერი ძია ვანო, ნეკა თითზე ძალიან გრძელი, წვეტიანი ფრჩხილი რომ ჰქონდა წაზრდილი, რომლის დანიშნულებას ვერაფრით ვერ იგებდა, სამაგიეროდ ვანომ იცოდა საბარგო მანქანის ტარება და აგერთვე მის ეზოში ჩამავალ რუზე პატარა, სათამაშო წისქვილების გაკეთება. ერთხელ ამ პატარა წისქვილთან რომ თამაშობდა, იქვე ეზოში მდგარი სკიდან გამოფრენილმა ფუტკარმა უკბინა და ახსოვდა ის მწარე ტკივილი, რომლისგანაც ღრიალი მორთო, ხოლო ძია ვანომ ნაკბენზე დანა გაუხახუნა და მერე ზედ დაადო გრილი რკინა, მაგრამ ამან ვერ უშველა. ახსოვდა ერთხელ ძია ვანოს, რომ ჰკითხა, ათი წლისა რომ შევიქნები, შენ სიმაღლე თუ გავხდებიო და იმანაც დაარწმუნა, ეგ რა არის, ჩემზე ბევრად მაღალი იქნებიო და კედელზე მიუნიშნა ადგილი საკუთარ თავს ზემოთ, სადამდისაც ის უნდა გაზრდილიყო ვითომ, რითაც ძლიერ ასიამოვნა. ბევრი რამ ახსოვდა პატარა გიორგის, მაგრამ ეს უთანმიმდევროდ ამოკრეფილი მოვლენები მის შეგრძნებაში ერთმანეთს არ უკავშირდებოდა, დრო არ იძვროდა, ცხოვრება არსად არ მიიჩქაროდა. ყველაფერი მყარი, მდგრადი, მუდმივი იყო და ცხადია, მან არ იცოდა როგორ ცხოვრობდა ხალხი, რა ხდებოდა ქვეყნად, რა იყო ქვეყანა.

ქვეყანა კი იყო ისევ დაძაბული, მოუსვენარი, აფორიაქებული, სხვადასხვა ძალები ისევ ეჯახებოდნენ ერთმანეთს და ბედისწერა ერთს რომ ალზევებდა, მეორეს ამხობდა ლაგოდეხის ირგვლივ კი მდუმარედ იდგნენ ნისლშემობურვილი მთები, საიდანაც ანკარა მდინარეები მოჩუხჩუხებდნენ, რომელთა ნაპირებს ფარავდნენ ულრანი ტყეები, სადაც საუკუნოვანი ხეები გაზაფხულობით ფოთლებს ისხამდნენ. და ადამიანები ცხოვრობდნენ ამ პატარა დასახლებაში, რომელსაც შამშე თანდათან ეგუებოდა, დაბა მის თვალწინ იზრდებოდა, სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები აქ ესახლებოდნენ და მუშაობდნენ, აქაური თამბაქო მთელ ქვეყანას ამარაგებდა, ნათელას მეგობრები ლიზიკო და სიმონიკაც აპირებდნენ ყვარლიდან გადმოსვლას აქ სამუშაოდ, მაგრამ სიმონიკა დაიჭირეს და დახვრიტეს, ვითარცა ტროცკისტი—მავნებელი, თუცა შამშე დარწმუნებული იყო, რომ ამ ყმაწვილმა ალბათ, არც კი იცოდა წესიერად ვინ იყო ტროცკი, — და დაქვრივებულმა ლიზიკომ ისევ თბილისს მიაშურა თავის ბავშვიანად, ლაგოდეხში გრძელდებოდა დაპატიმრებები, მაგრამ შინსახკომის უფროსის გრიშას წყალობით, შამშემ რაიკომის მდივანთან ბუცხრიკიძესთან კარგი ურთიერთობა დაამყარა და ჯერჯერობით უშიშრად იყო. ბუცხრიკიძეს მოსწონდა შამშე და დაუმეგობრდა მას, რადგან მეგობარი თვით რაიკომის მდივანსაც კი სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო თანასწორთა მეგობრობა, მაგრამ მაინც მეგობრობა იყო, მათი მეუღლეებიც დაახლოვდნენ. ბუცხრიკიძე ახალგაზრდა კაცი იყო და ზოგჯერ ოჯახში წვეულებებზეც კი პატიჟებდა შამშეს და ნათელას. ეს დიდი პატივი იყო და ამას ძლიერ აფასებდნენ. ამ წვეულებებს გრიშა და ანიკოც ესწრებოდნენ და ბუცხრიკიძე ვიწრო, მეგობრულ წრეში ხშირად ყვებოდა, რა ხდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკაში, რა ურთიერთობები და დაპირისპირებები არსებობდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა შორის. შეიძლება ითქვას, შამშე ხელდასხმული გახდა იმ თვალსაზრისით, რომ ზედმიწევნით კარგად იცოდა რითი ცხოვრობდა რაიონის პარტიული აპარატი, რომელიც განაგებდა ამ რაიონის მცხოვრებთა ბედს. ერთხელ ბუცხრიკიძემ კაბინეტში დაიბარა და ანკეტური მონაცემები თხოვა.

— ორდენზე წარადგინე! — აუწყა მან.

— ორდენზე? — გაუკვირდა შამშეს.

— ჰო, ლაუ პეტროვიჩმა დამირეკა გუშინ თბილისიდან და მთხოვა ჩვენი რაიონის კომკავშირული და პარტიული აქტივის სია დასაჯილდოებლად, შენც შეგიტანე სიაში.

— თუ შეიძლება ამომშალეთ მაგ სიიდან, მე ორდენის ღირსი არა ვარ, ჯერ რა გამიკეთებია?..

— ეგ ჩვენ უკეთ ვიცით, — გაიცინა ბუცხრიკიძემ მწყალობელის კმაყოფილებით, — რა გინდა, დაგაჯილდოებენ, შეიძლება მოსკოვშიც გაგაგზავნონ....

— ძალიან გთხოვთ, ამომშალეთ სიიდან. არ მინდა ორდენი, ჯერ ჩემთვის ადრეა.

— სია უკვე მემანქანეს გადავეცი, რაღა დროს ამოშლაა, — კვლავ გაიცინა ბუცხრიკიძემ, — თავიდან ხომ არ გადავბეჭდავთ?

ამ ამბავმა შამშე ფრიად შეაწუხა და თვითონ ვერ მიმხვდარიყო მიზეზს. რატომღაც ზარავდა იმის გაფიქრება, რომ მისი გვარი რაღაც სიაში იხსენიებოდა. ბოლოს და ბოლოს ჯილდოს პირდებოდნენ, მაგრამ არც ჯილდო უნდოდა და არც სიაში ყოფნა, ერჩივნა არსად არ ყოფილიყო აღნიშნული, თითქოს არ არსებობდა, ასე უფრო უხიფათო იყო. იმავ საღამოს ინახულა მემანქანე ტასიკო და ჰკითხა, იყო თუ არა დასაჯილდოებელთა სიაში?

— ხართ, შამშე ამბაკოვიჩ!

— არ შეიძლება ამომშალო?

— აბა. როგორ? სია უკვე გადაბეჭდილია და გამზადებულია, დილით უნდა ჩავაბარო და გავაგზავნო თბილისში.

— თუ ჩემი ხათრი გაქვს, ხელახლა გადაბეჭდე, პატივისცემა ჩემზე იყოს, გამიკეთე ეს საქმე!

ვინაიდან ერთხელ შამშეს ტასიკოს დედას უმკურნალა და მოარჩინა, მემანქანე მისგან თავს დავალებულად თვლიდა, უარი ველარ უთხრა. დაჯდა, მთელი ღამე ბეჭდა სია თავიდან და დილისთვის ახალი ნიმუში გაამზადა, რომელშიც შამშეს გვარი აღარ იყო შეტანილი. სია იმავე დღეს გააგზავნეს თბილისში და შამშემ შვებით ამოისუნთქა. ერთი კვირის შემდეგ, თბილისიდან დაბრუნებულმა რაიკომის მდივანმა უსაყვედურა რათ ამოშალე შენი გვარიო?

— რაც არ მეკუთვნის, არ მინდა, — მორცხვად უპასუხა შამშემ.

— შენი ნებაა, — მოწყალედ თქვა ბუცხრიკიძემ, — ლაუ პეტროვიჩმა წაიკითხა სია, ამათ ყველას ჯილდოზე წარვადგენო. მერე მკითხა, თქვენი გვარი რატომ არ შეიტანეთო? მე მხრები ავიჩეჩე. საკუთარი ხელით ჩამაწერინა ჩემი გვარი სიის თავში. ასე რომ, შენ დარჩები, ჩემო შამშე, უორდენოდ.

გავიდა ორი თვე, შამშეს ეს ამბავი დაავიწყდა. იმ ზაფხულს ცოლშვილი წიფლნარში ჰყავდა გაგზავნილი და მოწყენილი იყო. გვიანობამდე კითხულობდა ანტონ ფურცელაძის ისტორიას გიორგი სააკაძეზე. ამ წიგნს დარაჯი მიშა უკითხავდა პატარა გიორგის, სწორედ მან აჩუქა წიგნი შამშეს, გიორგი რომ გაიზრდება, თავად წაიკითხოსო. შამშე წიგნმა ისე გაიტაცა, რომ ძილი დაავიწყდა. მისი სამშობლოს სისხლიანი ისტორია აღელვებდა, გულს უწუხებდა, ფანჯრები ღია იყო. შუაღამე გადავიდა, მძინარე დაბიდან მამლების ყივილი ისმოდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ორ მტრულ ბანაკს შორის სამკვდრო-სა-

სიცოცხლო ბრძოლის წინ ისვენებდა მიყუჩებული ღამე, და უეცრად კარზე ბრახუნმა შეაკრთო, შეაშინა, ვინ უნდა ყოფილიყო ამ შუაღამეზე? კარი გაალო და სახეშეცვლილი ანიკო შემოვარდა ლამპით მკრთალად განათებულ ოთახში.

— გრიშა დააპატიმრეს, — წამოიძახა მან ფეხის შემოდგმისთანავე.

— რას ამბობ. როდის?

— წელან. თბილისიდან შინსახკომის საგანგებო ბრიგადა ყოფილა ჩამოსული. ბუცხრიკიძეც წაუყვანიათ.

— რა იცი?

— ამ წუთში იმათგან მოვდივარ, მოსამსახურემ მითხრა, ორივე ცოლქმარი ნახევარი საათის წინ დააპატიმრესო.

— რას მელაპარაკები? — გაშტერდა შამშე.

— რა ვქნა შამშე, რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?

— წადი სახლში, დილას გაირკვევა ყველაფერი, ვინმემ არ დაგინახოს აქ, თორემ ხომ იცი, მეც დამღუპავ, მე ახლა ვერაფერს გიშველი, დილას ვნახოთ.

დილით მთელმა დაბამ იცოდა, რომ რაიონის კომკავშირული და პარტიული აქტივი, სწორედ ის ხალხი, ვინც დასაჯილდოებლად იყვნენ წარდგენილნი, დაპატიმრებული იყო და ციხეში იჯდა, ვითარცა მავნებლური, ანტისახელმწიფოური და ანტიპარტიული ჯგუფი, მოღალატე ბუცხრიკიძისა და დევდარიანის მიერ შეკოწიწებული.

გაოგნებულ შამშეს ვერაფრით ვერ აეხსნა თავისი წინათგრძნობა.

იმავე დღეს ახალი რაიკომის მდივანი და შინსახკომის უფროსი ჩამოვიდნენ თბილისიდან, ბერულავა და სხირტლაძე. მათ სასწრაფოდ კრება მოიწვიეს და სასტიკად გააფრთხილეს თანამშრომლები ხალხის მტრების საბოტაჟს ან რაიმე არეულობის მცდელობას მედგრად წინ აღდგომოდნენ, მაგრამ არავითარი საბოტაჟი და არეულობის მცდელობა არა ყოფილა, დაბა გატრუნული იყო, მხოლოდ ერთი მთვრალი გლეხკაცი დაიჭირეს, აღმასკომის — წინ საკუთარ გაოჩნებულ ვირს აგინებდა, აი შენი პატრონი დედაცაო, აცე, ვიროო. ანტისაბჭოთა პროპაგანდა დააბრალეს და ვირის აბანოში უკრეს თავი, ეს იყო და ეს. თუმცა ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, შამშეს ალმაცერად უცქერდნენ ზოგიერთნი, როგორც ყოფილ რაიკომის მდივანთან და შინსახკომის უფროსთან დაახლოებულ პირს, შეიძლება უკვირდათ კიდეც დაპატიმრებას რომ გადაურჩა.

დაუძლეველმა შიშმა შეიპყრო შამშე. ანიკოსთან მისვლა ვერ გაბედა და მზარეული ქალის, ბაბო მაშოს პირით შეუთვალა, დაუყოვნებლივ ლაგოდეხს გასცლოდა. თვითონაც ფიქრობდა აქედან წასვლაზე, მაგრამ ასე უცებ აქაურობის დატოვება ეჭვს გამოიწვევდა და საშიში იყო. დარჩენაც საშიში იყო. გამოსავალი არ ჩანდა. ერთ მშვენიერ დღეს შინსახკომში დაიბარეს, ვითარცა რაიონის მთავარი ექიმი, ციხის სანიტარული მდგომარეობის შესამოწმებლად. ცხელოდა. შამშემ ჩაიცვა თეთრი პერანგი, კარგად გაუთოებული შავი შარვალი, თეთრი ტილოს ფეხსაცმელები, ფართო ჰალსტუკი გაიკეთა და სარკეში ჩაიხედა. თმა საკმაოდ გასცვენოდა, უკვე გამელოტებული იყო, მაგრამ რაც დარჩა, ისიც გადაივარცხნა, ვიწრო ულვაში მაკრატლით გაისწორა, ახლად გაპარსულ სახეზე ხელი გადაისვა და შინსახკომში გაემართა. მთლად დარწმუნებული არ იყო. რომ იქიდან შინ დაბრუნდებოდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა. კომისია შეიკრიბა და ციხის დასათვალიერებლად გაეშურა. ციხე — ეს იყო ბნელი სარდაფი შინსახკომის შენობის ქვემოთ. კომისიის წევრები კართან შეჩერდნენ და საკანში შეიხედეს. ორასამდე კაცი იქნებოდა ჩაჭედილი ამ მომცრო საკანში. დაჯდომა არ ხერხდებოდა, პატიმრები ზეზე იდგნენ და უჰაერობისგან გატანჯულნი გმინავდნენ ოფლისა და შარდის სუ-

ნით აყროლებულ სივიწროვეში. ბევრი იყო მათ შორის ნაბდისქუდიანი ხელებდაკოჟრილი გლეხები, რომელთა მავნებლობა და პოლიტიკური დარაზმულობა სრულიად წარმოუდგენელი იყო. შამშემ უამრავი ნაცნობი დაინახა. აქ, უცებ გრიშა დევდარიანსაც მოჰკრა თვალი სადღაც, კუთხეში მიმწყვდეულს და იმისმა მკვდარმა გამომეტყველებამ შეაძრწუნა. რატომღაც მტარვალი თემურ-ლენგი მოაგონდა. ძაღლების ნახრავი ძვლებით რომ უმასპინძლდებოდა კოცონთან მოახლოებულ, ტანსაცმელ შემოფლეთილ და თმაგაწეწილ, მის მიერ დაპყრობილ და განადგურებულ, რომელიღაც ძლიერი სახელმწიფოს ყოფილ დედოფალს. ჯერ კიდევ გუშინ, ამ სარდაფის ზემოთ, თავის კაბინეტში ყინჩად მჯდარი გრიშა თვითონ აგზავნიდა სარდაფში სხვებს, სადაც ახლა თავად აღმოჩნდა. და გაუკვირდა შამშეს ნათესავის მიმართ შეცოდებას რომ ვერ გრძნობდა, თუმცა მრავალი წლის განმავლობაში მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, როცა სჭირდებოდა მისგან დახმარებას იღებდა, თუმცა არასოდეს არ თანაუგრძნობდა მის საქმეებს და წესიერი და ღირსეული კაცი რომ ყოფილიყო, ალბათ. თავიდანვე უნდა გაეწყვიტა მასთან ურთიერთობა. მაგრამ შიში არ აძლევდა ამის ნებას, უბრალო შესიტყვების უფლებას და როცა უჭირდა იყენებდა მის დახმარებას. ადამიანი ისე იყო ამ ქვეყანაში დავრდომილი და დამცირებული რომ ძალაუფლების მპყრობელნი ლამის ზებუნებრივ არსებებად მიაჩნდათ და ძრწოდნენ და ლაქიაობდნენ მათ წინაშე.

შამშემ თავი ჩაღუნა.

— მე მგონი, ნორმალური მდგომარეობაა, — უთხრა სხირტლაძემ ბერულავას.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა რაიკომის მდივანი.

— მაშინ შეადგინოს კომისიამ აქტი და მოვაწეროთ ხელი.

— მაგ აქტს მე ხელს ვერ მოვაწერ, ორასი კაცის დამწყვდევა [illegible]ტულ მეტრ ფართობზე. ყოველგვარი სანიტარული ნორმების დარღვევაა, — წარმოსთქვა უცებ შამშემ და თავი ასწია.

ყველამ მას მიაპყრო გაკვირვებული მზერა, მთავარი ექიმის ხელმოწერის გარეშე აქტს ფასი არა ჰქონდა.

— არ მოაწერ და შენც ამათთან ერთად ჩაჯდები, ვიცით, ვისი მეგობარიც ხარ! — დაუყვირა გაცოფებულმა შინსახკომის უფროსმა, მაგრამ რატომღაც რაიკომის მდივანი გამოექომაგა.

— არ არის საჭირო ყვირილი, დავიბაროთ ეს ამხანაგი ორშაბათს რაიკომის ბიუროზე და გამოვკითხოთ რა აწუხებს, რით არის უკმაყოფილო, ვის მხარეზეა, მოვუსმინოთ ამ კაცს, იქნებ რა გვამცნოს. მოკლედ, ორშაბათს თქვენ საკითხს განვიხილავთ რაიკომის ბიუროზე, ამხანაგო უნდილაძე! — შემპარავი ხმით და გველური ღიმილით უთხრა მან შამშეს.

შამშემ იგრძნო, რომ ეს გამოქომაგება მუქარაზე უარესი იყო და თავდაცვაზე დაიწყო ფიქრი.

შინ აღარ დაბრუნდა. ბუერებმოდებულ ეკლიან ძეძვებს შორის დახლართულ მტვრიან შარაგზას გაუყვა ემტეესისკენ. აქ, ლაგოდეხში შეძენილი მისი ახალი მეგობარი ვანო ჯაფარიძე მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის უფროსად. იგი თელაველი იყო. პაპამისი რაჭიდან ჩამოსახლებული კახეთში. ერთი თვალის შევლებითაც შეამჩნევდი ამ ხმელ, მაღალ ახალგაზრდას დიდ ძალასა და შემართებას, თუმცა მეტისმეტად ალალი და ხუმრობისმოყვარული კაცი გახლდათ. ერთხელ, წნორიდან ერთად იმგზავრეს „სოიუზტრანსის“ ავტობუსით. შამშე ცოლშვილით მოემგზავრებოდა თბილისიდან ლაგოდეხში, ვანო თელავიდან ბრუნდებოდა. ნათელა ვერ იტანდა ავტობუსით ჯანჯღარს, გზაში რამდენჯერმე ცუდად გახდა. ერთგან ავტობუსი სასადილოსთან გაჩერდა, ნა-

თელამ თხრილის პირზე წნორის ხესთან მისვლა მოასწრო და გული აერია. შამშემ ბავშვი ვანოს ჩააბარა და ცოლს მიაშურა. სასადილოს გვერდით კუნძზე ჩამომჯდარმა ვილაც შექეიფიანებულმა რუსის ოფიცერმა და მისმა ჯარისკაცმა უშნოდ ღრეჭა დაიწყეს. „რა გაცინებთო?“ უკმეხად შესძახა შამშემ მთვრალებს. „ეგ ქალი ფეხმძიმედ იქნება, გული იმიტომ ერევაო“. „ეგ თქვენი საქმე არ არისო!“ შეუყვირა გაფიცხებულმა შამშემ, იმათ ლაზათიანი დედის გინებით უპასუხეს და გამოიწივნენ, ნათელამ იკივლა, ქმარს ხელზე ჩამოეკიდა, მაშინ ვანომ ბავშვი ვილაც ქალს ჩააბარა, წინ გადაეფარა შეშფოთებულ ცოლქმარს და წამში ორივე მოძალადე ძირს გაშოტა. თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრეს, მხოლოდ სილაქების ტკაცანი ისმოდა. ოფიცერს იარაღი აართვა და სასადილოს გამგეს ჩააბარა, როცა გამოფხიზლდება, დაუბრუნეო. ლაგოდეხში რომ ჩავიდნენ, ორიოდ დღის მერე, გრიშა დევდარიანმა შინსახკომში დაიბარა ვანო და შამშე, ავტობუსის მგზავრს ვილაც პედაგოგ ქალს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ეჩივლა, ჩვენი სახელოვანი წითელარმიელები სცემესო. გრიშამ მაგრა შეჯორა ორივენი, მაგრამ როცა საქმის ვითარება გაიგო, გამოუშვა და ურჩია, სხვა დროს მეტი ჭკუა ეხმარათ. ამ უსიამოვნო შემთხვევამ დააახლოვა ისინი და ლაგოდეხში ვანოს თავის საუკეთესო მეგობრად თვლიდა შამშე.

ვანო თავის ოთახში იჯდა და საანგარიშოზე რაღაცას თვლიდა. შამშემ უამბო რაიკომის მდივანთან და შინსახკომის უფროსთან დღევანდელი მოლაპარაკების ამბავი. ღია ფანჯრიდან მოჩანდა გადახნული ველი და შორს იმ ველის ბოლოს, მურყნების კორომს მოფარებული ტრაქტორის თუხთუხი ისმოდა.

— თუ შეგიძლია, ახლავე წნორში უნდა ჩამიყვანო, რომ მატარებელს მივუსწრო, — უთხრა შამშემ.

— რას აპირებ?

— ჯანმრთელობის დაცვის კომისარს შევატყობინებ აქაურ დარღვევებს, იქნებ რამე ილონოს, თორემ ესენი გამანადგურებენ, იციან, გრიშა დევდარიანის ნათესავი რომ ვარ.

— კაცო, როგორ იგრძენი, ის სია საბედისწერო რომ შეიქნებოდა?

— თვითონაც არ ვიცი, — თქვა შამშემ.

ისინი გაჩუმდნენ და წამით ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— კარგი, — თქვა მერე ვანომ და წამოდგა.

კარში გამოვიდნენ. ახლომახლო არავინ ჩანდა. ვილაც, მოფარებულში ჩაქუჩს სცემდა რკინას და უსიამოვნო მკვეთრი ჩხარუნი აღიზიანებდა სმენას. ჩარდახქვეშ სატვირთო მანქანები იდგნენ. ვანომ ერთერთი მანქანის კარი გამოაღო და ძრავა აამუშავა. შამშე გვერდით მიუჯდა.

— როდის დაბრუნდები? — ჰკითხა ვანომ.

— აბა, რა ვიცი?! მხრები აიჩეჩა შამშემ.

მანქანა დაიძრა.

მეორე დილით შამშე თბილისში იყო.

სადგურიდან პირდაპირ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში გასწია და გაიგო, რომ სახალხო კომისარი დაეპატიმრებინათ, მისი ორივე მოადგილეც. შეშინებული თანამშრომლები უჩუმრად დაბორიალობდნენ. მხოლოდ ერთი განყოფილების გამგე დახვდა ადგილზე, ძველისძველი ექიმი. ამ კაცმა მოუსმინა შამშეს და შეძრწუნებულმა ხელები აასავსავა.

— გაგიჟდით თქვენა? ვის უჩივით? ვითომ არც გინახივართ და არც არაფერი გითქვამთ ჩემთვის. წადით აქედან, თავს უშველეთ! რა დროს სანიტარულ ნორმების დარღვევაზე ლაპარაკია, ვერა ხედავთ რა ხდება?

იმავე დღეს ლაგოდეხში დეპეშა აფრინა, გთხოვთ. ავადმყოფობის გამო სამსახურიდან გამანთავისუფლოთო. ვანოსაც გაუგზავნა წერილი,

დროებით ჩემი ბარგი შენთან შეინახეო და საღამოს სადგურში გავიდა, ბილეთი აიღო და წიფლნარში გაემგზავრა. სადაც მთელი ზაფხულის უნახავი ცოლშვილი ელოდებოდა. სადგურზე ნიკუშამ გააცილა, რომელიც კარგა ხანია მარტო ცხოვრობდა მახარაძის ოცდაცხრაში, ჯერ ბიძისეულ და ახლა სიძისეულ ბინაში.

ვაგონთან შეჩერდნენ.

— ვინც არ უნდა მიკითხოს, ჩემი არაფერი არ იცი, არც გინახივარ და არც გაგიგია ჩემი ამბავი. არავისთან წამოგცდეს წიფლნარში რომ გავემგზავრე.

— არა, როგორ წამომცდება?.

— ცოტა ხანს ვიქნები წიფლნარში, ვნახოთ, იქნებ, მიწყნარდეს ამბები.

— რაღაც იქნება.

— ალბათ. ახლა წადი, ვინმემ ერთად არ დაგვინახოს.

— კარგად იყავი.

— იცოცხლე!

და ნიკუშა სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

17.

ნიკუშა საშუალო ტანის, წელწვრილი, სხარტი ჭაბუკი იყო. ჰქონდა ნახშირივით შავი გრუზა ქოჩორი და ..რამაზი წვრილი ულვაში. თბილისელ ქალიშვილებს მოსწონდათ მისი თამაში. ნიავივით სწრაფად დაჰქროდა მარჯვენა ფრთაზე, დარტყმაც უვარგოდა, მაგრამ მაინც რაღაც აკლდა დიდი ფეხბურთელი რომ გამხდარიყო. შეიძლება ბრძოლის ჟინი, თავგანწირვა, გაბედულება. დიდი ფეხბურთელი ვერ დადგა, თუმცა ზოგჯერ ისე ჩინებულად თამაშობდა, რომ პაიჭაძესაც კი ადარებდნენ. „დინამოში“ რომ გადასულიყო, შეიძლება მისი თამაშის კლასი ამაღლებულიყო, მაგრამ არ მოინდომა და ძალაც არ დაატანეს. ალბათ, იცოდნენ, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდებოდა, თუმცა ცალკეულ თამაშებს მართლა შესანიშნავად ატარებდა. მუდმივი შემართება მისი ხასიათის თვისებას არ წარმოადგენდა, არ ჰყოფნიდა ნების სიმტკიცე, პატივმოყვარეობაც. არ ჰქონდა სათანადოდ განვითარებული, ამხანაგის წარმატება გაჯიბრებისთვის არ განაწყობდა და ადვილად აღიარებდა სხვის უპირატესობას. ყოველივე ეს ფეხბურთშიც ხელს უშლიდა და ვერც ქალებთან ურთიერთობაში შველოდა. რადგან გადამწყვეტ მომენტში წარმატებისათვის აუცილებელ სიჯიუტეს ვერ იჩენდა. ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა ქალაქებში გუნდთან ერთად და ყველგან ეცნობოდა რომელიმე, სპორტის მოყვარულ ქალიშვილს და ზოგჯერ, ამ ქალიშვილებთან ხანგრძლივი მიწერ-მოწერა და სურათების გაცვლა-გამოცვლა ჰქონდა გამართული და ამ სურათებს, ზედ წარწერილი სამახსოვრო სიტყვებით, ამხანაგებს უჩვენებდა ხოლმე და იმათაც ყველა ეს ქალიშვილი ნიკუშას საყვარელი ეგონათ, მაგრამ არ იყო ეს ასე, ქუჩაში ხელკავით გავლის, კინოში ან ცეკვებზე მიპატიჟების იქეთ იშვიათად მიდიოდა საქმე. ამ წერილებს და სურათებს არც ოჯახის წევრებს უმალავდა და მართამ, მინადორამ, ნათელამ, ავთომ ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ ნიკუშას მეგობარი ქალიშვილების დადებითი ან უარყოფითი თვისებები. მართას ძალიან უნდოდა რუსის ქალი შეერთო ნიკუშას, მაგრამ ნიკუშა ცოლის თხოვას ჯერ არ აპირებდა, თუმცა თბილისშიც ჰყავდა შეყვარებული, საგარეჯოელი გოგო მაყვალა. რომელიც საბა-სულხანის ქუჩაზე ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში და ნიკუშას თანაკურსელი იყო ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში. შავგვრემანი, დაბალშუბლიანი მაყვალა ვერ იყო დიდად მომხიბლავი ასული, მაგრამ ნიკუშას მოსწონდა, არ იყო მაინცადამაინც !აზიზი და შეიძლება ისიც ხიბლავდა, რომ მაყვალა იმის არცერთ თამაშს არ აცდენდა და ფეხბურთის შემდეგ სახლამდე მოაცილე-

ბდა ხოლმე, მითუმეტეს, ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რაც შამშე და ნათელა ლაგოდეხში გადასახლდნენ. ნიკუშა უფრო ხშირად ხვდებოდა მაყვალას, თუმცა შინ არასდროს მოჰყავდა. ბინას იგი ქალზე უკეთ უვლიდა, იატაკს აპრიალებდა, ავეჯს მტვერს აშორებდა, საღამოობით, თუ შინ რჩებოდა, წიგნებს კითხულობდა, უყვარდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, თანამედროვე ქართული რომანები, როცა კითხვა ეზარებოდა, იქვე. ხელოვნების მუშაკთა სახლის საბილიარდოში შედიოდა და თამაშს უყურებდა, როცა ბილიარდიც ბეზრდებოდა, სულხან-საბას ქუჩაზე მაყვალას მიაკითხავდა, ტახტზე ჩამოჯდებოდა მუთაქას მიყრდნობილი და ელაპარაკებოდა. ეს სტუმრობა ზოგჯერ ხვევნა-კოცნით მთავრდებოდა და ნიკუშა კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ. მას შემდეგ, რაც იასე დააპატიმრეს და შამშე ლაგოდეხში გადავიდა. ნიკუშა საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა, ზოგჯერ ცარიელა პურზე და ყველზე გადადიოდა და აბა, რა ფეხბურთი უნდა ეთამაშა ნახევრად მშიერ კაცს. მართა და მიხაკო უგზავნიდნენ წიფლნარიდან. სანოვაგეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლაგოდეხიდან გამოქცეულმა შამშემ დროებით წიფლნარს შეაფარა თავი თავისი ოჯახით, სოფლიდან დახმარება შემცირდა. თუმცა თავისი სტიპენდიით და ჯამაგირით ნიკუშას, ასე თუ ისე, მაინც გაჰქონდა თავი. ამასობაში, დაჭერები შენელდა. რა თქმა უნდა, ხალხს ისევ აპატიმრებდნენ, მაგრამ უფრო კანტი-კუნტად, სურსათიც გაჩნდა მაღაზიებში და შამშე და ნათელა ისევ დაბრუნდნენ თბილისში. შამშეს ჯანმრთელობის განყოფილებაში მოწყობას შეჰპირდნენ. კარგა წამოზრდილ გიორგის ნიკუშა დაასეირნებდა ქალაქში, ხან ზოოპარკში, ხან სტადიონზე, ხან უბრალოდ ავტობუსით მოგზაურობდნენ ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე და ეს მოგზაურობა ზოგჯერ მთელი დღე გრძელდებოდა რადგან, გიორგის ავტობუსიდან ჩამოსვლა არაფრისდიდებით არ უნდოდა, რომ მოქანცულს არ ჩაეძინებოდა. ნიკუშას თავი მობეზრებული ჰქონდა, მაგრამ რა ექნა ერთადერთი დისწული ძალზე უყვარდა. ზაფხულობით ბავშვი კოჯორში აჰყავდათ და ნიკუშაც დაჰყვებოდა შამშეს კვირაობით ამ აგარაკზე. ერთხელ კოჯრიდან ფეხით დაბრუნდა თბილისში, გადმოიარა უძოს მთა, კუს ტბას ჩაუარა და პირდაპირ მთაწმინდაზე ამოჰყო თავი. თბილისის ბაღებში საღამოობით სასულე ორკესტრის გრიალი ისმოდა და ფუნიკულიორის პლატოზე მილიციის ანსამბლი სქელი, დაბალი დირიჟორის ხელმძღვანელობით ასრულებდა პატრიოტულ სიმღერებს და საცეკვაო ვალსებს. ნიკუშა დიდხანს დასცქეროდა აქედან ქალაქს. უყვარდა ქალაქი ამ სიმაღლიდან. მუსიკა გრიალებდა. მხიარულების და სიმღერის ატმოსფერო იქმნებოდა ყველგან, ქუჩაშიც, კინოშიც, კლუბშიც, სკვერშიც, თითქოსდა ბელადის ცნობილი ლოზუნგის დასადასტურებლად „უიზნ სტალა ლუჩშე, ჟიც სტალო ვესელეე". მუსიკა უკრავდა ყოფილ ყაბახზე, ჯერ ალექსანდროეს და აწ კომუნარებისად წოდებულ ბაღში და მუშტაიდშიც, სადაც მაღალი ხის კოშკები იდგა, რომელზედაც ვიწრო კიბით ადიოდნენ მოხალისენი და იქედან ბაგირზე მიბმული პარაშუტით ხტებოდნენ ნახერხმოყრილ მიწაზე. ზოგჯერ ქალებიც კი ბედავდნენ პარაშუტით გადმოხტომას, ერთხელ მაყვალაც გადმოხტა ნიკუშას ჯინაზე. დანიძლავდნენ, ვერ გადმოხტებიო, და გადმოხტა. ნიკუშა ქვემოთ იდგა და უყურებდა, როგორ ადიოდა კოშკის კიბეებზე თეთრ კაბაში და თეთრ ფეხსაცმელებში გამოწყობილი მაყვალა ზემოთ. იგი თანდათან პატარავდებოდა, სახეს უკვე ვეღარ გაარჩევდი, ბოლოს კოშკის თავზე გამოჩნდა თეთრი ფიგურა და ნიკუშა ხედავდა, როგორ უბნევდა ინსტრუქტორი ღვედებს. მერე მაყვალა ძირს გადმოეშვა, კაბა მუხლებს შორის შე-

ეკეცა, მაგრამ მიწას რომ მიუახლოვდა ჭრელი პარაშუტის გაშლილი გუმბათის ქვეშ დაკიდული, კაბა ბალერინასავით აუფრიალდა და თეთრი საწმერთული გამოუჩნდა. ქვემოთ მყოფმა მაყურებლებმა ტაშით და ვაშას ძახილით დაჯილდოვეს და მიწაზე რომ დახტა და ინსტრუქტორმა ღვედები მოხსნა და გაანთავისუფლა, სახეალანძული. გაბადრული ღიმილით გამოიქცა ნიკუშასაკენ, გადმოვხტი თუ ვერაო? ყოველთვის, როცა მაყვალა მოენატრებოდა, ამ სურათს ხედავდა, აფრიალებულ თეთრ კაბას, ერთმანეთზე მიტყუპულ მკვრივ ფეხებს და ფეხებს შორის საწმერთულის თეთრ ვიწრო ზოლს და ეს სურათი ნიკუშას მუდამ აღელვებდა.

იმ წელიწადს ნიკუშა უკანასკნელ კურსს ამთავრებდა. დარწმუნებული იყო., რომ ცხოვრება უმჯობესდებოდა. მის თვალწინ იზრდებოდა და მშვენიერდებოდა თბილისი. ქარვასლა აიღეს, მოედანი გააფართოეს და ბერიას სახელი უწოდეს. სასახლის ქუჩაც გააფართოეს, რუსთაველზე ტრამვაი აყარეს და ტროლეიბუსის ხაზი გაიყვანეს, სამხედრო ტაძარი დაანგრიეს და მის ადგილზე მთავრობის სასახლე ააგეს, ახალი კინო, ახალი მუზეუმი, ახალი ცირკი. ახალი ხიდი, რომელმაც სადგური ახალ მოედანს დაუკავშირა შუაში გაჭრილი მთის გაკვეთით, რედაქციების ახალი შენობები, კონსტრუქციული სტილის ახალი საცხოვრებელი სახლები ბედნიერი მომავლის იმედს უნერგავდა ნიკუშას. რუსეთში მყოფი ავთო დრო და დრო მშვენიერ საჩუქრებს უგზავნიდა ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით პატარა გიორგის,ნაირნაირ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს. სათამაშოებს. ზოგჯერ წერილებსაც იწერებოდა. ნათანზონთან ერთად მოიარა ციმბირი და შუა აზია და ეს შორეული ქვეყნები ზღაპრულ საუფლოდ წარმოედგინა ნიკუშას. ხოლო ერთ მშვენიზაფხულის დილას, როცა ნიკუშა შინ მარტო იყო და ეძინა, ვიღაცამ კარი ლამის შემოანგრია. ეს იყო ავთო, მუდამ მოუსვენარი და დაუღალავი და ნიკუშას ისე გაუხარდა, [illegible] დილი ბიძაშვილის დანახვაზე, [illegible] ზეზო სიცილი აუვარდა.

— საიდან ბიჭო, რავა ხარ?

— კარგად ვარ, თქვენ რავა ხართ?

— არა გვიშავს.

— ნათელა და გიორგი სად არიან?

— კოჯორში.

— წავედით კოჯორში!

იმ დღეს ისინი კოჯორში ავიდნენ. ძალიან ცხელოდა და ავთოს უხაროდა, ძლივს არ ველირსე ნამდვილ ზაფხულსო. გატენილი ავტობუსი ღოღვით და თუხთუხით მიყვებოდა დაკლაკნილ აღმართს. გზის პირას ველები ყვითლად აყვავებული იელის ბუჩქებით იყო მოფენილი, მთებს ხასხასა სიმწვანე გადაჰკროდა, ქალამნიანი გლეხები ხურჯინგადაკიდებულ ვირებს მოჰყვებოდნენ ქალაქისკენ ან ქალაქიდან სოფლად ბრუნდებოდნენ გზატკეცილის გვერდით დახვეული ბილიკებით. ალაგ-ალაგ პურის ყანები ბზინავდნენ ფერდობებზე. მგზავრებს. თბილისელ მოაგარაკეებს სანოვაგით სავსე ჩანთები მიჰქონდათ აგარაკზე დარჩენილ ოჯახთან. სიმშვიდე, მყუდროება, უსაფრთხოება ბანგივით განფენილიყო ჰაერში.

კოჯორში რომ ჩავიდნენ, ორ პანტის ხეს შორის გაბმულ ჰამაკში გემრიელად ეძინა გიორგის. ავთომ მყისვე გაალვიძა ბავშვი, ხელში აიტაცა, გადაჰკოცნა, ნამძინარევი გიორგი ატირდა და ავთომ ხანშიშესული დამსვენებელი მანდილოსნის მკაცრი საყვედური დაიმსახურა, ყმაწვილო, როგორ შეიძლება მძინარე ბავშვის გაღვიძებაო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, საჩუქრად ჩამოტანილი დიდი ბურთი და მეზღვაურის ტანისამოსი მიართვა დისწულს, მაგრამ მისი გული ველარ მოიგო: იგი დედას ჩაუჯდა კალთაში და მტრულად შესცქეროდა ხმაურიან, კარგა ხნის უნახავ ბიძას. ძილგატეხილი ბავშვი ჭირვეულობდა. ზოგჯერ წაიტირებდა ხოლმე.

— შენ თუ ასე იტირებ, ჩვენ წავალთ! — წამოდგა ავთო.

— სადილად არ დარჩებით? — შეეკითხა ნათელა.

— ამაღამ წიფლნარში ვაპირებ წასვლას. ბილეთი უკვე აღებული მაქვს! — და ისევ ზეზე წამოაგდო ნიკუშა, რომელმაც რიგიანად დასვენება ვერც მოასწრო, მაგრამ იცოდა რა ავთოს ხასიათი, ერთ ადგილზე დიდხანს რომ ვერ ჩერდებოდა. უხმოდ დაემორჩილა. თუმცა სიგრილეში ცოტა ხანს დარჩენა ერჩივნა, რასაკვირველია.

მანქანა არ იყო და ტაბახმელამდე ფეხით ატარა, ჰაერში ჩიტების ყივყივი, სტვენა და გალობა ისმოდა, ქვემოთ რომ ეშვებოდი, სიცხის ალმური მატულობდა. შორს. ქვაბულში, გავარვარებული თბილისი მოჩანდა. ბიჭო, დღეს თამაში მაქვს, ამდენი თუ ვიარე, როგორღა ვირბინოო, წუწუნებდა ნიკუშა ავთოს კი ამშვიდებდა ხომ ხედავ დაღმართია, არაფერი გიჭირსო. ტაბახმელაში შემთხვევით თბილისისკენ მიმავალ საბარგო მანქანას წააწყდნენ და ამას ჩამოჰყვნენ სოლოლაკამდის. და მანქანიდან გადმოსულები დაღმა რომ დაუყვნენ დახუთულ ქუჩებს, ავთოს ახალი აზრი მოუვიდა, ბიძინას ცოლიშვილის ნახვა მოინდომა. მან ვეებერთელა მაჯის საათზე დაიხედა და თქვა. დრო თავზე საყრელი გვაქვს. მოდი, ჩვენი რძალიც ვინახულოთო.

— ჯერ იმისი ძმა ვნახოთ, აგერ მუშაობს, ხელოვნების მუშაკთა სახლში, იმას ვკითხოთ ამბავი.

თურმე, უშანგი ერთი წელი იყო ბუღალტრად მსახურობდა ამ დაწესებულებაში. კახეთში ცოლი შეერთო და ისევ თბილისში დაბრუნებულიყო საცხოვრებლად. ერთხელ, მახარაძის ოცდაცხრაში მიაკითხა თავისი დის ნათესავებს. შინ მხოლოდ ნიკუშა დახვდა. ერთმანეთი გაიცნეს. შემდეგ უშანგიმ ვერაზე წაიყვანა და მაიკო გააცნო ნიკუშას. ბიძინას ამბებს ერთმანეთს აგებინებდნენ, მაგრამ კარგა ხანი იყო ბიძანასი არაფერი ისმოდა. ერთხელ რუსეთიდან წერილი მიიღეს. ვიღაცას რკინიგზის სადგურზე ასანთის კოლოფში ჩადებული ქაღალდის ნაგლეჯი ეპოვნა, რომელზედაც თბილისის მისამართი ეწერა თხოვნით. ეს ქაღალდი ამ მისამართით გააგზავნეთო. ქაღალდზე კი სულ რამდენიმე სიტყვა იყო, კარგად ვარ, ჩემზე არ იდარდოთო. ეს იყო და ეს. ასეთ კოლოფში ჩადებულ წერილებს ეტაპით მიმავალი პატიმრები ისროდნენ ვაგონის ფანჯრიდან რკინიგზის სადგურებზე. იქნებ, ვინმე ღვთისნიერმა იპოვოს და გააგზავნოსო. მეტი არაფერი იცოდნენ ბიძინას შესახებ და იმ „კარგად ვარ, ჩემზე არ იდარდოთი" ინუგეშებდნენ თავს, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ.

ხელოვნების მუშაკთა სახლის კარები ფართოდ დახვდათ გაღებული. ისინი მარმარილოს კიბეებს აუყვნენ. კედლებზე გვირგვინები ეკიდა. თურმე ახლახან გარდაცვლილი ცნობილი მეცნიერი წერეთელი დაესვენებინათ აქ. თანამშრომლები ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და ფეხისწვერებზე დადიოდნენ კორიდორში. გასვენება ხვალისთვის იყო დანიშნული და დიდი დარბაზი, სადაც ცხედარი განისვენებდა. ცარიელი იყო. ნიკუშამ ტალანის ბოლოს კარი შეაღო და ავთო საკმაოდ მოზრდილ ოთახში შეიყვანა, სადაც ორი კაცი საწერ მაგიდას უჯდა და ღვინოს შეექცეოდა. ნიკუშას დანახვაზე ერთ-ერთი წამოხტა, ეს იყო უშანგი. საკმაოდ ტანმორჩილი. ცისფერთვალება კაცი, რომელსაც ჯაგარივით სქელი თმა მოკლედ შეეკრიჭა. ნიკუშამ ავთო გააცნო და უშანგის დიდად ეამა ამ ვეებერთელა, ბეჭებგანიერი გოლიათის გაცნობა, რომელსაც ხუჭუჭა ქოჩორი შუბლზე ეყრებოდა. წვერულვაში სუფთად გაეპარსა და მოქარგული უკრაინული ხალათი ეცვა. სიხარულით აციმციმებულმა უშანგიმ სტუმრები მაგიდასთან მიიწვია, რომელზედაც ორი ჩაცარიელებული ბოთლი იდგა და სახელდახელო პურმარილი იყო გაშლილი: პური, ყველი, ძეხვი, კიტრი და პამიდორი.

უშანგი სადღაც გავარდა და ორი ბოთლი ღვინო მოარბენინა, რომელიც ისე იყო ჩაციებული. რომ გარედან შეორთქლილიყო. ამასობაში უშანგის მეინახეც გაიცნეს. ეს აღმოჩნდა გაქართველებული პოლონელი ვალიკო პონიატოვსკი, ჯერ კიდევ წინა საუკუნეში, პოლონეთის მარცხიანი აჯანყების შემდეგ აქ გადმოსახლებული თავადის შთამომავალი, რომელმაც სიტყვა არ იცოდა პოლონური. ისიც ბუღალტერი ყოფილიყო, ცივი ღვინო ავთოს ძალზე ესიამოვნა, რუსეთში არაყს მიმაჩვიესო, ნიკუშამ კი წვეთი არ დალია, თამაშის წინ ღვინის სმა ვის გაუგიაო. ხუთი წუთის შემდეგ ოთხივენი საუკეთესო ძმებად და მეგობრებად თვლიდნენ თავს. ის ორი ბოთლიც უცბად დაცალეს. ერთმანეთი გულმხურვალედ დალოცეს, უშანგი გავარდა და კიდევ ორი ბოთლი კარგად ჩაციებული ღვინო მოიტანა.

— სად შოულობ ამ ცივ ღვინოს?— გაუკვირდა პონიატოვსკის.

— რა ვიცი, ვშოულობ, — მორცხვად შეიშმუშნა უშანგი.

— სადა?

— კუბოში!

— კუბოში? — ყველამ ერთად მიაპყრო მზერა უშანგის.

— ჰო, მიცვალებულს, ცხონებულ წერეთელს ყინული ადევს და იქა მაქვს ჩაციებული, — უცოდველი სახით განმარტა უშანგიმ.

ავთომ შეხედა მას და უეცრად ხარხარი აუვარდა, ეს რა მოხერხებული კაცი ყოფილაო. შენ, ძმაო, არ დაიკარგებიო, მხარზე დაჰკრა ტორი მოყვარეს, რომელსაც შექებამ კმაყოფილი ღიმილი მოჰგვარა, ასეთები ვართ ქართველები, ყველაფერს ჩვენს სასარგებლოდ ვიყენებთ, მაშ!

— იმდენი თქვენ აგიშენდათ ოჯახი, — ჩაურთო პონიატოვსკიმ.

ავთო ხარხარებდა. თავს ბედნიერად გრძნობდა, სამშობლოს მონატრებულს ყველაფერი განსაკუთრებულად მშვენიერი ეჩვენებოდა, კუბოში ჩაციებული ღვინოც კი, თანდათან ხალისს რომ მატებდა ; განსვენებული წერეთლის შესანდობარიც შესვეს და [illegible] ბოთლსაც გამოუყვანეს [illegible] ღვინო აღარ იყო. საკმაოდ შეზარხოშებულნი ფეხზე წამოდგნენ და უკანასკნელი სადღეგრძელო წარმოსთქვეს. ეს იყო საქართველოს სადღეგრძელო. ჩვენისთანა ქვეყანა არსად არ არისო, უმტკიცებდა უშანგი პონიატოვსკის.

— მიდი, მიდი, იქე თავი. ვერ გაიგე, თავის ქება კიტრად ღირსო? სხვამ უნდა გაქოთ!

— გეუბნები მე შენ, ეს მეცნიერულად დამტკიცებულია! — გაწიწმატდა უშანგი.

— რა არი დამტკიცებული?

— თურმე ჩვენისთანა კარგი ხალხი ქვეყნად არ ყოფილა! — მტკიცედ გაიმეორა უშანგიმ.

ვალიკო პონიატოვსკის სიცილი აუვარდა.

— მაშ, ბელადი ვინ მისცა მსოფლიოს? — გაჰყვიროდა უშანგი, — ამას წინათ, შვეიცარიაში კონფერენცია მოუწვევიათ და იქ დაუსაბუთებიათ, რომ ჩვენზე კარგი ხალხი მსოფლიოში არ არსებობს!

— ვინ გითხრა ეგა?

— ერთმა ჩემმა ნაცნობმა თავისი თვალით წაიკითხა!

— სად წაიკითხა?

— გაზეთში!

— რა წაიკითხა?

ქართველები ყველაზე კარგი ხალხიაო!

— ვითომ პოლონელები რით არიან ნაკლები? — მაგიდას ხელი დაჰკრა პონიატოვსკიმ.

— პოლონელებიც კარგი ხალხია, — დასთმო უშანგიმ.

— არსებობს ადამიანის იდეალი. კარგია ის ხალხი, ვინც ამ იდეალს უახლოვდება, მაღლა ის დგას, ვისაც ღირსების და პატიოსნების შეგრძნება დიდად აქვს განვითარებული და წარმავალზე უფრო მარადიულისკენ აქვს მზერა მიმართული. ეს ნამდვილად ჩემი თვალითა მაქვს წაკითხული, —

წარმოსთქვა აღელვებულმა პონიატოვსკიმ.

— არავინ შეკამათებია. ისინი ჩუმად გამოვიდნენ ოთახიდან, უშანგიმ კარი გასაღებით ჩაკეტა. ჩუმად გამოიარეს გრძელი, გატრუნული ტალანი ღვინისაგან გალაქლაქებულლებმა, სიცხისაგან გაოფლილლებმა, მიცვალებულის წინაშე გაუაზრებლად დარცხვენილებმა და ქუჩაში თავისუფლად ამოისუნთქეს, და სწორედ ახლა მოაგონდა ავთოს აქ მოსვლის მიზეზი, რძლისა და ძმისწულის ამბის გაგება რომ სურდა.

— მაიკო საავადმყოფოშია, ბავშვი ჰყავს ძლიერ ავად, — უთხრა უშანგიმ.

— უნდა ვნახოთ! — გადაწყვიტა ავთომ. პონიატოვსკის დაემშვიდობნენ და საავადმყოფოში გაეშურნენ.

ორთაჭალიდან მოედანზე ტრამვაი ამოგრიალდა, ღვინის კასრებით დატვირთული ფურგუნი მოედნიდან ორთაჭალისკენ ჩარახრახდა. ისინი ტროლეიბუსში ჩასხდნენ და ზემელამდე იმგზავრეს. ჭადრაკის კლუბთან საქართველოს პირველობის ცხრილი იყო გამოფენილი, რამდენიმე კაცი იდგა და ცხრილს ათვალიერებდა, თან მონაწილეთა შანსებზე მსჯელობდა. უშანგის და ავთოს მთელი გზა ენა არ გაუჩერებიათ, მათი საუბრის თემა კვლავ საქართველოს უპირატესობა იყო სხვა ქვეყნების წინაშე, როგორც ჰავით, ისე მდებარეობით, აგრეთვე ქართული ღვინის გემო და მარგებლობა რუსულ არაყთან შედარებით. გრიბოედოვის ქუჩიდან ვიწრო კიბით სასამართლოს ქუჩაზე ავიდნენ და ბავშვთა საავადმყოფოს მიადგნენ. უშანგი ამბის გასაგებად გაუჩინარდა და ავთო და ნიკუშა მოსაცდელში დატოვა. თეთრხალათიანი ექთნები გაიელვებდნენ ხოლმე წამლების სუნით ჰაერდამძიმებულ დერეფანში, შეწუხებული ჭირისუფლები მოუსვენრად იშმუშნებოდნენ, სახიდან ოფლს იწმენდნენ, კარისკაცს რაღაცას ეკითხებოდნენ, დრო და დრო, საიდანღაც ბავშვების ტირილი ისმოდა. ავთოს გუნება დაუმძიმდა. ბავშვები ძლიერ უყვარდა და როცა წარმოიდგინა რამდენი უსუსური არსება დაანჯებოდა აქ, ხალისი დაუკარგა, მოიწყინა, ნათლად გაიაზრა რამდენ რამეზე ხუჭავს ადამიანი თვალს, რამდენ რამეს განზრახ ვერ ამჩნევს, რამდენ რამეს ირიდებს, თუნდაც სხვის უბედურებას სხვის გაჭირვებას, სიკვდილზე ფიქრს...

ამასობაში უშანგი დაბრუნდა, თეთრხალათმოსხმული მაიკო მოიყვანა, რომელიც ძალზე მოწყენილად, დათრგუნულად გამოიყურებოდა. მაგრამ მაინც გულითადად გაუღიმა ნიკუშას და ავთოს. ავთო პირველად ხედავდა უცნობ რძალს, ერთი შეხედვით არც კი მოეწონა, მაგრამ მისმა ალალმა ღიმილმა მეტისმეტად მოხიბლა და ღვინისაგან გულაჩუყებულმა გადაჰკოცნა, თან ბავშვი მოიკითხა. ბავშვი ცუდად ყოფილიყო, საჭირო იყო სისხლის გადასხმა, მაგრამ იმისი ჯგუფის სისხლი საავადმყოფოში არ აღმოაჩნდათ და კაცი გაეგზავნათ სისხლის გადასხმის სადგურში.

— აგერ არა ვართ. ჩვენ გადავუსხამთ! — წარმოსთქვა ავთომ.

— თუ თქვენი ჯგუფი მიუდგა...

— მიუდგება. აბა, რას იზამს, ტყუილად ვართ ბიძები?! — ხელი გადახვია ნიკუშას და უშანგის და მოსაცდელიდან განიერ დერეფანში შერეკა.

ნასმურევ ავთოს და უშანგის სისხლი არ აუღეს, ნიკუშას ჯგუფი კი მართლაც გამოადგათ და ერთი საათის შემდეგ, მკლავში ნაჩხვლეტ-ნანემსარზე სისხლიან ბამბამიდებული ნიკუშა, ავთოსთან და უშანგისთან ერთად ოპერის წინ იდგა და სტადიონისკენ მიმავალ ტროლეიბუსს ელოდა.

— რა უნდა ვითამაშო მე დღეს, ამდენი სისხლი გამომიღეს, — ბუზღუნებდა იგი.

— სულზე არ მივუსწარით, ბავშვი ხომ გადავარჩინეთ?! — იკვეხნიდა ავთო, იმითაც დიდად კმაყოფილი, რომ წამოსვლის წინ მაიკოს სახარჯო ფული ჩაუჩურთა ხალათის ჯიბეში.

იმ დღეს მართლაც ვერ ითამაშა ნი-

კუშამ რიგიანად. სტადიონზე რომ მივიდნენ მაყვალა გააცნო ავთოს და უშანგის. ამ ბოლო ხანებში. თამაშის მერე, ნიკუშას სპორტული ფორმა მაყვალას მიჰქონდა ხოლმე შინ და შემდეგი თამაშის წინ დარეცხილი და დაუთოვებული მოჰქონდა სტადიონზე, სადაც ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეყვარებულის მიერ სათუთად მოვლილი ფორმა თამაშის ხალისს მატებდა, ამხნევებდა, მაგრამ იმ დღეს უხალისოდ იცვამდა მკერდზე თეთრზოლიან წითელ მაისურს და თეთრ ტრუსებს, უხალისოდ ამოიჭიმა წითელი გეტრები და შეიკრა ბუცები და უხალისოდ გამოვიდა მოედანზე. მაყვალა, ავთო და უშანგი დასავლეთ ტრიბუნის პირველ იარუსზე ისხდნენ. სიცხე აღარ იგრძნობოდა, სტადიონზე გრილი ნიავი უბერავდა, სხვადასხვა ფერის ალმები საამოდ ფრიალებდნენ. სტადიონის გადაღმა, უზარმაზარი მრგვალი ჭადარის კენწეროს ყვავები ეხვეოდნენ. „ლოკომოტივი" მოსკოვის გუნდს ხვდებოდა და ხალხი საკმაოდ მოსულიყო. ვიდრე ფეხბურთელები ვარჯიშობდნენ, ტრიბუნების წინ სასული ორკესტრი უკრავდა. მერე თეთრშარვლიანი მსაჯი მოედნის ცენტრში გამოვიდა და სასტვენს ჩაჰბერა. წითელ და ცისფერ ფორმიანი გუნდები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ და მიესალმნენ. კაპიტნებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და წილი ჰყარეს. თამაში დაიწყო. წითელი ბურთი ჰაერში აიჭრა და ავთო მღელვარებისგან გაფითრდა. როგორც კი ნიკუშამ ბურთი მიიღო, ზეზე წამოვარდა, მაგრამ ნიკუშას ბურთი მყისვე წაართვეს და გაგულისებული ისევ სკამზე დაეხეთქა. რამდენჯერაც მიიღო ნიკუშამ ბურთი იმდენჯერმე დაკარგა და მეთხუთმეტე წუთზე იგი გამოცვალეს. ცოტა ხნის მერე ნაბანავები, ჯერ კიდევ თმაშეუშრობელი, ტანსაცმელ გამოცვლილი ნიკუშა თავისიანებს გვერდით მიუჯდა.

— რა დაგემართა, ბიჭო? — შეღრინა ავთომ.

— გითხარი, დღეს ვერ ვითამაშებ-მეთქი, ძალა არ მაქვს.

— აბა, ამათი ბურთაობა მე სულ არ მაინტერესებს, წავიდეთ აქედან! — წამოიძახა ავთომ და წამოდგა.

სტადიონი რომ დატოვეს, ავთომ განაცხადა, მოდი, ჩვენ დღეს ვისადილოთ სადგურის რესტორანში, ნიკუშას შავი ღვინო მოუხდებაო!

ეს წინადადება ერთხმად მიიღეს, თუმცა მაყვალა გაიპრანჭა, მე შინ წავალ, მაგრამ ცხადია, არ გაუშვეს, რას ამბობ, განსაკუთრებული დღე მაქვს, რძლებს ვეცნობიო, უთხრა ავთომ.

რესტორანი სავსე იყო. უზარმაზარი დარბაზი, კერძების სუნი, ჭურჭლის წკრიალი, ვეებერთელა ფანჯრები, საიდანაც ჩანდა ბაქანი, კარგ გუნებაზე აყენებდათ. წარამარა ვიღაც შემოდიოდა ან გადიოდა. ნიკუშა საფერავს სვამდა და თანდათან ითრობოდა. უშანგი ენას არ აჩერებდა, ჰყვებოდა თავის გმირობის ამბებს ახალციხეში და კახეთში, ბანდიტებს რომ შეებრძოლა რამდენჯერმე მარტოდმარტო, უშიშრად, საბჭოთა წყობილების მტრებს რომ ტყავი გააძრო ერთერთ კრებაზე, რომელსაც მოსკოვიდან ჩამოსული ერთი დიდი კაცი ესწრებოდა. იმ კაცს უკითხავს, ვინ არის ეს ნიჭიერი ახალგაზრდა, ჩვენ მას მოსკოვში გადავიყვანთო ცეკაში, მაღალ თანამდებობაზეო, მაგრამ უშანგი არ დათანხმებულა, თორემ ეხლა კრემში იჯდებოდა. რა ექნა, დედას და დას ხომ ვერ მიატოვებდა, მით უმეტეს, ბიძინა სადღაც გადაიკარგა და ორი ოჯახის სიმძიმე მთლიანად მას დააწვა კისერზე, მაგრამ ამასაც, მისივე სიტყვით, ვაჟკაცურად უმკლავდებოდა. ავთომ მხარზე ხელი დაჰკრა უშანგის, ყოჩაღ, ძმაო!

— ავთოჯან, ისე შამიყვარდი, საკუთარ ძმას მირჩევნიხარ! — შესძახა უშანგიმ.

— გენაცვალე სულში! — დაიბუბუნა ავთომ და უშანგის სადღეგრძელო შესვა.

— მაყვალას ეცინებოდა, ართობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვრალების ბაქიაობა. ნიკუშა ენას ძლივს აბრუნებდა, მეტს ნუღარ სვამო უშლიდა მაყვალა, რომელსაც ისევ თეთრი კაბა ეცვა. თვალებგაბრწყინებული ნიკუშა შესცქეროდა მას და გრძნობდა, ეს ქალი ძალიან უყვარდა. არასოდეს უგრძვნია ასეთი სითბოს მოზღვავება, ასეთი მისწრაფება, ასეთი სიახლოვე მისდამი...

— მოდი, ბიჭებო, მაყვალას გაუმარჯოს! — თქვა მან, — ეს იცით რა ქალია? ერთხელ პარაშუტით გადმოხტა.

— რას მეუბნები, კაცო? — შეიცხადა ავთომ, — თავს რომ ჰკიდნენ, პარაშუტით არ გადმოვხტები. ქალი კი არა, გმირი ყოფილხარ გენაცვალე, მაყვალა კი არა, მაია წყნეთელი უნდა გერქვას.

— რომ იცოდეთ თქვენა, მე ასჯერა ვარ აეროპლანიდან პარაშუტით გადმომხტარი, — განაცხადა უშანგიმ და გამომწვევად გახედა მაყვალას.

მაყვალამ თვალი გაუსწორა ამ ცრუს და გულიანად გაეცინა.

უშანგის იხტიბარი არ გაუტეხია.

— მაშ, რა გეგონათ?

ავთომ საათზე დაიხედა.

— ბიჭოს, ჩემი მატარებელი ჩამომდგარა! — წამოიძახა უცბად და წამოხტა.

დანარჩენებიც წამოიშალნენ, დანახარჯი ავთომ გადაიხადა და ბაქანზე გავიდნენ. ირგვლივ მგზავრები ირეოდნენ. ავთო შემნახველ საკანში მიბარებული ჩემოდნის მოსატანად გაიქცა. ცოტა ხნის მერე ჩემოდნიანად მობარბაცდა თავის ვაგონთან, ჩემოდანი დადო, უშანგის და ნიკუშას ხელი გადახვია და სიმღერა შემოსძახა: მინდორში, ბალახ-ბულახშიო! უშანგიმ ხმა ააყოლა, ნიკუშამაც სცადა. მომღერლები მგზავრთა ყურადღებას იპყრობდნენ, მაყვალა განზე იდგა და მთვრალების შემყურე სიცილით კვდებოდა, ისინი კი რიხიანად ბღაოდნენ, მხოლოდ ორთქლმავლების შეკივლება ფარავდა ზოგჯერ ამათ ღრიალს. განათებული ბაქანი წყვდიადიდან ამოგლეჯილ სფეროს ჰგავდა, წითელქუდიანმა რკინიგზელმა სადგურის ზარს ჩამოჰკრა. [illegible] —ნიკუშას ჯიბეში ფული ჩაუ[illegible], გ[illegible]დეს გამოიყენე, სტუდენტი კაცი ხარ. რუსეთში ფული ჩეჩქად ვიშოვეო და ვაგონში ავიდა. ღია ფანჯარაში თავგამოყოფილმა ახალი სიმღერა წამოიწყო, გოგონია კისკისაო, და როცა მატარებელი დაიძრა, ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა ძირს დარჩენილებს.

მატარებლის გასვლის შემდეგ სადგური ერთბაშად ჩაცარიელდა და ჩაწყნარდა. გამცილებლები ელექტრონით განათებულ მოედანზე გამოდიოდნენ. ეს რა ჰყოლია ჩემს ბიძინასო, აღტაცებით გაიძახოდა უშანგი, მერე ნიკუშას მოეხვია, მაყვალას ხელზე კოცნით გამოემშვიდობა, უახლოეს ხანში შეგხვდებით ორთავესო და ვერაზე მიმავალ ტრამვაიში ჩაჯდა. სანამ ვაგონი დაიძვრებოდა, ფანჯრიდან ხელს უქნევდა ნიკუშას და მაყვალას. ეს დიდი ქარქვეტა კაცი ყოფილაო, გაიფიქრა ნიკუშამ და მოიღუშა.

— რატომ გაკოცა მაგ კაცმა ხელზე? — დაუბღვირა მაყვალას.

— აბა, მე რა ვიცი, ხელს ხომ ვერ გამოვტაცებდი?

— ალბათ, მიეცი საბაბი?

— რა საბაბი მივეცი?

— ხელზე კოცნის საბაბი!

— კარგი ეხლა, ნიკუშა, დაწყნარდი გენაცვალე, შენს მეტი მე არავინ მაინტერესებს...

ნიკუქას უმიზეზო სიცილი აუტყდა, ისინი ავტობუსის გაჩერებას უახლოვდებოდნენ.

— რა გაცინებს? — ჰკითხა მაყვალამ.

— მე შენ ამ ქვეყნად ყველაზე უფრო მიყვარხარ! — უპასუხა ნიკუშამ ლუღლუღით და ქალი გაინაბა, მთვრალი კაცის სიტყვებმა წამოანთო, სახე შეეფაკლა, ასეთი რამ წინათ არასოდეს სმენია ნიკუშასაგან.

— გამოცდებს ხომ მოვრჩით, დიპლომსაც ხომ დავიცავთ, მერე იცი, რა უნდა ვქნათ?

ავტობუსი ჩამოდგა და ისინი შიგ

ავიდნენ. მაყვალამ ფანჯარასთან დასვა ნიკუშა და თვითონ გვერდით მიუჯდა.

— იცი, რა უნდა ვქნათ?... — კვლავ წარმოსთქვა ნიკუშამ, მაგრამ ველარ დაამთავრა, თავი მხარზე დაადო მაყვალას და ჩაეძინა. ავტობუსი სადგურის ქუჩას მიუყვებოდა, მერე პლეხანოვზე შეუხვია. ხალხი ქუჩებში იყო გამოფენილი, კინოთეატრების შესასვლელებთან და ბაღების ჭიშკრებთან შეჯგუფული, მაღაზიების ვიტრინები განათებული იყო. ავტობუსში მგზავრები ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ. მაყვალას ეამაყებოდა, რომ ნიკუშას მის მხარზე ედო თავი. ზოგიერთი ხანშიშესული მგზავრის ალმაცერ მზერას იგი არაფრად დაგიდევდათ, ბედნიერი იყო და ეღიმებოდა.

ბერიას მოედანზე, როცა ავტობუსი გაჩერდა, ნიკუშას გაეღვიძა. ხსინი ტროტუარზე გადმოვიდნენ და გზა განაგრძეს.

— დღეს თამაში არ გამომივიდა, იმიტომ რომ ორასი გრამი სისხლი გავიღე ჩემი ძმისწულისათვის, ეს არა სჯობს თამაშს? — თქვა ნიკუშამ.

— რასაკვირველია!

— ნეტა, როგორ დამთავრდა მატჩი?

— არ ვიცი.

— რაღაც უნდა მეთქვა შენთვის, — მოაგონდა ნიკუშას, — ჰო, დიპლომს რომ დავიცავთ, მე და შენ დავქორწინდეთ და სადაც გაგვანაწილებენ, იქ გავემგზავროთ სამუშაოდ, თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ, — თქვა მაყვალამ და გაუღიმა.

— ყველგან წამომყვები?

— ყველგან!

ცოტა ხანს ჩუმად იარეს, ლაპარაკს აზრი დაეკარგა. ნიკუშა წარამარა ჩერდებოდა, მაყვალა ხელს არ უშვებდა, უნდოდა სახლამდე მიეცილებინა, მაგრამ ნიკუშამ არ დაანება და მიჰყვა ქალს მისი სადარბაზოს კარამდე.

— მაშინ, თუკი ეგრეა, ამოდი ჩემთან და ამაღამ ჩემთან დარჩი! — უთხრა უცებ მაყვალამ და ჯიქურ შეხედა სახეში.

ნიკუშა შეცბა, ერთბაშად გონება გაუნათდა და აღელდა. მაყვალას თვალებში შემოსცქეროდა და დაძაბულად იღიმებოდა, ეტყობა, პარაშუტით გადმოხტომაზე უფრო რთული საკითხის წინაშე იდგა. ნიკუშამ გაიცინა, მხარზე ხელი მოხვია და სადარბაზოში შეაბიჯა.

ასე ხელიხელ გადახვეულნი ადიოდნენ ნელა კიბეზე. სადარაბაზოს დახუთული მტვრით გაჟღენთილი თბილი ჰაერი ბანგივით ედებოდათ. მეორე სართულზე შეჩერდნენ, მაყვალამ გასაღები ამოიღო ხელჩანთიდან და კარი გააღო, ჩუმათო, ანიშნა ნიკუშას ტუჩზე მიდებული თითით და თავის ოთახში შეიყვანა. დასამალი არაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც უჩვეულოდ ეჩვენებოდა, რომ საქმრო ღამის გასათევად მიიყვანა შინ. მაგიდის სანათურმა გაანათა კოხტად დალაგებული პატარა ოთახი. ნიკუშამ ჩანთა, რომელშიც ფორმა ეყარა, იატაკზე დააგდო და სკამზე დაეხეთქა. მაყვალამ აივნის კარი გააღო. აივანი ყოფილი ქართული კლუბის ბაღს გადასცქეროდა, გრილი ჰაერი შემოიჭრა ოთახში ბაღიდან. შემდეგ მაყვალამ ნიკუშა ისევ წამოაყენა და საერთო საბაზანოში შეიყვანა, ცოტა წყალი შეისხი, გამოფხიზლდებიო. თვითონ კართან იდგა და ესმოდა წყლის შხუილი, ნიკუშა ხმაურით ისხამდა წყალს. ალბათ სულ გაწუწა იქაურობა, ფიქრობდა მაყვალა, მაგრამ არა უშავს, გავწმინდავო. რა უნდა ეთქვა რომელიმე მეზობელი რომ გამოსულიყო ახლა ტალანში? ჩემი ქმარიაო, ეტყოდა, მორჩა და გათავდა, და საოცრად ბედნიერად იგრძნო თავი, რომ დადგა დრო, როცა ამის თქმა შეეძლო, მოვიდა ჟამი, რომელსაც ასე დიდხანს ელოდა. იგი ოთახში შებრუნდა, გული გამალებით უცემდა. როცა ნიკუშა დაბრუნდა, მაყვალას თეთრი კაბა გაეხადა და საშინაო ხალათი გადაეცვა. თეთრი, ქათქათა ლოგინი გაშლილი იყო.

— დაწექი! — უთხრა მაყვალამ.

ფეხსაცმელების გახდაში თვითონ

მიეხმარა ლოგინზე ჩამომჯდარ ნიკუშას. მერე ოთახიდან გავიდა.

ნიკუშამ ტანსაცმელი გაიხადა სკამზე მიყარა და ლოგინში ჩაწვა. ისევ ეცინებოდა. ბალიშს საამო სურნელი ასდიოდა. გაწვიმდა, წვიმის შხეფებმა ფოთლები აატკაპუნეს. თავბრუ ეხვეოდა მღელვარებისგან, უჩვეულო სიახლე ბოლომდე ვერ ალექვა. თვალები მილულა, მაგრამ როცა კარის გაჭრიალება გაიგონა, ისევ გაახილა. მაყვალამ სინათლე ჩააქრო და ხალათი გაიხადა. თეთრი პერანგი ეცვა. თეთრი ფერი, ფერი ზეიმისა და გლოვისა, უყვარდა ნიკუშას. საბანი გადასწია და ლოგინში შემოწოლილ ქალს მკლავი დაახვედრა. შერწმის უდიდესი სურვილი გამთლიანების იმედს უსახავდა. მერე მან საკუთარი თავი დაავიწყდა და მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო სიყვარულის ბედნიერება...

როცა გაეღვიძა, ოთახი მზით იყო ავსებული. თეთრი ფერი ბატონობდა ამ ოთახში. კედლები თეთრი იყო, ფარდები თეთრი იყო, ლოგინი თეთრი იყო. კედლისკენ მიბრუნებულ მაყვალას მშვიდად ეძინა, შიშველი ფეხით ეხებოდა მის მკვრივ, შიშველ ბარძაყს. საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა სხეულში, ყველაფერი ნათელი და გადაწყვეტილი ჩანდა. ლოგინიდან წამოდგა და აივანზე გავიდა. ნაწვიმარი ბალი ზაფხულის სურნელებას აფრქვევდა ირგვლივ. ბაღის განაპირას მუშები ხარაჩოზე იდგნენ და კედელი ამოჰყავდათ. [illegible]ნი იყვნენ, თავზე ქაღალდის თვითნაკეთი ქუდები ეხურათ, აგურს აგურზე აწყობდნენ სწრაფად. ნიკუშა ჩინებულ გუნებაზე იყო, თითქოს წვეთიც არ დაელიოს წუხელ. თვალები მოიფშვნიტა და სიამოვნებით გაიზმორა. ერთმა მუშამ შემოხედა, წამით ქაფჩა დადო და შემოსძახა:

— რა გიხარია, ბიჭო, ეტყობა, ახალი ამბავი არ იცი?!

— რა ამბავი?

— რა ამბავია და ომი დაიწყო

— რაო?

— ამ დილით გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, წელან გადმოსცა რადიომ!

ნიკუშა გაშეშდა.

— ეხლა კი ატყდა სისხლის წვიმები, — თქვა მუშამ, ქაფჩა აილო და მუშაობა განაგრძო.

გაოგნებულმა ნიკუშამ ცას აჰხედა. ცა იყო მოწმენდილი, კრიალა, ცის კიდურზე უზარმაზარი თეთრი ღრუბელი ტივტივებდა მიუწვდომელ სიღრმეში, თითქოს ფრთგაშლილი მწუხარე ანგელოზი ჰმუნვით დასცქეროდა ცოდვით სავსე ქვეყანას.

1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ბიბი სულაკაური**

## ჩემდა სახსოვრად

ჩვენი სხეული — ჩვენი მსხვერპლია,
ნადავლითა და ალაფით გატენილი კიდობანია,
მასში მოისმის ქვიშის ჩხრიალი, ზღვის ხმაური,
ჩუმი სევდა, ეგზოტიკური ყვავილების მძაფრი სურნელი,
და უცნაური სიმფონია,
ჩვენ რომ არასდროს გაგვიგონია.
ცხენები რბიან, იპოდრომი გიჟივით უსტვენს,
მკვდარ. ყვითელ ფოთლებს ქარი სტვენით გამოაქროლებს,
გვიან ღამით კი წაგებული
მარტოხელა მგზავრი ბარბაცით
მეტეხის ხიდთან მწვანე, გაყინულ მტკვარს გადაივლის...
ჩვენს ძველ ფარდაგზე ირმებია ამოქარგული,
მყვირალობაა და მერამდენედ ეს ყავისფერი შემოდგომა
კვლავაც გვიჩვენებს ბერი ირმების შერკინების
დრომოჭმულ სპექტაკლს...
მე ვიხედები ჩემს პატარა, ციცქნა ეზოში,
ვხედავ ბებერ ხეებს და სარეცხს.
და პერანგებს, თავიანთი ამხანაგებით —
გაყინულებს ქანდაკებებად...
ასე გაღიქცა, ასე გახევდა და გაიყინა
ჩვენი ბავშვობა ქანდაკებებად...
ვინ დაგვიბრუნებს ჩვენს ბავშვობას,
ვინ დაგვიბრუნებს იმ ცრემლებსა და სიხარულებს,
ვინ დაგვიბრუნებს იმ ძველ ღრმა ღარებს —
დამშრალი ღელეს კალაპოტივით...
ჩვენი ბინის პეიზაჟი, ინტერიერი,
ძველ თეფშებზე ჩვენებური ნატიურმორტია...
უხალისო ახალი წლის ბნელი ღამეა —
უძილობის ექსპერიმენტი...
ახლა ომია, მძიმე დროა, ისვრიან კიდეც —
ახლა გაძლების დილემაა და შიშია უსასოობის...
მოდი სხვა თემა ავირჩიოთ, ცეცხლი ავანთოთ,
ვისაუბროთ თუნდაც ინგლისის სამეფო ბალზე,
დედოფალზე და პრინცების ბრწყინვალებაზე...
შიშველი ქარი იმალება ხეებში და სადარბაზოში.
მოდი, ქარი მოვიწვიოთ ამ თბილ ბინაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ვარსკვლავები დაგვირიგოს, რამეს დაგვპირდეს
(მოულოდნელი არაფერია!)
ჩვენ კი ფერადი ვარსკვლავები დავარიგოთ
ყველა ეზოში,
დავურიგოთ დიდებს, პატარებს,
ვუთხრათ: „ეს თოვლი, ქარის მოძღვნილი ვარსკვლავებია!“
მე კი ვბერდები, (ჩემო გოგონა!)
მაგრამ ვბერდები: ველარ ვამჩნევ ლამაზ ვარსკვლავებს,
მე ვხედავ მთვარეს, მოვარაყებულს,
როგორც ორდენს გენერლის მკერდზე...
მე უკვე მიჭირს, მთვრალი დავბრუნდე საკუთარ თავში,
ულმობლად მიდის ჩემი კარგი დრო
და მე ვბერდები ძალზე მარტივად,
და იცვლებიან ჩემი სახლის პერსონაჟებიც...
ვხედავ: ამ ჩვენი სახლის მირაჟებს მინიატურაში,
ამ მირაჟიდან გავუშვებ ჩიტებს,
წინ მათ ზამთარი ელოდებათ —
როგორც ჩვენი გადასატანი —
ერთობლივი, უსასრულო, გრძელი ოცნება...
გარდაუვალი მზერაა ბედი, ის ხილულია, —
საკვებია და მაყუთია,
სარეცხივით გაფენილია ვნების თოკებზე —
ასაკით, კოცნით, ჰუმანიზმით
და სხვა ათასი მამაძაღლობით...
ჩვენ წინ მივდივართ, მიგვრეკავს ქარი,
მაგრამ რად გვიჭირს, ყოველთვის უკან დაბრუნება —
საღამოს მაინც, ღამით მაინც, — თითქმის ყოველთვის...
სინამდვილეში,
ჩვენ ხომ უკეთეს სინამდვილეში მივემგზავრებით...
ოცნება ძნელი ასატანია,
მაგრამ ოცნებას შეიძლება კიდეც დასცინო...
ჩვენ ხომ დავტოვეთ
ჩვენი შექმნილი, გამოგონილი, შეყვარებული კუთხეები,
ჩვენ წამოვედით,
ჩვენი ბინა ახლებურად გადავწერეთ, ბუხრით, წიგნებით,
და ახლა ცეცხლი მთელი ჩვენი სამფლობელოა.
მე მინდა შენთან ერთად ამ ცეცხლს ვუყურო
გამუდმებით და შეგეკითხო:
„მამა, საით მივემართებით?!“

## შეშლილი ქალი

I

უზარმაზარი, წითელთვალება
სპილენძის ძაღლი
აუჩქარებლად,
საკუთარი ღირსების გრძნობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა მოძრაობს —
გზადაგზა ყვითელ ნიშნებს კითხულობს,
გამოყვანილებს ადრე მოსულ თანამოძმეთგან,
მან იცის ეს გზა,
ეს მანძილი,
მიმართულება:
ხევის გადაღმა
შეკრება აქვთ იქ მყოფ ნაგაზებს
(თავის ძაღლური ისტორიების,
ძუკნებისა და ხვადების
და უამრავი სხვა საკითხების და ამბების
გამოსარკვევად).
ზამთარი გადის —
ახლოვდება სასიყვარულო თამაშების პერიოდები —
ბევრი საზღვარი და მიჯნებიც
თავიდან არის გადასახედი და გასარკვევი
და რა თქმა უნდა, წანწალი ქვეყნად
ჭეშმარიტი და სწორი გზაა,
მე, თუ მკითხავ
მადლიანია,
გავაკებული მაწანწალების
ხიფათით სავსე და იღბლიანი ისტორიები.

II

ისინი ერთი წამით შეხვდნენ ერთმანეთს —
სპილენძის ძაღლი უკვე წყალზე გადადიოდა —
ის უმიზეზოდ შეჩერდა და მოუსმინა;
„როგორ იდგა მარტოქალი ღამით ხეებთან,
მოულოდნელად შეშინებული, როგორ ჩაეკრა
სველ და ცივ ტოტებს და დაიკაწრა...
მგონი ფეხებიც დაისველა...
მაგრამ რა უჭირს,
დათბება, დილით, მზე ისევ გამოანათებს,
თანაც ხეები და ტოტები დღისით არასდროს იკაწრებიან...
ძაღლი ვერ მიხვდა,
რამ დააბა,
რამ შეაჩერა,
მოასმენინა დედაბერის ეს მონოლოგი...
ისინი ხომ ერთი წამით შეხვდნენ ერთმანეთს,
ველური ძაღლი და თეთრთმიანი დედაბერი —
ერთმანეთი სამუდამოდ რომ დაეკარგათ...

III

რა უნდოდა,
რას დაეძებდა,
რას ითვისებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტის ფეხივით გამხმარი და გამოფშეკილი
ეს უცნაური დედაბერი
ხმ გაყინულ,
აყროლებულ, ველურ ჭალაში.
გაფითრებული,
თეთრთმიანი,
განუყრელი მწვანე პალტოთი
და ქეჩის მწვანე ფეხსაცმელებით...
ბებრულ თვალებში
უცნაურ მზეებს ირეკლავდა,
ირეკლავდა ვერეს ცივ წყალსაც...
და გამომწვევად, როგორც ყოველ გაზაფხულზე,
ფერადი და მყვირალა მოკაზმულობით,
გაცვეთილი ფეტრის ქუდით,
ფერუმარილით და ასევე დაძველებული
რედიკიულით,
მგონი სიკვდილის
მუხლზე დაჯდომად ემზადებოდა.

## მთვრალი პოლიციელი უყვება ულისეს არეულ ამბებს

რა დაგიშავე,
რა გინდოდა ჩემგან, ულისე,
დიდი ხანია, ვიცი შენი ნამდვილი სახელი
და ნუ მეტყვი: ღმერთებს გაფიცებ! „არვინ“ მქვიაო...
ჩვენში ცხოვრობდა უცნაური ადამიანი:
გულთმისანი, ყველაფრის მცოდნე
და სიმართლე უნდა გითხრა:
ყველას თავი მოგვაბეზრა,
ერთდროულად ყველგან იყო, ყველას სწვდებოდა მისი მზერა,
ტყეშიც, ჭალაშიც, თხის წველისას, თამაშობისას...
თვით მაშინაც კი,
როცა ბუნებრივ მოთხოვნილებებს ყველასაგან დაფარულად
ვიკმაყოფილებთ...
ღმერთებსა ვფიცავ! ჩვენ არ მოგვიკლავს!
თავის სიკვდილით გაემგზავრა...
დრომ წაიყვანა... იმან მითხრა შენი სახელიც...
დრომ ვაჟკაცებიც გაიყოლა, კაცებიცა და ქალებიც...
არც მე დამინდობს, არც ღმერთებს და ადამიანებს...
მე შენ ზღვიდან მოგელოდი —
ზღვიდან მოხვედი —
ახლა ხომალდებს დაგილეწავ მახვილ კლდეებზე
და შენს ალაფს, მთელს შენს ნადავლს, და რა თქმა უნდა,
შენი ბითური მეომრების ჩათვლით და მითვლით,
ჩემს ქვაბულში ისე შევრეკავ, როგორც მე მინდა,
როგორც ოდესმე ჩემივე ფარა შემირეკია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენ ზღვიდან მოგელოდი —
ზღვიდან მოხვედი...
მე არ მოვსულვარ ჩემო კარგო, შენს ითაკაზე
და ღვთის სახელით არც შენი პური მითხოვნია,
არც არაფერი მინდა შენი...
აგე, ჩემი თვალსაწიერი:
აბოლებული მწვერვალები, წყაროები, იალაღები,
ნიმფები და ვნებიანი, თხისჩლიქება სატირები...
მე არ ვაპირებ
ჩემი ვერძის ზვარაკად დაკვლას მამაჩემისთვის,
არც აიანტის ზარდამცემი შავი ზურიდან
(მახსოვს, ღმერთებმა შენ გარგუნეს ეს საჭურველი)
ვაპირებ შევსვა შენგან მოძღვნილი ეს ტკბილი ღვინო...
ვიდრე მეომრებს შეგიჭამდე და ამ ღვინოსაც დავაყოლებდე,
შენს შეჭმამდე ჩემო „არვინ“, ჩემო ულისე,
ერთი რამე მინდა გაგანდო, მერე იცოდე —
ბედისწერით რაც გერგება ისა ჰქენი,
შენეულად მოიმოქმედე...
მე არა ვტირი, არ მჩვევია დაბნევა და არც ჩივილი,
ჩვენ ვილუპებით, მოუბრუნებლად, ჩემო ულისე,
(არ იფიქრო, შენი ღვინო მალაპარაკებს, ღვინის მეტი
რა მაქვს მარანში!) კარგად გამიგე,
ადამიანის არც ხორცი ვარგა, არც ტყავი და არცა ქონი,
მაგრამ ჩვენ ასე მოვიქსოვეთ, ასე ავეწყვეთ,
თუ ადამიანს გადავეყარეთ —
კაცის ხორცს თხის რძესა და ღვინოს ვაყოლებთ —
და უაზროდ გალეშილები, ჩვენი ტვინის ბნელ ქაოსებში
ზუსტად ჩემნაირ მახინჯებთან ერთად დავძრწივარ,
ვჩხუბობ, ვცრუობ და ფსლიკისა და ოფლის სუნიან დედაკაცებს
ყოვლად ულირსად ვეუფლები, სადაც წავასწრებ...
ჩვენი კუნძული სამოთხეა იდიოტების!
ჩვენ აქ მოვკვდებით, ჩვენი ბოლო ამ მიწაზეა დაბუდებული,
ჩვენ და ჩვენი გალოთებული, გაბერწებული დედაკაცები —
როგორც ღვინით გალეშილი კენტავრის ჯოგი, ჰერაკლეს ისრით
დაისრული, ჰკვადაბინდულნი ზუსტად ასევე ამოვწყდებით...
უკვე ისე გავზარმაცდით, მსხვერპლს აღარც ვწირავთ,
არ ვანთებთ ცეცხლს და მსუქან ნაჭრებს
არ ვაწყობთ ცეცხლზე...
მე ვერ გეტყვი — ვიცნობ-მეთქი ადამიანებს! მაგრამ ვიცი,
შენს ძველ მეომრებს და გამობრძმედილ მენავეებს
მოკვდავთა შური ალაპარაკებთ, მხოლოდ შენს განძზე და ალაფზე
ლაპარაკობენ... კიდევ ზვირთების ხმა გავიგე, სხვა არაფერი...
შენ ჰკვიანი, გამოცდილი და ცბიერი მეომარი ხარ,
მე ვერ გასწავლი, რამ და როგორ დაგამშვიდოს,
მოგიაროს და დაგიამოს ეგ ძველი გული,
აქედან წასულს, როცა შავეთში მოგიხდება დროს გატარება,
გამოეთხოვე ფიქრიან ნათელს, და ფიქრიან ღამეებსაც გამოეთხოვე,
შენს წანწალს, როგორც კამათლის ტრიალს, სიცოცხლე ჰქვია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვერპლის გაღება, მარადიული რწევა წყალზე
და უძლურობის ფანატიკური შემოტევები...
და როცა უკვე ფიქრიც აღარ შეგეძლება, შენ იძულებით
ამოიღამებ დაღლილ თვალებს და ანთებულ ტვინს,
მინავლებული, აბოლებული ჰრაქის ცქერაში...
შინ მისვლამდე კი არაფერი არ გიშველის ჩემო ულისე,
და იმის მერეც ვერ დამშვიდდები...
შენ ნახავ, როგორ გამოირეცხავს კბილებს ქარიბდა,
სცილას სიცილსაც გაიგონებ და ამ სიცილში,
ბევრს იხილავ ზღვაში დამხრჩვალთა გახრწნილ გვამებსაც,
(რაღაც ჩიტები თუ არსებები დასტრიალებენ ამ ურიცხვ გვამს).
ვერ წარმოიდგენ, როგორ შრება ზღვის ქაფივით კაცის ტვინები!
და მეტსაც გეტყვი:
ჩვენ აქ ძმებივით ვიცხოვრებდით,
ღვინოც ბევრია, შეჭამადი, ნიმფებიც და დედაკაცებიც...
შენ ორთვალა ციკლოპი ხარ, ვერაგი და უფრო მეტად
გამოცდილი, ვიდრე ჩვენა ვართ...
მაგრამ შენ ხარ ადამიანი —
შენ არ ენდობი უკვე არავის,
ეჭვიანი, ჭკვიანი და გამოცდილი ხარ!
შენ უნდა ნახო ძვირფასი ქვების ნაპირები,
გაჰყვე მთვარის შუქს,
ჰორიზონტებზე ნახო ბრწყინვა ცისარტყელების,
არ მიაქციო ყურადღება სირენების ქაჯურ სიმღერებს —
გონებაჩლუნგი მეზღვაურების ძველებური მელოდიაა!
ბაჯაღლო ოქროს, სუფთა ვერცხლს და წმინდა ალმასს
ვერ შეადარებ შენ ვერაფრით ნავზიკაეს თმას,
რა შეედრება პენელოპას მოთმინებას და მის ღირსებას
ან ტელემაქეს ახალგაზრდობას და ბოლმისაგან ყელს მობჯენილ
გულს...
ვერ შეედრება ვერაფერი
ბებერი მამის ცრემლის ნახვას,
მაგრამ შენ მტკიცე მანიაკი ხარ —
ვიდრე პოეტი...

ყურს ნუ მიაპყრობ ამ მქისე ხმაურს — აქ სულ ასეა,
(ეს შენი ღვინო მაგარია, როგორც ბრინჯაო!)
ჩემი ყურები შეეჩვია ყველა საწუხარს,
ქვითინს, გოდებას იმათ გამო ვინც ცუდუბრალოდ,
სულ ამაოდ წააგო თავი.
ზღვის ნაპირები დაუჯერებლად ალესილია,
ზღვა რეცხავს ნაპირს, ექსკრემენტებს,
ჩვენს ნაკვალევს და ნაავკაცარს
და მე რომ ზეცამ ქვის კედელი წინ აღმიმართოს,
მუშტით გავარღვევ, ცეცხლთან მივალ,
ცეცხლი ჩემი ბოლო ბინა და საბოლოო ნავსადგურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

მაშ მომისმინე:
მას იმთავითვე,
სამი თვალი ჰქონდა ყოველთვის;
ერთი — ბრმა,
ერთიც — მოხუჭული,
ერთიც — ხილული...
ბრმა თვალში, როგორც ყოვლის მომცველ მარადისობის
მოძრავ, ბნელ და უკეთურ ხვრელში
ინთქმება ყველა სალი აზრი, წარმოსახვები,
იმაზე მეტიც,
რაც ჩვენს გონებას შეუძლია წარმოიდგინოს —
ოდესღაც ყოფილ ადამიანთა ნამუსრევები...
პოლიფემეს ვეებერთელა ძვლის კოლოფში —
თავის ქალაში,
მისი ტვინის მუქ, ავ ხნულებში
კი არ რეკავს — სუფევს უკუნი...
(ჭიებიც კი არ ფუთფუთებენ ამ შავ ხნულებში!)
არ მემეტები, ჩემო „არვინ“
იმ სიღრმეებში დასაკარგავად,
სადაც არასდროს მზე არ ატანს — უკიანეს შავი ფსკერივით,
ასე ქრება ყოველივე, უჩინარდება,
პოლიფემეს შავი ხახის უკიანეში —
გარდაცვლილი, ცოცხალი თუ მარადიული...
ასე ისპობა თითო-თითოდ, უჩინარდება
ვეება კაცის ძვლის კოლოფის უკვდავებაში...
მე ასეთიც ვარ...

II

მეორე თვალი — მოხუჭულია,
ის — ფანჯარაა — მკრთალი შუქით განათებული,
ალმაცერად, ცივად ანათებს,
ღრუბლით დახუჭულ მთვარესა ჰგავს —
რომელიც მაშინ გამოანათებს
მოულოდნელად და შემზარავად —
რომ ერთი წამით გაგანათოს,
თვალი შეგავლოს,
შეგხედოს და დაგაფიქსიროს,
გცნოს ღირსეულად, თუ უბრალო მოკვდავივით
სამუდამო სიბნელეში დაგაბინავოს,
მერე ეს შუქი ნელა მოიკლებს,
მთვარე ღრუბლის ხორცმეტებში თავს შეაფარებს...
ის — ყურია,
ის — თვალია;
ის — დამსმენი და შლეგია,
როგორც ყოველი
უბირად, მონად და ველურად დაბადებული...
მე ასეთიც ვარ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

მესამე თვალი ღია არის — ის ხილულია.
ის შენთვის იყო განკუთვნილი
შენთან ტკბილი შეხვედრისათვის,
რომ საბოლოოდ დამეკარგე და დამელუპე,
აქვე სადმე მიგაგდებდი —
როგორც ნაგაზს მიუშვებენ ცხვრის ფარაში
და დაამშევენ.
ან თითო ლუკმას სამადლოდ ვინმე თუ უწილადებს.
მაგრამ ვიკმაროთ:
ღვინო ძალიან მომეკიდა
და გული მიგრძნობს —
სულ მალე შავი ისტორიები დატრიალდება,
რომ ცოტა ხანში
შენი სპილენძით აჭედილი კედლების ნახვას
და შურიანი, სვხორცი და უტიფარი სასიძოების
სულისა და ხორცის გაყრა მოგელის...
ხედავ, ამ ჩემი თვალის არაფრისმთქმელ
და წითელ თვალს. კარგად ჩამხედე და დამაკვირდი —
მასში კლდე და ბრინჯაო ირეკლებიან...
თუმცა მშვიდობით: შენი გზა უკვე წასვლისაა!
და ღვინოც ძლიერ გაჯდა ძარღვებში, მაგრამ „არვინ".
მე ისეთივე მაგარი ვარ, როგორც ვიყავი,
ძლევამოსილი! ამ ჩემს ხელებს, მთელი კუნძულის
ზღვაში ჩანთქმაც შეუძლიათ და ბევრად მეტიც...
ციკლოპს ყოველთვის ჰქონდა იმედი —
გამოცდილი, ცბიერი და ვერაგი მამაკაცისა!
ულისე, უკვე წასვლის დროა,
გემებიც წყნარად დგანან ყურეში,
და, როცა გეტყვი:
„მიდი, ჰქმენი, გააკეთე, მე უკვე მზად ვარ!
იცოდე, უკვე აღარ ვიქნები არავისათვის..."
მე ასეთიც ვარ...

## ჩაძირული

ღმერთო,
მომეცი ჩემი წილი სიმღერის ნება
წყალქვეშ,
რადგან უკვე ჩაძირული მომღერალი ვარ.
რადგან დამთავრდა
ნახევრად ტკბილი ჩემი სიცოცხლე—
ყველაფრით სავსე დედამიწაზე —
ღვინით, დროით, სიყვარულით,
ადამიანთა ჩვეულებრივი, უკურნებელი ვნებათაღელვით...
მე უბრალოდ დავიკარგე მდინარის პირას,
ეკლის ბარდებში გავიხლართე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლამდე წყალში ავფართხალდი...
(გალვიძებულმა
ჩემი ღიმილი დავინახე — უცნაური, გაქვავებული,
ვილაც ახალ კაცს — მე რომ მგავდა ცივი ფერებით.
იერითა და მიმოხვრით
ასე მიპქონდა ეს ღიმილი
აბოლებულ ნისლებთან და წვიმასთან ერთად.
(ჰეი, მოიცადე. ვილაპარაკოთ!)
შრიალებს წვიმა, დაბრუნდა წვიმა.
(სველი დღეები უხერხულია სველი კაცისთვის).
მკრთალი ღამეა შემოდგომის და მაინცა ჩანს
ფოთლის ფერები, გამორიყული სველი ხეები
და შავი სილა...
მე არ ვიცი. ეს შეიძლება სულ ახალი დინებაა
ამ წლისა და შემოდგომისა
და რადგან მთვარე ცივად ანათებს გამორიყული გვამის
უფერულ სხეულს,
შეუფერებლად შეფერილს და გაციებულს,
უმიზეზოდ,
გაუგებრად დავბრუნებულვარ ამ ქალაში,
შემოდგომის სველი ფოთლებით მიმოფენილ დედამიწაზე.

## უცნობი

თვლემთ ორთავე —
შენ — ტენტის ქვეშ,
შუადღის მზე — სანაპიროზე.
ნელი ბრიზი აქრობს და აჩენს
მოელვარე,
თეთრი ქაფის დაკლაკნილ თითებს...
შენს და წყალს შორის ვიმყოფები
და კარგად ვიცი —
როგორიც ვჩანვარ შენთვის მანდედან—
საპირისპიროდ მდგარი ზღვისა და მზის
წინაშე...
შავი, უცნობი, დაუბრუნებლად
დაკარგული —
და ასეთი ვარ...

## შემოდგომა

დაძენძილი, სწრაფი ღრუბლები
მინდორს ტოვებენ —
ქარი მთისკენ მიერეკება...
და ნერვებივით იშლებიან
და წუნარდებიან
მინდვრის უჯიშო გვირილები
და ბალახები...
რჩებიან მხოლოდ ქარისაგან
მიტოვებული
თივის ზვინები,
დაძენძილი, ჩვენი თეთრი ტვინების
მსგავსად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლობჟანიძე

# ცასა და მიწას შორის...

შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ რასაც ახლა თქვენ გიყვებით, რაღა თქმა უნდა, სიტყვა — თქვენში — მკითხველს ვგულისხმობ, ნამდვილი ამბავია და ამ მონათხრობში არცერთი მოგონილი სიტყვა არ ურევია. არა, მე იმის წინააღმდეგი კი არა ვარ, რომ მწერალმა თავის ნაწარმოებში შიგა და შიგ მოგონილი ამბებიც ჩაურთოს. როგორც იტყვიან ხოლმე — მწერლური ფანტაზია მოიშველიოს და ფონს ისე გავიდეს... მე უფრო სიმართლის წერა მირჩევნია; მირჩევნია კი არა, მიყვარს. აბა ისეთი რა უნდა მოიგონო, რაც ცხოვრებაში არ მომხდარიყოს, შენ თუ არ გაგიგონია და დაგინახავს, სხვას არ გაეგონოს ან არ დაენახოს... „ბევრი რამ ხდება... ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ"... ესეც არ იყოს, ბედისწერასთან სიცრუე და ტყუილი როგორ შეიძლება... სიტყვა წინ მიგვიძღვის და ჩვენს ზეციურ სამკვიდრებელში ჩვენს მისვლამდე ადგილს გვიმზადებს... ერთადერთი, რაშიც წესიერად ვერ გავრკვეულვარ ის არის რომ, რაღა მაინც და მაინც დღეს ამოტივტივდა ჩემი ბავშვობისდროინდელი ერთი მოგონება, დღეს ხომ აპრილის თბილი და ნათელი დღე დგას. მე ვიტყოდი — ნაღვლიანი დღე-მეთქი, მაგრამ მავანი და მავანი შემედავება და ასეთი რამეც კი შეიძლება წამოსცდეს — რას ამბობს, რა მწერალი ეგა ყოფილა — მხიარულის მაგივრად ნაღვლიანი დაუწერია. აბა სად გაგონილა აპრილის ნაღვლიანობაო...

ყველაფერი სიზმრის ბრალია... წუხელ ჩემი ბავშვობის და ყრმობის მეგობარი გამომეცხადა. იღიმებოდა თუ იცინოდა, ზუსტად ვერ გეტყვით, ისე მხიარული კი იყო. მითხრა — ღვთისმშობელმა, იქ, ზევით ადგილი რომ გაგიმზადოს და წაგიყვანოს, შენ რას იტყვიო... კი არ მომძალებია. გადაჭრით და გადაწყვეტილად კი არ უთქვამს, არამედ ისე უბრალოდ, თითქოს ჩემი აზრი აინტერესებდა, თითქოს თუ ეს მე მინდოდა ან მომინდებოდა, ის იქ, ზევით ჩემს ბედისწერას შეცვლიდა, შეასწორებდა, ან დააჩქარებდა ან შეანელებდა... ზუსტად ასე მითხრა — ღვთისმშობელმა, იქ, ზევით ადგილი რომ გაგიმზადოს და წაგიყვანოს, შენ რას იტყვიო... არა, ჯერ ადრეა-მეთქი, ვუპასუხე და ის გაქრა...

თენდებოდა. ფანჯარაში მკრთალი ნათელი — გაცრეცილი, უსიამოვნო, რაღაცნაირად უსიცოცხლო. მქრქალი წყლისფერი ბინდი იდგა. ბაღში ჩიტები ჟივჟივებდნენ. კი არ ჭიკჭიკებდნენ, ჟივჟივებდნენ — პირველ ალიონზე რომ იციან, ისე — თითქოს ისინიც, როგორც ბუნება ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში იყვნენ და როგორც დღე გამოეყოფა ღამეს, როგორც სინათლე გამოერჩევა სიბნელისაგან, ნელ-ნელა შედედდება, გამაგრდება, გამკვრივდება და იქცევა მასად, რომელსაც დღე ჰქვია, ზუსტად ისე, როგორც ყველი

ამოჰყავთ ხოლმე — გამთბარი რძე შედედდება, შერბილებული, გაბლანტებული სითეთრე ფსკერზე დაილექება, თავზე კი მოცისფრო, გაცრეცილი ბინდისფერი სითხე მოედება... ზუსტად ისე, როგორც ქაოსისაგან და განურჩევლობისაგან გამოიკვეთება სიცხადე და სიმკვრივე, ზუსტად ისევე ჩიტების გამაოგნებელი, გაუცნობიერებელი ჟივჟივისაგან (თითქოს ელქტროსადენებით ზეციდან მიწაზე რაღაც მნიშვნელოვან ამბავს გადმოსცემდნენ) ნელნელა გამოიკვეთება ხმა, მშვენიერება, მუსიკა, ჰიკჰიკი, რომელიც კი აღარ გაშფოთებს, ბუნდოვნებით და ცივი ჟრჟოლვით კი არ გავსებს, არამედ გაცოცხლებს, გატკბობს, გამხნევებს და ახლად დაბადებულ დილას უშფოთველი ბავშვივით შეჰხარი...

იმ წუთს კი, როცა ჩემი მეგობარი გამომეცხადა და ცოტა ხნის მერე გაქრა, შიშმა ამიტანა. გაუცნობიერებელმა, ჩემს გონებაში ღრმად დალექილმა ბუნდოვანმა აზრებმა მოძრაობა დაიწყეს, სისხლი თავიანთი ფერითა და გემოთი შეაფერად-შეაზავეს და გულში გაუშვეს. გული შემიტოკდა, აფართხალდა და მერე დოლივით ბაგაბუგი დაიწყო...

ველარ დავიძინე, ავდექი და გარეთ გამოვედი. ნაცრისფერ-მკრთალი-ცისფერი ალმოსავლეთი ნელ-ნელა ნათდებოდა. ჩიტები უკვე ჟივჟივ-ჰიკჰიკებდნენ და მზეც მთელი თავისი სიდიადითა და სისადავით სულ მაღლა-მაღლა მოიწევდა.

აპრილის მხიარულმა დილამ ჩემში გამჯდარი ნაღველი ვერ გააქრო, გააქრო კი არა, უფრო გამიმძაფრა და ჩემდა უნებურად წავიჩურჩულე — ღმერთო, მე ხომ ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ...

შეშფოთების საბაბი კი ნამდვილად მქონდა. მკვდარი ვის არ დასიზმრებია, მაგრამ ჩემი მეგობრის დასიზმრების მერე აუცილებლად რაღაც უბედურება უნდა შემმთხვეოდა, როგორც იტყვიან ხოლმე სწორ ადგილზე უნდა გადამბრუნებოდა ფეხი... ან ფეხი უნდა მომეტეხა, ან ჩხუბში უნდა მოვხვედრილიყავი, სადაც დანაშაულის ტრიალსა და აურზაურს კაცის დაჭრაც კი მოჰყვებოდა ხოლმე.., მოვხვედრილიყავი-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ძალადობასა და უაზრობას ვერ ვიტან, ჩხუბი კი უაზრობის და ძალადობის გამოხატულებაა...

ერთხელ, ჩემი მეგობრის სტუმრობის შემდეგ (მოდით, დასიზმრების მაგივრად ზოგჯერ სტუმრობა ვიხმაროთ) კბილი ამტკივდა, (არ გაგეცინოთ) თავყბა ისე გამისივდა, ორი კვირა ენას ვერ ვძრავდი, დიპლომზე მუშაობა შევწყვიტე და ორჯერ დამჭირდა ოპერაციის გაკეთება, რათა ღრძილებში ჩაგუბებული ჩირქი გამოერწყათ...

არ ვიცი, ჩემს ბედისწერაში ჩემმა მეგობარმა რა ადგილი დაიკავა, მაინც და მაინც რალა ის ასრულებდა გამაფრთხილებლის, თუ ჩემი მიწიერი და ზეციური ცხოვრების შემაერთებლის (მომრიგებლის) როლს...

ვდგავარ კიბეზე... და ამომავალ მზეს შევყურებ. ქვეყანა ილვიძებს. ჩიტები ხეებიდან მიწაზე ჩამოფრინდნენ და საკენკს დაუწყეს ძებნა, ხანდახან ფრთებს აათქუნებდნენ და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაფრინდებოდნენ. ზეციური ფრინველები სულ ცაში ვერ ძლებენ და მიწაზე ჯდებიან, საკვებს ეძებენ. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი შვენის — ფრინველი კრიალა ცაში ისარივით რომ აიჭრება, მაშინ არის ლამაზი, მე ნაგავში მოგოგმანე ჩიტიც მინახავს, საკვებს რომ დაეძებს და გული ამრევია. ჩვენი სულებიც ალბათ ჩიტებივით მიესწრაფვიან ზეცას — სუფთა, კრიალასა და ნათელ სივრცეს, სადაც სულ თბილა და სადაც სულ სიმშვიდეა. სული კი მიესწრაფვის, მაგრამ ხორცი? ხორცს მიწა უყვარს, მიწა არ ეთმობა. ხორცი თვითონაა მიწა და აბა თავის თავს როგორ დათმობს?!

რა უნდოდა ჩემს მეგობარს, რატომ ვერ ძლებდა ზევით: ნუთუ მარტოობა

უჭირდა, ნუთუ ჩემზე ახლობელი არავინ ყავდა, ნუთუ დედამიწა ენატრებოდა, თუ ბავშვობას ვერ ივიწყებდა და უნდოდა რომ არც მე დამევიწყებინა...

ნუთუ რამეს მემდუროდა, ჩემიდან რამე წყენა დარჩა, ან იქნებ რამეს შევპირდი და არ შევუსრულე... არ ვიცი, ნამდვილად არ მახსოვს, თუმცა... რამდენი ხანია რაც მის საფლავზე არ ყოფილხარ? რამდენი ხანი და... იმდენი, რომ აღარც კი გახსოვს... არც დაკრძალვაზე ყოფილხარ, ხომ?! სად გეცალა, დიპლომს აკეთებდი, გაწამაწიაში იყავი, ნახაზებს აქეთ-იქით დაათრევდი, დარბოდი და უაზრობას შეჭიდული სოფელში როგორღა წახვიდოდი? არ შეგატყობინეს, ვერ გაიგე? მერედა ვინ არ გაგაგებინა, შენმა საკუთარმა მშობლებმა... სწავლაში ხელი შეეშლებაო...

აი, სიზმარში მაშინ ვნახე პირველად და მაშინ გამისივდა ყბა-ყური, ორი კვირა რომ აღარაფერი მესმოდა და ვეღარ ვლაპარაკობდი...

მას შემდეგ ჩემმა მეგობარმა (თუ მისმა სულმა? არ ვიცი! როგორიც სიცოცხლეში უკანასკნელად ვნახე და საერთოდ როგორიც იყო, შემდეგშიც ისეთივე მოდიოდა ჩემთან. ისეთივე პატარა ტანის, გამხდარი შავგვრემანი სახით და წვრილი შავი თვალებით) ჩემს ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი დაიკავა. მისი მეშვეობით მომავლის რაღაც არეალს ვხედავ ხოლმე. თუ ვერ ვხედავ, ვგრძნობ მაინც, რომ რაღაც უნდა მოხდეს, ზეცაში ჩემს ირგვლივ რაღაც მწიფდება, ჩემი ბედისწერა იცვლება...

ბოლომდე ის არ მიმეტებს, თუ გამჩენს არ ვემეტები, ვერ გეტყვით, სიზმარში რომ ვნახე, მე არც კი ვიცოდი გარდაცვლილი თუ იყო. ქუჩაში, ჩემი ჭიშკრის წინ, მე, ის და ჩვენი ტოლი ბიჭი ვიდექით. საღამოს ბინდი იდგა, ჰაერი გაზაფხულის სურნელით იყო გაჟღენთილი. სიზმარში რაღაც უხერხულობას კი ვგრძნობდი, მაგრამ არ ვიცოდი და აბა როგორ მივხვდებოდი, რომ ჩემი მეგობარი მკვდარი იყო. იგივე გაბურძგნული, კაფანდარა ბიჭი, თავისი წვრილი მოელვარე შავი თვალებით შემომყურებდა და რაღაცაზე წყნარად ვსაუბრობდით. მერე ჩემი მეგობარი შეკრთა, თვალები უცნაურად აუელვარდა და მითხრა — წამოდი, სასაფლაოზე წამყევი, რაღაც უნდა გაჩვენოო. მე მომმართა, წამოდიო. წამოდითო, კი არ თქვა, ჩვენი ტოლი ბიჭისკენ არც კი გაუხედავს. მე მიყურებდა რაღაცნაირი დაჟინებული და გამომცდელი მზერით. მიყურებდა და თან იმ მხრისაკენ მიიწევდა, საითაც სოფლის სასაფლაო იყო. მზერით კი მიმზერდა, მაგრამ თვალებით იმასაც მეუბნებოდა — არ გაბრიყვდე, არ გაგიჟდე და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოო. მონუსხულივით ვიდექი და არ ვიცოდი რა მექნა. კარგი, შენ აქ დარჩი, შენთვის იქით წასვლა ჯერ ადრეა, მე და ეს წავალთო, მეორე ბიჭს მხარზე ხელი დაადო და სიბნელეს შეერივნენ.

თორმეტი წლის შემდეგ იმ ბიჭის კუბოსთან მდგარს ეს სიზმარი გამახსენდება და სიხარულისა... თუ გაოცებისაგან ჩემთვის გამეცინება...

შევყურებ მზეს და ყველაფერ ამას ბუნდოვანი სიზმარივით ვიხსენებ: საღამოს გრილი ბინდბუნდი, გაზაფხულის დამათრობელი სურნელება, სიბნელეში გაუჩინარებული ორი თანატოლი და ჩემი მეგობრის სიკვდილის გაგების შემდეგ გახსენებული ის სიზმარი და სიზმრის მიერ აღძრული გაურკვევლობის, უნდობლობის, თუ გაკვირვების გრძნობა. მერე იმ თანატოლი ბიჭის (უკვე ვაჟკაცის) სიკვდილი და სიზმრის ცხადად გახსენება. გაურკვევლობა და უნდობლობა სადღაც გამქრალიყო, გაკვირვებაც უკან მიმდგარიყო და მათ ადგილზე უფერო, ყოვლისმომცველი შიში ჩამდგარიყო, რომელსაც უკან სიცოცხლის სიხარული და მადლიერების გრძნობა ამოფარებოდა...

ჩვენს თანატოლ ბიჭს ცოლ-შვილი დარჩა...

 

მაშინ მე გადავრჩი. გადარჩენაა აბა რა, სიკვდილთან შედარებით ორი კვირით დაყრუებ-დამუნჯება რა სახსენებელია... რატომ, რისთვის მე არ მესმის და ალბათ ვერც გავიგებ. რატომ მე არ გამიყოლა, მან ხომ პირველად მე მომმართა?! მაგრამ ისე მომმართა,, თითქოს მცდიდა, თითქოს მამოწმებდა, თითქოს მომავალი ცხოვრებისათვის მამზადებდა... არ გამოცადო უფალი შენიო. მე ეს არც მიფიქრია. იქნებ კიდევაც ვიფიქრე და მე არ ვიცი? იქნებ ბედს ვეთამაშები? არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით..,

მეგობრის შემდეგი სტუმრობაც გუშინდელი დღესავით მახსოვს. სოფლის კლუბში კინოს ვუყურებდით. როგორც ყოველთვის ერთად ვისხედით, და აი, ფილმი შუამდეც... არ იქნებოდა მისული, წამოდგა და მეც თან გამიყოლა. კლუბიდან ჩვენი სახლები არც ისე შორსაა. გამოსასვლელში შეჩერდა, ერთხანს უხმოდ მიყურა და მითხრა — შენ აქ დამელოდე, მე ჩემს ბიძაშვილებში გავივლი და მალე დავბრუნდებიო. კარგი-მეთქი, დავთანხმდი. გაიარა ასე ათი მეტრი... მომიტრიალდა, გამიღიმა და დამიძახა — შენ სახლში წადი, მე იქ შეიძლება დიდხანს შევყოვნდეო... წავიდა და წავიდა...

ათი წლის შემდეგ ჩვენი ტოლი ბიჭის, ჩემი მეგობრის ერთ-ერთი ბიძაშვილის კუბოსთან მდგარს ეს სიზმარი გამახსენდება და შიშისა თუ სიხარულისაგან ხმამაღლა გამეცინება, რაზედაც თანატოლების გაურკვეველ და სიძულვილით სავსე მზერას დავიმსახურებ... იმ წამსვე ისიც გამახსენდება, იმ სიზმრის მერე კინაღამ რომ გამომფატრეს და სახეზე შიშის ჩრდილი გადამივლის...

ჩვენს მეორე თანტოლ ბიჭსაც ცოლ-შვილი დარჩა...

მზემ გაკრიალებული ჰაერი გაათბო. ლურჯ ცასაც კრიალი გაჰქონდა. ბუნების სიხარული ნელ-ნელა ჩემშიც გადმოდიოდა, მავსებდა და გულს შვებას ჰგვრიდა, მაგრამ კვლავ რაღაც ამოუხსნელი და გაუცნობიერებელი მრჩებოდა, რომელიც ცნობიერებაში ხიწვივით მქონდა შერჩენილი [illegible] მასვენებდა. კრიალა ცას ავხედე. თვალებკრიალა... ღვთისმშობელი... ნალვლიანი აპრილი... სამყაროს როგორი თვალებითაც უყურებ, ისეთად აღიქვამ... სიზმარი... და სიზმრის მეორე ნახევარიც... გამახსენდა, რომელიც სიფერმკრთალიდან გამოიკვეთა, ამოტივტივდა, როგორც ღრმა, ლურჯი მორევიდან ამოვა სულ ქვემო, ფსკერთან ნამყოფი წყალი და სილის ნაწილაკებს ამოიყოლებს... სიყვარული... მეორე ნახევარი...

...ღვთისმშობელმა, იქ, ზევით ადგილი რომ გაგიმზადოს და წაგიყვანოს, შენ რას იტყვიო... არა, ჯერ ადრეა-მეთქი, ვუპასუხე და ჩემს გვერდით მდგარ გოგონას მკლავზე ხელი ჩავკიდე. ქალიშვილი ნათელი, კრიალა თვალებით მიყურებდა. თვალებკრიალა, ვით ღვთისმშობელი... თითქოს ჩემს მეგობარს ვუთხარი, თითქოს ვაგრძნობინე — აქ, ქვემოთ ვარ-მეთქი ღვთისმშობლის თვალებიან გოგონაზე შეყვარებული და... ღმერთო, ეს შედარება თუ მკრეხელობაა, მაპატიე... ჩემი მეგობარი გაქრა... ცხოვრების მეორე ნახევარიც...

ატმის იისფერ-თეთრ ყვავილებს მივესათუთე, მოვეფერე. თეთრმა სისპეტაკემ ერთი წამით თვალთ დამიბნელა და მრავალი წლის წინ თოვლიან შარაზე გადამისროლა...

უმაღლეს სასწავლებელს ვამთავრებდი და ჩრდილოეთის ერთ-ერთ ქალაქში სამი თვით სადიპლომო პრაქტიკაზე ვიყავი განაწილებული. სოფელში ავედი, მშობლებს ფული გამოვართვი, გამოვეთხოვე, ჩემი მეგობარი რაიონში მიდიოდა. ნათელი, ყინვიანი დილა იდგა. ავტობუსის ლოდინში ფეხებს ვაბაკუნებდით და ერთმანეთს ვეძიძგილავებოდით, იმ ძიძგილაობაში მე და ჩემი მეგობარი გატკეპნილ შარას გადავცდით და ფერდობზე თეთრ, ფუმფულა, სპეტაკ თოვლში ჩავგორდით.

თითქოს ჩვენი შეხვედრა უკანასკნელი იყო, თითქოს გული რაღაცას გვიგრძნობდა, იმ ნათელ-ყინვიან-კრიალა ცისქვეშ ერთმანეთს გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ. მერე ერთმანეთის დახმარებით წამოვდექით, ბრჭყვიალა თოვლი მხრებიდან ერთმანეთს ჩამოვუბერტყეთ და ჩამომდგარ ავტობუსში ავედით. იმ დღის შემდეგ ჩემი მეგობარი ცოცხალი აღარ მინახავს...

მეზობელმა გარაჟის კარი გააღო. რკინამ უცნაურად გაიჟღრიალა და შემაკრთო... ღმერთო, მე ხომ ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ... მერე მანქანაც აათუხთუხა და თვალწინ შემოდგომის ნაღვლიანი და თბილი დღე დამიდგა...

* * *

ჩემი მეგობარი პირს იპარსავდა და თან მელაპარაკებოდა. მარიამობა გადასული იყო და ტყეს უკვე სიყვითლე შეპარვოდა... კრიალა-ლურჯი ცა თითქოს ზამთრის მოახლოებას გრძნობსო, ოდნავ მოწყენილი ჩანდა, მზე ოქროსფერ სხივებს რულმორეულ არე-მიდამოს უხვად აფრქვევდა.

პალატის წინ ვისხედით. უფრო სწორად მე ვიდექი და მზეს ვეფიცხებოდი, ჩემი მეგობარი კი დაბალ სამფეხაზე იჯდა, წინ მომაღლო ხის სკამი ედგა. სკამზე სარკე, ასაქაფებელი და სამართებელი ელაგა. ეზოში ჭუჭყიანი სატვირთო მანქანა იდგა.

ჯარიდან კარგახნის დაბრუნებული იყო და რაიონში მანქანაზე მძღოლად მუშაობდა. ხელის ფრჩხილები ზეთისაგან ჩაშავებული ჰქონდა. თასში საპონი ჩაფხიკა, გაზქურიდან ადუღებული წყალი მოიტანა და ბურბუშელასავით დაგრაგნილ საპონს დაასხა, მერე ფუნჯი აიღო და ნელა ააქაფა. თან სარკეში იყურებოდა, პირს ხან ერთი ლოყისკენ გაბუშტავდა, ხან მეორესკენ და თავის სახეს დაკვირვებით ათვალიერებდა. პატარა, გამხდარ ბუნებრივად შავგვრემან სახეზე სარკიდან არეკლილი მოლიცლიცე შუქი ეცემოდა.

ჯარის ამბებს მიყვებოდა; რუსის ქალებში დროს როგორ ატარებდა, როგორ ცხოვრობდა და სა[illegible] სამხედრო სამსახური დიდ [illegible] ერთად კიდევ რაღაცას რომ წარმოადგენს, მით უმეტეს სოფლელი ბიჭებისთვის...

მზეზე სამართებელი ალაპლაპდა. კიკინთან ჯერ ყუა ჩამოისვა, საპონი მოიცილა და მერე ხელის მკვეთრი მოძრაობით ყვრიმალთან ბანალი ჩამოიპარსა. ცოტახანს შეჩერდა, ხელი ჰაერში გაუშეშდა, ქვემოდან ზემოთ ამომხედა, თვალებით ეშმაკურად გამიღიმა, მზერა მანქანაზე გადაიტანა და შემდეგ საპონბალნიან სამართებელს დახედა. სამართებელი სკამზე მოინაცვლა, ნახევრად ჩამოპარსული ლოყით მომიბრუნდა, მუხლებზე ხელები კაცივით დაიწყო, უკანალი და წელი სამფეხადან ოდნავ წამოწია და მითხრა:

— მე იცი როდის მოვკვდები?!..

გაღებული პირი გაკვირვებისა და გაოცებისაგან ისე სწრაფად დავხურე, რომ ენა კინაღამ კბილებში მოვიყოლე. ნერწყვი, რომელიც მისი ქალებთან თავგადასავლების მოყოლის დროს მომივიდა, ყელში გადამცდა და კარგა დიდხანს სული ველარ მოვითქვი. გონს რომ მოვეგე, ის ვითომცდა აქ არაფერიო, ჩემსკენ გაუპარსავი ლოყით მშვიდად იჯდა და სამართებლის პირს გაზეთის ნახევით წმენდდა. ახლა უფრო კარგად დავუკვირდი. უფრო ფერმკრთალი მომეჩვენა. სახეზე წასმული საპონის ბრალი იყო, თუ რა ვიცი — თვალები საოცრად ნაღვლიანი და მეტყველი გახდომოდა, ცხვირი კი ოდნავ დაგრძელებული და წაწვეტებული მოუჩანდა...

შემეშინდა. კარგი ბიჭი ხარ და ნუ შეშინდები. ეს ისეთივე შეგრძნებაა, ვთქვათ ზამთრში გზაზე გველი რომ შემოგეფეთოს... ან კიდევ საყვარელ გოგონასთან ერთად მიდიოდე, ხევანში მისეირნობდე... მკვრივ, გაზაფხულის სურნელოვან ბინდს მოლივლივე ლამპიონები ძლივს აშუქებენ. აი, ხევნის ბოლოს ხეებქვეშ მივარდნილ სკამ-

ზე უნდა ჩამოსხდეთ, მხარზე ხელი უნდა მოხვიო, მან კი მკერდზე თავი უნდა მოგაყრდნოს. მისი თმის სურნელით დამთვრალი ზიხარ და უცებ მისთვის კოცნით ტუჩების ტკენა მოგინდა. მხრიდან ხელს ფრთხილად წამოიღებ, ლოყაზე მოეფერები, ნიკაპქვეშ ამოდებ და თავს მაღლა ააწევინებ...

შეშინდები კი არა, შეიძლება გული გაგისკდეს, როცა საყვარელი, თვალებში ვნებაჩამდგარი ქალიშვილის ნაცვლად ასი წლის გადალჯუებული, ნიკაპ და ცხვირდაგრძელებული, თვალებგადმოკარკლული ბებერი შემოგაცივდება...

ასეთი რამე დამემართა. ჩემს მეგობარს გაპარსული სახე დაპატარავებოდა, მუშტის ოდენა გახდომოდა. თვალის კიდეებში ნაოჭები ჩამავალი მზის სხივებივით გამოკვეთოდა...

არა, იმდენი გამოცდილება კი მაქვს, რომ ის ფიქრიან და ნაღვლიან ბავშვად დაგიხატოთ, რომელსაც თვალებში მუდამ სიკვდილის ჩრდილი ედგა. ის ასეთი არ ყოფილა, თუ მხედველობაში სამოციან წლებში გადაღებულ ფოტოსურათს არ მივიღებთ...

ჩვენ ორნი გვერდიგვერდ ვდგავართ, უკან კი მეზობლების მოზრდილი გოგო-ბიჭები გვიდგანან. რაღაცნაირად მობუზული წიწილასავით დგას, გაკვირვებული თუ შეშინებული თვალებით მეც მიყურებს და ალბათ ფოტოგრაფისკენაც იყურება. (ფოტოგრაფი სურათში ხომ არ ჩანს და ალბათ იმან უთხრა — აი, შენი მეგობარი ბიჭუნა როგორც დგას, შენც ისე დადექიო.) ცალი მხარი აწეული აქვს და ყურს ებჯინება. კისერი გვერდზე გადაგდებული, (გადაწეული კი არა) თავზე ვეება ბოხოხი ქუდი ახურავს, ტანზე ძველი, გადაკეთებული პალტო აცვია და დგას ასე საცოდავად, იმ ფოტოსურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაკვირვებული კაცი შეიძლება კიდევ რაღაცას მიხვდეს და ხმამაღლა არა, მაგრამ თავისთვის კი წყნარად გაიმეორის — „ვინ არის ეს სიკვდილთან ადრე წილნაყარი ბავშვი?“..

ბიბლიოთეკა

ახლა მეც, როცა ამ ფოტოს ვაკვირდები, ასე ვფიქრობ, იმიტომ რომ მოსახდენი მოხდენილია... (ის მართლა ისე მოკვდა, როგორც თქვა) მაგრამ დრო, თუ როდის მოკვდებოდა მან არ იცოდა და მის მიერ დასმული კითხვა, თუ თავის თავთან გამოლაპარაკება — მე იცი როდის მოვკვდებიო?! — მთლად ზუსტი არ იყო და მერე და მერე ჩემს ცნობიერებაში ასე გადაკეთდა: (რაღა თქმა უნდა, მისი სიკვდილის მერე, მანამდე კი სასაცილოდაც არ მყოფნიდა და საერთოდ არ მახსოვდა მის მიერ იმ ნაღვლიან საღამოს ნათქვამი სიტყვები) — მე იცი როგორ მოვკვდები?!

მაშინ რატომღაც მზეს შევხედე, თითქოს ჩემი თავის დარწმუნება მინდოდა, სიზმარში ხომ არა ვარ, ეს ჩემი ძმაკაცი რას მიედმოედება, ხომ არ გაგიჟდა-მეთქი. მისი ნათქვამიდან ალბათ ორი წუთიც არ იქნებოდა გასული, მე კი მთელი საუკუნე მომეჩვენა და მზესაც ალბათ უფრო იმიტომ შევხედე — ნამდვილად რა დრო არის-მეთქი. ის თავის ადგილზე ეკიდა და ერთი მილიმეტრითაც არ გადახრილიყო...

ჩვენ ერთ კლასში ვსწავლობდით, ჩვენი სახლებიც გვერდიგვერდ, ქუჩის იქითა და აქეთა მხარეს სიმეტრიულად იდგა და თითქმის სულ ერთად ვიყავით. მე წიგნების კითხვა მიყვარდა და ბევრსაც ვკითხულობდი; ის კი სულ ქუჩაში იყო. ჩემი მეთვალყურე მშობლები რომ არა... დროის უმეტეს ნაწილს მეც ქუჩაში გავატარებდი. სოფლელიაო, მასზე ნამდვილად ვერ ვიტყოდით: ისეთი მოხერხებული, ისეთი ცქვიტი, გამჭრიახი და ენამოსწრებული იყო, რომ აბა სად ის და სად სოფლელი მუდო ბავშვი, ყველაფერზე მორცხვად რომ იმანჭება და უხერხულობისაგან თავი და ტანი სად წაიღოს არ იცის. სწავლა და წიგნი ჭირის დღესავით ეზარებოდა. არც მუშაობა უყვარდა და არც ჩვენნაირი ბავშვური გართობები — ფეხბურთის სათამაშოდ

მოედანზე იშვიათად თუ წამოვიდოდა, მდინარეზე საბანაოდ კი უკიდურეს შემთხვევაში — როცა ძალიან დაცხებოდა ან კიდევ სოფელში მის მეტი აღარავინ იყო; მოზრდილი ბიჭები სამუშაოზე იყვნენ, პატარები კი მდინარეზე ვეყარენით და მზეზე ვშავდებოდით.

ტანზე გაიხდიდა, წყალში ერთი წამით შევიდოდა, თან იმას იძახოდა — რა ცივია, რა ცივიაო. გალღვანლვალდებოდა და უკან ამოვიდოდა. მერე ქუჩაში მოგროვილ სიგარეტის ნამწვავებს ამოალაგებდა და მზესა და წვიმაში გაშავებულ, გამოხრუკულ თამბაქოს ნარჩენებს აბოლებდა. (სიგარეტის მოწევა და ღვინის სმა ცოტა მოგვიანებით მეც დამაწყებინა) დიახ, ბავშვური მას არაფერი ჰქონდა...

ამას ახლა ვამბობ, რადგან დრომ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და როგორც ჩემს ხუთ თითს ისე ვიცნობ გარდასულ დღეთა დინებას. (კიბეზე... ვდგავარ და აპრილის დილას შევყურებ. მეზობელმა მანქანა გამორთო, კარები ფრთხილად მიხურა და სახლში შევიდა).

მაშინ კი, აბა რას ვიფიქრებდი თუ ის წამებში იზრდებოდა და მწიფდებოდა... (როგორც ზღაპარშია — სხვები რომ წლების განმავლობაში იზრდებოდნენ, ის ერთ დღეში იზრდებოდაო).

ზღაპარი და სიზმარი; როგორი მსგავსებაა ამ ორ სიტყვას შორის! შინაგნად და შინაარსით ხომ სულ ვერ განასხვავებ ერთმანეთისაგან: კითხულობ ზღაპარს და სიზმარში გგონია თავი, უყურებ სიზმარს და ზღაპარი იყოო, გონებს კაცი... ორივეს ცისფერი, გამჭვირვალე-გამჭვირვალე, ხელშესახებ-შეუხებელი ნისლი აკრავს და ეს ნისლი ჩვენი წარსულ-მომავალია... შიგნით კი ცენტრში, როგორც მკვრივი ბირთვი — აწმყოა და ნელ-ნელა, დღითიდღე ილევა, პატარავდება, ორთქლდება და იმ ცისფერ წარსულ-მომავლად იქცევა, რომელიც წვრილზე-წვრილი, თვალით უხილავი ძაფებით დღეის დღესთან — აწმყოსთან — არის და კავშირებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევყურებ მზეს და არ ვიცი, სიზმრისაგან გამოყოლილმა ელდამ, არ ვიცი, მოგონებამ და წარსულ დღეთა ჩხრეკამ ეს აპრილის ლამაზი და თბილი დღე ისე უაზროდ მომაჩვენა, რომ გული ტკივილისაგან მომეწურა და მკერდზე ხელი ჩავიკიდე. ამ უსაზღვროებაში, ამ გაუმჭვირვალ-გამჭვირვალე, ხელშესახებ-შეუხებელ ლურჯ-ნათელში ისე პატარა, ისე უმნიშვნელო, ისეთი არარაობა ვიყავი, რომ წერტილიც აღარ მეთქმოდა... გავილიე, დავპატარავდი, განვქარდი... გულსაც ბაგაბუგი გაუდის, ისიც ილევა, პატარავდება, დნება და ალბათ დიდხანს ველარც ის გაძლებს... აპრილის დილა, ადამიანს რომ უაზროდ და ნაღვლიანად ეჩვენება, ცხადია ის ამ ქვეყნის აღარ არის და ის სიტყვები, რომლებიც ჩემს ბაგეს (თუ გულს) დასცდა, მე ხომ ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ... შიშისაგან უფრო იყო ნათქვამი და წამოსროლილი, ვიდრე სიცოცხლის წყურვილით...

ჩემს მომავალს ისე ნათლად ვხედავ, თითქოს ის წარსულის განმეორება იყოს. წარსულის განმეორება, მხოლოდ პირიქით — დიდიდან პატარისაკენ, მრავლიდან ერთისაკენ, ანუ რაც გზა გამოვიარე (წამები-წუთებად იქცნენ, წუთები — საათებად, საათები — დღეებად, დღეები — წლებად, წლები — ათეულ წლებად)... ახლა ეს ყველაფერი უკან დაბრუნებულიყო, უკუსვლით უნდა წასულიყო — ათეული წლები — წლებად, წლები — დღეებად, დღეები — საათებად, საათები — წუთებად, წუთები წამებად და ის ბოლო — უკანასკნელი მესამოცე წამი უსასრულობად... ვიდექი ჩემი ცხოვრების შუაგზაზე და აპრილის უაზროდ მოჩახჩახე მზეს შევყურებდი...

ამ ბუნდოვანმა, მაგრამ მაინც სასიამოვნო აღმოჩენამ შვება მომგვარა; ხელი, რომელიც კვლავ მობაგუნე მკერდზე მქონდა მიდებული, მკერდიდან მოვიცილე; გაკვირვებით დავხედე, მგო-

ნი პირთანაც მივიტანე და კიდევაც ვაკოცე — კიდევ ვიცოცხლებ, კიდევ ვიცოცხლებ, მერე რა, რომ დღემდე მოწყენილად და უაზროდ ვცხოვრობდი, რომ მარტო ვიყავი, რომ არავინ არ მიყვარდა და არავის ვუყვარდი...

ჩემმა ბავშვობის მეგობარმა ეს მერამდენედ გამაფრთხილა (გულს ვიმშვიდებ გამაფრთხილა-მეთქი, თორემ ვინ რა იცის, მით უმეტეს მისი წინა სტუმრობები იცით რითაც დამთავრდა...) რომ ცხოვრება არც ისე გრძელია, რომ მე აღმართი ავიარე და ახლა თავქვე უნდა დავშვებულიყავი, რომ მე კი არ უნდა ვარსებობდე, არამედ უნდა ვცოცხლობდე... რომ მე აპრილის დილა ნაღვლიანი კი არ უნდა მეჩვენებოდეს, არამედ ხალისიანი და მხიარული, რომ მე ჩიტების ჟივჟივი კი არ უნდა მაშინებდეს, არამედ უნდა მახალისებდეს და ბოლოს და ბოლოს რომ მე უკვე კაცი ვარ და სიყვარულს შორიდან, ბავშვურად კი აღარ უნდა ველოლიავებოდე, არამედ მტკიცე, გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადავდგა...

მეზობელმა მანქანა აამუშავა. თითქოს ცივი წყალი გადამასხეს, აპრილის დილიდან ისევ შემოდგომის შორეულ, ნაღვლიან, თბილ საღამოს დავუბრუნდი.

* * *

ჩემმა მეგობარმა კაბინის კარი გამოაღო, საჯდომი — საფენი აიღო, გაფერთხა და მითხრა:

— შენ ავტოსაინჟინროზე სწავლობ, ხომ?

ჰო-მეთქი, რომ ვუთხარი, გაეღიმა, საფენი თავის ადგილზე დადო, ხელისგული გადაუსვა, გაასწორა და თქვა:

— კი მაგრამ, ავტომობილი რომ არ გიყვარს?!

ეს რომ მითხრა, თან დაჟინებით მომაჩერდა, თითქოს ჩემში რაღაც შორეულის გახსენება (თუ გაცოცხლება) უნდოდა... ჩანდა, თვითონ ძალიან კარგად იცოდა რასაც მეკითხებოდა და მეუბნებოდა.

შევხედე და გამეღიმა, გულს სიხარულის თბილმა ტალღებმა [illegible] გამეხარდა და თანაც შე[illegible]... არც მას დავიწყნოდა ჩვენი ბავშვობა, ერთად გატარებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი. (ახლა უკან რომ ვიყურები, ასე მგონია ბავშვობა მილიონი წელი გრძელდებოდა-მეთქი და ახლაც გრძელდება, გრძელდებოდა კი არა), სახეზე სიწითლე მომერია...

და ახლა აპრილის ან ცინცხალ დილით, ჩიტების ჭიკჭიკსა და მეზობლის მანქანის თუხთუხის ხმაზე ის შორეული აპრილის გრილი და მობუზული დილა გამახსენდა, როცა მე და ჩემი მეგობარი სოფლის გარეთ საბალახოზე საქონელს მივდენიდით.

ფერდებჩამწლაკული ძროხები შარაგზას ზოზინით მიუყვებოდნენ. ბალახი ჯერ ამოსული არ იყო, მაგრამ მთელ ზამთარს ბაგაზე ნაბამი საქონელი მუხლს გამართავდა, აქა-იქ გამოსულ ნორჩ ყლორტსა და ნეკერს მისწვდებოდა და ნელ-ნელა მინდორსა და ტყეში გაეჩვეოდა.

მზე ამოსული არ იყო და ციოდა. რეზინის ჩექმებსა და თბილ-დაბამბულ ქურთუკებში ჩაფუთნულები უხალისოდ მივაბიჯებდით. ორთავეს ხელში თბილის სახრე გვეკავა და გზიდან გადახვეულ საქონელს მოქნეული სახრის ზუზუნით ვაშინებდით.

ჩემმა მეგობარმა ფეხს აუჩქარა, უნდოდა სოფელს მალე გავცილებოდით, რათა სიგარეტის ნამწვავი რაც შეიძლება ჩქარა გაებოლებინა. ცივი ჰაერი სახეს მისუსხავდა და უქუდო თავზე მციოდა. მთებს შორის ჩაკარგული გზა მღვრიე, ქვიშისფერი მდინარის პირს მიუყვებოდა. წყლის ყრუ, მძაფრი, დახშული გუგუნი ისედაც უკაცრიელ გარემოს უფრო მკაცრსა ხდიდა.

სოფელს გავცდით და აქა-იქ ამოზრდილი ბუჩქნარი დაიწყო. იმის იქით უკვე მოზრდილი ხეები და ხეებქვეშ ამოწვერილი მოლი მოჩანდა. ტყეში გუგულის მოგუდული გუგუ ისმოდა, რასაც ერთი (იმ ჩიტის სახელი არ ვი-

ცი) ფრინველის გამოკვეთილი, მჟღერი და ხალისიანი ჭიკჭიკი ერთვოდა. საქონელი სოფლისკენ რომ არ გაბრუნებულიყო, ცოტა ხანს დარაჯებივით შევჩერდით და მერე ნელი ნაბიჯით სახლისკენ წამოვედით. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ სინათლეს (თუ ნათელს) ცის ზოლი უკვე გაემკრთალებინა და თეთრი, დათოვლილი მთები რძისფრად ელვარებდნენ.

ჩემმა მეგობარმა სიგარეტი ზედიზედ რამდენიმეჯერ მოქაჩა. ღრმად ჩაისუნთქა, ჩემსკენ არც კი გამოუხედავს ნამწვავის ნარჩენი ისე გამომიწოდა და თავისი პატარა ტანით ამონასუნთქ ბოლში გაეხვია. სიგარეტის პირთან მიტანა ძლივს მოვასწარი, რომ ჩვენს უკან, ტყიდან სატვირთო მანქანა გამოვარდა და თითქმის იმავე წამს წამოგვეწია. (გეოლოგები იყვნენ. მთებში მუშაობდნენ, სოფელში ალბათ სურსათის გულისთვის მიდიოდნენ.) ორი პატარა ბიჭი დაგვინახეს თუ არა, მაშინათვე მანქანა გააჩერეს, ერთ-ერთმა, მძღოლის გვერდით მჯდომმა, კაბინის კარი გააღო და ღიმილით გვკითხა — ვისი ბიჭები ხართო... დავიბენი, პირში დაგროვილი ბოლი სასულეში გადამცდა და კინაღამ დამახრჩო. ნამწვის გადაგდებაც ვერ მოვახერხე. ხელს მწვავდა, მაგრამ ორი თითით მაინც მოვსრისე, ისე რომ მათ არ დაუნახავთ და ჯიბეში ჩავიგდე. ისე გამწარებით მახველებდა, თვალებზე ცრემლი მომადგა. ამან სულ დამაბნია და კინაღამ მართლა ტირილი დავიწყე. არადა იმ კაცს (ახლა რომ ვიხსენებ, ახალგაზრდა ბიჭი იყო, მაშინ კი კაცად მომეჩვენა. მომეჩვენა კი არა, ჩემს თვალში კაცი იყო) არაფერი არ შეუმჩნევია, თუ არ შეიმჩნია — მხიარულად გაგვიმეორა, მოდით, დასხედით, სოფელში მივდივართო. მე ხელები გაურკვევლად გავასავსავე, რაღაც წავიბლუკუნე და თვალებზე მომდგარი ცრემლების მოწმენდას თუ დამალვას შევეცადე. ჩემმა მეგობარმა ორაზროვნად გაიღიმა და ხმამაღლა თქვა, ეგ არაფერიო...

ახლა, როცა იმ დილას ვიხსენებ, მივხდი, რომ სიტყვები [illegible]-რიო — ნიშნავდა, რას [illegible] მუთევზეს ფეხები სველი უნდა ჰქონდესო და მისი ღიმილის მეორე ნახევარსაც... ახლა მივხვდი: ხომ გიყვარს ოცნება, ჰოდა გაზაფხულის მშვენიერი დილაა, ფეხით წამოდი, ბუნების ცქერით დატკბი და რამდენიც გინდა იმდენი იოცნებეო...

ამას ყველაფერს ახლა მივხვდი, თორემ მაშინ, შემოდგომის იმ ნაღვლიან საღამოს, როცა იმის მანქანასთან ვიდექით და სიგარეტს ვაბოლებდით, ყველაფერი ეს უსიამოვნო სიზმარივით მაწვალებდა და როცა შემეკითხა — შენ ხომ ავტომობილი არ გიყვარსო — ის ბავშვობისდროინდელი დილა — სირცხვილი თვალებში მომაწვა. სიგარეტს უხერხულად დავხედე, პირში მოგროვილი იმ დილა — სირცხვილის მწარე ნერწყვი გადმოვაფურთხე, ზედ მბოლავი სიგარეტი დავაგდე და ფეხით გავსრისე...

ახლა კი იმ ბავშვობისდროინდელმა დილამ ნაღველითა და სითბოთი ამავსო, ტანში ჟრუოლვა მომგვარა და სიგარეტის მოწევა მომანდომა...

ჩემი მაშინდელი მოქცევის ახსნა ერთადერთი სიტყვით შეიძლებოდა. ეს სიტყვაა — შიში. მამაჩემი გეოლოგებთან მექანიკოსად მუშაობდა და როცა ის ახალგაზრდა კაცი შეგვეკითხა — ვისი ბიჭები ხართო, (რა თქმა უნდა, მან ეს ინსტინქტურად იკითხა, თორემ მას სულაც არ აინტერესებდა ვისი ბიჭები ვიყავით; თუღა დააინტერესებდა ამას იმ მგზავრობის დროსაც გამოგვკითხავდა. სინამდვილეში ის კითხვა კი არ იყო, არამედ უბრალოდ გამოლაპარაკება — ბავშვები არ შევაშინო, გადამთიელად არ მოვეჩვენოო) ჩემმა ბავშვურმა გონებამ ასე გადაამუშავა — ესე იგი, ეს კაცი მამაჩემს იცნობს და იმიტომ შეგვეკითხა, ვისი ბიჭები ხართო, იცის ვისი შვილიცა ვარ, დამინახა სიგარეტს ვეწევი და მანქანაც იმიტომ გააჩერა-მეთქი...

ჩემი მეგობარი კი ყველაფერს ამას ჩემზე ზუსტად მიხვდა და მის გონებაში სიტყვა-შიში—კი არ ამოტივტივდა, არამედ სიტყვა — მეოცნებე და ამის მერე ყველაფერი ის, რაც ამ სიტყვის მიღმა იმალება — მოკრძალება, გაურკვევლობა, გაუბედაობა და სიმართლის (ან დანაშაულის) შეგრძნების ვერ დამალვა...

მეგობარმა გამიღიმა, ახალგაზრდა კაცს გვერდით მიუსკუპდა, სახელურს ორივე ხელით ჩაეჭიდა, წინ გადაიხარა და ბედნიერებისაგან გაბადრული სახე კინაღამ საქარე მინას მიარტყა. ამ დროს სოფლის თავზე დიდი, წითელი მზე ამოვიდა და ჩემგან მოშორებით ჯაყჯაყით მიმავალი მანქანა სისხლისფერ სხივებში გაახვია...

— მართალია, არ მიყვარს, — ვუპასუხე რაღაცნაირი ყოყმანით.

ის მე აღარ მისმენდა, მანქანას ასუფთავებდა და მეც გავჩუმდი.

მძღოლად რომ მუშაობდა, ეს ჩემთვის საკვირველი და ახალი ამბავი არ ყოფილა. მამამისისაგან, გამრჯე და მუყაითი გლეხკაცისაგან განსხვავებით, ის ტექნიკის საუკუნის კაცი იყო და მათ ოჯახში გარდატეხა ხდებოდა, თაობათა ცვლა იწყებოდა. ჩემს მეგობარს მიწაზე მუშაობა ისევე ეზარებოდა და ეჯავრებოდა, როგორც მე — ვთქვათ, მძღოლად მუშაობა... მისი მომავალი (რა გაუგებარი სიტყვაა) გადაწყვეტილი იყო, სოფელს მანამ ესტუმრებოდა ხოლმე, სანამ მისი მშობლები ცოცხლები იქნებოდნენ, თვითონ კი რაიონში იცხოვრებდა. ჩვენს ბავშვობაში სოფელში ერთი-ორი მანქანა თუ დადიოდა და ჩემი მეგობარიც დღე და ღამე იმ მანქანებს უტრიალებდა და როგორც მაშინ იტყოდნენ — შოფრების „პამოშნიკი“ იყო...

ეს ყველაფერი თითქოს უკვე დიდი ხანია ვიცოდი და არც მიკვირდა, მაგრამ მისმა სერიოზულმა და დადინჯებულმა ლაპარაკმა მართლა გამაოცა და კიდევაც შემაშინა.

— მერე? — მომიბრუნდა და თვალებში ჯიქურ შემხედა. — შენ ხომ ლიტერატურა და ისტორი[illegible] ჩვენთან რომ იმუშაო [illegible]რისტი“ უნდა გახდე... ამის დედა ვატირე, ამისი, — კაბინის კარი ჯიუტად მიაჯახუნა, — ეს მანქანა მომიღებს ბოლოს...

რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაებედა, ვაითუ მეგობარმა ვერ გამიგოს და დამცინოსო. ლიტერატურაც იმიტომ მიხსენა, ამ ქვეყანაზე, ხომ იცი, გასაკვირი არაფერი არისო...

* * *

შემოდგომის ჩამავალი მზის შუქზე მანქანის სახურავი ლაპლაპებდა. ჩემს მეგობარს თვალები დაწვრილებოდა და ნაღვლიანი სახე დაგრძელებოდა.

— სამხედროში რომ ავარია გავაკეთე, იცი? — შორეული, ყრუ ხმით მკითხა.

ჩემი აწურული მხრები და გაოცებული მზერა რომ შენიშნა, იმის შიშით საუბარი არ შემაწყვეტინოსო, სწრაფად გააგრძელა.

— ქვიშით დატვირთული მივდიოდი. იქ, ჩვენთან შედარებით, კარგი გზებია, ეს მანქანებიც სწრაფია და კარგადაც ვერეკებოდი. მიდიხარ შენთვის, არც ტრამალსა და არც გზას ბოლო არ უჩანს, თუ ფხიზლად არ იქენი აუცილებლად ფიქრი წაგიღებს. მეც ასე დამემართა, გახელილი თვალებით გზას გავყურებდი, ფიქრით კი სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. იმ ადგილზე გზა ოდნავ, ასე ერთი მეტრით მაღლდებოდა. ეს ავარიის მერე გავარკვიე და დავინახე, თორემ მანამდე გონზე მხოლოდ აერში მოვედი. მანქანა სამჯერ თუ ოთხჯერ გადატრიალდა და ისევ თვლებზე დადგა. მე, თითი რომ თითია, ისიც არ გამკაწვრია. ქვიშა ირგვლივ ისე იყო გაფანტული, ერთ მუჭასაც ვერ მოაგროვებდი. გადავრჩი... მაგრამ ყველაფერ ამას რატომ გიყვები, იცი? სიზმარი ვნახე... მანქანაა ჩემი ბედისწერა...

კიბიდან ოთახში შევედი, არეულ სა-

წოლს გადავხედე. ჩემი სიზმარი გამახსენდა და გულმა კვლავ ბაგაბუგი დამიწყო. ნუ შეშინდები თუ ბიჭი ხარ — იმ შემოდგომის დღეს, იმ ჩამავალი მზის ნაღვლიან შუქზე, იმ სიწყნარესა და სიჩუმეში ჩემი მეგობრის დადარაჯებული, მელოდიური და ოდნავ ჩახრინწული ხმა და რაც მთავარია შემდგომში მისი ჩემთან ორჯერ სტუმრობა (ადრინდელ მის დასიზმრებას ვგულისხმობ) რასაც ჩვენი ორი მეგობრის სიკვდილი და მასთან გადასახლება მოჰყვა და ბოლოს თვითონ მისი მოყოლილი სიზმარი, რომელიც ისე ზუსტად ახდა, რომ არ, ახლაც დავყურებ არეულ საწოლს, რაც ჩემს წუხანდელ შფოთიან ძილზე მიანიშნებს და ჩემდაუნებურად ვიმეორებ — ღმერთო, მე ხომ ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ...

ხოლო მაშინ, შემოდგმის იმ თბილსა და მგრძნობიარე დღეს, სიტყვა — ბედისწერა — ისე უადგილოდ გაისმა, რომ გაურკვევლობისგან აღარ ვიცოდი რა მეთქვა, რადგანაც მაშინ ეს სიტყვა ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენდა და თითქმის უაზროც, კი იყო, მით უმეტეს, როცა იმ ადამიანებისგან გავიგონე, რომელსაც, ჩემი აზრით, ეს სიტყვა საერთოდ არ უნდა ეხმარა. ახლა კი, ჩემს საწოლთან მდგარი, ისევ ისე ვწითლდები, ოღონდ სირცხვილის გრძნობას, რომელიც ჩემმა მაშინდელმა გამოუცდელობამ თუ უყურადღებობამ გამოიწვია, შიშის გრძნობაც ერთვის, რადგან ჩემი მეგობრის მიერ ნათქვამი სიტყვა შემთხვევით წამოყრანტალებული სულაც არ ყოფილა და როგორც ღრუბლის ნაგლეჯი იზრდება ნელ-ნელა, მძიმდება და მთელ ცას საავდრო, პირქუშ ბლანტ მასად აქცევს, ისე მისი პირისგან მაშინ მსუბუქი კვამლივით ამოტივტივებული ბგერათა გაურკვეველი ნიშნები, ღალღდნენ, დაეწყვნენ, დამძიმდნენ და ჩემი ცარგვალის ნახევარზეც გადმოვიდნენ...

სიგარეტი ავიღე და მაგიდაზე სანიმუშო წესრიგით დალაგებულ წიგნებსა და თეთრ სუფთა ფურცლებს გადავხედე. ჩემი ქვეცნობიერი შრეებიდან ახლა სიტყვა — წესრიგი — ამოტივტივდა და ჩემი თავი ისე პატარა, ისე სუსტი, არაფრისმცოდნე და უსუსური მომეჩვენა — ტირილი მომინდა. „წესრიგი" — გუგულის ძახილივით ხან მიწყდებოდა, ახლადგაფოთლილი მწვანე ტყის სიმყუდროვეში მიილეოდა და როცა მეგონა, ეს ბოლო ძახილი იყო — მეთქი, სწორედ მაშინ კვლავ განმეორდებოდა—ამ ქვეყანაზე ყველაფერი წესის მიხედვით ხდება და ამ კანონზომიერების რკინისებური ლოგიკის ჯაჭვში ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვსო...

მეზობელმა ძრავა ჩართო, მანქანის კარი მიიჯახუნა (ეტყობა სახლში რაღაცაზე გაბრაზდა) და ეზოდან თუხთუხით დაიძრა. ფიქრთა მდინარება გამიწყდა და მხრჩოლავი სიგარეტით კვლავ სახლის კიბეზე გავედი. მზე ძალას იკრებდა. ჩიტები ახლა უფრო დინჯად, გამიზნულად და თითქოს სიხარულითაც ჭიკჭიკებდნენ. მზეს მზერა გავუშტერე და ეზოდან გამავალი მანქანის თუხთუხზე სიტყვა — მერე — წავიჩურჩულე...

— მერე ის რომ, — ჩემს მეგობარს სახე გაუფითრდა, ხელი რაღაცნაირად მკვეთრად აიქნია, თითქოს ვიღაცას დაემუქრაო, მაგრამ როცა მე შემომხედა (ალბათ ჩემს სახეში შიში და გაკვირვება დაინახა) თვალებში დამცინავ-შემწყნარებლური ღიმილი ჩაიყენა და წყნარად განაგრძო.

— სიზმარი ვნახე, ვითომ ვიღაც ქალმა მიმკითხავა და... თუმცა, სიზმარი იყო თუ ცხადში მოხდა წესიერად აღარც კი მახსოვს... — შვება ვიგრძენი და ღრმად ამოვისუნთქე. ჩემმა მეგობარმა ჩემი სულიერი მდგომარეობის ცვლილება შეამჩნია და სასწრაფოდ დაამატა, — ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს... იმ ქალმა მითხრა, ორ საშინელ ავარიას ისე გადაურჩები, თითიც არ გაგეკაწრებაო... — უნებლიედ ხელზე დავიხედე, მერე კი მეგო-

ბარს შევხედე. ისიც თავის მარჯვენას დასცქეროდა. ისეთი ნაღვლიანი და ისეთი უსუსური ჩანდა, რომ გული ტკივილისაგან მომეწურა. მან თავის მარჯვენას მზერა მოსწყვიტა, დამფრთხალი თვალები ვედრებით მომაპყრო და ჩურჩულით თქვა, — იმ ქალს თავის პატარა, თბილ ხელში ჩემი მარჯვენა ხელი ეკავა და ხელისგულზე თავისი დიდი, ნაღვლიანი, ნახშირივით შავი თვალებით ისე დამშტერებოდა, რომ ჩემდა უნებურად, თითქოს მდუღარე წყალი გადამასხეს, ხელი გამოვტაცე და ზურგსუკან დავმალე... ქალმა წკრიალა ხმით გადაიკისკისა, მგონი თვალიც კი ჩამიკრა (მაშინ ასე მომეჩვენა, ახლა კი ვხვდები, რომ მან თვალები მოჭუტა) და მომნუსხველი ხმით მითხრა (თუ მომეყურა ზუსტად ვერც კი გეტყვი) — მესამე უმნიშვნელო ავარიის დროს კი მოვკვდები... აი, ასეთი არის შენი ბედისწერაო...

ჩვენს საუბარში მზე ჩასულიყო და მთებიდან სიგრილეს შეზავებული სიბნელე მოიწევდა...

აი, ახლა აპრილის ამ გაჩახჩახებულ დილას, სიგარეტით ხელში, როცა ყველაფერს ამას ვიხსენებ, ჩემს გონებაში სიტყვა—ბედისწერა — ჩრდილივით გაკრთა და სიტყვა — უმნიშვნელომ — დაიკავა ცენტრალური ადგილი. გამოდის რომ, ამ ქვეყანაზე „უმნიშვნელო" არაფერი არ არის. ან კი, როგორ შეიძლება ისეთ მოვლენას თუ შემთხვევას უმნიშვნელო ვუწოდოთ, რასაც მერე სიკვდილი მოჰყვება...

— მერე?!... — ისევ ეს დროის გასაყვანი სიტყვა „მერე". მაშინ კი იმ სიბნელესა და სიგრილეში ზუსტად ეს სიტყვა წარმოვთქვი. წინადადების დანარჩენი სიტყვები კი ბლუკუნითა და მდგომარეობის გასამუხტავად, თუ ბედისწერის წინაშე ჩემივე უსუსურობისა და უძლობის დასაფარავად მივაყოლე. — ...თუ მართლა ეგრეა, მანქანაზე მუშაობას თავი დაანებე...

— ჰა, ჰა, ჰა... — ჩემი მეგობრის კბილებმა იმ სიბნელესა და სიგრილეში ავისმომასწავებლად და მუქარით გაიელვეს. — მოგცლია, თუ [illegible] ვილაც სიზმარეული ქალის [illegible] შევუშინდე?!.. ესეც არ იყოს, — რბილი, იდუმალი ხმით დაუმატა, — ჯერ კიდევ ხომ ორი ავარია დამრჩა.: პირველი ავარიის შესახებ სწორედ იმიტომ მოგიყევი...

მეგობრის დედამ პალატაში შუქი აანთო. ირგვლივ ცივი სიბნელე იდგა...

* * *

იმ პირველი ავარიის მერე, რომელიც ჩემს მეგობარს ჯარში ყოფნისას შეემთხვა და რომლის გახსენების დროსაც მან, შემოდგომის იმ ბნელსა და ცივ შეღამებულზე, ისე შემაშინა რომ, ახლაც ამ აპრილის გაჩახჩახებულსა და მხიარულ დილითაც კი ტანში მაჟრჟოლებს და მბურძგლავს, დიდი დრო გავიდა.

სიგარეტს ვეწევი და ჩემდაუნებურად გონებაში სიტყვა — პირველი — ისარივით მერჭობა. თითქოს წყალში ჩაგდებული კენჭიაო, სიტყვა „პირველისაგან" გამოწვეული ეპიცენტრი წრეებს იკეთებს — მის ირგვლივ ცნობიერების ზედაპირზე მეორე წრე ამდის, მეორეს კი უფრო დუნედ და მდორედ მესამე წრე მოჰყვება, რომელიც ნელ-ნელა იშლება, ფართოვდება და ბოლოს სულ ქრება... უსასრულობად იქცევა, ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — იქცევა აღარაფრად, თითქოს ყოფილიყოს და არც ყოფილიყოს, რჩება წყლის ოდნავ აჭრელებულშეჟრჟოლებული სარკე, რომელიც კენჭს ისევე შთანთქავს, როგორც ტვინის აურაცხელი უჯრედი სიტყვებს — „პირველს" უფრო მტკივნეულად, „მეორეს" რაღაცნაირი შეგუებით, „მესამეს" კი უკვე ინერციით — გარდაუვალობის და გულგრილობის შეგნებით.

მე ამ სიტყვებს, უფრო სწორად რიცხვს — სამს — არავითარ მისტიკურ — მაგიურ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ვყვები იმას, რაც ჩემმა მეგო-

ბარმა მრავალი წლის წინ შემოდგომის ბნელსა და ცივ შემოღამების პირს მიამბო და მისი ნაამბობი სამი წლის შემდეგ ისე ახდა, რომ წუხანდელი ჩემი სიზმრის გახსენებაზე აპრილის მზიან ზეცას შიშით შევყურებ და ჩემთვის ჯიუტად ვიმეორებ — მერე რა რომ, ჩემი მეგობარი მესამედ მესტუმრა, მერე რა რომ, სხვათა-შორის იქით წასვლა შემომთავაზა... მეც ხომ ასევე ზრდილობიანად (შიში რას არ გათქმევინებს, თორემ ხომ გესმით, სიტყვა— ზრდილობიანად — რა ყალბადაც ჟღერს) ვუპასუხე — არა, ჯერ ადრეამეთქი... და ისიც წავიდა...

ის პირველი ავარია მას, როგორც თვითონ მიამბო, გაშლილ ტრამალზე, დილით ახლად-განათებული ცის ქვეშ და სულ ოდნავ ამაღლებულ ადგილას შეემთხვა. თითქოს ის გარემოება (დილა, გაშლილი, უკიდეგანო ტრამალი, სულ ოდნავ შეუმჩნეველი აღმართი...) მისი ცხოვრების დასაწყისს, ათვლის წერტილს წარმოადგენდა და მერე და მერე ის ფართო სივრცე (შარაგზა) ნელნელა ვიწროვდებოდა, აღმა-აღმა მიდიოდა. დილის ნათელს შუადღის დამაბრმავებელი შუქი ცვლიდა, ბოლოს კი საღამოს სიბნელესა და ოდნავ თავქვე შეუმჩნეველ (უმნიშვნელო) მოსახვევში იკარგებოდა...

სოფლიდან რაიონისაკენ მიმავალი გზა მდინარეს მიუყვება. სანახებს როგორც კი გასცდება, გზა ვიწროვდება და ერთ ადგილას ფრიალო, დამრეც აღმართად იქცევა. აი, სწორედ იმ ადგილზე, სიჩქარის გამოცვლის დროს, ჩემი მეგობრის მანქანას მუხრუჭებმა უმტყუნა, აღმუვლებული ძრავი ჩაქრა და აღმართში მიმავალი მანქანა უკუსვლით თავქვე ქვასავით დაეშვა, ვიწრო გზიდან გადავიდა, ათიოდე მეტრი ჰაერში იფრინა და მდინარეში ზღართანი მოადინა. იმ წუთში ჩემი მეგობარი რაზე ფიქრობდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ავარიის შემდეგ, სალსალამათი, ისე რომ თითიც არ გაკაწვრია, მოჭუტული თვალებითა და შიშნარეული მომლოდინე კაცის გაკერპებული სახით მეტყვის — თავში სულ სხვა „მეორე [illegible]ლებდა და სანამ გზიდან გადაცდენილი ჰაერში მივფრინავდი, ის იდუმალი ქალი გამომეცხადა, დიდი ნაჩშირივით შავი, ნაღვლიანი თვალებით დამცინევად თუ შებრალებით (ქალის თვალებში ამ ორი გრძნობის ერთმანეთისაგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია) გამიღიმა და თავისი მოგუდულ-წკრიალა ხმით გადაიკისკისა. ეს მისი ღიმილკისკისი გზასა და მდინარეს შორის შუადღის მცხუნვარე მზის სხივივით დაიჭიმა და მასზე დასრიალებულმა სანამ წყლის ცივი შხეფების შეხება არ ვიგრძენი თავი სიზმარში მეგონა...

გადარჩა და მერე როგორ — თითიც არ წამოსტკივებია. არც მანქანა დამსხვრეულა მაინც და მაინც — ნაპირზე ტრაქტორით გამოათრიეს, რაიონში წაიღეს, შეაკეთეს და მას მერე ჩემი მეგობარი თავისი მანქანით სოფლისა და რაიონის ოღროჩოღრო გზებს სულ მტვერს აყენდა.

მკითხველს შეიძლება (შეიძლება კი არა, ასეც იქნება) ჩემი მეგობრის ჭკუაში ეჭვი შეეპაროს — ეს ვინ ყოფილა ,ზეციდან მოვლენილი გამაფრთხილებელი ნიშნები ორჯერ აუხდა, ორჯერ სასწაულად გადაურჩა სიკვდილს და ის კიდევ აქეთ-იქით მანქანას დააქროლებსო?!.. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ იმას რატომ არ ითვალისწინებთ, რომ იმ პირველ-მეორე შემთხვევას მესამეც (თანაც უმნიშვნელო) უნდა მოჰყოლოდა. მას ხომ ასე უთხრეს, მესამე „უმნიშვნელო“ ავარიის დროს მოკვდებიო. ჩემი მეგობრის სიჯიუტე და გაუტეხლობა აი, სწორედ ამ სიტყვაში იმალება, სწორედ ამ ავანტურისტული სიტყვით იყო მისი გული და გონება გაჟღენთილი და თუ პირველი ავარიის შემდეგ, ასე თუ ისე, რაღაცნაირ შიშს გრძნობდა მეორე ავარიის მოლოდინში, (რადგან მეორე შემთხვევაც საშინელი უნდა ყოფილიყო და თავისი მასშტაბებით იყო კიდევაც) მესამეს უკვე რაღაცნაირი აზარტული სიხარულით ელ-

ოდა. ის თამაშში (არ ვიცი რამდენად სწორია ეს სიტყვა, შემეძლო ტრაგიკული მიმემატებინა, რადგან შედეგი ცნობილია) ბოლომდე იყო ჩათრეული, მისთვის შიში თითქმის აღარ არსებობდა. იმდენად იყო პირველი — მეორე შემთხვევის დროს გადარჩენით გათამამებული, რომ მესამეს უკვე ხალისითაც კი მოელოდა და გულში ალბათ ასე ფიქრობდა — ზღვების გამცურავს ნაკადული რაღას დამაკლებსო...

და აი, შორეული აპრილის მოწყენილსა და მშვიდ საღამოს ჩემი მეგობარი მანქანას სოფლიდან რაიონისაკენ „მიერეკებოდა“ (ახლა ჩემთვის გასაგებია რატომ მაინც და მაინც დღეს, აპრილის ამ ნათელსა და ნაღვლიან დილას ამოტივტივდნენ ჩემში ღრმად ჩამარხული მოვლენები.).

ამ მომენტიდან რამდენჯერმე შეიძლება სიტყვა — თურმე — ვიხმარო, რადგან რაც იმ საღამოს მოხდა სხვებისაგან გადმოცემით ვიცი.

მას თურმე მანქანა წესრიგში არ ჰქონია (მუქის ფარები არ მუშაობდა) და ჩქარობდა, რაიონში დღისული უნდოდა ჩასვლა. სოფლის სანახებს გასცდა, თავისი „ალმართი“ მშვიდობიანად აიარა, (იმ ადგილის გავლისას ალბათ შორეული მოგონებები გამოაფხიზლებდნენ... არა, მე იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ჩემს მეგობარს იმ ავარიების შემდეგ და რაც მთავარია, მესამეს მოლოდინში, სმა დაეწყოს და საჭესთან მთვრალი მჯდარიყოს...) თავქვე დაეშვა, გაივაკა და მდინარის გასწვრივ გაწელილ მტვრისფერ შარას გაუყვა. მიწის გრუნტიანი გზა ჯაყჯაყით ჩაათავა და ასფალტის საფარზე შედგა. მზე ჩასულიყო. მარცხენა მხრიდან მდინარის შხუილი ისმოდა. მარჯვენა მხარეს ფერდობზე ბინდისაგან ჩამუქებული ტყე შრიალებდა. სიჩქარეს მოუმატა, რამდენიმე კილომეტრი რჩებოდა. შემხვედრი მანქანები კანტიკუნტად ხვდებოდნენ ჩამობნელდა. (გულში ალბათ კიდევაც შეიგინა — დღის სინათლეზე ჩასვლა მაინც ვერ მოვასწარი, მაგრამ არა უშავსრა, ათ წუთში სახლში ვიქნებიო... იმ ადგილას მდინარე მარჯვნივ უხვევს და მერე მარცხნივ მდინარეზე გადებული ხიდი გადაიარა. მერე ისევ მარჯვნივ მოუხვია და მის წინ ჩამოფარებულ გორას მხარი აუქცია. რაიონის დასახლებაც სწორედ აქ იწყება. ერთ-ერთ დაწესებულებასთან, ქუჩის მარჯვენა მხარეს თურმე შუქებჩამქრალი სატვირთო მანქანა იდგა, რომელზეც ძარიდან გადმოშვერილი გრძელი რკინის მილები ეწყო. ჩემმა მეგობარმა ის მილები გვიან შეამჩნია, საჭე მარცხნივ აიღო, მაგრამ... გრძელმა რკინის მილებმა წინა მინა ჩაუმსხვრია, ერთი მათგანი საჭის რგოლისა და ღერძის შემაერთებელ წვრილ პლასტმასშემოხვეულ ფოლადის ღეროს დაეჯახა, გადაამტვრია და ნატეხის ერთი ნაწილი ზემოთ ალუნა. დაჯახების შედეგად წინ წაქანებული ჩემი მეგობარი იმ ფოლადის ღეროს მკერდით დაეხია...

ავარიის შემდეგ თურმე კიდევ რამდენიმე საათი იცოცხლა და სული საავადმყოფოში ისე დალია, რომ გონზე არ მოსულა... მხოლოდ რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ბუტბუტებდა, მაგრამ კაცი თუ კარგად მიუგდებდა ყურს ასეთ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ და „უაზრო“ სიტყვების ნაგლეჯებს გაიგონებდა — ქალი... ცხოვრება... სიზმარი... მესამე... ქალი... სიზმარი... რაზედაც საავადმყოფოს მორიგესა და მთავარ ექიმს ასე უთქვამთ — უკვე ბოდვა დაიწყო... ეს ამ ქვეყნის აღარ არისო... ჩემს მეგობარს პალატის ჩამუქებულ ბინდში კბილები მრისხანედ დაუღრჭიალებია და სულიც დაულევია...

ბაღში ერთი-ორი ჩიტი თულა ჭიკჭიკებს. მზე ამოხურდა და ფერმკრთალი, ლურჯი ზეცა თითქოს სიხარულითა და მხიარულებით აავსო. ვდგავარ კიბეზე... მზერას ხან უსაზღვრო, კამკამა, გამჭირვალა ზეცას ვაპყრობ, ხანაც ახლადგამწვანებულ ხასხასა ბაღს... და შიშით, მოკრძალებით, მაგრამ ჯიუტად ვიმეორებ — ღმერთო, მე ხომ ჯერ სულ ახალგაზრდა ვარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ბიბილური

# ასე იწყება ოთარაანთ ქვრივი

და აი, დადგა დრო, რომ მოლოდინი ამ ღვთის მადლისა უნდა აღსრულდეს, ამისი ნიშანი უკვე გამოჩნდა. დადგა დრო, როცა ყველაფერს სინათლე უნდა მოეფინოს. ამბავი დაგუბდა და კალაპოტიდან გადმონთხევას ცდილობს. გიორგის უცნაური გულჩახვეულობა უკვე ჩვენც გვაშფოთებს. დედას ძრწოლას ჰგვრის, კაცი ხომ არ შემოაკვდაო, რაკი ვერა და ვერ აუხსნია შვილის ამგვარი გარინდება, მარტოსულობა, უძინარი ღამეები, სადღაც გადაკარგვა და ისევ დაბრუნება.

კვანძი შეკრულია, კვანძი გახსნას ელის, რათა ყველაფერი დაიძრას ტრაგიკული ფინალისაკენ, საბოლოო წერტილი დაისვას ქრისტეშობისთვის თოვლიან ღამით, სოფლის პატარა სასაფლაოზე.

ამაოდ ცდილობს დედა შვილის გულში ჩახედვას. შვილი მიუდგომელი ციხესიმაგრე გამხდარა, ვიდრე ბოლოს მაინც არ გატყდება, და ვიდრე მართლა გატყდებოდეს, ქორო დინჯად და პირუთვნელად, ავი მოლოდინით შეპყრობილი მიგვაახლოვებს დედის ფიქრთან.

„ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე, გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს. მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზედ მიმგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. ოთარაანთ ქვრივსაც ასე მოუვიდა. დაგუნდავდა ფიქრი, შვილის სიყვარულმა ხელი ჰკრა და დააგორა იმ მაღალი მთიდამ, სადაც მარტო ჭეშმარიტი დედა-შვილური სიყვარული ჰსადგურობს, რა გაუძლებდა!“

ვერც გაუძლო!

* * *

ოთარაანთ ქვრივის ზნეობრივი ქადაგებანი ხალხის მრავალსაუკუნოვან სიბრძნეს ემყარება, იქიდან არის აღმოცენებული. ეს სიბრძნე ხალხურია, უბრალო, სისადავით გამორჩეული და შეუფერადებელი. შეგონებანი ყოველდღიურობაში თითქოს თავისით იბადებიან და მდინარესავით უნდა ჩაიარონ. უკვალოდ ჩავლილი ქადაგებანი? არა! აქ სტიქიურად მაინც არაფერი ხდება. ყველაფერს ავტორის მტკიცე, ილიასებური ნება განაგებს, ის უძღვება წინ ოთარაანთ ქვრივს, ის იცავს და მასვე უნდა დაიტიროს, როცა ქვრივი ზამთრის თოვლიან ღამეში შვილის საფლავთან შეხვდება სიკვდილს. „ქორო“ თითქოს წინასწარ გრძნობს ბედის გარდუვალობას, იღბალს, რომელიც მწერალმა ამ ქაბუკის ცხოვრებას უხილავ ჩრდილად დაადევნა. ამიტომ ოთარაანთ ქვრივის შეგონებაში თითქმის ყოველი ეპიზოდის ბოლოში ანათებს. ეს არ არის ეპიზოდის აზრობრივი და კომპოზიციური წერტილი. აქ ქორო სცენას გმირების ანაბარა სტოვებს, წუთით გაეყრება მას, მაყურებლის პირისპირ რჩება, რათა მისი ნათქვამის თავისებური, „მწიგნობრული“, „ლიტერატურული“ განმარტებით, ლიტერატურული ფორმით შეაფასოს მოვლენა, შუქი მიანათოს გმირის სახეს და გვითხრას, აი, ამ სურათში ეს არის მთავარი. ასეთია ოთარაანთ ქვრივი, ესე იტყოდა ოთარაანთ ქვრივი, დავიმახსოვროთ მისი შეგონება, ანუ ხალხური სიბრძნე. ის ახალს თითქმის არაფერს ამბობს, სამაგიეროდ, რასაც ამბობს, მის სულსა და გრძნობაშია გადახარშული და ამდენად მისია, საკუთარი. ახალს თითქმის ვერაფერს ვამბობთ და ვერც უწინ ამბობდნენ. ყველაფერი თითქოს უკვე ნათქვამია, მაგრამ ნათქვამს აუცილებლად ჭირდება ერთხელ და ათასჯერ გამეორება. ამიტომ, რაც აქ ითქმება, ოთარაანთ ქვრივის ნათქვამია. ამგვარად — ასე მკვახედ, ან ასე ჭკვიანურად, ან ასე მოქნილი და ლაკონური ფორმით სხვა თითქოს ვერ იტყოდა და აღარ იცი,

---

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 2.

თვით ქვრივის ქადაგებანი იღებს ხალხურობაში სათავეს თუ შემდეგ ხდება ხალხური, ადვილად ხელმისაწვდომი და [illegible] უბრალო.

ოთარაანთ ქვრივის სიბრძნე ზოგადიც არის. ამგვარი რამ შეიძლება ეთქვა ესპანელ, ფრანგ თუ ჩინელ დედასაც, მაგრამ მწერალმა ამ უზოგადეს კაცობრიულ შეგონებებს კონკრეტული, ეროვნული სახე უნდა მიანიჭოს.

ეს შეძლო ილია ჭავჭავაძემ.

ოთარაანთ ქვრივის სიბრძნე ქართული სიბრძნეა.

ეს სიბრძნე ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული შუქითაა გაცისკროვნებული.

ქვრივის ქადაგებათა ხალხურობაზე უკვე გითხარით ცოტა რამ, ქრისტიანობაზე კი ის დაგვრჩა სათქმელი, რომ მისი ღმერთი თვით მასშია განსხეულებული. ქვრივისათვის უცხოა ფარისევლობა. დღეს რომ ცოცხალი იყოს, ქუჩაში არ ივლიდა ანთებული სანთლით და არც ვინმეს შესჩივლებდა, შემომხედეთ, რა უბედური ვარო. „მე ჩემთვის არ ვლოცულობ ღმერთი არ შევაწუხო მეთქი და თქვენთვის რად ვილოცებდი“ — მკვახედ მიახლის არჩილსა და ცესოს. ოთარაანთ ქვრივი ღმერთს ათასში ერთხელ ახსენებს. ღმერთი მისთვის ცაღაა ამაღლებული და ჩვენ, ცოდვილნი, ყოველ წამს ტყუილუბრალოდ არ უნდა ვთხოვდეთ არც შებრალებას, არც მიტევებას. ღმერთი ყველაფერს ხედავს, და როგორც არსთა გამრიგე, უთქმელადაც გვიგებს. ოთარაანთ ქვრივის ქრისტიანული მორალი ღმერთის მტკიცე რწმენას ემყარება, რომელსაც ისე, როგორც სხვას ყოველივეს, არ ჭირდება ტკბილი სიტყვა, რადგან „ამ გამწარებულს წუთის-სოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა, თვალთმაქცობაა სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება“. ეს სიტყვები, ცხადია, არ თავსდება ქრისტიანული მორალის მკაცრ ჩარჩოებში, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული შეუთავსებლობაა. ოთარაანთ ქვრივის შეგონებანი კრიტიკულად წაკითხვას საჭიროებს. იგი მკვახეა, პირდაპირი, მაგრამ მის უკან ფარული, ხშირად სრულიად საწინააღმდეგო მორალი უნდა ვიგულისხმოთ ამიტომ ვერ გაიგო ილიას ბევრმა თანამედროვემ გმირის ხასიათი, ამიტომ გამოირჩევა პრიმიტიულობითა და ლიტერატურული უმეცრებით ამ ნაწარმოების ბევრი მაშინდელი შეფასება, რადგან ოთარაანთ ქვრივის შეგონებათა მარტივი და ერთმნიშვნელოვანი გაგება, მისი დამიწება და გაუბრალოებაა.

ოთარაანთ ქვრივი ღმერთს ადამიანში ეძებს. იქნებ ამიტომაც არის ადამიანთა მიმართ ესოდენ მკაცრი, იქნებ მათში უმეტესად იმას მოითხოვს, რისი გაღებაც ყოველ მოკვდავს არ ძალუძს. მისი სიკერპე და სიავე სიკეთის ძიების სურვილში იღებს სათავეს. ის ხედავს კაცის ნაკლოვან, ღატაკ ბუნებას. ამიტომ მისთვის მიუღებელი ბევრი რამ, რაც სხვათათვის სრულიად ბუნებრივია.

ოთარაანთ ქვრივი ქრისტიანული მორალის ერთგულია, არა, ილია ვერ გვეტყოდა, რომ იგი სახარების თავგამოდებული მკითხველი იყო. სახარების მადლი მაშინდელ საქართველოში სუფთა მაერივით მეუფებდა. ეს მადლი ცხოვრების წესი იყო მართლმადიდებელი ქვეყნისა. და ოთარაანთ ქვრივიც. ისე, რომ ღმერთს მართლა არ აწუხებდა და თავის უბედურებაზე არ შესჩიოდა. მის მცნებათა ერთგული იყო. მას სწამდა, რომ ღმერთი უნდა გიყვარდეს „ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“, რომ უნდა მოწყალე იყო „ვითარცა მამაი ჩვენი მოწყალე არს“.

მისთვის ღმერთი შორსაა, მიუწვდომელია, მაგრამ ღმერთის არსი ყოველ ადამიანშია. არსებობს ხალხური გამოთქმა: „შე უღმერთოო.“ ამ გამოთქმაში ჩამოქნილი აზრი დიდი შინაარსის დამტევია. ოთარაანთ ქვრივიც მაშინ მრისხანებს, როცა ადამიანში უღმერთობას ხედავს. ის ღმერთს უხმობს ყოველ წვრილმანში (თანაც ისე, რომ ყველაფერი თავადვე იტვირთოს და ღმერთი მართლა არ შეაწუხოს) ყოველ ადამიანურ სისუსტეთა გამოვლინებაში და მხოლოდ ღმერთის წინაშე მართალ ადამიანთა მიმართ ხდება ლმობიერი. და რაკი ცხოვრება მკაცრია, კაცის ბუნება კი ცოდვისკენ მიდრეკილი, ღმერთის წინაშე მართალი ადამიანებით არც ქვრივია გარშემორტყმული. მიუხედავად მისი სიმკაცრისა და გარეგნული დაუნდობლობისა, მტრობა არავისთვის გაუწევია. ის მტრებს მხოლოდ იგერიებს და ამდენად ისიც სჯერა, რომ „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა“.

დიახ, ეს ღვთისმორწმუნე დედაკაცი მკაცრია, პირქუში და შეურიგებელი. იქნებ შურის მაძიებელიც? იქნებ მიუტევებელიც. მაგრამ ღმერთი არ არის მკაცრი? ქრისტეს მცნება „რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოიცა“, არ არის დოგმური კანონი, როგორც დოგმური არ შეიძლება იყოს მთელი ქრისტიანული მოძღვრება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ღვთის წიგნი მხატვრული ქმნილებაცაა და მისთვის არ შეიძლება უცხო იყოს არც დიდებული მეტაფორა, არც ჰიპერბოლა. ჩემთვის ეს სიტყვები მხოლოდ გამძაფრებაა ადამიანში სიკეთის პათოსისა.

ეს დიდებული მეტაფორა ავსებს ქრისტეს სიკვდილის წინ წარმოთქმულ მარადიულ ფრაზას“ „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“. მიტევებას კი მას სთხოვენ, ვინც შეიძლება სიმკაცრეშიც მიმტევებე-

ლი იყოს. ოთარაანთ ქვრივის სიმკაცრე ღვთიური სიმკაცრეა, ცოდვილ დედამიწაზე თვით ღმერთისგან დაწესებული და აუცილებელიც. ვიდრემდის ადამიანი არ მოიცილებს მარადიული ცოდვის სიმძიმეს.

მოიცილებს კი?

ეს ოთარაანთ ქვრივის საკითხავი არ არის. ეს ღმერთის საკითხავია, ოთარაანთ ქვრივი კი ერთი მრწმენია ღმერთის სალვთო სჯულისა, ერთი ცოდვილი მრავალთა შორის.

...როცა ქვრივი თავის საბოლოო გზას დაადგა, ულონო სიარულით ეზო გადაიარა, ფეხი ორლობეში გადადგა და დაინახა ახლადმოსული, ფეხუხლებელი, სპეტაკი თოვლი, მისი სული კიდევ ერთხელ განიწმინდა და საბოლოო სიტყვებიც. რაც ოთარაანთ ქვრივმა ამქვეყნად დაგვიტოვა, ესაა: ,,ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი".

ადამიანი ცოდვისშვილია.

ოთარაანთ ქვრივის ცხოვრება უცოდველობის ძიებაა.

ამიტომ ჰპოვებს თავშესაფარს მისი სული ორი ადამიანის სიყვარულში: ეს არის განსვენებული ქმარი თევდორე და შვილი გიორგი. დედა-შვილობის მადლი ყველას კუთვნილებაა. არც ქმრისადმი მარადიული ერთგულებაა უცხო რამ ქართული ბუნებისათვის. მაგრამ აქ ეს მადლი და ეს ერთგულება გაღმერთებამდე მიდის. ვიღაცის ,,უცოდველობა" ხომ უნდა დაიჯერო, ვიღაცის არსებობამ ხომ უნდა მიანიჭოს მაღალი აზრი შენს არსებობას.

შვილის სიყვარულზე არაფერს ვიტყვით. გავიხსენოთ ის, რა მოკრძალებით მიდის ქვრივი მისთვის ესოდენ წმინდა ადგილთან, კედელთან, სადაც ქმრის ნაქონი თოფი ჰკიდია. ,,კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოელო ეს იარაღი და გულდასმით არ გაეწმინდა. როცა ამას შეუდგებოდა, გეგონებოდათ ჰლოცულობსო. კრძალვით და სასოებით ეპყრობოდა ამ იარაღსა". ეს რიტუალი ტაძარში შესვლას ჰგავს. იგი ამაღლებულია და წარუდინებელ ღირებულებათა სადარი. აქ ცრემლიც გამოკრთება, ესოდენ უჩვეულო ოთარაანთ ქვრივის ბუნებისათვის, მაგრამ მაინც ქვრივისებური. იარაღი ,,ერთხელაც არ გაუწმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრეოდეს. გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულიყოს". და რაც მთავარია, ამბობს ქორო ამ მოთხრობისა: ,,რა თქმა უნდა, რომ ამ ცრემლს არავის დაანახვებდა. შვილსაც კი. შვილსაც არ შეამჩნევინებდა ხოლმე"-ო. ქვრივის მორალი მოქმედებაშია, მისი ოჯახის ცხოვრების წესში, ცოცხლად, თავისთავად იწყებს მოქმედებას, თუმცა ხშირად გვხვდება აფორისტულს მიმსგავსებული ფრთიანი გამოთქმა. ეს გამოთქმანი არ არის მწიგნობრული

ქვრივი ხომ თვითონ ცხოვრებაა, ყველზე ფესვიანი და ძარღვიანი. აქ ,,ნასწავლი" თითქმის არაფერია (ოთარაანთ ქვრივმა ,,[illegible] მაგრე-რიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე"). აქ თავისით ნაწილდება სულიერი და მატერიალური საგანძური. წინასწარი გათვლისა და თხზვის გარეშე მაინც ითხზვება სახელები ხუთი ქისისა, რაშიც ოთარაანთ ქვრივი თავის დანაზოგს ინახავდა. თუმცა ფული არასდროს ყოფილა მისი ცხოვრების მიზანი : ,,საჭირნახულო" (სახარჯო პურისა და ქერების სამკალად), ,,ბარაქალა ქისა" (სახარჯო ვენახის სამუშაოსათვის). ,,საჯანაბო ქისა" (ფოსტის ფული და საბეგრო, თუკი გაუბედავდნენ და შეაწერდნენ), ,,მიეცი და მოგეცესო" (მოჯამაგირის საჯამაგირო ფულისათვის), ,,ფარსიღას ქარვასლა, ანუ შიოს მარანი" (ქისა — საშინაო სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული). და ეს ხალხური გონებამახვილობით დაბადებული სახელებიც გამოხატავს მისი პატრონის სულიერ ავლადიდებას. მისი ცხოვრების მკაცრ, მაგრამ სამართლიან წესს.

* * *

ოთარაანთ ქვრივი ბედნიერი ადამიანია. ეს, რა თქმა უნდა, პარადოქსულად ჟღერს, რადგან ამას ვერა გრძნობს ვერც თავად ქვრივი, ვერც უბირთაგანი მკითხველი. ქვრივის ბედნიერება თავშეწირვის სიდიადეშია. ,,მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიც ჩაიხედე, რამდენი ბლარტები მიზის. ჭირადაც მყოფნიან დალხინადაც." ეს სიტყვები ქვეშეცნეული გააზრებაა საკუთარი სულიერი ცხოვრებისა, რადგან ქვრივისათვის მარტო ის ცხოვრება არ არსებობს, რომელიც სავსეა პროზით და რომელიც მუდმივად მოითხოვს ცხოვრების მუჯლუგუნების მოგერიებას. მან იცის, რომ წუთისოფელს თუ ერთხელ თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა. მაგრამ არსებობს სხვა, უცხო თვალისათვის უხილავი იდუმალი ცხოვრება. ის ,,სხვა ცხოვრება" ფიქრებშია, წარსულის ტკბილ მოგონებებში, ოცნებაშია. ,,სხვა ცხოვრება" ოთარაანთ ქვრივის ყველაზე ხელშეუვალი წესია. ამ წესს უფრთხილდება, მასთან არ მიგიშვებს და სილრმეში არ ჩაგახედებს. მაგრამ ის ,,პირველიც" მებრძოლი, მუჯლუგუნებით სავსე და თავდაცვის ვნებით აღვსებული, სათავეს მაინც ქვრივის მიზნის სიდიადეში იღებს. ესაა თავშეწირვის სიდიადე. ქვრივი გასცემს და თავისთვის არაფერს იტოვებს, არაფერს მოითხოვს. იგი თავს სწირავს ქმრის ხსოვნას, ქმრისა, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა, თავს სწირავს შვილისადმი უზომო დედა-შვილურ სიყვარულს და უკვირს, ,,დედაშვილობაში ორი თვალი რატომ არსებობსო" და მისი დასკვნაც

სრულიად უბრალო და გასაგებია „თუ გამტეხავს, ამის ნაღველი გამტეხავსო".

და გატყდა დიდკაცი, რადგან ის არ იყო ზეკაცი, ის იყო ადამიანი და დასასრულიც მისი ცხოვრებისა ისევე ბუნებრივი იყო, როგორც არსებობა. მაგრამ ამაღლებულის მარადიულობამ და სიდიადემ დასასრულის სამანიც გადალახა. ოთარაანთ ქვრივმა იგი თან არ წაიღო, ჩვენ დაგვიტოვა, მის ცხოვრებაში და მის სიტყვაში გაცხადებული. ამიტომ ხშირად გვებადება ჩვენთვის საამო აზრი:

ესეც იტყოდა ოთარაანთ ქვრივი...

როგორც გითხარით, მსუბუქად, ფარული იუმორით იწყება მოთხრობა. თითქოს ერთმანეთის თავშესაქცევი ამბები მოხდეს. ხან ერთს მხარეს დავინახავთ ქვრივის ხასიათს, ხან — მეორეს. ამბები ცოცხალია, თითქოს ხალხური ზღაპრებიდან გადმოტანილი. ყველაფერი დუღს, სანავარდოა სიტყვისა და მახვილი აზრებისა. და ახლა, თანდათან, ამბიდან ამბამდე, ჩვენ უკვე ცოცხლივით ვხედავთ ოთარაანთ ქვრივს, ვიცნობთ მის ხასიათს, ვიცინით მასზე და ცოტა უკვე გვერიდება კიდეც. ის თავისთავისა უცნაური, კოლორიტული, მაგრამ ვაგლახად არ მიგვიშვებს ახლოს. ეს „მსუბუქი" შესავალი, სადაც მაინც გამოკრთის ქვრივის ცხოვრების დრამატული ბუნება, შემზადებაა იმ ტრაგიკული ამბისა, რაც ამ სცენათა მერე უნდა გათამაშდეს. „ქორომ" სიცილით მიგვიტყუა, რათა მერე მეხივით დაგვატყდეს. ნაწარმოებში შემოჭრილი ღრმა ტრაგიზმი, რომელიც ნელ-ნელა, შორეული გუგუნით გვიახლოვდება.

და როგორც ცხოვრებაში, და რაც მთავარია, ნამდვილ ქმნილებაში ხდება ხოლმე, თავშესაქცევი ამბები დიდხანს არ გრძელდება. რაღაც სხვაც უნდა მოხდეს! არ შეიძლება არ მოხდეს! ქვრივის ირგვლივ შექმნილი „ხალხური" ამბები დიდხანს არ გაგრძელდება. „წამყვანი", ანუ ქორო, ერთბაშად კუშტი და დაფიქრებული ხდება. ჯერ განძი და ანდერძი შეგვიყვანს ქვრივის იდუმალებით მოცულ სამყაროში. ეს აღარაა მხიარული, ოთარაანთ ქვრივისებური იუმორით გაზავებული „ხუთი კობა". „განძი და ანდერძი" ამიერიდან მოთხრობის ბოლომდე თან გაგვყვება, რათა გავიგოთ რა დარჩა იმ დიდი განძიდან და რა შეასრულა ქვრივმა ცხონებული ქმრის ანდერძიდან. ხოლო ის თავი, შემდეგ რომ მოდის, უკვე საბოლოო გადმონაცვლებაა ქვრივის ოჯახის დღევანდელობაში. ხასიათს ქვრივისას უკვე კარგად ვიცნობთ. ახლა დროა მის ოჯახსაც გავეცნოთ, ანუ ქვრივის ვაჟიშვილს,— გიორგის, მთავარ განძს ქვრივისა. ამბავი უკვე ახლა იწყება: „იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოც-და-ერთის წლის ბიჭი იყო".

მე ვეძებ ოთარაანთ გიორგის!

ნუთუ ისე წავიდა. კვალიც არ დატოვა. ნუთუ თავისი რაინდული ბუნება, დედა-მამისაგან გამოყოლილი, სამუდამოდ [illegible] და ჩვენ აღარაფერი დაგვ[illegible]

სამუდამოდ გამქრალა?

შემზარავია ამისი გაფიქრება.

თუ ასეა, დასასრული მოახლოებული ყოფილა.

ან იქნებ მართლა არ იყვნენ არც ოთარაანთ ქვრივი, არც მისი ცხონებული ქმარი და არც მისი გულმართალი ბიჭი გიორგი? იქნებ ეს მხოლოდ ქართველი მწერლის ოცნებაა?

მაგრამ ილიას უნდა ვენდოთ.

მხოლოდ ოცნებისათვის „ოთარაანთ ქვრივს" არ დაწერდა, თანაც ასე ცოცხალს, ხალხურს, მართალს და ხელშესახებს. მისი სიბრძნე საუკუნეებს სწვდება და ფესვებსაც იქ ეძებს. და რაკი ფესვებია, ყლორტებიც აქვეა, ჩვენს შორის, ჩვენს ირგვლივ. ნუ დავიზარებთ ყველგან ვეძებოთ ეს ყლორტები...

გიორგის ბუნებაში არის რაღაც არისტოკრატული. მისი ამაყი ბუნება გლეხურ ჩარჩოებში არ ეტევა. ეს რომ არა, ვერა და ვერ გაივლებდა გულში თავადის ქალის სიყვარულს. ის არ არის არც ჟიულიენ სორელი, არც ბალზაკის პროვინციელი ჭაბუკი, რომელიც არისტოკრატ ქალთან დაახლოვებით ეძებს საკუთარ ბედნიერებას.

გიორგის ბუნებაა არისტოკრატული, გამოძახილი ძველებური რაინდობისა.

და დიდი მკრეხელობა ხომ არ იქნება თუ ვიტყვით — ინტელიგენტურიო?

ყოველ შემთხვევაში, გიორგის რომ ცოდნა და განათლება მიეღო ევროპის რომელიმე კულტურულ ცენტრში, ათასჯერ მეტს გააკეთებდა თავისი ერისათვის, ვიდრე არჩილი და კესო აკეთებდნენ.

გიორგი მოძრაობაა, მბორგავი ბუნებაა. ალბათ ილია იტყოდა, თერგივითაო. მას შეუძლია დაარღვიოს ჯებირები, გაარღვიოს კლდეები. სამისოდ ვნებაც დიდი მოეძევება და ენერგიაც. მაგრამ ვაი, რომ მისი სიცოცხლე ნაადრევად წყდება.

ნაადრევად წყდება სიცოცხლე ამ მოთხრობის ავტორისაც.

გაგვიწყრებოდა თუ არა ილია, რომ გვეთქვა, გიორგიც ყმაწვილი ილიააო?

იქნებ გაეცინებოდა თავისებური სიცილით და დიდსულოვნად მიეტევებინა ეს ძალზე შორეული შედარება?

და, საერთოდ, ყოველი ნაწარმოების პერსონაჟში შეიძლება ავტორი დავინახოთ. თუ არ ვცდები, ხომ ილიას ხუმრობაც არსებობს. ლუარსაბ თათქარიძე თვითონ მე ვარო, რაც გამოხატავს ირონიულ დამოკიდებულებას საერთოდ თათქარიძეობის მიმართ კი არა, საკუთარი თავის მიმართაც. სურს თუ არ სურს, შემოქმედი თავისი გმირების ნაწილია. ზოგჯერ ცდილობს ამის დაფარვას და დიდის წარ-

მატებითაც, ზოგჯერ სრულიადაც არ უარყოფს, განსაკუთრებით თუ საქმე ისეთ პერსონაჟს ეხება, რომელიც ავტორის მსოფლმხედველობას, ცხოვრებისეულ მრწამსს და სინამდვილისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს. და ჩვენც სად უნდა ვეძიოთ ილია ჭავჭავაძე თუ არა უპირველესად „ოთარაანთ ქვრივში", სადაც ავტორმა მთავარ მიზნად ადამიანის (ამ შემთხვევაში ქართველის) სულიერი სიდიადის გამოხატვა დაისახა.

გიორგის სულში არისტოკრატი თვლემს.

სხვაგვარად მოწყობილ საზოგადოებაში ის, ალბათ, მონოლითური დახვეწილობით იქნებოდა გამორჩეული. ის სხვებს არ ჰგავს. თავისთავადია და სხვათაგან ხშირად გაუგებარი, რაც მის ამაღლებულ სულიერ კულტურაზე მიუთითებს. მან იცის საკუთარი თავის ფასი. იცის ქვეშეცნეულად, ისე, რომ სიტყვიერადაც ვერ გამოხატავს. ბუნება კარნახობს, რომ, მიუხედავად ყოველივესი, დიდაც აქვს უფლება უყვარდეს და თანაც ის, ვინც მისთვის ხელმიუწვდომელია და შორეული.... აქ საზღვრები იშლება, დამშეული სული თანატოლს კი არა, იმას ეძებს, ვინც ამ სულს უფრო მეტად აამაღლებს და განასპეტაკებს. ეს უნდა დავინახოთ გიორგის ხასიათში უპირველესად. თუ ეს არა, ჩვენც უბირი სოფლის დონეზე დავრჩებით და გიორგის საქციელში ახირებულ მეტიჩარასა და გიჟს დავინახავთ, რომელიც ლობეყორეს ედება. ეს კი მისი ხასიათის სრულიად უმნიშვნელო დეტალებია. მთავარი იქიდან იწყება, როცა გიორგის განდეგილობას და მარტოსულობას შევნიშნავთ. მისი აფორიაქებული ბუნება აქეთ-იქით აწყდება, ლაგამი ველარ ამაგრებს და ვიცით, რომ სადაა გადმოსკდება, რომანტიკული ფიქრი და იდუმალი დუმილი მოქმედებას დაიწყებს. ჯერ კი ოთარაანთ გიორგი მხოლოდ რაღაც დიდის ზღვარზე მისული ჭაბუკია, რომელიც „მოვიდოდა შინ მუშაობიდამ კარგა ბინდისას, და თუ მთვარიანი ღამე იყო, წამოწვებოდა ეზოში მწვანეზედ, თავქვეშ ორსავე ხელს ამოიდებდა და გარინდებული იყო ხოლმე მთელის საათობით გულაღმა. შეჰყურებდა ცას და ღრუბლებს, თითქოს ვარსკვლავებსა სთვლისო, ან ღრუბლებს თვალს ადევნებს თავის გასართობლადო".

კვანძი შეკრულია და მოქმედება უფრო სწრაფად იწყებს განვითარებას. ქორო შეშფოთებული გრძნობს რაღაც გარდუვალის მოახლოვებას.

ამ ჭაბუკის სული სიყვარულმა შეძრა.

სულმა თავი აილო და მეორე „მეს" საძებნელად დამშეულივით გასწია.

ან უნდა საბოლოოდ დამარცხდეს,, ან ერთხელ მაინც შესძლოს მოხილვა მეცხრე ცისა.

სული ტოვებს საკუთარ სახლ-კარს და ხხნას სხვაგან ეძის, რათა ხუნდებისაგან გაითავისუფლოს თავი. ამაყი ჭაბუკი, რომელსაც დოინჯის

შემოყრა-და აკლდა, რომ თავ[illegible] ფილიყო, თავადის კარზე დგება [illegible].

ეს ბედისწერაა.

და ჩვენ ვიცით, რომ გარდუვალი მარცხი მოახლოვებულია, სადღაც აქვე დაძრწის და თავის დროს ელოდება.

ეს დროც დადგა. ჭაბუკის უეცარი ტრაგიკული სიკვდილი ყველაფერს ფარდას ხდის.

ოთარაანთ ქვრივი შვილის სიკვდილის ამბავს თავდაპირველად მისი ბუნებისათვის უჩვეულო ემოციებით იღებს. თუმცა ფეხაჩქარებით მოვიდა, გულდინჯად შევიდა გიორგის ოთახში, მაინც ვიცით, რომ როცა შვილის ამბავი გაიგო, ეს ვეება დედაკაცი კინაღამ თავზე წამოემხო ამბის მთქმელ ბიჭს.

ქვრივმა შვილის წინაშე „ერთი საშინლად შემოიკრა თავში ხელი და იქავ მუხლი მოეკრა". მერე „დადუმდა, შემდგა ყველა და მარტო დედა-შვილობის საცოდაობა-ღა თავის დიდებულის ზარით ჰღაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმა-ამოუღებლად".

გიორგიმ თვალი დახუჭა.

მას თან იმ ქალის ცრემლი მიჰყვება, ვისთვისაც იფიქრა და იოცნება, ვის გამოც დაადგა უკან მოუბრუნებელ ტრაგიკულ გზას.

ოთარაანთ ქვრივი კი, მიუხედავად თავისი კერპი ბუნებისა, მაინც ქართველი ქალია და როგორც წესია, ამ დროს იწყება ტრადიციული „ზარი", დატირება აი ყმისა.

ოთარაანთ ქვრივი ხმამაღლა ტირის „კაი ყმას". მისთვის გარშემო აღარაფერი არსებობს. ის ახლა სრულიად მარტოა და თავისუფლად აძლევს გზას ტრაგიკული სევდის გამოვლინებას.

და, მიუხედავად ყველაფრისა ჩვენ ქვეშეცნეულად მაინც ვგრძნობთ ერთ გარემოებას:

ის, რაც მოხდა, ოთარაანთ ქვრივისათვის თითქოს არ ყოფილა მოულოდნელი.

ქვრივის ყველაფრის მხილველი და გამსჭვალავი გული ელოდა, შეშფოთებით ელოდა ამ დღის დადგომას.

ამ დღიდან შემოდის აჩრდილი საწყალი სოსია მეწისქვილესი, რაზეც აქამდე ჩვენ არაფერი ვიცოდით. იგი უტყვი თაყვანისმცემელი ყოფილა ქვრივისა, და ამ მძიმე წუთებში მის გვერდით ¡ უნდა ყოფნა.

ოთარაანთ ქვრივს კი მარტოობა ჰირდება.

ამ წუთებში გაუგებარიც კია მის ცხოვრებაში თუნდაც შორეული აჩრდილის შემოჭრა და იგი განდევნის ამ აჩრდილს: „წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს."

„— თუ გაგონდები, კარგია, თუ არა-და, მაინც ღმერთმა გილხნოს — ჩურჩულებს აჩრდილი — თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელში."

ქვრივის პასუხი აქაც უტეხია:

„რატო. არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არ გგონია!..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი „მთავარი პერსონაჟი", რომელიც ფინალში შემოდის მოთხრობას ღრმა განზომილებას და იდუმალებას მატებს. პირველი ის სოსია მეწისქვილეა, რომელიც მას შემდეგ, რაც ქვრივმა თავისი შვილი დაიტირა, აჩრდილივით სდევს ქვრივს, ბოლოს კი, შობა დღეს, როცა შვილის საფლავზე დამკვდარ ქვრივს იპოვიან, იქვე მუხლმოყრილი ჩაჩოქილა და აქვითინებულს ქვრივის მკვდარი ხელი ხელთ უპყრავს.

ის ქვითინიც გაუგებარია სოფლისათვის.

„ადე, რას ჰყმუი. უპატრონო ძაღლივით" — დასცინის მოხუცს ახალგაზრდა გლეხის ბიჭი — „შენც მითამ მარაქაში ერევი... შენ რაო?"

ამბავი თითქოს მეორდება:

„ცოცხალზე არ გამახარა წუთი-სოფელმა და მკვდარზეც აღარ მატირებთო!" — ჩივის ბერიკაცი.

ეს მორეული გამოძახილია მომაკვდავი გიორგის სიტყვებისა.

მეორე პერსონაჟი ზამთარია. წელიწადის დრონი თავისი გზით მიდიან. მათ არ უწყიან რა ამბავი მოხდა ამ პატარა სოფელში. „შუახანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ქნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა." „სწორედ შობის შუაღამეს ხელახლა მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა. გლეხკაცობის სახლებს, ჩალით და ზოგან კრამიტით დახურულებს, მძიმედ დაედო თოვლი და ბუჰყიანი თავსახურავები მოჰრთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარაო. კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახლის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა".

„ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა"...

გრაფიკული ფონი ფინალისა მოხაზულია.

შუქჩრდილები — განაწილებული.

იდუმალი შუქი მთვარიდან გამოკრთის, რომელმაც მკრთალი ნათელით უნდა გააშუქოს პირველ თოვლზე გავლებული ნაფეხურები ოთარაანთ ქვრივისა — შინიდან სასაფლაომდე.

და ჩვენ ვხედავთ ამ დაუვიწყარ სურათს: თეთრი, სპეტაკი თოვლის ფონზე მიდის თალხი აჩრდილი ოთარაანთ ქვრივისა. ქვრივის ნაფეხურები შვილის საფლავზე წყდება. ჩვენ შემკრთალი ვიხევთ ამ მეტყველი სიჩუმის წინაშე, გვაკრთობს ღრუბლის ნაფლეთიდან წამოსული მთვარის მკრთალი ნათელი. განვიწმინდებით და თავდახრილი ვაცილებთ ტრაგედიის გმირებს, რომლებმაც ჩვენს წინაშე თავიანთი უბედური ცხოვრება წარმოგვიდგინეს.

ამიერიდან ჩვენ ამ სურათს ვეღარასოდეს დავივიწყებთ. მთვარის მკრთალი ნათელი ისევ ღრუბლებში ქრება. ირგვლივ სიჩუმე დაისადგურებს და ჩვენც ვდუმვართ...

ეს სასაფლაოა.

აქ ტაშის დაკვრა არ შეიძლება.

სასაფლაო დუმილის მეუფებაა.

გასრულდა ამბავი ერთი ტრაგიკული, მაგრამ ამაღლებული ცხოვრებისა.

წავიდნენ, გაქრნენ, და ჩვენ ისღა დაგვრჩენია ოხვრით წარმოვთქვათ:

სადა ხარ, ოთარაანთ ქვრივო?!

სადა ხარ, ოთარაანთ გიორგი?!

შეიძლება ეს სიტყვები, პათეტურად, ცოტა სენტიმენტალურადაც ჟღერდეს, მაგრამ ეს არ არის ოდენ ნოსტალგია წარსულზე. სამყაროში ყველაფერი მეორდება და ხშირად, წარსულიდან მოხმობილი მოვლენები, ან ოდეს ცოცხალთა აჩრდილები ჩვენს გვერდით ჩნდებიან, თუ ჩვენ დაჟინებით მოვუხმობთ და დავარწმუნებთ, რომ ისინი დღესაც ისე გვჭირდებიან, როგორც საუკუნეთა მიღმა. ასე ებმება ჯაჭვი მედინსა და წარუდინებელს შორის, როგორც დასტური საკაცობრიო მორალის მარადიულობისა, თუ კი შეიძლება რაიმე იყოს მარადიული ჩვენი გალაქტიკის ერთი პატარა ვარსკვლავის მცირე მაგრამ ულამაზეს პლანეტაზე.

თვით ამ პლანეტის სილამაზე თავდაპირველადვე მოითხოვს მის მკვიდრთა სულიერ და, თუ გნებავთ, ფიზიკურ სრულყოფას. ჩვენი პლანეტა სრულქმნილია ჰარმონიული და ჩვენც მისი სრულქმნილი შვილები უნდა ვიყოთ. ამიტომ გვჭირდება წარსულიდან მოხმობილი აჩრდილები, რათა სრულგვქმნას ჩვენც. ამიტომ არ გვრცხვენია თუნდაც პათეტური ან სენტიმენტალური შეძახილისა:

სადა ხარ, ოთარაანთ გიორგი?!

სადა ხარ, ოთარაანთ გიორგი?!

„ესე იტყოდა ოთარაანთ ქვრივი..." ამას მეუბნება მე, მის ერთ მკითხველს მრავალთაგან. მას ყველასათვის მოეძევება თავისი სათქმელი, თუმცა მკაცრად, მაგრამ უშურველად გასცემს ყველაფერს. და რისიც მეშინოდა, სწორედ ისე გამომივიდა: ეს ყოფილა მოთხრობა ამაღლებულ სიყვარულზე, მარადიულ ერთგულებაზე და ადამიანის სულიერი სრულყოფისათვის შეურიგებელ ბრძოლაზე. აქ ვხედავთ მაღალს დედა-შვილური სიყვარულისას (ქვრივი და მისი ვაჟი), ცოლ-ქმრული სიყვარულისას (ქვრივი და მისი განსვენებული თევდორე), უანგარო, უთქმელი, და თავისთავად ტალღასავით წამოსული ჭაბუკური გრძნობისას (გიორგი და თავადიშვილის ქალი კესო) და ბოლოს გაუმხელელ, ბოლმასა, დარდში და ამაო მოლოდინის ბურუსში ჩაძირული სოსია მეწისქვილისი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით და ფიქრით თურმე ოთარაანთ ქვრივის ახლოს ტრიალებდა და ამაზე არც ქვრივს სცოდნია რამე, არც ჩვენ, არც იმ ქოროს. ცხოვ-

რების სცენაზე დადგმულ ამ ადამიანურ ტრაგედიას რომ უძლებს დინჯად, ბრძნულად და „აუღელვებლად".

მაშ რა ვუყოთ იმ პრობლემას, რომელსაც „ატეხილი ხიდი" ჰქვია, რომელიც მოთხრობაში ღიადაც იგრძნობა და რომლის კვლევასაც მიეძღვნა „ოთარაანთ ქვრივის" ირგვლივ თავმოყრილი დიდძალი ლიტერატურა? ეს პრობლემა არსებობს და დიდ პატივისცემასაც იმსახურებს ყველა, ვინც მას მთელი ჩაძიებით სწავლობდა. მაგრამ კლასიკოსი ხომ იმის კლასიკოსია, რომ ნაწარმოების მრავალმხრივი წაკითხვის საშუალება მოგვცეს. უფრო მეტიც. დროთა ბრუნვამ ხან ერთი მხარე გააშუქოს მისი, ხან სულ სხვა, აქამდე თითქოს მიჩქმალული. დღეს მე, მის მკითხველს, „ოთარაანთ ქვრივის" ჩემეული გაგება მჭირდება, ან უფრო თავმდაბალი თუ ვიქნები, ვცდილობ მის ჩემეულ გაგებას. ამაში არაფერია მკრეხელური. ეს დროის მოთხოვნა მგონია და რაც უფრო ჩაერევა ქვრივი დროის საჭირბოროტო და „წყევა-კრულვიან საკითხავში", უფრო გაბედულად გავუსწორებთ თვალს განწმენდის გზას, რომელიც გვიზიდავს და რომელზე ფეხის შედგმაც, ვითარცა ცოდვილი სჩვევიათ, ვერ გაგვიბედავს.

ნუ გეშინიათ... ოთარაანთ ქვრივის გზას ადამიანური სულის სიდიადეს, სიცოცხლის სიდიადეს, მის ღრმა ამქვეყნიურ ტრაგიზმს და ამ ტრაგიზმის მიმზიდველობასაც დაგვანახვებს. არც ამ ტრაგიზმშია რაიმე ზედმეტი. მის გარეშე ცხოვრება თავის განუმეორებელ იდუმალებასაც დაკარგავდა და ჩვენი „ადამიანური მიწა" სიცარიელეში დაიწყებდა ცურვას, თავად ცარიელი, წონას მოკლებული და უაზრო.

მე მინდა „ოთარაანთ ქვრივის" ავტორში ჩვენი თანამედროვე დავინახო და დარწმუნებული ვარ ამგვარი რამ სურს ბევრ მის მკითხველს. ამ სურვილის საბაბი მართლაც რომ გვაქვს. ჩემი ფიქრი იმდენად ღრმად ტოპავს, რომ ილიას ერთი სხვა პატარა მოთხრობა „სარჩობელაზედ" წუხანდელი დაწერილი მგონია.

აი, ილია ჩვეული დინჯი ნაბიჯით მოდის ძველი თბილისის ქუჩაბანდებში. მისი მახვილი მზერა ყველაფერს აღიქვამს. და უცებ ხედავს, რომ მთელი ქალაქი სადღაც მიიჩქარის. ყველანი მახათას მთას აშურებენ, სადაც თურმე კაცი უნდა ჩამოახრჩონ. ადამიანთა უმრავლესობა სეირის მოყვარულია. მან მხოლოდ ერთი ცნობისწადილი აწუხებს: ნეტავ როგორ დაახრჩობენ კაცს? ვინ იქნება ჯალათი, ვინ მიიყვანს ან კაცს სახრჩობელასთან. შეკრთება თუ თავს ვაჟკაცურად დაიჭერს, რას იტყვის უკანასკნელად?

მაგრამ ილიას უბრალო ცნობისწადილი ნაბიჯსაც ვერ გადაადგმევინებდა. მან უნდა მთელი არსებით შეიგრძნოს შემზარავი სისასტიკე კაცის მოკვდინებისა, ვინც არ უნდა იყოს ეს კაცი, გინდ უცოდველი, გინდ ცოდვით სავსე.

და ილია მართლაც სულით ხორცამდე შეძრა მომხდარმა ამბავმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ისღა დარჩა, რომ ეს ტრაგიკული სულიერი მღელვარება ქაღალდზე გადმოინთხეს. და უკვე, მახათას მთაზე დატრიალებული ცოდვიანი ამბის დასასრულისთანავე, იმავე ღამეს, ქაღალდზე იკვეთება მოთხრობის სათაური — „სარჩობელაზედ" (პატარა ამბავი).

ტრაგიზმით შეძრწუნებულმა ავტორმა ამ „პატარა ამბავში" გვითხრა იმგვარი რამ, რაც დღეს ისე გვჭირდება, როგორც არასოდეს: „ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილისმყოფელი, კატის კნუტსავით ჩამომიხრჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით. მე კი ვუყურებდი და ვიწოდი. არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს. ყველამ უნდა მიზღოს ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, სანამ ცოცხალი ვარ, ავიღებ, მძულს ქვეყანა და ადამიანი, უფრო, ჩვენ შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი". ასე მგონია ამ უბრალო ფრაზაში საბოლოოდ გამოჩნდა ხიდჩატეხილობის ის გაგება. რაც დაჟინებით მსურს რომ ჩანდეს. ხიდი ადამიანთა შორისაა ჩატეხილი, გინდ თავადი იყოს, გინდ გლეხი. ადამიანებმა დაკარგეს ერთმანეთის რწმენა, გაქრა ნდობა და გაფართოვდა უფსკრულიც. ამ უფსკრულს უნდა გამთლიანება. ამას კი ვერ უშველის ვერც სოციალური კატაკლიზმები, ვერც დაუნდობელი ბრძოლა წოდებათა შორის. ბრძოლა ადამიანის ხსნისათვის, მისი ქრისტიანული შემწყნარებლობისათვის უნდა მოხდეს. აი, ამგვარი ხიდია ჩატეხილი და არ მინდა ხიდის თავში აუცილებლად თავადი იდგეს, ხიდის ბოლოში — გლეხი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ იმ პატარა მოთხრობის ეპილოგს, რომელიც ბოლომდე გულახდილად და დაუნდობლად გვანდობს სათქმელს: „შენმა გულკეთილობამ, — მიმართავს ჩამოხრჩობილი ჭაბუკის ძმა მოხუც პეტრეს, რომელმაც არ უწყის დღეს, შუადღისას, მახათას მთაზე ვინ ჩამოახრჩეს და რატომ ჩამოახრჩეს. და რომლისთვისაც სრულიად გაუგებარია რატომ უნდა ჩამოახრჩონ ადამიანი, ვისაც აქვს ამის უფლება... „ხო, შენმა გულკეთილობამო — ჩაესმის პეტრეს უხილავი ჭაბუკის ხმა — ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა. აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება ვიცი, განა შენ კი ამხანაგი არა ხარ, ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამიხრჩე ერთად-ერთი ძმა? შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!"

„მე რა შუაში ვარო!" — დაიძახებს კვნესით და თრთოლვით მოხუცი პეტრე და შეშინებული აცახცახდება.

ჩვენც გვეშინია მასთან ერთად და ჩვენც გვინდა გულუბრყვილოდ გავიფიქროთ: „მართლა-და ჩვენი პეტრე რა შუაში უნდა იყოს",

მაგრამ ხინამძვილო დაუნდობლად ჩაგვძახის: ჩვენ, ყველანი, „შუაში“ ვართ, ჩვენ ყველას მიგვიძღვის ბრალი.

„ევროპეიზმი“, რომლისკენაც არტურ ლაისტის თქმით, ილია ისწრაფვოდა და რომელმაც მართლაც ვერ ჰპოვა ნიადაგი მე-18 საუკუნის ქართული კულტურის ჩაკეტილობის და სიმწირის გამო, თვით ილიას შემოქმედებაში მაინც იღებს სათავეს. ის ყველაფრის წამომწყებია საქართველოში და ეს ტერმინიც, პირველყოვლისა მას ეკუთვნის. ამ მხრივ „სარჩობელაზედ“ ერთადერთი გამონაკლისი არ არის, „ოთარაანთ ქვრივის“ უაღრესად ქართულ სულში და ქართულ ფორმაში (ილია ხომ იგივე ლაისტის თქმით, მაინც სულით ხორცამდე ქართველად დარჩა) მაინც ღვივის მომდევნო საუკუნის პროზის სული. ძნელია ამის გაშიფვრა. ამას საგანგებო კვლევა სჭირდება. ამჯერად ერთ პატარა და თითქმის უმნიშვნელო დეტალზე შევჩერდები, მით უფრო, რომ შემზარავი ფინალის დრო მართლაც შორეული გუგუნით გვიახლოვდება და აფორიაქებული სული დინჯ განსჯას ვეღარ შესძლებს.

ოთარაანთ ქვრივს არა ჰყავს არც ახლობლები, არც ნათესავები, არც მეგობრები. არ ვიცით რა ოჯახის შვილია, ვისთან გაიზარდა, როგორი იყო ქალიშვილობაში. ჩვენ იმასაც კი ვერ ვხედავთ, როგორ უჭირავს თავი სამეზობლოში. იგი სულ მარტოა. არა და მე-18 საუკუნის ლიტერატურული კანონები ამგვარ „ანკეტას“ დაბეჯითებით მოითხოვდა. ეს იმდროინდელი „რეალიზმის“ მოთხოვნაც იყო. მწერალი ენდო მკითხველს, წინ წამოსწია თვით ქვრივის მონოლითური პიროვნება და მის წარსულში ან გარემოში გადახედვა აღარ დასჭირდა. ძუნწმა შტრიხებმა არ შეაშინეს მწერალი, რაც ზედმეტი იყო, სულ განტვირთა ნაწარმოები და მთლიანად ენდო მკითხველს: აი, ამგვარია ქვრივი, მარტოხული, მხოლოდ სოფლის წინაშე მდგომი და ისიც უმეტესად მოდავე სოფელთან, მისი მუჯლუგუნების ან გულგრილობის მომგერიებელი. დანარჩენი, თუ რა ოჯახში გაიზარდა, ვისთან ჰქონდა ურთიერთობა, ვისთან სტუმრობდა, ვისთან ატარებდა შობა-ახალწელიწადს თუ აღდგომას, შენთვის მომინდვია, მკითხველო. ეს ყოველივე შენ უნდა წარმოიდგინო, შენის ჭკუით და ალღოთი შეავსო. ეს ქანდაკებაა და ყველაფერს ვერ დაიტევს. ნაწარმოებში ყველაფრის დაწერა კომპოზიციის დარღვევაა, რაც ისედაც იგულისხმება, მხოლოდ აწვრილმანებს ნაწარმოებს, აქუცმაცებს და ყურადღებას ჩამოაშორებს იმას, რისთვისაც ირჯება მკითხველი.

შეიძლება ამანაც გააღიზიანა ილიას დროინდელი კრიტიკა, რომელიც დაჩვეული იყო „ყველაფრის“ ცოდნას, ვისაც, თუ ყველაფერს არ ეტყოდი, უკმაყოფილების გრძნობას აღუძრავდი: ნუთუ არ ჰყავდა? ნუთუ ციდან ჩამოვიდა, ნუთუ ყველასთან ერთნაირი იყო?

მაგრამ ილია აქაც ერთგვარი ნოვატორი იყო, იტვირთა ის, რაც შემდგომი საუკუნის პროზისათვის სრულიად ბუნებრივი (და ერთგვარად აუცილებელიც) გახდა. ჩვენ დღეს აღარ გვაოცებს გმირი, რომელსაც სახელი არა აქვს, რომელთაც ზოგჯერ უბრალოდ ბიჭი ჰქვია, მოხუცი ან გოგო. უფრო მეტიც, სულმოუთქმელად ვკითხულობთ რომანს, რომლის გმირი (ან ანტიგმირი) არც მეტი, არც ნაკლები „კ“ გახლავთ. ვხვდებით პერსონაჟს, რომელიც წამით შემოდის სადგურის ბაქანზე, შეიძლება კაცის ჭაჭანებაც არ შეხვდეს, თვალით აცილებს აქეთ-იქით მიმავალ ჩქარ მატარებლებს. მაგრამ რაღაც ძალით მაინც თითქოს ყველაფერი ვიცით ამ კაცისა. ჩვენ გამოვდივართ იმ მსახიობის როლში, რომელთაც ხელთ მხოლოდ ძუნწი დიალოგები აქვს და აქედან თავად უნდა შეთხზას გმირის მთელი ცხოვრება, და გვინდა თუ არ გვინდა, თანამონაწილეებად გამოვდივართ შემოქმედებითი პროცესისა.

ილიაც გვერდიდან არ გვიშორებს, ჩვენს თვალწინ, ჩვენთან ერთად ძერწავს, ნაძერწს თამამად აშორებს ზედმეტ დეტალებს, „ცხოვრებას“ თითქოს ეთიშება და არ აშინებს ის, რომ მხოლოდ ამ ნაძერწის პირისპირ დაგვტოვოს.

შეხედე, და დანარჩენი თავადვე იგულისხმე.

მე მხიბლავს ამგვარი თანამედროვე ილია. მე მასში მომავალი პროზის ჩანასახს ვხედავ, რომელსაც ჩვენში გარემოებათა გამო არ ეღირსა განვითარება და დღეს თუ იჩენს თავს აქა-იქ, კანტი-კუნტად, გაუბედავად, თითქოს დიდ რამ დანაშაულს ჩავდიოდეთ, თითქოს გამოუსწორებელი ცოდვა მიგვეძღოდეს „ცხოვრებისეული სიმართლის“ წინაშე. ისიც ვიცი, რომ ეს მცირე დეტალებია და ძალზე უძლური ფართე განზოგადებისათვის. მე კი სწორედ დეტალებზე მოგახსენებთ. დეტალებითაც უნდა ვიამაყოთ, რადგან თვით ის დრო ზღუდავდა ფართო განზოგადებასაც, მასშტაბურ აზროვნებასაც და იქით გახედვასაც, საიდანაც ისტორიულად ქროდა ჩვენში ახალი იდეების, ფორმების და განწყობილებების სიო.

ზოგიერთი ახალი ფორმა იმდროინდელი ქართველისათვის უჩვეულო და საჩოთიროც კი რომ იყო, ამაში ილიას პირველ კრიტიკოსთა ნააზრევმა დაგვარწმუნა. ქართველ კრიტიკოსში ფორმის თუ სათქმელის უჩვეულობა, დაფიქრებას კი არა, ემოციურ აღშფოთებას იწვევს უპირატესად. მაგრამ მწერლობა ხომ უჩვეულობისაკენ სწრაფვაცაა. მწერლობისათვის მომხიბლველია ჩვენი დროის ფიზიკოსთა შორის გავრცელებული თქმა: „ეს თეორია გიჟურია, ახლა ვნახოთ იმდენად გიჟურია თუ არა, რომ გენიალური იყოს.“

ვატყობ კვლავ შორს წავედით. ოთარაანთ

ქვრივის პიროვნებას მთელი საუკუნით დავშორდით და ეტყობა იმასაც შევეცადეთ, რომ მისი სახებით „საკუთარი თეორიების“ გამოფენა მოვაწყოთ. ჯერ შევქმნათ ჩვენეული მოდელი და მერე ვიფიქროთ როგორ მოვარგოთ ეს მოდელი იმას, ვის გამოც ავიღეთ ხელში კალამი, ამჯერად ოთარაანთ ქვრივს.

მაგრამ მაინც მჯერა, რომ ქვრივი არ ჩამოგვრჩა. მან აქაც გადმოლახა მთელი საუკუნის საზანი და ისე განიბნა დღევანდელ ცხოვრებაში, ძნელი საპოვნელიც კი გახდა.

* * *

აი, რისი თქმა დავაპირე „ოთარაანთ ქვრივზე“ და რას მეუბნება ეს მოთხრობა მე, ქართველ მკითხველს, ვისთვისაც მშობლიური სამყარო — ამ მოთხრობაში გაშლილი, ვინც ნოსტალგიური თრთოლვით იგონებს იმ ქართულ სოფელს, საუბედუროდ, დავიწყებას რომ ეძლევა, ვინც გაზრდილია ამ გლეხობაში, ამ თავადობაში, ამ ხალხურ სიბრძნესა და ფარულ იუმორში, ვინც გარინდულა ქრისტეშობისთვის ღამეებში და განუცდია პირველი თოვლის უცოდველი სისპეტაკე, ვისაც გამოუთქმელი სევდით ჩაუვლია სოფლის უბრალო სასაფლაოზე.

მაგრამ რას ეტყვის იგი უცხოელ მკითხველს, კლასიკოსთაგან განებივრებულს, ვინც ზოგჯერ არც იცის სად არის საქართველო, ან რა ჯადოსნური მომხიბვლელობა გააჩნია?

მაიმარად განმსჯელს პასუხი უკვე მზადა აქვს, რასაც ყოველი კლასიკოსი ეუბნება!

ღმერთმა ქნას... ამ წერილის ავტორისათვის კი ბოლომდე ყველაფერი არ არის ცნობილი. ის ელოდება დროს, თუ ქართული სამყარო ისევე ნაცნობი გახდება ყველასათვის, როგორც რომაული, ბერძნული, ბიზანტიური.

ხო, დასრულდა ამბავი...

ოთარაანთ ქვრივი აღარ არის...

გიორგი აღარ არის...

გარშემო თითქოს სიცარიელე დგება და, როგორც ყოველ სიცარიელეში, ნელ-ნელა შემოდის ქაოსი. საზოგადოება არ შეიძლება მხოლოდ კეთილშობილი, ჰუმანური და კაცთმოყვარე იყოს. საზოგადოება ხშირად სასტიკია, გაუგებარი და დაუნდობელი. გარეწრები მუდამ ჩვენს ირგვლივ დაძრწიან და ელიან დროს.. ამიტომ „თუ ცხოვრებას ერთი წუთით თვალი მოუხუჭე...“

„ოთარაანთ ქვრივის“ ავტორიც მარტო დარჩა. ცხოვრებისა და ბრძოლისაგან დაღლილი. გარშემო გულუბრყვილო ლუარსაბები მომრავლდნენ. კაკო ყაჩაღი! ნაცვლად ნამდვილი ყაჩაღები გამოჩნდნენ და თანაც „ახალი“ იდეებით, საზოგადოების გარდაქმნის იდეებით შეიარაღებულნი. „ხიახლის“ მათეხურმა წყურვილმა დასცა და დაკნინა ისედაც დაკნინებული ქართული კულტურა. ფასი დაკარგა ადამიანმა ალარავის სჭირდება მოღვაწე, საზოგადოებრივი მორალის განმჩხრეკელი, გარდამქმნელი და მოასმხედი. თავი წამოუყვეს თვით ილიას მტრებმა. მას უკვე შეძბედეს და ლანძღავენ იმავე ჟურნალ-გაზეთებში; რომლის დაარსებისთვისაც ამდენი ტანჯვა გამოიარა. მას ცილს სწამებენ. მტრული ატმოსფერო უფრო და უფრო იძაბება და წრეც უფრო და უფრო იკვრება. ილია ვერ გაიზიარებს ვიწრომხედთა აზრს, მას ფართო განათლება სურს, თავისი ქვეყნის იმ გზაზე გამოყვანა, რომელიც თანდათანობით გაფერმკრთალდა, გაქრა, და ბოლოს სულ დაიკარგა, როგორც ტყეში შესული ვიწრო ბილიკი. ილიას „სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაენთავისუფლებინა და გაევროპებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპიზაციის მომხრე იყო...“ (არტურ ლაისტი).

არაფერი გამოვიდა. ნიადაგი უკვე მწირი და გამოფიტული აღმოჩნდა. დრო — გაუკუღმართებული.

იგივე არტურ ლაისტი აგვიწერს მწერლის უკანასკნელ დღეებს, თითქოს წინასწარ ტრიალებს ჰაერში მოსალოდნელი ტრაგედიის სუნი: „ილია დაღონებული იყო. ჯანის სისუსტეს უჩიოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დატრიალებულ ამბებზე ფიქრობდა.“ „ხანდახან, სალამოობით აივანზე იდგა გაჩუმებული.“

27 აგვისტოს ილია, მისი მეუღლე და არტურ ლაისტი საგურამოდან ეტლით თბილისში წამოვიდნენ. წვიმიანი ამინდი ყოფილა. დასველებულან. მომავალი მკვლელობის ადგილი რომ გამოიარეს, წიწამურთან, არტურ ლაისტს თურმე ტანში ჟრუანტელმა დაუარა, თუმცა რას იფიქრებდა, რომ „მოხუც პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს, ხელს შეახებდა ვინმე“.

დუქანში შეისვენეს, დანაყრდნენ.

შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

„ვნახავთ ერთმანეთს...“ ეს იყო ილიას უკანასკნელი სიტყვები, უცხოელი მეგობრის მიმართ ნათქვამი.

ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, გავარდა საბედისწერო ტყვია.

საქართველოში ერთბაშად ჩამოწვა დუმილი.

მერე ტალღასავით აიქოჩრა აღშფოთება:

„ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ!“

და ამ საყოველთაო გლოვის, შურისძიების და აღშფოთების ქარიშხალში ნელ-ნელა, თრთოლვით შემოდის ნათელი, ღვთაებრივი შუქი. ადამიანური სულის სიდიადე ძალას იკრებს. წამით ძირს დანარცხებული ქრისტიანული სული კვლავ ცოცხლდება და თითქოს ზეციდან დაირხევა სუსტი ხმა:

ილიას ქვრივის, ოლღა გურამიშვილის წერილი თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი:

„სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა

გადაუწყვიტა ჩემთვის და მთელი საქართველოსათვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანურ გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც საsიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზა-დებნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის ხსოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ლვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მაცხოვრებელ ქრისტეს ამ საუკუნო მცნებისა, რომლითაც ცოცხლობდა — ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელობისა და მხურვალე თხოვნით, ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქოს მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შევუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის ალსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთი-სოფელში. შერიგება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმის მტრებისას, რამეთუ „არ იციან რასა იქმან“...

ეს საამაყო სიტყვებია ყოველი ქართველისათვის, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როცა მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი მოაზროვნეები ცხარედ კამათობენ, ზნეობრივია თუ არა სიკვდილით დასჯა, აქვს თუ არა ერთ ადამიანს, ან თუნდაც სახელმწიფოს, ადამიანის მოკვდინების უფლება, განვიწმინდებით ამგვარი შურისძიებით თუ უარესი — დავკნინდებით და დავეცემით.

ამ წერილს ვერ დაწერდა იმ ერის შვილი, რომლის ცივილიზაცია, სულიერი კულტურა მხოლოდ ერთ ან ორ საუკუნეს ითვლის.

„ეს წერილი განსაცვიფრებელია“ — უთქვამს ლევ ტოლსტოის.

მაგრამ ის მკვლელი რომ დღესაც გვერდიდან არ გვშორდება? დღესაც რომ დაუსჯელად დაძრწის ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე? დღესაც რომ გვაფრთხობს, გვემუქრება და დროს ეძებს როდის დაგვაცხროს თავზე?

ილიას ქვრივმა მკვლელი შეინდო..

შენდობა საუფლო ღირსებაა.

ცოდოათ...

„მაგრამ ვინ აღარ არის ცოდო ამ უთავბოლო და უსწორ-მასწორო წუთისოფელში?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# პოეტი ქალის ანდერძი

მთელ მსოფლიო ლიტერატურაში პოეტ ქალს არასოდეს ბედი არა სწყალობდა. რაოდენ მკვეთრმეტყველურია ის ამბავი, რომ თვით უმაღლესი კულტურის ქვეყანაში — საფრანგეთში ბრწყინვალე ნიჭიერებისა და ნათელი ფანტაზიის მქონე მწერალი ქალი, შესანიშნავი რომანების ავტორი ავრორა დიუდევანი იძულებული იყო გამოექვეყნებინა თავისი ნაწერები მამაკაცის სახელით — ჟორჟ ზანდი. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ფრანგმა მწერალმა ქალმა მადლენა დე სკიუდერიმა თავის რომანებს „კლელია ანუ რომაული ისტორია" და „არტემენა ანუ კიროს დიდი" მოაწერა არა თავისი, არამედ თავისი ძმის — ჟორჟის სახელი. ესპანელი პროზაიკოსი ქალი სესია ბიოლ დე ფაბერი, რომლის რომანმა „თოლიამ" უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ესპანური ლიტერატურის განვითარებაში, წერდა მამაკაცის სახელით — ფერნან კაბალიერო, და დიდხანს ეს საიდუმლოება გაუხსნელი იყო. გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ქალი შარლოტა ბრონტე, ავტორი რომანისა „ჯენი ეირი" რომელიც დიდი ხანია შესულია ინგლისური ლიტერატურის ოქროს ფონდში, ალნიშნავდა, რომ მან აირჩია ფსევდონიმად მამაკაცის სახელი — კარერ ბელი — კრიტიკოსა და გამომცემლის შიშით, რომელნიც მწერლობას ქალის პროფესიად არა სთვლიდნენ და მუდამ უნდობლად ეპყრობოდნენ მათს ნაწერებს. ამგვარ კრიტიკოსებსა და გამომცემლებს ავიწყდებოდათ ერთი სრულიად უბრალო ჭეშმარიტება: პოეტიკაში არსებობს ცნებები — ვაჟური და ქალური რითმები, მაგრამ არ არსებობს ვაჟური და ქალური პოეზია. ლექსი ლექსია და მოთხრობა — მოთხრობა და მათს ღირსებას განსაზღვრავს სრულიად სხვა რამ, რასაც ტალანტი ეწოდება.

ქართველი ქალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მეტი გაბედულება გამოიჩინა, დასაბამიდანვე თამამად მოჰკიდა კალამს ხელი და თავის სახელით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. გაიხსენეთ „ქართლის ცხოვრების" ის პასაჟები, სადაც აღწერილია, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნის პირველ ნახევარში „მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და პეროჟავრი სივნელმა, იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს". რა უამბო მათ წმიდა ნინომ, რა ჩაიწერეს ამ წარჩინებულმა მანდილოსნებმა? ჩაიწერეს მთელი თავგადასავალი, რაც გადახდა მოციქულთა სწორს, ვიდრე ბიზანტიიდან ჯავახეთზე გამოვლით მცხეთამდე ჩამოაღწევდა; მე მგონია, აქ იგულისხმება ის ცნობები, რაც გადმოცემულია ლეონტი მროველის ქრონიკებში „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა": ივანე ჯავახიშვილმა ზუსტად დაადგინა, რომ „ლეონტი მროველს თავისი თხზულებისათვის მართლაც უფრო ძველი წყაროები ჰქონია". ის „ძველი წყაროები", რატომ არ უნდა მივიჩნიოთ პირველ მიჯნად, პირველ სათავედ, საიდანაც წამოვიდა ქართული მწერლობის ისტორია.

მომდევნო საუკუნეებში მკითხველის წინაშე წარმოსდგებიან მთელი თაობები მეფეთა ასულებისა, დედოფლებისა და დიდ ფეოდალთა თანამეცხედრეებისა, რომელთაც თავიანთი ძალა და ენერგია არ დაიშურეს ქართული მწიგნობრული კულტურის განვითარებისათვის. მათ უფრო მეტად გაამდიდრეს ქართული პოეზია იმ ეშხითა და მომხიბვლელობით, რასაც ლიტერატურის ისტორიაში მარადქალური ეწოდება. მაგრამ ამ მხრივ მარტო მაღალი წრის ქალბატონები როდი იღწვიან სამწერლო ასპარეზზე; აშკარად მდაბიოთა წრიდან გამოსული ჩანს უნიჭიერესი პოეტი ქალი მანანა (გვარი დღესაც არ ვიცით), რომელიც სოფ. ძევერადან ჩამოსულა ერეკლე მეფის კარზე; მისი ლექსი გამოირჩევა უზომო სევდითა და ნაღვლიანობით, ღრმა ჩაფიქრებით ამ წუთისოფლის ამაოებაზე. უნუგეშოდ დარჩენილი პოეტი გულდამწვარი ვედრებით მიმართავს წმ. ნინოს ხატებას: „წმიდაო ნინოვ, მომქცევო ქართლისა—კახეთისაო, განმაბრწყინვებო სოფლისა, შუქ-მომფენელო მზისაო, შენც მომეხმარე ქრისტესთან, კეთილ-

მორწმუნე ღვთისაო, ეგები მიყოს წყალობა, ნახვა მწადს სამოთხისაო. არა მყავს ჩემს სულს აქიმი, რომ შეუხვიოს წყლულია, ღმერთო, შენს რწმუნებაზედა მომხდრიყე ჩემი გულია. წყალობა მიყავ, მიხოძე, ცრემლისა საკადრულია, დაიხსენ დანთქმისაგანა ჩემი დანთქმული სულია". ასე დასტირის პოეტი ქალი თავის უსიხარულო და სვეგამწარებულ ყოფნას.

მანანას პოეზიის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ მას შეუძლია სულიერად ისე ამაღლდეს, რომ პირი არად ჩააგდოს, მას უხვად აქვს მიმადლებული გრძნობა მძაფრი ირონიისა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს იხუმროს თვით განსაცდელში. სწორედ ეს არის მისი ტალანტის თავისებურება. ხალისიანი იუმორით მჰყვება პოეტი, რომ „დალესტნის ლეკი ბელადი" თურმე დიდძალი ჯარით ქართლს თავს დასხმია არა სხვა რამის გამო, არამედ სწორედ მანანას მოსატაცებლად. ეს რომ მანანამ შეიტყო, ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი, მაგრამ ამ ფაციფუცში კიბიდან ჩამოვარდა და ხუთი საათის განმავლობაში გულწასული ეგდო იატაკზე. „იმ ურჯულოსა ფაშასა ჩემზე რად უნდა ჯარია, რისთვის მივრბოდი ციხეში. რად მოვიტეხე მხარია... და როცა ვინმემ შეიტყო, ძევერა შეიყარაო, არ გეხრალებათ მანანა — მეუფეს მიებარაო, აბა რა იყო ახეთი, ასე რამ ააჩქარაო, სული რად მისცა ეშმაკსა, ყოფა რად გაიმწარაო".

მე-19 საუკუნემ, როგორც ყველგან, ისე საქართველოში სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა ახალი ძალები როგორც პოეზიის, ისე პროზის სფეროში. ქართველმა მწერალმა ქალმა არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები შესძინა ჩვენი ლიტერატურის საუნჯეს.

ცოტა არ იყოს, სიტყვა გაგვიგრძელდა გარდასულ ეპოქათა პოეტ ქალებზე, რომელთაც თავიანთი შემოქმედებით კარგი ტრადიცია შეუქმნეს მეოცე საუკუნის თაობებს. ჩვენი მიზანი იყო გაკვრით მაინც გვეჩვენებინა, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათვის ნიადაგი შიშველი არ იყო და ახლის ძიებისათვის გზა საიმედოდ იყო გაკაფული.

* * *

20-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება ფრიად რთული, მრავალფეროვანი და მრავალხმიანი იყო. ქართველ მწერალთა მთელი თაობა, დასავლეთის ლიტერატურასთან ერთად, ახლის ძიებით იყო გართული. იყო ცალკე სკოლები და დაჯგუფებები და ყოველი მათგანი პრეტენზიას აცხადებდა, რომ ის არის ერთადერთი ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი; რთული დრო იყო და ადვილი როდია სწერო ლექსები მაშინ, როცა შენს გვერდით დგანან სიტყვის ისეთი ბრწყინვალე ოსტატები როგორიც იყვნენ გალაკტიონი და ტიციანი, იოსებ გრიშაშვილი და პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი და უსამართლოდ მივიწყებული შესანიშნავი ოსტატი სიტყვისა კონსტანტინე ჭიჭინაძე. ყოველი მათგანი უაღრესად თავისებური პოეტური ინდივიდუალობა იყო. მათს ლექსებში დრო და დრო გაიელვებდა ხოლმე მწვავე გრძნობა სასოწარკვეთილებისა, რომელიც აწვალებდა მათს ფანტაზიას; ამას მოწმობს თუნდაც ავტორის სიცოცხლეში დაუბეჭდავი ლექსი გალაკტიონისა „ეს არ არის საქართველო"; მკაცრი და საშიში კომუნისტური რეჟიმის პირობებში ნაძალადევ აღტაცებას სცვლიდა ნაძალადევი გაჩუმება, როცა სიტყვის საქციელი თავისუფალი, ფართო და ლაღი აღარ იყო. ნელ-ნელა აკლდებოდა ფხა ქართულ სიტყვას. იწერებოდა პანეგირიკები თვით პირველხარისხოვანი ოსტატების მიერ, მაგრამ ამჟამად ზოგს არ უნდა დაიჯეროს, რომ არსებობდა ამ საქციელის საკმაოდ სერიოზული შემამწყნარებელი გარემოებანი; ეს იყო ზნეობრივი განსაცდელი და თავისუფლებაზე ოცნება ჩუმად აწვა პოეტის გულს და იშვიათი როდი იყო, როცა ლექსში შუასაუკუნეების დროინდელი მონგოლისა თუ ოსმალოს სახეში ამოიცნობოდა მეოცე საუკუნის დამპყრობლის სახე. ეს აზრი ჰქონდა პოეტის მიმართვას, ვთქვათ, კოხტაგორის შეთქმულთა მიმართ: „მე მაინც ვიყავ თქვენთან შეთქმული, თქვენსკენ უხილავ ცეცხლად დაძრული. მე გაჩენამდე თქვენი ერთგული, თქვენსკენ ! მოვქროდი ხელგაბაწრული", და განსაკუთრებით მეტყველია ლექსის ბოლო სიტყვები: „მოველ, წამებას მეც მოვუსწარი".

ასეთი იყო საქმის ვითარება, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ამჯერად მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ არც ისე იოლია ლექსებზე ფიქრი და ახალი რიტმების ძებნა, როცა დგეხარ იქ, სადაც „ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი". სწორედ ასეთ ვითარებაში გაისმოდა ხმა მოწინავე ქართველი პოეტებისა, რომელთაც ბედმა არგუნა ყოფილიყვნენ მოწმენი და მონაწილენი მუდმივი და განუწყვეტელი გარდატეხებისა და კატასტროფებისა. ბუნებრივია, რომ იგივე ხვედრი გაიზიარეს ოციანი წლების პოეტმა ქალებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბაფო მგელაძე, მარიჯანი და ნინო თარიშვილი. ისინი ცდილობდნენ ჩაბმულიყვნენ საერთო ლიტერატურულ პროცესში და, იმავე დროს, თავისებურად ეთქვათ თავიანთი დარდი და სიხარული. ნინო წარმოშობით კახეთიდან იყო და გასაგებია, რომ მის ლექსებში გაიელვეს კახეთის ფერებმა — მან პირველმა ახსენა ლექსში შირაქის მინდორი და ცადა დაეხატა მისი პეიზაჟი ურემში შებმული ზანტი სა-

რებით, მთიდან დაბრუნებული ცხვრის ფარებითა და კალოებზე მოხრიალე კევრებით, ნინო ფიროსმანის სოფლიდან, მირზაანიდან იყო და გასაგებია, რომ მის ლექსშიც გამოჩნდა საწყალ ნიკალას აჩრდილი. ამასთან, ნინო ნამდვილი ნოვატორი იყო, მისი ლექსი მოდერნიზმის აშკარა კვალს ატარებს და აქ მას ახალი, მოულოდნელი სახეები და შედარებები შემოაქვს, რომლებიც მანამდე არავის უხმარია. „ცა გაიხსნება, ვით ხაზარება", ვკითხულობთ მის ლექსში „თეთრი მძივები", შემდეგ იქვე — „და ძილი იტყვის მძიმე ხამძიმარს, ვით წამწამებზე დამდნარი თოვლი" — ეს ძილია თუ სიზმარში ჩაყოლილი ცრემლებია; „და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი, რადგან მზითევში არ მომცემენ ვეფხისტყაოსანს". ლექსში „შორიდან" ვკითხულობთ: „მაშინ ცხოვრება — გზა დღევანდელი მგავდა ზაფხულში დაკრეფილ ვენახს, მაგრამ სად იყო ფიქრი ამდენი, დღეს რომ ამძიმებს რუსთველის ენას". ლექსში „გულის პასუხი" ნათქვამია: „ავზადე სურვილს მხურვალე ლოდი, ულს გინახავდი, როგორც შაჰ-ნამეს და შენ კი თურმე სხვას ჰპირდებოდი ათასერთ კოცნას, ათასერთ ღამეს".

ნინო თარიშვილის ლექსები უმთავრესად სატრფიალო ლირიკის ჟანრს განეკუთვნებიან. ასევე ითქმის მარიჯან ალექსიძის შემოქმედებაზე, რომლის ლირიკული ლექსებიდან (განსაკუთრებით გამოირჩევიან მშვენიერი ლექსი „განჯა", „ჩემზე ჩემთვის", სადაც პოეტი სიყვარულს მიიჩნევს ადამიანის სიცოცხლის უმაღლეს მიზნად:

შენ დამიხლართე მუქი იჭვებით
სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინი,
და ჩემს ფიქრებში ისე იჭრები,
როგორც თბილისზე ჯალალედინი.

* * *

საფო მგელაძე თავის ლექსებში ერთგულად მისდევს ქართულ ლიტერატურაში დასაბამიდან დამკვიდრებულ და განმტკიცებულ რეალიზმის ტრადიციას, რომელიც მუდამ უპირატესობას ანიჭებდა ერისათვის სასიცოცხლოდ მთავრეს მოტივს — სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. ამ მხრივ მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი იყო მებრძოლი მოქალაქეობრივი პათოსი, რის თვალსაჩინო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ლექსი „საქართველო", რომელიც ოციანი წლების დასაწყისში დაიწერა და რომელშიც გამოიხატა მრწამსი არა მარტო ერთი პოეტისა, არამედ ყოველი ადამიანისა, რომელსაც სამშობლო სიცოცხლეზე მეტად უყვარს. ამ ლექსში ნაზი ლირიკული განწყობილება კი არ არის გადმოცემული, არამედ ეს საბრძოლო შეძახილია, ნამდვილი ვაჟკაცური ჩანაფიქრი, აქ არის გაფრთხილება არა მხოლოდ ჩრდილოეთელი მეზობლისა, არამედ ყველა მოსალოდნელი თავდამსხმელისათვის — არ გაბედოთ და ხელი არ ახლოთ ჩემს სატრფოს — საქართველოს. კვლავ სისხლით არ მორწყათ მისი მთა-გორები და მინდვრები, მტრის ეზოდ არ აქციოთ ჩვენი ლამაზი ბაღ-წალკოტები, და თუ ამას მაინც შეეცდებით, იცოდეთ, წინ ვერავინ გამასწრებს, მე პირველი დავიწვები ჩაგრულთა სამსხვერპლოზე და პირველი წავილებ მძიმე ჯვარს გოლგოთას მთაზე. თუ მომხდური —

მწუხარებას შემოიტანს,
მწუხარებას — შავფრთა გაშლილს,
აატირებს მთაწმინდაზე
ილიას და ბარათაშვილს.
შავს ჩააცმევს ტურფა თამარს,
ძაძით მორთავს სათნო ნინოს,
მაშინ დაე ჩვენმა მტერმა
საპასუხო მოისმინოს.

ამას მოსდევს სტრიქონები იმის თაობაზე, რომ ქართველი ერი, რომელმაც ათასწლეულების მანძილზე მრავალი ჭირი და განსაცდელი გამოიარა, ნახა დამპყრობლის თარეშიცა და განიცადა მარცხიც, დროებითი გულგატეხილობაც, ვინ მოსთვლის რამდენჯერ მოექცა საშინელ ტრაგიკულ სიტუაციაში, მაინც არ გამხდარა და არც გახდება მონა, არასოდეს თაყვანს არ სცემს არავის კერპებს და არ იწამებს არავის ღმერთებს, მას თავისი ჯვარცმული ღმერთი ჰყავს, რომელსაც ერთგულება შეჰფიცა ჯერ ისევ თავისი ისტორიის გარიჟრაჟზე, მეოთხე საუკუნეში და რომელიც კვლავ გაიყვანს მას მხოლოდ ასპარეზზე, სადაც ის გაიტანს თავის ლელოს.

საფო მგელაძეს ნათლად ჰქონდა გააზრებული, რომ პოეზიაში აუცილებელია, ერთი მხრივ, ეროვნული და, მეორე მხრივ, ზოგადსაკაცობრიო მოტივების გონივრული შეთავსება. ოციანი წლების დასაწყისში ბევრს არასწორად ესმოდა პატრიოტული მოტივის მნიშვნელობა ლიტერატურაში და ხშირად ეროვნული ნიჰილიზმის გზას ადგებოდა, სწორედ ამ ნიჰილისტურ ტენდენციას ებრძოდა პოეტი ქალი და ამ თემას მიუძღვნა მან ლექსი „ჩემი ერი", რომელშიაც ვკითხულობთ:

არც ერთ ერისთვის ცუდი არა მსურს,
ყველას სიკეთე გულწრფელად მინდა,
და ჩემი ერი რომ უფრო მიყვარს,
ნუთუ ეს გრძნობა არ არის წმინდა?!
უცხო ერის შვილს გულით ვმეგობრობ,
მაგრამ ქართველი ძმად არ მეთვლება?
და ჩემი ძმა რომ უფრო მიყვარდეს
ნუ თუ ეს ცოდვად მე ჩამეთვლება?!

შემდეგ ლექსში ნათქვამია, რომ პოეტმა სამშობლოს უნდა მისცეს გულიცა და გრძნობაც, თვით სიცოცხლეც შესწიროს, და თუ რამე ძალა შესწევს, თუ ამის ძალ-ღონე ეყოფა, ერთგულად ემსახუროს საკაცობრიო იდეალებს.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მწერალი ქალი კლასიკურ ტრადიციას მისდევს კვალზე. ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ ხსენებული ლექსი „ჩემი ერი" თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს ერთ ადგილს ვაჟაფშაველას წერილიდან „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი". ვაჟას ამ წერილში ვკითხულობთ:

„თუმცა ყველა ერები მიყვარს და ყველასათვის კეთილი მინდა, იესო ქრისტე რომ ჩამობრძანდეს და კალთით ერთათვის „ბედნიერებას" ატარებდეს დასარიგებლად, ზაჩუქრად, ჩემი თხოვნა ეს იქნებოდა: „ეგ ბედნიერება, მაცხოვარო, შენი ჭირიმე, ჯერ ქართველებს და მერე სხვებსაც მიეთქო". და განა მარტო მე მოვიქცეოდი ასე? არა, ყველაც ამას იტყოდა, ვინც უნდა იყოს იგი: ინგლისელი, რუსი, ფრანგი, ლეკი, თათარი, სერბი, ბოლგარი და სხვადასხვა... გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები, ნუ შეუშლი იმათ ხელს კეთილ მისწრაფებისადმი მიდრეკილს, არამედ შეუწყე კიდეც ხელი, თუ შეგიძლიან".

აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ — ვაჟას ზემოხსენებული წერილი გამოქვეყნდა 1905 წელს, „ივერიის" ფურცლებზე, და საქმე ის არის, რომ ნაბეჭდ ტექსტში არ არის ის ადგილი, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ. ამ აბზაცის შემცველი ვარიანტი ინახება აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელთნაწერთა ინსტიტუტში, ვაჟა-ფშაველას ფონდში. ხომ ნათელია, რომ საფო მგელაძეს არ შეეძლო წაკითხული ჰქონოდა ამ წერილის არქივისეული ვარიანტი. მაშ ირკვევა, რომ ერთი საფიქრალი, ერთი საზრუნავი აერთიებდათ, ერთი მხრივ, მხოფლიო ლიტერატურის გენიოსსა და, მეორე მხრივ, ჩრდილში მყოფ მოკრძალებულ პოეტ ქალს.

ძალიან ნაზი და გულითადი სითბოთია სავსე პოეტი ქალის ლირიკა, მასში გამოხატულია გულწრფელი ადამიანური სიხარული და უბრალო მწუხარება, რომელსაც შეიძლება სულ უბრალო მიზეზი უდევს საფუძვლად. შენ ავადა ხარ, გარეთ ვეღარ გამოდიხარ და ოთახში კარგამოკეტილს დარდი შემოგაწვა გულზე, გგონია, რომ ყველას დაავიწყდი, ამ დროს შენს სანახავად ვილაც მოვიდა და ისევ განათდა ქვეყანა, გეუფლება სიხარული, რომელიც უმალ არჩენს გულის ჭრილობას. მგრძნობიარე პოეტმა ქალმა მეგობრების მოსვლა ისე დაგვიხატა, თითქოს მზემ მის ოთახში სხივები კი არა, სიხარული გადმოაფრქვია, ამ გრძნობებს გადმოცემს პოეტის ლექსი, რომელსაც სათაურად აქვს — „ალიო მაშაშვილს და ტერენტი გრანელს". აი ეს ლექსიც:

ორნი მოხვედით ჩემს სანახავად,
ორნი მოხვედით პოეტურ გრძნობით,
ვიყავი ცუდად, ვიყავი ავად
და მწვავდა სევდა ამოუცნობი
მეც მეგობრები თურმე მყოლია,
და ქრება სულში ბურუსი მუქი,
ტერენტის მძაფრი მელანქოლია,
ალიოს თმების ნათელი შუქი —
იჭრება სახლში და ღარიბ ბინას
კვლავ პოეზიით ააფერადებს,
მათ სულში კიდევ მრავალ ლექსს სძინავს,
კვლავ ახალ აზრებს ახდიან ფარდებს.
ერთს ისევ სტანჯავს ჩვეული დარდი,
მეორეს ისევ სწყურია ბრძოლა,
მე ვნატრობ სითბოს, სინაზეს, ვარდებს
და მომეწყინა ლოგინში წოლა.

შესანიშნავად არის გადმოცემული განწყობილება და, ამავე დროს, მსუქი შტრიხებით დახატულია სამივე პოეტი — ოქროსფერთმიანი ალიო, მელანქოლიური, სევდიანი ტერენტი და თვითონ ავადმყოფი საფოც — მონატრებული მეგობრების ალერსიან სიტყვას, ვარდებსა და სითბოს.

სულ სხვა სურათი იშლება ჩვენს თვალწინ როცა პოეტი გვიხატავს ეპიკური, დინჯი შალვა დადიანის მონუმენტურ სურათს. აქ უკვე მისი შესაფერი სახეები ევლინებიან პოეტის ფანტაზიას. ვისაც შალვა დადიანი უნახავს, მას არასოდეს დაავიწყდება მისი ახოვანება და განთქმული ქართული სიდარბაისლე, მისი თავისებური ხმა, მთელი მისი გარეგნობა, რომლებიც ბუნებრივად იწვევდნენ იმ სახეებს, რომლებიც გვხვდება ლექსში „შალვა დადიანს" — აქ უკვე ჩნდება შორეული ლანდები — იალბუზი და არწივები, აზვავება დააფოლადება, თეთრი ზმანება და ცეცხლით წრთობა.

პოეტი ქალის მუდმივი საფიქრალი საქართველოს მომავალია. მისი მზერა ახლა მთიანეთისაკენ არის მიმართული, იქ ეძებს იგი უებარ წამალს ბარში დაჩიავებული თაობის განსაკურნავად. ეს მისწრაფება მან გამოხატა ლექსში „თუში", რომელშიაც გადმოცემულია სწრაფვა ჯანსაღი საწყისებისადმი, მოწოდება მოდგმის განახლებისა მთაში შენახული უკვდავი ფესვებიდან. ეს არის დაბრუნება მიწასთან. დაუძლეველი სურვილი იმისა, რომ ქართველი ერი შენახულ იქნას, არ დაკნინდეს, არ დაიჩაგროს, არ მოადუნოს ქალაქურმა ცივილიზაციამ, გაჰყვეს კაცობრიობის ზეალმავალ წინსვლას და, ამავე დროს, შეინარჩუნოს ქართული ჯიშის, ქართული ჯილაგის

თანდაყოლილი ხიბლი და გამძლეობა. აქ იგივე პრობლემაა რაც მიხეილ ჯავახიშვილმა წამოჭრა თავის შესანიშნავ რომანში „თეთრი საყელო“.

მძაფრი მოქალაქეობრივი გულისტკივილი ისმის ლექსში „ბაგრატის ტაძრის ნანგრევები“. ამ ლექსს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, იგი ახლაც საგანგაშო გაფრთხილებად ისმის, ვინაიდან მოუწოდებს თანამემამულეს გაუფრთხილდეს არა მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობას, არამედ დაფიქრდეს მომავალზეც. უმშვენიერესი ტაძრის ულვთოდ დანთქმული და ჩამონგრეული კედლების დანახვისას პოეტი მწარე ფიქრებს ეძლევა — ვნახე ადგილი, ტურფა, მთიანი, ქვები დათლილი, ჩუქურთმიანი, და მით მდულარე წყლულს გადამესხა, თავი დავლუნე, გავწითლდი, შემრცხვა... შემრცხვა ყველაფრის, შემრცხვა იმისი, რომ მთლად გავმხდარვართ საჯიჯგნი ხზვისი. კაცი ქვეიანი სახლს არ დაამხობს, ახალ ხეს დარგავს, ძველს არ გაახმობს. შენ კი, ქართველო, აბა, რა ჰქენი, აბა რას ამბობს შენი საქმენი? რა გააკეთე, რა შეიძინე, ღვინო დალიე, დაილიდინე, ადგილ-მამული ნაანდერძევი, ვერ შეინახე, ვერ დაიცავი. ამა, რლვეულა დიდი ტაძარი და ქართველთა ძე ნეტავ სად არი?! რად არ ამოვა ამ მთის მწვერვალზე, რა აფარია ნეტავი თვალზე? რად არასა გრძნობს, რად არას ხედავს, ხედი დაჩაგვრას როგორ უბედავს?!

ეს მწარე სტრიქონები პოეტი ქალის ახალგაზრდობის დროინდელია, ლექსს თარიღად უზის 1915 წელი. და ეს ეროვნული თვითშვემის გრძნობით გამსჭვალული სტრიქონები მარტო ერთი ტაძრის ნანგრევებს როდი დასტირიან, მკაცრი შთაგონებით ალხავსე ; ამ ლექსის მიზანია გაალვიძოს მთელი საქართველო, ფეხზე წამოშალოს, გააგებინოს, რომ თურმე ვიდრე მას ღრმა ძილით ეძინა, სადღაც, ძალიან შორს, ცის ჰორიზონტზე გარიჟრაჟის პირველმა სხივებმა გაიელვეს. ახლოვდებოდა დრო დიდი არჩევანისა და ქართველი მას ფხიზლად უნდა დახვედროდა.

ქართლის ისტორიული გზის განჭვრეტის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სათო მგელაძის პოემა „რას ამბობს თერგი“. დიდი ხანია აწვალებს ქართულ მუზას თემა თერგისა, და არა მარტო ქართველს. ეს მდინარე ხან დაუცხრომელი წინსვლის სიმბოლო იყო და ხან სამყაროს განმაახლებელი რევოლუციისა. რამდენი რამ დაწერილა ამაზე, მაგრამ სათომ მაინც შეხძლო ეთქვა თავისი ორიგინალური სიტყვა. თერგის ტალღების შფოთიან ხმაურში პოეტს ჩაესმის ქართლის ისტორიის ხმები, ხმენას ხან გარდასული ბრძოლების გუგუნი მოელანდება, ხან ხმალდახმალ შეტაკება, ხანაც მოთქმა და ლალადი დაღუპულ მამაცთა საფლავებზე.

ამ პოემაში ყველაზე ძლიერია ის თავები, რომლებიც ეხება რუსთაველის [illegible] პალესტინაში და იქ მის გარდაცვალებას. ავტორი ურთულეს და უძნელეს თემას შეეჭიდა, სცადა გამოეხატა რუსთაველის მწველი სევდა სამშობლოსადმი. მისი უკანასკნელი ამოკვნესა პალესტინაში. „და სამარეს, ობლად შთენილს, მე გავათბობ სუნთქვით. გვაპატიოს უფერული მისთვის ლექსი თუ ვთქვი“, გულახდილად ამბობს პოეტი, მაგრამ მგზნებარე პათოსს, უნაზეს განცდას, ამაღლებულ ემოციას, ქართველი ქალის გულის სითბოს, სევდასა და ცრემლში ამოვლებულ სიყვარულს მაინც თავისი გააქვს და პოემა ინტერესით იკითხება. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ არ მეშლება, ეს იყო პირველი ცდა მეოცე საუკუნის მწერლობაში, როცა პოეტმა ხელი მოჰკიდა პალესტინის თემის ესოდენ ფართო წარმოსახვას.

რუსთაველი იყო და არის მიუწვდომელი მწვერვალი, ეს იყო სასწაული, რენესანსის პირველი ამობრწყინება, ციხკრის ვარსკვლავი საქართველოს ცაზე, რომელმაც თითქმის სამი საუკუნით დაასწრო ევროპის იმ მძლავრ ლიტერატურულ მოძრაობას, რომელსაც აღორძინების ეპოქა ეწოდება. დავით გურამიშვილმა ზუსტი ფორმულა მოძებნა, როცა „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადე შემდეგი სტრიქონით გამოხატა — „ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისი ვერ ვნახეო და“. ქართული ლიტერატურის ისტორიაში მუდამ ასეთი უღრმესი მოკრძალებით იხსენებდნენ რუსთაველის სახელს.

სათო მგელაძემ მთელი თავისი პოემა ააგო რუსთაველისავე სტრიქონზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ წუთისოფელში არ მოიძებნება არცერთი სულიერი, რომელსაც თავის ბედზე ცხარე ცრემლით არ ეტიროსო: „ვა სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლთა დენად“, ამბობს ავთანდილი და პოეტი-ქალიც რუსთაველის ამ სევდიან ფრაზას პირველ რიგში რუსთაველისავე ტრაგიკულ ცხოვრებას მიუსადაგებს:

ყური ვუგდოთ თერგის ჩივილს,
ნიავს, არემარეს,
იქნებ იცის რატომ მოკვდა
შორთა უცხო მხარეს.

ავტორმა აქ უკვე მიგვანიშნა, რომ ამ ტრაგიკული ამბის ასავალ-დასავალი ზუსტად და მთელი სისრულით არავინ უწყის. გამოჩენილი და უთვალავი მაღალკვალიფიკაციური ქართველი მკვლევარების მთელმა თაობებმა და მათთან ერთად ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებმა ვინ მოსთვლის რამდენი იფიქრეს და იკვლიეს, ყველაფერი შესანიშნავად გაარკვიეს — რუსთაველის მხოფლმხედველობა,

მისი განსწავლის წყაროები, დამოკიდებულება ანტიკურ ფილოსოფიასთან, მსოფლიო ლიტერატურასთან, მხატვრული აზროვნების თავისებურება, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები, პოემის იდეური და მხატვრული სამყარო, პოემის როლი ქართული ეროვნული ხასიათის ფორმირებაში და ა. შ. და მაინც, ყოველივე ამის შემდეგ, ძველი ქართული მწერლობის უალრესად ავტორიტეტულმა მკვლევარმა, აკად. კორნელი კეკელიძემ თავის „ქართული ლიტერატურული ისტორიაში“, სრულიად სამართლიანად, გასაგები გულისტკივილით აღნიშნა:

„ამ გენიოსი პოეტის ვინაობა და ღვაწლი საუკუნეთა განმავლობაში წყვდიადს მოუცავს. აღორძინების ხანის დასაწყისამდე არსად, არც ერთ ძეგლში, მისი ხსენება არაა, არც სადმეა დამოწმებული მისი პოემა“.

ამრიგად, მკვლევარის აზრით, ჩვენ ყველაფერი ვიცით „ვეფხისტყაოსანზე“, საფუძვლიანად გვაქვს იგი შესწავლილი, როგორც მხატვრული ნაწარმოები, ხოლო მისი ავტორის ვინაობასა და ღვაწლზე მატიანე არაფერს ამბობს. და მართლაც, რა აქვს ხელთ დღევანდელ მკვლევარს, სად არის ზუსტი დოკუმენტური ცნობა, დაბეჯითებით რომ დაენდოს კაცი? რას იძლევიან მატიანური თუ სხვა წყაროები? „ქართლის ცხოვრებაში“, იმ ადგილას, სადაც აღწერილია როგორ გაემართნენ ქართული ჯარები სამშრად ბასიანის ველზე, ისიც აღნიშნულია, რომ თამარი ამ დროს „მოიქცა სამცხეს და მოვიდა ოძრახეს და მოიცალა ლოცვად და მარხვად“, მას თან ახლდნენ „იოანე შავთელი, კაცი ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღუაწეებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი, და ბერი ევლოგი, რომელსა მოედო მადლი წინასწარმცნობელობისა“. ხოლო სად იყო ამ დროს რუსთაველი, თუ თამარის ამალაში არ იყო. ეგებ ლაშქარში იყო, სადაც იმყოფებოდნენ „ახალციხელნი შალვა და ივანე და სხუანი თორელნი, ერთკერძო აფხაზნი იმერნი და ერთ-კერძო ამერნი და მერ-კახნი“. და საერთოდ, სად იყო რუსთაველი მთელი ამ წლების მანძილზე, თუ მემატიანემ „აბდულმესიანის“ ავტორი არ დაივიწყა და ესოდენ დიდი მოკრძალებით მოიხსენია, რუსთაველი რაღად დაივიწყა! მაშ |რაღა გვაქვს ხელთ, რაღა გვრჩება? ცნობა პოემის ავტორისა — „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ და ამის საწინააღმდეგო ცნობა ჟამთააღმწერლის მატიანიდან — „მერეთის ერისთავი შოთაი, რომელსაც მანის ფეროხისათვის კუპრობით უხმობდეს“, არის კიდევ შოთას ალაპის ჩანაწერი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში: „ალაპი შოთაისი მეჭურჭლეთუხუცესისაი. ვინც შეცვალოს, შემცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთაისა“, ამავე მონასტრის კედელზეა შოთას პორტრეტი ასომთავრული წარწერით — „ამის დამხატავსა შოთასა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“. ეს პორტრეტი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ინახულა ტიმოთე გაბაშვილმა, შემდეგ კედლები გადალესეს და სურათიც დაიკარგა, ვიდრე იგი ხელახლა არ აღმოაჩინა ქართველი აკადემიკოსების — აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის სპეციალურმა ექსპედიციამ.

ეს იყო და ეს. ამაოდ როდი ახსენა კორნელი კეკელიძემ სიტყვა „წყვდიადი“, ერთი სიტყვით, ვიცით შოთას ცხოვრების დასაწყისი საქართველოში და დასასრული იერუსალიმში. შეუცნობელია შუა პერიოდი — დანამდვილებით არ ვიცით რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ სწორუპოვარი გენიოსი გასცილებოდა სამშობლოს.

რატომ უნდა მომხდარიყო ეს, რა იყო ამ გადაწყვეტის მიზეზი, რით აიხსნება ეს მოულოდნელი და ტრაგიკული ნაბიჯი პოეტის ბიოგრაფიაში? ბრძენი და წინდახედული ჟამთააღმწერელი სრულიად სხვა ამბის გამო შენიშნავს — „კვალად აქაცა ვინებე დუმილი, ვინაიდან შეგულების განსაკრთომელისა მოთხრობისა, დალათუ არა საკადრებელ არს“, — აქაო და იმდენად შემაკრთობელი და განსაცვიფრებელია ეს ამბავი, რომ აქ დუმილი სჯობიაო. ვინ იცის, იქნებ ამ ამბის გამოც მემატიანემ კვლავაც დუმილი ამჯობინა.

აი ასეთ ვითარებაში, ასეთი საყოველთაო დუმილის დროს გაიღვიძებს ხოლმე ხალხის ფანტაზია და ასე იბადება მითები და ლეგენდები. ერთი ასეთი გვამცნობდა, რომ ავისმოსურნე ფანატიკოსებმა, რომელთაც უკუღმართულად წაიკითხეს „ვეფხისტყოსანი“, მის ავტორს ქრისტეს სჯულისაგან განდგომა დასწამეს და აიძულეს იერუსალიმში წასულიყო ამ ვითომცდა თავის შეცოდების მოსანანიებლად. ეს იყო უსამართლო ბრალდება, რომელმაც აღაშფოთა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი როგორც თვით მეთორმეტე საუკუნეში, ისე შემდგომ, აღორძინების პერიოდის მწერალთა შორის.

რუსთაველის პოემის დაცვისა, გადარჩენისა და შესწავლის საქმეს ფასდაუდებელი ღვაწლი და ამაგი დასდო ვახტანგ VI-მ. მან პირველად სტამბური წესით გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ და დაურთო მას საინტერესო მონოგრაფია, რომლის მთავარი მიზანი ის იყო, რომ დაემტკიცებინა — ამ ღრმად ჰუმანისტურ პოემაში არსად, არც ერთ სტრიქონში ანტიქრისტიანული ერესის ნატამალიც კი არ მოიძებნებაო. და პოემა, თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ქრისტიანული სულით და მსოფლშეგრძნებით. ასე, მაგალითად, ვახტანგს მოჰყავდა სტროფი — „თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლებისო“, მონოგრაფიის ავტორი იქვე დაურთავს კომენ-

ტარს — „ამას თვით ქრისტე ბრძანებს საზარებაშიო“. „რაცა ვის რა ბედმან მისცეს“ — აქ დამოწმებულია იოანე ნათლისმცემელიც და პავლე მოციქულიც. „ხამს მელექსე ნაჭირვებსა“ — აქ ესაია წინასწარმეტყველი დაიმოწმა ვახტანგმა — „ისიც ასე ამბობსო“. ტარიელი რომ დაკარგულ ნესტანს მისტირის — „მოსთქვამს, ჰაი, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო“, მეფე-პოეტი ამ სტროფს ასეთ კომენტარს დაურთავს — „ამას რუსთაველი თვითონ მოსთქვამს, ჰაი, საყვარელო, ჩემო ქრისტევ, ჩემთვის ცოდვით დაკარგულო და უბნობს ადამის ცთენას. არ ვიცი თუ ის მცნების ხე ვინ მოგკვეთაო ედემს დანერგულო“, — განსაკუთრებით გონებამახვილურია კომენტატორის ეს მიგნება, აქ ხომ პოეტი ბიბლიიდან ლებულობს სახეს, ახსენებს ედემში დარგულ ხეს და ვინ მოკვეთაო, ტარიელი ამას დასტირისო.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ღრმააზროვნულ და ბრძნულ მხატვრულ კონცეფციას, მის მთავარ მოტივებს — სატრფოსადმი სიყვარულსა თუ ძმური რაინდული მეგობრობის იდეალებს ვახტანგ მეექვსემ პირვანდელ ქრისტიანულ წყაროებში მოუძებნა სათავე. ეს, ჯერ ერთი, იმისათვის იყო საჭირო და აუცილებელი, რომ გზა გადაეჭრა იმ ფანატიკოსებისათვის, რომლებიც ამტკიცებდნენ თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ ანტიქრისტიანული ნაწარმოები ყოფილიყოს და მეორეც — რუსთველური გაგება სიყვარულისა მოდიოდა თვით რენესანსის შინაგანი ბუნებიდან, ხოლო რენესანსი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ყველაზე ადრე და ყველაზე პირველად დაიწყო სწორედ „ვეფხისტყაოსნით“.

საერთოდ, ლიტერატურის ისტორიაში პარალელები და მსგავსებანი ხშირად საზიფათოა და ხელოვნური, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შემიძლია არ გავიხსენო ის, თუ როგორ განმარტავდა ჰეგელი თავის „ესთეტიკაში“ რენესანსის ეპოქის მწერალთა და მხატვართა შემოქმედებას. იგი წერდა: „ქრისტიანი მხატვრები — დანტე, რაფაელი ასახავდნენ მხოლოდ იმას, რასაც იძლეოდა სარწმუნოებრივი მოძღვრება და რელიგიური წარმოსახვანი“. მეორე ადგილას ჰეგელი უფრო ვრცლად განმარტავდა, თუ როგორ განჭვრეტდა სინამდვილეს რენესანსის დიდი მესიტყვე — დანტე ალიგიერი.

„დანტეს თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ ბევრი რამ აქვს ალეგორიული, ასე, მაგალითად, თეოლოგია მასთან ჩაწნულია მისი სატრფოს, ბეატრიჩეს სახეში. მაგრამ ეს პერსონიფიკაცია თითქოს ქანაობს, და სწორედ ეს ქმნის მასში მშვენიერს, — საკუთრივ ალეგორიულსა და მისი სიჭაბუკის სატრფოს გასხივოსნებულ გარდასახვას შორის. თავისი სიცოცხლის მეცხრე წელს პირველად [illegible] მან იგი და მოკვდავი ადამიანის [illegible] მიიჩნია, არამედ ღვთის ასულად. პოეტის მხურვალე იტალიური ბუნება შეიპყრო ბეატრიჩესადმი ვნებამ, რაც არასოდეს არ ჩამქრალა: მან გაალვიძა მასში პოეზიის გენია, და როცა თავისი იმედების ულამაზესი [გაფურჩქვნის] დროს მისი სიკვდილით დაკარგა ყველაზე უფრო უსაყვარლესი ადამიანი, მთელი თავისი ცხოვრების მთავარ ნაწარმოებში საკუთარი გულის შინაგან სუბიექტად რელიგიას ეს განსაცვიფრებელი ძეგლი აუგო“.

ვახტანგ მეექვსის კონცეფცია რუსთაველის საღვთო მიჯნურობის თაობაზე განა არ ეხმაურება გერმანელი ფილოსოფოსის ამ მოსაზრებებს რენესანსის მეორე დიდოსტატის — დანტეს უკვდავ ქმნილებაზე? ასეთი დამთხვევები და შეხვედრები იშვიათი არ არის კაცობრიული აზროვნების ისტორიაში და აქ ქრონოლოგიასა და გეოგრაფიულ პარამეტრებს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროსა და სივრცეს მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონცეფციას, რომლითაც ერთი-მეორეს ჰგვანან რუსთაველი და დანტე, ქართული და იტალიური რენესანსი.

* * *

ამ მაღალი მატერიების შემდეგ, როგორც იტყვიან ხოლმე, დროა დავეშვათ მიწაზე და დავუბრუნდეთ პოეტი-ქალის საფო მგელაძის პოემის განხილვას. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ საფომ თავის პოემას საფუძვლად დაუდო ლეგენდა, რომელიც თავისებურ ახსნას აძლევდა იერუსალიმში რუსთაველის გადახვეწას და იქ ბერად შედგომას. ვინ აიძულა პოეტი გადაედგა ეს ნაბიჯი? საფიქრებელია, რომ თავისი დროის კაიაფამ, შფოთისა და ინტრიგის ოსტატმა, რომლის სახელი არ შემოგვინახა არც ლეგენდამ და არც მატიანემ და რომელმაც განაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის ღვთის მგმობელი წიგნი და იგი უნდა დაიწვასო. საფო მგელაძე ამ ამბავს ასე აგვიწერს:

და ესმოდა შეჩვენება
ეკლესიის თაღებს,
შოთა, როგორც მოჩვენება,
შესცქერს ბაირაღებს.
დგას ტანჯული, ფერმიხდილი,
გულის კარს ვერ აღებს.
ეთხოვება თამარ მეფეს,
საქართველოს ბაღებს.

ამიერიდან მძიმე ხვედრითა და სასოწარკვეთით არის აღსავსე რუსთაველის ყოველი წუთი, ყოველი ნაბიჯი, მთელი ცხოვრება:

მიდის, მიდის, ისევ მიდის,
დი ჰა, პალესტინა,
სად ლეგენდებს, ძველ ლეგენდებს
დაკარგულებს სძინავთ,
სადაც ერთ დროს ნაზარეველს
გზას უკრავდა მტერი,
ნახა იერუსალიმი,
ძველი მონასტერი.
სისხლით ნალებ ქრისტეს პერანგს
თითქოს ჯადო ძალავს,
და წაადგა ის მდუმარედ
თვით იესოს საფლავს.

და აი, რუსთაველი ევედრება ჯვარცმულს იხსნას და დაიფაროს საქართველო კარს მომდგარ სატანჯველთაგან, ევედრება ყოველ წუთს, ცხადშიც და სიზმარშიც. ამ ტრაგიზმით აღსავსე სურათებს რომ ხატავს, პოეტი-ქალი შედის ლოცვის ექსტაზში და აქ მთელი ძალით იგრძნობა იდუმალი სხივფრქვევა სულისა, როცა ლექსი იქცევა ლოცვად. წმინდა ზიარებად და პოეზია შეუმჩნევლად, ქვეცნობიერად. იდუმალი ძაფებით გადაებმება სარწმუნოებას.

დასასრული პოემისა „რას ამბობს თერგი" გაისმის როგორც პოეტი-ქალის ანდერძი მომავალი თაობებისადმი:

ბრუნავს ჩარხი და პოეტიც
შეუმჩნევლად დრკება,
შემდეგ, ბოლოს, გზის დასასრულს
მისი სულიც ცხრება.
სიმი წყდება... თვალთა ისრებს
ჰორიზონტს ვერ სტყორცნის,
ჩდება ცივი და მშობლიურ
მიწის მკერდებს კოცნის.
კვდება. ქრება მასთან ერთად
ლელვა, სწრაფვა, იჭვი,
კვდება გარსი გარეგანი,
არა კვდება ნიჭი.
და პოეტის კარგი ლექსი,
სიტყვა, ვარცდა, ქნარი,
მარად რჩება, მიწა ვერ ჭამს,
ვერც წაიღებს ქარი.
იგი უძლებს საუკუნეს,
კიცხვას, მითქმა-მოთქმას,
ახალ სიტყვად დაუხვდება
ყოველ ახალ მოდგმას.

საფო მგელაძის მოთხრობებზე აქ არაფერს მითქვამს, მათი მოკლე მიმოხილვა ვცადე იმ წინასიტყვაობაში, რომელიც დართული აქვს 1962 წელს გამოცემულ მისი ლექსების, პოემებისა და მოთხრობების კრებულს. საერთოდ ძნელ დროს მოუხდა ასპარეზზე გამოსვლა პოეტ-ქალს. თავის მემუარებში, რომელიც შარშანწინ გამოქვეყნდა ჟურნალ „განთიადის" ფურცლებზე, იგი დაწვრილებით მოგვითხრობს თუ ნერვების რამდენი წეწვა-გლეჯა სჭირდებოდა მხატვრული ნაწარმოების გამოქვეყნებას იმ დროს. ამ მემუარებში აღწერილია მთელი ის სატანჯველი, რომელიც მუდამ თანსდევდა ავტორს მთელი სიცოცხლის მანძილზე. „როგორ დაიწერა ეს წიგნები? — წერს საფო თავის ნაწარმოებებზე — ტანჯვაში, მარტოობაში, აურზაურში, სიცხეში, ყინვაში. რამდენჯერ ვმჯდარვარ მე ამ მაგიდის წინ გათოშილი ხელებით, გაყინული სახსრებით, ათრთოლებული ხან განცდით, ხან ოცნებითა და ხან სინამდვილით. მე ვმუშაობდი, ვიტანჯებოდი და დავიღალე, დავიღალეეე. — და მინდა გაალოს ამ სიტყვამ კარები, წავიდეს შორს, შორს". ამ გაჭირვებას ემატებოდა და უფრო აუტანელს ხდიდა ცალკეული რედაქტორებისა და გამომცემლების გულგრილობა, როცა წლების მანძილზე აჭიანურებდნენ მწერლის ნაწარმოების გამოქვეყნებას.

მთელ ამ ტანჯვასა და წვალებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ერთ დღეს სასოწარკვეთილმა პოეტმა ქალმა თავის ბინაზე გამოაღო კარადის უჯრა და გამოიღო საწამლავით სავსე შუშა. ერთხანს ატრიალა ხელში. და გონზე მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა თავისი მოხუცი დედისა და საკუთარი შვილის ხმები ჩაესმა და ამ ხმებმა შემოაბრუნეს იგი სიცოცხლისაკენ, შეახსენეს, რომ არ შეიძლება ასე იოლად, ასე უბრალოდ დასტოვო ეს წუთისოფელი. კიდევ იმან შეაძლებინა ამ ქალს დაეძლია ეს ცთუნებანი და თავის მოკვლაზე აღარ ეფიქრა, რომ მას არც ისე ცოტა ჰყავდა მხარდამჭერნი, რომელნიც დიდად აფასებდნენ მის წიგნებს მათი ყურადღება ამხნევებდა საფოს და შთააგონებდა — გულს ნუ გაიტეხო! მის თანამოკალმეთა და თანამგრძნობთა შორის იყვნენ ნიკოლოზ მიწიშვილი და ტიციან ტაბიძე. ჟურნალ „დროშის" იმდროინდელი მესვეურნი — პაოლო იაშვილი და სანდრო შანშიაშვილი, „მნათობის" იმდროინდელი რედაქტორი გიორგი ყურულაშვილი. გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე; მწერალმა ქალმა ბაბილინამ თურმე გადასცა საფოს — დავით კასრაძე მეხვეწება — როგორმე გამაცანი საფო, „ლიანა ლორდიასთანა" წიგნი ჯერ ქალის ხელს არ დაუწერია. ამ წიგნმა ჟორჟ ზანდის რომანები გამახსენა, რომლებსაც ახალგაზრდობაში გატაცებით ვკითხულობდით: მწერალთა ახალი თაობიდან საფოს შემოქმედებას ღრმა ინტერესით ეპყრობოდნენ აკაკი გაწერელია, ლადო ასათიანი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი შატბერაშვილი. ალექსანდრე გომიაშვილი. დიმი-

ტრი ბენაშვილი, ამ სტრიქონების ავტორი და კიდევ ვინ მოხთვლის. 30-იანი წლების დასაწყისში მე და დიმიტრიმ საფოს ახეთი წერილი მივიღეთ: „თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: „ფედერაციაში" (ასე ერქვა წინათ გამომცემლობა „მერანს", გ. ნ.) შევიტანე განცხადება ჩემი მოთხრობების გამოცემის თაობაზე. იქ მთხოვეს წაიკითხოს ვინმემო და მე დავასახელეთ თქვენ, ორივენი. ორი მოთხრობა დაბეჭდილია, ორიც დაუბეჭდავი. წაიკითხეთ, თუ ჩემი მეგობრები ხართ, ძმა-მეგობრები და მიუკერძოებლად თქვით თქვენი აზრი. ჩემს ნაწერებს მე თვითონ გადმოგცემდით, მაგრამ დღეს თბილისიდან მივდივარ და მეჩქარება. იმედი მაქვს, მიხვალთ უეჭველად. ნახვამდის, კახელებო, პატივსცემით და მეგობრული სალამით — „საფო მგელაძე". ჩვენ მართლაც მიუკერძოებელი რეცენზია წარვუდგინეთ გამომცემლობას და მოთხრობების: ეს წიგნი მალე გამოიცა კიდეც. მწერალი ქალი თავის მემუარებში მეორე შემთხვევასაც იხსენებს, როცა ჩემმა ე. წ. შინა რეცენზიამ ხელი შეუწყო საფოს წიგნის გამოცემის საქმეს.

ახლა, დაბადების ასი წლისთავზე რომ გადავხედე საფოს ლექსებსა და მოთხრობებს, კვლავ ცოცხლად დამიდგა თვალწინ ეს შესანიშნავი მწერალი და ადამიანი, შემოქმედების ცეცხლით მუდამ ანთებული საფო. მას ჰქონდა ნათელი შეგრძნება ცხოვრების სიმართლისა, უყვარდა ყველაფერი, რაც ლამაზი და სათნოა ამ ქვეყანაზე, სძულდა ბოროტი, ავი, ვინც შხამსა და გესლსა სთესავს. და ამ გრძნობებს იგი მარჯვედ და კარგად გამოხატავდა. და სწორედ ამის გამო მას უფლება აქვს კვლავ წარსდგეს ქართველი მკითხველის წინაშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლამარა კიკილაშვილი

# „ეგეთად დარჩი"...

იმ მძიმე დღეებში, რევაზ ინანიშვილს რომ ვაცილებდით, მისი „სამაგიდო რვეულების" მეთორმეტე, უკანასკნელ რვეულს ვფურცლავდი, რომელიც, ფანჯარასთან მაგარ ბატარა მაგიდაზე იდო. ბოლო ხანს რეზო ამ მაგიდასთან იჯდა ხოლმე, აქ წერდა და აქ კითხულობდა.

„სამაგიდო რვეულების" არსებობა ყველამ იცის. რეზო ხომ ხშირად პირდაპირ აქედან აქვეყნებდა ჩანაწერებს და ზოგიერთი სულ რამდენიმე სტრიქონიანი ჩანაწერი, მთელ მოთხრობადაც რომ ღირს, არც შეიძლება ვინმეს დაავიწყდეს.

მეთორმეტე რვეული 1990 წლის სექტემბრით იწყება... უკანასკნელი ჩანაწერებიც აქვეა. საკუთარი ხელითაა შეკრული, უბაზო, კარგი ბარისხის ქაღალდით. ზემოდან უფრო სქელი ქაღალდი აქვს შემოკრული და აწერია — რ. ინანიშვილი, XII, 1990. როგორც ყოველთვის, ფანქრითაა ნაწერი, სულ 75 გვერდია... ბოლო გვერდი, რომელსაც 76 აწერია, ცარიელია... ცარიელია რვეულის, დაახლოებით მესამედიც.

მაპატიონ რეზოს ოჯახის წევრებმა, ეს რვეული მათი კუთვნილებაა, მაგრამ აქედან ერთორ სტრიქონს მაინც მოვიტან.

18 ოქტომბერს — 1990 წელს რეზო წერს:

„...ორი დღის წინათ შემხვდა ა. გ-ნი, ყოფილი მფრინავი, ახლა ჟურნალისტი, ჭაღარაალარა, თეთრი მთლიანად. გაუბედავად მითათუნებდა ბეჭებზე ხელს:

— შენ განაცვალე, შენ! რაც შენი იბეჭდება, ჩემთვის ყველაფერი ლოცვასავითაა. ეგეთად დარჩი, ეგეთად დარჩა რაც არ უნდა ხდებოდეს ქვეყნადო.

ამ სიტყვებს სხვებიც ისმენდნენ. ფეხებარეული წავედი ჩემი სამხაზურისკენ..."

აი, როგორი იყო რეზო.

**ზაფხულშივე, რეზოს რომ უკვე სერიოზულად დაეტყო ავადმყოფობა და ჩვენი ცხოვრება კი არნახულად აირია, მინდოდა მეყვირა, ხმამაღლა მეყვირა — ხალხო! რეზო ინანიშვილს მივხედოთ! ავადაა! ნუ გადავლივართ** შუაზე-მეთქი! — რაღაც ასეთის დაწერას ვფიქრობდი, სადმე, რომელიმე გაზეთში... რეზოსი მომერიდა, მომეკრძალა... იქნებ ყველას ერთად რომ გვეფიქრა მასზე, რამეს გავხდებოდით...

„...ყვავილივით კაცი იყო, ყვავილოვანი სიტყვის მსახური, სპეტაკი, წმინდა კეთილი და პატიოსანი... გვაპატიე, რომ ჩვენ ვერა ვართ კარგები"... — ამ სიტყვებით გააცილა მამა თადეოზმა 1991 81 დეკემბერს დაჭრილი, დაშინილი, სისხლმდინარი ამქვეყნიური საქართველოდან მარადიულ, ზეციურ, ყვავილოვან საქართველოში რევაზ ინანიშვილი.

სამუდამოდ ჩაიარა მშვენიერმა სულმა, ჩვენც რომ გვამშვენებდა, სიკეთითა და სიმშვიდით გვავსებდა, სიყვარულსა და თანაგრძნობისთვის განგვაწყობდა... და უსათუოდ მშვენიერებაში წავიდა.

არასოდეს განმეორდება მისი ჩვენს გვერდით, ჩვენს სიახლოვეს არსებობა... არასოდეს განმეორდება თუნდაც ბოტანიკურ ბაღში მასთან ერთად ნანახი ფერები, რომლის სადღეგრძელოს ის მერე, დიდი ხნის მანძილზე სვამდა, სილნალის გამჭვირვალე ოქტომბერი, ნისლიანი მწვერვალები თელავის გადასახედიდან, რუსთაველის პროსპექტის სიმშვიდე აპრილის აფეთქებული თელების ქვეშ.... ის თელებიც ხომ დიდი ხანია გაქრა...

მე ამას მისი უახლოესი მეგობრების სახელით ვამბობ, უახლოესთა სახელით, ვისაც იგი წლების მანძილზე თითქმის ყოველდღიურად ხვდებოდა, ვისთანაც იბრუნებდა გარეგნულად მშვიდ, მაგრამ სინამდვილეში აფორიაქებულ სულს... თუმც, არა... რევაზ ინანიშვილს ბევრი მეგობარი ჰყავდა, მას ყველა სჭირდებოდა და იგი ხომ ყველას სჭირდებოდა და სჭირდებოდა.

ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ რევაზ ინანიშვილი გარდა იმისა, რომ ჭეშმარიტად დიდებული მწერალი იყო, უბრწყინვალესი მოთხრობებისა და წიგნების ავტორი, თავად იყო წიგნი, თვით მისი პიროვნება იყო საკვირველი

და საინტერესო, ამოუწურავი სიბრძნისა და სილამაზის წიგნი, რომელსაც ჩვენ, მის სიახლოვეს მყოფნი აგერ, ორმოც წელზე მეტია, ვკითხულობდით მოუწყენლად, სიყვარულით და ხშირად დიდი აღტაცებითაც.

ამიტომ ის, რაც ამ მეორე წიგნში წავიკითხეთ, ყველას უნდა მოვუთხროთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მოვუთხროთ კალმით და ზეპირად, რათა მათ კიდევ უფრო მეტი იცოდნენ რევაზ ინანიშვილზე — ამიერიდან ქართველთა მიერ დიდ მწერლად, კლასიკოს მწერლად აღიარებულთა შორის მოსახსენიებელ კაცზე.

ორიოდე სიტყვით მის ხაშმსა და უჯარმას გავიხსენებ... იქაურობას დიდი ხანია ვიცნობ, წიგნებით კი არა, ესე იგი, მხოლოდ რევაზ ინანიშვილის მოთხრობებით კი არა, საკუთარი თვალით მინახავს, მასთან ერთად მომივლია ის ადგილები...

„მე რომ უჯარმიდან ჩამოვედი..." — ასე იწყებოდა „პირველ სხივში" დაბეჭდილი მისი ერთ-ერთი პირველი მოთხრობა. ის ფრაზა სულ მახსოვს და მახსოვს, რადგან ამ ფრაზით შეიხსნა რევაზ ინანიშვილის ჩემთვის ძალიან ახლობელი, ძვირფასი და უმშვენიერესი სამყაროს კარი.

ხაშმსა და უჯარმაზე გიამბობდით... დიახ, ეს რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში აღწერილი სამყაროა, შეიძლება ითქვას, მისი სამყაროც... სამყარო, სადაც ის ყველაზე უკეთ გრძნობდა თავს... იქ მისი პიროვნება მთლიანი იყო, თავისუფალი და არაფერი უშლიდა ხელს, ასეთი ყოფილიყო, როგორიც იყო სინამდვილეში. იქ ყველაზე უკეთესად შეიძლებოდა მისი დანახვა.

იქვე ცხოვრობდნენ მისი გმირები — ბლუკები, კოწოწაშვილები, ბიბო... იქაურები არიან მისი წივწივები, სკვინჩები, ჩიტბატონები...

იქაურობას ხატავდა კიდეც, ხშირად ხატავდა, — ფანქრით, პასტელით... მისი ნახატები იმავე სინათლითა და ტკივილით თრთის, რითაც მისი ყველა მოთხრობა...

ერთი სიტყვით, უამყველაფროდ მას არსებობა არ შეეძლო. გაიქრებოდა და, მისივე სიტყვით, რომ ვთქვა, მარტოდმარტო „დაეხეტებოდა", დადიოდა, კლდესა და ღრეში დაყიალობდა. ზოგჯერ კიდეც ჩაუყუჩდებოდა ამ სილამაზეს და უსიტყვოდ ჭვრეტდა... ერთხანს ასე „იმარტოვებდა" (მისივე სიტყვაა), სულს მოითქვამდა და ქალაქს ისე უბრუნდებოდა.

მაგრამ, ვფიქრობ, გადავაჭარბე... რეზოს არ უყვარდა, მასზე რომ ასე ლაპარაკობდნენ, თანაც ვგრძნობ, ისეთს ვერას ვამბობ, სხვამ რომ არ იცის. ყოველივე ამის გაგება მისი წიგნებით უკეთესად შეიძლება...

სხვათა შორის, რეზო მკაცრიც იყო, მკაცრი და მომთხოვნი საკუთარი თავისაც და სხვების მიმართაც. ამ ათი წლის წინ ძლივს ერთადერთხელ დავითანხმე, რადიოში მასზე გადაცემა მომემზადებინა. მაშინ ჩავწერეთ მაგნიტოფირზე მოთხრობები, თავად რომ [illegible] შეკითხვებზე კი ძუნწად მიპასუხ[illegible] მისი პასუხები არსებითი იყო, ღრმად გააზრებული და საინტერესო.

იმას ვამბობდი ,მკაცრი იყო-მეთქი... როცა შევეკითხე, როგორ ახერხებ, ჩვენს აჩქარებულ საუკუნეში ასეთი ურთიერთობის შენარჩუნებას ბუნებასთან-მეთქი, მკაცრად მითხრა, არავითარი გამორჩეული ურთიერთობა არა მაქვს ბუნებასთან, შეიძლება სხვებთან შედარებით ცოტა მეტი შესაძლებლობა მქონდეს ტყეებთან, მინდვრებთან, წყალთან დარჩენისა, ეს არის და ეს, სხვა მხრივ, მეც ისე ვფიქრობ, როგორც ყველა — გარემომცველ სამყაროს გაფრთხილება უნდაო...

მის დიდ წიგნში, როგორც ტარიელ ჭანტურია ამბობს — მის „ერთ, ერთადერთ რომანში" კი ასეთ სტრიქონებს ბევრჯერ წაიკითხავთ:

„...თქვენ ეს ამბები აქ არ გჯერათ, ელექტრონით გაჩირაღდნებულ, გაკრიალებულ თბილოთახში, მაგრამ საკმარისია ალმოჩნდეთ სიბერით ტანდაკოჟრილი მუხების ტევრში — ფოთლის ჩამოვარდნა რომ ისმის შორიდან, ნისლიც კი რომ შმაშუნით ედება კენწეროებს, — და მაშინვე დაიჯერებთ ყველაფერს.

შეგიძლიათ ყური ათხოვოთ ფოთლის ჩამოვარდნის ხმას ტყეში?"

ვერ ვიტყვი, რა ჟანრს განეკუთვნება ერთი პაწია ნახევარგვერდიანი ნაწარმოები რევაზ ინანიშვილისა, „ზამთრისპირის ხევდა" რომ ჰქვია. რა არის ეს — ლექსი, მუსიკა, ფერწერა... ალბათ, როგორც თვითონვე იტყოდა, ის „ლექსივით მკვრივი და მუსიკასავით მეტყველი ნოველა, რომელიც მთელი ძალით იზიდავდა"...

არ შეიძლება, არ გახსოვდეთ: ზამთრისპირის ბურუსიან დღეს ოთხი თეთრი ვეება ფრინველი უხმაუროდ რომ მოფრინდა და ბაღის ბოლოში, ფოთოლგაცვენილ კაკალზე დაჯდა... მასწავლებელი რომ გამოვიდა, აკანკალებული ხელებით ჩააწყო გადახსნილ თოფში ვაზნები, ჩაიპარა ორღობეში და ყველაფერი დააზანზარებინა წყვილი გასროლით...

თოფნასროლი მშვენიერება! რეზოს სჯეროდა რომ ვერავინ მოკლავს სილამაზეს, ვერავინ მოკლავს ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე ზამთრისპირის ულამაზეს ხევდას.. მაგრამ როგორც ჩანს, შინაგანი შიში მაინც ჰქონდა. ეშინოდა, ვინმეს თოფის სასროლად არ გაეწირა იგი...

ის იყო კაცი, ვისაც შეეძლო, მიწისათვის ჩაეროკა და მადლობა ეთქვა მისთვის მიძღვნილი სანახაობისთვის. ნაშუადღევს გალვიძებულს, თვალდახუჭულს წარმოედგინა, ჩრდილიან ფერდობზე, ყვითელ ფოთლებზე როგორ დევს თეთრი ჭირხლი, ხმელი წიფლის ფესვებთან როგორ მილიკლიკებს მომწვანო წყალი და ხეების კენწეროებთან როგორ ანთია მზე...

ამით ბედნიერს ამოეწყო ხალიჩქვეშ ხელები, ღმერთო, ჩემი კეთილი მიწა მიცოცხლეო, ეთქვა და ტკბილად ჩახძინებოდა...

მინდა, შემოგთავაზოთ ფრაგმენტები რევაზ ინანიშვილთან საუბრისა, რომელიც 1981 წლის მარტშია ჩაწერილი და საქართველოს რადიოს ფონდში ინახება. ამ ჩანაწერებში ჩანს და კარგადაც, რა ასაზრდოებდა მის სულს, რა სტკიოდა, რა უხაროდა... სად პოულობდა ფესვებს თავისი მოთხრობებისათვის, სად პოულობდა და როგორ ეფერებოდა თავის სათაყვანებელ ქართულ სიტყვას...

„...მე სოფელში ვარ დაბადებული და იქვე მაქვს გატარებული ჩემი ბავშვობა, სოფელს არა ვარ მოწყვეტილი დღესაც. თუკი რამეა აღბეჭდილი ჩემში ბედნიერი დაღით, ეს მიწაა, ბალახია, სითბოა და სიგრილეა, რასაც ისინი როცა ფეხშიშველს შემეძლო სიარული. ეს გარემოება მოთხრობა „ჩემი ბავშვობის ეზოებ შიც“ მაქვს აღწერილი. ამის გახსენებისას საოცრად კეთილი, გამაჯანსაღებელი ჟრუანტელი დამივლის ხოლმე სხეულში...

ეს იყო მაშინ, ჩემს ბავშვობაში, ახლა მეჩვენება, რომ დიდი რამ დავკარგეთ ადამიანებმა. ვიღას შეუძლია, რომელ ბავშვს თავისი სათუთი ფეხებით უდარდელად იტანტალოს სოფლის გზებსა და შუკებში... ახლა ხომ სადამდეც ადამიანი გასწვდება, მიწა მოფენილია რკინის, პლასტმასის, მინის და ბეტონის ნამსხვრევებით. ვუყურებ ხოლმე ჩემს მშვენიერ მდინარეს — იორს და გული მიკვდება, ვიღა გაბედავს შიგ ფეხშიშველი შესვლას, თუ ის ადგილი დიდად არ არის დაცილებული სოფელს. მისი ფსკერიც ხომ ათასგვარი მახვილი და აჯღლარდული წარმოების ნარჩენებით არის მოფენილი... სადღაა ჩემი ბავშვობის დიდი ხეები, დიდი ცაცხვები, თელები, იფნები, კაკლები... გადაშენდნენ. ახლა მათ ადგილზე წვრილ-წვრილი ხეხილია გაშენებული, ფაცაფუცა, მსხმოიარე ხეხილი. სარგებლობას დიდს გვაძლევს, მაგრამ რაღაც ამაღლებულს, დიდს ველარ ვგრძნობთ, რასაც გვაგრძნობინებდნენ დიდი ხეები. აი, ამგვარი სისუფთავის, ამაღლებულის დაკარგვის შიში დამკრავს ალბათ ჩემს მოთხრობებს, ესაა და ეს. კარგია ეს თუ ცუდი, დრო გვაჩვენებს...“

„...ჩემი ,როგორც მწერლის გამორჩეული თავისებურება ეს არის — თითქმის არაფერს ვწერ ისეთს, რაც მართლა, ან თითქმის მართლა არ მომხდარიყოს, ან რის გაკეთებაც მე არ შემეძლოს.

თქვენ გაინტერესებთ ბლუკები, კოწოწაშვილები, შიო პაპა, ბიბო და სხვანი, „ბლუკები“ თითქმის ნამდვილ ამბებზეა აგებული. მე და ჩემმა სოფლელმა იმერლიანთ მიშამ ვიყიდეთ ღორები სართიჭალაში და წამოვიყვანეთ თოვლში, ვენახების გამოვლით ჩვენს სოფელში. ეს იყო ორმოცდაათიანი წლების [illegible]. ხასიათი ბლუკისა ზოგადია, ეს არის ის [illegible]თი, რაც ჩემს ხალხს, ჩემს გარეკაზელ თანასოფლელებს მოსწონდათ და, მე მგონი, დღესაც მოსწონთ. გვარი — კოწოწაშვილები ამოღებული მაქვს ჯუანშერ სონღულაშვილის წიგნიდან, სოფელ დილომს რომ აღწერს. კოწოწაშვილები ჩემი ძმა და მისი ამხანაგები არიან. ჯიბვა ჩემი ბიძაშვილია, დედის ძმის შვილი ბუტა. ბუტამ შეჭამა სანაძლეოზე წიწაკები და ჩავარდა წყალში. ახლა ის ნამეტანი დაჭკვიანებულია. ნატურიდანვე მაქვს გადმოწერილი შიო პაპა. აქ ჩემი სიმამრი, უჯარმელი კაცი კოლა შინდელაშვილი მედგა თვალწინ. ის იყო ახეთი ტკბილი, ღიმილიანი კაცი. მგლის ხაროში ჩავარდნაც კი ნამდვილი ამბავია, ოღონდ ეს სხვაგან მოხდა, ხაშმში. ასევე ნატურიდან მაქვს გადმოწერილი ბიბო. თუმცა, ბევრნი მეუბნებიან და მეც კარგად ვიცი, რომ ბიბო ვაჟა ფშაველას გოგრას ჰგავს, მაინც არ მაღელვებს ეს გარემოება. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ბიბოს და გოგრას მსგავსი ბიჭები ბევრნი არიან ჩვენს სოფლებში, თანაც თითქმის ერთნაირ გარემოში უხდებათ ყოფნა. მეორეც — ბიბო უჯარმელი ბადრია, პირდაპირი პორტრეტი. ეს ბადრი ოთხი წლის რომ იყო, ჩვენს წყალზე ჩამოდიოდა ხოლმე დოქით ხელში. კარგი, კოპებშეკრული, ღონიერი ბალღი იყო, გონიერი. მახარებდა მისი დანახვა და დიდივით გადავეძრახებოდი ხოლმე — როგორა ხარ, კაცო, ბადრი? ამომხედავდა ჩამოღონებული და მეტყოდა — გული დარდიანი მაქვსო. — რათა-მეთქი, კაცო, ბადრი, რათა? — მამაჩემი არ ჩამოსულა და იმისი დარდი მაქვსო. აი, ეს სახე დაედო საფუძვლად მოთხრობა „ბიბოს“, დანარჩენი — ჩვენი სახლია ხაშმში, ბებიაჩემია, დედაა, ჩვენი კატა ბაზურაა, ჩვენი გადასახედია, ჩვენი წალმიანი და სხვა...“

„...ეტყობა, კარგი ქართული იცოდა ბებიაჩემმა, ჩემმა მეზობლებმა. აი, თუნდაც: ისინი მკვეთრად ასხვავებდნენ ერთმანეთისგან გაზაფხულის ყვავილებს — ენძელასა და თეროს. თეროს ეძახდნენ იმას, პატარა სანთელივით რომ ამოდის პირდაპირ მიწიდან (ნიკო კეცხოველიც, სხვათა შორის, ამ აზრისაა). ენძელას დახრილი. ზარის მოყვანილების თეთრი ყვავილი აქვს. ყოველი სიტყვა შენაძენია ენისათვის. მოდა, თუ ერთი ენძელაა და მეორე თერო, რატომ უნდა დავკარგოთ სიტყვა. ეს მშვენიერი ქართული სიტყვაა, მშვენიერი სახელია...

არცერთი სიტყვა, რაც მე შემომაქვს მწერლობაში, გამოგონილი არ არის, ყველაფერი გაგონილია. აი, თუნდაც — კოდალა რომ ჩვენს ეზოებთან გადმოიფრენდა და დაიწყებდა, „კივ-კივ, კივ-კივო“, იტყოდნენ, კივ-კივით

გადმოიარა კოდალამ, „დარი-დარიო!" — იძახის. დარი იქნება, გაზაფხული მოგვივა. ეტყობა, ყველაფერ ამას ძალიან ადრე მიმაქცევინეს ყურადღება ჩემმა ახლობლებმა...

ყველაზე კარგი საშუალება, რომ ან კილო ჩაგრჩეს ხსოვნაში სადღაც გაგონილი ფრაზისა ან თვითონ სიტყვა დაიმახსოვრო, მოგზაურობაა. არ ყოფილა შემთხვევა, კახეთში ავტობუსით წავსულიყავი და იქ რაიმე არ გამეგონა, არ დამემახსოვრებინა. მოგზაურობა — ამაზე კარგს მერავის ვერაფერს შევთავაზებ, ვერც მწერალს და ვერც სხვა ვინმეს, ვისაც, საერთოდ ასეთი რამ აინტერესებს"...

მაგრამ ეს ერთი მხარეა რევაზ ინანიშვილის შემოქმედებისა — მისი „წყალ-ქალის ხმები"... ერთი მხარე და მისი შემოქმედების ერთ-ერთი მასაზრდოებელი ფესვი. მას სხვა ფესვებიც ასაზრდოვებდა, შეიძლება იმ ფესვებით უფრო ღრმადაც საზრდოობდა და სწორედ ეს აქცევდა მას რევაზ ინანიშვილად, იმ მწერლად, არავის რომ არ ჰგავს... დიდ მწერლობამდე მას სწორედ ეს ამაღლებდა.

„სამაგიდო რვეულებში" არის ასეთი სტრიქონები:

„შეიპყრობდა ეჭვი: სინათლე, რომლისკენაც მიისწრაფოდა დაუყოვნებლივ, ხომ არ იყო პრიმიტივიზმი, რომელიც არ უყვარდა. მიდიოდა გოგენთან, ვან-გოგთან, მოდილიანისთან, მარკესთან და მშვიდდებოდა. აი, მოდილიანის ესოდენ იშვიათი „პეიზაჟი" — სულ რამდენიმე ხაზით მოთავსებული უფოთლო ხე, სახლის სამკუთხა სახურავი, ერთი შავი სარკმელი, იქით, სიღრმეში ზღვა და მერე ბაცი ცა... დამთრგუნველი სილამაზე რაღაც მარტოობისა და განწირულობისა... პრიმიტივისტები ვერასოდეს ასერხებენ აზრის, განწყობილების ამ რანგში ატანას. მათ წამში ალიქვამ და თვალი მაშინვე მოითხოვს სხვას"...

იგი ნიადაგ ისწრაფოდა უჩვეულო სინათლისაკენ და ამ სწრაფვაში უფრო მეტად იმ სხვა ფესვებით საზრდოობდა.

რა იყო ეს... მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა ქვეყნის და ყველა დროის ლიტერატურა, „განსაკუთრებით, „კეთილი კლასიკური ლიტერატურა", საერთოდ, ყველაფერი, რაც კაცობრიობას ღირებული შეუქმნია მწერლობაში, მუსიკაში, ხელოვნებაში, და არა მარტო ამ დარგებში... რეზომ ბევრი, ბევრი იცოდა. მისი გონება წარმოუდგენელ ცოდნას ფლობდა... და ეს ცოდნა სჭვიოდა კიდეც მის სტრიქონებში კეთილი, კეთილშობილური ნათელით...

თუმცა, უკეთესია, მას მოვუსმინოთ:

„...ვთქვათ, სპორტი, რა დაბალი იყო დღევანდელთან შედარებით წინა საუკუნის მაჩვენებლები. აქედან გამომდინარე, მოგეძალება ცდუნება, ლიტერატურაზე გადაიტანო ეს ფიქრი მაგრამ იქ არა, იქ არ გამოდის ასე! არავითარი უფრო მაღალი ნახტომი არც შინაარსის, არც ფორმის მხრივ! ღიმილის მომგვრელია ერთი ლოზუნგი, რომელიც რუსულმა კრიტიკამ ისროლა — წინ, პუშკინისაკენ! პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, და ბოლოს, ბუნინი ისეთი სიმაღლეებია, ისეთი ჯადოსნური ოსტატობის დონეა, მრავალი სიცოცხლე რომ ჰქონდეს კაცს, ბოლომდე ვერ გაართმევს თავს თუნდაც მარტო მათი ოსტატობის საიდუმლოებას. რა თქმა უნდა, ბევრი მწერალი გვიყვარს ქვეყნიერებაზე, მაგრამ ჩემთვის ტოლსტოი, ჩეხოვი და ვაჟა ფშაველა სხვანი არიან. ისინი არიან მდიდარნი, ვითარცა მიწა, ლამაზნი, ვითარცა მიწა. და თუ ისინი მომთავრებულად ჩათვალე, უნდა იფიქრო, რომ უკვე მიწაზეც ამბობ უარს. ძალიან რომ ამტკივა რამე, ტოლსტოის ვკითხულობ, მის „აღდგომას", „მაჯი მურატს", „მამა სერგის", „ბატონსა და მოჯამაგირეს," ან ჩეხოვს — მის წარმტაც „სტეპს", მის მოთხრობებს, ან ვაჟას — ვაჟას გასაოცარ მოთხრობებს, პოემებს. კლასიკა რომ არ არსებობდეს, ასე მგონია, ძალიან გაჭირდებოდა ცხოვრება, ძალიან გაუჭირდებოდა ადამიანის სულს, მით უფრო მწერლისას"...

მხატვრობაზე რომ არაფერი ვთქვათ (უკვე ითქვა, რომ რეზო ხატავდა, ხატავდა მუდამ, თუ არ წერდა, თუ რაიმე საქმით არ იყო დაკავებული, გამუდმებით ფანქარი ეჭირა, მის მეგობრებს მისი ბევრი ნამუშევარი შემოგვრჩა), მთელი სიღრმით გრძნობდა მუსიკას. საათობით უსმენდა მოცარტს, ბახს, შოპენს.

აქედან მოდის მისი პროზის სიახლოვე პოეზიასთან, მუსიკასთან. თავადაც ხომ ამბობს ერთგან: „...მაინც მთელი ძალით მეწევა თავისკენ ლექსივით მკვრივი და მუსიკასავით მეტყველი ნოველა"...

იმ გადაცემაში კი თქვა:

„...ალბათ ადვილი შესამჩნევია, რომ მე მოკლე თხრობას, მუსიკისა და ფერწერის შესაძლებლობებს შეჭიდებული მწერლობის თაყვანისმცემელი ვარ. მუსიკა ყველას ესმარება. ვაიმას, როგორც ბელინსკის აქვს ნათქვამი, ვის სულშიც მუსიკა თავდება. ეს იმას უდრის, სიყვარულის ამოწურვას ანუ ჯოჯოხეთს რომ უწოდებენ ადამიანები. ის მუსიკა ხომ ძვირფასია ჩვენთვის, რასაც მუსიკოსები ქმნიან, არანაკლებია, რასაც ბუნება ქმნის. აქედანაა წამოსული დღეისათვის პოპულარული თქმა, ვთქვათ, სიჩუმე — ჩვენი საუკუნის ყველაზე ძვირფასი მუსიკა! სიჩუმე ტყეში, სიჩუმე აქოთქოთებულ, ალმუვლებულ ქუჩებში ყოფნის შემდეგ. სიჩუმე ღამისა! ანდა მელოდიები — თოვლის ფიფქების ცვენა, ფოთლების ცვენა, წყაროთა ლიკლიკი, ზღვის ტალღების ტლაშუნი. ჩვენ ამას მთელი სხეულით ვნთქავთ.

მუსიკა უფრო კონკრეტულადაც მეხმარება. ჩემი წერითი კულტურის შემუშავებაში, გაღრმავებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის შოპენს. აბსოლუტური სიზუსტე და მეტყველების სიცხადე, თავგანწირვამდე მისვლა ყოველივე ამის განხორციელებისთვის — ასეთია შოპენი ჩემთვის. განუშორებლად თან მდევს ხოლმე ჩვენი ხალხური მელოდიებიც. ძალიან მიყვარს გრძელი, ჩაგუბებული ქართლ-კახური სიმღერები — „ჩაკრულო“, „ზამთარი“, „მაშვი—კაკაბი“, „შენ ბიჭო ანაგურელო“. ასევე ქალაქური მელოდიები — ხარიკ ტალგაუკოვის დასტა. მეგრული მელოდიები, თუში ქალების ნამღერები, ხნვანი და ხნვანი. ერთი დღე ნუ მაცოცხლა უამისოდ.“

ერთხელ, ძალიან დიდი ხნის წინ, ვგონებ მაშინ, როცა რეზომ ლადო ასათიანზე დაწერა მოთხრობა („ლხინი კაცელებთან“), წაგვიკითხა (წაგვიკითხა კი არა, სხვათა შორის, ზეპირად გვითხრა — მთელი რუსთაველი ჩავიარეთ ამ თხრობაში, რაც თელების ხეივანში დამთავრდა — მაშინდელი პიონერთა სასახლის წინ) და ჩვენ ძალიან მოგვეწონა, დაგვპირდა, ოც ნამდვილად კარგ მოთხრობას მაინც დავწერ, ისე არაფერით არ მოვკვდებითო... პირველად კრებული — „შორი თეთრი მწვერვალი“ (რაშიც რუსთაველის პრემია მიიღო) რომ გამოვიდა, წიგნზე მაშინ წამიწერა — „იმ ოცი მოთხრობის ანგარიშში, ოცი წლის წინ რომ დაგპირდით“... მერე ოთხჯერ ოცი კარგი მოთხრობა მაინც დაწერა და ახალ კრებულებზე ასე წამიწერდა ხოლმე — „ესეც იმ ოცი მოთხრობის ანგარიშში“, „ესეც იმ ოც მოთხრობას მიათვალეთ“... უხაროდა, მოსწონდა ხოლმე ზოგიერთი თავისი ნაწარმოები.

უხაროდა სხვისი წარმატებაც. უხაროდა კი არა, საოცარი აღტაცება იცოდა სხვათა წარმატებით.

აი, რა უწერია იმ „მეთორმეტე რვეულში:

„ციskari“ № 9. ირაკლი კაკაბაძე — „Allegro, ანუ ერთი წლის ქრონიკა“. კაკაბაძე ნამდვილი მწერალია, გაბერილი გულით, აკანკალებული ხელებით“.

„...საავადმყოფოში მოვატანინე გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა ხევდა“. გურამ რჩეულიშვილის შემდეგ არავინ მიზიდავს ასე და მაღელვებს, როგორც „ადამიანთა ხევდა“. ხურვილი მაქვს, ხმამაღლა, ყვირილით ველაპარაკო ქვეყანას...

მაბოდებს მოთხრობა — „არწივთან ფრენა“ ბევრი ყოფითი მომენტი არაზუსტია ამ მოთხრობაში, მაგრამ ამათ გვერდით ავტორი შედის ისეთ უჩვეულო სამყაროში, სადაც იძულებულია, ჯადოქრის შეუპოვრობით გაიმეტოს საკუთარი ხნეულიც კი. ჩვენ? ჩვენ ოციოდე გვერდის წაკითხვისათვის ვერ ვიმეტებთ თავს. ხულ მეჩვენება, ყველაზე იძიებს შურს მაგიური მთიული.

...გოდერძი ჩოხელის ტყვეობაში ვარ. კითხულობ... ვნატრობ, ვაჟა ფშაველა [illegible] „ადამიანთა ხევდა“....

ბიბლიოთეკა

რაკი ისევ „მეთორმეტე რვეულს“ მივუბრუნდი, ერთ ჩანაწერს კიდევ მოვიტან:

„...ამ თხუთმეტი წლის წინ მთავრობის სხდომათა დარბაზში ვიღაცამ ქაღალდის ნაგლეჯი ჩადო ჩემს ბლოკნოტში. ეწერა: „გაუფრთხილდით რევაზ ინანიშვილის მშვიდობიან კვამლს მისი სოფლური სახლის სახურავზე“. ქაღალდის ნაგლეჯი დაიკარგა კიდევ კარგი, სიტყვები დამახსოვრებული მქონდა“...

„...ყველაფრის ლექსად ქცევა როგორ შეიძლება, ძმებო!“

„...თქვენ გაშფოთებთ დაღმავალი ხაზები ჩემს მოთხრობებში. მე, პირიქით, კმაყოფილი ვარ. არ არსებობს წრეზე უკეთესი სისრულე, წრე კი ორივეს შეიცავს, როგორც აღმავალ, ასევე დაღმავალ ხაზებს“... — ეს უკვე სხვა რვეულიდანაა. და გამოქვეყნებულია. „საშაგიდო რვეულები“ ალბათ ცალკე გამოიცემა.

„საბავშვო მოთხრობები დიდებისთვის“... — რეზოს მოთხრობებზე ასეთი აზრიც გამოითქვა..

გულისხმობდა თუ არა დიდებს, როცა საბავშვო მოთხრობებს წერდა... — ამ კითხვაზე იმ გადაცემაში რეზომ მიპასუხა:

„...საბავშვო მოთხრობები დიდებისათვის!“ თუ ისა გაქვს მხედველობაში, რასაც რუსები Рассказы о детях-ს ეძახიან, მე იმისთანებს იშვიათად, ანდა სულ არ ვწერ. ჩემი მოთხრობები, რომლებიც, ვთქვათ, გაერთიანდა კრებულში — „შორი თეთრი მწვერვალი“, ნამდვილად ბავშვებისათვის მაქვს დაწერილი, ოღონდ 10—11 წლის ბავშვებისათვის, რომლებიც უკვე კარგად არიან გაწაფულნი კითხვაში. წერის დროს გარკვეული ადრესატებიც კი მყავს, ისინი მიხხედან წინ და იმათ ვუყვები, იმათ ველაპარაკები. ესენი არიან ჩემი მეზობლები, ჩემი ნათესავები, ანდა, სულაც, ქუჩაში შეხვედრილი ბავშვები, მხოლოდ კონკრეტულნი. როცა მეუბნებიან, შენ პატარებისთვის კი არა, დიდებისთვის უფრო წერო, რაღაცნაირად ვლონდები. დიახ, გეთანხმები, მე ვწერ — 8—7 წლამდე ბავშვებისთვის, ბევრჯერ ვცადე, ვერ გამომივიდა. იმათ სხვანაირი თხრობა სჭირდებათ, სხვანაირი თემები, სხვანაირი ხმები. მაგრამ 10—12 წლისანიც ხომ ბავშვები არიან: აქ ილვიძებს სწორედ გმირობის, პატიოსნების, ამაღლებული ყოფისკენ მისწრაფება (მიახლოება ე. წ. გარდამავალ ასაკთან) და თუ იმათ შევაწევ ჩემს ხმას, ესეც კარგ საქმედ მეჩვენება. მე მაქვს ერთი მოთხრობა — „„13 წლის ბიჭი.“ აი, ასეთი ბუნების გაღვიძება მიტაცებს. ასეთი ბავშვები მიყვარს.

მე მკაცრი დამცველი ვარ საბავშვო ლიტერატურის თავისებურებებისა. ეს ცალკე დარგია, ცალკე განსახილველი და სალოლიავებელი. ვაღიარებ: ნაწარმოები პატარებისთვის თუკი დაწერილია მშვენიერების დონეზე, სადიდოცაა. მშვენიერებას დიდი უფრო კარგად გრძნობს. მაგრამ მშვენიერი სადიდო არ გამოდგება პატარებისთვის. „ლურჯა ცხენები", „ნიკორწმინდა" და „ვეფხისტყაოსანი" არ გამოდგება 3—7 წლის ბავშვების აღსაზრდელად. და თუ გამოვიყენებთ, ამით შეუწყნარებელ ნახტომს გავაკეთებინებთ...

საუბარი მხატვრულ კითხვაზეც ჩამოვარდა, რადიოთი ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვაზე. როგორც რადიოს ლიტერატურული რედაქციის თანამშრომელს, ცხადია, მინდოდა, რეზოს თავისი აზრი ყველას გასაგონად ეთქვა.

„...ამ რამდენიმე დღის წინათ, — თქვა მან, — უჯარმაში ყოფნისას ორ დღეს თითო საათი ვუსმინეთ ელენე ბორისოვას, რომელიც სეიფულინას „ვირინეიას" კითხულობდა. „ვირინეია" ნაცნობი ტექსტი იყო, მაგრამ რამდენი რამე მითხრა სულ ახალი, რამდენი რამე გააცოცხლა. აღტაცებული დავრჩი მსახიობის ტექნიკური შესაძლებლობებით, ენერგიით, ძალით. მე ვისურვებდი, ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისთვის გაკვეთილებად მიეცათ ეს ჩანაწერი.

აღტაცებული ვუსმენდი ხოლმე სერგო ზაქარიაძის კითხვას. მავიწყდება მის მიერ წაკითხული „ოთარაანთ ქვრივი", კრიშინ ჩანდრის „მთვარის აღვსების ღამე", ილიას „უყვარლის მთებს". ბრწყინვალედ კითხულობდა შალვა ღამბაშიძე ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობას — „ეპისკოპოსი ნადირობაზე". მახსოვს აკაკი ხორავას წაკითხული ლერმონტოვის „ბელაც".

თანამედროვეთაგან მიყვარს ზინა კვერენჩხილაძე, თათია ხაინდრავა, ჩემი მოთხრობები შესანიშნავად აქვთ წაკითხული ლეილა ძიგრაშვილს, ზაზა ლებანიძეს, ელდინო ხალარაძეს განსაკუთრებით უნდა გამოვყო თენგიზ არჩვაძე მის მიერ წაკითხული „ზამთარი" და „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი." აგრეთვე კარლო საკანდელიძე, რომელმაც ტელევიზიით გასაოცრად წაიკითხა დავით კლდიაშვილის „როსტომ მანველაძე", შემდეგ კი ჩემი „ოჩოპინტრე". მომწონს გიზო სიხარულიძე — ჩემი მოთხრობების დიდი პოპულარიზატორი. მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც უნდა ვთქვა, რომ მოჭარბდა მეტისმეტად შეწუხებული, დამძიმებული განწყობილებათითქოსდა. შთაგონება მხოლოდ დიდი შეჭირვებისას მოდიოდეს. გავიხსენოთ, როგორ კითხულობდა გალაკტიონი „მთაწმინდის მთვარეს". გალაკტიონის ლექსი ცეცხლივით სწრაფია და ბრიალა. მხოლოდ ერთ სტრიქონს კითხულობს ნელა, მაგრამ იმასაც მონწყვეტით — მთელი ლექსის შემდეგ — „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო მართლაც ხშირად უსმენდა რადიოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა უჯარმაში იყო. ტელევიზორს შეიძლება მაინც და მაინც არ უყურებდა (ძალიან მნიშვნელოვანი საფეხბურთო გადაცემა რომ იყო, მაშინაც კი მოშორებით დაჯდებოდა, ან წიგნს ფურცლავდა, ან ხატავდა, ან რომელიმე ჩვენგანს ესაუბრებოდა, ვისაც მისი არ იყოს, არ აინტერესებდა ეკრანის ცქერა. თითქოს ღლიდა ეკრანი, ჩვეული რიტმიდან აგდებდა), რადიოს კი უსმენდა. მახსოვს, მართლაც რარიგ იყო აღტაცებული, როცა თენგიზ არჩვაძემ მისი საუკეთესო მოთხრობები — „ზამთარი", „ჩვენი ფურდედო მაისა" და „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი" წაიკითხა.

საერთოდ, მადლიერების გრძნობა მეტისმეტად გამახვილებული ჰქონდა. არავის უყურადღებოდ არ დატოვებდა, თუკი მის წინაშე ვინმეს თუნდაც მცირეოდენი სიკეთე მიუძღოდა... სულ ახლახანს, შემოდგომაზეც დამირეკა, რადიოს დიქტორებმა — ქეთო ლანდიამ, თინა ელბაქიძემ, მერი მიქელაძემ და სხვებმა საოცრად კარგად წაიკითხეს ჩემი მოთხრობებიო და მითხარი, როგორ დავურეკოო. თუ არ მოეწონებოდა რაიმე, იმაზეც დარეკავდა, გადაეცი, რომ ასე არ შეიძლებაო, მეტყოდა.

რეზოს წერის დროს განმარტოება უყვარდა, სრული განმარტოება. პირველ წლებში, დასთან ერთად პატარა ოთახში რომ ცხოვრობდა და მერეც, შინ ვერ მუშაობდა საჯარო ბიბლიოთეკაში ამორჩეული მაგიდა ჰქონდა და დღე და ღამე იქ იჯდა ხოლმე, კითხვითაც იქ კითხულობდა საუკეთესო მოთხრობები აქვს დაწერილი საჯარო ბიბლიოთეკაში... თუმცა, თუ იქ ვინმე საინტერესოს გადაეყრებოდა, შეეძლო, მთელი დღე მასთან ბაღში გაეტარებინა. მერე, როცა უკვე უჯარმის პატარა სახლი ჰქონდა, ორი—სამი კვირით იკარგებოდა უჯარმაში და საუკეთესო მოთხრობები ჩამოჰქონდა. უმეტესად მთლად მარტო იყო, იჯდა და მუშაობდა, მარტო სეირნობდა, მარტო დაეხეტებოდა ტყესა და ღრეში... მაგრამ რარიგ უხაროდა, როცა ვინმე უჯარმაში მიაკითხავდა... თვალები აუციმციმდებოდა სიხარულით. უნდოდა, მთელი მშვენიერება, რაც იქ ეგრძნო, სასწრაფოდ გაეზიარებინა მისულებისთვის. ერთხელ, გაზაფხულზე უჯარმის ციხეზე აგვიყვანა, ისე მიგვიძღვოდა ბილიკებზე, იმდენ რამეს გვიამბობდა, ისე გვაჩვენებდა უჯარმის ციხის ნანგრევებს და გადასახედებს, თითქოს ვახტანგ გორგასალის მეციხოვნე ყოფილიყოს... დაგვპირდა, ბოჭორმაზეც აგიყვანთ როდისმეო, მაგრამ ის „როდისმე" აღარ დადგა.

ერთხელ, ზამთრის პირზე გომბორის კალთაზე შეთრთვილულ ტყეშიც წაგვიყვანა... ძახველის (ხველას შველისო) და ზღმარტლის მოსაგრო-

ვებლად. რეზო და ჩემი ძმა გივი შორს წავიდნენ. ღრმად შეჰყვნენ ბილიკს და შორიდან გვეხმიანებოდნენ, არ შეგეშინდეთო... ზამთრის პირის ცივ ჰაერსა და სიჩუმეში მათი ხმები უცნაურად ჩამოისმოდა. რაღაც არაამქვეყნიურ სილამაზეს გვაზიარა იმ დღეს რეზომ.

რევაზ ინანიშვილი ერთგან წერს: „...მწერალს თუ ფანჯრის ალების უფლებას არ აძლევენ, უნდა გამძვინვარდეს, უნდა შეეცადოს, როგორც ამას პატიმრები სჩადიან, კოვზის ბოლოთი მაინც ამოკაწროს თავისი სათქმელი კედელზე. თუ იგი, ბედისაგან განწირული, ამას არ იზამს, მწერალი არ არის"...

თითქოს თვით რეზოს არასოდეს დასჭირვებია „გამძვინვარება", არასოდეს გასძნელებია თავისი სათქმელის თქმა... ისეთ მძაფრ თემებზე თითქოს არასდროს უწერია და იმიტომ. მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ მისი ყველა მოთხრობა, თუნდაც სულ უწყინარ თემაზე დაწერილი, ტკივილით თრთის, დაძაბული, მთრთოლვარე ტკივილით... და სწორედ ეს მხჭვალავს მოქალაქეობრივი პათოსით მთელს მის შემოქმედებას... პიროვნულადაც ის ხომ ნამდვილი მოქალაქე იყო — თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, თითოეული, თანამოქალაქის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობით აღვსილი.

ვხედავ, მიჭირს დამთავრება, მაგრამ ვამთავრებ...

არის რევაზ ინანიშვილის წიგნში ეს საკვირველი სტრიქონებიც:

„...სავანე მიწები მაინც სხვა არის იცი, რას ამბობ! მე რომ გამიჭირდება, ორმოცზე მეტი რომ მქონდეს სიცხე, ნაშუალამევს ავდგები, ყველას რომ ეძინება, მაშინ ავდგები, ავიპარები, ჩავიცვამ და წავალ, სუ ფეხით დავადგები გზას. წამომეწევა ვინმე მანქა[illegible] გი, თუ არა და, ეგრევე, სუ [illegible] სილნალის გადასახვევამდე... იქა, იმ სილნალის გადასახვევთან, ხელმარჯვნივ, აღმა-აღმა წასული სავანე მიწები არის, იმ მიწებში, შენს გეხსომება, მარტოხეები დგას აქა-იქ — კოხტები, ლონივრები, თელები, ბერტყენები, პანტებიც დგას. იმ ხეებში ერთი ბერტყენა აქედანვე მაქვს ამორჩეული, ჩავალ, სუ ფოფხვით მაინც მივალ იმ ხესთან, მივჯდები ძირში და იქ დავუცდი ჩემი სულის აღსასრულს, რა დროც არ უნდა იყოს, — გაზაფხული იქნება, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი, იქ, იმ სავანე მიწებში, იმ ბერტყენებთან, ერთხელ კიდევ ვნახავ მზის ჩამოდგომას, მზე თუ არ იქნება, გათენებას მაინც — თუ გაზაფხული იქნება, — მწვანე ჯეჯილებში, თუ ზაფხული იქნება, — თავდამძიმებულ ყანებში თუ შემოდგომა, — შავად გადაბნელებულ ნახნავებში, თუ ზამთარი ,— გადაქათქათებულ თოვლში... გათენდეს ერთი, ერთი ჩამოანათოს მზემ, ერთი ავიდეს თხელი ნისლი და მერე მოვიდეს სიკვდილი, მოვიდეს ტოროლას ძახილში..."

სწორედ ასე, განთიადისას, ისე, რომ არავის გაეგო, ისე, რომ არავინ შეეწუხებინა, უხმოდ, უსიტყვოდ, ჩუმად დაადგა გზას თავისი საყვარელი სავანე მიწებისკენ, მარტოხეებისკენ, ამორჩეული ბერტყენისაკენ... და გადაქათქათებულ ზამთრის დილას სული მისი გაშორდა ნატყვიარ მიწას... გაშორდა და ტოროლების ძახილს აჰყვა მაღლა, სულ მაღლა, კრიალა ცისკენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ლომსაძე

# სელჩუკთა პირველი შემოსევები და მეშკენიდები

დავით კურაპალატის გარდაცვალების (1001) შემდეგ საქართველო—ბიზანტიის ურთიერთობა შესამჩნევად გამწვავდა. ბერძნები 989 წლის დაპირებისამებრ დავითის სამფლობელოზე აცხადებდნენ პრეტენზიას, მაგრამ ქართველები დავითის სამფლობელოს, როგორც მამაპაპეულ მიწაწყალს, ვერ ელეოდნენ. იმასაც დასძენდნენ, რომ 989 წლის დაპირება დავითმა სიცოცხლეშივე უარყო და ქართლის აზნაურთა წინაშე ტაოს მემკვიდრედ უკვე ბაგრატ მეფე გამოაცხადა. ამ წინააღმდეგობებს შედეგად ის მოჰყვა, რომ 1015—1016 წწ. ბასილი კეისარი სამხრეთ საქართველოში შემოიჭრა და საშინლად დაარბია მესხეთი, ანუ განაპირა იბერია, როგორც ეძახდნენ ბერძნები. მაშინ განსაკუთრებით დაზიანდა არტაან-ჯავახეთის მხარე. როცა ბაგრატ IV ავიდა ტახტზე, მას მეტად მძიმე მდგომარეობა დახვდა. მთელი მესხეთი აოხრებული იყო.

ქვეყანას მოსვენება არც მომდევნო კეისარმა კონსტანტინემ მისცა. ისიც დავით კურაპალატის მიერ უკვე ანულირებული პირობის აღდგენასა და შესრულებას მოითხოვდა. თან საქართველოს სამხრეთის თემების დალაშქვრას არ ანელებდა. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე მონომახმა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობისა და ათვისების თავისებური მეთოდიც შეიმუშავა. მან ბერძენთა მიერ უკვე მიტაცებულ ტაოსა და მის სამხრეთით მიმდებარე ქართული თემებისაგან შექმნა ცალკე ოლქი რომელსაც „ივერიის საკატაპანო"[1] უწოდა. ე. ი. ქვეყანას ძველი ეთნიკური კუთვნილება შეუნარჩუნა და შემდეგ დაიწყო მეთოდური ბრძოლა საქართველოს ხარჯზე ამ „საკატაპანოს" გაზრდისათვის. ორგანიზაციის ეს ფორმა რომელიც ეთნიურობის ყალბი საბურველით იყო შეფერილი, პირველ ხანებში ახდენდა შთაბეჭდილებას თითქოს იგი განსხვავდებოდა შიშველი ანექსიისაგან. ეს ხერხი XIII ს-ში გაიმეორეს ჯერ მონღოლებმა „ხასინჯუს" სახით, ხოლო XVI ს-ში თურქდამპყრობლებმა, როცა შექმნეს ე. წ. „გურჯისტანის ვილაიეთი". როგორც ვიცით პირველად ეს ვილაიეთი სამხრეთით, ტაო-კლარჯეთის მიდამოებში იყო შექმნილი, შემდეგ მის შემადგენლობაში თანდათანობით მოაქციეს შავშეთი, არტაანი, სამცხე-ჯავახეთი და მთელი მესხეთის სამთავრო. სამთავროს სრული დაპყრობის შედეგად კი მესხეთის ტერიტორიაზე შექმნილ ამ ე. წ. „გურჯისტანის ვილაიეთს", ეთნიური სახეც დაუკარგეს. გადააკეთეს იგი ჩილდრის (ახალციხის) ვილაიეთად და ჩვეულებრივ თურქული პროვინციების რიგში ჩააყენეს, რაც თავისუფალი ასიმილაციის მეტ საშუალებას იძლეოდა. როგორც ჩანს ბერძნები ამ მეთოდს უფრო ადრე (დაახლოებით VI ს-დან ლაზ-ჭანათა მიმართ იყენებდნენ და ქვეყნის თანდათანობით დამორჩილებას ამგვარი „საკატაპანოების" შექმნით ანხორციელებდნენ „ივერთ საკატაპანოს" გაზრდის მიზნით მოწყობილ ლაშქრობებმა კიდევ უფრო აოხრა, ისედაც აოხრებული და გადამწვარი სამცხე-ჯავახეთ-არტაანი თუ კოლა-ერუშეთ-შავშეთი. შემდეგ, როცა ბაგრატ IV მიერ ქვეყნის გაერთიანებისათვის წარმოებული ბრძოლა თანდათან წარმატებას ჰპოვებდა, ბიზანტიელი მმართველნი რენეგატ ფეოდალების მოქრთამვა-მოსყიდვის ხერხს მიმართავდნენ და გაიძვერობა-ინტრიგით მოსვენებას უკარგავდნენ ჩვენს ქვეყანას. თანაც ყველაფერი ეს მაშინ ხდებოდა, როცა წინააზიაში შემოჭრილი თურქ-სელჩუკები თვით ბიზანტიის იმპერიას ემუქრებოდნენ აკლება-აოხრებითა და დამხობით. ერთხანს თითქოს გონს მოეგნენო, ბიზანტიის მესვეურებმა საქართვე-

[1] სიტყვიდან „კატაპნი" — ნაცვლად, საკატაპანო, ამ შემთხვევაში სამეფისნაცვლო.

ლოსთან ამ უგნურ სისხლისმღვრელ პოლიტიკაზე ხელიც აიღეს ხოლო 1049 წელს, როცა „მოსულ და „დადგომილ“ იყუენეს განძას ქვეყანას თურქნი და წარალებად მიიწყურა განძა“, მათ ქართველ მეფე ბაგრატს ბრძოლაში დახმარება სთხოვეს. ბაგრატი დათანხმდა. ბიზანტიისა და საქართველოს გაერთიანებული ძალები მართლაც მოვიდნენ „განძის კარსა და მირიდეს თურქთა და დაირჩინეს განძის ქუეყანა და შემოიქცეს მშვიდობით“. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ბიზანტია ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს ანგარიშს გაუწევდა, საჭირო დასკვნებს გააკეთებდა, საქართველოში პოლიტიკური ინტრიგების მოწყობას და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ამის შემდეგ მაინც თავს დაანებებდა, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით სანდოსა და ძლიერ მოკავშირეს გაიჩენდა და შემომტრილ მტერს ერთიანი ძალით დაუპირისპირდებოდა. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. კეისართა ამ უგუნურმა და წინდაუხედავმა პოლიტიკამ ყველაზე მძიმე ნაყოფი, პირველ რიგში, მათივე ქვეყნისათვის გამოიღო. ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი საქართველო ამ დროს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდა, ეძებდა საიმედო მოკავშირეს. ნასერ ხოსროეს „საფარ ნამეში“ შემორჩენილი ცნობიდან ჩვენ იმასაც ვგებულობთ, რომ XI ს-ის შუა წლებში ნილოსის არხის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე შორეულ ეგვიპტელ ფატიმიანთა კარზე სხვებთან ერთად ჩასულან აგრეთვე ქართველ „მეფეთა ვაჟები“. ვ. გაბაშვილის შენიშვნით, ამ დროს ქართველ უფლისწულთა ეს ვიზიტი გარკვეული სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მიმნიშნებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ზეიმზე მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლებს ეგვიპტე მიაჩნდათ წინა აზიაში შემოჭრილ სელჩუკთა პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ. სელჩუკთა წინააღმდეგ ზავრით სამზადისის მონაწილენი იყვნენ აგრეთვე ქართველები. ბერძნები სელჩუკებთან ომში დამარცხდნენ და 1074 წ. სელჩუკებით იძულებული გახდნენ იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციების დიდი ნაწილი თურქებისათვის დაეთმოთ. ასე დაეცა ერთ დროს ძლიერი ბიზანტიის იმპერია, რომლის საბოლოო სულის ამოხდას შემდეგ 379 წელი კიდევ დასჭირდა. მისგან განაწამები აოხრებული და ბრძოლისუნარშესუსტებული საქართველო მრისხანე მტრის პირისპირ მარტოდ-მარტო დარჩა.

წინააზიაში ფეხმოკიდებული თურქები, როგორც ჩანს, ბერძენ-ქართველთა კონფლიქტებს დიდი ხნიდან ზვერავდნენ. საქართველო, რომლის სრულ დამორჩილებასაც ბიზანტია ვერ აბერხებდა, XI ს-ის 30-40-იანი წლებიდან თანდათან სელჩუკთა ინტერესების სფეროში ექცევა. ზოგი რამ ჩვენი ქვეყნის ვითარების შესახებ მათ უკვე ტოღრულ ბეგისან სამ წელს (1048—1051) ტყვედ ნამყოფი ლიპარიტ ბაღვაშისაგანაც საკმაოდ დაწვრილებით უნდა სცოდნოდათ. წინა აზიაში თურქ-სელჩუკთა შემოსვლას ყველა ადრინდელი ურთიერთობის შეცვლა-გადაადგილება მოჰყვა. ასე იყო ეს საქართველოშიც, რომლის დამორჩილება უკვე მათი საოცნებო მიზანი გამხდარიყო.

ალფ არსლან მუჰამედ იბნ დაუდ ტოღრულ ბეგის ძე (1063—1072) ტახტზე ასვლისთანავე საქართველოზე ლაშქრობის სამზადისს შეუდგა. თანამედროვეთა გადმოცემით იგი იყო უაღრესად გაუნათლებელი და უხეში, მაგრამ საკმაოდ გულადი სარდალი. სინამდვილეში სახელმწიფო საქმეებს მისი ვეზირი ნიზამ ალ მულქი უძღვებოდა, ალფ არსლანი კი უმთავრესად ომებითა და ძარცვა-გლეჯით იყო დაკავებული. 1064 წ. გაზაფხულის მიწურულს „გამოვიდა სულთანი არფასარან, მეფე სპარსეთისა დასხმისგვარად, უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი“. მერე თრიალეთსვე დაიბანაკა და იქიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის თემებს გაუსია მარბიელი, რადგან იცოდა რომ იმჟამად იქ (ტაოში) იმყოფებოდა მეფე ბაგრატი. სელჩუკთა მარბიელმა „მიუწია ყუელის ყურესა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე“. ტაოდან აყრილმა ბაგრატმა მარბიელს, რომელიც მას ფეხდაფეხ მოსდევდა, ქართლს ჩამოასწრო. ქვეყანა დაიხიზნა. ამ დროს უკვე დახიზნული „მეხნე აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქის“ ციხეში. 1064 წ. ივნისში ალფ არსლანი ახალქალაქის ციხის ახლებად დაიძრა, სადაც მის დამცველებს ზოგიერთი გასამაგრებელი სამუშაოები (თავფარავანისა და ძლივის წყალზე ხიდების აყრა, ხანდაკების გათხრა, სალხის დახიზვნა) წინდაწინ ჩაეტარებინათ. ალფ არსლანის ამ ლაშქრობაში თურმე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ რანისა და შირვანის მაჰმადიანი მმართველნი. თავფარავნის წყლამდე მისულმა სელჩუკთა რაზმებმა სოფლების სულგუმოსა და კარტიკამ-ბავრის მიდამოებში დაიბანაკა და უმალ მდინარეზე გადასასვლელი დიდი ხიდის აგებას შეუდგა. მალე მდინარის მარცხენა ნაპირზე გადასული თურქები „მოადგნეს ქალაქს“. ალყაში მოქცეული ქალაქის დამცველები სამი დღის განმავლობაში გმირულად იცავდნენ თავს, რომელთა მდგომარეობას ის უფრო ართულებდა, რომ ამ დროს ქალაქს ჯერ კიდევ „არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო“. და მის მისადგომებთან შეტევაზე გადასული მტრის მოზღვავებული ტალღების მოკავება უჭირდა. ახალქალაქის დამცველებმა, ვისაც ხმლის ქნევა შეეძლო, გადაწყვიტეს მტრისთვის ხელჩართული ბრძოლა გაემართათ ქალაქის მისადგომებთან სამხრეთ-აღმოსავლეთით. დრო აღარ იცლიდა მეხნე მეციხოვნენი მართლაც ელვის სისწრაფით „აღიჭურნეს, განახუნეს კარნი ქალაქისა“ და მოზღვავებულ მტერს პირისპირ „შეებნეს ძლიერად“.

იერიშზე გადასულმა მესხებმა თურქთა რამდენიმე წყება ხელდახელ გადამკაფეს და ცენტრში მტრის მთავარ ნაწილებს ეძგერნენ. სელჩუკები შეშფოთდნენ. კრიტიკულ მომენტში ბრძოლის ხელმძღვანელობა ალფ არსლანმა აიღო. თურქ-სელჩუკთა დიდი ზარალის მიუხედავად გამარჯვების საქმე ბოლოს სიმრავლემ გადაწყვიტა. ქართველები დამარცხდნენ. გაცოფებული სელჩუკები ქალაქში შეიჭრნენ, სადაც ხალხი ცალკეულ კოშკებში გამაგრებულიყო და იქიდანღა ცდილობდა ბრძოლის გაგრძელებას. ალფა არსლანის ბრძანებით თურქებმა კოშკებს ხანძარი გაუჩინეს და ნგრევა დაუწყეს. ღმრთის ანაბარად დარჩენილი ახალქალაქის დამცველნი „მოისრნეს" პირისაგან მიწისა. და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ „შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი. აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა". სომეხი მემატიანეს ურჰაელის ცნობითაც ამ ლაშქრობის დროს „მთელი ქალაქი სისხლით აღივსო" სადანაც მტერმა თურმე „ურიცხვი ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტი გაიტანა". მატიანე ქართლისას აქ მოტანილ ამონაწერში ჩვენს ყურადღებას იქცევს ხაზგასმა აქედან გარეკილ ტყვეთა სიმრავლეზე. როგორც ვნახეთ, ერთსადაიმავე წინადადებაში ერთ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ დამპყრობლებმა ახალქალაქში „ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი", ხოლო მეორე შემთხვევაში, რომ მტრებმა „აღიღეს ტყუე ძლიერი" ე. ი. ძლიერ ბევრი. ადვილი მისახვედრია, რომ მემატიანეს „ურიცხუიც" და „ძლიერიც" დიდი რაოდენობის, დიდი რიცხვის სინონიმად აქვს ნახმარი. თუმცა ჩვენ მაინც არ ვიცით დაახლოებით რამდენი სული ტყვე იგულისხმება ამ საგანგებოდ ხაზგასმულ სიტყვებში. ურჰაელის მოწმობითაც გამარჯვებულმა თურქებმა თურმე ჯავახეთიდან ორისავე სქესის დიდძალი ტყვე წაასხეს სპარსეთში, სადაც წაიღეს აგრეთვე დიდი რაოდენობის განძი". სამწუხაროდ არც აქ არ არის რაიმე მინიშნება ახალქალაქიდან წაყვანილ ტყვეების რაოდენობაზე. ცხადია თურქთა ტყვევნას მხოლოდ ის გადაურჩა, ვინც თავი უდაბურ მთებსა, ტყეებსა და ქვაბსამალავებს შეაფარა ან ქართლ-იმერეთში გახვეწა მოასწრო.

მესხეთი, კერძოდ მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, რომელიც ამ დროს ყველაზე მეტად განადგურდა, XI ს-ში ჩვენი ქვეყნის საკმაოდ მოშენებული და მოღონიერებული რეგიონი იყო. IX ს-დან აქ, ჯავახეთის ზეგანის ინტენსიურ ათვისებასთან დაკავშირებით (ტყეების გაჩეხვა, საახოე სამუშაოების გაშლა, მცირე სარწყავი მეურნეობების მოწყობა) შესამჩნევად მატულობს მისი მოსახლეობა. ამის საუკეთესო საბუთია აგრეთვე ჯავახეთის ზეგანზე კუმურდოს საეპისკოპოს დაარსება X ს-ში. მხარის ეკონომიურ მოღონიერებაზე მეტყველებს ამ პერიოდში დაწყებული ახალი ციხე-ქალაქებისა თუ დაბა ტაძრების მშენებლობაც. X—XI ს-ბის ჯავახეთი, როგორც სამეფო თუ საუფლისწულო დომენი, შედარებით მოსათმენი ფეოდალური ურთიერთობითა და მხარის შესაბამისი მეურნეობით, რომელიც წინსვლის ათასნაირ პერსპექტივებს იძლეოდა (მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მეხილეობა, მეთევზეობა და სხვა) მწარმოებელი მოსახლეობის სანატრელ მხარედ იყო ქცეული, ასევე ითქმის ეს არტაანკოლას მხარეზე. რაც შეეხება სამცხეს, იგი ხომ ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული და კულტურულ-მეურნეობრივად ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული. მოსახლეობით სავსე ფეოდალური ერთეული იყო. ბერძენთა ექსცესიების მიუხედავად ამ დროისათვის აღნიშნულ მხარეებში მაინც მჭიდრო მოსახლეობა გვხვდება.

თურქები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტყვეებად წაყვანილი მწარმოებელი მოსახლეობის ახალ ადგილზე დამაგრებასა და სახელმწიფოს სასარგებლოდ დაბეგვრას, რომელიც შემდეგ ხდებოდა არა მარტო პროდუქტადი შემოსავლის წყარო, არამედ მათი სამხედრო ლენების შევსების წყაროც. ამა თუ იმ ომში გამარჯვებისას მათ ერთერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი რაოდენობით აყრა და გასახლება, რომელთა ნასახლარებზე გადმოჰყავდათ სხვადასხვა ჯურის ნომადები.

1048 როცა ბერძნები (რომელთაც ქართველთა ლაშქრით ეხმარებოდა აგრეთვე ლიპარიტ ბაღვაში) მანაზკერტ — არზრუმ — ტრაპიზონის მიდამოებში სელჩუკებთან ბრძოლაში დამარცხდნენ, თურქებმა იქიდან (იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციები) გაიყვანეს 100 000 ტყვე, რომელთა შორის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშთან ერთად იყო მრავალი ქართველიც. ლიპარიტის დახსნას 400 000 დინარი დასჭირდა. თუ კედრენეს დავუჯერებთ, სულთანმა, გამოსასყიდი თანხა ლიპარიტსავე მისცა და უთხრა: „ეს დღე სამუდამოდ დაიხსომე და არასდროს არ მოინდომო იარაღის ხელში აღება თურქების წინააღმდეგო, საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან თითქმის იმავე პერიოდში გაყვანილ ტყვეთა რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ მესხეთიდანა და თრიალეთიდან 1064 წ. ბრძოლების დროს, ტყვეთწაყვანილთა რაოდენობა 50-ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

სწორედ იმ დროს, როცა „იქმნა აღძვრანი დიდთა მეფეთანი" გიორგი მთაწმინდელი ათონიდან საგანგებო მისიით საქართველოში ყოფილა ჩამოსული. მას აქედან ყრმათა წაყვანა და ათონის ივერთა მონასტერში მათი გაწვრთნა სდომებია, რომელთაც შემდეგ ეროვნულ-კულტურულ სარბიელზე მუშაობა შეეძლებოდათ. ამასთან ფიქრობდა, რომ ომიანობისა და განსაცდელის ჟამს", ყმაწვილთა აქედან გა-

რიდება სასიკეთო საქმე იყო. გ. ხუცესმონაზონის მოწმობითაც შეკრებილ ბავშვთა უმეტესობა მას თურმე „მონობისაგან გამოეყვანა, ხოლო სხუანი მონობისა უმწარესის ცხოვრებისაგან“ დაეხსნა. 1064 წ. მაისში 80 ბავშვით იგი ქართლიდან ჯავახეთის ახალქალაქს გადავიდა და მგზავრობის ორგანიზაციას შეუდგა. მისი მოწაფე გიორგი ხუცესმონაზონი, რომელიც მას თან ახლდა, იგონებს: „მას ჟამსა ზინა ვიყვენით, ჩუენ ახალქალაქს ჯავახეთისასა და მუნ მჯყვეს ყოველნივე ობოლნი თვისნი და ვსხედით ყოველნივე წინაშე მისსა.“ როგორც ჩანს მაშინ ახალქალაქში გიორგი ათონელს რაღაც წყაროს საშუალებით, შეიძლება თვით მეციხოვნეთაგანაც, შეუტყვია, რომ თრიალეთს მოსული ალფ არსლანი ახალქალაქის დალაშქვრას აპირებდა. ბავშვებისათვის უთქვამს„ რისხვაი მოწევნილ არს ამა ქალაქსა ზედაო“ და იქიდან გაცლა უმჯობესია. მართლაც ქალაქის დატოვებიდან სამი დღის შემდეგ ალფ არსლანმა ახალქალაქი ალყაში მოაქცია და სისხლისმღვრელი ბრძოლები დაიწყო. ხუცესმონაზონი ამ ამბავს გიორგი ათონელის ვითომც „განკვირვების დაცემას“, მის სასწაულებრივ წინათგრძნობას მიაწერს (შუა საუკუნეებში ასეთი სასწაულების მიწერა წმინდანად გამოსაცხადებელი პიროვნებისადმი ჩვეულებრივი ამბავი იყო). როგორც ჩანს ახალქალაქის ტრაგედიის და ხელმეორებით აღწერა ეძნელება მწერალს და სამწუხაროდ ზოგადი მინიშნებით კმაყოფილდება. „მოიწია რისხვაი რომელსა ყველანი მეცნიერ ხართო“. და საუბარი ამავე ლაშქრობის სხვა არანაკლებ მძიმე შედეგებზე გადააქვს „რამეთუ არა თუ ახალქალაქისა ოდენ მკვიდრნი მოისრნეს, არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუენისანი ძვირ-ძვირად მოისრნეს და წარწყმდეს რომლისა მიერ... მეფე ბაგრატ მწუხარეშთავარდა“. და შემდეგაც მისივე სიტყვით მეფეს თურმე „ალმური იგი მწუხარებისა“ კლავდა და დიდხანს მოსვენებას უკარგავდა. ხუცესმონაზონისავე მოწმობით ამ დროს მეფის განცდებისა და სულიერ დეგრადირებას იმ დონემდე მიუღწევია, რომ აფორიაქებული მეფე ჰყონდიდში ჩასულა და წინდაწინ საკუთარი სამარე იქ გაუთხრევინებია „თავისი საფლავი მუნ განემზადა“. მართლაც, როგორც ჩანს ახალქალაქის ტრაგედიამ საქართველოში ნამდვილი ეროვნული გლოვა გამოიწვია.

საქმე ის არის, რომ ახალქალაქის ბრძოლას მრავალმხრივი მიშვნელობა ჰქონდა, აქ წყდებოდა, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ისე კავკასიაში მისი პრესტიჟის საკითხი. თურქ-სელჩუკები ახე ორგანიზებულსა და დიდ ლაშქრობას პირველად ახორციელებდნენ საქართველოში. ამიტომ ამ ბრძოლაში გამარჯვებასაც და დამარცხებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუ ქართველობა შეხძლებდა მომხდურის მოგერიებას, ჩვენი ქვეყანა ასცდებოდა არა მარტო სელჩუკთა მოხარკეობას და ტყვეობა-ოხრებას არამედ ბერძენთა შემდგომ შემოტევასაც და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-გასამტკიცებით კავკასიური მასშტაბის მთავარ ძალად გადაიქცეოდა. სამწუხაროდ საქართველომ მაშინ ამ მისიის შესრულება ვერ შესძლო დიდი მცდელობისა და მსხვერპლის მიუხედავად იგი ახალქალაქთან ბრძოლაში დამარცხდა. როგორც ვნახეთ, ბრძოლის დროს ქალაქში მარტო ახალქალაქის მკვიდრნი არა ყოფილან. მათთან ერთად იყვნენ სხვა „დიდ დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოისა ჩუენისანი“, რომელთაც დამარცხების შემდეგ ასევე ჯავახთა ბედი გაიზიარეს, „ძვირძვირად მოისრნეს და წარწყმდეს“. ე. ი. ან მტერს შეაკვდნენ ან როგორც ტყვენი სამშობლოდან აყრილ და გასახლებულ იქმნენ შორეულ სპარსეთში. თავის თხზულებაში სპარს ჰამადალა ყაზვინსაც აღუნიშნავს, რომ სულთან ალფ არსლანმა საქართველოზე ლაშქრობის დროს დიდძალ ხალხთან ერთად ტყვედ წაიყვანა საქართველოს ზოგიერთი ერისთავნიც, რომელთაგან ზოგი მათგანი შემდეგ თურმე მუსლიმანობაზე მიიქცა. როგორც აშკარად დავინახეთ, ყველა ცნობა: ქართული, სომხური, სპარსული თუ სხვა, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სელჩუკებმა ახალქალაქ-ჯავახეთიდან და მის მიმდებარე მიდამოებიდან (არტაანი, ერუშეთი, სამცხე, თრიალეთი და სხვ.) დიდძალი ტყვე გაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ახალქალაქის აღების შემდეგ ალფ არსლანს ორი თვის განმავლობაში იქიდან ფეხი არ მოუცვლია. დაპყრობილ მხარეს თარეში გაუხსია და დამატებით ხურხათ-ხანოვაგისა და ტყვეების შეგროვება დაიწყო. სელჩუკთა თარეშებმა მოიცვა ჯავახეთი, სამცხე, არტაანი, კოლა, ერუშეთი, შავშეთი, თრიალეთი, ქართლი. ეს იყო ე. წ. „დიდი თურქობის“ დასაწყისი.

როგორც უკვე ვთქვით, მაჰმადიანურ სამყაროში ტყვევნის მრავალი სახე არსებობდა. ისინი უფლებრივად ერთიმეორისაგან განირჩეოდნენ და სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. თუ ჩვენს მიერ უკვე განხილული ახალქალაქის ბრძოლის მიხედვით ვიმსჯელებთ. აქ ტყვეთა კატეგორიის სამი აშკარად გამოხატული ფორმა მაინც შეინიშნება. აქედან პირველ, უველაზე მძიმე კატეგორიაში ხვდებოდნენ ისინი, ვინც უშუალოდ ბრძოლის დროს, როგორც ამბობდნენ „ხმლით ხელში“ დაიმორჩილეს. ახალქალაქის ომის დროს ამ კატეგორიაში აღირიცხნენ ის მებრძოლები, რომელნიც ციტადელიდან გამოიჭრნენ და ხელჩართული ბრძოლით იერიში მიიტანეს სელჩუკთა რაზმებზე მათივე ბედი გაიზიარეს აგრეთვე იმათაც, ვინც საბრძოლო ოპერაციის დროს თვით ციტადელში შეპყრობილ და დატყვევებულ იქმნა. საქმე ის

არის, რომ ტყვეთა ეს კატეგორია არცერთ შემთხვევაში შეწყალებასა და პატიებას არ ექვემდებარებოდა. ტყვეთა მეორე კატეგორიაში გადიოდნენ ისინი, ვინც ცალკეულ კოშკებში იხხდნენ და ციტადელში ხელჩუკთა შეჭრის შემდეგ (როცა ომის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო) მიიღეს წინადადება დანებების შესახებ და ბრძოლა დროზე ადრე შეწყვიტეს. ასეთი კატეგორიის ტყვენი მართალია „ამანის" უფლებით ვერ ისარგებლებდნენ, მაგრამ შეწყალებასა და პატიებას მაინც ექვემდებარებოდნენ, თუ რაღათქმა უნდა სარდლობის თანხმობაც იქნებოდა.

მესამე კატეგორიას განეკუთვნებოდა გასული თარეშის შედეგად აყრილი და გასახახლებლად გამზადებული ხალხი. ახალქალაქის აღების შემდეგ, როგორც ვთქვით მსგავსი თარეში, თვით ალ არსლანის ბრძანებით, თითქმის ორი თვის მანძილზე გრძელდებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ დროს ტყვეთა რამდენიმე კატეგორია გაჩენილიყო, მაგრამ, როგორც მოვლენათა შემდგომი მსვლელობიდან ჩანს, აქ ტყვეების მთავარი ფორმა მაინც „აყრა" ყოფილა. მოსახლეობის აყრა დედა-წულიანად და ოჯახიან-სოფლებიანად მოძრავ მეურნეობასთან და ტრანსპორტთან ერთად, რაც გაუდაბურებასა და ამოვარდნას იწვევდა, დამპყრობლის მიზნებს შეესაბამებოდა, რადგანაც იქ თურქმენ მომთაბარეთა ფეხის მოკიდებისათვის რეალური პირობები იქმნებოდა. რაც შეეხება აყრილ აზორიგენებს, გამარჯვებულნი მათ თავიანთთვის სასურველ ადგილზე ასახლებდნენ და ქვეყნის შიგნით შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური სირთულეების გადაჭრას ამით ცდილობდნენ. მსგავსი ფაქტების ანალიზმა ჩვენ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ხალხის ყოველ ასეთ გასახლებას უდევს პოლიტიკური, ხოლო ადგილზე დასახლებას — სოციალური სარჩული. ქვემოთ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით გვექნება მსჯელობა. რაც შეეხება ბრძოლის არენად ქცეულ ქვეყანაში ხალხის გადარჩენას, იქ სასიზრებისა და სამალავების გარეშე წარმოუდგენელი იყო. სასიზარ-სამალავების კვლევა ამ პერიოდის დამახასიათებელი თვისებაც არის. ყოველ სოფელს ჰქონდა თავისი თავშესაფარი ადგილი. ამ მხრივ საინტერესოა სამხრეთ საქართველოს ბუნებრივი თუ ხელოვნური კლდეში ნაკვეთი საცხოვრებელ-სამალავები. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასეთ ქვაბ-სამალავ-საცხოვრისებს, კარგად ჩანს ს. თრეხვის ერთ-ერთ გამოქვაბულში მიგნებულ სტელას წარწერიდან, რომელიც 1066 წელს გაუკეთებია ეპისკოპოს ლეონტი მროველს. სტელა გვაუწყებს: „მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჯირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი სატიხათვის ღმრთეებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის ჟამთა შინა ალფ არსლან სულთანისაგან ოხრობისათა". ასეთი ოხრებისა და ჭირის დღეებმა სამწუხაროდ სისტემატური ხასიათი მიიღო. მაგრამ გამარჯვების მიუხედავად არც თურქთა ზარალი არ ყოფილა ცოტა. ალფ არსლანმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა როგორც ჩანს იგი ქართველთა თავგანწირულმა წინააღმდეგობამ დააფიქრა. ჯერ კიდევ ახალქალაქში ყოფნის დროს მან ბაგრატს გაუგზავნა მოციქულები და დაზავება ითხოვა. ბაგრატი მოხარკეობის წინააღმდეგი იყო. ალფ არსლანმა მას დისწული სთხოვა ცოლად, რომელიც ბაგრატმა ცოტა მოგვიანებით 1066 წ. აახლა. ახალქალაქიდან ალფ არსლანი სომხეთს გადავიდა და ანისი აიღო.

ახალქალაქის ომში ქართველთა დამარცხებამ გიორგი მთაწმინდელის ათონზე გამგაზვრება შეაფერხა. იგი ჯავახეთის ამბების შემდეგ ბაგრატს ეახლა და ღვრისნიერი რჩევა-დარიგებით „მრავალ სახეთა თხრობათა და უწყებათაგან ალმური იგი მწუხარებისა განუქარვა". წმინდა მამის ამ დამსახურებას მერე თურმე თვით მეფე ბაგრატიც აღიარებდა — მამა გიორგი მთაწმინდელის დარიგებანი რომ არ მომესმინა, „კნინღამცა და მწუხარების მიერ მომკუდარ ვიყავო". მერე ბაგრატი თანდათან გამოვიდა მძიმე მდგომარეობიდან და კვლავ ენერგიულად მიუბრუნდა ქვეყნის შენებას. ამასობაში მისი ქალიშვილი მართა „კონსტანტინე დუკიწმან წაიყუანა საბერძნეთის დედოფლად". საქართველოდან დედოფლის ამალას შეუერთდა გიორგი მთაწმინდელიც თავისი 80 ბავშვით, მათთანვე იყო გ. სუცესმონაზონი, რომელიც წერს: საბერძნეთს „წარმო-რა-ვე მართენით ნავითო". მაშინ საქართველოს მოწინავე წრეებში ფიქრობდნენ, რომ „სპარსეთის სულთნისა და ბიზანტიის კეისრის ბაგრატ მეფესთან დამოყვრებას საქართველოსათვის მშვიდობიანობა და მყუდროება უნდა მოეტანა". მართლაც, ამ ამბებით გულმოცემულმა და შედარებით დამშვიდებულმა ბაგრატმა 1067—1068 წ.წ. რამდენიმე ექსპედიცია კიდეც განახორციელა სომხეთსა თუ ჰერეთ-კახეთ-რან-შირვანში. ამის მცნობი სულთანი ალფ არსლანი საქართველოსაკენ გამოემართა, ბაგრატის მოწინააღმდეგე მეფე-მთავრები კვლავ გაიერთა და გაძლიერებული ლაშქრით ქართველთა მოთხრა და მოსპობა გადაწყვიტა. 1068 წლის „თუესა დეკენბერსა ათსა, დღესა შაბათსა" თურქთა რაზმები ქართლში შემოიჭრნენ. ქართველთა იმედი, რომ ალფ არსლანი ბაგრატთან გაბმულ მოყვრობას ანგარიშს გაუწევდა და ქვეყანას ეგრე რიგად აღარ ააოხრებდა, არ გამართლდა. ქართლში ალფ არსლანმა ჯავახეთ-არტაანის ტრაგედია გაიმეორა. ჯერ ქვეყანას მარბიელი გაუსია, მარბიელმა ქართლი რომ მოაოხრა, შემდეგ ზემო იმერეთში არგვეთს გადავიდა და სვერის ციხემდე ყველაფერს მუსრი გაავლო. სვერის ციხეში შეკეტილ ქართველმა მეციხოვნეებმა ახალქალაქელთა ბედი გაიზიარეს, სულის ამოხდამდე იბრძოლეს

და მტერს დიდი ზიანიც მიაყენეს. ალფ არსლანის ამ შემოსევის დროს, როგორც არტაან ჯავახეთში, ისე ქართლ-იმერეთშიც „მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყუე იქნა“. შეგროვებული ტყვენი ადრეთვე შორეულ სპარსეთში გაასახლეს. საფიქრებელია, რომ ამ ლაშქრობისას წაყვანილ ტყვეთა რაოდენობაც საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. გამარჯვებული ალფ არსლანი კვლავ უკან გაბრუნდა. უთანასწორო ბრძოლის შედეგად, რომელიც თვენახევარი გრძელდებოდა, ქვეყანა ისე აოხრდა და გაუდაბურდა, რომ გზებზე დაყრილ გვამთა დამმარხავიც თურმე ერთხანს არავინ იყო. ისე რომ „სიმრავლეთა მძორისათა არ დაედგმოდეს სახილველად კაცთა“. განუზომელმა მწუხარებამ და უიმედობამ იმ დონეს მიაღწია, რომ „მატიანე ქართლისას“ ავტორს ათქმევინა, რომ მოუთავებელი ბრძოლების შედეგად „იქმნა საძაგელ ქვეყანა ქართლისაო“. ახეთი რამ ჩვენში არსად, არცერთ მემატიანეს არ უთქვამს.

ბაგრატი ფიქრობდა თავისი მტრები, ვინც საქართველოს აკლებასა და დარბევაში ხელჩუკებთან ერთად მონაწილეობდა, სამაგალითოდ დაესაჯა. მანამდე კი მას სულიერად და ფიზიკურად აკლებული ქვეყნის მოსაძლიერებელი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. საჭირო გახდა საქართველოს ერთიანი საერო და სასულიერო აქმის მესვეურთა კრება, რომელიც ყველაზე მეტად იავარქმნილ ჯავახეთში, ახალქალაქის მახლობლად, სამეფო დომენს ღრტილაში, მეფის „პალატთა შორის“ ჩატარდებოდა. ღრტილის კრების უთარიღო აქტების პირველი გამომცემელი (ჟორდანია), მას ბაგრატ III-ის მეფობას უკავშირებდა და მის გამართვას XI ს-ის დასაწყისში ვარაუდობდა. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად (ჯავახიშვილი, კეკელიძე) იგი დაუკავშირდა ბაგრატ IV-ის მოღვაწეობას და კრების მოწვევის სავარაუდებელ თარიღად 1048 წელი დაიდო (როცა ბაგრატს ისანში განუდგა ლიპარიტ ერისთავი და მეფე ქართლიდან ჯავახეთს გადავიდა). მართლაც ყველა ამ პერიპეტიების გათვალისწინებით, ღრტილას კრება ჩვენი აზრითაც ბაგრატ IV-ის დროს უნდა მომხდარიყო, ოღონდ არა 1048 წ. — განდგომილი ლიპარიტის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუავებლად, არამედ ბაგრატის ხელჩუკებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ 1066 წელს — როცა აყრილ-განადგურებული ჯავახეთ-არტაანი თუ სამცხე-თრიალეთი ითხოვდა საშველს. ე. ი. მაშინ, როცა ამ ტრაგედიის გამო ბაგრატ IV-ის „ალმური იგი მწუხარებისაი“ ძლივს განექარვა და (იმ მცირე იმედით, რომ ხელჩუკებთან ზავი დადებული ჰქონდა, ხოლო ალფ არსლანი კვირიკიან მეფეთა ხაზით მას დისშვილობით დაუხიძევდა) ქვეყნის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისათვის ახალი ღონისძიებების შემუშავებას შეუდგა.

ღრტილას კრებას კათალიკოზისა და სამეფო დარბაზის წევრთა გარდა თავ-თავის რიგზე შემოუხმდნენ: მელქიძე წურწყაბელი, ანანია ჟუელელი, გრიგოლ აბუსერიძე, გაბრიელ ჟურიძე, მთავარეპისკოპოზი ანჩისა და სხვა. კრება იხილავდა „სამხედრო და სამღვდლო“ საკითხებს ძირითადი მაინც „არა ვიდრემე სამღვდელო არამედ უფროსღა სამხედრო“ იყო. მაგრამ სამხედრო საკითხი საიდუმლოების გამო კრების ოქმებში ვერ აისახა და ჩვენთვისაც სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩა. რაც შეეხება სამღვდელო საკითხს, აქ სომეხ-ქართველთა „განყოფის“ საქმეზე კვლავ პაექრობა გაიმართა და იმით დასრულდა, რომ სომეხი მოძღვარი სოსტენი სასტიკად დაამარცხა ბერმა ეფთიმე გრძელისძემ ამ ე. წ. „სამღვდელო“ საკითხშიც, როგორც ჩანს, პოლიტიკური აზრი იდო და ორი მეზობელი ხალხის უფრო მჭიდრო შეკავშირებას ისახავდა მიზნად.

მიწყდებოდა თუ არა ბრძოლის ხმა, როგორც წესი, ქვეყანა თავისი ჭრილობებისა და თავისი სვეგამწარებული ცხოვრების მოშუშებას იწყებდა. ასე იყო ამჯერადაც. შეწუხებული მაგრამ გაუტეხელი ბაგრატი (ამაზე მეტყველებს ზარზმის მონასტრისა და ატენის სიონის კედლებზე შემონახული მისი ფრესკები) უცბად გამოვიდა მდგომარეობიდან და პროგრესულ ძალებთან ერთად, საქვეყნო საქმეების მოგვარებას შეუდგა. ხალხი ბაგრატის გამარჯვებისათვის ლოცულობდა. ჯავახეთში 1070 წელს ხოფ. კუმალისში აგებული ეკლესიის წარწერაში ვიღაც ადგილობრივი ფეოდალი ვიპტოსი თოდას ძე ქრისტეღმერთს შესთხოვდა „იესო ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, სევასტოსი და ძე მათი გიორგი კუროპალატი, შეეწიენ, დაუტკბენ თავი, კეთილ ექმენ რომელთათვის გასაძლიერებლად ავაგე ესე ეკლესია“-ო[1].

ბაგრატი კვლავ ჰერეთ-კახეთისაკენ დაიძრა და თბილისის საამიროსთან ერთად იქაური საქმეებიც მოაგვარა. დიდ სამუშაოებთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ამოვარდნილი მხარეების ხელახალი აღდგენა-მოშენების საქმე, რაც როგორც ჩანს, პირადად მეფის ინიციატივით ხორციელდებოდა და რადგან „ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა“, სხვა გამოსავალი არც იყო. ივ. ჯავახიშვილიც შენიშნავდა — ბაგრატმა „გამუდმებულ ბრძოლაში

---

[1] ე. თაყაიშვილის წაკითხვით მოტანილ ამ წარწერაში მეხუთე სტრიქონს ჩვენ ვკითხულობთ, როგორც „თოდას ძესა“, განსხვავებით თაყაიშვილის „თეოდოსეს ძესაგან“. აქვე მეშვიდე სტრიქონში, სადაც ქორონიკონი ზის, მართებულად გვეჩვენება ცისკარიშვილის მოსაზრება, რომ ქორონიკონის მეორე ასო „ს“-ს შემდეგ შეიძლება იყოს „ქ“-ნი და არა „პ“-ნი და წარწერა გაკეთებული იყოს არა 1060 წ. არამედ 1070 წელს.

დალია თავისი დღენი-ო. ბოლოს, 1072 წლის ნოემბერში იგი 56 წლის ასაკში, „მუცლის-სალმობით" გარდაიცვალა და მისი ანდერძისამებრ ჰყონდიდს წაახვენეს და მეფეთა წესისამებრ მეორმოცე დღეს, მის მიერვე გამზადებულ სამლავში დაკრძალეს. საინტერესოა, რომ ამავე წელს მოკვდა მისი ქვეყნის გამაოხრებელი და მოსისხლე სულთანი ალფ არსლანი. მაგრამ ისე კი, რომ ერთიმეორის სიკვდილი ვერც ერთმა ვერ შეიტყო.

ახლა ვნახოთ რა ბედი ეწვია სამხრეთ საქართველოდან და ქართლ-იმერეთიდან ალფ არსლანის მიერ გარეკილ ტყვეებს, რომელთა საერთო რაოდენობა ჩვენი ვარაუდით 80 000 სულზე ნაკლები მაინც არ უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, გასახლების შემდეგ მათი თვალმისადევნები კვალი თანდათან გაუვალი ბურუსით იფარება. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ახალქალაქთან ბრძოლის დროს მესხეთის რეგიონებიდან გასახლებულ ტყვეთა შორის იყვნენ აგრეთვე „დიდ—დიდნი მთავარნი" იმა ქვეყნისანი, სამაგიეროდ ქართლ-იმერეთიდან წაყვანილ ტყვეთა შორის ასეთი „მთავარ"—ფეოდალები არ ჩანან.

როგორც ირკვევა, საქართველოდან გარეკილი ტყვეები, ვინც კი გაუძლო განსაცდელს (ბორკილებს, გზას, შიმშილს) და ცოცხალი დარჩა ალფ არსლანმა თავიდანვე კომპაქტურად, სამხრეთ აზერბაიჯანში, ახარისა და ვარავიას ოლქებში დაასახლა, რომელთა შორის ბევრ მათგანს თითქმის 100 წლის მანძილზე უცვლელად ჰქონდა შენახული, როგორც ქრისტიანობა, ისე ქართული ენა. სამწუხაროდ, მათი იქ ცხოვრებისა და ყოფითი დეტალების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ გასახლების დროს მათთან ერთად ყოფილა წაყვანილი სამხრეთ საქართველოს დიდი ფეოდალი თუ ერისთავი ვინმე ბეშქენი, რომელმაც შემდეგ, ზოგიერთი ჩვენებით, რჯული შეიცვალა და როგორც სულთანის ერთგულმა მონამ ყურებზე რგოლები შეიბა, რის საფასურადაც იქტას საფუძველზე მიიღო ქალაქები ახარი და ვარავია თავის ოლქებიანად, როგორც სამხედრო ლენი. ახლა ვიდრე აღებულ პერიოდისათვის გავარკვევდეთ იქტას სოციალურ ბუნებასა და მის არსს ახარისა და ვარავიას ოლქებისათვის, ჯერ გავარკვიოთ იმ დიდ მოხელის, ქართველი ბეშქენის ვინაობა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ბეშქენი თუ „პიშკინი", როგორც სელჩუკები ეძახდნენ. გეოგრაფ ჰამადალა ყაზვინის დაბეჯითებითი ცნობითაც ბეშქენი წარმომავლობით ქართველი მთავარი, როგორც იგი ეძახის ქართველი „ჰაქიმი" ყოფილა, რომელიც ტყვედ ჩავარდნილა ახალქალაქთან ბრძოლის დროს 1064—1065 წწ. გვაქვს თუ არა ქართულ წყაროებში საამისო მითითება, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო 1065 წ. სელჩუკების მიერ ტყვედ წაყვანილი ბეშქენი? როგორც ვთქვით, გ. ხუცეს-მონაზონს აქვს მხოლოდ ზოგადი მითითება, რომ აღნიშნული ბრძოლის დროს ტყვედ წაყვანილ იქმნენ აგრეთვე „დიდ-დიდნი... და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოისა ჩუენისანი"; რაც შეეხება იმას, თუ ვინ იყვნენ ეს მთავარნი, არსად დასახელებული არ არის. დღემდე შემორჩენილ ქართულ წყაროებსა და ეპიგრაფიკულ წარწერებში XI ს-ის მეორე ნახევარსა და XII ს-ის დასაწყისში (რომელშიდაც შეიძლებოდა ეცხოვრა სპარსული წყაროების მიხედვით იმ ბეშქენ „პიშკინს") იხსენიება რამდენიმე ბეშქენი. „მატიანე ქართლისაში" 1047 წლის ახლოს, როცა ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაში ერთმანეთს წაეკიდნენ, კერძოდ, როცა ლიპარიტი ტახტის პრეტენდენტ დემეტრესთან ერთად დაიძრა ბაგრატის წინააღმდეგ და ატენის ციხის აღება მოინდომა, როგორც ცნობილია, მაშინ შეთქმულებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან „ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისსა თვინიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა თუხარისისა ერისთავისა". მაშასადამე მატიანე ქართლისაში მოხსენიებული ეს ბეშქენი ყოფილა გვარად ჯაყელი, თანაც თუხარისის ერისთავი. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მეორე ბეშქენი მოხსენიებულია ა. ხათხეს (ზემო ჯავახეთი) ეკლესიის წარწერაში: „ქრისტე შეიწყალე გ—ი ქრისტე შეიწყალე ჩ—ი ბეშქენის უმაჲ". ამავე ეკლესიის წარწერაშია მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი ფარსმანი. აქ მოხსენიებული ბეშქენი და ფარსმანი ძალაუნებურად ჩვენ მატიანისეულ ბეშქენსა და ფარსმანს გვაგონებს. ვ. ცისკარიშვილის ვარაუდითაც ერისთავთ-ერისთავი ფარსმან თმოგველი, ბაგრატ IV-ის დროინდელი ფარსმან თმოგველი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე იგი ფიქრობს, რომ ხათხის ეკლესიაში მოხსენიებული ბეშქენიც იგივე ბეშქენ ჯაყელი უნდა იყოს, რომელიც ფარსმან თმოგველთან ერთად წარმატებით იცავდა ატენის ციხეს. და რომ ხათხეში მისი მოხსენიება უნდა მიანიშნებდეს იმას, რომ ბეშქენს რაღაც პირობით ჯავახეთშიც ჰქონდა მამული. ამასთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ხწორედ თუხარისის ერისთავი ბეშქენი ატენიდან ფარსმან თმოგველთან ერთად „გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ქალაქისა ზღუდეთა შენებად". ამ ფაქტებიდან გამომდინარე, თითქოს ეჭვს არ იწვევს ატენის ციხის დამცველისა და ახალქალაქის ზღუდეთა მშენებლის იდენტურობა ხათხეს წარწერაში მოხსენიებულ ბეშქენთან. ამ დროის მეხამე ბეშქენი მოხსენიებულია აძიკვის წარწერაში (ქვემო ქართლი), რომლის წაკითხვა და გაშიფვრა სხვადასხვა დროს მოახდინეს: ე. თაყაიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ნ. ბერძენიშვილმა. იგი წარმოადგენს ოდნავ წაგრძელებულ ოთხკუთხა ბარელიეფს, რომლის ოთხივე არშიაზე შემოყოლებით გამოყვანილია მთავრული ასოები. თაყაიშვილის დროს წარწერის ბოლომდე წაკითხვა

მოხერხდა. მან ბარელიეფზე მოთავსებული ოთხი გამოსახულებიდან ამოიკითხა მხოლოდ ორის სახელი: „ქრისტე ადიდე შოთაი და გამრეკელ“ და შემდეგ: „ქრისტე შეიწყალე ორქატმონ“. ადგილი, სადაც წერია ბეშქენი და ვარაზ ბაკური, როგორც ეს წარმოდგენილი ფოტოპირიდანაც ჩანს, მის დროს გახახუნებული ყოფილა და არ იკითხებოდა. თუმცა ვარაზ-ბაკურის არსებობა მან ამავე ეკლესიის მეორე წარწერიდანაც იცოდა, რომელიც თვითონვე გაშიფრა ბოლომდე. რაც შეეხება ბარელიეფზე მის მიერ წაკითხულ მიმგების სახელს „ორქატმონ“ არასწორად იყო გაშიფრული: შემდეგ იგი თავისებური შესწორებით პავლე ინგოროყვამ „ილიქატმონად“ მიიჩნია. რაც შეეხება „ბეშკენსა“ და „ვარაზბაკურს“, ისინი ინგოროყვამ ვერ შეამჩნია და სულ სხვა წაკითხვა მოგვცა. ჩვენის აზრით, აძიკვის წარწერის შედარებით სწორი და სრული გაშიფვრა ეკუთვნის აკად. ნ. ბერძენიშვილს: „ქრისტე ადიდე შოთაჲ და გამრეკელ და ბეშქენ და ვარაზ-ბაკურ ამინ. ქრისტე შეიწყალე იჩქატ მონა მათსა მართე (ლობანა.) ან მართ (ველობანა)“. თუმცა ჩვენ აქაც გვეჩვენება, რომ აშიის დაზიანების მიუხედავად შესაძლებელია ბოლო ნაწილის კიდევ უფრო დაზუსტება. სადაც სიტყვები „ქმენ“ და „ქრისტე შეიწყალე ე-ე“ გარკვევით იკითხება.

ინგოროყვა წარწერას XII საუკუნით ათარიღებდა. ბერძენიშვილმა მისი რადიუსი, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით, უფრო გაზარდა და XI—XIII საუკუნეებით განსაზღვრა. საყურადღებოა ხსენებული ბარელიეფის მოხეული აღწერა და განმარტებაც. იგი წერს: „ფიგურები ყველა ერთი ზომისაა, ყველას ერთნაირი თარგის სხვადასხვა სახიანი ტანსაცმელი აცვია. ყველას ერთნაირი წვერი აქვს (მეტად გრძელი) და ყველას ერთნაირად აქვს შეხრილი ხელები... ბარელიეფის შემქმნელი აქ დასახელებულ პირთა პორტრეტების მოცემას არ ცდილა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ტრაფარეტად მიღებულ სურათს აქანდაკებს. ამის მოწმობაა სამოსელის თარგის და წვერების ერთნაირობა, შეიძლება ეს იყოს ამ კუთხეში ძველადვე შემუშავებული პირობითი პორტრეტი აზნაურისა. ძველადვე შემუშავებული მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ეს ამოდენა გრძელი წვერის ტარება XI—XIII ს-ის წესად არ გვეგულება...“ ამასთან დაკავშირებით ბერძენიშვილმა აძიკვის ბარელიეფის „სამოსელის თარგის და წვერის ერთიანობის“, (ერთნაირობის) როგორც საინტერესო ფაქტის გადააზრებისას, წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ შეიძლება ამ კუთხეში (სამხრეთ საქართველო) ძველთაგანვე შექმნილი და შემუშავებული ყოფილიყო აზნაურის პირობითი პორტრეტი, რომელსაც, როგორც ტრაფარეტს შემდეგაც იმეორებდნენ დროდადრო, მაგრამ ამ საინტერესო დებულების გაზიარებას ხელს უშლის ამავე პერიოდის სხვა ძეგლთა ანალოგიები, რომელნიც პარალელს პოულობენ აძიკვის ბარელიეფთან, თუნდაც სოფ. სხიერის ბარელიეფი, რომელიც განეკუთვნება IX—X საუკუნეებს და რომელიც მდებარეობს არა სამხრეთ საქართველოში, არამედ ჩრდილოეთ საქართველოში, ონის რაიონში. სხიერის ბარელიეფის ჯვრის მკლავებს შორის ნაკვეთი წარწერიანი ფიგურების სამოსლის თარგის თავისებურებები, დაგრძელებული წვერი თუ ნიკაპი, ერთ-ერთი ფიგურის (მესამე) მაღლა შემართული ხელები და სხვა, საკმაო მსგავსებას პოულობს აძიკვის ბარელიეფთან, მაგრამ როგორც წარწერიდანაც ჩანს, ოთხი უჯრიდან მხოლოდ ერთ უჯრაშია მოთავსებული აზნაურის პორტრეტი, რომელიც ორ მომცრო ზომით გამოკვეთილ შვილს შორის ხელებშემართული დგას. აქვე იკითხება წარწერა. დანარჩენ სამ უჯრაში ასეთივე სამოსლობითა და წვერით გამოკვეთილი არიან წმინდანები — მიქელი, გაბრიელი და გიორგი; იმ განსხვავებით, რომ მხრებზე ანგელოსის ფრთები ასხიათ. მაგრამ როგორც ვთქვით, სამოსელი და წვერი აძიკვისებური აქვთ. სხვათა შორის, ასეთივე წვერი აქვს ცნობილ აშოტ კურაპალატსაც. ე. ი. დაახლოებით აძიკვისებური ტანსაცმელითა და წვერით არა მარტო სამხრეთ საქართველოში, არამედ ჩრდილოეთ და სამხრეთ საქართველოშიც გამოქანდაკებულნი არიან ანგელოსებიცა და მეფე მთავრებიც. ყველა ამ პარალელის გათვალისწინებით გვეჩვენება, რომ დიდი მეცნიერის ეს საინტერესო დებულება სამხრეთ საქართველოში ძველთაგანვე შემუშავებული აზნაურის პირობითი პორტრეტის შესახებ, შემდგომ დაფიქრებას მოითხოვს. რაც შეეხება აძიკვის ბარელიეფს, ჩვენ გვეჩვენება, რომ აქ გამოსახული ოთხი ფეოდალი „ერთნაირი თარგის სხვადასხვა სახიანი ტანსაცმლით“ კი არ არის წარმოდგენილი და ყველას ერთნაირად „გრძელი წვერი“ კი არა აქვს, არამედ გამოსახულია აბჯრით შეჭურვილი ოთხი ფეოდალის პორტრეტი, მხრებზე გადაჯვარედინებული ქამრებითა და მაღლა შემართული ხელებით, რომელთა დგომის თანმიმდევრობასაც შეეფარდება წარწერის თანმიმდევრობა: შოთა, გამრეკელი, ბეშქენ, ვარაზბაკურ. რაც შეეხება გრძელწვერს ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ამ შემთხვევაში, წვერი კი არ არის, არამედ თავზე დახურული ჩაჩქნიდან დაშვებული ჯაჭვის ქსოვილი ე. წ. „ჩინჩახვი“, რომელიც ნიკაპიდან ეშვება ყელის დასაფარავად და მეომრისათვის მოძრაობის გაადვილების მიზნით, ქვემოდან დაუმაგრებლად არის დატოვებული.

რაც შეეხება თვით აძიკვის წარწერას, ჩვენი ვარაუდით იგი უფრო XI ს-ის 50-60-იან წლებს უნდა მიეკუთვნოს, ხოლო ბეშქენი, რომელიც ამ ფეოდალთა შორის დგას, უნდა იყოს ბეშქენ ჯაყელი, ახალქალაქის ომის მონაწილე და შემდეგ

ალფ არსლანის მიერ ტყვედ წაყვანილი. თუ ჩვენი ვარაუდი მართალია, მაშინ აქვე მოხსენიებული ვარაზ ბაკური შეიძლება იყოს ის, რომელიც ახალქალაქის ომის შემდეგ ბაგრატ მეფემ მიუგზავნა სომეხთ მეფე კვირიკეს ქალიშვილის თაობაზე, რომლის ცოლად შერთვაც უნდოდა სულთან ალფ არსლანს".

ბარელიეფზე აბჯარ ასხმული სახით მათი გამოქანდაკება რაღაც მნიშვნელოვან სამხედრო ამბავთან (ომთან) უნდა იყოს დაკავშირებული. მათი მაღლა შემართული ხელები ჩვენ ერთგვარ ადორაციას, ომში გამგზავრების წინ სამშობლოსა და მეფის წინაშე ფიცისა თუ ზიარების მიღებასაც გვაფიქრებინებს. თუ ჩვენი ეს ვარაუდი შესაწყნარებლად იქნება მიჩნეული, შეიძლება ასეთი ფიცის მიღება (კურთხევა ვფიქრობ სწორედ ახალქალაქის ბრძოლის წინაც.) ყოველშემთხვევაში, ეს ბარელიეფი 1064 წ. ახალქალაქის ბრძოლების შემდეგ მაინც არ უნდა იყოს გაკეთებული, რადგან მაშინ ბეშკენი უკვე ტყვედ იყო წაყვანილი, ხოლო ვარაზ ბაკური ადგილზე დარჩენილი, რომელსაც სომეხთ მეფესთან მოციქულობაც დაეკისრა. ოთხი კაცის ერთ ბარელიეფზე გამოქანდაკება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ოთხივე ესენი იყვნენ საქართველოს მონაპირე ერისთავნი, ისევე როგორც ბეშქენი, რომელიც ჩვენ უკვე მონაპირე თუხარისის ერისთავად ვიგულისხმეთ.

დაახლოებით ამავე პერიოდშია მოხსენიებული კიდევ ერთი ბეშქენი. ფოცხოვის ხეობის სოფელ ალის ეკლესიის ეკვტერის საალმშენებლო წარწერაში, რომელიც პირველად ე. თაყაიშვილმა გადმოიწერა. წარწერა ასე იკითხება: „ალვაშენე ეკვტერი ესე მე ახან და ფარსმან სამარხვად ჩუენთვის და შვილისა ჩუენთათვის ადიდე ღმერთმან ერისთავთ ერისთავი ბოცოი.. იოანე და ბეშქენ. არავისი წარსაგებელი რთავს და ვერცავინ დაემარხოს უკუნისამდე ჩუენის შვილთაგან კიდე. დიდნი პირნი გვინახავს ამის შენებასა შინა". როგორც ვხედავთ, აქ ბეშქენი ერისთაობის თუ საერისთაოს ოჯახის წევრთა რანგშია მოხსენიებული.

შემდეგი ბეშქენი იხსენიება 1118 წლის ახლოს, როცა დავით აღმაშენებელი არაქსის პირას თურქ-სელჩუკებს სდევნიდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, როცა „მეორესა წელსა ზზობად წარმოემართა მეფე ლაშქრით წარსვლად რახსის პირსა და ზატიკი გარდაიხადა ნახიდურს, მუნ მოართუეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკვლისა". თუხარისის ერისთავ ბეშქენსა, რომელიც მოხსენიებულა 1047 წლის ახლოს და ამ 1118 წელს ჯავახეთში მოკლულ ბეშქენს შორის მანძილი 70 წელზე მეტია. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ერისთავი ბეშქენი ატენის ციხის დაცვის დროს სულ ცოტა 25—30 წლის კაცი მაინც უნდა ყოფილიყო, გამოვა, რომ 1118 წ. იგი დაახლოებით 100 წლის იქნებოდა და ძნელად დასაჯერებელია, რომ 100 წლის კაცი ხმლით ხელში შეხვედროდა სელჩუკებს და მათთან ბრძოლაში დაღუპულიყო. ჩვენის ვარაუდით, ჯავახეთში მოკლული ბეშქენი 1047 წელს მოხსენიებული ბეშქენ ჯაყელის შვილიშვილი შეიძლება ყოფილიყო, რომელსაც პაპის მსგავსად თურქსელჩუკებთან ბრძოლა სწორედ ჯავახეთში მოუხდა.

ვფიქრობთ, მოტანილი მონაცემები გვაძლევენ უფლებას ვამტკიცოთ, რომ 1064 წ. ახალქალაქის ბრძოლის დროს ტყვედ წაყვანილთა შორის იყო აგრეთვე ჯავახეთში მამულების მქონებელი თუხარისის ერისთავი ბეშქენ ჯაყელი, რომელსაც როგორც ვთქვით, სამხრეთ აზერბაიჯანში დასახლების დროს იქტას წესით ეწყალობა ქალაქები ახარი და ვარავია თავის ოლქებიანად, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყვედ წაყვანილი ქართველობა იყო.

ახლა მოკლედ იქტას, როგორც საადგილ-მამულო მფლობელობის თავისებური ფორმის იურიდიული ბუნების შესახებ.

იქტამ, როგორც საადგილმამულო ურთიერთობის თავისებურმა ფორმამ, აღმოსავლეთში სხვადასხვა საფეხურები გაიარა. არაბობის დროს იგი უფრო ბენეფიციუმს (საკარგავს გავდა). სელჩუკების დროს იქტა ნამდვილ სამხედრო ლენად გადიქცა. მონღოლების დროს მან საგადასახადო იმუნიტეტიც შეიძინა და ასევე სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ იცემოდა. სელჩუკებთან სამხედრო ლენი, ძირითადად, რენტით სარგებლობას უდრიდა და მისი უფლება არსებითად გამოსაღების სარგებლობით განისაზღვრებოდა. მაშასადამე, ოფიციალურად იქტის მფლობელი იყო მოხელე. მაგრამ როგორც ი. პეტრუშევსკი წერს, ამ დროს პრაქტიკაში ეს წესი არ ხორციელდებოდა. სინამდვილეში, იქტას მფლობელი უკვე მხარის ფაქტიურ ბატონპატრონადაც იყო ქცეული. ერთგან ვ. გაბაშვილიც შენიშნავს, რომ „უკვე XI ს-ში იშვიათი არ უნდა ყოფილიყო იქტას განსაკუთრების ფაქტების ე. ი. ხარაჯას მიღების უფლების მიწისმფლობელობის უფლებასთან შეერთება", რომ უკვე „XI—XII ს. ს. აზერბაიჯანში იქტას მფლობელობა ფაქტიურად მემკვიდრეობითი ხდება". ასე, რომ იქტას ფეოდალურმა ინსტიტუტმა იქტადარი მოხელე დროთა განმავლობაში ნამდვილ მემამულედ აქცია, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა მწარმოებელ მოსახლეობაზეც. ეს იყო თავისებური პროცესი გლეხთა დაყმევებისა და მისი მიწაზე მიმაგრებისა. აღსანიშნავია, რომ იქტა იცემოდა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებზე და უპირველეს ყოვლისა სამხედრო ვალდებულებით იყო გაპირობებული. ფაქტიურად მას ღებულობდნენ შაჰის მულიაზიმები, რომელთა სახელები და ვინაობა შეტანილი იყო ცენტრალურ ხელისუფლების კარზე არსებულ სპეციალურ დავთარში. რაც დრო გადიოდა იქტადარების ერთი ნაწილი თანდათან მემკვიდრე-

ობითი მფლობელი ხდებოდა, და ხშვადასხვა შეუვალობის მოპოებით ნამდვილ მემამულედ გვევლინებოდა. ამგვარ შეუვალ სამფლობელოს XII ს-ის სამხრეთ აზერბაიჯანში წარმოადგენდა აბარისა (აპრუ) და ვარავის (ვარავი) ოლქებიც, რომლის იქტადარიც XI ს-ის 70-იანი წლებიდან, როგორც ვთქვით, იყო ქართველი მაქიმი ბეშქენ ჯაყელი. გეოგრაფი ია ყუთიც (1178—1248) თავის „მუჯამ ალ ბულდანში" ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ ბეშქენს იგი (ეს ოლქი) მემკვიდრეობის უფლებით ჰქონია და რომ იმ პირველი ბეშკენ ჯაყელის სახელი, როგორც „ბიშკინისა", სწორედ ამ მემკვიდრეობის საფუძველზე გაგვარებულა. (რაღა თქმა უნდა ია ყუთის დროს მცხოვრები „ბიშკინი" ბეშკენ ჯაყელის შთამომავალი უნდა ყოფილიყო) ია კუთის მიერ 1212 წ. შედგენილ ლექსიკონში ვკითხულობთ: აბარი (აპრუ), მიუხედავად იმისა, რომ დაბლობში მდებარეობს, დასახლებული და მრავალხიკეთოვანია არდაბილსა და თაბრიზს შორის. უწოდებენ მის ემირს იბნ ბიშკინს". იქვე, მეორე ქალაქის, ვარავიას (ვარავი) შესახებ ნათქვამია, რომ არის „პატარა ქალაქი, სასიამოვნო, მრავალხიკეთიანი და წყლებიანი აზერბაიჯანის მთებში, არდაბილსა და თაბრიზს შორის. იგი იბნ ბიშკინის ამ მხარის ერთერთი ამირას ჯილაიეთია. მე ვნახე იგი მასა და აპრს (აბრი) შორის ერთი (დღის) სავალია". ე. ი. ბეშკენის სამფლობელო გაშლილი ყოფილა როგორც ბარის, ასევე მთის ზოლში, რაც შემდგომ მისი გაძლიერების ერთერთი მიზეზთაგანიც უნდა ყოფილიყო. ჰამადალა ყაზვინის მონაცემებით ქალაქი აბარი და ხიიავი მდებარეობენ „პიშკინის" ანუ „მიშკინის" ოლქში, რომელსაც ადრე ერქვა ვარავი. როცა ამ ვარავის სათავეში ჩადგა ქართველი მაქიმი ბიშკინი, მას შემდეგ მთელს ამ მხარეს ბიშკინი დაერქვათ. მაშასადამე, ოდესღაც ქართველი ფეოდალის საკუთარი სახელი ბეშკენი (ბიშკინი) მარტო კი არ გაგვარდა (ლე-გივისტურ სადინასტიო სახელად), არამედ მან შეცვალა აგრეთვე არსებული ტოპონიმი. ქ. ვარავიას ეწოდა მიშკინი (ბეშკენის სახენაცვალი ფორმა), რომელიც შემდეგ ქ. ვარავიასთან ერთად გავრცელდა მთელს მის სამფლობელო ოლქზე. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ აბარისა და ვარავიას ოლქებში ბეშკენიდების დინასტიური მფლობელობა ფაქტია. რომელთაც თავიანთი ძალაუფლება აქ 1225 წლამდე შეინარჩუნეს. ამ დინასტიის სიძლიერეზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მისმა ორმა უკანასკნელმა წარმომადგენელმა შეძლო საკუთარი მონეტის მოჭრა. რომელზედაც ხალიფისა და აზერბაიჯანის ათაბაგის სახელის შემდეგ წააწერეს აგრეთვე თავისი სახელი. უფრო მეტი, ამ გვარმა XII ს-ის ბოლოს ხელთ იგდო მთელი აზერბაიჯანის ათაბაგობაც. აზერბაიჯანის მეოთხე ათაბაგი აბუბექრა (1191—1210) იყო ბეშკენიდების გვარის შთამომავალი, რომელიც ადრევე ნაშვილები ჰყოლია ილდეგიზიდების დინასტიის წარმომადგენელს მუზაფერ ად-დინ ყიზილ არსლანს (1186—1191) და რომლის სიკვდილის შემდეგ ძმებს შორის ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში აბუბექრს გაუმარჯვნია და ყიზილ არსლანის სახელმწიფოს დაპატრონებია. აბუბექრის ერთი ძმა (არან-გელაქუნის მფლობელი) შარვანს თავის სიმამრს შეეხიზნა. შირვანშაჰმა, რომელიც საქართველოს ყმადნაფიცი იყო აბუბექრის წინაალმდეგ დახმარება ითხოვა. საქართველო, რომლის ინტერესებშიც შედიოდა ამ მხარის დაცვა ბრძოლაში ჩაერია. ბრძოლა შამქორის ცნობილი ომით და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა... ამგვარად 180 წლის წინ, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლების გაძლიერებისა და სამშობლოს ქვეყნის ხსნისათვის თურქ-სელჩუკებიდან სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ბეშკენ ჯაყელის შორეული და გადაგვარებული შთამომავალი ახლა ვითარცა სელჩუკი და ილდეგიზიდების წარმომადგენელი მთელი არსებით იბრძოდა მისავე წინაპართა სამშობლოს დასამხობად და დასამონებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ აბუშქერს ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი საქართველოს სამეფო სახლის შვილი, ყურადსაღებია ისიც, რომ მის ერთერთ შვილს სახელად რქმევია ბეშქენ ქველი. როგორც გადმოგვცემენ ბეშკინიდების შთამომავლობა როგორც წესი ბოლომდე ატარებდა ყურებზე რგოლებს, რაც იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ისინი ძველთაგანვე ითვლებოდნენ სულთანის მონებად. (იგულისხმება სულთანი ალფ არსლანი) ინტერეს მოკლებული არ იქნება ვიცოდეთ ისიც, რომ 1225 წელს როდესაც ხორეზმშაჰმა ჯალალ ედინმა დაიპყრო აზერბაიჯანი და დაარბია ილდეგიზიდების შთამომავალნი, ერთმა მათგანმა თურმე ჯალალ ედინს განუცხადა: ჩვენ არა ვართ სელჩუკები, ჩვენ ვართ ქართველ დიდებულთა შთამომავლნი, ჩვენი წინაპარი საქართველოში დატყვევებული იყო სულთან ალფ არსლანის მიერ, რომელიც შემდეგ ამავე სულთანმა აიყვანა თავის სამსახურში. ამ მიზეზით მათ ხორეზმშაჰისაგან შეღავათები ითხოვეს. რაც შეეხება ტყვედ წაყვანილ სხვა ქართველობას ისინი დროთა ბრუნვამ მალე გააუჩინარა და ბოლოს და ბოლოს ერთიან თურქმანულ ტომებში გათქვიფა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბვანცა სულაბერიძე

# ლეონტი მროველის „მგოსანნი გლოვისანი“

ისტორიულ თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ მნიშვნელოვანი წყაროა ქართული მუსიკის ისტორიის საკითხების შესწავლისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომელიც საინტერესო ცნობას გვაწვდის ძველად საქართველოში სამგლოვიარო სიმღერებისა და ამ სიმღერების შემსრულებელი პროფესიონალი მოტირალების არსებობის შესახებ.

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ეს ცნობა, რომელიც ერთ-ერთი უძველესთაგანია, შემდეგი შინაარსისაა: როდესაც გარდაიცვალა ქართლის მეფე ფარსმან ქუელი (ფარსმან II, მეფობდა ჩ. წ. II ს.-ში), „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტუება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახაკმდე. და იცემდეს ყოველნი თავთა თჳსთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი და აჴსენებდიან სიმჴნესა და სიქუელსა, და შუენიერსა და სახიერებასა და ფარსმან ქუელისასა, და იტყოდიან ესრეთ: „ვაი ჩუენდა, რამეთუ მოგუძინა სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისაგან ჴსნილ ვიყვენით მონებისაგან სპარსთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან. აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად ნათესავთა უცხოთა“.1

ლეონტი მროველის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ძველ საქართველოში არსებობდა გლოვის დროს მიცვალებულის დატირების წესი. ისტორიკოსის ცნობით, გარდაცვლილი მეფის დასატირებლად „დასხდიან მგოსანნი გლოვისანი“.

„მგოსანი“ ხშირად გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. მაგალითად, თამარის მეორე ქორწინების დროს „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჴურტელნი იყო რაზმისა სიმრავლე და სრულქმნა ამასა შინა“.2 თამარ მეფის მიერ განძის მმართველის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე „...იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშაითთა“.3 თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვკითხულობთ, რომ „...მგოსანნი, მემწყობრენი, ბუკ-ტაბლაკთა და სხუათა მცემელნი,“— ესე იგი, მგოსნები, ბუკ-ტაბლაკსა და სხვა საკრავებზე დამკვრელნი, — მეფის მცველის — ჩუხჩარეხის ხელქვეითნი არიან;4 ან მეფე როსტომმა „მოიყვანნა ყოველნი ტყუენი საქართველოსანი სპარსეთიდამ გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, კორცთ-განსუენება, აბანო, ძეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი, რამეთუ ამათ საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდენ პატივსა და მიდრკენ, ვიდრე მღუდელთმთავარნიცა და მყოფდენ უჯეროთა“.5

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ მგოსანი სასახლის კარზე გამართული „სახიობის“ მონაწილეა და სასახლის კარის სხვა მუსიკოსებთან ერთად მეფის მცველის ხელქვეითია. ჩანს ისიც, რომ იყო „ზმა“ ანუ შეჯიბრი, პაექრობა „მგოსანთა და მუშაითთა“.

ეს სიტყვა გვხვდება ოთხთავის ქართულ თარგმანში[6]. ივ. ჯავახიშვილის აზრით „ამ ქართული თარგმანის მგოსანი ბერძნულ ჰო ავლეტე-ს, ლათინურ tibicen-სა და სომხურ ფოლაჰარს უდრის. ე. ი. ფლეიტის დამკვრელს უნდა ნიშნავდეს“, მაგრამ თამარის ისტორიკოსის მიერ ნახმარი გამოთქმა „ზმა მგოსანთა“ ამტკიცებს, რომ მას „მგოსანნი დამკვრელებად კი არა, არამედ მოშაირე მომღერლებად ჰყავდა ნაგულისხმევი“. მეცნიერის აზრით, „მე-12 საუკუნეში მაინც მგოსანი ჩვეულებრივი მომღერლის სახელი არ ყოფილა, არამედ ამასთანავე საკუთარი შაირებისა და ლექსის გამომთქმელისაც“[7] საქართველოში მგოსანი იყო პოეტი, მომღერალი და მუსიკოსი. ამავე დროს ძველი სანახაობრივი კულტურის „სახიობის“ წარმომადგენელი. მგოსანთა ხელოვნება სინკრეტული იყო; მართალია, მგოსანთა ხელოვნების უმთავრეს კომპონენტს სიმღერა წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს მგოსნები შეიძლება მოცეკვავენი, მიმმოსები და პანტომიმისტებიც ყოფილიყვნენ.[8] მგოსანი მუ-

სიკოსია, რომელიც თვითონ თხზავს სიმღერას, მღერის და საკრავზე უკრავს. ამასთანავე, მგოსანი მხაზობია, ის თვითონ წარმოთქვამს საკუთარ ლექსს „სახიობის“ დროს და ცეკვავს. ამგვარად, ტერმინი მგოსანი ერთსა და იმავე დროს გულისხმობს მუსიკოსს და შემსრულებელს, მხაზობს.

ივ. ჯავახიშვილი მგოსანს ეტიმოლოგიურად ძველ სპარსულ გუსან-ს უკავშირებს. ეს სიტყვა ძველ სომხურშიც არსებობდა და მომღერალისა და მუსიკოსის მნიშვნელობა ჰქონდა. სანსკრიტულად „გოშა“ ხმას, „გოშანა“ ხმამაღლა ლაპარკს ნიშნავს. „გუსან“ მომღერალს ნიშნავს ახალ სპარსულშიც.[9] ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სიტყვა „გუსანი“ სომხურშიც და ქართულშიც ნასესხებია ფალაურიდან.[10]

ზემოთ წარმოდგენილ მონაკვეთებში მგოსანთან ერთად ნახმარია ტერმინები მუტრიბი, მუშაითი, სახიობა, ზმა. ზმა ძველ ქართულში გართობას, შეჯიბრებას, ლექსთ-მაეგობას ანუ ლექსებით პაექრობას ნიშნავდა.[11] მუტრიბი არაბული სიტყვაა და გამრთობსა და გამამხიარულებელს ნიშნავს. მუტრიბი იყო მომღერალი, საკრავზე დამკვრელი და მოცეკვავე[12] მუშაითი კი — მიმმოსი, საბელზე მოთამაშე, აკრობატი, ჯამბაზი[13], სახიობა წარმოადგენდა პოეტური სიტყვის, მუსიკისა და ცეკვის შენაერთ გასართობ სანახაობას, მხაზობელი — სახიობის შემსრულებელს, სახიობის შემსრულებელნი იყვნენ მგოსნები, მუტრიბები და მუშაითები. ისინი მღეროდნენ, უკრავდნენ და თამაშობდნენ. მგოსნები იყვნენ სახიობაში შესასრულებელ ნაწარმოებთა ავტორებიც და შემსრულებელნიც. დ. ჯანელიძის აზრით, „სახიობა მრავალგვარ სანახაობრივი ჟანრების შემცველ ცნებად უნდა იქნას გაგებული“. სახიობა შედგება მცირე ჟანრის, მხუბუქი შინაარსის ნაწარმოებებისაგან.[14]

ამრიგად, ქართული მგოსანი მომდინარეობს ძველი სპარსული სიტყვიდან გუსან. მგოსანი დამოწმებულია ჯერ კიდევ ოთხთავის ქართულ თარგმანში. საქართველოში მგოსანი იყო პოეტი, მომღერალი და მუსიკოსი, სახიობის მონაწილე, რომელიც აუცილებლად ესწრებოდა სასახლის კარზე გამართულ ზეიმს, ქორწილსა თუ ნადიმს, რაც დასტურდება „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი თხზულებებითაც. მაგრამ ამავე კრებულიდან იმასაც ვგებულობთ, რომ გარდა სასახლის კარზე გამართული სხვადასხვა საზეიმო ცერემონიალის (ქორწილი, ნადიმი, აღდგომის დღესასწაული) მონაწილე მგოსნებისა, ძველად საქართველოში არსებობდნენ სამგლოვიარო ცერემონიალის მონაწილე მგოსნებიც — გლოვის მგოსნები. სწორედ ამას გულისხმობს ლეონტი მროველის ზემოთ მოტანილ ცნობაში მოხსენიებული გამოთქმა — „მგოსანნი გლოვისანი“.

ამ მხრივ საყურადღებოა ტერმინ მგოსნის სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება: „ვაჟნი და ქალნი კეთილად მო[illegible] სამუსიკოთა ებანთა და ბარბითთა [illegible] დებენიცა გლოვის მგოსნად ითქმიან“.[15] აქ ნათქვამია, რომ მგოსნები არიან ვაჟნი და ქალნი კეთილად ანუ ტკბილად, საამოდ მომღერალნი და, გარდა ამისა, მგოსნები არიან მეგოდებენიც, ესე იგი იმასაც მგოსანს ეძახიან, ვინც გლოვის დროს გოდებს, ტირის, მოთქვამს. ამგვარად, დიდი ლექსიკოგრაფი მკაფიოდ განმარტავს, რომ არიან მგოსნები კეთილად მომღერალნი და არიან გლოვის მგოსნებიც. სულხან-საბა ორბელიანის ამ განმარტებაშიც დადასტურებულია ძველად საქართველოში გლოვის მგოსნების ანუ სამგლოვიარო სიმღერების შემსრულებელი მოტირალების არსებობა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ბატონიშვილი ვახუშტიც. აღწერს რა მიცვალებულის დაკრძალვის წესს საქართველოში, ისტორიკოსი მოგვითხრობს: „მკუდარსა დამფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა, და საჭურველითა, და სამკაულითა თჳსითა (ამის გამო არს აწ ნიშანი ეპისკოპოზთა), ტიროდიან და საბნელოსა სხედან.. იმღერდიან მწუხარისა ჴმითა ტუებისა ჟამსა არა ქირისუფალნი, არამედ სხუანი მუნ მყოფნი...“[16] ამ ცნობითაც, ვფიქრობთ, დასტურდება სამგლოვიარო სიმღერების შემსრულებელი პროფესიონალი მოტირალების არსებობა საქართველოში. ბატონიშვილი ვახუშტი გარკვევით ამბობს, რომ მიცვალებულს დაიტირებდნენ ანუ „იმღერდიან მწუხარისა ჴმითა ტუებისა ჟამსა არა ქირისუფალნი, არამედ სხუანი მუნ მყოფნი“. ეს „არა ქირისუფალნი, არამედ სხუანი“, ჩვენი აზრით, არიან პროფესიონალი მოტირალები.

საინტერესოა, რა წესით სრულდებოდა ისტორიულ საქართველოში გლოვის მგოსნების მიერ სამგლოვიარო სიმღერები. საკითხის გარკვევის მიზნით ყურადღებას შევაჩერებთ ეთნოგრაფიულ მასალაზე, რომელიც აგრეთვე ძვირფას წყაროს წარმოადგენს ქართული ხალხური ყოფისა და კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლისათვის.

აღნიშნული მასალის მიხედვით, ხმით ტირილი სამგვარი სახისა იყო: „დათვლით“, „ძახილით“ და „ჴმით“. „დათვლით“ ტიროდა მოხული სტუმარი მამაკაცი ან დედა. „დათვლით“ ტირილი უცრემლო იყო. „ძახილით“ ტიროდნენ ქალები — ახლო ნათესავები და მეზობლები. დედას და ცოლს ხმამაღლა დატირების უფლება არ ჰქონდათ — მათ მიერ საჯაროდ ხმამაღლა ტირილი სირცხვილად იყო მიჩნეული, მაგრამ თუ დედა „ჴმით მოტირალი“ იყო, შეეძლო „ჴმით“ ეტირა.[17]

ტირილის მესამე სახეა „ჴმით“ ტირილი. დატირების ეს სახეობა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენ მიერ განსახილველ საკითხთან და-

კავშირებით. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით „ქმით“ ტირილი ყველას არ შეეძლო. მოტირალს როცა „ქმით“ ტირილი დაეწყო, მას უნდა „აეტეხა“ ტირილი ისე, ვითომ მას ძალაუნებურად „მკვდარნი ატირებდნენ“. ვიდრე მიცვალებული დაუმარხავი იყო, ქველი ხმით მოტირლები ტიროდნენ, „ხმით“ ტირილის პირველად ატეხა „ტალავართაზედ“ იცოდნენ, ტაბლის და სახმელების შემდეგ. ვისაც „ქმით“ ტირილის „ატეხა“ უნდოდა, დაიწყებდა ცახცახკანკალს, თავს იქით-აქეთ აქნევდა, იწყებდა ხარხაცს, ხელების ფშვნეტას, კბილების ღრჭენას, ვითომ სიტყვებს ვერ ამბობდა, თან გასაქცევად ემზადებოდა. როცა მოტირალი ქალები ამას შეამჩნევდნენ, დაიჭერდნენ და ეტყოდნენ: „ქალო, გამოიღე ენა, ნუ აწვალებ, ნუ უჭერ კბილთ, ნაბრივ შენ უნდიხარ თავის მეენედ“. შემდეგ მიცვალებულისათვის სახელს დასდებდნენ — არაყს, ლუდს და თუ სასმელი არ იყო, „პურსატანს“ შესწირავდნენ. სახელის მდები ქალი იტყოდა: „„სადაც შენ ხარ (მიცვალებულს გულისხმობდა), შენიმც საქმარი არ, ნუ ალონებ, გამაატანი ენაი შენს მეენეს“. ამის შემდეგ ტირილის ამტეხი ქალიც ამოიღებდა ხმას და მიცვალებულის ენით დაიწყებდა ლაპარაკს: „აძრახლი ჩემო მეენეო, ნუ დამალონე სულეთჩიაო, ჩამიდევ წილი ტირილჩიაო, მე შენ მინდიხარ მეენედაო“. ასე „გაიხარავდა“ ენას მოტირალი და დაიწყებდა „ქმით“ ტირილს. ხმით მოტირალს ეძლეოდა გასამრჯელო — „საქმითმატირლო“ (ნექი თითით დახურათებული დიდი პურები)[18]. „აძრახება“ ხმით მოტირალში მიცვალებულის დროებით დასადგურებას გულისხმობს. ხმით მოტირალი ხშირად მესულთანე იყო. „ხმით“ მოტირალი ტირილის დროს თხზავდა ლექსებს და მათ ტირილის მსგავსად მღეროდა. მოტირალი მგრძნობიარე ლექსით აღწერდა მიცვალებულის წარსულ ცხოვრებას, ძველ მიცვალებულებსაც „შაატირებდა“. „ხმით“ მოტირალის ყოველ წინადადებას ყველა დამსწრე მოტირალი ქალების საერთო დაქვითინება მოჰყვებოდა. „ხმით “მოტირალი ხალხში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. ყველა ცდილობდა მისი მიცვალებული კარგ „ქმით“ მოტირალს ეტირა. კარგ ნატირლებს ხალხი ზეპირად სწავლობდა და თაობიდან თაობას გადასცემდა[19]. ხმით მოტირალი განსაკუთრებულ[illegible]რომელსაც საგანგებოდ იწვევდნენ [illegible] მიცვალებულის დასაფლავების და მიცვალებულთან დაკავშირებული ხარჯების დროს.[20]

წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ხმით ტირილი სამგლოვიარო წესების, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საწესო მოქმედებათა კომპლექსის აუცილებელი ელემენტი იყო. „ქმით“ ტირილისათვის დამახასიათებელია „აძრახების“ აქტი — „ქმით“ მოტირალი გარდაცვლილის მეენეა, რომელმაც მიცვალებულის სურვილები და მოთხოვნები უნდა გადასცეს „სამზეოზე“ მყოფთ. „აძრახების“ აქტში, რომელიც მოტირალში მიცვალებულის დროებით დასადგურებას გულისხმობს ასახულია ქართველ ტომთა უძველესი რწმენა-წარმოდგენები „სამზეოსა“ და „სულეთზე“ (ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე), რაც „ქმით“ ტირილის უძველესი დროიდან მომდინარეობაზე მიუთითებს. მასალის მიხედვით „ქმით“ მოტირალი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პირია, რომელიც ტირილის დროს თხზავდა ლექსებს და მათ ტირილის მსგავსად მწუხარე ჰანგზე მღეროდა. იგი პროფესიონალია, რომელსაც საგანგებოდ იწვევდ დასატირებლად. ხმით ნატირლები შემორჩენილია ჩვენს დრომდე. ნატირლები შემოგვინახა ეთნოგრაფიულმა ყოფამ აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და მთისწინეთის ზოლში ჩამოსახლებულ მოსახლეობაში, კერძოდ ერწო-თიანეთში ჩამოსახლებულ ხევსურებსა და ფშავლებში.[21]

გლოვის დროს მიცვალებულის დატირების წესმა ასახვა ჰპოვა ისტორიულ წყაროშიც. ვფიქრობთ, რომ პროფესიონალი მოტირალები უნდა ყოფილიყვნენ ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენიებული გლოვის მოგსნებიც.

ამგვარად, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალის შეჯერების შედეგად ნათელი ხდება, რომ გლოვის დროს მიცვალებულის დატირება ადრეული პერიოდიდან მომდინარეობს და ქართველი ხალხის სამგლოვიარო წესების აუცილებელი ელემენტია ანტიკური ხანის საქართველოშიც.

## შენიშვნები

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 53.

[2] თამარის ისტორიკოსი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959, გვ. 47.

[3] იქვე, გვ. 66.

[4] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 22.

[5] იქვე, გვ. 439.

[6] სახარება მათესი, თ. $9_{23}$, მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986, გვ. 130.

7 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1937, გვ. 52-53.

8 კ. კუცია, გუსან-მგოსანთა ხელოვნების საკითხისათვის, კრ. აღმოსავლური კულტურა, თბ. 1980, გვ. 63-65, 67.

9 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1937, გვ. 53.

10 კ. კუცია, მუსან-მგოსანთა ხელოვნების საკითხისათვის, კრ. „აღმოსავლური კულტურა", თბ., 1980, გვ. 57-58.

11 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 222, 264.

12 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1937, გვ. 55-56.

13 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 302.

41 დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, წ. I; თბ., 1948, გვ. 221—224; დ. ჯანელიძე, სახიობა, თბ., 1980, გვ. 134—149.

15 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 367.

16 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 24.

ბიბლიოთეკა

17 მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბ., 1940, გვ. 6—7.

18 მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბ., 1940, გვ. 24—39.

19 გ. ჩიტაია, წინასიტყვაობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, გვ. XII—XIII.

20 დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, თბ., 1987. გვ. 40.

21 ა. პეტრიაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთის ზოლის მუსიკალური კულტურა (ერწო--თიანეთის მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), დისერტაცია, თბ., 1990; გვ.69—86.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პლოტინი

# გონით საწვდომი მშვენიერებისათვის

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის პლოტინის (205-270 წ.) ამ პატარა ტრაქტატის არსში საწვდომად აუცილებელია ძალზე ზოგადად და სქემატურად მაინც ვიცნობდეთ მისი ავტორის მეტაფიზიკურ მოძღვრებას, გადმოცემულს სახელგანთქმულ „ენნეადებში“ — „ცხრეულებში“ (ასე იწოდება იმიტომ, რომ ყოველი „ენნეადა“ ცხრა-ცხრა ტრაქტატისაგან შედგება. პლოტინის თხზულებათა სრული კორპუსი ექვს „ენნეადას“ და, მაშასადამე, ორმოცდათოთხმეტ ტრაქტატს ითვლის. „გონით საწვდომი მშვენიერებისათვის“ მეხუთე „ენნეადის“ მერვე ტრაქტატია).

პლოტინიზმის ქვაკუთხედია მოძღვრება სამყაროული ცნობიერებისა და ყოფიერების პირველსაწყისთა („არქაი“) შესახებ. ეს საწყისებია: აბსოლუტური ერთი, იგივე უზენაესი სიკეთე, ანუ ღმერთი; კოსმიური გონება; სამყაროს სული. პლოტინისეული ტრიადა, ქრისტიანიზმის „წმიდა სამებას“ რომ მოგვაგონებს (მამა, ძე, სული წმიდა), პლატონის მოძღვრებისგან იღებს დასაბამს: ჩვენ ვგულისხმობთ „ფილებოსის“ მეტაფიზიკურ კონცეფციას სამყაროული ყოფიერების განმსაზღვრელი სამი ძირითადი ჰიპოსტასისა თუ სუბსტანციის შესახებ, რომელთა რაობაც, მართალია, ფრაგმენტულად და არასისტემატურად, მაგრამ მაინც მკაფიოდ იკვეთება დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ამ ერთ-ერთ შედევრში. უწინარეს ყოვლისა, ესაა აბსოლუტური და თვითიდენტური „ერთი“, ანუ „უზენაესი სიკეთე“, რომლის თვითმყოფი ბუნება ყოველგვარი არსის ბუნებაზე უმაღლესია, არსისა, გამუდმებით რომ ისწრაფვის სიკეთისაკენ, მაგრამ წვდომით კი ვერასოდეს ვერ სწვდება მას („ფილებოსი“, 15-16, 19-20, 25, 60-61, 64-65). შემდეგი სუბსტანცია, რომელიც აწესრიგებს და წარმართავს სამყაროულ პროცესს, „ფილებოსში“ „ზეცისა და მიწის მეუფედ“ — კოსმიურ თუ ზეკოსმიურ „გონებადაა“ სახელდებული. გონება თავისი შინაგანი კანონებისა თუ იდეების მიხედვით ქმნის მთელ სამყაროს და, ამრიგად, დემიურგოსულ პრინციპად გვევლინება („ფილებოსი“, 28-30), და ბოლოს, „ფილებოსი“ გაკვრით მიგვანიშნებს მესამე სუბსტანციაზე: ეს გახლავთ „სამყაროს სული“ („ფილებოსი“, 30), რომელსაც საბოლოოდ აფუძნებს და პლატონიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტად აქცევს „ტიმეოსი“.

აბსოლუტურ ერთს, ანუ უზენაეს სიკეთეს, დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ამ პირველსაწყისს პლოტინი ზუსტად იმ სიტყვებით ახასიათებს, სამყაროს გონებამიუწვდომელ იდუმალებაში დაფარული ღმერთის ატრიბუტებად რომ იყენებს ჩვენი უდიდესი ნაციონალური პოეტი: „უცნაური და უთქმელი“ („არრეტონ კაი აგნოსტონ“). ესაა ყოველგვარი თვისობრივი განსაზღვრულობისაგან განძარცული, არსსა და აზრზე მაღლა მდგომი, მეტანოეტური და მეტაონტოლოგიური პირველსაწყისი. მას ვერ მივაწერთ ვერავითარ პრედიკატს, იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ის აზროვნებს, ანდა არსებობს. მისი არსებობის აღიარება უმალ ჩვენი გონებისა თუ ცნობიერების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება: მატერიალური თუ იდეალური სამყაროს მთელი სირთულისა და გაწწირულობის. მათი სიჭრელისა და მრავალსახეობის მიღმა გონება ყოველთვის ეძებს აბსოლუტურად მარტივსა და განუწილველს, თვითმყოფსა და თვითიდენტურ პრინციპს. ესაა თითქოს პირველი რგოლი, რომელზედაც ჰკიდია სამყაროული არსებობის, კოსმიური სიცოცხლის ვეება ჯაჭვი. თუმცა ამ პირწმინდად მეტაფიზიკურ საწყისს სამყაროსთან შეხების ერთი წერტილი არ გააჩნია. ის არც უზენაესი გონებაა და არც უსრულქმნილების ნება, არც სიკეთე და მშვენიერება, არამედ ყოველგვარ გონიერებასა თუ ნებელობაზე, ყოველგვარ სიკეთესა თუ მშვენიერებაზე უმაღლესია. „არ არსებობს მისთვის — ამბობს პლატონი „პარმენიდეში“, — არც სახელი, არც სიტყვა; არც ცოდნა მისი, არც გრძნობადი აღქმა მისი, არც წარმოდგენა მასზე“. ხოლო ფსევდოდიონისე არეოპაგელი, ვისი მოძ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურებაც, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ქრისტიანიზირებული ნეოპლატონიზმი, გვაუწყებს: „...ღმერთი არც სულია, არც გონება; არც წარმოსახვა აქვს, არც წარმოდგენა, არც სიტყვა, არც აზროვნება; არც ითქმის, არც გონებით მიიწვდომება; არც რიცხვია, არც წესრიგი, არც სიდიდე, არც სიმცირე, არც სწორობა, არც უსწორობა, არც მსგავსება, არც არამსგავსება, არც დგას, არც იძვრის არც მოსვენებულია; არც ძალა აქვს, არც ძალაა, არც სინათლე; არც ცოცხლობს, არც სიცოცხლეა; არც არსია არც მარადისობა, არც დრო, არც გონით შეხებადი; არც ცოდნა, არც ჭეშმარიტება; არც მეუფება, არც სიბრძნე; არც ერთი, არც ერთობა, არც ღვთაება, არც სიკეთე; არც სულია, როგორც ჩვენ გვესმის; არც ძეობა, არც მამობა, არც სხვა მისთანა; არც ჩვენთვის, არც სხვა არსთათვის შესაცნობი; არც არარსთაგანია, არც არსთაგანი; არც ისინი იცნობენ, როგორია იგი, არც თვითონ იცის, როგორნი არიან არსნი; არ არის მისთვის სიტყვა, არც სახელი, არც ცოდნა; არც სიბნელეა, არც სინათლე, არც მცთარობა, არც ჭეშმარიტება; ვერც ვერაფერს მივუმატებთ, ვერც გამოვაკლებთ, არამედ მის შემდგომთათვის თუ ვიტყვით მატებასა და კლებას, თვითონ კი ვერც რას ვუმატებთ და ვერც ვაკლებთ, ვინაიდან ყოველგვარ მატებაზე უსრულქმნილესია, ყოვლის ერთადერთი მიზეზი, ყოველგვარ კლებაზე უზენაესი, ყოვლისგან სრულად განყენებული და ყოვლისმპყრობელი“ („საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისთვის“).

საკუთარ სრულქმნილებაში ჩაკეტილი „ერთი“ („ტო ჰენ“), ან, თუ გნებავთ, „ღმერთი“, რომელიც ბევრი რამით მოგვაგონებს ელეელთა ფილოსოფიური სკოლის, კერძოდ, პარმენიდეს „ერთარსს“, თავისი აბსოლუტური სისავსისგან ბადებს კოსმიურ გონებას („ნუს“). მაგრამ როგორ იქცევა ეს „ყოვლისაგან სრულიად განყენებული და ყოვლისმპყრობელი“ საწყისი იდეალური სინამდვილის, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით — რეალური, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს, მათი გამოვლენილი მრავალსახეობისა თუ მრავალფეროვნების პირველმიზეზად? უზენაესი სიკეთე ისე „გასცემს“ საკუთარ თავს, რომ თვითონ აბსოლუტურად უცვლელი რჩება. თუ პლატონი „ერთის“ ლოგიკური დიფერენცირების გზით გადადის იდეალურ სიმრავლეზე („სოფისტი“, „პარმენიდე“, „ტიმეოსი“), სამყაროული გონების წინა-არსად რომ გვევლინება, მისი დიდი მემკვიდრე — პლოტინი ცდილობს შთამბეჭდავი პოეტური მეტაფორებით უშუალოდ გვაგრძნობინოს გონების გენეზისი: უზენაესი „ერთის“ ზღვრული სისავსე და სრულქმნილება თითქოს ვერ თავსდება თავის „ფარგლებში“ და თავისი თავიდან გადმოედინება, მაგრამ ისე კი, რომ მის სავსებას არა აკლდება რა ამით. ასე მზე ასხივებს სამყაროში სითბოს და სინათლეს, ასე ყვავილი აფრქვევს სურნელებას („ენნეადა“ V, I, 6).

„ერთი“ არსსა და აზრის მიღმურია, ასე რომ, არც არსია და არც აზრი, მაშინ როდესაც „ერთისაგან“ შობილი კოსმიური გონება არსიცაა და აზრიც. არსებობისა და აზროვნების ეს დასაბამიერი დუალიზმი გონების უპირველესი ნიშანია: თავისი მშობლის მიმართ მიმოქცეული, ის — არსია, თავისი თავის ჭვრეტად მიქცეული კი — წმინდა აზრი: „ერთია ყველაფერი და არაფერი, — ამბობს პლოტინი, — ის ყველაფრის სათავეა და არა ყველაფერი, მაგრამ ყველაფერი არის ერთი. რადგან გარკვეული აზრით, ყველაფერი მას უბრუნდება; ან, უფრო ზუსტად, ერთის დონეზე ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის, არამედ უნდა იქნეს. კი მაგრამ, როგორ იქმნება ყველაფერი მარტივი ერთისაგან, რომლის თვითიგივეობაც არავითარ განსხვავებას, არავითარ გაორებას არ ავლენს? სწორედ იმიტომ, რომ მასში არაფერია, მისგან წარმოსდგება ყველაფერი; სწორედ იმიტომ, რომ არსი იქნეს, ის არსი კი არ არის, არამედ — არსის მშობელი; და ესაა თითქოს პირველი დაბადება. ერთი სრულქმნილია, რადგან არც რას მიელტვის, არც რასა ფლობს, არც რა სჭირდება; როგორც სრულქმნილი, თავისი თავიდან გადმოიღვრება და თავისი ზესისავსისგან შობს განსხვავებულს; შობილი მიიქცევა მის მიმართ, მისით ივსება და, თავისი თავის მჭვრეტელი, გონებად იქცევა. მისი უძრავად დგომა ერთის მიმართ ქმნის არსს, ხოლო მისი თვითჭვრეტა — გონებას. ამრიგად, როცა თვითჭვრეტად დგას, ის, ერთდროულად, გონებაც ხდება და არსიც“) („ენნეადა“, V, II, 1).

ზემოთ ჩვენ ხაზი გავუსვით გონების ორადობას, აზროვნებისა და არსებობის ერთგვარ დუალიზმს. მაგრამ ეს დუალიზმი უფრო ნომინალურია, ვიდრე რეალური. გონების არსი აზროვნებისა და არსებობის ერთიანობაა, ან, უფრო ზუსტად, მათი იგივეობა. ტყუილად როდი მოსწონს პლოტინს პარმენიდეს ფორმულა: „ერთი და იგივეა აზრი და არსი“ („ენნეადა“ V, IX, 5). უზენაესი სიკეთისაკენ მიდრეკისა და თითქოს გარინდებით „დგომის“ („სტასის“) წყალობით, გონება თავის თავს ამკვიდრებს, როგორც არსს, მეორეს მხრივ კი, თვითჭვრეტად მიქცეული, ის სხვა არ არის რა, თუ არა წმინდა აზრი, ვინაიდან კოსმიური გონების მთელი სიცოცხლე, მისი არსებობა, მარად უშრეტი ქმედითობით („ენერგეია“) განისაზღვრება („ენნეადა“ V, III, 5), გონების ქმედითობა კი ესაა ჭვრეტა თუ აზროვნება, რომლის ერთადერთი საგანიც შეიძლება იყოს მხოლოდ გონება, რაკილა არსებობის ამ დონეზე საერთოდ არაფერია, გონების გარდა. ამიტომაც „გონების აზროვნება არის აზროვნების აზროვნება“ („ნო-

ესის ნოესეოს“), — როგორც ამტკიცებს არისტოტელე („მეტაფიზიკა“, XII, 9, 1074). უფრო გვიან პროკლე დიადოხოსი იტყვის: „გონება მხოლოდ თავის თავს იაზრებს“ („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, 167). მოაზროვნე გონება და მისი აზროვნების საგანი აქ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს, აზროვნება თვით აზროვნების პროცესშივე ქმნის თავის საგანს, ხოლო ეს უკანასკნელი მისი კორელატური აზროვნების პრინციპად თუ საფუძვლად გვევლინება, ასე რომ, გონების მთელი სამყარო, ერთსა და იმავე დროს, აზროვნების სუბიექტიცაა და ობიექტიც, ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „მეცნაურიც“ და „საცნაურიც“. პროკლე, თავის მხრივ, პლოტინს ეყრდნობა, რომელიც ყველაზე სრულად ამომწურავად განგვიმარტავს გონების თვითჭვრეტისა და თვითშემეცნების, ანუ წმინდა აზროვნების სპეციფიკურ არსს:

„...კი მაგრამ, გონება თავისი ერთი ნაწილით ჭვრეტს მეორე ნაწილს? მაშინ ცალ-ცალკე გვექნება მჭვრეტელი და ჭვრეტის საგანი; ეს კი აღარ არის თვითჭვრეტა. — მაგრამ თუ მისი ნაწილები სავსებით ერთგვაროვანია, ასე რომ, ნაწილი, რომელიც ჭვრეტს, არაფრით არ განსხვავდება მეორე ნაწილისაგან, რომელიც ჭვრეტის საგნად გვევლინება? მაშინ იმ ნაწილის ჭვრეტისას, რომელიც იგივეა, რაც თვითონ, ის თავის თავსვე ჭვრეტს, რადგან მჭვრეტელი არაფრით არ განსხვავდება ჭვრეტის საგნისგან. — ჯერ ერთი, უაზრობაა მისი ასე დანაწევრება. მაინც როგორ დანაწევრდება იგი? ყოველ შემთხვევაში, არა ისე, როგორც მოგვეპრიანება. ანდა ვინ დაანაწევრებს? ნაწილი, რომელიც ჭვრეტს, თუ ნაწილი, რომელიც ჭვრეტის საგნად გვევლინება? ეგეც არ იყოს, როგორ შეიცნობს მჭვრეტელი თავის თავს ჭვრეტის საგანში, რაკიღა თავი თვითონვე დასახა მჭვრეტელად? რადგან ჭვრეტა ჭვრეტის საგანში როდია. ან იქნებ, თუკი შეიცნობს, მჭვრეტელად კი არა, ჭვრეტის საგნად შეიცნობს თავს? ასე რომ, მთლიანად როდი შეიცნობს. რასაც ის ხედავს, ჭვრეტის საგანია და არა მჭვრეტელი. მაშასადამე, სხვაა და არა თვითონ. ან არადა, იქნებ თვითონვე უმატებს მჭვრეტელს, რათა მთლიანად შეიცნოს თავისი თავი? მაგრამ თუ ის თავის თავს აღიქვამს როგორც მჭვრეტელს, იმავდროულად აღიქვამს ჭვრეტის საგანთაც. რაკი ყველაფერი, რასაც ჭვრეტით აღიქვამს, ჭვრეტაშივე ეძლევა მას, ამიტომ ორში ერთია: ან ყოველივე ეს მხოლოდ ჭვრეტის საგანთა ანაბეჭდებია, და გონება არა ფლობს მათ, ან, პირიქით, ფლობით კი ფლობს, მაგრამ თავისი განწირულობის გამო ვერ ხედავს მათ; ისინი გონების, როგორც მჭვრეტელისა და მფლობელის ყოველგვარ განწილულობამდეც იქ იყვნენ. თუ ასეა, მაშინ ჭვრეტა იგივე უნდა იყოს, რაც ჭვრეტის საგანი, გონება კი იგივე, რაც გონით საწვდომი. არადა, მიუღწეველი დარჩება ჭეშმარიტება. არსთა ნაცვლად, მას ექნება მხოლოდ მათი ანაბეჭდი, რომელიც განსხვავდება არსთაგან და არ არის ჭეშმარიტება. რადგანაც ჭეშმარიტება არ უნდა იყოს გონებისაგან განსხვავებული საგნის ცოდნა; რასაც ის გვაუწყებს, უნდა იყოს არსი; ერთი და იგივეა გონებაც, გონით საწვდომიცა და არსიც; და ესაა პირველი არსი; ესაა პირველი გონებაც, რომელიც ფლობს არსთ, ან, უფრო ზუსტად, იგივეა, რაც არსნი“ („ენნეადა“ V, III, 5. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მრავლობითი რიცხვი „არსნი“ გულისხმობს გონების ქმედითობის ნაყოფის — „იდეების“ მთელ სიმრავლეს და ერთობლიობას).

ამრიგად, გონების თვითჭვრეტა უკვე არსია, ხოლო არსი — ქმედითი თვითჭვრეტა. კოსმიური გონება სხვა არა არის რა, თუ არა აზრისა და არსის სრული ერთობა. მაგრამ არსი ან თვითონვე აზროვნებს, ან აზროვნების საგნად გვევლინება. გონების აზროვნება აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ამიტომ აზროვნების საგანი არ შეიძლება განსხვავდებოდეს მოაზროვნე გონებისაგან, ვინაიდან აბსოლუტური ჭეშმარიტება ნიშნეულია მხოლოდ აზროვნების იმ სუბიექტისთვის, რომელიც უშუალოდ ფლობს თავის ობიექტს. ამიტომაა, რომ ეს უკანასკნელი არ შეიძლება მოაზროვნე გონების მიმართ რაღაც გარეშე, რაღაც გარეგნული იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გონება თავისი ობიექტის მფლობელი კი არ იქნება, არამედ მხოლოდ მისი ერთგვარი ანაბეჭდისა, ასე რომ, ჭეშმარიტება მიუწვდომელი დარჩება მისთვის. აქედან გამომდინარე, გონება არის აზროვნება, რომელიც თავის თავსვე იაზრებს. როგორც მოაზროვნე, ის გონებაა, როგორც აზროვნების საგანი — არსი.

კოსმიური გონება წმინდა ქმედითობაა („ენერგია), წმინდა აქტუალობა, პოტენციურობის („დინამის“) ყოველგვარი მინარევის გარეშე. მასში შეუძლებელია ნამდვილისა და შესაძლებლის გარჩევა-განსხვავება. გონებაში ყველაფერი ნამდვილია და რეალური, როგორც მისი ქმედითობის ნაყოფი. გონების ქმედითობა კი აზროვნებაა, მაგრამ ეს არაა მაძიებელი აზრი, ლოგიკური სილოგიზმების მეშვეობით რომ გადადის ერთი მსაჯულობიდან მეორეზე და თანდათან მიიწევს წინ. არა, ესაა მშვიდი, უცვლელი, ჭვრეტაში დათქმული, თვითმყოფელი და თვითმკმარი აზრი. „გონება აზროვნებს“ იგივეა, რაც „გონება ქმნის“. მაგრამ რასა ქმნის იგი? ამ ქმედითი აზრის ნაყოფია მთელი ინტელიგიბილური სინამდვილე, გონით საწვდომი მთელი სამყარო. თავისი არსებობისა და აზროვნების პირველსაწყისის — აბსოლუტური ერთის მსგავსად, გონებაც მხოლოდ ერთია, მაგრამ თუ აბსოლუტური ერთი

პირწმინდად გამორიცხავს ყოველგვარ სიმრავლეს, გონება, პირიქით, გულისხმობს მას. ყოვლისმომცველი გონება, იმავდროულად, ყოვლის შემოქმედია და ყოვლადი არსი: „...ის თავისით ბადებს ყველა არსს, იდეათა მთელ მშვენიერებას, გონით საწვდომ ყველა ღვთაებას („ენნეადა“ V, I, 7).

რანაირად ხორციელდება გონების შემოქმედებითი აზროვნება პლოტინის მიხედვით, ესაა ზოგადიდან კერძოზე თანმიმდევრული გადასვლა. თავდაპირველად გონება ქმნის არსებობის უზოგადეს გვარებს, რომლებიც კატეგორიებად იწოდებიან პლატონის „სოფისტში“ და მის კვალდაკვალ — პლოტინის „ენნეადებში“. „აზროვნებისა“ და „არსებობის“ კატეგორიათა გარდა, რაზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, გონებისათვის ნიშნეულია აგრეთვე „იგივეობა“ და „სხვაობა“, „მოძრაობა“ და „უძრაობა“. გონება, როგორც აზრი, ერთის მხრივ, იგივეა, რაც არსი, და, პირუკუ, გონება როგორც არსი, სხვა არა არის რა, თუ არა აზრი. აქედან არსის და აზრის, არსებობისა და აზროვნების იგივეობა. მაგრამ, მეორეს მხრივ, გონება ფორმალურად მაინც „გაორებულია“ აზრად და არსად, აზროვნების სუბიექტად და ობიექტად. აქედან მათი „სხვაობა“. გარდა ამისა, გონების სპეციფიკური ნიშნებია „მოძრაობა“ და „უძრაობა“. მოძრაობა გონების შემოქმედებითი აზრის მარადიული აქტივობაა („ენერგეია“); მოძრაობა განუყოფელია აზრის ქმედითობისაგან. მაგრამ უწყვეტსა და მარადიულ მოძრაობას რომ არასოდეს ენაცვლებოდეს უძრაობის მომენტი, ეს გამოიწვევდა მოძრავის არსისა და ბუნების შეცვლას. ასე რომ, უძრაობა გონების, როგორც არსის, თვითდამკვიდრებისა და თვითიგივეობის პირობად გვევლინება:

„გონება არის ყველაფერი. ის მოიცავს ყველაფერს, რაც უძრავად ჰდგას მასში; ის „არის მხოლოდ“, და არის მარად. ვერასოდეს ვერ ვიტყვით, რომ ის მყოფადიდან მოედინება, რადგან ის მაშინაც არის. ზუსტად ასევე, არასოდეს არ არის ნამყოშიც, რადგანაც მასში არაფერი არ ერთვის ნამყოს. აქ ყველაფერი მარადი აწმყოა, ყველაფერი ის არის, რაც არის, ყველაფერი აწმყოში ეტრფის ერთმანეთს. ყოველივე არსებული აქ გონებაა და არსი, ხოლო მათი ერთობლიობა ყოვლადი გონებაა და ყოვლადი არსი, რაკილა გონება თავისი აზროვნებით ამკვიდრებს არსს, ხოლო არსი, როგორც აზროვნების საგანი, აზრს და არსებობას ანიჭებს გონებას. მაგრამ აზროვნების მიზეზი სხვაა და იგივეა არსის მიზეზიც. როგორც ერთის, ისე მეორის მიზეზი განსხვავებულია ორივე მათგანისაგან (იგულისხმება აბსოლუტური ერთი, ანუ ღმერთი, — ბ. ბ.). რადგან ორივენი ერთად არსებობენ და არასოდეს შორდებიან ერთიმეორეს, მაგრამ ასე, წყვილად, ისინი ქმნიან ერთარსს, რომელიც, ერთდროულად, გონებაცაა და არსიც, აზრიც და აზრის საგანიც. რადგანაც არ არსებობს აზრი სხვაობისა და იგივეობის გარეშე. მაშასადამე, პირველადია — გონება, არსი, სხვაობა და იგივეობა. ამათ უნდა დავუმატოთ მოძრაობა და უძრაობა. მოძრაობა, რადგანაც არსებობს აზრი; უძრაობა, რათა აზრი იგივე დარჩეს, რაც არის. სხვაობა აუცილებელია, რათა აზრი და აზრის საგანი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. გააუქმეთ სხვაობა და მიიღებთ განურჩეველსა და მდუმარე ერთს. სხვაობა აუცილებელია იმიტომაც, რომ აზრის ერთი საგანი განსხვავდებოდეს მეორისაგან, იგივეობა კი იმიტომ, რომ ისინი ერთი არიან, და ყველაფერს რაღაც საერთო აქვს; ხოლო მათი განსხვავება არის სხვაობა. ამ სიმრავლიდან იბადება რიცხვი და ოდენობა, ხოლო საკუთრივ თვითეულის ნიშანი არის თვისება. აი, ამათგან, როგორც საწყისთაგან, დასაბამს იღებს ყოველი“ („ენნეადა“ V, I, 4).

ინტელიგიბილური სამყაროს შემდგომი დიფერენციაცია, პლოტინის მიხედვით, ე. წ. „სუბსტანციური რიცხვის“ („უსიოდეს არითმოს“) მეშვეობით ხორციელდება. რიცხვი ანაწევრებს არსებობის უზოგადეს გვარებს ცალკეულ სახეთა და, საერთოდ, იდეალურ არსთა სიმრავლედ; გონების ერთობა და ერთადერთობა სწორედ რიცხვის მეშვეობით გადადის გონით საწვდომ არსთა სიმრავლეში. ტყუილად როდი უწოდებს პლოტინი გონებას „თვითმოძრავ რიცხვს“ („არითმოს ენ ჰეატონ კინუმენოს“. „ენნეადა“ VI, VI, 9). გონით საწვდომი არსნი, ანუ იდეები თვითმეცნაური გონების აზრებია, გონებისა, რომელიც ამ შემთხვევაში კოსმიურ რეალობათა ჰარმონიული ერთობის მარდიულ საწყისად გვევლინება. „მაგრამ რა არის თვითონ იდეა? — კითხულობს პლოტინი, — გონება ანუ გონივრული არსი; არცერთი იდეა არ განსხვავდება გონებისაგან; ის თვითონაა გონება. მთელი გონება ესაა ყველა იდეის ერთობლიობა, ხოლო თვითეული იდეა არის თვითოეული გონება: ისევე როგორც მთელი მათემატიკური მეცნიერება სხვა არა არის რა, თუ არა ყველა თეორემის ერთობლიობა, ხოლო თვითოეული თეორემა მთელი მეცნიერების ნაწილია, მაგრამ არა დანარჩენ ნაწილთაგან ადგილით განსხვავებული, არამედ ნაწილი, რომელიც მთელის ერთობაში თავის საკუთარ თავისებურებას ინარჩუნებს. მაშასადამე, ის გონებაა თავისთავად; თვითმფლობელი, უძრავი, მარადიული და თვითმკმარი“ („ენნეადა“ V, IX, 8).

ერთი მრავალში და მრავალი ერთში, ან კიდევ მთელი ნაწილთა სიმრავლეში და ნაწილთა სიმრავლე მთელში, ასე წარმოგვიდგება მოაზროვნე გონებისა და მისი აზრების, ანუ იდეების თანაფარდობა. მაგრამ ეს უჩვეულო

თანაფარდობა გახლავთ. აქ მთელი თავისივე ნაწილის, ხოლო ნაწილის მთელის ტოლია, ზუსტად ისევე, როგორც უსასრულო სიმრავლეთა შემთხვევაში (უსასრულოა ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე, მაგრამ სიმრავლე ლუწი რიცხვებისა, რომლებიც ნატურალურ რიცხვთა ნაწილს, კერძოდ, მათ ნახევარს შეადგენენ, ასევე უსასრულოა). ნუ გავიკვირვებთ: იდეალური სინამდვილე ის უცნაური სინამდვილეა, სადაც ხდება პარადოქსთა რეალიზება. „გონება ერთია და გონება არის ყოველი; თვითეული არის ყველაფერი და ყველაფერი არის ერთში. ყველანი განსხვავდებიან თავიანთი ძალმოსილებით, მაგრამ ამ მრავალგვარი ძალმოსილებითვე ყველანი ერთი არიან, ან, უფრო ზუსტად, ერთია ყველა, რადგან ის არაფერს არ კარგავს, როცა ყველანი იბადებიან. ყველა ერთია და თვითეული ცალ-ცალკე უძრავად დგას ერთ განუყოფელ წერტილში, რადგანაც არავითარი გრძნობადი ფორმა არ გააჩნია; ასე რომ არა, ერთი აქ იქნებოდა, მეორე — იქ, და თვითოეული თავისთავად არ იქნებოდა მთელი .ის არ შეიცავს ერთმანეთისაგან, ან თვით მისგანვე განსხვავებულ ნაწილებს... ეს მთლიანობა არის მთელი მისი ძალმოსილება, რომელიც უსასრულობამდე განივრცება და მოიცავს უსასრულობას. და ის იმდენად დიადია, რომ თვით მისი ნაწილებიც უსასრულონი არიან“ („ენნეადა“ V VIII, 9).

მაგრამ გონება მარტოოდენ აბსტრაქტულ თანაფარდობათა თუ იერარქიზირებულ ცნებათა სისტემა როდია: ესაა არსის სისავსე და სიუხვე, აზრის აბსოლუტური სრულქმნილება, სადაც ყველაფერს განწონის ღვთაებრივი სიწმინდის და სილამაზის უხრწნელი შუქი, კოსმიური სიცოცხლის ცხოველმყოფელი სუნთქვა. „ესაა თითქოს ერთი თვისება, რომელიც მოიცავს და ინარჩუნებს ყველა დანარჩენი თვისების ძალას; სიტკბო, რომელიც იმავდროულად არის სურნელი, სადაც ღვინის გემო და ფერი ერწყმის ყველა დანარჩენ გემოს და ფერს; ესაა ყველა თვისება, რასაც შეხებითა თუ სმენით აღვიქვამთ, ვინაიდან ესაა მთელი ჰარმონია და მთელი რიტმი“ („ენნეადა“ VI, VIII, 12). „ყველაზე ჭეშმარიტი სიცოცხლე აზრისმიერი სიცოცხლეა.. .დასაბამიერი სიცოცხლე ესაა დასაბამიერი აზრი... ჭვრეტაც და ჭვრეტის საგანიც ორივე ცოცხალია და ორივე არის სიცოცხლე“ („ენნეადა“ III, VIII, 8). პლოტინის პირველწყარო ამ შემთხვევაშიც პლატონის მოძღვრებაა, კერძოდ, „ტიმეოსის“ მეტაფიზიკური დოქტრინა, სადაც იდეები „ცოცხალ არსებებად“ („ტა ნოეტა ძოა“) გვევლინებიან („ტიმეოსი“, 30; 31), ხოლო გონება სხვა არა არის რა, თუ არა „ყოვლად ცოცხალი არსი“ („პანტელეს ძოონ“. — „ტიმეოსი“, 31), რომელსაც „თვითცოცხალსაც“ („აუტოძოონ“) უწოდებენ ნეოპლატონიკოსები. „ტიმეოსის“ კომენტარებში პროკლე დიადოხოსი იტყვის: „თვითცოცხალი სისავსეა („პლეირომა“) — გონით საწვდომ არსთა სიმრავლობა“ („ტო პლეროუს ტონ ნოეტონ ძოონ“. — იხ. ა. რივო, პლატონი. „ტიმეოსი,“ პარიზი, 1925, გვ. 33).

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ: დროისა და სივრცის მიღმური იდეების სიცოცხლე რეალური როდია; ამიტომაც აუცილებელია კიდევ ერთი მეტაფიზიკური საწყისი, რომელიც ჭეშმარიტ სიცოცხლეს და რეალურ არსებობას მიანიჭებდა მათ. პლოტინის მიხედვით, ეს საწყისია სული („ფსიქე“. — „ენნეადა“ II, IX, 1), რომელიც ისევე იბადება გონებისაგან, როგორც ეს უკანასკნელი — ერთისაგან. აბსოლუტური ერთი, ანუ უზენაესი სიკეთე (ღმერთი) შეიძლება ცენტრს შევადაროთ, გონება — უძრავ წრეს, ხოლო სული, რომლის არსიც პირველი ორი საწყისის მიმართ მარადიული სწრაფვაა, მოძრავ წრედ იქნეს დასახული („ენნეადა“ IV, IV, 16) როდესაც კოსმიური გონების უწყვეტი ქმედითობა თვით გონების შიგნითაა მიმართული, ამის შედეგად იდეები იბადებიან, ხოლო როცა იგივე ქმედითობა გონების გარეთ მიიმართება, აქედან დასაბამს იღებს სული („ენნეადა“ VI, II, 22). სული გონების ხატებაა („ეიკონ“), მისი „გარეთ გამოვლენილი“, ესე იგი, „წარმოთქმული სიტყვა“ („ლოგოს ენ პროფორა“. — „ენნეადა“ V, I, 3., .თვით ეს ტერმინი — „წარმოთქმული სიტყვა“ — პლატონის „ტიმეოსიდან“ — 37 — მომდინარეობს).

სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება განაპირობებს სულის ონტოლოგიურ სტატუსს. პლოტინის მიხედვით, ყოველი მომდევნო მეტაფიზიკური საწყისი, ყოველი ჰიპოსტასი, როგორც წინა საწყისის „ხატება“, სრულქმნილებით უფრო დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ეს წინა საწყისი, რომლისგანაც ის იღებს დასაბამს და რომელიც მის „პირველნიმუშად“ („პარადიგმა“) გვევლინება. წარმოვიდგინოთ აბსოლუტური ნათელი, ვთქვათ, მზის გული: ასე ესახება პლოტინს უზენაესი სიკეთე, ანუ ღმერთი; მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ის აბსოლუტური ნათელია, იმავდროულად არის აბსოლუტური ბნელიც. ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა რუსთაველის „მზიანი ღამე“, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის „საღმრთო ნისლი“, „მზიური ნისლი“ (შედარების საფუძველი რომ უფრო გასაგები შეიქნეს მკითხველისათვის, პოლ ვალერის მოვიშველიებთ: „ფიზიკოსები გვასწავლიან: ჩვენს თვალს რომ გავარვარებულ ღუმელში ხედვის უნარის შენარჩუნება შეეძლოს, ის ვერაფერს ვერ დაინახავდა. იქ წაშლილია ყოველგვარი სინათლისმიერი უთანასწორობა, რაც თვალს სივრცის წერტილთა განსხვავების საშუალებას აძლევს. ამ უზარმაზარ, ღუმელის სივიწროვეში მომწყვდეულ ენერგიას უხილავობისკენ, შეუგრძნობელი თანასწორო-

ხისკენ მივყავართ"... — პოლ ვალერი, რჩეული პროზა, ფრანგულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1988, გვ. 71). ამისდა კვალად პლოტინი გონებას ადარებს სხივმფენარე მზეს, სულს კი — მთვარეს, რომელიც მზისგან სესხულობს სინათლეს („ენნეადა" V, VI, 4).

გონებაზე დამოკიდებულების მიუხედავად, სული სამყაროს დიად საწყისთა იმ იერარქიულ მწკრივს ეკუთვნის, რომელსაც აგვირგვინებს უზენაესი სიკეთე, ანუ ერთი (ღმერთი). გონების მსგავსად, სულიც მარადიულია, დაუსაბამო, დროისა და სივრცის გარეშე არსებული, წმინდა, უცვლელი და წარუვალი. მაგრამ როგორც თავისი პირველნიმუშის — გონების ხატება, სული, ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ ის უშუალოდ კი არა, მხოლოდ გონების მეშვეობით ჭვრეტს უზენაეს სიკეთეს, ღმერთს („ენნეადა" IV, V, 4); მისი ჭვრეტის უშუალო საგანი გონება და გონებისეულ იდეათა ინტელიგიბილური სამყარო გახლავთ. ამ ჭვრეტისას ის ივსება იდეების სხივოსანი მშვენიერებით, აზრის და არსის ზებუნებრივი სიუხვით, და სამუდამოდ მათ ჭვრეტაში დანთქმული რჩება („ენნეადა" III, VIII, 4). სულის ჭვრეტა იგივე აზროვნებაა, მაგრამ გონებისეული აზროვნებისაგან განსხვავებით, ის თვითმკმარი და თვითმფლობელი კი არა, მაძიებელი აზრია. აზროვნების უნარს სულში უშუალოდ ერწყმის სურვილი ლტოლვის — ნებელობის უნარი. ერთის მხრივ, ის მიელტვის გონებას მეორეს მხრივ კი იმას, რაც მოსდევს სულს: იგულისხმება „ჰილე" („მატერია").

ამისდა კვალად, სულში განირჩევა ორი ასპექტი: გონების მიმართ მიქცეული სულის აქტივობა ჭვრეტაა („თეორია") და აზროვნება („ნოეზის"), თავისი თავის მიმართ მიმოქცეული სულის აქტივობა კი მატერიისკენ მიდრეკით და იმისკენ სწრაფვით გამოიხატება, რომ გაასულიეროს და ფორმისეული განსაზღვრულობა მიანიჭოს აბსოლუტურად უფორმო და უსახო, ყოველგვარი თვისობრიობისა თუ რაოდენობრიობისაგან პირწმინდად განძარცვულ მატერიას, იმ იდეალურ ნიმუშთა მიხედვით, რომელთაც იგი გონებაში ჭვრეტს. პირველი ასპექტი „ენნეადებში" „გონიერებადაა" („მე ფრონესის") სახელდებული, ხოლო მეორე — „ბუნებად" („მე ფისის"). ეს უკანასკნელი სულის ყველაზე ნაკლებ სრულქმნილი და ნაკლებად სხივოსანი მხარეა. „ბუნება — ამბობს პლოტინი, — გონიერების „იგულისხმება სულის გონიერი ასპექტი — „მე ფრონესის ბ. ბ.) ანაბეჭდია. როგორც სულის უკანასკნელი ნაწილი ის შეიცავს მხოლოდ გონების („ნუს",—ბ.ბ.) უკანასკნელ ათინათსა თუ ანარეკლს. წარმოიდგინეთ ცვილის ფირფიტა, რომლის ერთ ზედაპირზე ისე ღრმად აღიბეჭდება ამა თუ იმ საგნის ტვიფარი, რომ მეორე ზედაპირსაც უწევს: ზედა მხარეს აღბეჭდილი გამოსახულება ნათელია და მკაფიო, ქვედა მხარეს კი — მქრქალი და ბუნდოვანი. ამიტომაც ბუნებისათვის ნიშნეულია არა ცოდნა, არამედ მოქმედება. ის ქმნის ისე, რომ წინასწარი ზრახვის გარეშე გასცემს და თავის მომდევნოს, ესე იგი, ნივთიერსა და სხეულებრივ რეალობას გადასცემს იმას, რაც გააჩნია, როგორც გავარვარებული საგანი გადასცემს მხურვალებას ყველაფერს, რასაც ეხება, თუმცაღა ეს მხურვალება საკუთრივ გავარვარებული საგნის მხურვალებაზე ნაკლებია" („ენნეადა" IV, IV, 18)...

ამით სრულდება მეტაფიზიკურ პირველსაწყისთა თანმიმდევრული დაღმასვლა; სხივოსანი ატმოსფერო, გარს რომ არტყია გონების ტრანსცენდენტურ სამყაროს, აქ თავის უკიდურეს ზღვარს აღწევს და თანდათანობით ბნელში გადადის. ეს სიბნელე — მატერიაა, რომელსაც „ენნეადების" ავტორის დიდი მასწავლებელი პლატონი დემიურგოსულ გონებასთან ერთად გრძნობად-კონკრეტული სამყაროს დასაბამიერ საწყისად სახავს. ამ ორი საწყისის დაპირისპირებულობა პოლარულია. თუ დემიურგოსს ჭეშმარიტი არსებობა მიეწერება, მატერია მისი სრული უარყოფაა: არარსებობა, არარსი. არსებობა და არარსებობა, — ამ ორ პოლუსს შორისაა მოქცეული მთელი გრძნობადი სამყარო, რომელიც ერთდროულად წილნაყარია ორივე პირველსაწყისის ბუნებასთან. მატერია თითქოს ერთგვარი ირრეალური სარკეა, რომელშიაც ირეკლება იდეალური სამყარო, თუმცა ამ არეკვლის შედეგად ლანდები კი არა, საგნები იბადებიან (მაგრამ აქვე საჭირო ხდება პატარა კორექტივი: ეს ფიზიკური საგნები, პლატონის მიხედვით, მხოლოდ იდეების ულიმღამო ლანდებად, მათ არასრულქმნილ ასლებად თუ მქრქალ ანარეკლებად გვევლინებიან). „ტიმეოსი" (49) მატერიას უწოდებს „მიმრქმელს" („ჰიპოდოხე") და „ძიძას" („ტითენე"): „მიმრქმელს" — იმდენად რამდენადაც ის თავის უფორმო და უსახო წიაღში იღებს (მიირქმევს) იდეალური სინამდვილის ფორმებს და, ამრიგად, დასაბამს აძლევს გრძნობად ფენომენთა სამყაროს; „ძიძას" — იმდენად, რამდენადაც „ასაზრდოებს" ყოველივე ქმნადსა და ცოცხალს. როგორც „ყოვლისმიმრქმელი" („პანდეხეს") (მატერია ფლობს მხოლოდ იდეალურ ფორმათა მიღების უნარს, თავისთავად კი არაფერს არ მატებს მათ. ყველაფერი მის წიაღში რეალიზდება, მასში იბადება, იზრდება, კვდება, თვითონ კი სრულიად ინდიფერენტულია ქმნადობის ამ უსასრულო პროცესის მიმართ. გასაგებია რატომაც: პლატონის აზრით, რასაც მთლიანად იზიარებს პლოტინი, ჭეშმარიტია მხოლოდ ინტელიგიბილური სინამდვილე, მხოლოდ იდეა; მისი ონტოლოგიური სტატუსი იმდენად მაღალია, რომ არავითარ სხვა არსებობას, არავით-

არ სხვა ყოფიერებას აღარ საჭიროებს. მატერიას თავის მხრივ რომ რაიმე შეჰქონდეს ქმნადში, ეს უთუოდ დაარღვევდა იდეის, როგორც ყოველგვარი არსებობის ჭეშმარიტი წყაროს ერთადერთობას. ამიტომ პლატონის და, რაღა თქმა უნდა, პლოტინის კონცეფციითაც, მატერია არც ნივთიერია და არც სხეულებრივი, ის კი არა და, ყოველგვარი თვისობრივი თუ რაოდენობრივი განსაზღვრულობისგანაც განძარცულია. იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ის არარაა, ან არაფერი, ვინაიდან „არაფერსაც" თავისი საკუთარი მნიშვნელობა, საკუთარი აზრი მოეძებნება და მატერიისათვის რომ მივაწეროთ, გარკვეულ ნიშანს ან თვისებას შევძენდით მას.

კოსმიურ გონებას, როგორც სუბიექტსა და ობიექტს, ესე იგი, დემიურგოსსა და პირველნიმუშს, პლატონი გრძნობად-კონკრეტული სინამდვილის ღვთაებრივ მიზეზად სახავს, მაშინ როდესაც მის საპირისპირო მატერიას ღვთაებრივის „თანამიზეზს" („სინაიტია"), „დამხმარე მიზეზსა" („აიტია ჰიპერეტეს") თუ „ცთომილ მიზეზს" („აიტია პლანომენე". — „ტიმეოსი", 46; 48; 68; 69; 76) უწოდებს. ღვთაებრივი მიზეზი უშუალოდ კი არა, თავისი პირმშოს — სამყაროს სულის მეშვეობით ქმნის გამუდმებით ცვლადსა და ქმნად მატერიალურ სინამდვილეს, მაგრამ ქმნადობის აუცილებელი პირობაა მატერია. თუ გრძნობადი სამყაროს მთელ მშვენიერებას, სიკეთეს, ჰარმონიას, რაციონალურ წესრიგს „ტიმეოსი" ღვთაებრივი მიზეზის ქმედითობის შედეგად სახავს, მატერიალური სინამდვილისათვის ასევე ნიშნეული ირაციონალიზმი, შემთხვევითობა და ქაოტურობა დამხმარე, ანუ მეორეული მიზეზისგან იღებს დასაბამს. და მართლაც, რაკი სამყაროს საგანთა და მოვლენათა მთელი მრავალფეროვნების „ღვთაებრივი მიზეზი" იდეალური სინამდვილეა, ხოლო ამ უკანასკნელისთვის აბსოლუტურად უცხოა ყოველგვარი ბოროტება, მაშინ რალათი აიხსნება ბოროტის არსებობა ამ ქვეყნად, თუ არა მატერიით, არარსით? „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?" — კითხულობს ჩვენი უდიდესი ნაციონალური პოეტი. მხოლოდ პლატონისა და, მის კვალდაკვალ, პლოტინის მოძღვრება იძლევა ამ მარადიული კითხვის ყველაზე ზუსტსა და ამომწურავ პასუხს:

„რაკილა ბოროტება არსებობს, მაშასადამე, ის არსებობს იმაში, რაც არ არის; ბოროტება ერთგვარი სახეა არარსისა... შეიძლება აღვიქვათ იგი, თუ აზრით წარმოვიდგენთ, რომ ბოროტი ისე მიემართება კეთილს, როგორც ზომის უქონლობა — ზომას, როგორც განუსაზღვრელობა — ზღვარს, როგორც სიმახინჯე — მშვენიერების მიზეზს, ანდა მარადი ნაკლოვანება — თვითმკმარობას. ის არის მარად განუსაზღვრელი, ყოველგვარ სიმყარეს მოკლებული, ყოვლად ვნებული, უძლები, მწირი; ყოველივე ეს შემთხვევითი თვისებები კი არ არის ბოროტებისა, არამედ — თვით მისი არსი" („ენნეადა" I, VIII, 8). და თუმცა ბოროტებას სუბსტანციური არსებობა არ გააჩნია (ის არარსშია), მაინც ისევე გარდუვალია, როგორც თვით „ჰილე" — „მატერია"; „რაკი არსებობს არა მარტო სიკეთე, ამიტომ საგანთა უსასრულო სიმრავლეში, რომლებიც მისგან იღებენ დასაბამს, თუ გნებავთ, მისგანვე გამომდინარეობენ და თანდათანობით შორდებიან მას, — აუცილებლად უნდა იყოს უკანასკნელი ზღვარი, რომლის იქითაც აღარაფერი აღარ შეიძლება დაიბადოს; ეს უკანასკნელი ზღვარი ბოროტებაა. პირველის შემდეგ აუცილებლად რაღაც არის; მაშასადამე, არის უკანასკნელი ზღვარიც, და ეს ზღვარი მატერიაა, რომელსაც უკვე არავითარი წილი აღარ უდევს სიკეთეში. სწორედ ესაა ბოროტების გარდუვალობა"... („ენნეადა" I, VIII, 7).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გონება უშუალოდ კი არა, მხოლოდ სამყაროს სულის მეშვეობით ქმნის მთელ ფიზიკურ სინამდვილეს, რადგანაც სულის მარადიული აქტივობის ერთ-ერთი არსებითი ასპექტი ისაა, რომ გაასულიეროს, ფორმისეული განსაზღვრულობა და სიცოცხლე მიანიჭოს აბსოლუტურად ინერტულსა და ინდიფერენტულ, უსახო, უფორმო და უსიცოცხლო მატერიას. დროისა და სივრცის მიღმური იდეალური სინამდვილის სრულქმნილება, წმინდა არსისა და წმინდა აზრის მთელი სისავსე სწორედ სულს გამოაქვს გარეთ, მატერიაში პროეცირების გზით ხორცსასხამს უსხეულმყოფელ იდეებს და, ამრიგად, დასაბამს აძლევს მარადმედინი დროის წიაღში დანთქმულსა და უსასრულო სივრცეში განფენილ გრძნობად-კონკრეტულ სამყაროს...

ზემოთ ისიც ითქვა, რომ, ერთის მხრივ, გონების მიმართ მიქცეული სულის აქტივობა წმინდა ჭვრეტაა და აზროვნება, მაშინ როდესაც თავისი თავის მიმართ მიქცეული სულის აქტივობა მატერიისაკენ მიდრეკით გამოიხატება, რის შედეგადაც ის თანდათანობით ინდივიდუალიზდება, ხოლო ინდივიდუალიზაციის ეს პროცესი ჭეშმარიტად უსასრულოა: თავისი პირველწყაროსა თუ პირველნიმუშის — გონებისაგან თანდათანობით დაშორების კვალდაკვალ, სამყაროს სული თითქოს უსასრულოდ იყოფა და ცალკეული ინდივიდუალური სულების ურიცხვ სიმრავლედ ნაწევრდება: უწინარეს ყოვლისა, მისგან გამოიყოფა ცის სული, რომელიც მატერიასთან შერწყმის შედეგად ქმნის, სიცოცხლეს და არსებობას ანიჭებს მთელ ხილულ ცას; ცის სული, თავის მხრივ, დასაბამს აძლევს ვარსკვლავების, მზის, მთვარის, დედამიწის და სხვა ციურ სხეულთა. ისევე როგორც უკვდავთა ხომლისა თუ მოკვდ-

ავთა მოდგმის, ჰაერში მფრინავ, მიწაზე მძრომ თუ წყალში მცურავ არსებათა სულს.

როგორ ესახება პლოტინს ინდივიდუალურ სულთა სიცოცხლე განსხეულებამდე? — ისინი ცხოვრობენ ინტელიგიბილურ სინამდვილეში, სამყაროს სულთან შერწყმულნი; არავითარი მოგონება, არავითარი სურვილი არ ამღვრევს მათ უშფოთველ ყოფას მარადიული აწმყოს წიაღში, სადაც ისინი პირისპირ ჭვრეტენ იდეალური სამყაროს მთელ სრულქმნილებას, ღვთაებრივი სიბრძნის, სიკეთის, მშვენიერებისა და ჭეშმარიტების უბრწყინველ სავანეს „ენნეადების" ავტორი აქაც თავისი დიდი მასწავლებლის მოძღვრებას მისდევს: „მშვენიერება თვალისმომჭრელი სხივოსნობით ბრწყინავდა მაშინ, როცა... ნეტართა დასსთან ერთად ვჭვრეტდით ამ თვალწარმტაც ხანახაობას და, ამრიგად, ვეზიარებოდით მისტერიათგან, თამამად შეიძლება ითქვას, უტკბესსა და უნეტარეს მისტერიას, რომელშიაც, უბიწონი და მომავალ ცხოვრებაში ჩვენს თავს მოწევნად ბოროტებასთან წილუყრელნი, თავად ვასრულებდით მარადიული ღმრთისმსახურების მისტიურ წესს. ჩვენ ვჭვრეტდით ურწნელ, უმარტივეს, ურყევსა და უწმინდეს არსთ, და მათი წმინდა სხივოსნობის მჭვრეტნი თავად ვიყავით უმწიკვლონი და უმანკონი, რადგან ნატამალიც კი არ გვეცხო იმ ხრწნადი გარსისა, რომელსაც დღეს სხეულს ვუწოდებთ და რომელშიაც მომწყვდეულნი ვართ, როგორც ლოკოკინა — თავის ნიჟარაში" („ფედროსი", 250).

მაგრამ მატერიისაკენ მიდრეკილებისა და თვითდამკვიდრებისაკენ ლტოლვის შედეგად სულები თანდათანობით შორდებიან სამყაროს სულს, თანდათანობით კარგავენ თავიანთ სხივოსან ფრთებს, ცას მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ცვივიან დაბლა, ურიცხვ ნაპერწკლებად იფანტებიან და ბოლოს, სინათლის ეს მოციქულნი მატერიის ბნელეთს ერწყმიან, რასაც ძველთუძველესი ორფიკულ—პითაგორული, ისევე როგორც პლატონური ტრადიცია სულის „საფლავად დადებასა" თუ მიწისქვეშა პირქუშ მღვიმეში გამომწყვდევასთან აიგივებს. თუმცა აქვე უნდა დაზუსტდეს: სულის ინდივიდუალიზაციის ეს უსასრულო პროცესი, მისი დაყოფა-დანაწევრება მხოლოდ და მხოლოდ პირობითია. მართალია, პლოტინი ამბობს, რომ „სულის ბუნება დაყოფადია" (ეხეი დე ფისინ მერიძესთაი". — „ენნეადა" II, V, 5), მაგრამ ეს სიტყვები პირდაპირ მნიშვნელობით როდი უნდა გვესმოდეს: თავისი მშობლის — გონებისაკენ მიქცეული სამყაროს სული წმინდა სულია, გონების მონათესავე და თანაარსი, ერთიანი და განუყოფელი, და მხოლოდ მატერიის მიმართ ქვედადრეკილი სული გვევლინება „დაყოფადად", თუმცა რაკი ეს უკანასკნელიც პირველის მონათესავე და იგივეობრივი რჩება, პლოტინი იქვე აზუსტებს, რომ „სულის თვით დაყოფადი ნაწილიც კი დაუყოფლად იყოფა" („ტო გარ მერიძომენონ აუტეს ამერისტოს მერიძეტაი". — „ენნეადა" IV, 1). ამ მხრივ, სული შეიძლება მზის შუქს შევადაროთ, ნათლის ჩქერალად თუ ოქროსფერი სხივების კონად რომ იჭრება დიდებული ტაძრების სარკმლებშიც და უბადრუკი ქოხმახების ჭუჭრუტანებშიც, თავს ევლება თხემდათოვლილ მთათა მწვერვალებს, ცის ლაჟვარდში ნებივრად მოქანავე ტანკენარი ხეების კენწეროებს, ხასხასა ფოთლებს, მწვანედ მოლაღანე ველ-მინდვრებს, სულდგმულთაც და უსულო არსთაც, ფიზიკურ საგანთა სიმრავლით ქუცმაცდება, შთაინთქმება, გადატყდება, აირეკლება, მაგრამ ამ უსასრულო დანაწევრების მიუხედავად, მაინც ერთიან და განუყოფელ მზის შუქად რჩება.

სავსებით ბუნებრივია, რომ პლოტინის მოძღვრების თვით ამ მოკლე და სქემატურ გადმოცემებშიც კი თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან სინათლეს ან სინათლის წყაროს: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ნათლის ჩქერალი, შუქი, სხივი, სხივოსნობა, სხივმფინარება... ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუქცევს ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლუმინისცენციურ" ლექსიკას, რადგანაც პლოტინის ფილოსოფია, უწინარეს ყოვლისა, სინათლის ფილოსოფიაა; მისი მოძღვრება, არსებითად, ერთი ცენტრალური მხატვრული სახის ირგვლივ იშლება, ხოლო ამ სახის უნატიფესი სტრუქტურა მთლიანად ნათლის სხივებისგან არის ნაქსოვი: ჩვენ უკვე ვიცნობთ პლოტინისეულ დიად ტრიადას — „ერთი", „გონება", „სული"; ვიცით, რომ „ერთი მზეთა-მზედ, ან, უფრო სწორად, წმინდა სინათლის ცხოველმყოფელ წყაროდაა დასახული, „გონება" — მზედ, თავისი საკუთარი შუქით რომ ნათობს, „სული" კი — მთვარედ, რომელიც მზისგან სესხულობს თავის სინათლეს. ამ სამთაგან „ერთია" უზენაესი და უპირველესი, აზრისა და არსის მიღმური, კოსმიური სინამდვილისაგან მთლიანად განყენებული ჰიპოსტასი, რომელიც, თავისი მიღმურობისა და განყენებულობის მიუხედავად, კიდითკიდემდე ავსებს, განწონის და განსაზღვრავს კიდეც ყველაფერს. მაგრამ როგორ, რანაირად მიემართება „ერთი" სამყაროს?

„წარმოვიდგინოთ — ამბობს პლოტინი, — წერტილის ოდენა მანათობელი მასა გამჭვირვალე სფერული სხეულის ცენტრად, საიდანაც მთელ სფეროში ვრცელდება სინათლე, და ესაა ერთადერთი ნათელი, რომელიც ანათებს სფეროს. ცენტრი სრულიად უძრავია და უცვლელი, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მისი სინათლე მთელ სფერულ სხეულში ვრცელდება. ხოლო სინათლე თვით ცენტრის პაწაწინა სხეულ-

ებრივი მახიდან კი არა, იქიდან იღებს დასაბამს, რომ ის მნათი სხეულია, იმ ძალმოსილების წყალობით, რომელიც განსხვავდება სხეულებრივი ძალმოსილებისგან. ახლა წარმოსახვით გამოვრიცხოთ ცენტრის მიერ სხეულებრივი მასა და მხოლოდ მისი მანათობელი ძალმოსილება შევინარჩუნოთ: კვლავაც შევძლებთ თუ არა ვთქვათ, რომ სინათლის წყარო სფეროს ამა და ამ წერტილში მდებარეობს? განა სინათლე თანაბრად არ ნაწილდება ცენტრიდან მთელ სფერულ სხეულში? თქვენ ვეღარ დაეყრდნობით მეხსიერებას, ვერ იტყვით, სად იყო უწინ ცენტრად დასახული მნათი წერტილი, ან საიდან სად გადაინაცვლა მან; ასე რომ, საგონებელში ჩავარდნილნი ნამდვილი სასწაულის მოწმენი გახდებით: თქვენს თვალწინ იქნება სინათლე, თანაბრად რომ ნათობს სფერული სხეულის ყოველ წერტილში" („ენნეადა" VI, IV, 7). საკმარისია განვავრცოთ პლოტინის აზრობრივი ექსპერიმენტი, სასრული მოცულობის მქონე გამჭვირვალე, სინათლით გასხივოსნებული სფეროდან გადავიდეთ სამყაროს უსასრულო სფეროზე (თვით „ენნეადების" ავტორიც ხომ ამნაირ გადასვლას ისახავს ერთადერთ მიზნად), და ჩვენ მივადგებით პასკალის ერთ-ერთ უბრწყინვალეს პასაჟს: „სამყარო უსაზღვრო და უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, პერიფერია კი არსად" (იხ. ბლეზ პასკალი, აზრები, ფრანგულიდან თარგმნა,, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1981, გვ. 200).

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენს მიერ წარმოსახულ, სასრულსა და სინათლით გაბრწყინებულ სფეროს; წარმოსახვითვე გავავლოთ მასში სხივოსანი რადიუსები (თუმცა გამოთქმა — „სხივოსანი რადიუსები", არსებითად, ტავტოლოგიაა, რადგანაც „რადიუს" — „სხივს" ნიშნავს ლათინურად; ზმნიდან — „რადიო"— „ვასხივებ"; ამავე ზმნიდან იღებს დასაბამს „რადიაციაც"). თუ „ერთი" სფეროს ცენტრია, რადიუსები მის გარშემო შემოწერილ სფეროსა ქმნიან. თვითმნათი ცენტრი („კენტრონ", რაც იგივე „წერტილს" ნიშნავს ბერძნულად) რადიუსების მეშვეობით თითქოს თავისი თავიდან გამოედინება და სხივოსან სფეროდ იქცევა, მაგრამ ისე კი, რომ მის ერთობას და ერთადერთობას არა აკლდება რა ამით: ის კვლავაც აბსოლუტურად უცვლელი და უძრავი, თავისთავადი და თვითიდენტური რჩება, თუმცა, იმავე დროს, ერთპიროვნულად დომინანტობს როგორც რადიუსებზე, ისე სხივოსან სფეროზედაც, რომელიც თითქოს თვითპროეცირებადი ცენტრის გაშლა-განვითარებად გვევლინება და პლოტინის მიერ კოსმოსურ „გონებად" — „ერთის, ანუ „ღმერთის" ხატებად" („ეიკონ"), იგივე სხივმფინარე მზედაა ასახული.

ახლა კი წარმოვიდგინოთ მზის მოვლვარე ზედაპირის — ფოტოსფეროს („სინათლის სფეროს") გარემომცველი ნათელი ბაკმი, მოვარდისფროდ რომ იფერება მზის სრული დაბნელებისას, დედამიწასა და მზეს შორის ჩამდგარი მთვარის დისკოს ბნელ ფონზე: ეს ნათელი ბაკმი ქრომოსფეროა („ფერადი სფერო"), რომელსაც, თავის მხრივ, გარს ეკვრის ეგრეთწოდებული „მზის გვირგვინი" — სინათლის გიგანტური სარტყელი, თვით დედამიწას რომ უწევს. ქრომოსფერო და მზის გვირგვინი, — ასე ესახება პლოტინს მთელი გრძნობად-კონკრეტული სინამდვილის მაფორმირებელი და მასულდგმულებელი საწყისი — სამყაროს სული, რომელიც „ენნეადებში" სხივმფინარე მზის — კოსმიური გონების ხელთუქმნელ ხატად გვევლინება, ისევე, როგორც გონება ხატებაა უზენაესი სიკეთის, ანუ აბსოლუტური ერთისა.

ასეთია სამყაროს პლოტინისეული „სხივოსანი გეომეტრია". აბსოლუტური ერთი, ანუ ღმერთი „მზეთა-მზეა", „მზიანი ღამე" თუ წმინდა სინათლის ცხოველმყოფელი წყარო; მისგან, როგორც ცენტრისგან გამოსხივებული რადიუსები ქმნიან კოსმიურ გონებას, ინტელიგიბილური სამყაროს მზეს, რომლისგანაც თავის სინათლეს სესხულობს დროისა და სივრცის მიღმური სინამდვილის პერიფერიაზე მოძრავი სამყაროს სული. ერთი თავისი თავიდან გამოედინება და იდეალურ არსთა თუ გრძნობად-კონკრეტულ საგანთა უსასრულო სიმრავლედ იქცევა, მაგრამ ამ სიმრავლეში კი არ ითქვიფება და განქარდება, არამედ ყველაფერში ერთადვე რჩება, რათა ბოლოს თავის თავსვე მიუბრუნდეს. „სხივოსანი რადიუსების" ტენდენცია არა მარტო ცენტრიდანულია, არამედ ცენტრისკენულიც. წარმოიდგინეთ წმინდა სინათლის წყარო, რომელიც არა მარტო ზებუნებრივი სიუხვით ასხივებს სამყაროში სითბოს და სინათლეს, არამედ უკანვე ისრუტავს თავის სხივებსაც.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ერთმა სამხრეთ ამერიკელმა მკვლევარმა პლოტინის მასწავლებელს მიუძღვნა მშვენიერი წიგნი, საიდანაც მინდა ერთი პატარა პასაჟი გავაცნო მკითხველს: „შესაქმისას ღმერთი განიფინება ძალთა სიმრავლედ, პოტენციალთა სხივოსან კონად, ღვთაებრივ უნართა ქმედითობად, უხილავ გეომეტრიად, რომელიც შემდეგ — ხილულ სინამდვილეში — ფორმათა მრავალფეროვნებად უნდა იქცეს. ერთობა ილვრება რიცხვებად, რათა შემდეგ კვლავ ერთობად შეისრუტოს რიცხვთა სიმრავლე... ყველა რიცხვი ერთიდან გამოდის და ერთსვე უბრუნდება. გეომეტრია განზოგადებული წერტილია. წერტილი არის კონცენტრირებული გეომეტრია" (სანტიაგო არგუელიო, ღვთაებრივი პლატონი, ტ II, 1984, გვ. 142).

ეს სიტყვები შეიძლება მთლიანად მივუხადაგოთ „ენნეადების“ ავტორსაც.

* * *

1. რაკიღა იმას, ვინც მიაღწია გონით საწვდომი მშვენიერების ჭვრეტას და შეიცნო ჭეშმარიტი გონების მშვენიერება, ჩვენის მტკიცებით. შეუძლია აზრით მისწვდეს გონიერების მამასაც, რომელიც არის გონების მიღმა, — ვცადოთ განვიხილოთ და სიტყვიერად განვსაზღვროთ (თუკი, საერთოდ, შეიძლება სიტყვებით ამის გამოთქმა) ,როგორ შეიძლება გონებისა და გონით საწვდომი სამყაროს მშვენიერების ჭვრეტა.

ავიღოთ თუნდაც გვერდი-გვერდ მდებარე ორი ლოდი, რომელთაგანაც ერთი ტლანქია და დაუმუშავებელი, მეორე კი ხელოვნების ნიშნით აღბეჭდილი და ღვთაებისა თუ კაცის ძეგლად ნაქანდაკარი. ღვთაების ძეგლად ქარიტისა თუ მუზის ქანდაკება იგულისხმება, ხოლო კაცის ძეგლად — რომელიც გნებავთ მოკვდავის კი არა, მხოლოდ იმისი ხატება, ვინც ნაირგვარი მშვენებით შემოსა ხელოვნებამ. ცხადია, ლოდი, რომელსაც მშვენიერი ფორმა მიანიჭა ხელოვნებამ, იმის წყალობით კი არაა მშვენიერი, რომ ლოდია (რადგან მაშინ მშვენიერი იქნებოდა მეორე ლოდიც), არამედ ფორმის წყალობით, რომლითაც ის შემოსა ხელოვნებამ. ეს ფორმა მასალაში კი არ იყო, არამედ ხელოვანის სულში, ვიდრე ქვაში შეისხამდა ხორცს. ხოლო ხელოვანის სულში იმიტომ კი არ იყო, რომ ხელოვანს თვალები და ხელები აქვს, არამედ იმიტომ, რომ წილნაყარია ხელოვნებასთან.

მაშასადამე, ეს მშვენიერება ხელოვნებაში იყო, გაცილებით უფრო სრულქმნილი, რადგანაც მშვენიერება, რომელიც ქვაში გადავიდა, ის მშვენიერება როდია, რომელიც არის ხელოვნებაში. ეს უკანასკნელი უცვლელია და მისგან იღებს დასაბამს სულ სხვა რიგის— უფრო მდარე და მდაბალი მშვენიერება, რომელიც უცვლელი როდი რჩება და მხოლოდ იმდენად აღწევს სასურველ სინატიფეს, რამდენადაც ქვა ნებდება ხელოვნებას. თუ ხელოვნება ქმნის იმას, რაც თვითონაა, ან რასაც ფლობს (ხოლო ის ქმნის მშვენიერებას, თანახმად იმის იდეისა, რაც უნდა შექმნას), საკუთრივ მისი მშვენება გაცილებით უფრო დიდია და ჭეშმარიტი, რადგანაც ის ფლობს ხელოვნების მშვენიერებას, შეუდარებლად უფრო სრულქმნილს, ვიდრე ის მშვენიერებაა, რომელიც გარეშე საგანშია ხორცშესხმული. ვინაიდან რაც უფრო მეტად ერწყმის ეს მშვენიერება მასალას, რაც უფრო ვრცლად განიფინება, მით უფრო კნინდება და იმაზე უარესი ხდება, რაც უცვლელად ინარჩუნებს თავის ერთიანობას. რადგანაც ყოველივე ვრცეული თუ განფენილი თავის თავს განეხხვისება, იქნება ეს სიმტკიცე, სითბო, მშვენიერება თუ ძალმოსილება. ყოველივე პირველქმნილი, პირველმიზეზი ყოველთვის უფრო სრულქმნილია, ვიდრე მის მიერ შექმნილი თუ მისი შედეგი. არამუსიკურობა კი არა, მუსიკა ქმნის მუსიკოსს, და გრძნობად საგანთა მუსიკაც ზეგრძნობადი მუსიკისგან იღებს დასაბამს.

ხოლო თუ ვინმე ამცირებს ხელოვნებას იმის გამო, რომ ყოველი ხელოვნება ბუნებას ბაძავს, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ბუნების ქმნილებაც რაღაცის მიბაძვად გვევლინება. აქვე უნდა დავინახოთ, რომ ხელოვნების ნაწარმოები მარტოოდენ ხილულ საგნებს კი არ ბაძავს, არამედ იმ ზეგრძნობადსა და აზრით საწვდომ საგნებსაც, საიდანაც დასაბამს იღებს თვითონ ბუნება. ეგეც არ იყოს, ხელოვნება ბევრ რამეს ქმნის თავისთავადაც. როგორც მშვენიერების მფლობელი. ის ავსებს ბუნებრივ საგანთა ნაკლოვანებას. ფიდიასმა ისე შექმნა თავისი ზევსი, რომ არავითარი გრძნობადი საგანი არა ჰქონია ნიმუშად, არამედ საკუთარი წარმოსახვით იმნაირად წარმოაჩინა იგი, რანაირიც იქნებოდა თვითონ ზევსი, თავისი ნამდვილი სახით რომ მოვლენოდა ჩვენს მზერას.

2. მაგრამ მოვეშვათ ხელოვნებას. განვიხილოთ ის საგნები, რომელთა მშვენიერებასაც ხელოვნების ქმნილებები ბაძავენ; საგნები, რომლებიც ბუნებრივად იბადებიან და ბუნებრივადვე იწოდებიან მშვენიერ საგნებად: ყველა გონიერი თუ უგონო არსება, უპირატესად კი ისინი, რომელნიც ყველაზე უკეთ გამოუვიდა მათ შემქმნელსა თუ შემოქმედს, ვინც დაიურვა მასალა და ისეთი ფორმა მიანიჭა მას, როგორიც თვითონ სურდა. რა არის მათი მშვენება? როგორც ჩანს, ეს არც მათი სისხლია და არც მათი წიდოვანება; არც მათი სხვადასხვა ფერი და არც მათი ფორმა. იქნებ ეს მშვენება არარაა, ან უსახო თუ სრულიად მარტივი რაღაც, ისევე რომ მოიცავს საგანს, როგორც მისი მასალა? საიდან იღებს დასაბამს ქიშპობის საგნად ქცეული სხივოსანი მშვენება ელენესი, ან აფროდიტეს სადარი სხვა ქალებისა? საიდან წარმოსდგება თვით აფროდიტეს მშვენიერება? სადაა სათავე ყოველი მოკვდავის, ანდა უკვდავის მშვენებისა: გნებავთ იმისი, ვინც ევლინება ჩვენს მზერას, გნებავთ იმისა, ვინც უხილავია ჩვენთვის. მაგრამ ხილულია მისი მშვენება? არის თუ არა ყველა ცალკეულ შემთხვევაში ფორმა, შემოქმედისგან რომ ენიჭება მის ქმნილებას, ისევე როგორც, ჩვენი მტკიცებით, ხელოვნების ნაწარმოებს ხელოვნება ანიჭებს მშვენიერებას? კი მაგრამ როგორ? მშვენიერია ხელოვნების ქმნილება და მასალაში ხორცშესხმული აზრი, ხოლო აზრი, რომელიც მასალაში კი არაა, არამედ ხელოვანის სულში, არ არის მშვენიერი? იგ-

ულისხმება პირველადი, უსხეულმყოფელი და ყოვლის ერთად მქცეველი აზრი.

თუმცა მასალა რომ მშვენიერი იყოს თავისთავად, მხოლოდ იმიტომ, რომ ის მასალაა, მაშინ მშვენიერი აღარ იქნებოდა შემოქმედებითი აზრი, რადგან ის მასალა როდია. მაგრამ თუ ცრთი და იგივე ფორმა ერთნაირ ზემოქმედებას ახდენს მაყურებლის სულზე, მიუხედავად იმისა, თუ რა მოცულობის მასალაშია ხორცშესხმული — დიდსა თუ მცირეში, მაშასადამე, მშვენიერება მასალის სიდიდესა თუ სიმცირეს როდი მიეწერება. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ჩვენ ვერ შევიგრძნობთ მშვენიერებას, სანამ ის ჩვენს გარეთ რჩება, და მხოლოდ მას შემდეგ მოქმედებს ჩვენზე როცა შესაძლებელი ხდება მისი გაშინაგნება. თვალების გზით მხოლოდ ფორმა შემოდის ჩვენში, თორემ, აბა, ესოდენ ვიწრო ჭრილით როგორ შემოაღწევდა მასალის მთელი მოცულობა? ფორმას თან მოსდევს სიდიდეც, მაგრამ ესაა სიდიდე, რომელსაც მოცულობა კი არა, არამედ ფორმა განაპირობებს.

ამასთანავე, შემოქმედი ან მახინჯი უნდა იყოს, ან მშვენიერი, ან არც ერთი და არც მეორე. მახინჯი რომ იყოს, ვერ შექმნიდა თავის საპირისპიროს; თუ არც მახინჯია და არც მშვენიერი, ვითომ რატომ უნდა შექმნა უფრო მეტად მშვენიერება, ვიდრე სიმახინჯე? მაგრამ არსებობს ბუნება, რომელიც ქმნის მშვენიერ საგნებს, და მათზე გაცილებით უფრო ადრე თვითონვეა მშვენიერი. ჩვენ კი, სრულიად უჩვევნი საგანთა შინაგნობის ჭვრეტას, რომელიც სრულიად უცხო და უჩინარი რჩება ჩვენთვის, მხოლოდ მათ გარეგნულ იერს მივეღტვით და არ კი გვესმის, რომ სწორედ შინაგნობა მოქმედებს ჩვენზე. ეს იმ კაცის ქცევასა ჰგავს, თავის საკუთარ გამოსახულებას რომ უმზერს და თავგამოდებით ცდილობს მის მოხელთებას, რადგანაც არ ესმის, საიდან ილებს დასაბამს იგი. რა თქმა უნდა, ჩვენი ლტოლვის საგანი სულ სხვა რამეა, და მშვენიერებას სიდიდე კი არ შეიცავს, არამედ ასეთია სხვადასხვა მოძღვრების, საქმიანობის და, საერთოდ, სულის მშვენიერება. და მართლაც, არ არსებობს სიბრძნეზე უფრო ჭეშმარიტი მშვენიერება, როცა შენ აღტაცებით უმზერ ვიღაცის გონიერებას, ისე, რომ არც კი უყურებ მის სახეს, რომელიც შეიძლება მახინჯიც იყოს. შენ ყურადღებას არ აქცევ მშვენიერების არცერთ გარეგნულ გამოვლენას და მხოლოდ შინაგანი მშვენიერებისკენ მიგირბის თვალი. მაგრამ თუ ის გულისშემძვრელ ზემოქმედებას არ ახდენს შენზე, თუ მშვენიერებად არ მიგაჩნია იგი, მაშასადამე, ვერც შენს თავს აღიქვამ მშვენიერად, როცა შენსავე საკუთარ სიღრმეს ჩახცქერი. ასე რომ, ამაოდ დაიწყებ შინაგანი მშვენიერების ძებნას, რადგანაც ეცდები სიწმინდეში კი არა, სიმახინჯეში აღმოაჩინო იგი. ამრიგად, ჩვენი სიტყვა ყველას მიმართ როდია თქმული: გაიხსენე, ოდესმე მაინც თუ აღგიქვამს მშვენიერად შენივე თავი.

8. ამრიგად, ბუნებაში არსებობს მშვენიერების საზრისი, პირველნიმუში სხეულებრივი მშვენიერებისა; მაგრამ სულში არსებობს კიდევ უფრო მშვენიერი საზრისი, საიდანაც დასაბამს ილებს ბუნების მშვენიერება. თუმცა ყველაზე ნათლად ის ვლინდება ბრძენ სულში, საიდანაც წმინდა მშვენებად იქმევა. ის ამკობს და ნათელს მფენს სულს, რადგანაც თვითონვე წარმოსდგება უზენაესი ნათლისაგან, რომელიც არის დასაბამიერი მშვენიერება. სული სწორედ მასში არსებული მშვენიერების საზრისის მეშვეობით დაასკვნის, რა არის ის, რაც წინ უსწრებს თვითონ ამ საზრისს; რაც სხვა რამისგან კი არ წარმოსდგება და არც სხვაშია, არამედ მხოლოდ თავის თავში. ამიტომაც მშვენიერების საზრისი კი აღარ არის, არამედ შემოქმედი მშვენიერების პირველადი საზრისისა, რომელიც ისე არსებობს სულში, როგორც მატერიაში. ესაა გონება, მარადიული გონება, და არა გონება, რომელიც ხანდახან აზროვნებს, რადგანაც გარედან როდი ილებს აზრს. რა სახით შეიძლება აღიქვას იგი ვინმემ, რაკილა ყოველგვარი ხატება უდარესისაგან ილებს დასაბამს? მაგრამ აუცილებელია, რომ მისი ხატება თვით გონებისაგან წარმოსდგებოდეს და ხატებად როდი აღვიქვამდეთ მას: ასე, ოქროს სინჯს საერთოდ ოქროს ნიმუშად თვლიან, და თუ ეს სინჯი მინარევებს შეიცავს, მას ან მართლა წმენდენ, ან წარმოსახვით, და ამრიგად ამტკიცებენ, რომ მთელი სინჯი კი არ არის ოქრო, არამედ მხოლოდ მისი ამა და ამ მოცულობის მქონე ნაწილი.

ასევე აქაც ჩვენი გაწმენდილი გონების, ან, თუ გნებავთ, ღმერთებისა და მათი გონებისგან განვისწავლებით. ყველა ღმერთი დიადია და მშვენიერი; გონებამიუწვდომელი მათი მშვენება. მაგრამ რისი წყალობით არიან ისინი ასეთნი? გონების წყალობით, რომელიც პირწმინდად ქმედითია მათში, რათა ამ ქმედითობით გაცხადდეს. თავიანთი სხეულებრივი მშვენიერების კი არა (რადგან თუ მათ სხეულები აქვთ, ეს როდი განსაზღვრავს მათ ღვთაებრიობას), გონების წყალობით არიან ისინი ღმერთები. დიახ, მშვენიერნი არიან ღმერთები. მათი გონება ხანდახან როდია ქმედითი, ხანდახან კი უქმი, არამედ მუდამ ქმედითია თავისი აუმღვრევლობით, სიმტკიცითა თუ სიწმინდით. მათთვის ცნობილია ყოველი, და ადამიანურს კი არ შეიცნობენ, არამედ თავიანთ საკუთარ არსსა და იმას, რაც აღიქმება გონების თვალით. ცის ბინადარი ღმერთები, ზეაწეული თავებით, თითქოს შორიდან მარადის ჭვრეტენ იმას, რაც არის გონით საწვდომ ცაში, რადგანაც მათია მოცალეობა. გონით საწვდომ ცის მკვიდრი ღმერთები კი, რომელთაც იქა

აქვთ სავანე, მთელი ცის ბინადარნი არიან, ცისა, რომელიც არის ყოველი, რადგანაც იქ ყველაფერი ცაა: თვით ზღვაც და მიწაც, ცხოველებიც, მცენარეებიც და ადამიანებიც; დიახ, ყველაფერი ციურია იმ ცაში. იქაური ღმერთები ზიზღით როდი უყურებენ ადამიანებსა თუ სხვადასხვა საგნებს, რადგანაც ყველაფერი იქაურია. ისინი მთლიანად ავსებენ იქაურ სივრცეს, თავიანთ მარადიულ სიმშვიდეში დავანებულნი.

4. იქ ადვილია ცხოვრება. ჭეშმარიტებაა მათი დედაც და ძიძაც, მათი საზრდოც და არსიც. ისინი ჭვრეტენ ყველაფერს: არა მარტო იმას, რისთვისაც ნიშნეულია ქმნადობა, არამედ იმასაც, რისთვისაც ნიშნეულია ჭეშმარიტი არსებობა, და მათ შორის — თავიანთ თავსაც. რადგან იქ ყველაფერი გამჭვირვალეა; არა არის რა ბნელი, და არც ისეთი, წინააღმდეგობას რომ უწევდეს მზერას. ყველა გულისგულამდე ნათელია ყველასათვის, რადგანაც სინათლეა სინათლისათვის. თვითეული შეიცავს ყველაფერს და ყველაფერს ხედავს სხვაში; ყველაფერი არის ყველგან, ყველაფერი არის ყველაფერი და თვითოეული არის ყველაფერი, ხოლო ბრწყინვა უსასრულოა. ყოველი მათგანი დიადია, რადგან თვით მცირეც კი დიადია. იქ მზე ყველა ვარსკვლავია, ხოლო თვითეული ვარსკვლავი მზე და ყველა სხვა ვარსკვლავია; თვითეულ მნათობში ყველა სხვა მნათობი ნათობს და ყველაში ნათობს თვითეული.

იქაური მოძრაობაც წმინდა მოძრაობაა, რადგანაც მამოძრავებელი არ ამღვრევს და აშფოთებს მოძრავს, ვინაიდან საერთოდ არ განსხვავდება მისგან. არც უძრაობას ამღვრევს მოძრაობა, რადგანაც უძრაობას წილი არ უდევს იმაში, რაც არამდგრადია. მშვენიერიც იმიტომაა მშვენიერი, რომ არამშვენიერში როდია. იქ თვითეული მისთვის უცხო ნიადაგზე კი არ მოძრაობს, არამედ ადგილი, სადაც ის არის, საიდიგივეა, რაც თვითონ. ასე რომ ადგილი, საიდანაც ის აღიძვრის, უკან როდი რჩება მისი აღმასვლისას. ვერ ვიტყვით, რომ ის სხვაა და მისი ადგილი სხვა; რადგანაც მისი საფუძველი გონებაა და თვითონაც არის გონება. წარმოიდგინეთ, თითქოს ეს ჩვენი ხილული და სხივოსანი ცა თვითონვე იყოს წყარო მთელი იმ სინათლისა, რომელიც იფრქვევა მისგან. მაგრამ აქ ყველა ნაწილი სხვადასხვანაირ სინათლეს აფრქვევს, და თვითეული არის მხოლოდ ნაწილი; იქ კი ყოველი ნაწილი მუდამ მთელისგან წარმოსდგება, და თვითეული ნაწილი, იმავდროულად არის მთელი. აქ ის ნაწილად წარმოუდგენიათ, მაშინ როდესაც ბასრი მზერისთვის ის არის მთელი; იგულისხმება ისეთი მზერა, როგორიც ჰქონდა ლინკევსს, ვის თვალსაც, გადმოცემით, ისიც კი არ გამოეპარებოდა, რაც იყო მიწის სიღრმეში.

იქაური ჭვრეტისთვის არც დაღლილობა არსებობს და არც ავსება, რაც ჭვრეტის შეწყვეტას გამოიწვევდა; არ არსებობს სიცარიელე, რომ აივსოს და ამნაირი დასასრულით დაკმაყოფილდეს; არა, იქ ისე როდია, რომ ერთი სხვა იყოს და მეორე სხვა, რათა ერთისთვის არ კმაროდეს ის, რაც ეკუთვნის მეორეს. იქ ყველაფერი წარუვალია და შეუმუსვრელი. თუმცა იქ არსებობს აღუვსებლობა, რამდენადაც აღვსება ზიზღს არ იწვევს აღმვსების მიმართ. მჭვრეტელი იქ სულ უფრო და უფრო მეტსა ჭვრეტს, და როგორც უსასრულოს რომ აღიქვამს თავის თავსაც და თავისი ჭვრეტის ყველა საგანსაც, თავისსავე საკუთარ ბუნებას მისდევს. რადგან სიცოცხლე, რომელსაც წმინდა სიცოცხლე ეთქმის, შეუძლებელია დამღლელი იყოს. ან კი რა დაღლის იმას, ვინც ყველაზე უკეთესი სიცოცხლით ცოცხლობს? ხოლო ეს სიცოცხლე სიბრძნეა, მაგრამ იმნაირი სიბრძნე კი არა, აზროვნებით რომ მიიღწევა, რადგან ის ყოველთვის მთლიანია, ყოველგვარი ნაკლოვანების გარეშე, და არ საჭიროებს იმას, რომ ძიებით მიღწეულ იქნეს. ესაა პირველადი სიბრძნე, მაგრამ ისე კი არა, თითქოს ჯერ არსი იყოს და შემდეგ — სიბრძნე. ამიტომაც არ არსებობს უფრო მაღალი სიბრძნე: თავისთავადი ცოდნა იქ გონების თანამოსაყდრეა და გონებასთან ერთად ვლინდება, ისევე, როგორც დიკესა და ზევსზე ამბობენ. იქ ყველაფერს ისე ჭვრეტს თვალი, როგორც ქანდაკებებს: ესაა სანახაობა, რომლის ღირსნიც მხოლოდ უნეტარესი მჭვრეტელნი არიან. ჩვენ კი დღემდე ვერ მივმხვდარვართ ამას, რადგანაც ყოველი მეცნიერება მხოლოდ თეორემებისა და წანამძღვარების ჯამი გვგონია; თუმცა ის თვით აქაური მეცნიერების დარგებზეც კი არ შეიძლება ითქვას. ხოლო თუ ვინმეს საეჭვოდ მიაჩნია ამის მტკიცება, დროებით მოვეშვათ მათ, რაც შეეხება იქაურ მეცნიერებას, პლატონი ბრძნულად ამბობს: „ის სხვა როდია სხვაში". მაგრამ რას ნიშნავს ეს? ამის კვლევა-ძიება ჩვენ მოგვანდო, თუკი ღირსნი ვართ იმისა, რომ პლატონის მიმდევრები გვერქვას, ასე რომ, იცის, იქნებ სწორედ ამით ჯობდეს კვლევის დაწყება.

5. ყველაფერს, რაც იქნება, როგორც ბუნების, ისე ხელოვნების ქმნილებებსაც, ერთგვარი სიბრძნე ქმნის, შემოქმედებას ყოველთვის წინ უძღვის და წარმართავს სიბრძნე. თუ ვინმე სიბრძნის თანახმად ქმნის რასმე, ყოველნაირ ხელოვნებასაც სიბრძნის ქმედებად უნდა ვთვლიდეთ. მაგრამ ხელოვანი, თავის მხრივ, კვლავ უბრუნდება ბუნების სიბრძნეს, რომლის წყალობითაც ეზიარა ხელოვნებას; სიბრძნეს, რომელიც თეორემებისაგან კი არ ითხზვის, არამედ მთლიანია და ერთიანი, მაგრამ ეს ერთიანობა ნაწილთა სიმრავლისაგან კი არაა შედგენილი, არამედ თვითონვე იქცევა სიმრავლედ. ამიტომ თუ ვინმე დახაბამიერად

მიიჩნევს ამ სიბრძნეს, ესეც სავსებით საკმარისია, რადგან ის არც სხვისაგან იღებს დასაბამს, და არც სხვაშია.

ხოლო თუ იტყვიან, რომ ის რის ბუნების საზრისი, ბუნება კი მისი საწყისია, მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ, საიდანა აქვს ბუნებას იგი? თუ სხვისაგან, რა არის ეს სხვა? თუ თავისივე თავისაგან, აქ შევჩერდებით; ხოლო თუ გონებაზე მიგვანიშნებენ, უნდა ვნახოთ, გონებამ ხომ არ წარმოშვა ეს სიბრძნე? თუ იტყვიან, გონებამო, მაშინ საიდან წარმოშვა? თუ საკუთარი თავიდან, ეს შეუძლებელი იქნებოდა, თუკი თვითონვე არ არის სიბრძნე. მაშასადამე, ჭეშმარიტი სიბრძნე არის არსი, და ჭეშმარიტი არსი არის სიბრძნე. არსს სიბრძნე ანიჭებს ღირებულებას, და რაკი სიბრძნე ანიჭებს, ის არის ჭეშმარიტი არსი. ამიტომ არსნი, რომელნიც არ ფლობენ სიბრძნეს, მართალია, არსნი კი არიან, რადგანაც სიბრძნის წყალობით ეზიარებიან არსობას, მაგრამ არა ჭეშმარიტი არსნი, რადგანაც მათთვის უცხოა სიბრძნე.

მაშ, ნუ ვიფიქრებთ, თითქოს იქაური უკვდავნი და უნეტარესნი აქსიომებსა ჰვრეტდნენ; ყველაფერი, რაც იქაა და შეიძლება სიტყვით გამოთქმულ იქნეს, მშვენიერ ქანდაკებებად ევლინება, იმ ქანდაკებათა მსგავსად, რომლებიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ბრძენკაცთა სულში; არა, საჭრეთლით ნაკვეთ კი არა, ღვთიუქმნელ ქანდაკებებად. ამიტომაც ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, რომ იდეები არსნიც არიან და არსებებიც.

8. ჩემის აზრით, ზუსტი მეცნიერებისა თუ ბუნებრივი ალღოს წყალობით, ამასვე მიხვდნენ ეგვიპტელი ბრძენკაცნიც: როცა ამა თუ იმ საკითხში თავიანთი ცოდნის გამოვლენა სურთ, ისინი ასო-ნიშნებს კი არ იყენებენ, რომლებიც ბგერებს აღნიშნავენ, ან სიტყვებად, მსჯელობებად თუ წინადადებებად ერწყმიან ერთმანეთს, არამედ მთელ გამოსახულებებსა ხატავენ, რომელთაგანაც თვითეული ამა თუ იმ საგანს შეესაბამება, და ტაძრებში ისე აღბეჭდავენ მათ, რომ ყოველი ამნაირი გამოსახულება მეცნიერებაც იყოს, სიბრძნეც და საგნის არსიც, ერთბაშად, მთლიანად აღქმული და არა თანდათან, აზროვნებისა თუ გონივრული მსჯელობის გზით. შემდეგ ამ მთლიანობიდან სხვა ნიშნებით გამოიყოფა კერძო ხატება, რომელიც გვიხსნის მთელ გამოსახულებას და გვიცხადებს იმ მიზეზს, რომელმაც სწორედ ამნაირად შექმნა იგი და არა სხვაგვარად, ასე რომ, განცვიფრება იპყრობს მისი უჩვეულო მშვენიერების მჭვრეტელს. ვისაც თავისი თვალით უხილავს ეს, ამტკიცებს, რომ განვითარებულია ეგვიპტური სიბრძნით, რადგანაც მისთვის, მართალია, უცხოა არსის ჭეშმარიტი მიზეზის ცოდნა, მაგრამ მაინც ახერხებს ამ მიზეზს აზიაროს ის, რაც მისი მიხედვით იქმნება. თუ ვინმე წინასწარ გამიზნული კვლევისა თუ მთელის ძიების გარეშე ნაწილობრივ მაინც ავლენს ამ მშვენიერებას, [illegible]ის უკანასკნელი ყოველგვარ [illegible] და ყოველგვარ მსჯელობაზე უწინარესაც უნდა არსებობდეს. ამაში თავად დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ ერთ დიად ნიმუშს, რაზედაც აქ ვმსჯელობ, ხოლო ეს ჩემი მსჯელობა არა მარტო მას, შეიძლება ყველაფერს მიესადაგოს.

7. თუ ვაღიარებთ, რომ ეს სამყარო, თავისთავადაც და თავის თვისებებითაც სხვისგან იღებს დასაბამს, ნუთუ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ მისმა შემოქმედმა თვითონვე ჩაიფიქრა და სამყაროს შუაგულში მიუჩინა ადგილი დედამიწას, შემდეგ — წყალს დედამიწაზე და სხვა საწყისთაც, ვიდრე ცამდე? შემდეგ ასევე ჩაიფიქრა ყველა ცოცხალი არსება, თვითეული მათგანის აწინდელი სახე, გარეგნული იერი თუ შინაგანი აგებულება? ყოველივე ეს თავის შთანაფიქრით განსაზღვრა და საქმედ აქცია? მაგრამ ამნაირი შთანაფიქრი შეუძლებელია. რანაირად წარმოიდგენდა იმას, რაც არასოდეს უნახავს? ხოლო თუ სხვისგან ისესხა, მაინც ვერ შესძლებდა ხორცი შეესხა მისთვის, როგორც იქცევიან დღეს ხელოსნები, თავიანთ ხელებსა თუ ხელსაწყოებს რომ იყენებენ, ვინაიდან ხელებიცა და ფეხებიც უფრო გვიანდელია. მაშასადამე, ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ ყველაფერი იყო სხვაში, მაგრამ ისე კი, რომ არსსა და სხვას შორის არ ყოფილიყო არავითარი ტიხარი, რათა მათი უშუალო მეზობლობის შედეგად ანაზდეულად წარმოქმნილიყო არსის ასლი თუ ხატი, გნებავთ, თავისთავად, გნებავთ, სულის მეოხებით, სულერთია, რას ვიგულისხმებთ (რადგანაც ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამჯერად) — სულს ზოგადად თუ რომელიმე ცალკეულ სულს.

დიახ, ყველაფერი იქიდან იღებს დასაბამს და იქ გაცილებით მშვენიერია, რადგანაც აქ ყველაფერი შერეულია, ხოლო იქ — შეურეველი; ესე იგი, თავიდან ბოლომდე ყველაფერი ფორმებითაა მოცული: უწინარეს ყოვლისა, თვით მატერია — ელემენტთა ფორმებით, რომლებსაც ზედ ერთვის სხვა ფორმები. ამ უკანასკნელთ კიდევ სხვა და ასე შემდეგ. ასე რომ, ძალზე ძნელია ამდენი ფორმის ქვეშ მიჩქმალული მატერიის მიკვლევა. და რაკი თვითონვეა ერთგვარი უკიდურესი ფორმა, ყველაფერი არის ფორმა, და ყოველი საგანი არის ფორმა, რადგანაც ფორმა იყო პირველნიმუშშიც. ხოლო პირველნიმუში უხმაუროდ ქმნის რასაც ქმნის, რადგანაც ყოველი შემოქმედი არსი არის და ფორმა. ამიტომ მის ქმედითობისათვის უცხოა დაღლა, და ესაა შემოქმედება, რომელიც ყველაფერს მოიცავს, რაკიღა ყველაფერს ქმნის. მისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება. ახლაც ის წარმართავს ყოველივე ქმნადს, თუმცა ერთი ქმნადი ხელს უშლის მეორეს; მისთვის კი არც ამჟამად არსებობს რაიმე ხელისშემშლელი, რადგან ის რჩება როგორც ყოველი.

მე მგონია, ჩვენ თვითონ რომ ვყოფილიყა-

ვით პირველნიმუშშიც, ფორმაც და არსიც, და ქმედითი ფორმა იქ ჩვენივე არსი ყოფილიყო ჩვენი ხელოვნებაც წვალების გარეშე მოიპოვებდა გამარჯვებას. მაგრამ ადამიანი, თავად ქმნადობის ნაყოფი, საკუთარი თავისაგან განსხვავებულ ფორმასა ქმნის. ადამიანად ქცეული, ის უკვე აღარ არის ყოველი. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავს დააღწევს ადამიანურ არსებობას. პლატონის თქმისა არ იყოს, ის „თავს ევლება ზესკნელს და განაგებს მთელ სამყაროს". მთელისაგან წარმომდგარი ის მთელსა ქმნის.

მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვამბობთ ამას რომ შეგვეძლოს დაასახელო მიზეზი, თუ რატომ მდებარეობს დედამიწა შუაგულში, რატომაა ის მრგვალი, რატომაა ეკლიპტიკა ასე დახრილი თუმცა იქ, ზემოთ, იმიტომ კი არ არსებობს ამნაირი გადაწყვეტილება, რომ ასეა საჭირო, არამედ ყველაფერი ისეა, როგორიცაა, და სწორედ ამიტომაა მშვენიერი. ეს იმასა ჰგავს, მიზეზობრივ სილოგიზმში დასკვნა წინ უსწრებდეს წანამძღვრებს. დიახ, ეს დასკვნა მსჯელობიდან და მტკიცებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ მსჯელობასა და მტკიცებაზე უწინარესია, რადგანაც ყველაფერი შემდეგაა — მსჯელობაც, დაშვებაც და დასაბუთებაც. და რაკი ესაა საწყისი, ყველაფერი მისგან იღებს დასაბამს, და სწორედ ასე იღებს. მართლად უთქვამთ, რომ არ უნდა ვეძიოთ საწყისის მიზეზი, მით უმეტეს, ესოდენ სრულყოფილი საწყისისა; იგია საწყისიც და დასასრულიც. ყოვლად უნაკლოც და უკლებლივ ყოველიც.

8. ამრიგად, დასაბამიერი მშვენიერება მშვენიერია ყოვლმხრივ და მშვენიერია მთლიანად. რათა არცერთ მის ნაწილს არ აკლდეს მშვენიერება. მაშ, ვინ გაბედავს იმის თქმას, თითქოს მშვენიერი არ იყო იგი? მშვენიერი არაა ის, რაც მთლიანად არ არის მშვენიერება, ან მხოლოდ ნაწილობრივ წილნაყარია მასთან, ანდა საერთოდ არა სცხია რა მისი. მაგრამ თუ ის მშვენიერი არაა, მაშინ რაღაა მშვენიერი? რადგანაც იმას, რაც მასზე უწინარესია, უკვე აღარ სურს იყოს მშვენიერი. პირველადი მშვენიერება კი, მზერას რომ ევლინება, გონებისათვის საამო სახილველია, რაკიღა ფორმაცაა და ჭვრეტის საგანიც. ამიტომ პლატონიც, რომელსაც სურს უთვალსაჩინოესად გვიჩვენოს ეს, თავისი საქმით კმაყოფილს გვიხატავს დემიურგოსს: ამით მას სურს გვაგრძნობინოს, რაოდენ საოცარია პირველნიმუშისა და იდეის მშვენიერება. როდესაც განცვიფრებით აღიქვამენ ამა თუ იმ ნიმუშის მიხედვით შექმნილ საგანს, ეს განცვიფრება სწორედ ნიმუშს მიემართება. მაგრამ თუ ვერ მხვდებიან, რას განიცდიან, ამაში არა არის რა გასაკვირველი, რადგანაც ვერც მიჯნურნი და ვერც გრძნობადი მშვენიერების ტრფიალნი ვერ მიმხვდარან, რომ მათ სიყვარულს, უწინარეს ყოვლისა, ზეგრძნობადი მშვენიერება იწვევს, ვინაიდან გრძნობადი სწორედ ზეგრძნობადისაგან იღებს დასაბამს. ხოლო პლატონის დემიურგოსის კმაყოფილება რომ პირველნიმუშითაა გამოწვეული. ამას შემდგომი მსჯელობაც ცხადყოფს: „ის კმაყოფილი დარჩა და მოინდომა თავისი ქმნილება კიდევ უფრო მეტად მიემსგავსებინა პირველნიმუშისათვის". რითაც გვიჩვენებს რაოდენ მშვენიერია პირველნიმუში, რომლის ხატადაც, მისი მტკიცებით, გვევლინება ქმნილების მშვენიერება. მაგრამ პირველნიმუში რომ ზემშვენიერი არ იყოს ენითუთქმელი მშვენიერებით, რა იქნებოდა ხილულ სამყაროზე უფრო მშვენიერი? მაშასადამე, სცდება, ვინც გმობს ხილულ სამყაროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს უკანასკნელი თვითონვე არ გვევლინება პირველნიმუშად.

9. წარმოვიდგინოთ გრძნობადი სამყარო თავისი ნაწილითურთ, რომელთაგანაც თვითეული ის არის, რაც არის, და დანარჩენებს არ ერევა; ყოველივე ეს, შეძლებისდაგვარად, ერთ მთლიანობად დავსახოთ, ისე, რომ, ნებისმიერი ერთის გამოვლენას, თითქოს გარეგანი სფეროსას, უშუალოდ მოჰყვეს მზისა და, იმავდროულად, სხვა ვარსკვლავების წარმოდგენა; ამასთან, თითქოს გამჭვირვალე სფეროზე, თვალნათლივ ვჭვრეტდეთ ზღვას, დედამიწას და ცოცხალ არსებებსაც. დაე, სულში აღიბეჭდოს სხივოსანი სფეროს ხატება; სფეროსი, მთლიანად რომ მოიცავს ყოველს, მოძრავსაც და უძრავსაც, ან ზოგს — მოძრავს და ზოგსაც — უძრავს. შეინარჩუნეთ ეს ხატება და გამორიცხეთ ყოველივე ნივთიერი; გამორიცხეთ მთელი სივრცე და ყოველგვარი წარმოდგენა მატერიაზე. ნუ ეცდებით წარმოსახვით შეუნაცვლოთ ამას სხვა — მოცულობით უფრო მცირე სფერო, არამედ მოუხმეთ ღმერთს, რომელმაც შექმნა ის, რისი ხატებაც აღბეჭდილია თქვენს წარმოსახვაში; ილოცეთ, რათა მოვიდეს თქვენთან. ვინ იცის, იქნებ მართლაც მოვიდეს, მთელი თავისი სამყაროთი და სამყაროს ყველა ღვთაებითურთ. ის არის ერთი და ის არის ყოველი; თვითეული არის ყველა და ყველა არის ერთი. ყველანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ძალმოსილებით, მაგრამ იგივე ძალას ერთობით ყველა, იმავდროულად, არის ერთი.

მართლაც, ერთს არაფერი აკლდება იმით, რომ ყველა იბადება. ისინი ერთად არიან, ხოლო თვითეული, ცალ-ცალკე, უძრავადაა განუყოფელ წერტილში, რადგანაც გრძნობადი ფორმა არ გააჩნია, თორემ ერთი აქ იქნებოდა, მეორე კი — იქ, და არცერთი არ იქნებოდა მთლიანად თავის თავში. არცერთს არა აქვს რაიმე ნაწილი, თავისივე თუ სხვის ნაწილებისაგან განსხვავებული, და თვითეულის მთლიანობა იმ ძალის მთლიანობა როდია, რომელიც იმდენად ნაწევრდება, რამდენი გაზომვადი ნაწილიცა აქვს. ის არის ძალა, უსასრულობას რომ უწევს, უსასრულოდ ყოვლისმძლე ძალა და მისი სიდიადე იმდენად გონებამიუწვდომელია, რომ თვით მისი ნაწილებიც უსასრულონი არიან.

სად რა გინდა თქვა, რომ უმალ თვითონ-

ვე არ გაჩნდეს იქ? რა თქმა უნდა, დიადია ეს ჩვენი გრძნობადი ცა, მთელი თავისი ძალმოსილებითურთ, მაგრამ კიდევ უფრო დიადი იქნებოდა ენით უთქმელი ხიდიადით, მცირეოდენი ნივთიერი და სხეულებრივი ბუნება რომ არ ერიოს. იტყვიან, დიადია ცეცხლისა და სხვა სხეულების ძალაო. არა, არ იცნობენ ჭეშმარიტ ძალმოსილებას, და მხოლოდ ამის გამოა, დიადად რომ მიაჩნიათ სხეულთათვის ნიშნეული მწველი, მდაგველი, იავარმქმნელი თუ ცოცხალ არსთა მბადი ძალები. მაგრამ თუ იავარიყოფენ, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონაც იავარიყოფიან, და თუ ბადებენ, იმიტომ, რომ თვითონაც იბადებიან.

იქ კი ძალის მფლობელი მხოლოდ არსია და მხოლოდ მშვენიერება. რადგანაც სად იქნებოდა არსისაგან განძარცული მშვენიერება? ან სად იქნებოდა მშვენიერებისაგან განძარცული არსი? მშვენიერებას მოკლებული არსი თვითონაც ნაკლული ხდება. არსი იმიტომაცაა სასურველი, რომ იგივეა, რაც მშვენიერება; მშვენიერება კი იმიტომაა საყვარელი, რომ იგივეა, რაც არსი. რა საჭიროა იმისი ძებნა, თუ რომელია რომლის მიზეზი, რაკილა ერთია ორივე მათგანის ბუნება? აქ, ამ ცრუ არსს მართლაც სჭირდება გარედან ნასესხები მშვენიერი ცრუ ხატება, რათა არა მარტო მშვენიერად წარმოჩნდეს, არამედ არსადაც. ის იმდენადაა არსი, რამდენადაც წილნაყარია ფორმისეულ მშვენიერებასთან, და მით უფრო სრულქმნილია, რაც უფრო მეტი წილი უდევს მასში; მშვენიერი არსი უფრო სრულად იმოსავს ფორმას.

10. ამიტომ ზევსი, დანარჩენ ღმერთებს შორის უხუცესი და მათი წინამძღოლი, პირველი გამოდის იქაური მშვენიერების ჭვრეტად, ხოლო მას კვალდაკვალ მისდევენ დანარჩენი ღმერთები, დემონები და სულები, რომლებსაც ზეგრძნობადი მშვენიერების ჭვრეტა ძალუძთ. ეს მშვენიერება ერთგვარი უხილავი ადგილიდან წარმოუჩნდება მათ და, ზეგრძნობადი სამყაროს თხემამდე აზიდული, ნათელს მფენს ყველას, თავისი სხივცისკროვნებითავსებს ყველაფერს და თავისი ბრწყინვალებით თვალსა სჭრის ქვემოთ მყოფთ. უმწეოდ რომ იბრუნებენ პირს მისგან, როგორც მზის ჭვრეტის ვერშემძლე კაცნი. მხოლოდ ზოგიერთი თუ აზერხებს თვალი გაუსწოროს და შეფრფენით შესცქეროს მას; ზოგიერთი კი რეტდასხმულივით არიდებს მზერას, და მით უფრო მეტად არიდებს, რაც უფრო შორსაა მისგან. მჭვრეტელნი კი, ვისაც მისი ჭვრეტის თავი აქვს, ხარბად უმზერენ როგორც მას. ისე ყოველივე იმასაც, რაც მისეულია; მაგრამ ყველას ერთი და იგივე ხანახამბა როდი ეშლება თვალწინ: ერთი, მისკენ თვალმიპყრობილი, სამართლიანობის სხივოსან წყაროსა და ბუნებას ჭვრეტს; მეორე, მთელის არსებით, სიბრძნის ჭვრეტაშია დანთქმული, მაგრამ ეს კაცთათვის ნიშნეული სიბრძნე როდია, ზებუნებრივი სიბრძნის ერთგვარ ხატად რომ გვევლინება; ეს უკანასკნელი მთელ ზეგრძნობად მშვენიერებას მოიცავს და მხოლოდ მისთვისაა სახილველი. ვინც უკვე შესძლო ყველა სხვა ნათელი სანახაობის ხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, რას ჭვრეტენ ღმერთები, ცალ-ცალკეც და ერთადაც, ისევე, როგორც სულები, ყველაფერს რომ ხედავენ იქ, ყველაფრისგანვე შობილნი და დასაწყისიდან დასასრულამდე ყოვლის მომცველნიც; არსებობითაც იქვე არსებობენ, რადგანაც მათთვის, ბუნებით, ნიშნეულია ზენაარსობა; ხშირად მათივეა ყველაფერი, რაც იქ არის, ვიდრე არ მოწყვეტიან იქაურობას. და როცა ყოველივე ამას ჭვრეტს ზევსი, და მასთან ერთად ჩვენი სულებიც, ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც, ვინც სიყვარულით ზევსს ედარება, ისინი მთელი ხავსებით აღიქვამენ სრულყოფილ მშვენიერებას და კიდევაც ეზიარებიან მას, რადგანაც იქ ყველაფერი სხივოსანია და ამ სხივებით განწონილნი თვითონაც მშვენიერნი ხდებიან, მსგავსად იმისა, როგორც მზის ოქროსფერ შუქში გახვეული მაღალი მთის მწვერვალზე შემდგარი კაცი თვითონაც იმ ადგილივით იფერება, სადაცა დგას. ზეგრძნობად სამყაროში მოხასხასე ფერი კი მშვენიერებაა, ან, უფრო ზუსტად, იქ ყველაფერი მხოლოდ სიღრმისეული ფერია და მშვენიერება, რადგანაც მშვენიერება იგივეა, რაც ზენა სამყარო, რომელზედაც ის ყვავილობს. მაგრამ ვინც ვერ ხედავს მთელს მისი მზერა მხოლოდ ზედაპირს ელაციცება. მთელის მხედველი კი, თითქოს ღვინითა და ნექტარით მთვრალიაო, რადგანაც მშვენიერება მთლიანად განწონის სულს, — მარტოოდენ მაყურებელი როდია: მხედველი და მისი ხედვის საგანი ერთურთის მიმართ გარეშენი კი არ არიან, არამედ გამჭრიახი მზერის პატრონი თავისსავე თავში ჭვრეტს თავისი ჭვრეტის საგანს, მაგრამ ესოდენი სიუხვის მქონემ არ აცის, რისი მქონეა, და ამიტომ ისე ჭვრეტს მას, თითქოს მთელი ეს სიუხვე მის გარეთ იყოს; დიახ, ისე ჭვრეტს, როგორც ჭვრეტის საგანს, და მიელტვის კიდეც მის ჭვრეტას; ყოველივე ის, რაც ჭვრეტის საგნად აღიქმება, თავისი თავის გარეთ აღიქმება მჭვრეტელის მიერ; მაგრამ საჭიროა თავის თავშივე გადაიტანოს იგი და ისე უმზიროს, როგორც ერთს ან როგორც თავის თავს; ღვთივშეპყრობილისა არ იყოს, სულერთია, ვის ვიგულისხმებთ აწ ღვთაებად, აპოლონსა თუ რომელიმე მუზას, — თავისსავე თავში რომ უმზერს ღმერთს, რადგანაც ძალი შესწევს თავის თავში ღმერთის ხილვისა

11. თუ რომელიმე ჩვენგანს თვითჭვრეტის უნარი არ გააჩნია, მაგრამ იმავე ღმერთის მიერაა შეპყრობილი, — გარეთ რომ გადააქვს მზერა. ამით თავისივე თავი გადააქვს და თავისსავე თავსა, ჭვრეტს, სრული მშვენებით შემკულს. მაგრამ თუ ზურგს შეაქცევს ამ ხატებას, რაგინდ მშვენიერიც არ უნდა იყოს იგი, თავის თავსვე მიუბრუნდება და გაორების გზით აღარ დაარღვევს ამ ერთობას, მაშინ მთლიანად ერწყმის მის არსებაში მდუმარედ დავანებულ ღმერთს და არის მასთან, რამდენადაც შეუძლია და რო-

გორც ხურს. ბოლო თუ კვლავაც გაირღვება, საკმაოდ განწმენდილია საიმისოდ, რომ უწინდებურად შეერწყას ღმერთს, როცა ხელახლა მიუბრუნდება მას. ეს ხელახალი მიქცევა კი დიდად სახარგებლოა მისთვის: თავდაპირველად, ვიდრე ღმერთისაგან განსხვავებულია, ის შეიგრძნობს საკუთარ თავს, ბოლო როდესაც თავის შინაგან არსს მიუბრუნდება, კვლავ განუყოფლად ფლობს ყველაფერს; რაკი ღმერთისაგან განსხვავებულობა აზინებს, უკუიქცევა და კვლავინდებურად ერთი ხდება.

ამიტომაც ღმერთის ერთგვარი ნაკვალევის მიხედვით უნდა ისწავლოს, როგორ მიაკვლიოს და გონებით მისწვდეს მას; ბოლო რაკიღა შეიცნობს, რა სიღრმეშიაც შედის, და სწამს, რომ ეს სანეტარო სინამდვილეა, აუცილებელია, თავის შინაგან არს მიეცეს და მხილველის ნაცვლად სხვისი ხილვის საგნად იქცეს, ვინც ხედავს, როგორ ჩამოვიდა იქიდან, აზრის სინათლით გაბრწყინებული. როგორ შეიძლება, მშვენიერებაში იყოს ვინმე და ვერ კი ხედავდეს მას? თუ ისე ხედავს, როგორც თავის თავისაგან განსხვავებულს, ჯერ კიდევ არ არის იმაში, რაც მშვენიერია. მხოლოდ მაშინ, როცა თვითონვე ხდება მშვენიერი, შეიძლება ითქვას, რომ ის მშვენიერებაშია. თუ მშვენიერებას ის აღიქვამს როგორც გარეგან საგანს, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც უნდა გრძნობდეს, რომ თვითონაც იგივეა, რაც მის მიერ აღქმული საგანი. ესაა თითქოს შინაგანი განცდა და ერთობლივი შეგრძნება საკუთარი თავისა, განპირობებული მეტის შეგრძნებისა და ღვთისაგან რაც შეიძლება ნაკლებად განდგომის სურვილით.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ უბედურების განცდა გაცილებით უფრო მძაფრ ტკივილს იწვევს, რაც, თავის მხრივ, უფრო ნაკლები ცოდნის წყაროა. სნეულება ხომ შეუდარებლად უფრო მტკივნეულია, მაშინ როდესაც ჯანმრთელობა სიმშვიდეს და აუმღვრეველობას რომ გვინარჩუნებს, გაცილებით უკეთ გვეხმარება ჩვენივე თავის შეცნობაში, რადგანაც ის თითქოს ჩვენეულია და ჩვენს არსებასთან შერწყმული. სნეულება კი, გარკვეული აზრით, უცხოა ჩვენთვის არა ჩვენეული, და ამიტომაც აშკარაა, რომ ის ძირეულად განსხვავებულია ჩვენგან, ბოლო ის, რაც ჩვენეულია და ჩვენ თვითონ — ერთი ვართ, თუმცა ვერც კი ვგრძნობთ ამას. სწორედ ამ მდგომარეობაში მყოფნი შევიცნობთ უკეთ ჩვენსავე თავს და ერთარსად ვერწყმით ერთმანეთს ჩვენცა და ჩვენი თვითშემეცნებაც. ამრიგად, იქ, სადაც ჩვენი შემეცნება გონების თანახმად ყველაზე სრულია, უმეცარნი ვჩანვართ, იმიტომ, რომ გრძნობად აღქმას ვუწევთ ანგარიშს, აღქმას, რომელიც გვიცხადებს, რომ ვერაფერს ხედავს, რადგანაც [illegible] ვერ ხედავს და არც შეიძლება ხედავდეს იმას, რაც გონით საწვდომია. შეგრძნებაა, რასაც ეს აეჭვებს, ბოლო რაც ხედავს, სულ სხვა რამეა; რადგან ეს უკანასკნელიც რომ ეჭვობდეს, თავის თავიც დააეჭვებდა; ვინაიდან თვით მასაც კი არ შეუძლია ხორციელი თვალით გარედან ხედავდეს თავის თავს, როგორც გრძნობად საგანს.

12. მაგრამ უკვე ითქვა, რანაირად შეიძლება ხედავდეს ამას როგორც სხვა, და რანაირად შეიძლება ხედავდეს როგორც ის თვითონ. ბოლო როდესაც იხილავს, სულერთია, როგორც სხვა, თუ როგორც თვითონ, — რას გვაუწყებს? ის გვაუწყებს, რომ იხილა ღმერთი, უზენაესი მშვენიერებით მოსილი ნაშიერის სალმობით მშობელი, თავის თავში ყოვლის დამბადებელი და სალმობის უდრტვინველად მთმენელი; ღმერთი, რომელიც შეეხარის თავის ნაშიერს, ტკბება მისგანვე შობილთა ქვრეტით, თავისსავე წიაღში იფარავს ყოველს და ნეტარებით აღვსილი უმზერს როგორც თავის საკუთარ, ისე მის მიერ შობილთა მზიურ ბრწყინვალებას. მშვენიერნი არიან ეს უკანასკნელნი, მშვენიერზე მშვენიერნი არიან შიგნით შთენილნი, და მხოლოდ ერთი მათგანი, როგორც ძე, ვლინდება გარეთ. ამ ბოლოს შობილი ძის, როგორც ერთგვარი ხატების მიხედვით, შეიძლება ვიხილოთ მამისა და მამასთან შთენილ ძმების სიდიადე, ის გვიმოწმებს, რომ ამაოდ როდი გამოსულა მამისაგან, და რომ არსებობს მისგან შობილ სხვა მშვენიერი სამყარო, როგორც ხატება ზებუნებრივი მშვენიერებისა.

რადგანაც შეუძლებელია მშვენიერი არ იყოს ხატება, სულერთია, რისი ხატებაა იგი — მშვენიერებისა თუ არსისა, რაკიღა ყოველმხრივ თავის პირველნიმუშსა ბაძავს. ის ცოცხალია, არსთან წილნაყარი, როგორც მიბაძვა, და მშვენიერებით მოსილი, რომელიც იქიდან იღებს დასაბამს; მუდმივობაც იქიდან მოსდგამს, როგორც ხატებას. ან იქნებ შესაძლებელია ზებუნებრივ მშვენიერებას ხან ჰქონდეს თავის ხატება, ხან კი არა, ვინაიდან ხელოვნებით შექმნილ ხატებას როდი ეხება საქმე? ბოლო ყოველი ხატება, რომელიც ბუნებისგან იღებს დასაბამს, იმდენ ხანსვე გრძელდება, რამდენსაც მისი პირველნიმუში. ამიტომ სცდება, ვინც ამტკიცებს გრძნობადი სამყაროს წარმავლობას, რაკიღა ზეგრძნობადი სამყარო წარუვალია და ისე ბადებს გრძნობად სამყაროს, თითქოს შემოქმედს განეზრახოს მისი შექმნა. ვერ გაუგიათ, რანაირადაა შექმნილი, და არ იციან, რომ რაკიღა ზეგრძნობადი სამყარო ჰფენს ნათელს, არასოდეს გადავა გრძნობადი, და რომ ეს უკანასკნელიც იქიდან მოყოლებული არსებობს, საიდანაც — პირველი, რომელიც მარადის იყო და იქნება. უნდა ვისარგებლოთ ამ სიტყვებით, თუკი იძულებულნი გავხდებით რამენაირად გამოვხატოთ მისი მარადისობა.

13. ამრიგად, ღმერთმა, რომელიც მუდამ ერთნაირად არსებობს, თავის ძეს მიანდო გრძნობადი სამყაროს მბრძანებლობა (რადგანაც არ შეშვენოდა მის ბუნებას, მიეტოვებინა გონით საწვდომი და უზენაესი მშვენიერებით მოსილი სამყაროს მეუფება, რათა მასზე უმრწემესსა და უმდარეს ხელმწიფებაზე გაეცვალა იგი). შემდგომ ამისა, ძემ თავის ზემოთ დაადგინა

მამა და თვით მისამდე აღიზიდა ზესკნელს. მეორეს მხრივ, მანვე დაადგინა ისიც, რასაც თვითონვე მისცა დასაბამი, როგორც ხზვისაკენ მიქცეულს, ასე რომ, ორთა შუა მოექცა, იმ ხზვათა შორის შედეგად, რაც მასზე უზენაესი მამისაგან ათავისთავადებს, და იმ თვითმოზღუდვის მეზ. ვეობით, რაც მასზე უდაბლესი ნაშიერისაგან აკიდეგანებს; დიახ. ასე მოექცა მასზე უკეთეს მამასა და უარეს ნაშიერს შორის. მაგრამ რაკი მამა მშვენიერებაზე უზენაესია, ამიტომ თვითონაა პირველი მშვენიერება. თუმცა, რა თქმა უნდა, მშვენიერია მისი ნაშიერიც — სამყაროს სულიც. მაგრამ თვითონ სულზე უფრო მშვენიერია, რადგანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ ნატვიფარია მისი. მართალია, სული საკუთარი ბუნებითაც მშვენიერია, მაგრამ უფრო მშვენიერია, როცა თავის მშობელ გონებას უმზერს. ამრიგად, თუ სამყაროს სული, ან, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, აფროდიტე — მშვენიერია? მაშ, [illegible]რილაა გონება? თუ სული თავისთავადაც მშვენიერი, რამდენად უფრო მშვენიერი უნდა იყოს მისი მშობელი? ხოლო თუ ის სხვა რამის მეოხებითაა მშვენიერი, ვისგან უნდა იღებდეს მისხავე არსებასთან დაუხსნელად შერწყმულ მშვენებას? აკი ჩვენც მაშინ ვართ მშვენიერნი, როცა ისა ვართ, რაცა ვართ, მახინჯნი კი მაშინ, როცა სხვისაზე ვცვლით ჩვენს ბუნებას; მშვენიერნი ვართ, როცა შევიცნობთ ჩვენსავე თავს, და, პირიქით, მახინჯნი ვართ, როცა ეს ცოდნა არ გაგვაჩნია. მაშასადამე, მშვენიერება იქიდან იღებს დასაბამს. საკმარისია, რაც ითქვა, ამ გონით საწვდომი საგნის გასაგებად. თუ სხვა გზას უნდა დავადგეთ?

ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო

ბაჩანა ბრეგვაძემ

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, მაჩაბლის ქ. № 18.

**ტელეფონები:** მთ. რედაქტორის — 98-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 98-55-15, პ/მგ მდივნის — 98-55-18 და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17; 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 09. 03. 92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 04. 92 წ., ანაწყობის ზომა 7¹/₄×12, ქაღალდის ფორმატი 70×108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,8. ტირაჟი 9.000. შეკვეთა 290.
მ. კოსტავას ქ. № 14.

65/41

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 5 მან.
ხელმომწერთათვის 2 მან.

ინდექსი
76128

**«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**